გიორგი
კეჭალმაძე

ჩოლის აბეინდეგა ბალეკი

„ნაკადული"
თბილისი
1989

84 Гр 7—4
ა 438

ამ კრებულში თავმოყრილი მოთხრობების გმირები მხოლოდ თავიანთ ბავშვურ პრობლემებს, საფიქრალსა თუ საწუხარს არ უტრიალებენ; ისინი ჩუმმა და უტყვი ძიებანი კი არ არიან ყოველივე იმისა, რაც ირგვლივ ხდება, არაფერ მისი აქტიური მონაწილენიცა და კეთილისაკენ წარმართველნიც. მათ კარგად ესმით, რომ, თუ დიდები თავდაუზოგავად იღწვიან მოზარდთა კეთილდღეობისათვის, არც მოზარდის როლია უმნიშვნელო ზრდასრული ადამიანების ცხოვრებისეული უთანხმოების მოგვარებაში, მათს ძნელსა და რთულ ურთიერთობების გარკვევაში.

ა ვ ტ ო რ ი

© „ნაკადული", 1989

70803 — 37
К————————85—89
М-603 (08) — 89

პრემიერა გადარჩა

1. ალექსანდრე მასწავლებელმა ორჯერ კიდევ ჩამოურბინა მერხებს, მერე ხელები მაღლა აღაპყრო და დაფასთან მდგომ მოსწავლეს სასოწარკვეთილებით შეჰყვირა:

— დაწერე, ბიჭო, დაწერე, თუ წერ რამეს!.. სულ ალარ გეჩქარება? გათავდა გაკვეთილი და ეგ არის!

სრული სიმართლეა, ბაიკლო გულში ყარამანმა, ნამდვილად არსად არ მეჩქარებაო. კაცმა რომ თქვას, მაინც რატომ უნდა ეჩქარებოდეს? მეორე გაკვეთილია, წინაა მესამე. მეოთხე, მეხუთე... აჩქარება რას უშველის?

— არ წერ, ხომ? არც არაფერს ამბობ? — ამოიკვნესა ალექსანდრე მასწავლებელმა.

რა სულსწრაფი ვინმეაო, ფიქრობს ყარამანი გეომეტრიის მასწავლებელზე. თვითონ სად ეჩქარება? სად გარბის? ვინ მოსდევს. რას ბზრიალებს ჩიკორიკით? კისერი მოგწყდება. მის აქეთ-იქით სირბილს თვალი რომ მიადევნო. დაჯდეს იმ თავის მაგიდასთან, დაწყნარდეს...

გამხდარი, ტანმორჩილი კაცია ალექსანდრე. ყარამანი უკვე ზევიდან დიჰყურებს; სულ რაღაც ერთი წლის წინ კი ქვევიდან შესცინებდა და შეკნაოდა. ახლა ტანიც აიყარა, ხმაც სხვა აქვს. სახისა და თვალების გამომეტყველებაც. ამას მასწავლებელიც ალიარებს. ზრდაში კი ხართ ყოჩაღები, მაგრამ. სამწუხაროდ, ჭკუა კი არ გემატებათ, გაკლდებათო. ნეტა თუ იცის, რაკიკომ მენზუ-

ლა რომ შეარქვა? პირველ სემესტრში ორიანი დაუწერა ბიჭს გეომეტრიაში და „დაზარალებულმა“ ჯაერი ამით იყარა.

— გძინავს, ყარამან? — ჰკითხა მასწავლებელმა, — არაფერს ვიტყვით? გელოდებით, უმაწვილო...

— ვაცალოთ, პატივცემულო, კარგად მოიფიქროს.

ეს გიგუცაა. სათვალიანი, ყარამანის მერხის მოზიარე. გეომეტრიის გაკვეთილი მისთვის სასიამოვნო გასეირნებაა. რა უნდა ჰკითხოთ, რომ პასუხი შეაგვიანოს. კარგად მოიფიქროსო, იხუმრა ბიჭმა. გგონიათ, ეცინება ვინმეს მის უკბილო ხუმრობაზე? თვითონ ფხუკუნებს...

გიგუცას უკან ნათია და რაჟიკო სხედან. ნათიას გეომეტრიის სახელმძღვანელო გადაუშლია, ყარამანისკენ გამოუშვერია, რაღაც ნახაზზე თითი მიუბჯენია და ანიშნებს, აჰა, წაიკითხე და უპასუხე. ვითომ არ იცის. რა წამკითხველი და მოპასუხეცაა ყარამანი.

— ხომ არ გავიწყდება, სასწავლო წელი რომ მთავრდება? არ მოგიტანენ სიკეთეს ეს ორიანები, უმაწვილო...

— ისევ ორიანი. მას?! — შესძახა აღშფოთებულმა ყარამანმა.

— იქნება ხუთიანს მთხოვ?

— სამიანიც მეყოფოდა, — თავი მოისაწყლა ბიჭმა.

— სამიანი როგორ არ ეკუთვნის, — ხმადაბლა, გაუბედავად დაუჭირა მხარი გიგუცამ.

სწავლით კი სწავლობს გიგუცა. ვინ დაუკარგავს, მაგრამ ენა რომ გრძელი აქვს, აშკარაა. ეტყობა, თვითონ მასწავლებლებმა გააადიდგულეს მეტისმეტი ქებითა და ფერებით. ჰოდა, ახლა შემთხვევას როგორ გაუშვებს. რომ „თავისი აზრი“ არ გამოთქვას. გიგუცა ამჯერად მასხარაობს, ამას ვინ ვერ მიხვდება, ყარამანს კი სულაც არა აქვს საქმე სამასხარაოდ.

— ნუ დამიწერთ ორიანს, — ემუდარება ყარამანი ალექსანდრე მასწავლებელს. მიიწურა სასწავლო წელი, როდისღა უნდა გამოასწოროს? — შემდეგი გაკვეთილისთვის ყველაფერს გავიმეორებ.

— დაბრძანდი, უმაწვილო.

ყარამანმა ზანტად გასწია თავისი მერხისკენ.

— ყვა-ყვა, ყვანჩალა! — ჩასჩხავლა ყურში რაჟიკომ.

— მომცილდი! — შეუღრინა ყარამანმა.

— ეხ, ყარა-მან, ყარა-მან, — მასწავლებელს ხელში კალამი უჭირავს, ჟურნალს ჩასცქერის, ხმამაღლა ითვლის ყარამანის ორიანებს, — ერთი, ორი, სამი, ოთხი...

კი, როგორ არა, ყვავია, ყვანჩალა, ყარა მანი (ყარა თურქულად შავი ყოფილა, მან — კაცი, გერმანულად), ესე იგი, შავი კა-

ცი. იყავით თქვენ თეთრყირმიზები, ლამაზები, სათვალიანები. მიწერეთ ორიანები... ყარამანი ყველაფერს აიტანს, გაუძლებს.

— შენ გგონია, მიხარია ამ ორიანების წერა? მაგრამ ინჩიბინჩი რომ არ იცი გეომეტრიაში? ორი სიტყვა მაინც გეთქვა ერთად, ორი სიტყვა... — კალამს ხელში ატრიალებს, ხან მარჯვნიდან გახედავს ყარამანის ორიანების მწკრივს, ხან მარცხნიდან, იშმუხნება, ხვნეშის.

— პატიოსნად მითხარი... ა, მთელი კლასი გვისმენს. იცი რამე გეომეტრიაში?

ყარამანი ადგა.

— კი ვიცი, კი ვიცი, — კარნახობს რაჟიკო.

— ვიცი, — ყოყმანით იმეორებს ყარამანი.

— გისმენ, — ალექსანდრემ კალამი დადო.

— შტატივზე დამაგრებული კვადრატული დაფა... — კარნახობს გიგუცა.

ყარამანი სიტყვასიტყვით იმეორებს.

— არ თქვა... არ თქვა! — აფრთხილებს შეშფოთებული ნათია.

— ...ბრის მენზულა.

— რაო? რაო? — ალექსანდრე ყალყზე შედგა.

— ანუ პლანშეტი, — კარნახობს რაჟიკო.

— ანუ პლანშეტი, — იმეორებს ყარამანი.

კლასს ტალღასავით გადაუარა აღტაცების შეძახილებმა, სიცილმა, აქა-იქ ტაშიც შემოკრეს.

— გადი გარეთ, — უთხრა მასწავლებელმა ყარამანს, — სამასწავლებლოსთან დამხვდი, იქ მოგელაპარაკები.

ყარამანი გავიდა.

2. ესეც შენი გიგუცა და რაჟიკო, შენი განუყრელი, ერთგული მეგობრები, ყარამან.

განუყრელი? დღემდე კი იყვნენ განუყრელი, რაც მართალია, მართალია. ახლა კი როგორ წავა მათი საქმე, არავინ იცის.

არა, ყარამანის ორიანი აქ არაფერ შუაშია. ორიანი ბევრი მიღია, ამას კარგა ხანია შეეჩვია, ამისთვის მეგობარს როგორ ვაიმეტებს.

განხეთქილების მიზეზი (დროა, გამოვტყდეთ), ალბათ, ნათია იქნება.

ეს რამდენიმე თვეა. სამივემ თითქმის ერთდროულად აღმოაჩინა, რომ ნათიას ძალიან ლამაზი თითები და თვალები აქვს.

ასეთი მოულოდნელი აღმოჩენა მეგობრებს შორისაც კი ზოგჯერ სერიოზულ განხეთქილებას ჩამოაგდებს ხოლმე.

— შენი მეტოქეობის, რაიკო, დიდად არ მეშინია. მე კი ვარ ყვავივით შავი (როგორც ზოგიერთს ჰგონია), შენ კი ოდნავ მოთეთრო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. შენც ხომ ჩემისთანა ხისთაავა ხარ. საშიში გიგუცაა, სათეალიანი კენიოსი, ვანათლებული, ნაკითხი, ენამოსწრებული და გონებამახვილი.

ახლა ოჯახიშვილობა? მამა მასწავლებელი ჰყავს — ისტორიას ასწავლის. გულბაათი ჰქვია, მაგრამ ჩუმჩუმად ვრაფს ეძახიან. კომედიებს რომ წერს, იმიტომ. სკოლის დრამწრე ყოველ წელს დგამს მის თითო კომედიას (თვითონ რეჟისორობს). მისი ერთი პიესა ქალაქის თეატრმაც კი დადგა. მთელი სკოლა ამაყობდა. ბოლო დროს გამომეღავნდა, რომ გულბაათ მასწავლებელი ლექსებსა და პოემებსაც წერს თურმე. ადრე კომედიოგრაფს ეძახდნენ, ახლა მარტო გრაფი შერჩა სახელად.

თამრიკო (გიგუცას უფროსი და) მომავალი რეჟისორია. შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა. თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად ემზადება, თან თეატრში მუშაობს, მსახიობობს. ახლა თურმე თეატრი მამამისის მოზრდილი პიესის მიხედვით სპექტაკლს ამზადებს, რომელშიც თამრიკოსთვის ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულება მიუნდვიათ.

8. — ყარამან?..

ეს ფოთოლაა, კლასის ხელმძღვანელი, გერმანული ენის მასწავლებელი. შარშან მოვიდა სკოლაში. მეათეკლასელ გოგოს ჰგავს. ნათიაზე მაღალი არც კია, მაგრამ ბიჭი ხარ და შეუთამამდი! თუ გაჯავრდა, ისეთს დაჰკივლებს და დაუცაცხანებს მოსწავლეებს, ფანჯრები ანანზარდება. ისე კი სულაც არაა ბრაბიანი. მენზულასავით კაფანდარაა, სწორედ მისი შესაფერია. ჭორაობენ კიდეც გოგოები, მალე ქორწილს გეკეძევენო. კაცმა რომ თქვას, ყარამანს არ ემეტება მენზულასთვის თავისი კლასის ხელმძღვანელი. ფოთოლა მასწავლებელი ნელა დაბაკუნობს დერეფანში, ეზოში, ქუჩაში, მშვიდი და წყნარია, ლაპარაკიც ისეთი მშვიდი, დალაგებული იცის, გაკვეთილს რომ ხსნის, ყარამანი ტკბილ ძილბურანში ეხვევა. მენზულა კი აწყვეტილივით დაქრის, თითქოს ჯადოსნური ქალამნები აცვიაო. როგორ უნდა შეეწყონ ასეთი ადამიანები ერთმანეთს?

— აქ რას აკეთებ, ყარამან?

— გამომაგდეს, — ჩაიბურტყუსა ყარამანმა.

— ვინ გამოვაგდო?

— მენზუ... ესე იგი, გეომეტრიამ...

— რატომ?

ბიჭმა ისევ ჩაიბურტყუნა რაღაც, ამჯერად სულ მთლიან გაუგებარი და გაურკვეველი.

— გამაგებინე, რას ამბობ.

— გამომაგდო და რა ვიცი... ვამომიძახა და... ორიანს მიწერდა და გიგუცამ... მიკარნახა და მეც გავიმეორე და...

ფოთოლა მასწავლებელმა მშვიდი ბაკუნით გასწია თავისი კაბინეტისაკენ.

— წამოდი ჩემთან.

უცხო ენის კაბინეტის კარი გააღო, შეევიდა, მაგიდასთან დაჯდა. ყარამანი იქვე დგას, გვერდზე იხედება.

— რატომ გამოგაგდო გეომეტრიის მასწავლებელმა?

ყარამანი ჩაფიქრდა. საიდან დაეწყო?

— მოკლედ მითხარი.

— თუ იცი რამე გეომეტრიაში, თქვიო, მეც ვთქვი.

— რა თქვი?

— მენზულა არის შტატიეზე დამაგრებული კვადრატული დაფა-მეთქი... მე თვითონ არც კი მახსოვდა, რა იყო მენზულა... გიგუცამ მიკარნახა, ასე თქვიო.

— დიდი ქვეშქვეშა ვინმეა ეგ შენი გიგუცა.

— ზევით რომაა, ორი იმდენი...

— ვიცი, — შეაწყვეტინა ფოთოლამ. — რასა ჰგავს. მასწავლებლებს მეტსახელებით რომ ნათლავთ... მაგისთვის შენც მოგხვდება და იმ ენაგატლეკილ გიგუცასაც...

— რაიკოსაც...

— დიახ, რაიკოსაც.

ფოთოლა მასწავლებელი ადგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. ბაკ-ბუკ-ბაკ... ისე წყნარად და მშვიდად დააბიჯებდა, ყარამანს ლამის წასთვლიმა. დაჯექიო, უთხრა მასწავლებელმა ბიჭს. ყარამანი წამით ჩაფიქრდა და გადაწყვიტა დამჯდარიყო.

— რას აპირებ ახლა შენ, ყარამან, შარშანდელივით უნდა ვეღრიჯო შენს მასწავლებლებს, ყარამანს ორიანს ნუ გამოაყოლებთ, მეშვიდეში ნუ დამიტოვებთ-მეთქი?

— უნდა მოვინდომო, მასწ, თორემ მართლა ცუდად მაქვს საქმე.

— ასე გაიძახი შენ კარგა ხანია.

— ახლა ნამდვილად მოვინდომებ...

კი დაჰპირდა, მაგრამ იყო შემსრულებელი? ამას თვითონაც მეტისმეტად ეჭვობდა. არა, ნამდვილად არ ჰქონდა თავის იმედი. რამდენჯერ გადაწყვიტა, აი, ახლა ჩავუჯდები წიგნებს, აი, ახლაო, მაგრამ არ ეყო ნებისყოფა. რა ეშველება? როგორ უნდა, კმაყოფილი ჰყავდეს ფოთოლაც, მენზულაცა და გრაფიც, მშობლებიც... ყველა... მარტო ის რად ღირს, ნათია რომ... ნათია რომ იტყვის, წყალში გადასაგდები არც ყარამანი ყოფილაო.

კარი გაიღო და ისტორიის მასწავლებელი შემოვიდა. იღლიაში საქაღალდე ჰქონდა გაჩრილი. მაგიდასთან მოვიდა, ყარამანს ახედ-დახედა. გაკვეთილზე რატომ არა ხარო, ჰკითხა. გეომეტრიას გამოუგდიაო, უთხრა ფოთოლამ.

— რას მელაპარაკები?! — შეიცხადა გიგუცას მამამ. — გიჭირს გეომეტრია? რაღა გეშველება, შე საწყალო... დღეს გეომეტრია ვინც არ იცის, წასულია მისი საქმე.

უყვარს ხუმრობა, ზედგამოჭრილი გიგუცაა.

— სხვათა შორის, — თქვა ფოთოლამ, — მართალია. ყარამანი დაისაჯა, მთავარი დამნაშვე მაინც თქვენი ბიჭი ყოფილა, ბატონო გულბაათ.

— ჩემი ბიჭი? — იყვირა გრაფმა, — გიგუცა?

— გიგუცა, — გაუმეორა ფოთოლამ.

— მართალს ამბობ? ერთი ხელში ჩამივარდეს!

— ნურაფერს ეტყვით, პატივცემულო, — უთხრა ყარამანმა, — გიგუცა არაფერ შუაშია.

— აკი მიკარნახაო? — მიუბრუნდა ყარამანს კლასის ხელმძღვანელი.

— რა უკარნახა? — დაინტერესდა გრაფი.

— რომ მენზულა შტატივზე დამაგრებული კვადრატული დაფაა.

— იმან ჩუმად გიკარნახა და შენ ხმამაღლა, ყველას გასაგონად გაიმეორე, ხომ?

— დიახ, პატივცემულო...

— არც შენ ყოფილხარ მთლად მართალი.

იღლიიდან საქაღალდე გამოიღო და მაგიდაზე დადო, ხელი სათუთად გადაუსვა და ამაყად თქვა:

— შედევრია...

— ახალია? ჰკითხა ფოთოლამ.

— ძველია. სტუდენტობის დროს დავწერე. დაკარგული მეგონა. ეს-ესაა ვიპოვე. სასწრაფოდ უნდა დავდგა, მსახიობებს ვეძებ. შენი კლასიც უსდა მომაშველო.

— აი, მსახიობი, — გერმანული ენის მასწავლებელმა ყარამანს შეხედა.

— ყარამანი? — გრაფი უამურად დაიღრიჯა.

— რა, ცუდი ბიჭია?

— ბიჭი კარგია... მაგრამ როლს სწავლა არ უნდა?

— არ ისწავლი, ყარამან? — ჰკითხა ფოთოლა მასწავლებელმა.

— რა ვიცი, — მიუგო ყარამანმა. — ვეცდები... იქნება ვისწავლო.

— არ მწამს მე სათუო საქმე, — თქვა გრაფმა.

— შეურჩიე ერთი როლი, — უთხრა ფოთოლამ, — მოინდომებს და ისწავლის. ხომ არ შემარცხვენ, ყარამან? სამაგიეროდ შენც... ალექსანდრესთან შეგარიგებ როგორმე.

არ შეგარცხვენო, დაჰპირდა ყარამანი. ერთ როლს როგორ ვერ შეასრულებს? კაცმა რომ თქვას, ამ საქმეში ორიც მთლად ახალია, აქვს გამოცდილება. ორიოდე წლის წინათ მისმა კლასმა ერთი პატარა სპექტაკლი დადგა. ერთია თუმცაღა, ყარამანს იქ სალაპარაკო არაფერი ჰქონდა, სცენაზე დააბიჯებდა და თვალებს აბრიალებდა, ხან ვიღაცას დასდევდა ბურტყუნ-ბურტყუნით, ხან მას მოსდევდნენ, ეს იყო და ეს.

4. მამა თეატრში მუშაობს, რეკვიზიტორია, დედა — წიგნის მაღაზიაში. ამის გამოა, მთელი სახლი წიგნებით რომ არის გამოტენილი. მოაქვს და მოაქვს. ხელფასს მარტო ამაზე ხარჯავს. წიგნი ხომ უძვირფასესი განძია, უკეთესი კაცმა შინ რა უნდა მოიტანოსო, ამბობს. კითხვისთვის კი დრო არც მას რჩება, არც მამას. ყარამანი კი პატარაობიდანვე „გატაცებული“ ყოფილა წიგნებით. რაც უნდა სქელი და მაგრად შეკრული ტომი ყოფილიყო, ნაკუწებად აქცევდა თურმე. არა უშავსო, თავს ინუგეშებდა ქეთევანი, მთავარია, გული (თუ ხელი?) წიგნებისაკენ რომ მიუწევს. კითხვას რომ ისწავლის, დასახევად და გასაფუჭებლად ვეღარ გაიმეტებსო. ეს დროც მოვიდა, ყარამანმა კითხვა ისწავლა და წიგნებს აღარ აფუჭებდა, მაგრამ ვერაფრით ვერ შეაყვარეს მშობლებმა წიგნის კითხვა. დედა ხვეწნითა და შეგონებებით რომ ვერაფერს გახდა, მუქარაზე გადავიდა: არ ჩაგაცმევ, არ დაგახურავ, კინოში ან ფეხბურთზე არ გაგიშვებო.

მამა ეუბნება, თავი დაანებე, ხომ ხედავ, ამ ბიჭს წაღმა ნათქვამი უკუღმა ესმისო. რაც თავი მახსოვს, სულ წიგნებს სჩრი ცხვირში და ამიტომაცაა, ახლოს რომ არ ეკარებაო. ეტყობა, მართლა უცნაური ვინმე ვარო, ფიქრობს ყარამანი. ამიტომაა ალბათ, იმის გაკეთება რომ არ შემიძლია, რასაც ასე თავგამოდებით

მირჩევენ ღა მაძალებენო. ხომ გაგიქდებით უყვარს თევზაობა, მაგრამ ვინმეს რომ უბრძანოს, ღაბეჯითებით ურჩიოს, წადი, ითევზავე, წყლის პირას სუფთა ჰაერზე ყოფნა გაგამხნევებს და გაგახალისებსო, შეიძლება არც კი გაიხედოს მდინარისკენ.

იმ წიგნებს კი, ქეთევანი ასე ბეჯითად და გულდაგულ რომ ეზიდება მაღაზიიდან, ობი მაინც არ ეკიდება; გიგუცა კითხულობს, ყარამანის სათვალიანი მეგობარი. გიგუცა ხომ ნამდვილი წიგნის ჭიაა. ნუტავი შენ, შენატრის ყარამანს, ამდენი თავისუფალი დრო რომ გაქვს, ეგრე რომ ვიყო, რაღა დამრჩებოდა მაშინ წაუკითხავიო?

დრო მართლა ბევრი აქვს ყარამანს. საზომიც თავისი აქვს, საკუთარი ესაა მანძილი ფეხბურთიდან ფეხბურთამდე. ქალაქის სტადიონზე თუ ტელევიზორში ჯერ არც ერთი მატჩი არ დარჩენია უნახავი. რამდენჯერმე მზობელ ქალაქში ან რაიონშიც გაპარულა ფეხბურთის სანახავად. ერთხელ თბილისშიც იყო, მამის ამხანაგები წავიდნენ მანქანით, ჰოდა, მოხდა ისე, რომ ნიკოც წაიყვანეს და მისი ბიჭიც...

ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს, მისგან მოჭადრაკე გამოეზარდათ.

საჭადრაკო კლუბის კამგე, იგივე ჭადრაკის მასწავლებელი, წითური, მსუქანი კაცი იყო. ყარამანს ბაუღიმა, ხელი მოწიწებით ჩამოართვა. სკამი შესთავაზა. კარგი ბიჭი გყოლია, ბატონო ნიკოო, უთხრა მამამისს. რაკაზი ერქვა, ოსტატობის კანდიდატი იყო, ქალაქისა და რაიონის უცვლელი ჩემპიონი; რესპუბლიკურ პირველობებშიც ხშირად მონაწილეობდა თურმე. მოეწონა ყარამანს რამაზ მასწავლებელი, პირველ რიგში იმიტომ, რომ საოცრად თავაზიანი კაცი იყო დიდთანაც და პატარასთანაც.

ყარამანი გაფაციცებული. ინტერესით უსმენდა ხოლმე რამაზ მასწავლებელს. სვლები ადვილად ისწავლა.

ეონიერი ბიჭი ყოფილხარო, შეაქო ოსტატობის კანდიდატმა დამწყები მოჭადრაკე.

მესამე თუ მეოთხე გაკვეთილისთვის რვეული და ფანქარი იქონიეო, უთხრა.

— რვეული და ფანქარი?! — ჰკითხა შემკრთალმა ყარამანმა.

— ჰო, თეორია უნდა ჩავიწეროთო, — მიუგო მასწავლებელმა.

ეს კი ალარ დაუჯდა ჭკუაში ახალბედა მოჭადრაკეს. თამაში თუა, თამაში იყოს, თეორიებმა და თეორემებმა თავი სკოლაში მოძალებსრაო. გაიცინა გულში. მეოთხე გაკვეთილზე რვეულითა და ფანქრით შეიარაღებული გამოცხადდა.

— ჭადრაკს ძალიან მდიდარი ლიტერატურა აქვს. — უთხრა რამაზმა გაკვეთილის ბოლოს, — აქედანვე უნდა შეიძინო და შეიკვარო საჭადრაკო ლიტერატურა, უეჭველად წარმატების მიღწევაზე ტყუილად არ იოცნებო.

დიდი სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს ნიკო და ქეთევანი. ჭადრაკი ღმერთს სწორედ ჩვენი ყარამანის გადასარჩენად გაუჩენია, ღაასკვნეს. ახლა ბევრ საჭადრაკო წიგნებს ჩაუჯდება, შეუყვარდება კითხვა, წიგნზე მუშაობა; მერე ფანტერული ლიტერატურასაც გაუგებს გემოსა... ერთი სიტყვით, ყიხული დაიძრეგბაო.

იმ საღამოსვე ქალაქის ყველა ბიბლიოთეკა შემოირბინეს და ყარამანს ხუთი თუ ექვსი კარგა სქელი წიგნი მოეტანეს. ჯერ ეს წაიკითხე, ღანარჩენს გზადაგზა მოგამზეულებთო.

ყარამანს არც კი გადაუშლია ის წიგნები.

აქ შეწყდა მისი საჭადრაკო გასართობი.

ნიკომ გული გაიმაგრა, ერთ დღეს ბიჭს ფოტოაპარატი მოეტანა, ასწავლა გადაღება. ამ საქმეს კარგად რომ დაეუფლები, სურათის დაბეჭდვასაც გასწავლიო, — ღაპირდა. მერე წიგნი ამოუქა, რომლის ყდაზე მსხვილი ასოებით ეწერა: „ფოტოგრაფიის გაკვეთილები“.

ისევ და ისევ გაკვეთილები!

ყარამანმა წიგნი და ფოტოაპარატი კარადის თავზე შემოდო...

6. ყარამანი სკოლიდან მოდიოდა. ცალ ხელში ჩანთა ეჭირა, მეორეში გადაშლილი რვეული. რვეულში თავისი როლი ჰქონდა გადაწერილი.

კითხულობდა, იმეორებდა, იზეპირებდა.

როცა სცენაზე ორი კაცია და ერთ-ერთი შენ ხარ, კიდევ არა უშავს საქმეს. იცი, ის რომ ვაჩერდება, შენ უნდა ამოიღო ხმა. უნდა თქვა შენი სათქმელი (თუ გაგახსენდა), მაგრამ ყველაფერი მეტისმეტად რთულდება. როცა იმ ორს სხვებიც შემოემატებიან სცენაზე. ბიჭი ხარ და მიხვდი, როდის უნდა ჩაერთო საუბარში. სულ ყურებდაცქვეტილი უნდა იყო, დაძაბული. რამდენ ხანს უნდა გაძლო ასე? წამით უნებურად რაღაც გაგახსენდება, რაღაც ფიქრი გაგიყოლიებს, რაღაცას თვალს მოკრავ, ყურადღება მოგიდუნდება და მორჩა, აირევა ყველაფერი სცენაზე ვინ რას ლაპარაკობს, ვინ ვის მიმართავს, ეშმაკიც ვერ გაარკვევს.

მოდის ყარამანი სკოლიდან, ხელში რვეული უჭირავს, კითხულობს, იმეორებს, იზეპირებს.

მ წ ყ ე მ ს ი — ... ეაგიადვილდებოდათ მგზავრობა.

თ ე მ ო (სწორედ ეს გახლავთ ყარამანი) — ჩვენ ფეხით სიარული გვერჩივნა.

მ ი ხ ო — გამოგიკეთდა გუნება?

თ ე მ ო — მშვენივრად ვგრძნობ თავს...

მ წ ყ ე მ ს ი — პატარა ხომ არაა?

გაიგეთ რამე? ხომ არ აჯობებდა, რომ პირწმინდად გადმოეწერა თავის რვეულში პიესის მთელი ის ნაწილი, სადაც თვითონაა სცენაზე? მაშინ იქნებ უფრო დაემახსოვრებინა, სად რა თქვას და რა გააკეთოს. მაგრამ გრაფმა დაიჟინა, როლის გადაწერის ერთადერთი წესი ესაა, მთელი პიესის გადაწერა ვის გაუგონიაო.

თ ე მ ო — გაჭვიმარჯოს! უჰ, მეტს მართლა ვერ დავლევ!

მ წ ყ ე მ ს ი — ჩვენს მთას გაუმარჯოს!

თ ე მ ო — მთას გაუმარჯოსო?! ცოტა კიდევ დამისხით!

თ ა მ ა ზ ი — ...მიეცით...

თ ე მ ო — ჩვენს მასპინძელს ვაუმარჯოს! ჩვენს მთას გაუმარჯოს!

მ ი ხ ო — ...ულურწავდი.

თ ე მ ო — თოფი უნდა ვისროლო.

თ ა მ ა ზ ი — ...დაიძინე.

თ ე მ ო — მართლა კარგია მთა... ხვალ, შეიძლება, მაღლა ავიდე და გადავიხედო.

ეს ვიღაცა თემოა. ცოტა არ იყოს, ჩამოჰგავს ყარამანს ხასიათით. წაღმა ნათქვამი მასაც უკუღმა ესმის. მაინცდამაინც იმის გაკეთება უნდა, რასაც უშლიან. ყველას ეძინება, ნამგზავრი, დაღლილი არიან, ამას კი ძილი არ ეკარება, გარეთ გაიპარება და შუაღამეზე თოფს დააქუხებს. მწყემსებსაც გულს გაუხეთქავს, თანამგზავრებსაც. მერე ქოხში შემობრუნდება და თავს ასე იმართლებს: რა მოხდა მერე, თოფი ვისროლე, ბომბი ხომ არა, არ დამეძინა და რა მექნაო?

ეს ამბავი ღამით ხდება. ალბათ ცოტათი სცენასაც ჩამოაბნელებენ, სინამდვილეს რომ დაემსგავსოს. კვარს აანთებენ, ჯიბის ფარნებსაც. იმ ბინდბუნდში ნუთუ ვერ მოახერხებს ყარამანი, რომ დროდადრო რვეულში ჩაჰკრას თვალი? მაშინ კი ადვილად ვავა ფონს. გიგუცა ანუგეშებს, ჰპირდება, როცა სცენაზე ერთად ვიქნებით, ნუ შეკეშინდება. ყველაფერს გიკარნახებო. ამ სცენაში გიგუცა მწყემსია. მერე ულვაშებს გაიკეთებს და თემოს მამად გადაიქცევა. ბოლოს კი მთხრობელის როლში ვამოდის. მისი აზრით, რეპეტიცია გაცილებით უფრო ძნელია, კიდრე მაყურებლის

წინაშე გამოსვლა. რეპეტიციაზე რეჟისორი გეიშლის ხელსო, ამბობს. იქ კი რეჟისორი თავისთვის იქნება, ჩვენ — ჩვენთვის და, როგორც მოგვეპრიანება, ისე ავიწყვეტთო.

— ყვა-ყვა-ყვა! — მოესმა უცებ ყარამანს. მიიხედა. ქუჩის გადაღმა, გაზეთის კიოსკის წინ რაჟიკო და გიგუცა იდგნენ. ყარამანმა თავისი რეჟული ჩანთაში ჩააცურა და ქუჩა გადაკვრა.

— ერთ რამეზე დავნაძლევდით, უთხრა რაჟიკომ ყარამანს, — შენ უნდა მოგვეშველო... აბა, თუ გახსოვს, რამდენი გოლი გაიტანა მეთორმეტე მსოფლიო ჩემპიონატში სალვადორელმა ბენსაულამ?

— ბენსაულა ალჟირელი იყო. შე ჩერჩეტო, — უთხრა ყარამანმა, — არა ვრცხვენია მაინც, ფეხბურთზე რომ ლაპარაკობ?..

გიგუცას სიცილი წასკდა.

— წავაგე, — აღიარა რაჟიკომ.

ასე შეერქვა რაჟიკოს ბენსაულა.

არ სწყინდა. პირიქით. ხუმრობა ხომ არ იყო, ბანსაულას გოლი ჰქონდა გატანილი იტალიის მსოფლიო ჩემპიონატში.

6. ესეც ასე.

ახლა ხომ დაინახეთ, რა ბიჭი ყოფილა ყარამანი, რა მეხსიერება ჰქონია? აბა ერთი ფეხბურთზე მოჰკრას რამეს ყური, ფეხბურთზე წაიკითხოს, თუ როდისმე დაავიწყდება!

ამ თემოს როლმა კი ნამდვილად სისხლი გაუშრო, თავბედი აწყევლინა. რატომ ოც-ოცჯერ მაინც არ კითხულობს დღეში?

წაიკითხა და დაიზეპირა კიდეც. რეპეტიციაზე კი მაინც ბაიყუშივით ზის. თითქოს ყველაფერი ახსოვს, მაგრამ როდის რა თქვას, როდის რა გააკეთოს, არ იცის, ყველაფერი ერთმანეთში ერევა. სხვები ალთას მიდიან, ის ბალთას.

ახლა მიხვდა, თუ რა შავ დღეში ყოფილან მამის ამხანაგები — მსახიობები.

როგორღა ახერხებენ, ახალ-ახალ სპექტაკლებს წყვილ-წყვილად რომ დგამენ? როგორ სწავლობენ, როგორ იმახსოვრებენ ამდენ როლს, როგორ არ ერევათ ერთმანეთში? აშკარაა, განსაკუთრებით ნიჭიერები ყოფილან.

ნიჭიერებიც არიან და მეტიც — ხალისიანი, მხიარული, კეთილი, ენაწყლიანი და გონებამახვილი. ნიკოს ხშირად უთქვამს ცოლშვილში, კმაყოფილი ვარ, საქმე ასეთ ხალხთან რომ მაქვსო.

ყარამანიც კარგად იცნობს მათ ნიკოს ამხანაგებს.

ამას წინათ მდინარეზე წასვლა გადაწყვიტეს, თევზი დაიჭიროთ

და უხა გავაკეთოთო. ანკესები წაიღეს და წავიდნენ. ყარამანიც გაიყოლეს. თევზიც დაიჭირეს. უხაც ვაკეთეს და ცოტა წაიქეიფეს კიდეც (ყარამანი ლიმონათით გაჭყიპეს). თამაღობდა რეჟისორი — საშუალო ტანის გამხდარი, ლამაზი კაცი. მუდამ რომ იღიმება და თვალები ალერსიანად უციმციმებს. გავიცანით უყვარს ბავშვები. ორმოცის არც კია და ხუთი შვილი ჰყავს უკვე. ამიტომაცაა, ალბათ, ზღაპრებისთვის ჭკუას რომ კარგავს. რაც ქვეყანაზე პიესად დაწერილი ზღაპარია, ნება რომ მისცე, ყველას თავის თეატრში დადგამს. გვეყოფა ამდენი ზღაპარიო, უკიჟინებენ, სიხამდვილე გვირჩევნიაო. ის კი გაიძახის, ზღაპარზე უფრო ნამდვილი და მართალი ჯერ ქვეყანაზე არაფერი დაწერილაო.

ნიკოს ძალიან უყვარს მეზღაპრე რეჟისორი. სულ აქებს და ადიდებს, ალბათ იმიტომ, როლუბს რომ აძლევს სოლიმე. მაგრამ მსახიობის ნიჭი რომ აღმოაჩინა.

ამ ბოლო დროს ყარამანსაც შეუყვარდა. ერთი სიტყვის გამო, ამ დღეს რომ წარმოთქვა. მდინარის პირას, იმ პატარა ქეიფზე.

სანამ მსახიობი და რეჟისორი გავხდებოდი, ერთხანს ვმასწავლებლობდიო, თქვა რეჟისორმა. ბავშვები მაშინ შემიყვარდაო. მაშინ დავრწმუნდი. რომ არ არსებობენ ცუდი მოსწავლეები. თუ არ სწავლობენ და არ გვისმენენ, ჩვენ უფრო მეტი ბრალი გვედება, ჩვენ, უფროსებს, ვიდრე მათ. ეტყობა, ისე ვერ ვუთხარით, როგორც საჭირო იყოო. არ სწავლობენ? მაინც უნდა ვასწავლოთ როგორმე: არ გვისმენენ? უნდა მოვასმენინოთ. რატომ უნდა სჭირდებოდეს მოსწავლეს შინ გაკვეთილების სწავლა? სკოლაში რაღას აკეთებენ? განა არ ეყოფათ ამისთვის ის ხუთი-ექვსი დაძაბული საათი, სკოლაში რომ ატარებენ? თუ შინაც ამდენივე ხანს წიგნებსა და რვეულებს მიეჯაჭვნენ, როდისღა დაისვენონ. გაერთონ, ითამაშონ? სომ თითებს შუა გაუსხლტათ, დაეკარგათ ბავშვობა? სწავლა ბავშვებისათვის ხალისიანი საქმიანობა, დასვენება, გართობა, თამაში უნდა იყოსო.

ეჰ, კაცი!

ასეთ აზრებს ყარამანი სულითა და გულით მიესალმება და ენერგიულად უჭერს მხარს.

7. ამ პიესაში ნიკო განჯის ხანის, ჯავათის როლს ასრულებს. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე გაზრდილმა და დავაჟკაცებულმა ჯავათმა ერეკლე მეფეს ულალატა და იმ ჯალათი აღა-მაჰმად ხანის ყურმოჭრილი მონა ვახდა. საქართველოს ამოსაგდებად წამოსულ მტარვალს თბილისისაკენ წამოუძღვა. კზა-კვალი არ ეცოდინება

თუ რა? ჰოდა, ეს შაპის საყვარელი კაცი მუღამ თავისი ბატონის კარავთან ტრიალებს და ძალღვივით აქიცინებს კუდს. მართალია, სალაპარაკო ბევრი არაფერი აქვს, მაგრამ რაცა აქვს, სულ ლექსად უნდა თქვას. აი, სწორედ ამან გაუჭირა საქმე ნიკოს. ლექსების ზეპირობა არც მას ეხალისება მაინცდამაინც (ყარამანივით). პიესა ლექსად რამ დააწერინაო, ბრაზობს ავტორზე. ნეტა რომელი ნორმალური კაცი ნახა, ლექსებით რომ ლაპარაკობდესო. რა უბედურებაა, ერთ სიტყვასაც ვერ ამოაგდებს, ვერც კი გადააადგილებს. აი, ჯავათ ხანი მბრძანებელს წარუდგა, თან ხელებშეკრული თხუთმეტიოდე წლის ბიჭი მიჰგვარა და ეუბნება: „ბრძენთუბრძენესო დიდო შაპო, მზეო ირანის (მამა უცხონდა, სწორედ რომ მზესავით ბრდღვიალებდა ქოსა, დაგვალულ-დაგვაჯული, ასი წლის დედაბერივით ჩამომჭკნარი ალა-მაპმად ხანი), შუალამისას, როცა ბანაკს მშვიდად ეძინა, როს უძლეველი ჩვენი ჯარი ძალას იკრებდა დაღლილ-მაშვრალი შორეული გზით და ლაშქრობით, როცა ლომგული, უდრეკელი ჩვენი მხედრები მფშოთვარე ძილში უკვე ხედავდნენ ურჩ ერეკლე ხანს ხელფეხშეკრულს და დაჩოქებულს, მტკვრის მღვრიე ტალღებს ქართველების სისხლი შეღებილს, დიდმა ალაპმა ჩამაგონა, ავმდგარიყავი და მთვარის შუქზე გარეთ გამეელო. ამ დროს შევნიშნე, კარვებს შორის ვიღაც დაძვრება, ხელი ვტაცე და შევიპყარი. აბა, მოგგვარე. ერეკლე ხანის მსტოვარია, არა მაქვს ეჭვი...“

ხომ შეეძლო უბრალოდ ეთქვა, ერთი ბიჭი შევიპყარი. ჩვენს ბანაკში დაძვრებოდა, მგონი, ქართველების მოგზავნილი მსტოვარი უნდა იყოსო?

ნიკო სარკის წინ იდგა გაჯგიმული, მარცხენა ხელში რვეული ეჭირა, ლექსი ბოლომდე ჩააგრიალა და ქეთევანს დაუძახა (რომელიც სამზარეულოში ტრიალებდა), სიგარეტი გამითავდა და, თუ ქვევით ჩასვლას აპირებ, მიყიდე, არ დაგავიწყდესო.

ყარამანი გვერდით ოთახში ფანჯარასთან იჯდა, ქუჩას გაჰყურებდა, ოცნებობდა და ყველაფერი ესმოდა.

დ ე დ ა — „განთიადი“ მაქვს ერთი კოლოფი. არ მოწევ?

ყარამანი სმენად იქცა.

მ ა მ ა — მოიტა, მოიტა... სად იყო? როდის იყიდე?

დ ე დ ა — შენს ვაჟკაცს ჰკითხე.

მ ა მ ა — ყარამანს?

დ ე დ ა — დიახ. დიახ... ყარამანს. შენს ოქროს ბიჭს. გადი და ახლაც იტრაბახე. რაც ფეხბურთელია მსოფლიოში, ზეპირად ჩაწოთვლისო... თვალოს და იყოს ახლა. რაღა გიჭირს, მოგესწრო,

პაპიროსს ეწევა. წიგნი დასანახად ეჭავრება. გაკვეთილებს არ სწავლობს... ვილაც ცუდ ბიჭებშიც დაუნახავთ... როდის გაახელ თვალებს და გამოიფხეკ ყურებს, ბანდიტი რომ გახდება, კაცს რომ მოკლავს?

მ ა მ ა — (ხანმოკლე დუმილის შემდეგ) რა ვქნა... რა ვქნა... მოვკლა? როგორ მოვკლა?

დ ე დ ა — მოკალი-მეთქი, არ მითქვამს... წუთითაც არ შეიძლება ახლა მაგისთვის თვალის მოცილება.

მ ა მ ა — რა ვქნა. დავანებო თავი ყველაფერს? ხომ ხედავ, დღედაღამ თეატრში ვარ... ათასი საქმე მაქვს... ახლა ეს როლიც მომცეს.

დ ე დ ა — თან წაიყვანე. წუთითაც ნუ მოიცილებ. მიაბი სადმე, თოკით მიაბი. მეცოდინება მაინც, სადაა, ვისთანაა. რას აკეთებს...

მ ა მ ა — სკოლა? სკოლაში აღარ გავუშვათ?

დ ე დ ა — სკოლის შემდეგ.

8. — შენ რომ კაი ბიჭი იყო, — უთხრა ნიკომ, — ამხანაგები ყვავს არ დაგარქმევდნენ.

ყვავს კი არა, უმეტესად ყვანჩალას ეძახდნენ, მაგრამ სულერთი არ იყო?

კაცმა რომ თქვას. რას აშავებს ყვავი, რითაა ცუდი ფრინველი? სხვაზე ნაკლები ჭკუა აქვს თუ თვალტანადობა? ხმა ნამდვილად ვერა აქვს ტკბილი, ვერ დაგატკბობს გალობით, მაგრამ რაო, არწივი გალობს? შევარდენი? ქორი?

ერთ იგავში აღწერილი ამბავი, თითქოს მელას ყვავი გაესულელებინოს (ხმა რომ შეუქო და პირიდან ყველი გააგდებინა), ყარამანს მაინცდამაინც სარწმუნოდ არ მიაჩნია. რაც არ უნდა სალანძღავი და საძრახი ფრინველი იყოს ყვავი, უგუნურებას მაინც ვერავინ დააბრალებს. ასე რომ იყოს, ფიქრობს ყარამანი, სამას წელს როგორღა გაძლებდა?

რაღა მაინცდამაინც ყვავი დაგარქვესო. ჰკითხა ნიკომ ბიჭს, ყარანა დაერქმიათ, ბოლოს და ბოლოს ყარანაძე ხარო.

„იცი შენ, რომ ყარანა მგალობელი ჩიტია? — ჰკითხა ერთ დღეს ყარამანმა გიგუცას, — ნაკრისფერია, ანწლსა და ყურძენს მიირთმევს“.

„მართლა? — გაუკვირდა ყოვლისმცოდნე გიგუცას, — უყურე შენ? ეგ ნამდვილად არ ვიცოდი...“

ნიკო „განთიადის“ კოლოფს პელში აწვალებდა. ბაღში

ისსდნენ, განმარტოებულ სკამზე. ხელმარცხნივ, კინოთეატრის სალაროსთან ხალხი რიგში იდგა, რაღაც ახალ ფილმს უჩვენებდნენ. მარჯვნივ სასტუმრო მოჩანდა. მათი ბინა აქ ახლოსაა. დედა ახლა თავის მაღაზიაშია, უმცროსი და საბავშვო ბაღშია — ხუთი წლისაა, უფროსი კი ჩაის ტექნიკუმში სწავლობს. ნიკო ახლახან გამოვიდა თეატრიდან. რეპეტიცია ჰქონდა. ყარამანი სკოლიდან მოდიოდა.

— არ გრცხვენია, ყარამან?

— რა იყო, მამა? — ჰკითხა გაოცებულმა ბიჭმა.

ნიკომ „განთიადის" კოლოფი შეათამაშა ხელში.

— ეს რაა?

— რა იქნება... სიგარეტია.

— რატომ ეწევი?.. შენს ასაკში!.. ეს ხომ შხამია, მოგკლავს... დაგაგლახებს და დაგაჩიავებს... გინდა მოკვდე? არ გინდა სიცოცხლე?

— რას ამბობ, მამა! მაგას რა მომაწევინებს... სუნსაც ვერ ვიტან, ნეტა შენც დაანებებდე თავს.

— ოღონდ ნუ მოწევ და, კაცი არ ვიყო, თუ...

— არც მოვწევ და არც მომიწევია ჩემს დღეში.

— აბა რატომ იყიდე?

— შენთვის, შენთვის ვიყიდე.

ნიკომ ბიჭს თვალებში ჩახედა, დააკვირდა.

„ტყუის თუ არა ტყუის?"

— როგორ არა, დაგიჯერე ახლავე... ჩემთვის იყიდა ბიჭმა!

არადა, შეატყო ყარამანმა, ნიკოს სჯეროდა ბიჭის ნათქვამი. თვალები გაუბრწყინდა სიხარულისაგან. ყარამანი სინდისმა შეაწუხა, მაგრამ რა ექნა? არ ჰქონდა სხვა გზა, ჩიხში იყო მომწყვდეული.

— ვიფიქრე, რომ შემოელევა და ძებნას დაიწყებს, მივცემ, გავახარებ-მეთქი...

ასეთი განზრახვა განა არ ჰქონია. მამას სულ პატარა რამეც კი ისე ბავშვურად ახარებს, ისე ადვილია მისი გულის მოგება, დიდი გულისხმიერება არ გჭირდება, მისი დასაჩუქრების სურვილი რომ გაგიჩნდეს. მაგრამ ამჯერად ყარამანი ცრუობდა, ისე უსინდისოდ ცრუობდა, ისე აშკარად, რომ შეუძლებელი იყო ნიკო ამას ვერ მიმხვდარიყო. ალბათ ძალიან უნდოდა დაჯერება და ამიტომ იჯერებდა.

— იფიქრე, გავახარებო? — ეკითხება ნიკო. თვალები ეშმაკურად უციმციმებს, თავს ისე აჩვენებს, თითქოს არ სჯეროდეს.

არადა, სჯერა ყარამანი ამ საქმეში არ მოტყუვდება. კარგად იცხობს ნიკოს.

— როდის იყო, ტყუილს ვამბობდი, — იწყინა ბიჭმა.

— ოჰო, რას ამბობთ! როგორ წამოსცდება ტყუილი!

— დედას გეფიცები, თუ არ მეყიდოს...

— რომ იყიდე, მეც კარგად ვხედავ, მაგრამ ვისთვის იყიდე, აი, ესაა ახლა საკითხავი.

ყარამანს არაფერი უთქვამს, წარბი შეიკრა, გვერდზე გაიხედა, ვითომ გაიბუტა.

ნიკო აწრიალდა. ჯიბეზე მოიფათურა ხელი, სიგარეტის მოწევა უნდოდა. მაგრამ თავის შეკავება ამჯობინა. წელან არ იყო, კინაღამ წამოსცდა, ალარ მოვწევო და ასე ხელად აიღოს პირობაზე ხელი? ჯიბიდან ასანთის კოლოფი ამოიღო, კარგა ხანს ნერვების მომშლელად აჩხაკუნა, მერე ერთი ღერი კბილებში გაირჭო.

ყარამანმა იცის, ჯერ დაკითხვა არ დამთავრებულა არის რამდენიმე კითხვა, რაზედაც ამომწურავი პასუხია საჭირო: რატომ აკლდა კოლოფს ერთი ღერი სიგარეტი? სად იშოვა ბიჭმა ფული? რატომ ჰქონდა უჯრაში ჩაკეტილი? რატომ მაინცდამაინც „განთიადი“ იყიდა და არა „კოლხეთი“, ხომ მშვენიერად იცოდა, რომ ნიკო თითქმის არასდროს არ ეწეოდა სხვა სიგარეტს? ნიკო დუმდა. რატომ? ხომ არ ეშინოდა, რომ ბიჭს ტყუილში დაიჭერდა? ყარამანმა გადაწყვიტა, სანამ გვიან არ იყო, გაღმა შედავებოდა.

— შენზე ნაწყენი ვარ. მამა...

— რაო? ნაწყენი? რატომ? — დააყარა ნიკომ კითხვები და მაშინვე ჯიბეში იკრა ხელი. ვითომც ახლა ისე ავღელდი, სიტყვის გატეხა მეპატიებაო. ერთი ცალი სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა.

— რატომ გააღე ჩემი უჯრა? იქნება მეც მაქვს ჩემი საიდუმლო და არ მინდა სხვამ იცოდეს?

— რომელი უჯრა? რომელი საიდუმლო?

იცოდა ყარამანმა, უჯრა ვინ გააღო და სიგარეტების კოლოფი ვინ იპოვა. მაგრამ ნიკო ქალს ხომ არ დაადანაშაულებდა. უეჭველი იყო, პასუხისმგებლობას თვითონ იკისრებდა.

— როგორ?.. ჩვენ, მშობლებს, უფლება არა გვაქვს... იქნება იქ შენ ისეთ რამეს გვიმალავ, რომ...

— უჩემოდ მაინც არ გაგეღოთ! გეთქვათ მაინც, რომ ჩემზე რაღაც ექვები გაგიჩნდათ. გინდათ ნახოთ. სიგარეტებს ხომ არ ვმალავ ჩემს უჯრაში... იქნება მე თვითონ გამეღო და მეჩვენებინა, თან აგიხსნიდით, რატომ ვიყიდე, როდის, ვისთვის...

— გამოდის, რომ შენ ყველაფერში მართალი ხარ... ორიანებით სავსე რომ მოგაქვს სკოლიდან დღიური, ის ვიღას დაკაბალოთ? იქნება აქაც მართალი ხარ?

— რა თქმა უნდა.

— რას ნიშნავს „რა თქმა უნდა?"

აქაც მართალი ვარ-მეთქი.

ნიკო ერთხანს გაშტერებული უმზერდა ბიჭს თვალებში.

— რაო? რაო? რაო?.. ეს რა თქვი... რატომ არავის გვისმენს!

ყარამანმა ცოტა ხანს აცალა, დაწყნარდესო, მერე კი მშვიდად აუხსნა, ჩვენ, მოზარდები ყველაზე დაჩაგრული ხალხი ვართო. თუ დიდები დღეში შვიდ-რვა საათს მუშაობენ და მერე ისვენებენ, ჩვენი სამუშაო დღე თორმეტ საათშიც ვერ ეტევაო. აბა ერთი ვიანგარიშოთ? ექვსი საათი სკოლაში, მერე ამდენივე შინ. ძალიან ცოტა დღისთვის წესიერად რომ მოემზადო. შეიძლება არც გეყოს ექვსი საათი... მაგ დაჩაგრულებს შენს თავს ნუ მიათელიო, უთხრა ნიკომ. შენ ხომ ჯერ სკოლიდან მოსული წიგნთან დამჯდარი არ მისახაუხარო. „ჰოდა, იმიტომაც მიწერენ ორიანებსო, — უთხრა ყარამანმა. — სხვა რომ არაფერი, ექვს-ექვს საათს ხომ ვზივარ მერხზე ყოველდღიურად. გაუნძრეველად, ხმისამოუღებლად? ადვილია? აბა, მოსინჯე, იჯექი ექვს საათს, არ გაინძრე, ხმა არ ამოიღო, არ იხუმრო, არ გაიცინო. გაუძლებ? მარტო ამაში მეკუთვნის სამიანები, პატროსი რომ მყავდეს...".

ეჰ, სად გამოადგა ყარამანს მეზღაპრე რეჟისორის ხანმოკლე პედაგოგიური გამოცდილება!

9. გაკვეთილების შემდეგ დრამწრის წევრებმა ისტორიის კაბინეტში მოიყარეს თავი. ის იყო, რეპეტიცია დაიწყეს, რომ ფოთოლა მასწავლებელმა შემოაღო კარი. თუ ნებას მომცემთ, დაკვესწრებითო, უთხრა გრაფს. ცოტა ხნის შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი შემოემატათ, ბოლოს კი მენზულა. „მსახიობები" ისედაც ძლივს ჩირთიფირთობდნენ და ახლა სულ მოეღოთ ბოლო. ნუ გეშინიათო, დაამშვიდა ისინი გრაფმა, დროა მაყურებელსაც შეეჩვიოთო.

ალექსანდრემ ყურადღებით შეათვალიერა „მსახიობები", ყარამანზე უფრო დიდხანს შეაჩერა მზერა.

— ამას ვის ვხედავ!

ყარამანმა გაუღიმა და მხრები აიჩეჩა, რა ვქნა. საქმემ ასე მოიხოვაო.

— განვაგრძოთ, — თქვა გულბაათმა, — სად შეეჩერდით?

გ ი გ უ ც ა (თემოს მამა) — თოფი სად არის? ვინ წაიღო ჩემი თოფი?

ნ ა თ ი ა (თემოს დედა) — თოფი? რომელი თოფი?

გ ი გ უ ც ა — ჩემი თოფი... ორლულიანი... გენერალმა რომ მაჩუქა...

ნ ა თ ი ა — რომელმა გენერალმა?

გ ი გ უ ც ა — რომელმა და ლურჯმა!.. ახლავე მომიძებნეთ ჩემი თოფი!

ნ ა თ ი ა — რაში დაგჭირდა ახლა იარაღი. ვის უნდა ესროლო, რომ არ ვიცი?

გ ი გ უ ც ა — რაში დამჭირდა? როგორ თუ დამჭირდა! ვინ გაბედა ჩემი თოფის წაღება? ბიჭი სადაა? ახლავე აქ მომგვარეთ!

ნ ა თ ი ა — თემო! თემო!

რ ა ჟ ი კ ო (ყარამანს ხელს ჰკრავს) — ყვანჩალა. გძინავს, შენი გასვლაა! შენ თემო არა ხარ?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — ნათიას კიდევ უნდა ეთქვა: სადა ხარ, თემო!

გ უ ლ ბ ა ა თ ი — ეგ ხომ წავშალეთ... ეხ, ყარამან. შენ რომ რამე არ აგვირიო, არ იქნება.

ყ ა რ ა მ ა ნ ი (რვეულში იხედება) — აქ რომ მიწერია?

გ უ ლ ბ ა ა თ ი — წაშალე ახლავე!

ყ ა რ ა მ ა ნ ი — აქა ვარ, მამა!

გ ი გ უ ც ა — სადაა, ბიჭო, ჩემი თოფი?

ყ ა რ ა მ ა ნ ი — იცი, რა, მამიკო... მთაში რომ მივდიოდით... ესე იგი, რომ წავედით... ბიჭებმა მითხრეს... თქვეს... იქნება დათვები შემოგვხვდესო... შეიძლება შემოგვხვდესო...

გ უ ლ ბ ა ა თ ი — ესაა. ბიჭო, ტექსტის ცოდნა? რას მიედმოედები, კაცმა არ იცის.

გ ი გ უ ც ა — რომელი დათვები, შენ ჭკუაზე ხარ?

ნ ა თ ი ა — ვაიმე, მერე მართლა შემოგხვდათ იქნება!..

ყ ა რ ა მ ა ნ ი — დათვები? არა, დედიკო, თვალიც არსად მოგვიკრავს... ერთი სიტყვით, ადიდებულ მდინარეში ჩავცვივდით და... თოფს ვინღა ჩიოდა, ან სხვა რამეს...

გულბაათმა ტაში შემოჰკრა.

— სდექ! სდექ! არ ვარგა, არა და არა!

მერე ქართული ლიტერატურის მასწავლებელს მიუბრუნდა:

— ხედავ, რა დღეში ვარ, ანტონ ბატონო? გამოვა ამათგან რამე?

— როგორ არ გამოვა. რა გინდა მეტი. მართლა არტისტები ხომ არ არიან, ბოლოს და ბოლოს.

— არა, არ ვარგოდა ეს სცენა, — თქვა გულბაათმა, — სიტყვები სხვაა. ინტონაცია, მოძრაობა, სახის გამომეტყველება სულ სხვა... არავითარი თანხმობა, კონტაქტი. ყველა თავისთვის ღეღავს და ჯუჯღუნებს. ოჯახის მამამ, ცნობილმა, პატივცემულმა კაცმა, ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ მისი კარადა გაუღიათ და თოფი მოუპარავთ. მერე რა თოფი! ფრონტზე გენერალმა აჩუქა! ხუმრობა საქმეა? ამ თოფს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. სასოებით ინახავდა. ეს კი... თითქოს იხვის ჭუკი მოპარესო... გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს, რომ იხვის ჭუკსა და გენერლის მიერ ნაჩუქარ თოფს შორის უზარმაზარი განსხვავებაა. ამის გარდა, ხომ შეიძლება თოფი ბიჭს ჰქონდეს მოპარული? სხვათა შორის, ამაში მამას ეჭვი არ ეპარება. რა ვუყოთ, რომ პირდაპირ არ ამბობს. ქვეტექსტი? სადაა ქვეტექსტი? განსაკუთრებით შენ გემდური, ყარამან. იცი, რამდენი გამოტოვე? საიდან საღ გადახტი? მეორეც: შენ ხომ მამას თოფი მოპარე. გენერლის ნაჩუქარი. ფრონტზე. მოპარე იმიტომ, რომ იცოდი. არავითარ შემთხვევაში არ ეათხოვებდა. გეგონა, ვერ გაიგებდა, ვერაფერს მიხვდებოდა. იმედი გქონდა, რომ ორიოდე დღის შემდეგ თავის ადგილას ჩადებდი გაწმენდილ-გაპრიალებულს... ჰოდა. მოხდა უბედურება — თოფი დაკარგე! მერე რა თოფი... შენ კი თითქოს ბატის ჭუკი დაგეკარგოს... სადაა განცდა, მღელვარება? სინდისის ქენჯნა? წუხილი? აბა, თავიდან დავიწყოთ! სანამ ამ სცენას არ ჩამაბარებთ, ფეხსაც ვერ მოიცვლით... საღამომდე აქ გაყურყუტებთ!

გ ი გ უ ც ა — თოფი სად არის?! ვინ წაიღო ჩემი თოფი?!

გ უ ლ ბ ა ა თ ი — არ ვარგა, თავიდან!

გ ი გ უ ც ა — თოფი სად არის?! ვინ წაიღო ჩემი თოფი?!

გ უ ლ ბ ა ა თ ი — არ კარგა...

უცებ ალექსანდრე სკამიდან წამოხტა, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, მხრები აიწურა, კისერი წინ წასწია და ოთახში სირბილს მოჰყვა, გადიოდა და გამოდიოდა, თან უცნაურად ხვნეშოდა.

გულბაათი შეწუხდა.

— ბატონო ალექსანდრე, გთხოვთ, დაბრძანდეთ...

— განაგრძეთ თქვენი საქმე, — უთხრა, ალექსანდრემ და სირბილი განაგრძო.

გულბაათს მოთმინებამ უღალატა.

— ან დაბრძანდით... ან წაბრძანდით... საქმეს ვაკეთებთ ჩვენ აქ და ხელი გვეშლება, ბატონო!

ალექსანდრე შეჩერდა.

— აჰ, საქმეს აკეთებთ, ბატონო გულბაათ?.. საქმეს აკეთებს და მერე რა საქმეს!.. მე ტვინი გამილაყა, სისხლი გამიშრო ამ ბავშვებთან ჩიჩინმა, გადაკეთეი პისექტრისას და ჰიპოტენუზას, განრიგებადობის, ნულოვანი ვექტორის ჩანთქმის კანონებს... ყარანაძეს მთელი ორი თვეა ვერ შეეასწავლე, რას უდრის მართკუთხა სამკუთხედში ჰიპოტენუზის კვადრატი... თურმე რას ისწავლიან, როდის ისწავლიან, აქ ათენებენ და ალამებენ, ვილაც დოყლაპიას განცდებს და გრძნობებს ჩხრეკენ, ვისაც საკუთარმა ნაშიერმა გენერლის ნაჩუქარი თოფი მოკპარა. ჯერ ერთი, სად გაგიგონიათ, რომ გენერლები თავიანი ხელქვეითების ფრონტზე ორლულიან სანადირო თოფებს ურიგებდნენ. ნაგანი რომ ეჩუქებინა, ავტომატი, ხელყუმბარა, ან მთელი ზარბაზანი, კიდეე მესმის...

— ბოდიში, ბოდიში! — შეაწყვეტინა გულბაათმა, — მთელი სიბრძნე და სილამაზეც იმაშია, რომ სწორედ სანადირო თოფი აჩუქა... სანადირო თოფი მშვიდობის მონატრებაა, სიჩუმეის, მოთმინების, ლოდინის, ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი, წყნარი ცხოვრების სიმბოლოა... ეე, ხელოვნებას თავისი ენა აქვს, ჩემო ძმაო, ყველას კი არ ესმის ხელოვნების ენა. ადამიანი, რომელსაც გამუდმებით მენზულასთან თუ მენზურასთან აქვს საქმე, შეიძლება ვერც კი ჩაწვდეს ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სიმბოლოებსა და ქვეტექსტებს. რა ვუყოთ, თუ ჩვენსავით არ ესმის სტანისლავსკისა და ბრეჰტის იდეები და მეთოდები, სამაგიეროდ, არ ეშლება ვექტორი და ბისექტრისა...

— სხვათა შორის, — ჩაურთო მშვიდად ალექსანდრემ, — მენზულასა და მენზურას ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ.

— სავსებით შესაძლებელია, — მაშინვე უყოყმანოდ დაეთანხმა გულბაათი.

ალექსანდრე თავის სკამზე დაჯდა.

— აბა, გავაგრძელოთ ჩვენი საქმე, — ბრძანა რეჟისორმა.

გ ი გ უ ცა — თოფი სად არის?! სად გაქრა ჩემი თოფი?!

გ უ ლ ბ ა ა თ ი — არ ვარგა!.. სად გაქრა კი არა, ვინ წაიღო... თქვენ მე ბოლოს მომიღებთ! ეს რა ხალხს გადავეყარე, ჩემი სიკვდილი გინდათ, არა?!

გ ი გ უ ცა — სად გაქ... ვინ წაი... საღ არის თო... ვახ, რა მჭირს, ყველაფერი ამერია!

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე — ბოდიშს ვიხდი, ყმაწვილებო, ერთი წუთით მომისმინეთ (დგება). თქვენს მიერ გათამაშებული სცენა მართლაც მეტისმეტად უსუსურია. ეს დაინახა ბატონმა გულბაათ-

მაც. თქვენმა რეჟისორმა. მაგრამ მან, ჩემი აზრით, იმედი მაქვს, არ ეწყინება ჩემი კრიტიკული გამოსვლა, ვერ გაძლიერნო მიზეზი. თქვენი გაჭირვებაა ე. წ. მოძრაობის დეავტომატიზაცია. ახლავე ვეტყვი, რას ნიშნავს ეს. აი, მე ვლაპარაკობ და, დამაკვირდით, ავტომატურად, ანუ გაუაზრებლად ვასრულებ რაღაც მოძრაობებს (ვიფხან თავს, ვათამაშებ თითებს, ვირწევი და ა. შ.). ამბობენ, რომ პირველად, გამოჩენილმა რეჟისორმა მეიერხოლმა შენიშნა ის გარემოება, რომ მსახიობი სცენაზე არ ასრულებს ამ დამხმარე მოძრაობებს, ასრულებს მხოლოდ ძირითადს. ამიტომ მას უძნელდება სიტყვისა და მოძრაობის შერწყმა და ასრულებს მათ დეფექტებით... იცით, რას ამბობდა სტანისლავსკი? სცენაზე მსახიობს ჩვეული ლოგიკა და ელემენტარული ქცევების თანმიმდევრობა აკლია. ეს სამწუხარო გარდუვალობაა. სადღაა საშველი? სტანისლავსკის აზრით, მსახიობმა ხელახლა უნდა შეისწავლოს ის, რაც რეალურ ცხოვრებაში კარგად საცნობი იყო — სიარული, გამოხედვა, მოსმენა... ახლა მეორე საკითხი. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, - რომ სტანისლავსკი მოითხოვდა მსახიობისაგან მთლიან გარდასახვას, „ცხოვრებას სცენაზე". სულ სხვა გზით მიდის ბრეჰტი. იგი გვინარჩუნებს კრიტიკულ დამოკიდებულებას, განგებ ხსნის, აქარვებს დრამატულ ილუზიას. ესროლეს კაცს, მოკლეს... ის მაინც ფეხზე დგას, არ ეცემა. იღიმება კიდეც. გმირი მოკვდა, მაგრამ მსახიობი ცოცხალია, რატომ უნდა წაიქცეს ცოცხალი კაცი? ნუ დაგავიწყდებათ, ხალხნო, რომ მე ეთამაშობ, მე არ მოვმკვდარვარ, ამბობს მისი გამომეტყველება. ბრეჰტის თვალსაზრისით...

გრაფმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ოფლით დაცვარული სახე მოიწმინდა.

— საკმარისია, ბატონო ალექსანდრე... გეყოფა...

— ახ, საკმარისია? წავედი მაშინ. — ალექსანდრე კართან მივიდა. წამით მოიხედა. — წარმატებას გისურვებთ, ყმაწვილებო, თქვენს ეკლიან გზაზე.

ალექსანდრე გავიდა.

ხელს არც ჩვენ შეგიშლითო, თქვეს ფოთოლამ და ანტონმა, წაბოდგნენ და ალექსანდრეს მიჰყვნენ.

გრაფი იჯდა და დანა პირს არ უხსნიდა. ყმაწვილები გრძნობდნენ, ახლა ვიღაცას შავი დღე დაადგებოდა.

რატომ ვიღაცას? ყარამანს! ცხადია, ყარამანს!

— თოფი სად არის? ვინ წაიღო ჩემი თოფი?! — იკივლა გიგუცამ.

— ხმა ჩაიწყვიტე! — უთხრა გრაფმა. — მოგცემ მე შენ თოფს...

მერე წყნარად განაგრძო:

— ტექსტის შესწავლა რა გახდა ასეთი უსაშველო? ყარანაძევ, მაძლევ თუ არა პირობას, რომ ხვალ შენი როლი უშეცდომოდ გეცოდინება?

ამის პირობას ყარამანი როგორ მისცემდა? ამდენი ხანია იზუთხავს და მაინც ვერ დაიზუთხა. ერთ დღეში ისწავლიდა?

— მპირდები თუ არ მპირდები, ყმაწვილო?

ყარამანმა მხრები აიჩეჩა.

— ხვალისთვის ვერ დაგპირდები. მას...

— ზეგისთვის?

— ვერც ზეგისთვის.

— ჩამაბარე რვეული.

— რომელი რვეული?

— სადაც როლი გიწერია...

ყარამანმა რვეული ჩააბარა და უსიტყვოდ გავიდა გარეთ.

10. „რატომ ვარ ასეთი უნიჭო? — ფიქრობდა შინისკენ მიმავალი ყარამანი. — რა უნდა გამოვიდეს ჩემგან?“

ძაღლის გუნებაზე იყო.

მოდი ერთი, სიგარეტს გავაბოლებ, გაივლო გულში. იქნება კაცის გუნებაზე დავდგეო. თამბაქოს კიოსკისკენ გაუხვია. „კოლხეთი“ მომეცით, უთხრა გამყიდველს.

— არაფერსაც არ მოგცემ, — შეუღრინა გამყიდველმა, — ადრეა ჯერ შენთვის.

— მამაჩემმა გამომგზავნა, — გაჯავრდა ყარამანი.

— ვიცნობ მე მამაშენს, ეკითხავ, იცოდე.

ზედვე ეტყობოდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ ვინ იყო ნიკო ყარანაძე.

— ჰკითხე, ვინ გიშლის?

კაცმა თავი რამდენჯერმე გააქან-გამოაქანა და ბიჭს სიგარეტების კოლოფი მისცა. აშკარაა, მამამისს რომ არ გამოუგზავნია, მაგრამ ჩემთან თუ არა, სხვაგან ხომ იყიდისო, გაივლო, ალბათ, გულში. ყარამანმა ბაღისკენ გასწია, მყუდრო ადგილი მოძებნა, სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. ბოლო დროს რამდენჯერმე სცადა თამბაქოს მწეველი გამხდარიყო, მაგრამ რაღაც ვერ მოაბა ამ საქმეს თავი. სიგარეტის ცხელი კვამლი ყელს უხრაკავდა, გულს ურევდა და თავს ატკიებდა. ეს ხველება მაინც რაღაა?

ნიკო ისე დაიცარიელებს მთელ კოლოფს, ერთხელაც არ დაახვე-ლებს. ნეტა რა ნახეს მაინც უფროსებმა თამბაქოში, ნაფაზებს რომ არტყამენ და ნეტარებით ნაბაევენ თვალებს? მთავარი მიჩვე-ვა�, უთხრა რაჟიკო-ბენსაულამ, რომ მიეჩვევი, მერე არც გულს აგირევს, არც ყელს ამოგიხრაკავსო. მოდი, მივეჩვიოთ, შესთა-ვაზა ყარამანმა. რაჟიკომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, მოაცილე, არ დამანახოო, მიჩვევა ხომ ძნელია, გადაჩვევა კიდევ უარესი ყოფილაო...

ყარამანს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამჯერად ყველა სიძნელე გადაელახა. პირი ვაუმწარდა და ხველება აუტყდა, მაგ-რამ მარცხს მაინც არ ურიგდებოდა, მაინც ჯიუტად განაგრძობდა სიგარეტის ქაჩვას. თამბაქოს ბოლი ჯანმრთელობას ვნებსო, ამ-ბობდა ბენსაულა, ყველგან ამას წერენ, კოლოფზეც ხომ აწერიაო. მოზარდებისთვის კი ორმაგად სასიანოა. რას მიზამსო? ჰკითხ. ყარამანმა. „გულს გაგიფუჭებს, გონებას დაგიჩლუნგებს...“

ჩლუნგი რომ ვარ, ამაზე მეტად რაღას დამაჩლუნგებსო, ფიქრობდა ყარამანი, ნაფაზს ურტყამდა, ახველებდა, აფურთხებ-და და სიმწრის ცრემლები სდიოდა.

— ყარამან?! — მოესმა უცებ.

მიიხედა და გაქვავდა. მის უკან ნიკო ყარანაძე იდგა.

ყარამანმა სიგარეტის ნამწვავი ძირს დააგდო, მერე ქუსლი დაჭერა და მიწაში ჩაგოზა.

— ეწევი, ხომ? ახლა რაღას მეტყვი? იქნება ესეც ჩემთვის იყიდე? ჩემს გასახარებლად?

— შენთვის ვიყიდე... მაგრამ აღარ გაძლევ... ეს რა საძაგლობა ყოფილა. დაანებე თავი, ვაქცეი არა ხარ?

— ეს ვინ ყოფილა, კაცო! — იყვირა ნიკომ, — ეს ვინ ყოფილა!

— ჰე, რას შვრები, დაანებებ თუ არა თავს? მაძლევ სიტყვას თუ არა?

— ეს ვინ ყოფილა! — თავისას გაიძახოდა დაბნეული ნიკო.

— მომეცი სიტყვა... ვაქკაცური. აბა, ნუ ყოყმანობ.

ნიკო გაშტერებული უმზერდა ბიჭს თვალებში. მერე ღრმად ამოიხვნეშა.

— გაძლევ... ჰო, გაძლევ. ოღონდ შენც დამპირდი.

— რა დავპირდე?

— რომ ხვალიდანვე მარკების შეგროვებას დაიწყებ...

ყარამანმა იფიქრა, სმენაზე მომატყუაო.

— რის შეგროვებას?

— მარკეტინ. — გაიმეორა ნიკომ, — ან ასანთის კოლოფების... ან.. რაც მოგეხასიათოს...

— ასანთის კოლოფები რაში მჭირდება? რას ამბობ, მამა, ხუმრობ?

— არ ეხუმრობ! — იყვირა ნიკომ. — რაღაცას ჩემ უნდა აკეთებდეს კაცი ცხოვრებაში? რაღაც აზრი არ უნდა ჰქონდეს ადამიანის ცხოვრებას?! ჰოდა, შეაგროვე კოლოფები, მარკები... ჯანდაბა და ღოზანა! რაღაცა... რაღაცა გააკეთე!

ყარამანი გაისუსა.

— გინახავს კაცი, არაფერს რომ არ აკეთებდეს? არაფერი რომ არ აინტერესებდეს... რაღაცით ხომ უნდა მოკლა დრო, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ.

ყარამანს არაფერი უთქვამს.

ნიკომ ჯიბეზე მიირტყა ხელი, გაჩხაკუნდა ასანთი. ყარამანმა „კოლხეთი“ მიაწოდა. ნიკო წამით შეყოყმანდა, მერე თვითონაც ამოიღო ჯიბიდან „კოლხეთის“ კოლოფი, ზედ ასანთი დაადო და ბიჭს უთხრა:

— წაიღე, სანაგვეში ჩაყარე... შემოსასვლელში დგას.

ბიჭი რომ დაბრუნდა, ჰკითხა:

— როლის საქმე როგორ გაქვს?

— ცუდად.

— ვერ ისწავლე?

— ვერა.

— უკვე გამოგაგდეს?

— კი...

ნიკომ ამოოხვნეშა.

— შენ თუ ისწავლე? — ჰკითხა ყარამანმა.

— ვსწავლობ, რა გზაა.

კინოთეატრის მხრიდან ერიალმული მოისმა. ჭუჭა ერთბაშად გაივსო ხალხით. ეტყობა, სეანსი დამთავრდა. ბალშიც შომრავლდნენ მოსეირნეები.

— ჰო, თქვი, რას აპირებ, — უთხრა ნიკომ ყარამანს.

— რაზე მეკითხები?

— საქმეზე...

— ასანთის კოლოფებს და მარკებს ნამდვილად ვერ შევაგროვებ, მამა. სხვა, რაც გინდა, დამავალე.

— წამოხვალ ჩემთან თეატრში?

— იქ რა მინდა?

— გამოვიძებნი საქმეს. სულაც მე შემცვლი. არაა ძნელი მით უმეტეს, მე ახლა როლიც მაქვს...

სკოლა?

— სკოლის შემდეგ... საღამოობით. საბლში ხომ მაინც არა-ფერს აკეთებ.

— თანახმა ვარ. — უთხრა ყარამანმა, — წამოვალ...

არ იყო ძნელი მისახვედრი, რისთვისაც ეპატიჟებოდა მაგა თეატრში. ლაღვა ყარამანის „დაბმის" დროც.

11. „გინახავს კაცი. არაფერს რომ არ აკეთებდეს?"

არა, არც მთლად ისე იყო საქმე. როგორც ზოგს ეგონა ყარამანს ანკესობა უყვარდა.

ლილიდან საღამომდე შეეძლო მჯდარიყო წყლის პირას ანკესით ხელში. არ დაიღლებოდა, არ მობეზრდებოდა, მოთმინება არ ულალატებდა.

გიგუცამ იცოდა ყარამანის ვატაცების ამბავი (ვინ არ იცოდა!). დასცინოდა. ისუსხებოდა, ყიამყოალობდა. ანკესობა, იგივე ჯღომა და ძილი არაა?

ერთი თვითონ ჩამოჯდეს მდინარის ნაპირას, ხელში ანკესის ჯოხი დაიჭიროს და წასთვლიმოს, რას დაიჭერს, იმასაც ვნახავთ.

ყარამანი კი იჭერდა. იჭერდა ღა მერე როგორ! კაკვზე აცმული ალმახებით და წვერათი რომ ჩაივლიდა ქუჩაში. დიდსა და პატარას თვალები გადმოცვენაზე ჰქონდათ.

ამ ბიჭს რაღაც ჯადო უნდა ჰქონდესო, ამბობდნენ. ჩვენც ღაეფიქრეთ მდინარეზე, ანკესის ჯოხიც იგივე გვაქვს. სატყუარასაც იმავეს ვიყენებთ და რატომ ვერ ვიჭერთ, რატომ ჩვენს ანკესს არ ეტანება ამდენი თევზი?

წაჰყოლიან ამხანაგები, უფროსებიც კი, დამსხდარან. ყარამანს წამდაუწუმ ამოაყავს თევზები. სხვები სხედან და ნერვიულობენ, კბილებს აკრაჭუნებენ, ილანძღებიან. არაფერი გამოსდით. მერე ყარამანს შეეხვეწებიან, აღგილები გავცვალოთო. გაცვლიან. ყარამანს ისევ ზედიზედ ამოაყავს თევზები, სხვები ისევ ნერვიულობენ, კბილებს აკრაჭუნებენ, ილანძღებიან...

რაშია საქმეო, ეკითხებიან ყარამანს.

ყარამანი მხრებს იჩეჩავს.

ალბათ იმიტომ, კბილებს რომ აკრაჭუნებთ, რომ ნერვიულობთ, მოთმინება რომ არ გაიფნითო.

— კი, ბატონო, მაგრამ ესმით თევზებს ჩვენი კბილების კრაჭუნი და გინება?

ალბათ ესმითო. ამბობს ყარამანი.

რაკიკო ირწმუნება. ხმელეთზე რომ დააგდოს ანკესი ჩვენმა ყვანჩალამ, თევზები ამოხტებიან და ეძგერებიანო.

მიაბიჯებს ყარამანი, ამაყად მიაკონწიალებს წვერასა და კალმახების გრძელ აცმას. მხარზე ბამბუკის ჯოხი გაუდევს. ჩერდებიან მანქანები. გაშტერებული უმზერენ შიგ მსხდომნი. მეტისმეტად ცნობისმოყვარენი ზოგჯერ მანქანებიდანაც კი გადმოცვივდებიან, ხელითაც კი სინჯავენ თევზებს.

— სად დაიჭირე? როგორ? რით? როდის? მართლა ანკესით იჭერ? იქნება ეშმაკობ რამეს და მაგ ჯოხი ინსპექტორების თვალის ასახვევად დაგაქვს?

ყარამანი იცინის. მიჩვეულია ასეთ შეკითხვებს.

ეხვეწებიან მძღოლები, ან მოგვყიდე, ან გვაჩუქეო.

ზოგჯერ ყიდის კიდეც, როცა ჯიბის ფული შემოელევა. უყვარს თანაკლასელების ბუფეტში ან კინოში დაპატიჟება. მის ხელგაშლილობას რას გასწვდება ის ხუთ-ხუთი შაური, დედა რომ ჰაუდებს ხოლმე დილაობით ჯიბეში?

ამას წინათ ექსკურსიაზე იყვნენ მახლობელ ქალაქში. ერთ ადგილას ყარამანმა მძღოლს სთხოვა, ავტობუსი გაგვიჩერეო, და ჩავიდა. ორიოდე წუთის შემდეგ ნაყინით სავსე ყუთი ამოათრია ავტობუსში. ისე დაუდნათ ნაყინი, ნახევარიც ვერ შეჭამეს.

— რას ჰგავს ბავშვებო, აქაურობა, — გაწყრა მძღოლი. — იმდენი მოგეტანა, ბიჭო, რამდენსაც მოერეოდი...

— რა ვიცოდი, თუ ასე მალე დადნებოდა.

— უნდა გცოდნოდა, ნაყინი რომ დნება. იმიტომ გაბია თავი, — უთხრა ფოთოლა მასწავლებელმა, რომელიც მძღოლის გვერდით იჯდა. — მეორეც, როდის მოიშლი შენ მაგ თავადურ დარდიმანდობას და ფულის ფანტვას? ერთი მამაშენი უნდა ვნახო და გავარკვიო, ვინ გაძლევს ამდენ ფულს, სად შოულობ...

გაარკვია.

ჰოდა, მაგრად მოხვდა ყარამანს.

მთელი კლასის წინ გამოიყვანეს და გაკიცხეს. გვჯერა, რომ ანკესით დაგიჭერია თევზი, მაგრამ რახან გაყიდე, რახან ვაჭრობ იმ შენი ნადავლით, მაინც ბრაკონიერი გქვიაო.

ძალიან ატკინეს გული, მაგრამ ამას როგორმე გაუძლებდა, ოღონდ ბაბუას არ გაეგო. ბრაკონიერობა რომ დასწამეს.

ბაბუა ამ სიტყვის გაგონებაზე ცოფდება.

დაფიცებული აქვს. სადაც ბრაკონიერს წავაწყდები. სადაც ვნახავ, რომ კაცი მდინარეში ლაღუმს ააფეთქებს ან საწამლავს

ჩაერის, გაუფრთხილებლად დავაბლი თოფს და მერე, ვისაც უნ-ღა, მტყუან-მართალი იმან იძიოსო.

ანკესობა ბაბუამ ასწავლა და შეაყვარა. მდინარის პირას ცხოვ-რობს, ფერდობზე, ქალაქიდან ოცდაოდე კილომეტრზე. ისიც ყარა-მან ყარანაძეა, ყარამან პირველი. მეუღლე (ყარამან მეორის ბებია) ადრე გარდაცვლილა. დაზარდა შვილები ორი გოგო და ერთი ბიჭი. გზაზე დააყენა, დააქორწინა. მერე ეს აღგილი მოძებნა (ადრე ისიც ქალაქში ცხოვრობდა), თავისი ხელით გამოთხარა ფერდობზე მიწა, ტერასა გააკეთა. ხის ორთვალიანი სახლი აიშენა, გაიჩინა თხები. ძაღლი. იყიდა სანადირო თოფი და ანკესები. სადღაც ძვე-ლი ნავი იშოვა, შეაკეთა. ცხოვრობს მას შემდეგ მარტო. ყოველ დილით თხებსა და ძაღლს გაღმა გაიყვანს ნავით, ტყეში გაუშვებს, საღამოს თხებიცა და ძაღლიც ნაპირს მოადგებიან, თხები პეტელე-ბენ. ძაღლი ყეფს, მოხუცს ეძახიან. ბაბუა ისევ შეაცურებს ნავს მდინარეში. მეგობრებს გამოიყვანს, ეზოში შერეკავს.

თევზი აღარ გაყიღო, ბაბუ, — უთხრა დიდმა ყარამანმა პა-ტარას, — იმდენი დაიჭერე, რამდენიც შენ გჭირდება. მდინარეს მადლობა უთხარი, რომ თავისი შვილები, ასეთი ჯანმრთელები და ლამაზი, შენთვის გაიმეტა. რაში უნდა დახარჯო მაგ ფული? რა უნდა იყიდო? ვინც თევზს ყიდის, ბაბუ, ის კაცი მდინარესაც ყი-დის. მდინარე კი შენი არაა მარტო... მდინარე ყველასია.

12. გიგუცა სკოლის ჭიშკართან წამოეწია ყარამანს.

— ჰეი, ყვანჩალა, მთელი საღამო თეატრში რომ ზიხარ და ყურყუტებ, არ მოგბეზრდა?

— ტყუილად კი არ ვზივარ იქ, — მიუგო ყარამანმა, — რეკვი-ზიტები მაბარია.

— რაო, რა მაბარიაო?

— რაც გაიგონე.

გიგუცას სიცილი წასკდა.

— რა გაცინებს?

— რეკვიზიტორს დამიხედეთ!

ყარამანი აენთო.

— რა იცი შენ, იქ რას ვაკეთებ?

— თამრიკომ მითხრა.

— აჰა, თამრიკომ?..

აი. თურმე რა ამბები მიაქვს შინ თეატრიდან თამრიკოს.

— მზაკვრობა, მტრობა, უნდობლობა, შური და ვესლი ადა-

მის მოდგმის თანმხლებია ოდითგან დღემდე... გამეცა, ჯავათ, თორემ რისსვას ვერ დაიოკებ და, ვით წიწილას, აგაგებ ხმალზე...“

გიკუცა შემცბარი გვერდზე გადგა. ყარამანს გზა უტია.

18. პირველი რაზმელი — ბატონიშვილო, ეს ჭაბუკი სარდალს დაეძებს, მეტად საჭირო ცნობები მაქვს მისთვისო, ამბობს.

დავით — გისმენ, ყმაწვილო.

ჭაბუკი — (სულს ძლივს იბრუნებს) ბატონიშვილო, ეს-ესაა მე შაჰი ვნახე...

დავით — (განცვიფრებული) შაჰი ვნახეო? რომელი შაჰი?

ჭაბუკი — ქოსა შაჰი, აღა-მაჰმადი...

პირველი რაზმელი — მეც ასე მითხრა, არ დავიჯერე...

ჭაბუკი — ეფიცავ მაღალ ღმერთს! ხშირ ჯაგებში მიმალულიყო... ალბათ ცოდვათა განსაბანად ემზადებოდა. უშარვლოსა და შიშველს, ფითქმის ხელში წყლით სავსე ალთაფა ეპყრა...

დავით — (მხიარულად იცინის) ამ ყმაწვილს სიცხე გაუსინჯეთ, ციებ-ცხელებას შეუპყრია, აბოდებს საწყალს.

ჭაბუკი — (გაცხარებით) ვესროლე კიდეც... თოფი ვესროლე... სწორედ ის იყო, აღა-მაჰმადი!

რეჟისორი — (ჭაბუკს) ნუ ჩქარობ, თამრიკო... ჯერ ამილახვარს აცალე... სადაა ამილახვარი? (ყვირის) რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ...

ამილახვარი — აქა ვარ, ბატონო. მე არსად წავსულვარ... (ხარხარებს) თვითონ შაჰი? ირანის შაჰი? რა საზარელი რამ სიზმარი უხილავს ამ ბიჭს!

დავით — რაო, ჭაბუკო? ესროლე და მოჭალი კიდეც? (იცინის) იქნება უკვე ომიც დამთავრდა?

ამილახვარი — (სიცილით) ბატონიშვილო, ელჩნი ხომ არ გავგზავნოთ ირანს? მივუსამძიძროთ შაჰის დაღუპვა!

ჭაბუკი — ... დავუშირეთ თოფები ფიცხლად. გვიან ვიცანით, ბურგიდან ჩია ყმაწვილს მოკვავდა... მოიხედა და როცა გვიხილა, ბუჩქებში შეძვრა კურდღელივით, გაუჩინარდა გვესმოდა მხოლოდ გულშეძრული ჩხავილი მისი... მყისვე ტყვიები დავადევნეთ, მაგრამ ამაოდ...

დავით — დაწყნარდი, ბიჭო, დაწერილებით მითხარ ყოველი. საიდან მოხვდი მტრის ბანაკში, იქ რა გინდოდა, სადაური ხარ, ვისი გვარისა...

ჭაბუკი — თბილისელი ვარ. ეამაჩელი მეზარბაზნეა. სხვა ოსტატებთან ერთად ისიც მტერთან საომრად ითხოვდა წასვლას. არ

წაიყვანეს, მეფის კაცთა უარი უთხრეს! თავად ვაჩრიელ მაიორსა ევედრებოდა. ის კი ამბობდა. არა მაქვსო მეფის ხებართვა. მეზარ-ბაზნენი მტერს შევაწყვიტო. უბრძანა ყველას, რომ თბილისში დარჩენილიყვნენ. მაშინ ჩემმა ძმამ — კახაბერმა ჩუმად შეკრიბა გულმამაცი თანატოლები... გამოვიპარეთ სახლებიდან და თოფ-ხანჯლებით შევიარაღდით. ღამით უჩუმრად ავიპარეთ შავნაბადაზე. ყური მოვკარით. ქალაქში რომ ლაპარაკობდნენ, შავნაბადადან აპი-რებსო მტერი წამოსელას. ვისხელით ასე ვათენებამდე თოფშემარ-თულნი...

ყარამანი გაფაციცებით ისმენდა ყველაფერს და ტანში ჟრუ-ანტელი უვლიდა. ყოჩაღ, ბიჭებო! ვაჟკაცობაც ამას ჰქვია. ოცდა-სუთი ბიჭი უშიშრად ელოდება მტრის ლაშქარს.

დროდადრო ოცნება გაიტაცებდა ყარამანს. თავს იმ უშიშარ-რაზმელთა შორის წარმოიდგენდა და გული სიამით აუტოკდებოდა.

ეს რა კარგი რამ დაუწერია ისტორიის მასწავლებელს, გიგუცა-მამას. გრაფს...

ერთი რამ კი ნამდვილად არ მოსწონდა, პირდაპირ გული ეწიწკ-ნებოდა, რომ უმზერდა და უსმენდა... ნუთუ იმ ყოჩაღი ჭაბუკის როლი ამ წრიპინა თამრიკოს უნდა ეთამაშა? სადაა სამართალი? წამით რომ წამოიხედოს იმ ბიჭმა, ხომ დაიწვება სირცხვილით? სად ეს კნაჭა გოგო და სად თოფითა და ხმალ-ხანჯლით აღჭურ-ვილი, ვერაგი მტრის გასაწყვეტად შავნაბადას მთაზე ჩასაფრებული მეზარბაზნის მამაცი ვაჟი?

თავიც რომ მოჰქონდა?

— ხომ კარგი როლი მერგო? ჰკითხა ყარამანს რეპეტიციის შემდეგ, — ხომ კარგად ვასრულებ?

— ძალიან ცუდად, — უთხრა ყარამანმა.

— რაო? რაო? რაო?

— თუ სიმართლე გინდა, ეგ არის...

— ძალიან კი ხვდები შენ კარგსა და ცუდ თამაშს. იმოდენა ცოდნა და განათლება გაქვს, სად წაიღო, არ იცი...

— შენს უსუსურ თამაშს რა დიდი მიხვედრა უნდა, — უთხრა ყარამანმა,—შენი სიტყვები სხვაა, მოძრაობა და სახის გამომეტყველება სულ სხვა... ქვეტექსტი ხომ საერთოდ არ გაქვს... სადაა ქვეტექსტი? ეს-ესაა სიკვდილს გადარჩი... გახარებულიც უნდა იყო, შეშინებულიც, ამაყიც, თავისთავად ცხადია... ხუმრობა საქმეა? მტრის ბანაკში იყავი, შაჰს თოფი ესროლე. სადაა განცდა? მღელ-ვარება? იცი. რამდენი სიტყვა კამოგრჩა? საიდან სად გადახტი? როგორ ამახინჯებ ტექსტს? მამაშენის დაწერილი მაინც არ იყოს..

— ცოტა კი გამომრჩა, — აღიარა თამრიკომ, — მაგრამ ტექსტი მარტო ძე ხომ არ მეშლება? სხვებსაც უჭირთ.

— შენ არ უნდა გიჭირდეს. შენი როლი ერთ-ერთი მთავარია...

— მომწყდი აქედან, — შეუბღვირა თამრიკომ, — ამანაც სწავლება დამიწყო!..

„ამ სულელმა იმ ყოჩაღი ბიჭის როლი როგორ უნდა შეასრულოს? — წუხდა ყარამანი. — იმ სიგრძე თოფსა და ხმალს რომ შემოათრევს სცენაზე, სიცილით არ დაწყდებიან მაყურებლები? მთელი სპექტაკლი ჩაფლავდება“.

არ უნდოდა ყარამანს სპექტაკლის ჩაფლავება. მოსწონდა პიესა, რეჟისორიც ძალიან მოსწონდა...

14. კვირადღე იყო. ყარამანი გათენებამდე წამოხტა ლოგინიდან, თავისი სათევზაო მოწყობილობა მოკრიფა და მდინარისაკენ გასწია. შორი გზა არ ჰქონდა გასავლელი, მდინარე ახლოს ჩამოუდიოდა ქალაქს.

სათევზაოდ სიარულს მშობლები არ უშლიდნენ. ჯერ ერთი, მაინც არ დაიშლიდა და, მეორეც, უსაქმოდ ქალაქში ხეტიალს ეს არ სჯობდა?

პირიქით, ნიკოს უხაროდა, ყარამანი სათევზაოდ რომ მიდიოდა — მუდამ ბლომად თევზს იჭერდა. ნიკოს კი უყვარდა ტაფაზე შემწვარი ახალი თევზი. რამდენჯერმე გაჰყვა კიდეც, სცადა თევზაობა, მაგრამ ერთი ცალი რაა, ისიც ვერ დაიჭირა.

— იცი რა, მამა? — ეუბნებოდა ყარამანი. — დაანებე თავი, ვერ დაიჭერ შენ თევზს.

— რატომ? — უკვირდა ნიკოს. — რატომ ვერ უნდა დავიჭირო? მეც ხომ იმავეს ვაკეთებ, რასაც შენ?

— შენ თევზს ვერ ხედავ.

— ახალი ამბავი... თევზს რატომ უნდა ვხედავდე? მთავარია, მან დაინახოს ჩემი ჭიაყელა.

— თევზსაც უნდა ხედავდე. მაშინვე მიხვდები, სად და როგორ უნდა ჩააგდო ანკესი...

— შენ რა, ხედავ ვითომ ამ მღვრიე წყალში რამეს?

— მე ვხედავ...

ნიკო იცინოდა და ძალაუნებურად ხელის მოცარვასაც ურიგდებოდა. იქვე მყუდრო ადგილს მოძებნიდა, შინიდან წამოღებულ ბრეზენტის ნაჭერს ქვეშ დაიგებდა, წამოწეებოდა და წიგნის კითხვას შეუდგებოდა. იქნება სხვანაირი თვალები აქვს ამ ბიჭს?

იქნება მართლა ხედავს, თუ რა ხდება ამ მღვრიე წყლის ფსკერზე?

შუადღე ისე მოახლოვდა, ბიჭს არაფერი გაუგია. ერთი პატარა ყუთი ჰქონდა, ფიცრის ნაჭრებით შეკონწიწებული. თვითონ გააკეთა. სკამადაც იყენებდა იმ ყუთს. დაჭერილ თევზებსაც შიგ ყრიდა. ყუთიდან ხმაური ისმოდა, ახალდაჭერილი, ჯერ კიდევ ცოცხალი თევზები დახტოდნენ შიგ, კედლებს აწყდებოდნენ.

ბევრდით კარიერისაკენ მიმავალი გზა ჩამოდიოდა. დროდადრო გზაზე ხრეშით დატვირთული თვითმცლელი გამოივლიდა ზუზუნ-ზუზუნით. აქ შეღმართი იწყებოდა და მანქანის ძარიდან თქლიშინით იღვრებოდა გზაზე ხრეშს შეყოლილი წყალი.

გზის პირას შავი „ვოლგა" გაჩერდა. ახალთახალი, პრიალა მანქანა იყო. ორნი გადმოვიდნენ. ერთი სქელი კაცი იყო, ბეყერა, ფეხადგმულ გოდორს ჰგავდა, მეორე კი — ჩიკორა, გამხდარი, დაბალი. ისეთი გამომეტყველებით ათვალიერებდნენ იქაურობას, თითქოს ეს-ესაა ყიდვას უპირებდნენ, ახლა კი საქონელი ეძვირათ და ხელი ჩაიქნიესო. ზოზინით, ხმადაბლა ლაპარაკით გამოსწიეს ყარამანისკენ. ახლოს მოვიდნენ, ბიჭი აგდებულად შეათვალიერეს.

— რას ზიხარ, ბიჭო, შენ აქ, — ჰკითხა ბეყერამ, — იჭერ რამეს?

— რას დაიჭერს ბახუტიჩ! — უთხრა ჩიკორამ. — აქ თევზის დაჭერას მართლა მეთევზე უნდა. ამოიყვანს ორიოდე მშიერ ღორჯოს და რაღა უნდა მეტი, წავა შინ.

ამ დროს, თითქოს სტუმრების ჯიბრზე, ყუთში თევზი ისე ღონივრად ასხმარტალდა, ფიცარი კინაღამ გამოანგრია.

ბეყერასა და ჩიკორას თვალები გაუფართოვდათ.

— კატა ხომ არ გყავს, ბიჭო, მაგ ყუთში დამწყვდეული?

— რა უგავს კატას, — წყენით ჩაილაპარაკა ყარამანმა. — კატა რაში მჭირდება... თევზებია.

— უყურე ამას? — თქვა ჩიკორამ, — ადექი ერთი, ჩამახედე.

ყარამანი ადგა, ყუთს თავსახური ახადა.

— მობრძანდი, ბახუტიჩ! — იყვირა ჩიკორამ, — ნახე ერთი რამდენი თევზია! — ბახუტიჩის მობრძანებას აღარ დაელოდა, იქვე, ბალახებში მოაპირქვავა ყუთი. ორ კილოზე მეტი იქნებოდა თევზი.

— ვყიდულობ, — თქვა ბახუტიჩმა და ჯიბისკენ წაიღო ხელი.

— არ ვყიდი, — თქვა ყარამანმა.

— მე მაცალე, ბახუტიჩ, — თქვა ჩიკორამ და ჯიბეების ქექვას მოჰყვა. — თქვი, რას აფასებ! — შეუყვირა ყარამანს.

— არ ვყიდი, — გაიმეორა ყარამანმა.

არ ყიდი და არც მინდა, — გაჯავრდა ბახუტიჩი. — რა ეშ-მაკად მინდა მაგ შენი აყროლებული თევზი...

ბეყერა შებრუნდა და თავისი პრიალა მანქანისკენ გასწია.

— ნუ აწყენინებ, — ურჩია ჩიკორამ ყარამანს, — რომ იცოდე ვინაა, იქით შეეხვეწები, წაიღეო, და კაპიკსაც არ გამოირთმევ.

ჩიკორამ იქვე ორკაპი ჯოხი შეატეხა თხმელას და ბალახში მიმობნეული თევზების აკინძვას შეუდგა.

— ჰე, თქვი შენი ფასი... მერე ჩემსას გეტყვი.

— არ ვყიდი, — ჩაიბურდღუნა ყარამანმა და ოდნავ ქვევით ჩაინაცვლა. დაძაბული დასჩერებოდა ტივტივას, თუმცა მშვენივ-რად იცოდა, რომ სანამ ეს აბეზარი კაცი არ გაეცლებოდა, თი-თისტოლა ღორჯოსაც ვერ დაიჭერდა.

ორიოდე წუთის შემდეგ ზევით ამოიხედა. ჩიკორა თევზების მოვრძო აკიდოს ლაღად მიაკონწიალებდა „ვოლგისაკენ". ბიჭი წამით ისე დაიპნა, ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა: მძარცველი მანქანაში რომ ჩაჯდა და კარი მიიხურა, მაშინლა გამოერკვა. ან-კესის ჯოხი იქვე მიაგდო და ქვას დასტაცა ხელი. შავი „ვოლგა" ადგილს მოსწყდა. ყარამანი მისდევდა და თან ქვებს ესროდა. რას დაეწეოდა, ქვაც ვერ მიაწვდინა. ნომრის ამოკითხვაც ვერ მო-ასწრო...

თევზაობა აღარ გაუგრძელებია. წყლის პირას მშვიდად ჯდო-მა უკვე აღარ შეეძლო. ახლა საჭირო და აუცილებელიც კი იყო მისი ხელცარიელი დაბრუნება, მთელი ქალაქი უნდა ვაოცებუ-ლიყო: როგორ? ეს რა ხდება? ნუთუ ყარამანი გაწბილებული ბრუნდება მდინარიდან?

წარბშეკრული ყარამანი ნელა მიაბიჯებს ქალაქში. რატომ არავინ არაფერს ეკითხება? როგორ შეუძლიათ აკეთონ თავიანთი ყოველდღიური, ჩვეულებრივი საქმე მაშინ, როცა ყარამანი შინ ხელცარიელი მოდის! როცა ყარამანი ასე დამცირებულია!

შინ მისულმა საანკესო მოწყობილობა შეინახა და რაიკოს სა-ნახავად გასწია.

ბენსაულამ ყურადღებით მოუსმინა მეგობარს. არ მჯერა, ტყუილს ამბობო, იძახა. მერე განრისხდა, ბრაზისაგან თვალების ხამხამი და თავის ფსანა აუტყდა (ჰქონდა ასეთი ჩვევა), ახლავე მილიციაში გავიქცეთო, შესთავაზა ყარამანს. მილიციაში ხელად გაარკვევენ, თუ ვინაა შავვოლგიანი ბახუტიჩი და მისი ჩიკორა ძმაკაცი ყარამანი ჯერ დაეთანხმა, მაგრამ შემდეგ უარზე დგა. ვაითუ მასხარად აგიგდონო. დიდი ამბავი, თუ ვილაც ცინ-

გლიანს მდინარის პირას რამდენიმე ცალი წეერა წაართვეს. მეტი საქმე არა აქვთ, აღგნენ ახლა და ამის გამო შავვოლგიან ბეყერას სდიონ... არა. ამ საქმეზე მილიციაში წასვლა ნამდვილად არ ღირდა. თვითონ უნდა იპოვნონ როგორმე.

იმ საღამოსვე მთელი მეშვიდე კლასი დააყენეს ფეხზე. იღუმალებით მოცული შავვოლგიანი ბახუტიჩის ძებნა საკმაოდ საბალისო. თავშესაქცევი საქმე გამოდგა. ბეყერას ზედვე ეტყობოდა, უმნიშვნელო პიროვნება არ უნდა ყოფილიყო. აშკარა იყო, სადღაც კაბინეტში იჯდა.

გაჩხრიკეს, გამოჩხრიკეს და რამდენიმე დღის შემდეგ დაწერილებით იცოდნენ ბეყერა ბახუტიჩის ასავალ-დასავალი.

16. ალა-მაჰმად ხანმა, ირანის პირსისხლიანმა შაჰმა, ბრძანება გასცა, მავ ბიეს თვალები დასთხარეთ და მერე თავიც ზედ მიაყოლეთო. ჩემს ბანაკში შემოპარვა როგორ გაბედა, გული მითქვამს, მავ ციანგლიანი სწორედ ის თავზეხელაღებული უნდა იყოს, გუშინ ღილით იქ, ჯაგებში ჩემი კეთილშობილური, საღვთო საქმის -ღსრულებისას ხელი რომ შემიშალა, თოფი მესროლა, მოკვლა დამიპირაო.

ირანის ჩაუქრობელო, მარად ცეცხლოვანო მზეო, მიმართა ერთ-ერთმა სარდალმა (ეგონებ ბებუთოვმა), ის ციანგლიანები ხომ უკლებლივ ამოვწყვიტეთ. ამბის მთხრობელიც არ გაგვიშვიაო.

გურჯების ამბავს შენ რას მასწავლიო, შეუბღვირა ბებუთოვს შაჰმა. შენ რომ მკვდარი გგონია, მოგიბრუნდება და სამარეს აქეთ გაგითხრისო. მაგათ სულ თავები უნდა დასჭრაო.

ირანის ბურჯო და მშვენებავ, მგონი, ერთი ბიეი მართლა ვაგვისხლტაო, წამოსცდა ჯავათ ხანს.

ერთი კი არა, ორიო, შეეშველა ჯავათ ხანს ტყვე, მეორე ჩემი ძმაა, იგი ახლა დაეიდ ბატონიშვილის ბანაკშია, თქვენ კიდევ გაიგონებთ მისი თოფის ქუხილს. მალე ჩვენს ერეკლე მეფესთან ერთად აქ მოგიფრინდებათ და ერთიანად გაგეუქავთო.

განრისხდა მტარვალი, ეს რა მკადრაო, ძირო ხმალი და შემოუქნია ყარამანს. თურმე ყარამანი ერქვა ამ ბიეს. ერქვა კი არა, სწორედ ყარამან ყარანაძე იყო. ძირო ბიეშაც ხმალი (სად იშოვა? კაცმა არ იცის). შეაგება მრისხანე შაჰის ხმალს და გადაუჩეხა ხალის ღერივით. დატრიალდა მერე და ერთიანად აკეპა შაჰის სარდლები და მეომრები (მარტო ჯავათ ხანი დაინდო დროებით. რატომ, რისთვის? არც ეს ვიცი). შაპი კი ბოლოსთვის შემოინა-

ხა. ჰოდა, დადგა ქოსას ჯერიც. მივიდა ყარამანი, დაადგა ფეხი და მორიელივით დააჭყლიტა მიწას.

ომიც ამით დამთავრდა და სიზმარიც.

გათენებულიყო. კედლის საათს შეხედა. სკოლაში წასვლის დრო ახლოვდებოდა. მამა უკვე ამდგარიყო, ოთახებში გადიგამოდიოდა და ბუტბუტებდა: „დიდო შაჰინ-შაჰ, უბრძენესო, უმამაცესო, ელჩი გეახლა თბილისიდან გამოქცეული, გურჯების მეფემ დილეგში რომ გამოამწყვდია. ასე იფიცებს, გურჯებს ჯარი სულ არა ჰყავთო. ეს ცნობა მისთვის მიუციათ ჩვენს ერთგულ კაცებს, მათ გაუხსნიათ ციხის კარი, გამოუშვიათ, რომ ჩვენთვის ემცნო გურჯი მეფის ეს გასაჭირი...“

— სდექ! — უთხრა ყარამანმა, წამოხტა და ჩაცმას შეუდგა, — შეგეშალა.

— რა თქვი? — შედგა ნიკო.

— შეგეშალა... „ჩვენს ერთგულ კაცებს მიუციათ მისთვის ეს ცნობა, მათვე განუხვამთ ციხის კარები და კლდე-ბილიკით გადმოატარეს, რომ მოეტანა ეს ამბავი, მზეთა-მზევ, შენთვის...“

ნიკომ ჯიბიდან რვეული ამოიღო, დააკვირდა. მართალი ხარო, უთხრა ყარამანს. მერე კარადასთან მივიდა, უჯრები გამოსწია.

— აქ არ ინახავდა დედაშენი სიგარეტებს?

— რაო, რას ინახავდაო? — გაფაციცდა ყარამანი.

— სიგა... არაფერს... ესე იგი, მათვე განუხვამთ ციხის კარები?

16. ბახუტიჩის შავი „ვოლგა“ (ყარამანმა მაშინვე იცნო) სამშენებლო კანტორის ჭიშკართან იდგა. ყარანაძე სიძულვილით სავსე თვალებით მიაშტერდა გაპრიალებულ მანქანას. ეზოში ათასგვარი ხარახურა ეყარა: მორები, ფიცრები, არმატურის რკინები, ბლოკები, შიფერები და შიფერის ნამსხვრევები. ერთ-ერთ კუთხეში ჯართის მთელი ზვინი აზიდულიყო. არმატურის რკინის მოკლე ნაჭრით შეიარაღებულ ყარამანს შეუძლია ათიოდე წუთში ეს გაპრიალებული მანქანა ჯართად აქციოს. ახლოს მდინარე ჩამოდის, ნაპირზე ბარდი და მურყნარია მოდებული, დაჰკრავს ფეხს და ათიოდე წამში უჩინმაჩინად იქცევა. მერე ბიჭია და ეძებოს ბახუტიჩმა, იძიოს, ვინ დაულეწა მანქანა.

რაჟიკომ შეხედა მეგობარს, მიუხვდა ნაფიქრალს.

მაგაზე მერე ვითათბირეთო, უთხრა, ჯერ მშვიდობიანი მოლაპარაკება ვცადოთო.

ვცადოთო, დაეთანხმა ყარამანი და ბიჭები გულისფანცქალით მიადგნენ ბახუტიჩის კაბინეტის კარს.

ღია იყო. ბახუტიჩი სკამზე დახვავებულიყო, ყვიროდა, როხროხებდა, ვიღაცას ლანძღავდა, ვიღაცას დასცინოდა, უღიმოდა, ეფერებოდა, ექლესებოდა, ზოგს რისხვად ატყდებოდა თავს. ერთი სიტყვით, გაცხარებულ მუშაობაში იყო... განუწყვეტლივ შედიოდნენ მასთან დამკვეთები, მუშები, საამქროს უფროსები... რაღაც ქაღალდებს ხელს აწერდა, ბეჭედს უსვამდა, ხან საანგარიშოს აჩხაკუნებდა, ქვითრებს წერდა...

როგორც იქნა. შეწყდა ხალხის შესვლა-გამოსვლა. ბახუტიჩმა სიგარეტი გააბოლა, წამოდგა, ალბათ წასვლას აპირებდა. ბიჭები მაშინვე შეცვივდნენ კაბინეტში.

— რას გვბრძანებთ? — იკითხა ბახუტიჩმა.

— თევზის თაობაზე გვახელით, — გაბედა რაჟიკომ ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ.

— რომელი თევზის? თევზს აქ რა უნდა?

— იმ თევზის, — მრავალმნიშვნელოვნად ჩაურთო ყარამანმა.

— აქ თევზი არაა, ბიჭიკოები, აქ სამშენებლო კანტორაა, შეგეშალათ.

— იმ თევზის, კვირას რომ წამართვით... მდინარის პირას, ქალაქგარეთ, — უთხრა ყარამანმა.

ბახუტიჩი ყარამანს მიაშტერდა.

— მე? მე წაგართვი შენ, ბიძიკო, რამე?

— თქვენმა ამხანაგმა ხომ წამართვა, თქვენ გვერდით რომ იჯდა მანქანაში?!

— იცი შენ, ჩემს გვერდით რამდენი ვინმეა ნაჯდომი? მე ყველაზე პასუხს ვერ ვაგებ.

— თევზს თქვენ მევაჭრებოდით, — უთხრა ბახუტიჩს ყარამანმა, — მე უარი რომ გითხარით, იმან წამართვა... თქვენთვის წამართვა... ესე იგი, თქვენ მოგიტანათ.

— მე არაფერი არ ვიცი. რა ჩემი საქმეა, შენ ვინ რა წაგართვა.

— არ ივარგებს ასე, პატივცემულო, — უთხრა რაჟიკომ, — არაა ლამაზი, დიდებმა რომ პატარები დაჩაგრონ...

ბახუტიჩი ჩაფიქრდა, ალბათ მიხვდა, რომ მართლა არ იყო ლამაზი პატარების დაჩაგვრა. ბოლოს და ბოლოს რა გაუჭირდა ასეთი? ფული ჩეჩქივით უყრია ჯიბეში. ეს ბიჭები ხვალ ვაჟკაცები იქნებიან, ძაღლის ნაკბენივით დაუმახსოვრებენ ამ წყენას, ვინ იცის, სად შეხვდებიან, როდის შეახსენებენ...

— რა ვქნა ახლა მე, ბიჭებო? როგორ დავიბრუნოთ თქვენი თევზი? უკვე შეჭმული იქნება. არ უნდა ლაპარაკი.

„შეჭმული იქნებაო? ვითომ თვითონ არ მიაძღა“.

— თავმოყვარეობის საკითხია ბოლოს და ბოლოს, — თქვა რაჟიკომ.

— მე პირადად არაფერი დამიშავებია და ვერც ბოდიშს მოვიხდი სხვის მაგივრად.

— მაშინ იმ კაცის ვინაობა უნდა გვითხრათ, — შეესთავაზა ყარამანმა.

— არ ვიცი მე, რომელ კაცზე მეკითხებით.

— იმოდენა ასხმული მანქანაში რომ შემოიტანა, ვითომ ვერ დაინახეთ, პატივცემულო? — ჰკითხა რაჟიკომ.

— ვთქვათ დავინახე, ვიცი მე ნამღვილად, რომ წაგართვა? იქნებ იყიდა.

— არ უყიდია, ბატონო, — უთხრა ყარამანმა, — წამართვა. ტყუილს რატომ ვიკადრებ?

ბახუტიჩმა უჯრა გამოაღო, შიგ ხელი მოაფათურა და მაგიდაზე ათასჭირგადანახადი, დაქექილი სამმანეთიანი დააგდო.

— აიღეთ და მოუსვით აქედან!

ბიჭები ადგილიდან არ დაძრულან.

— ხომ არ გეცოტავათ?

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

ხელცარიელ წასვლას ისევ ამ სამიანის აღება სჯობია, ყვავს კაკალი რომ გაადგებინო, ისიც საქმეაო, — გაივლო გულში რაჟიკომ, მაგრამ მეგობარს რომ შეხედა თვალებში, მიხვდა, ფულის აღებას არაფრით არ მოუწონებდა.

ბახუტიჩმა ისევ გამოსწია უჯრა.

— ბოლოს და ბოლოს რამდენი იყო ის შენი თევზი?

— ორი კილო, სულ წვერა... მეტიც იქნებოდა, ახალდაჭერილი... ცოცხალი...

— ახ, წვერა? სხვა არ ერია, ხომ?

— დიახ, სულ წვერა.

ბახუტიჩმა უჯრაში ჩაყო ხელი და რამდენიმე დაჭმუჭნული, ჭუჭყიანი მანეთიანი მოფანტა მაგიდაზე.

რაჟიკოს ყარამანისთვის არც შეუხედავს, მაგიდისაკენ დაიძრა.

ბახუტიჩი ახარხარდა, თეთრი, კოტიტა თითებით სწრაფად ხვეტა ის ფული და ისევ უჯრაში ჩაყარა.

რაჟიკო გაშეშდა.

— არაა ლამაზი, პატივცემულო...

— მოგცემ მე შენ ლამაზს! — იყვირა ბეყერამ. წამოიდგა და სტუმრებისკენ წამოპაჯაჯდა. ლამაზი ის იქნება, ყურებს რომ აკახივით და მოგცემთ ხელში... აბა, მოუსვით აქეღან, თქვე მაიმუნებო! — ბიჭებს თაკისი უშველებელი მუცლით მიაწვა და კაბინეტიდან გახვეტა.

კანტორის წინ მდგარ შავ „ეოლგას“ ახლა ორთავემ მიაბჯინა მძულვარე, შურისმაძიებელი თვალები.

— დამაცადოს, — კბილებში გამოსცრა რაეიკომ, — ახლა ჩემთან ექნება საქმე.

რაც გიქნა, დაიმსახურეო, უთხრა ყარამანმა.

— დავიმსახურე? რით დავიმსახურე?

— ოტომ აპირებდი იმ ფულის აღებას? რად გინდოდა მისი ქეციანი ფული?

— აბა მისი ქეციანი ბოდიშისთვის მოვიღით აქ?

— ხომ მაინც ვაჭრობა გამოდიოდა? მაგ რომ მდომებოდა, არც მდინარის პირას ვეტყოდი უარს.

— თავმოყვარეობა? ჯავრის ამოყრა? იფეთქა რაეიკომ. — წავართვი და ხახვივით შემრჩაო, რომ ველარ იტყვის. ეს ცოტაა? შე მართლა ყვანჩალავ... აბა, რისთვის დავეძებდით მაგ შენს ბეყერას ამდენ ხანს?

ჰო, კარგიო, უთხრა ყარამანმა, რა გაღრიალებსო.

ავტობუსს აღარ დაუცადეს, ფეხით გამოსწიეს ქალაქისკენ. ისე იყვნენ დაბოღმილები, დგომა და ლოდინი აღარ შეეძლოთ. არც გზა ჰქონდათ გრძელი. ხიდს გადაივლიდნენ და ქალაქში იყვნენ...

მდინარის პირას, მინდორზე ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ.

ჩავიდეთო, შესთავაზა ბენსაულამ ყარამანს. თამაშსაც ვუყურეთ, გონებაც მოვიკრიბოთ, რა ოინი მოვუწყოთ ბეყერასო.

17. აქეთა კარი ზედ წყლის პირას იყო და მეკარე, ჩამრგვალებული, ლოყებაპრიალებული ბიჭი წამდაუწუმ წყალში მიდგაფუნებდა ბურთის დასაკერად. რამდენიც დაურტყეს, იმდენი გაუტანეს, თუმცა თავს არ იზოგავდა და კვახივით გორავდა მიწაზე. თანაგუნდელები მუშტებს უტრიალებდნენ ცხვირწინ და ემუქრებოდნენ: ბახუტია, შე უპატრონო, ერთი ბურთი მაინც აიღე, თორემ დამთავრდება თამაში და ოთხში ამოგიღებთო. ეს ბედოვლათი მეკარე რაღაც ძალიან მეცნობაო, დაიკონა ბენსაულამ. მომკალი, თუ ნანახი არ მყავდესო.

— რომელი სკოლიდან ხარ? — ეკითხა ყარამანმა მეკარეს, რო-

ცა მან მორიგი ბურთი ამოიტანა მდინარიდან და ცენტრისკენ ისროლა.

— მეოთხედან, — მიუგო ბიჭმა.

— კლასი?

— მერვე...

— ბაბუაშენი ბახუტი ხომ ჯანმრთელადაა? — ჰკითხა ბენსაულამ.

მეკარემ ყურადღებით შეათვალიერა შემკითხველი.

— ბაბუაჩემი?

— ჰო, ბატონი ბახუტი.

— გმადლობთ, — მიუგო მეკარემ, — ჯანმრთელადაა. საიდან იცნობ შენ ბაბუაჩემს?

ბაბუამისს რომ ბახუტი ჰქვია, ეს ჯერჯერობით ბევრს არაფერს ნიშნავსო, გაიფიქრა ყარამანმა.

ამ დროს მოწინააღმდეგის თავდამსხმელი შემოიჭრა საჯარიმოზე. ბურთი კარს კი ასცდა, მაგრამ ბახუტი ბანაობას მაინც ვერ გადაურჩა.

— გინდა ნიძლავი? — უთხრა რაჟიკომ ყარამანს, — ჩამოვდივარ, რასაც მეტყვი, ეს ბეყერა იმ შენი ბახუტიჩის მემკვიდრე თუ არ იქნება.

— რაზე ატყობ? — მსგავსება ყარამანმაც შენიშნა, მაგრამ ასეთი ღვთისწყალობა პირდაპირ დაუჯერებელი ჩანდა.

— ვატყობ რომელია, შეხედე ერთი, ზედგამოჭრილი ბეყერას ბეყერაა.

— ვცემოთ?

— მაგას თათბირი უნდა?

ბეყერას ბეყერა ფრინველზე მონადირე ძაღლივით ამოდგაფუნდა წყლიდან, ტანი შეიბერტყა, ბურთს ფეხი დაჰკრა და თითქმის მოწინააღმდეგის კარამდე ჩააგდო.

— იფ, — მოუწონა ყარამანმა, — შენ ნამდვილი ფორვარდი ყოფილხარ.

მეკარემ მოიხედა. ყარამანი არც კი ეღიმებოდა. რაჟიკო დაამანჭა, თითქოს კბილის ტკივილმა მოუარაო.

— ყველა წინ გარბის და ვიღაც ხომ უნდა ჩამდგარიყო კარში?

— მამაშენს ისევ შავი „ვოლგა“ აქვს თუ გამოცვალა?

— რა დროს გამოცვლაა, ახლახან არ იყიდა?

— თეეზი ძალიან უყვარს? — ჰკითხა რაჟიკომ.

მეკარემ მხრები აიჩეჩა.

— ისე რა...

— შენ არ დაყვები ხოლმე, საანკესოდ რომ დადის?

— საანკესოდ? მამაჩემი? — ბახუტის სიცილი წასკდა.

— კვირას თევზები რომ მოიტანა, თვითონ არ დაუჭერია?

— თვითონ რას დაიჭერდა, ვიყიდეო, თქვა.

— გემრიელი იყო? ხომ მადიანად მიირთვით?

ეს შეკითხვა მეკარეს არ გაუგონია...

— ბახუტია, მოგკლავ ცემით, იცოდე...

— ამათ თუ მოკლეს ცემით, — შეწუხდა ყარამანი, — ჩვენ რაღა დაგვრჩება.

— მოდი, ტანსაცმელი მოვპაროთ და წყალში გაღაეუყაროთ, ირბინოს მერე შიშველმა.

— მაგ რა ვაქკაცობაა?

— მამამისის შვილს ასე მოუხდება...

ამასობაში მატჩიც დამთავრდა. ბახუტი თავის ჩანთასა და ტანსაცმელს მივარდა, იღლიაში ამოიჩარა და მდინარეში გადაეშვა. გაღმა გასულმა ხიდქვეშ მოიკალათა და უშიშრად შეუდგა ჩაცმას, თანაგუნდელების ნასროლი ქვები იქამდე აღარ სწვდებოდა. რაჟიკოცა და ყარამანიც მოწყდნენ ადგილს, ხიდი გადაირბინეს და გაქცეულს თავს დაუარეს.

— შენ რა, გგონია, ცემას გადარჩი? — ჰკითხა რაჟიკომ.

— ვადავრჩი და ეგაა...

— იმათ კი გადაურჩი, მაგრამ ჩვენ სადღა წაგვიხვალ?

— თქვენ? — მეკარე ყურებს არ უჯერებდა, — თქვენ რაღა დაგიშავეთ?

მართლაცდა, ხომ უნდა სცოდნოდა მეოთხე სკოლის მეოთხეკლასელთა მამაც მეკარეს, რისთვის და რატომ ვამოუტანეს ასეთი მკაცრი განაჩენი? იქვე ხიდის ქვეშ ჩამოსხდნენ სამივენი და ყარამანმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი.

არ მჯერაო, იძახდა ბახუტი, მამაჩემი ამას როგორ ჩაიდენდაო.

— თევზი ხომ მოიტანა შინ? ხომ ჩაეცესლეთ? მეტი რაღა საბუთი გინდა?

არ მჯერა და რა ვქნაო, ჯიუტად იმეორებდა.

— ეგ უკვე შენი ნებაა, — უთხრა რაჟიკო-ბენსაულამ, გინდა დაიჯერე, გინდა არაო, ჩვენ ჩვენი საქმე ვიცით, შენ შენი იცოდე. ორ-სამ დღეს ხელს არ გახლებთ, შემდეგ კი, თუ ანგარიშს არ გაასწორებთ... ბოლოს და ბოლოს ისიც კარგად ვიცით, მამაშენი იქ, თავის კანტორაში ფასებს რომ ამახინჯებს და, სადაც საჭიროა, იქ ვუჩივლებთო.

— ეს ფასების დამახინჯება მაინც საიდან მოიგონე? — ჰკითხა ყარამანმა რაჟიკოს, როცა შინისაკენ ბრუნდებოდნენ.

ასეთი უსინდისო ფასების დამახინჯებას მოერიდება?

18. ორი დღის შემდეგ ბახუტიჩის ბახუტი ღაოქმული ადგილას ვამოცხადდა და რაჟიკოსა და ყარამანს მაბამისის გამოგზავნილი ოთი ხუთმანეთიანი გადასცა.

— ბოდიში ხომ მოიხადა?

— როგორ არა, — თქვა ბახუტიმ.

სკვერში ისხდნენ, კინოთეატრის წინ. ბახუტი წასვლას არ ჩქარობდა.

— რა ვუყოთ ახლა ამ ფულს? — იკითხა ყარამანმა.

— შენია და, რაც გინდა, ის უყავი, — უთხრა რაჟიკომ.

— საიდანაა ჩემი. ჩემი სულაც არაა... მე ხომ თევზის გაყიდვა არ მინდოდა და არც გამიყიდია.

— ნუ დაიწყე ახლა შენებურად, მთავარი პრინციპია და არა ფული.

— მეც მანდა ვარ...

— ბოდა, წაიღე, ხეირი ნახე...

— მოდი, შენ გქონდეს, — ყარამანმა ხუთმანეთიანი რაჟიკოს ჩაუტენა ჯიბეში.

— თუ ასეა. — უთხრა რაჟიკომ, — ხუთი — მე, ხუთი — შენ...

— არ მინდა. — თქვა ყარამანმა.

— არც მე მინდა მაშინ, — თქვა რაჟიკომ, — აჰა, მომაცილე... — ფული ახლა ყარამანის ჯიბეში აღმოჩნდა.

ყარამანმა ხუთმანეთიანები დაკეცა და ბახუტის გადასცა.

— წაიღე, დაუბრუნე შენს მამიკოს.

— მამიკოს?! — ბახუტიმ თვალები გადმოკაკრკლა.

— უთხარი, ვინც თევზს ყიდის, ის მდინარესაც ყიდის-თქო. მდინარე კი ყველასია, არ გაიყიდება... მეორეც — ჩვენ არ ვაოთ შენს მამიკოსავით ხარბები და მოძალადეები... ასე გადაეცი, სიტყვასიტყვით.

— რაკი ასეა... თუ ასე გინდათ...

ბახუტი მეტისმეტად დაბნეული იყო, არ იცოდა, სად წაელო ის ხუთმანეთიანები.

— რომ არ გამომართვას?

— გამოგართმევს კი არა! — გაიცინა რაჟიკომ. — კარგად ეიცნობ, რაც კაცია...

ბახუტი დუმდა.

— შენ თვითონ არ ჩაიდო ჯიბეში. — გააფრთხილა ყარამანმა. — თორემ გავიგებთ ღა ვაი შენს დღეს...

— როგორღა გაიგებთ?

— რა ძნელი საქმე ეგ არის... ხვალ დილითვე ავკრეფ ნომერს და პირღაპირ შენს მამიკოს დაველაპარაკები, ვკითხავ. დაუბრუნე თუ არა ფული.

— ვერ დავუბრუნებ. — თქვა ბახუტიმ.

— ვითომ რატომ ვერ დაუბრუნებ?

— ეს ფული ჩემია... მამა შრუქნის ხოლმე ხანდახან, მე კი ვინახავ...

— შენ, მგონი, არც აპაფერი გაქვს მისთვის ნათქვამი.

— აპაფერი არ მითქვამს, — გამოტყდა ბეყერას ბეყერა.

— არ უნდა გახეთქო ახლა ეს ცემით?! — იფეთქა რაჟიკომ და ადგილიდან წამოვარდა მუშტებშეკრული.

— გგონიათ, მართლა გალახვის მეშინია? სულაც არა. ფული იმიტომ მოვიტანე, თქვენთან ამხანაგობა მინდოდა...

ყარამანმა და რაჟიკომ ერთმანეთს გადახედეს.

ბახუტის გამობერილი, მსუქანი ლოყები ალისფრად ეღებოდა, თვალებში ცრემლი მოდგომოდა.

ისტორიის გაკვეთილზე წყნარად იჯდა და თავის უცნაურ სიზმარზე ფიქრობდა. ბაბუა ყარამანს ღმერთი, ანგელოზები და ეშმაკები არ სწამდა, მაგრამ სიზმრისა რატომღაც სჯეროდა. სიზმარში ყოველთვის ეძებდა რაღაც საგულისხმო მინიშნებებს და პოულობდა კიდეც. ნეტა როგორ ახსნიდა ბაბუა შვილიშვილის ამ სიზმარს? როგორ მოხდა, რომ უეცრად ასეთი ძლევამოსილი, ასეთი გოლიათი გახდა? ასეთი სასწაული სინამდვილეშიც რომ ხდებოდეს, რა დიდებული რამ იქნება!.. არც გერმანულის გაკვეთილზე ამოუღია ხმა ყარამანს. მხოლოდ ერთხელ ცქვიტა ყურები, რაჟიკომ რომ ჰკითხა მასწავლებელს, გერმანულად ყვავი როგორ იქნებაო. ფოთოლა მასწავლებელმა უთხრა რაჟიკოს, რაც ერქვა ყვავს გერმანულად. ბენსაულამ სწრაფად ჩაიწერა. იქვე მოისურვა თავისი ცოდნის გაღრმავება და კელავ ჰკითხა, ყვავები გერმანიაშიც ყვა-ყვას იძახიან, თუ სხვა სიტყვებს ამჯობინებენო. გაკვეთილი რომ გამოვა, მაგ თემაზე ცალკე მოგელაპარაკებიო, დაჰპირდა ფოთოლა მასწავლებელი და ნირწამხდარმა რაჟიკომ მაშინვე დაჰპირა ენას კბილი. მესამე გაკვეთილზე, ანტონ მასწავლებელი რომ შემოვიდა, ყარამანი ოდნავ გამოცოცხლდა. აბა, რთულ ქვეწყობილ წინადადებას ვინ დაშისახელებსო,

იკითხა მასწავლებელმა (გრამატიკა ჰქონდათ). ყარამანმა მაშინვე ასწია ხელი. „ამას რას ვხედავ! — გაუკვირდა მასწავლებელს, — გისმენ ყარამან!“ ყარამანი წამოხტა: „ვითარცა შავი ნიაღვარი მოაწყდნენ კრწანისს შავნაბადადან დაშვებული ყიზილბაშები, წინ მოუძღოდა მელიქ-მეჯნუმ ყარაბაღელი და ქართველებმაც გულუშიშრად იშიშვლეს ხმლები...“

ყარამანი წამით შედგა.

— კიდევ ვთქვა, პატივცემულო?

— კიდევ იცი?

— როგორ არ ვიცი, მას...

ანტონ მასწავლებელმა თვალები მოისრისა, რამე ხომ არ მეჩვენებაო.

— აბა, ყარამანს მოვუსმინოთ, ბავშვებო! — განაცხადა ყველას გასაგონად.

კლასი გაინაბა.

ყველანი განცვიფრებული უსმენდნენ ყარანაძეს და ბიჭი მიხვდა, სიზმარი ცხადდებოდა — საოცარი ძალისა და ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა. ახლა იგი მართლა გასრესდა აღა-მაჰმად ხანსაც და მის წყეულ ჯარსაც. ბეყერა ბახუტიჩს კი მისი ჩიკორა ძმაკაციანად და კაბინეტ-კანტორიანად სულ ნაცარტუტად აქცევდა...

ზარი რომ დაირეკა, ჩანთას დასწვდა, დღიური ამოიღო, სასწრაფოდ შეავსო (რამდენი ხანია არ შეუვსია) და მასწავლებელს მიურბენინა.

მასწავლებელმა დღიური გადაშალა და შეყოყმანდა.

— რა დაგიწერო? — ჰკითხა ბიჭს.

— რა ვიცი, — ყარამანი ჩაფიქრდა, ამხანაგებს გადახედა, რომლებიც დაძაბული მისჩერებოდნენ მასწავლებლის მარჯვენა ხელში მაგრად ჩაბღუჯულ ავტოკალამს, — არ მეკუთვნის ვითომ ოთხიანი?

— გაკვეთილი რომ არ იცოდა?

— არ ვიცოდი? — გაოცდა ყარამანი. — თავიდან დავიწყებ!

— თავიდან? — შეკრთა მასწავლებელი, — არა. თავიდან რა საჭიროა... მე მხედველობაში მაქვს რთული ქვეწყობილი წინადადება. აი, რა გვქონდა ჩვენ დღეს გაკვეთილად.

— იმდენ ლექსებში ერთი ქვეწყობილი წინადადება როგორ არ გამოერეოდა? — იკითხა ბენსაულამ.

მასწავლებელმა მხრები აიჩეჩა. ალბათ გამოერეოდაო, თქვა შემდეგ. მაგრამ ჯერ მაინც სამიანი ვიკმაროთ, ოთხიანზე შემდეგ ვილაპარაკოთო.

ყარამანი უსიტყვოდ დათანხმდა. არ იყო მისთვის სამიანის მიღება ურიგო საქმე.

სხვა დროს ესეც ჭირდა.

19. კარგ გუნებაზე იყო ყარამანი.

ეჩვენებოდა, რომ სადღაც მაღლა ადიოდა, მსუბუქად. თამაშ-თამაშით არბოდა. გიგუცა, რაქიკო, ნათია, სხვები და სხვები ქვევიდან მოსჩერებოდნენ შიშითა და გაოცებით, ვერ დაეჯერებინათ, რომ ეს ყარამანი იყო.

კარგ გუნებაზე იყო, საუცხოოდ გრძნობდა თავს, თან რცხვენოდა. ცდილობდა, თავი ისე მოეჩვენებინა ყველასათვის, თითქოს თვითონაც ძალიან წუხდა. რატომ? იმიტომ, რომ რეჟისორი წუხდა. ასე შეწუხებული, აღელვებული და გაბრაზებული იგი ჯერ არავის ენახა. პრემიერის დღე უკვე დანიშნეს, გამოაკრეს აფიშები, გაზეთშიც გამოქვეყნდა განცხადება, ამა და ამ დღეს პრემიერაზე გვეწვეთო. რეჟისორს ეგონა, საქმე ააწყო, ეგონა, სპექტაკლი მზად ჰქონდა და უცებ ყველაფერი აირია. თამრიკო გაქრა. დილით ჩაუშალა რეპეტიცია, საღამოსაც იგვიანებდა. ზოგმა თქვა, გაიბუტა, მოსვლას აღარ აპირებსო. ზოგმა — ავადაო, საავადმყოფოში წევსო. პირველი ვერსია უფრო ჰგავდა სიმართლეს, მეტისმეტად ბუტია იყო გრაფის ასული. სულ უბრალო საყვედურსა და შენიშვნასაც ვერ იტანდა. ადრეც გაქცეულა რამდენჯერმე. მაგრამ ახლა რაღა დროს გაქცევა იყო? ვინღა იპოვოს რეჟისორმა მისი შემცველელი?

რეპეტიცია მოგვიანებით დაიწყეს, იქნება თამრიკომ მოგვისწროსო. პიესის ტექსტი ყარამანს მიაჩეჩეს ხელში: მაინც ტყუილად ზიხარ, ჰოდა, როცა საჭირო იყოს, თამრიკოს სათქმელი წაგვიკითხეო.

ყარამანი იჯდა და კითხულობდა. ამაზე ადვილი რა იყო? წაკითხვა არც კი სჭირდებოდა, თითქმის ზეპირად იცოდა ყველაფერი. ხან აუწევდა ხმას, ხან დაუწევდა, ზუსტად ისე, როგორც რეჟისორი ითხოვდა თამრიკოსაგან, ყველაფერი ზედმიწევნით, ზუსტად ახსოვდა...

პირველ სურათში დიდი შეფერხებები არ ყოფილა. რეჟისორმა შეაქო ყარამანი. მაგრამ ეს უშველიდა საქმეს? თამრიკო მაინც არ ჩანდა და თუ ამალამაც არ გამოჩნდება, პრემიერა უნდა გადაიდოს...

— მაინც რომ არ ვარგა ის გოგო ამ როლში? — იკითხა უცებ ყარამანმა.

— ვინ გითხრა? — დაინტერესდა ნიკო.

— მისი მოქრაობა და მეტყველება არაა შერწყმული...

რეჟისორმა ყურადღებით შეათვალიერა ყარამანი და ეწარედ გაიღიმა.

— აკლია გარდასახვა, — განავრძობდა ყარამანი. — სტანისლავსკი ხომ მთლიან გარდასახვას მოითხოვს...

რეჟისორმა პირი მოიბრუნა და უხერხულად ჩაახველა.

ყარამანი გაჩუმდა.

— რატომ გაჩუმდი? ჰკითხა რეჟისორმა, როცა ხველებას მოერჩა, — სულ ეგ იყო შენი სათქმელი?

— კიდევ ვიტყოდი, — ყარამანმა ეიშეით მიიხედ-მოიხედა, — კიდევ ბრეჰტზე ვიტყოდი...

— თქვი, ნუ გეშინია, — გაამხნევა რეჟისორმა.

— ბრეჰტი თვითონ ხსნის, აქარვებს დრამატულ ილუზიას... ესროლეს კაცს, მოკლეს. ის კი ფეხზე დგას, იღიმება.

— ვინ დგას, ბიჭო, ფეხზე? — ჰკითხა მამამ.

— ვინც მოკლეს.

— რატომ?

იმიტომ, რომ... დრამატული ილუზია...

ხომ არ დაუცილებია იმას, ვინც ესროლა? — ჰკითხა ნიკომ.

— ეგ, შენ რა გესმის! — გაუჯავრდა მამას ყარამანი.

— სად იყო ეგ? — იკითხა რეჟისორმა.

— რა?

აი, ის, მოკლული კაცი ფეხზე რომ დგა...

დაშცინიანო, დასცინა ყარამანმა, ეწყინა, შუბლი შეიკრა. რეჟისორისავან მაინც არ ელოდა ასეთ მუხთლობას.

— თუმცა, სად უნდა ყოფილიყო, — თქვა რეჟისორმა, — ცხადია, თეატრში, სცენაზე...

ყარამანი მიხვდა, ბოდიში რომ მოუხადეს, მაშინვე მოულბა გული.

— აბა, ხემო ყარამან, გამოდი ერთი და მაჩვენე შენი მთლიანი გარდასახვა და დრამატული ილუზია... მაშინ შეგატყობ, რა ბიჭიც ყოფხარ ნიკოს, თორემ ტყუილი ლაპარაკით საქმე როდის გაკეთებულა? ტექსტს მე გიკარნახებ...

— კარნახი რაში მჭირდება?

— ესე იგი, — დაიბნა რეჟისორი, — გამოდის, რომ ეს როლი შენ უკვე...

— კარნახი სულაც არ მჭირდება, — ბეჯითად გაიმეორა ყარამანმა.

— აბა, ადგილებზე! — იყვირა რეჟისორმა, — ვიწყებთ...

ყარამანი — ...ავტეხეთ სროლა... აირია მთელი ბანაკი და სანამ მტერი გონს მოვიდა, გავწყვიტეთ ბევრი... „ალლაჰ-ბილ-ალლაჰ! — გაპკიოდნენ ზარდაცემულნი. ბოლოს და ბოლოს ვამარკვენენ, მოგვესივნენ და საფარს ჩვენსას თავს დაატყდა ტყვიების დელგმა. ჩავილიენით. დიდი იყო ძალთა სხვაობა. რას გავუძლებდით, მოდიოდა ერთზე ათასი... ფიცხელ ბრძოლაში, იმ საშინელ ორომტრიალში, როცა ჯაგებში მივძვრებოდით, როს ნელ-ნელა უკან ვიხევდით, უეცრად ფეხქვეშ მიწა ჩაგვენარა და საიდუმლო ჭაში აღმოვჩნდით მე და ჩემი ძმა კახაბერი... ვინ მოგვაგნებდა. იქ ვინ გვნახავდა... მიწყნარდა ბრძოლა, თოფის სროლა, ხმლის ჩახაჩუხი. დიდხანს ვისხედით განაბულნი იმ ორმოს ფსკერზე. მერე ძმამ მითხრა, გახვიდეო უნდა როგორმე. იარე ფრთხილად, ყოველი ქვა, ბუჩქი ყოველი. იცოდე, შენი საფარია, შენი საფარველი. უნდა როგორმე დაიღწიო თავი მტრის ბანაკს და ყოველივე, რაც აქ მოხდა, ჩვენებს უამბო. უნდა დღესვე ვაიჯოს მეფემ. შავნაბადადან რომ აპირებს მტერი თავდასხმას. შენ? შენ რას ფიქრობ? — ვკითხე მყისვე შეშფოთებულმა. მე? — მიპასუხა, — თანამოძმეთა სისხლს ავიღებ მე ვერაგ მტერზე, ან მათვე ვვერდით ეპოვებ სამარეს. და თუ გაიგოთ თქვენ აშბავი სასიხარულო, რომ შაჰს სისხლიანს, თვით აღა-მაჰმადს ვიღაც უცნობი ცხელი ტყვიით გაუმასპინძლდა თავის კარავთან, ან ლოგინში ტკბილად მძინარეს, ის მე ვიქნები, თავად შენი ძმა — კახაბერი...

რეპეტიცია რომ დამთავრდა, ზღაპრების მოყვარულმა რეჟისორმა ყარამანი ვულში ჩაიკრა და მთელი დასის გასაგონად თქვა:

— გადარჩა ჩვენი პრემიერა, მეგობრებო!..

ჩემი შორეული ბავშვობა

ზაფხული ეს-ესაა დაიწყო

ბიძინა ფანჯარასთან ზის და, ვინ იცის, მერამდენედ აკოწიწებს საცოდავად დაკრეცილ ტყავის ბურთს. ამასწინათ დედა დაჰპირდა. თუ ჰკუით იქნები, დაბადების დღეზე ახალს გიყიდიო. ბიძინა შემოდგომაზეა დაბადებული და ზაფხული ეს-ესაა დაიწყო, ბურთი კი სწორედ ზაფხულშია ხაჭირო. თანაც ბიჭს მეტისმეტად ძნელი. თითქმის შეუძლებელი პირობა აქვს შესასრულებელი — ჰკუით უნდა იყოს. რამდენჯერმე მოინდომა, სცადა, მაგრამ „ჰკუით ყოფნა“ იმგვარად, როგორც დედა ითხოვდა, არაფრით არ გამოუვიდა. ბიძინა კი არა. ამას ცირაც ვერ ახერხებს ხოლმე, ძმაზე მთელი ორი წლით უფროსი და, ზოგიერთი მეზობლისა და ნაცნობის მტკიცებით, ჭკვიანი და ბეჯითი გოგო. თუმცა, უნდა ითქვას, ზოგჯერ ისიც ძალიან ცდილობს, დატკბება, დაიშაქრება, ჰო. დედიკო, შენ რომ გსურს, სწორედ ისეთი ვიქნები, ისე მოვიქცევიო, დაჰპირდება, გულს გაუკეთებს და ბოლოს მასაც წყალში ჩაუცვივა ყველაფერი.

ფანჯარა ზღვას გადაჰყურებს. ზღვა ლურჯად კრიალებს, ლივლივებს, წყნარად ირხევა, ტალღები ფრთხილად, უხმაუროდ მოირწევიან ნაპირისაკენ, მერე უცებ გაიტლაშუნებენ, ამოიხვნეშებენ და ყრუ შრიალით გარბიან უკან.

პაატა იატაკზე მოკალათებულა. წვრილი, ოქროსფერი მავთულით გალიას ქსოვს. ამ დილით სამხარეულოში სულწასული, გა-

თავხედებული ბეღურა შემოფრინდა, მიიხედ-მოიხედა და, თუმცა პაატა იქვე იდგა, სულაც არ დამფრთხალა, მაგიდაზე მიმოფანტულ პურის ნამცეცებს გამალებით დაუწყო კენკვა. ბიჭმა მაშინვე დაკეტა ფანჯრები და მინაზე მიფრთხიალებული, თავგზააბნეული ჩიტი ადვილად დაიჭირა. ბეღურამ თავგანწირვით, გააფთრებით გაიბრძოლა, ერთხელ გაუსხლტა კიდეც მოძალადეს, მაგრამ სადღა გაიქცეოდა. ისევ მინას მიასკდა და დარეტიანებული იატაკზე ჩამოვარდა. განა რამეს გერჩიო, ამშვიდებდა პაატა, უნდა მოგიშინაუროო, იქნები აქ, ჩვენთან, პურის ნამცეცებიც თაეზე საყრელად გექნება და სხვა საკენკიცო. ტყვე არ უსმენდა, ამაოდ ცდილობდა თავის დაღწევას, ჭყიოდა, მშველელს უხმობდა. პაატამ ჩიტი კარადის ერთ-ერთ უჯრაში დაამწყვდია. მაგრამ იქ, იმ ბნელ დილეგში ტყვეს დიდხანს ვერ გააჩერებს, ებრალება. ჰოდა, აი, გალიას აკეთებს.

ცირა ლოგინზე წევს, წიგნს კითხულობს. ბიძინა ცერად იცქირება დისკენ. ვითომ ნამდვილად ასე გაიტაცა იმ წიგნმა, როგორც თავს აჩვენებს? რაღაც საეჭვოა... ეშმაკობს, უნდა ბიჭმა ყურადღება მოადუნოს, თვალი მოარიდოს და გაქრება, აორთქლდება შენი ცირა. ეძებე მერე. ნეტა ვინ დაპატიჟა კინოში, ლელამ თუ ნანამ? იქნება სამივენი ერთად შედიან? რა დაუშავდებათ, თუ ბიძინასთვისაც აიღებენ ერთ ბილეთს? ფილმი ძალიან საინტერესო ყოფილა — სათაევგადასავლო, ორსერიიანი. არა, დღეს თვალს ვერ მოაცილებს, სალამომდე რომ მოუხდეს ლოდინი.

ზის ბიძინა, ბურთს უკირკიტებს, ცალი თვალი ცირასკენ უჭირავს.

ცირა მშვიდად კითხულობს წიგნს.

— წეღან ლელამ შემოიარა, — იცრუა ბიძინამ.

— წეღან? მე ხომ შინ ვიყავი?

— შენ პურზე იყავი წასული.

ცირამ წიგნი დახურა.

— რაო, დაიბარა რამე?

— არ დაიგვიანოსო.

— საად? — გაიკვირვა ცირამ.

— მე რა ვიცი...

ცირა წამოდგა, წიგნით ხელში კარისკენ წავიდა. ბიძინამ მაშინვე საწოლქვეშ შეაგდო ბურთი. პაატამაც ცქვიტა ყურები.

— საით?

— ქვევით, ბაღში... იქ წავიკითხავ.

ცირა კიბეზე დაეშვა. ბაღის ჭიშკართან არც იყო მისული,

მიიხედა და ჯერ ბიძინა დაინახა, მერე პაატა. კვალდაკვალ მოჰყვებოდნენ დაძაბული, გაფაციცებული, თვალებსაც არ ახამხამებდნენ.

კინოთეატრი აქვეა, ორ ნაბიჯზე. მალე დილის სეანსი დაიწყება. სალაროებთან ხალხი ტრიალებს. ლელამ ალბათ უკვე აიღო ბილეთები, ან რიგში დგას. ცირამ თავისუფალი მერხი მოძებნა, დაჯდა და წიგნი გადაშალა.

ბიძინამ რამდენჯერმე აუარ-ჩამოუარა სალაროებთან ბილეთის რიგში მდგარ ხალხს. მერე გულდასმით დაათვალიერა ბაღი, ერთი კუნჭულიც არ დაუტოვებია. იმედგაცრუებული ცირასთან დაბრუნდა, გვერდით მიუჯდა.

— ცირა, მომეცი რა ფული?

ცირამ თავი ასწია.

— ხუმრობ? მე რა ფული უნდა მქონდეს?

— კინოში რით აპირებ შესვლას?

— არაფრით... მომცილდი, ხელს ნუ მიშლი. პაატას მიხედე. არსად დაიკარგოს.

— შენ თვითონ მიხედე, — ბიძინამ კინოთეატრის გვერდით ნაცნობი დაინახა და გახარებულმა მისკენ მოკურცხლა.

პაატა ჭკვიანი ბიჭია, შორს არსად წავა, არც არაფერს დააშავებს. ჩოგბურთის მოედანთან ჩაცუცქდება სადმე, ან კარუსელთან გაიტრუნება მოჯადოებულივით, ან მოჭადრაკეებს უთვალთვალებს, უზარმაზარი დაფის ირგვლივ რომ დააბიჯებენ და დინჯად გადაქცევთ უჯრიდან უჯრაზე ვეება, მძიმე ფიგურები.

ერთს მაინც გავხედავო, გაიფიქრა ცირამ, ადგა, პაატას მოსაძებნად აპირებდა წასვლას. ამ დროს ბიძინამ მოირბინა. მანეთიანს ამაყად და ნიშნისმოგებით მოაფრიალებდა.

— ვიშოვე თუ არა?!

— სად იშოვე?

— ძმაკაცმა მაჩუქა.

— რომელმა?

— უშანგმა...

ცირა უშანგს არ იცნობს. ბიძინას „ძმაკაცები" უმეტესად დიდი ბიჭები არიან. თავის ტოლებთან მაინცდამაინც არ ამხანაგობს. ეჩხუბება თანატოლებს, დასცინის, ატყუებს, დიდებს კი თვალებში შესციცინებს, ეტმასნება, ყველაფერს უჯერებს. რატომლაც დიდ ბიჭებსაც უყვართ ბიძინა. მათი მხარდაჭერითა და წაქეზებით გათავხედებული ბიჭი ბოლო დროს აუტანელი ჭინჭყლიანი მამლა-

ყინწა გახდა. დღე არ გავა, ჩხუბი და აყალ-მაყალი რომ არ ატეხოს.

— ახლა წავალ, ბილეთს ავიღებ. - თქვა ბიძინამ.

— ჯერ პაატა მოვძებნოთ...

მოჭადრაკეებთან პაატა ალარ აღმოჩნდა, ვერც ჩოგბურთის მოედანთან იპოვეს. კორუსელებს შემოუარეს და შადრევანთან თავმოყრილი ბავშვებისაკენ გასწიეს. პაატას სწორედ ამ დროს მოჰკრეს თვალი, ქერა, ვაჟსდარი, ლამაზი ქალი ქორიკვით რომ დაეცხრა თავზე.

— ამას ვის ვხედავ! შენ პაატა არა ხარ?!

კი ვარო, მიუგო შეშინებულმა ბიჭმა.

— ჩემო პაატა! შენ გენაცვალოს მამიდა!

ქალმა ბიჭი აიტაცა, გულში ჩაიკრა.

— რამოდენა გაზრდილხარ!

ქალის კვერდით მაღალკანჭებიანი, ქერა გოგო იდგა, დროს უხელთებდა თუ არა, მწარედ უჩქმეტდა ბიჭს ხან ლოყაზე, ხან მკლავებზე.

ხომ მიცანი, პაატა?

ასეთი ჩქმეტა ქვეყანაზე სხვამ არავინ იცოდა. იცნო, როგორ არა, ნათელა იყო, მისი მამიდაშვილი.

— აქ მარტო რას აკეთებდი? ცირა და ბიძინა სად არიან? — ჰკითხა მამიდაშვილმა.

— აი, — პაატამ მოახლოებული და-ძმისკენ გაიშვირა ხელი.

— არ გრცხვენია, გოგო? — ჰკითხა ცირას მამიდამ, როცა ხვევნა-კოცნას მორჩნენ, — ასე უნდა დაგვივიწყო?

მამიდა ქალაქის გარეუბანში ცხოვრობს. იქ, კარგა მოზრდილ, ლამაზად მოშენებულ ეზოში საკუთარი სახლი უდგას. სანამ მამა სახლიდან წავიდოდა, და-ძმები ხშირად დადიოდნენ იქ. მამიდაც ხშირი სტუმარი იყო ძმის ოჯახში, მუდამ რაღაც მოჰქონდა ბავშვებთან — ხილი, სათამაშოები. წიგნები...

— არ გრცხვენია, გოგო? — იმეორებდა მამიდა. — დავიჯერო, ვიშლის დედაშენი ჩვენთან სიარულს?

დედა არ უშლიდა ბავშვებს მამიდასთან სტუმრობას, მაგრამ მშვენივრად იცოდნენ, რძალ-მული ერთმანეთს რომ ემდურიოდნენ. ამიტომ იკაეებდნენ თავს. ვაითუ დედას ეწყინოსო, ფიქრობდნენ. .რა თქმა უნდა, არც დედა ეხვეწებოდა მათ, წადით, მამიდა ნახეთ, არ დაივიწყოთო.

— ახლავე ავდგეთ და ყველანი ჩვენთან წაიიდეთ, — თქვა ნათელამ.

— მართლაც, — გაუხარდა მამიდას, — ახლავე უნდა გავტეხოთ ნავსი.

მამიდამ დანატრებულ ძმისშვილებს ხელები მაგრად ჩასჭიდა და ქუჩის ნაპირას გაჩერებული ავტობუსისკენ აიღო გეზი. ვეღარ მიუსწრეს. ავტობუსი დაიძრა. კინოთეატრის წინ პატარა მოედანს შემოუარა და გაუჩინარდა.

— არაფერია, —თქვა მამიდამ, — სხვა მოვა... დავიცადოთ ცოტა.

ამ დროს ზოზინით ჩამოიარა ცისფერმა „ვოლგამ". მძღოლმა კითხვის თვალით გადმოხედა მამიდასა და მის ირგვლივ შეკრებილ ბავშვებს. რომ არავინ შეეხმიანა, სვლას უმატა, გზაჯვარედინზე შემობრუნდა და კინოთეატრის წინ მოედანზე გაჩერდა.

— უშანგი!? — იყვირა ბიძინამ, — ეს უშანგი არ იყო?

— რომელი უშანგი? — ჰკითხა მამიდამ.

— ჩემი ძმაკაცი... ხომ არ მოვიყვანო?

— მანქანა მისია? — ჰკითხა ცირამ.

— აბა ვისი იქნება? ახლავე მოვიყვან... არ გამაწბილებს.

— ჰოო? — მამიდა რატომღაც შეეშვდა. — აი, ავტობუსიც მრავიდა. ნუღარ ვაწუხებთ შენს მეგობარს, სად სცალია ახლა ჩვენთვის.

მამიდასთან

მამიდამ სტუმრები მაგიდასთან დასხა და მაშინვე მურაბა, ჩურჩხელები და ხილი გამოუტანა.

— აბა, მიირთვით, არაფრის მოგერიდოთ.

ბავშვები მართლაც „არაფერს მოერიდნენ" და მალე სუფრაზე მხოლოდ ცარიელი თეფშები დარჩა. აბ, ეს მომწონსო, თქვა მამიდამ, აბა, თქვენ იცით, ტემპი არ შეანელოთო, გავიდა და კახამბლით სავსე ხონჩა შემოიტანა, მაგიდაზე დადგა.

— წელს იმდენი გამოისხა ჩვენმა კახამბალმა, მთელი ქუჩის ბავშვები სულ ზედ სხედან და მაინც ვერ მოლიეს.

სტუმრებმა ის ხონჩა შუამდე ჩაიყვანეს და შედგნენ, მეტი ალარ შეეძლოთ.

— ნათელა, — უთხრა მამიდამ თავის გოგოს, — წაიყვანე ბავშვები, ჩვენი ნუტრიები აჩვენე.

სტუმრები ადგნენ. გულუხვი მასპინძლობისათვის მამიდას მადლობა გადაუხადეს და აივანზე გავიდნენ. კიბეზე რომ ეშვებოდნენ, მამიდამ, რომელიც აივანზე შეჩერებულიყო, ცირას დაუძახა:

— შენც გინდა ნუტრიების ნახვა?

ცირა შეჩერდა. მიხვდა, მამიდას მისთვის რაღაც სათქმელი ჰქონდა.

— ისე, — ცირამ მხრები აიჩეჩა, — მეც ვნახავდი...

— ჯერ ამათ დაათვალიერონ, ჩვენ მერე ვნახოთ.

აივანზე დასხდნენ.

— ბიძინა როგორ სწავლობს? — ჰკითხა მამიდამ.

— ბიძინა? — ცირა შეყოყმანდა. — ცუდად... ზარმაცობს. ცელქობს. დღე არ გავა, დედამ კარგა მაგრად რომ არ შეახუროს. მაინც არფერი ეყურება.

— დედას არაფერში ეხმარება?

— დახმარებას ვინ ჩივის, ნეტა ნერვებს არ უშლიდეს.

— შენ თუ ეხმარები?

— კი, ტექნიკუმში დაეყენები ხოლმე.

— იქ რას აკეთებთ?

— ვალაგებთ... იატაკსა და მერხებს ვწმენდთ... ათასი საქმეა.

— ყოჩაღ, — შეაქო მამიდამ და თავზე ხელი გადაუსვა, — კარგი გოგო ყოფილხარ. ასე უნდა. პაატა როგორია?

— პაატა ყველას გვჯობია. ჭკუის კოლოფია პირდაპირ... წელს მიდის სკოლაში.

— ვენაცვალე... ძალიან ჰგავს მამას, — წამოსცდა მამიდას.

ამ სიტყვებზე თავი უხერხულად იგრძნო, გაჩუმდა, წარბი შეიკრა, სტუმარს თვალები მოარიდა. ცირამ ამ ორიოდე წლის წინ ნახა მამა უკანასკნელად. სკოლიდან მოდიოდა და ქუჩაში შეეფეთა. დაწვრილებით გამოჰკითხა ოჯახის ამბები. მალაზიები მოატარა. რაღაც-რაღაცეები იყიდა მისთვის, ძმებისთვის. ნუ დამივიწყებთო, დაუბარა და წავიდა. მერე არ გამოჩენილა. სახლში დედა არასდროს არ ახსენებს მამას, შვილებსაც უკრძალავს მასზე ლაპარაკს.

— რომელ კლასში ხარ? — ჰკითხა მამიდამ ცირას.

— მეცხრეში გადავედი.

— ჰო, რა თქმა უნდა, შენ და ნათელა ხომ ტოლები ხართ როგორ დამავიწყდა...

ცოტა ხანს ორივენი დუმდნენ. ცირა გრძნობდა, მთავარი სათქმელი, რისთვისაც მამიდამ მასთან განმარტოება მოისურვა, ისევ წინ იყო.

— ჩემს ძმას ვერაფრით ვერ გავამართლებ, მაგრამ მე რა დავაშავე? მე რაღას მერჩის დედაშენი?

— არაფერს, მამიდა, შენზე დედას ცუდი არაფერი უთქვამს.

— ახლოს რომ არ გვიყარებს? ჩემი დანახვაც რომ არ უნდა? ხომ არ ფიქრობს, რომ მე ვურჩიე ჩემს ძმას, მიატოვე ეს სამი ანგელოზივით პაუშვი და აქედან გაღაიხვეწე-მეთქი?

— არა, რას ამბობ, მამიდა...

როცა ორნი ერთმანეთს ვერ ეგუებიან, როცა ვერ იტანენ ერთმანეთს, როგორ ფიქრობ, ხომ შეიძლება, არც ერთი იყოს ცამდე მართალი, არც მეორე?

შეიძლებაო, მიუგო ცირამ, ალბათ ასეცაო.

— დედა ყველას უნდა გვიყვარდეს, პატივს უნდა ვცემდეთ, მაგრამ ავ-კარგიც უნდა გავარჩიოთ. მიკერძოება არ ვარგა. ავი, უზნეო და უხასიათო კაცი ჩემი ძმა არასდროს ყოფილა. ყოველთვის გაურბოდა შფოთიან და აურზაურიან ხალხს. ჰოდა, რა დასამალია, უკვე პატარა აღარა ხარ, მოაბეზრა თავი გაუთავებელმა კიჩკლაობამ და დაკა-დაკამ ოჯახში. რამდენჯერ შემომჩივლა, აღარ შემიძლიაო, უხდა სადმე გავიქცე, გადავიკარგოო... "კი არ ვამართლებ, მაგრამ ცოტა მისკენაც ვთქვათ... მეტისმეტად ფიცხი ქალია დედაშენი... თანაც უხომოდ ეჭვიანი. იქნება ახლა სულ სხვანაირი გახდა, „ორგული" ქმარი და მისი ნათესავები თვალში რომ არ ეჩხირებიან. იქნება დამშვიდდა, ბედს შეურიგდა... არ ვიცი... ღმერთმა ქნას.

მამიდა გაჩუმდა. ძმისშვილს გამომცდელად უმზერდა თვალებში. ცდილობდა გამოეცნო, რას ფიქრობდა სტუმარი, მისთვის ახალი და მოულოდნელი იყო, რაც ახლა გაიგო, თუ ზოგი რამ უკვე იცოდა. ცირამ კვერღზე გაიხედა. მამიდა ადგა, ოთახში შევიდა, რამდენიმე წუთის შემდეგ რაღაც ფურცელი გამოიტანა.

— მამაშენის მისამართია. მიწერე რამე, შეარცხვინე, რატომ მოკვიძულე, რატომ არ ჩნდები-თქო. თუ წახვალ და თვითონ მოინახულებ, ქვეყანა არ დაიქცევა. ნათელაც თან გამოგყვება. ჩაჯდები აუტობუსში და სამ საათში იქა ხარ. ქარხანაში მუშაობს. ნახეთ ერთი, როგორ ცხოვრობს. რას აკეთებს. სხვათა შორის, არც ჩვენ გვეკარება. იცის, შვილების მიტოვებისათვის თავზე ხელს რომ არ გადავუსვამ. მაგრამ მეცოდება კი... რა ვქნა, ჩემი ძმაა... იმიტომაც, ასეთი უხეირო და ბედოვლათი რომაა.

ქაღალდი დაკეცა, ჯიბეში ჩაუდო ცირას.

— ახლა წავიდეთ, ჩვენც ვნახოთ ნუტრიები. სასაცილო ცხოველებია. მთელი დღე რომ იჯდე და უყურო, არ მოგბეზრდება. უმეტეს დროს წყალში ატარებენ. ჩვენს ეზოში ხომ პატარა ნა-

კადული მოჩხრიალებს. აუზი გავუკეთეთ, შიგ წყალი მივუშვით და ზევიდან გალია გადავადგით. ყველაფერს ჭამენ — კომბოსტოს. ჭარხალს, მხალს, ბალახს, ჯერ გულდაგულ ამორეცხავენ წყალში და ჭერე შეექცევიან...

ბიძა

შუადღე გადასული იყო, და-ძმები შინ რომ დაბრუნდნენ. შეაღღეს თუ არა კარები, ღედის ხმაც გაიგონეს:

— მობრძანდნენ... ასეა ყოველდღე. ასე დაწანწალებენ უპატრონოდ. იმოდენა სახლ-კარსა და ეზო-მიდამოს როგორ მოვუვლი მე, ჩემო ნიკო, ამათი შემყურე?

ბავშვები სასტუმრო ოთახში შემწკრივდნენ.

ნიკო ბიძამ სამივე გადაკოცნა და გვერდით მოისვა დივანზე.

— სად იყავით? — მკაცრად ჰკითხა დედამ შვილებს, როცა სტუმარმა მათი ალერსით გული იჯერა.

— მამიდასთან, — მიუგო ბიძინამ.

— ჰოო? — გაუკვირდა დედას, — რაო, ხომ კარგად არიან?

— ჩვენ იქ ნუტრიები ვნახეთ! — ყველას დაასწრო პაატამ. წამით შეჩერდა და ღრმად ჩაისუნთქა, გრძელი ამბის მოსაყოლად მოემზადა.

— ნუტრიებზე შემდეგ ვისაუბროთ, — თქვა ბიძამ, — ახლა ერთ კითხვაზე მიპასუხეთ, გინდათ თუ არა სოფელში ცხოვრება?

გაოცებული და-ძმები უსიტყვოდ მიაჩერდნენ ერთმანეთს.

ნიკო ადგა, ბოლთას ცემა დაიწყო.

— რამ გაგაკვირვათ? ახ, თქვენ ხომ ქალაქელები ბრძანდებით! — ბიძას გაეცინა. — თქვენთვის სოფელში გადასვლა რაღაც ჩამოქვეითებასავით გამოვა, არა?

ბიძამ დისშვილების პირისპირ სკამი დაიდგა, დაჯდა და გაბაგრძო:

— მე უკვე მოველაპარაკე დედათქვენს. ერთხანს უარზე იყო. მერე მითხრა, ბავშვებსაც ჰკითხე, მათი აზრიც ხომ უნდა გავიგოთო. ბებიათქვენი დღემდე, ავად იყო თუ კარგად, უელიდა და პატრონობდა იქაურობას. უკვე დაბერდა, ავადმყოფობა შეეჩვია, მუხლებმა უმტყუნეს, ველარ დადის საწყალი, მკურნალობა უნდა, მე კი ექიმი ვარ, ვინ მოუვლის და უმკურნალებს ჩემზე უკეთესად? მეტი გზა არაა, უნდა წავიყვანო ჩემთან...

ბიძა ღედაქალაქში ცხოვრობდა თავის ცოლშვილთან ერთად.

— სოფელში სახლი ცარიელი გვრჩება. მერე ეზო? თვითონაც კარგად იცით, რა მშვენიერი ეზო აქვს იქ ბებიას. ვაშლი, მსხალი, ატამი, ვენახი, მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი...

ბიძა გადაიხარა, თვალებაციმციმებულ პაატას თავზე დაადო ხელი:

— რაო, რას იტყვი, თანახმა ხარ?

თანახმა ვარო, მაშინვე მიუგო ბიჭმა.

— ბიძინა?

— ახლავე მოვდივარ! — იყვირა ბიძინამ.

— შენ, ცირა?

— დედა თუ თანახმაა...

დედამ თავი დახარა, არაფერი უთქვამს.

— დუმილი თანხმობის ნიშანია, — თქვა ნიკომ.

— მაშინ მეც, — თქვა ცირამ.

— ხვალ კოლმეურნეობის საბარგო მანქანას მოვიყვან, — თქვა ბიძამ, — მზად დაგვხვდით. ბარგს ის წაგვიღებს. თქვენ კი ჩემს მანქანაში ჩასხდებით. აბა, დატრიალდით, მოემზადეთ, დროს ნულარ დაკარგავთ.

უცებ პაატამ მოიწყინა.

— რაღაც გაწუხებს, — უთხრა ბიძამ.

— ზღვაზე საბანაოდ აქ უნდა ჩამოვიდეთ?

— სულელო, — უთხრა ბიძინამ, — ზღვა ხომ იქაც ორ ნაბიჯზეა... ზღვაცა და მდინარეც.

მეჩქარებაო, თქვა ბიძამ, მეც ბევრი საქმე მაქვს მოსაგვარებელიო, დასა და დისშვილებს დაემშვიდობა, კიბეზე დაეშვა, მანქანაში ჩაჯდა და სოფლისკენ გაეშურა.

ბავშვები მაშინვე შეუდგნენ მზადებას. სოფელში ყველაფერი საკმარისზე მეტიც კი დახვდებათ, ავეჯიც, ჯამ-ჭურჭელიც, ლეიბ-საბანიც, მაგრამ შეჩვეულ საგნებთან დაშორება ეძნელებათ, რამდენჯერმე შეავლებენ ხელს ყოველ ნივთს, უმნიშვნელოსა და მნიშვნელოვანსაც, წავიღოთ თუ არაო, თათბირობენ, ხან იქით გადადებენ, ხან აქეთ. დედაც მათთან ერთად ფაციფუცობს, მაგრამ როგორღაც დაბნეული, თავბრუდახვეულია. ტყუილუბრალოდ ბრაზობს, ჯავრობს. ერთი-ორჯერ წამოჰკრა კიდეც ბიძინას ხელი, რომელიც თან საქმეს აკეთებს. თან ცელქობს, ყველას ფეხებში ედება, ხელს უშლის. ბინაში ყველაფერი აირია, ყველაფერი თავდაყირა დადგა.

არ ელოდა კიკა თავისი ახალი მეზობლისა და ამხანაგისაგან ასეთ მუხანათურ ოინს. ადვილად მოატყუა ქალაქელმა ბიჭმა. მე ვიცი, უთხრა, დღისით ცაზე ვარსკვლავები როგორ უნდა დაინახო. თუ გინდა, გასწავლიო, — კიკას გაუხარდა. როგორ არა, კი მინდაო. ბიძინამ მაშინვე საიდანღაც თუნუქის ძველი, ქანჯიანი და მუქვარტლიანი მილი მოარბენინა, კიკას მიაწოდა, აბა, ხელში დაიჭირე და ცას გახედეო, შესთავაზა. კიკამ ნდობითა და სასწაულის ხილვის იმედით გახედა მილსა და მაშინვე სახეში შავი, მუქვარტლიანი წყლის თქეში მოხვდა, ტანსაცმელზე ჩამოეწუწა, თავით ფეხებამდე დასაბანი შეიქნა. რიგიანად გაბრაზება ვერც კი მოასწრო, ბიძინამ აქეთ გაამტყუნა, ეს რა მიამიტი ყოფილხარ, ასე ადვილად როგორ მოტყუვდი, რაკი შეცდი და შერცხვი, ხმა აღარ ამოგეღება, ახლა ისღა დაგრჩენია, ვინმე სხვას გაუკეთო ეს ოინიო, მე და შენ უკვე ძმაკაცები ვართ და ამ შენს მარცხს არავის ვეტყვი. არსად გაგამხელო. ჩაფიქრდა კიკა, როგორ მოვიქცე. გავბრაზდე თუ არაო. ბოლოს დაჰპირდა, მეც ვასწავლი ვინმეს, დღისით ვარსკვლავები როგორ უნდა იხილოსო. დაჰპირდა, მაგრამ ზედვე ეტყობოდა, რომ ამგვარი მუხანათური საქციელის ჩამდენი იგი არ იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ კიკას არც კი ახსოვდა ეს ამბავი. ბიძინა მაინც მეტისმეტად ფხიზლობდა, ყოველ წუთს სამაგიეროს გადახდას ელოდა. არა მგონია, მთლად ასე უეშმაკო იყოს, როგორც თავს იკატუნებსო, ფიქრობდა.

ახლაც, კიკამ რომ შესთავაზა, თუ გინდა, ტყავის ახალ ბურთს გაშოვნინებო, ბიძინა მაშინვე დაეჭვდა, ვინ იცის, რა ოინს მიწყობს, გუნებაში რა უდევსო, გაიფიქრა.

— სადაა ბურთი? — უნდოდ ჰკითხა ბიძინამ.

— წამომყევი და შენი თვალით ნახავ.

რატომაც არ წავყვებიო, გაიცლო გულში ბიძინამ, ვნახავ იმასაც, როგორ გამაცურებსო.

კიკა წინ წაუძღვა. უკან არც იხედებოდა, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბიძინა კვალდაკვალ მისდევდა, ფრთხილობდა, ყოყმანობდა, მაგრამ მაინც მისდევდა. ტყავის ბურთის შოვნა არ იყო უბრალო და უმნიშვნელო საქმე. რომ მასზე ასე ადვილად ეთქვა უარი. მისი ბურთი უკვე აღარაფრად ვარგოდა (კიკამ ეს იცოდა). დაბადების დღემდე კი (თუ დედას ჯერ გადაფიქრებული არ ჰქონდა დანაპირების შესრულება) ბევრი წყალი ჩაივლიდა. კლუბთან რომ

მიაღწია, კიკა შედგა, მოიხედა, ბიძინას თვალი ჩაუკრა, ყველაფერი რიგზეაო. ბიძინას არაფერი უთქვამს, გულგრილი გამომეტყველება მიიღო. კიკამ წამითაც არ უნდა იფიქროს, რომ ბიძინას ყველაფერი უყოყმანოდ სჯერა, რომ მას ვინმე ადვილად მოატყუებს...

უცებ კიკამ პაატას მოჰკრა თვალი. იგი თურმე მალულად მოჰყვებოდა ძმას კვალდაკვალ. მოჰყვებოდა და თან ღობე-ყორესა და ბუჩქს ეფარებოდა, არ დამინახონ, არ გამაგდონო. ახლა გაბედა, საფრიდან გამოვიდა, ბიჭებს გამოუჩნდა.

— რატომ წამოიყვანე? — კიკა ნაწყენი იყო.

— მე წამოვიყვანე? აგვდეენებია... არც დამინახავს.

— ახლა რა ვუყოთ?

— მე რა ვიცი, — ბიძინამ მხრები აიჩეჩა.

— ხომ არ გაგვამხელს?

ბიძინა დაეჭვებული შეჰყურებს კიკას. რას აპირებს? ისეთი რა უნდა ჩაიდინოს, პაატასაგან გამხელის რომ ეშინია?

— გავაგდო? — ჰკითხა ბიძინამ.

— ახლა აღარ წავა. დაიმალება სადმე, თვალთვალს დაგვიწყებს.

— დაიმალება და ისეთს წაეუთაქებ...

— აჰ, არა... მაგას ნუ იზამ. არ ღირს.

კიკას შეეცოდა პაატა. ისიც მიხვდა, რომ მაინცდამაინც სასიკეთოს არაფერს უპირებდნენ, რამდენიმე ნაბიჯით მოინაცვლა უკან, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, ხიფათისაგან თავის დაღწევა მოესწრო.

— იდგეს იქ, — თქვა კიკამ, — იქიდან ბევრს ვერაფერს დაინახავს. ოღონდ უფრო ახლოს ნუ მოუშვებ. თუ კლუბის კარებს ვინმე მოადგეს, დაუსტვინე.

კარგიო, დაეთანხმა ბიძინა. მაინც ვერ მიმხვდარიყო, რას აპირებდა კიკა. არც არაფერს ეკითხებოდა. თუ არაფერს ეშმაკობს და ნამდვილად აპირებს ტყავის ბურთის შოვნას, თვითონვე იტყვის, თუ რა ხერხს უნდა მიმართოს საამისოდ. მაგრამ კიკას არაფერი უთქვამს, მიიხედ-მოიხედა და კლუბის კედელს გაჰყვა იმ მხრიდან, საიდანაც მას ნაძვების კორომი აკრავდა. ნელა მიდიოდა თან უსტვენდა, ალბათ თავს იმხნევებდა. მალე გაუჩინარდა. გავიდა რამდენიმე წუთი. პაატამ ფრთხილად გადმოდგა ათიოდე ნაბიჯი ძმისკენ. ბიძინას არ გამოპარვია პაატას ასეთი გათამამება, მაგრამ არაფერი უთქვამს. კლუბის ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა. გავიდა კიდევ სუთიოდე წუთი და კიკაც გამოჩნდა.

ხელცარიელი იყო. სარკმელში ვერ გაეძვერიო, უთხრა ბიძინას, ძალიან ვეცადე, მაგრამ ვერ გავეტიეო. ეტყობა. მართლა გაცვრებას მიპირებდაო, გაიფიქრა ბიძინამ.

უცებ კიკამ პაატა დაინახა და სახე ვაებადრა.

— მოდი. მოდი! — დაუძახა და ხელიც დაუქნია. — ჩქარა მოდი, რას უდგახარ მანდ... შენ გეუბნები!

პაატამ პირველად ყურებს არ დაუჯერა. მიიხედ-მოიხედა, იქნებ სხვას ეძახისო. შეყოყმანდა. მერე ხელი, ფრთხილი ნაბიჯით გამოსწია მათკენ.

— ხომ არ გეშინიაო? — ჰკითხა კიკამ, პაატა ახლოს რომ მოვიდა.

— მეე? სულაც არა, — მიუგო პაატამ.

— სარკმელში გადაძვრები?

— სარკმელში? რატომ?

— კლუბში უნდა გადახვიდე... მინა ჩატეხილია. მე მოვსინჯე და ვერ გავეტიე... შენ პატარა ხარ, თავისუფლად გადაძვრები.

პაატა შეყოყმანდა. მაინცდამაინც გამბედავი და თავზეხელაღებული არასდროს ყოფილა, პირიქით. მაგრამ ახლა უკანდახევის უფლება არ ჰქონდა.

— კარგი, — თქვა პაატამ.

— სცენაზე უნდა ახვიდე. იქ. ერთ კუთხეში. ფარდებს უკან კარადა დგას. დაკეტილი არ იქნება. გაფუჭებული აქვს საკეტები. ბურთის გარდა, ხელი არაფერს ახლო... მოლად ახალთახალსაც ნუ ამოარჩევ. მე სარკმელთან დაგელოდები.

— კარადა დაკეტილი რომ დამხვდეს?

— არა-მეთქი...

— რომ დამიჭირონ, რას მიზამენ? — იკითხა, რაც კი შეეძლო, მხნედ.

— მტრისას, — უთხრა ბიძინამ, — ყურებს დაგაგლეჯენ.

პაატას ფერი ეცვალა.

— ნუ გეშინია, — გაამხნევა კიკამ, — არაფერსაც არ გიზამენ. ან ვინ უნდა დაგიჭიროს. კლუბში ამ დროს ვის რა ესაქმება.

— მაინც რომ შემოვიღეს ვინმე და მკითხოს, აქ რა გინდაო?

კიკამ ჯიბეები მოიქექა, რიგრიგობით ამოალაგა შურდული, სათამაშო დამბაჩა, ჯაყვა, მაგნიტოფონის უვარგისი კასეტა...

— რომელი გირჩევნია?

პაატამ შურდული ამჯობინა ყველას.

— შენი იყოს, — კიკამ მაშინვე ჩაუჩურთა ჯიბეში, — თუ ვინმე კლუბში შემოხეტოს, უთხარი, კიკამ ეს შურდული სარკმელში

შემომიგდო და გამოტანა მინდოდა-თქო. წამოდი ახლა, სარკმელს გაჩვენებ.

წავიდნენ.

ტყავის ახალი ბურთი იმ დღესვე გასინჯეს. მდინარის პირას პატარა მინდორი მოძებნეს, რიყის ქვებით კარი მონიშნეს, შიგ პაატა ჩააყენეს და საცოდავ ბიჭს სული ამოხადეს ეკალ-ბარდებიდან და ჩირგვებიდან ბურთის ზიდვით.

სახლი გორაკზე დგას. სახლის აივნიდან ცირა მთელ სოფელს ხედავს. აქვე, გზის გადაღმა, ტერასებით დაკბილულ დამრეც ფერდობზე მუქმწვანედ ღაღანებს კოლმეურნეობის ციტრუსების ბაღი. ქვემოთ, ხევში ღელე მიედინება. ღელეს ორივე ნაპირზე თხმელების რაყა მისდევს კარგა შორს, ხელისგულივით გაშლილ დაბლობზე, თვით დიდი მდინარის შესართავამდე.

ღელე პატარაა, მაგრამ, ეტყობა, თევზი ბლომად იცის — ცირა მის ნაპირებზე ხშირად ხედავს მოთევზავე ბიჭებს. ერთ სწორ ადგილას ხევში თხმელების რაყა გაუჩეხავთ და სამხერხაო ქარხანა აუგიათ. იქიდან დილიდან საღამომდე მოისმის ძრავის გუგუნი, ხერხის ზუზუნი. აქ მეზობელი სოფლებიდანაც მოაქვთ ხოლმე ხე-ტყე დასახერხავად. სამხერხაოს გვერდით გზატკეცილია. გზატკეცილის აქეთ მხარეზე სასადილო მოჩანს, იქით — აბანო, რომელსაც ჩამოქერქილი, მაღალი ევკალიპტების ტყე აკრავს. ამ ტყეს ერთი კილომეტრის სიგრძე და სიგანე თუ ექნება. მერე კი, თვალუწვდენელ ველზე, დიდი მდინარის გაღმა და გამოღმა, თვით შორეული მთის ძირებამდეც კი, ჩაის პლანტაციებია გაშლილი.

დედა უკვე კოლმეურნეობაში მუშაობს. სისხამ დილით მიდის პლანტაციაში და გვიან საღამოს ბრუნდება. იგი იმ დროს იღვიძებს და დგება, როცა ბავშვებს ყველაზე მეტად უტკბებათ ძილი და მათი გაღვიძება მთელი დავიდარაბაა. არა და ვერც ასე გულისძილში ჩაფლულებს დატოვებს — ჯერ ერთი, ვინ იცის, თავისით როდის გაიღვიძებენ და ადგებიან, იქნება შუადღემდეც არ გამოძვრნენ ლოგინებიდან. მეორეც — სახლია, ოჯახია, საღამომდე შინ ვერ მოვა, რამდენი საქმეა, რამდენი რამ აქვს დასაბარებელი. ბავშვებს ძილ-ღვიძილში ჩაესმით დედის ძახილი, საყვედურები, ზოგჯერ კაი მაგარი ჩხუბიც: — თქვე უქნარებო, ზარმაცებო, უპიროებო, ჩემს მტანჯველ-მწვალებლებად გაჩენილებოო, ამისთანები და ამაზე უარესებიც. ცირა ცდილობს დილის უტკბილეს ძილ-ბურანს თავი

წაართვას. „ცირა, გაიღვიძებ თუ არა?“ — ეძახის დედა, ისე ხმამაღლა, ალბათ, მთელ სოფელს ესმის. „ჰო, გავიღვიძე, ვდგები...“ „ცირა, მივდივარ...“, „ჰო, წადი...“ პასუხობს ცირა და საკმარისია ორიოდე წუთით შეწყდეს დედის ძახილი, ცირას სძინავს. „ცირა, ახლავე ადექი, გოგო, არ ამომიყვანო მანდ“.

ბიძინა წრიალებს. დედის გაუთავებელმა ძახილმა ძილი გაუკრთო. თავს წამოსწევს, დას შეუღრენს:

— ადექი, რაღას ელოდები, გააჭირე საქმე!

— თავი დამანებე! — იგერიებს ცირა ძმის შემოტევას. — შენ თვითონ რატომ არ დგები?

— მე ხომ არ მეძახის?

— ყველას გვეძახის...

როგორც იქნა, დასძლია ცირამ ძილი, ადგა, თვალების ფშვნეტით ჩავიდა კიბეზე. დედას ძალიან ეჩქარება, საცაა. ავტობუსი გამოივლის და ჭიშკართან უნდა დახვდეს, თორემ გაასწრებს და მერე თავის ნაკვეთში ჩასვლას მთელ საათს მოუნდება. მთელი დღის საქმეებს ცირას სხაპასხუპით უბარებს, თან გზისკენ გაურბის თვალები: ძროხა მოწველოს, რძე ჩაქნას და ყველი ამოიყვანოს, ქათმები დააპუროს, ბავშვები უსაუზმოდ არ დატოვოს. ძროხა საძოვარზეა გასადენი, ღორები გამოსაშვები და ქვევით, ღელეში ჩასარეკი... წიწილები, სადილი, ვახშამი, მაღაზიიდან პურის მოტანა, ბოსტანი, მთლად რომ წაუღია ბალახს...

ცირა ძლივს დგას ფეხზე. ეს ყველაფერი ათასჯერ აქვს მონასმენი. უკვე ზეპირად იცის, რა უნდა გააკეთოს, მაგრამ დედა მაინც არ ენდობა. მაინც ყოველ დილით ერთსა და იმავეს უმეორებს. უსმენს, თვალები ეხუჭება. ზოგჯერ კიბის საფეხურზე ჩამოჯდება და იქვე ეყვინთება. არც კი ესმის წესიერად, რას უბარებს დედა...

— გესმის, გოგო, გაიგე?

— ჰო, გავიგე...

დედა არაა დარწმუნებული, რომ მოუსმინეს. თავიდან იწყებს ჩამოთვლას, თუ რა უნდა გააკეთდეს სახლში მისი პლანტაციიდან დაბრუნებამდე. ამასობაში ჭიშკარს კოლმეურნეობის ავტობუსი მოადგება, ისმის გაჯავრებული, მოუთმენელი პიპინი. დედა გარბის. ცირა ონკანთან მიდის და ხელ-პირს იბანს (არცთუ იშვიათად საწოლში ბრუნდება და ძილს აგრძელებს). ქურაზე ჩაიდანს დგამს და ძმების გასაღვიძებლად მიდის. ცოტა ხანს კიდევ გვაცალეო, ემუდარებიან ისინი. რატომღაც ბიძინას უფრო უჭირს ადგომა, ვიდრე პაატას. ცირას აღარ ებრალება ძმები, სულსაც არ

მოათქმევინებს, სანამ არ ადგებიან. ხელ-პირს არ დაიბანენ, სანამ ისინიც საქმეში არ ჩაებმებიან. ბიჭები სამაგიეროს იმით უხდიან, რომ, დროს იხელთებენ თუ არა. დაკრავენ ფეხსა და გადაიკარ-გებიან, მაშინღა გამოჩნდებიან, შიმშილი რომ შეაწუხებთ. ხშირად ამასაც უძლებენ. ოღონდ თავისუფლება არ შეეზღუდოთ. კაცმა არ იცის, სად დადიან. რას აკეთებენ, რით ერთობიან, რას აფუ-ჭებენ და აშავებენ. არა და. არც ისე პატარები არიან, მშვენივრად შეუძლიათ დას ამ გაუთავებელ საქმეებში შეეხიდონ... ეჰ, ნეტა კისერს არ მოიტეხდნენ სადმე, დახმარებას ვინღა ჩივის. დედას-თან მათზეც ცირამ უნდა ავოს პასუხი — ის ხომ დიდია უკვე, „ჭკუასაკითხავია“.

სამზარეულოში ტრიალს რომ მორჩება, ცირა ბოსტნისკენ გარბის. ბოსტანს ტრიფოლიატის ცოცხალი ღობე აქვს შემოვ-ლებული. ერთ კუთხეში სანახევროდ გამხმარი, კარგა მაღალი ატ-მის ხე დგას. ატამი მწიფს. წელს თავი გამოიდო, სანამ მთლიანად გახმებოდეს, მოასწრო, კარგად დაისხა, კარგადაც დაამწიფა, ძაგრამ რად გინდა, ზედ ასელა საშიშია, ისე საცოდავად ყანყა-ლებს, შეიძლება ძირშივე მოსკდეს. თუ ჭოკით ჩამობერტყავ, ნა-ყოფი მაინცდამაინც ეკლებში ცვივა და ხელების დაუკაწრავად იქიდან ერთ ცალსაც ვერ გამოიტან.

ცირა კვლებს შორის დადის. სარეველას ხელით გლეჯს. ან ვიწროპირიანი თოხით თხრის. მართლა გვარიანად წამოზრდილა ბალახი, ზოგან მუხლებამდეც კი სწვდება. ბალახს ბოსტნეული დაუჩაგრავს, ძლივს უდგათ სული ქინძსა და მაკიდოს, პრასსა და ნიახურს. წიწმატი ნაადრევად აყვავილებულა, ჩამხმარა. პამიდორს ნაცარა მორევია, კიტრსაც უჭირს, ეტყობა, წყალი მოაკლდა.

ცირას მობეზრდა მიწაში ღონივრად ფესვგადგმული ბალახის გლეჯა. ატამს ეპოტინება, ფრთხილად მიცოცავს ზედ. თან მო-ზრდილი ჩანთა მიაქვს. დედამ დაუბარა, თუ მოახერხებ და მო-კრეფ, ზამთრისთვის კომპოტს გავაკეთებთო. მწიფე ნაყოფით დატვირთული ტოტები სულ ზევითაა, კენწეროში. ააღწია. რო-გორც იქნა. ოდნავ შეარხია ხე, გამიძლებს თუ არაო, მერე გამა-ლებით შეუდგა კრეფას. მთლიანად უნდა გაკრიფოს. არცერთი ცალი არ უნდა დატოვოს ზედ. მეორედ ამ ხეზე ამოსვლა არავის არ უნდა დასჭირდეს. მომავალ წელს ალბათ აღარ აყვავილდება, თუ არ გახმა, ან ქარი გადაამსხვრევს, ან თოვლის სიმძიმე.

ატმის კენწეროდან ხელისგულივით მოჩანს მეზობლის ეზო. იქ, ოდის წინ მსხლის დახრილ ტოტებს შორის ჰამაკია გაბმული. ჰამაკში ცირას ტოლა გოგო მოკალთებულა, წიგნს კითხულობს.

გოგოს იამზე ჰქვია, ცისფერი თვალები, პაჭუა ცხვირი და ოქროსფერი თმა აქვს. ცირა ხმაღაბლა უსტვენს. იამზე ფაფუაცდა, თვალებით ეძებს მეზობელს. აჰა, იპოვა...

— სად ასულხარ, გოგო, არ ჩამოვარდე!

ატამი არ გინდა? მოდი ლობესთან.

— აბ, მახდ რა მომიყვანს...

— მოდი, მოდი...

იამზე ჰამაკიდან გადმოვა. ლობესთან მიდის. ცირა საათითა ოდ ესვრის ატმებს. იამზე ჰაერშიეე იჭერს. იქვე ბალახებში აწყობს.

მერე სადმე ჩრდილში განმარტოვდებიან. საუბრობენ.

ამდენი ოჯახური საქმეები მეც მომბეზრდაო, წუწუნებს იამზე. ერთი სული აქვს. როდის დაიწყება სკოლა, შუადღემდე ხომ სკოლაში იქნება, ნაშუადღევს კი ეაკვეთილები უნდა ისწავლოს. ძალაუნებურად გათავისუფლდება ამ ათასგვარი წვრილმანი საქმისავან, თავსა და ბოლოს რომ ვერ გაუგებს კაცი. ცირასავით იამზეც მეცხრეშია უკვე. მისი უმცროსი ძმა კიკა კი ბიძინას ტოლია. უფროსი — ირაკლი სტუდენტია. ღაუსწრებლად სწავლობს, თან ქვემოთ. სამხერხაოზე მუშაობს. მამა გათენებიდან დაღამებამდე ფერმაშია, დედა — ჩაის პლანტაციაში. რამდენი რამა აქვთ გოგოებს ერთმანეთისათვის საამბობი, საჭორაო. აი, იმ სახლში, ხეეგაღმა ფერდობზე რომ დგას, ფიზკულტურის მასწავლებელი ცხოვრობს. მასწავლებლის უფროსი ბიჭი — შაქრო მათი თანაკლასელია. ლექსებს წერს. დარწმუნებულია, რომ სახელოვანი კაცი გახდება. რატომაც არა, შეიძლება გახდეს კიდეც, კარგად სწავლობს. ლექსებს ხომ წერს და წერს... აქეთ კი, შუკის დასაწყისში რომ სახლი დგას, კიდევ ერთი თანაკლასელი ცხოვრობს. ნუგზარი ჰქვია. ეს ალბათ მხატვარი გამოვა. ერთი მოჭიდავეც ჰყავთ, რაიონის ჩემპიონია მოსწავლეთა შორის. მისი სახლი აქედან არ მოჩანს. აი, როგორი სახელოვანი ხალხი სწავლობს მეცხრე კლასში...

მგაცდელები

ეს ჩვენი წიწილები რაღაც თვალში მეცოტავებაო, თქვა ერთ საღამოს დედამ. ფარანი წაიღო და მოზრდილ ყუთში ჩაბუდებული წიწილები გადათვალა.

— ცირა! ბიძინა! აქ მოდით ახლავე!

ბავშვები მოვიდნენ.

— ,ხომ არ აკლია? — შიშით იკითხა ცირამ.

— აკლიაო? განახევრებულია... სად გაქრა ეს დაზრდილი წიწილები?

ცირა და ბიძინა უსიტყვოდ მიაჩერდნენ ერთმანეთს.

დილით, საკენკი რომ დაუყარა, დედამ ქათმებიც დაითვალა. ორი ვარია და ერთი მამალი დაკარგულიყო.

— აი, თურმე როგორ ოჯახობთ... სად დავემალო სირცხვილს? მოხუცმა, ავადმყოფმა ქალმა მოაშენა, მოამრავლა. ის მარტო იყო, თქვენ სამი სული ხართ და ისიც არ შეგიძლიათ, მოხუცის მონაგარი ქარს არ გაატანოთ.

მეორე დღეს თავის განუყრელ მეგობარს, კიკას, შესჩივლა ბიძინამ თავისი გაჭირვება, მტაცებლები შემოგვეჩვია, ფრინველი გაგვიჩანაგაო.

— წამოდი, — უთხრა კიკამ. — რალაც უნდა გაჩვენო.

კიკა წალდით შეიარაღდა და ბიძინას წინ გაუძღვა. მათ საკარმიდამო ნაკვეთს უკანა მხრიდან ტყე-ბუჩქნარიანი, ხვიარით გადაბარდული ფერდობი აკრავდა. გულდაგულ გადაჩხრიკეს ბიჭებმა იქაურობა, ხვიარებსა და ეკალ-ბარდებს შორის გზას წალდით იკაფავდნენ. სამი სორო აღმოაჩინეს. სოროების გვერდით ქათმის ბუმბული და გამოხრული თავ-ფეხი იყო მიმოფანტული.

— ბიჭოს! — თქვა გაოცებულმა ბიძინამ. — აქ მთელი ქალაქი ჰქონიათ... ტურებია თუ მელიები?

— მაჩვებია, — თქვა კიკამ.

— მაჩვიც ნადირობს ქათამზე?

შორიახლოს რამდენიმე ქათამი იქექებოდა, ერთი მათგანი ზედ სოროს პირზე რომ სეირნობდა, თვისტომის თავის ქალასთან შეჩერდა, ჩაუნასკარტა.

— უყურე ამ სულელს, — თქვა კიკამ, — ლამის თვითონ შეძვრეს სოროში. მოდი ახლა და გაამტყუნე მაჩვი, ქათმის ხორცი რომ შეყვარებია.

— წიწილებსაც მაჩვები გვპარავენ? — ჰკითხა ბიძინამ.

— არა, მიუგო კიკამ, — წიწილებს აქ რა უნდა... ალბათ ქორი შემოგეჩვიათ. დავუდარაჯოთ, ვნახოთ.

დაუდარაჯეს. კარგა ხანს ისხდნენ ბუჩქებში სულგანაბულები. თვალს არ აცილებდნენ ეზოში გაფანტულ წიწილებს, გამალებით რომ ქექავდნენ მიწას, აინუნშიაც რომ არ აგდებდნენ კრუხის გაფრთხილებას, შორს არ წახვიდეთ, არ მომცილდეთო. ზოგი, უფრო თამამი და ღონიერი მოზრდილ ჭიაყელას ამოათრევდა მიწიდან. მაშინვე წაესეოდნენ სხვები. თავ-ბოლოში ჩააფრინდებოდნენ, ერთი ჯგუფი აქეთ ექაჩებოდა, მეორე — იქით. ხან ერ-

თი მხარე აჯობებდა და ხან მეორე. გაგრძელდებოდა ჭიაყელა, გაწვრილდებოდა და ბოლოს შუაზე გაწყდებოდა. მერე იმ ნაწყვეტებს დააცხრებოდნენ, კვლავ ატყდებოდა წეწვა-გლეჯა. ახლა ქორი რომ წამოუფრინდეთ, ფიქრობდა ბიძინა, ერთი კი არა, იქნება ხუთი ერთად დაიჭიროს და გაიტაცოსო. მაჩვებს როგორმე მოუვლის, სოროების შესასვლელებს ჯირკებით, ქვებითა და მიწით ამოუქოლავს, როგორღა ამოვლენ? დაწყდებიან იქ შიმშილით. მაგრამ ქორი რით უნდა მოინადიროს?

— თოფი თუ გაქვთ? — ჰკითხა ბიძინამ კიკას.

— გვაქვს, — მიუგო კიკამ, -- მაკრამ სეიფშია ჩაკეტილი... ფერმაში დააქვს ხოლმე მამას, როცა მორიგეობს, ან საზაფხულო საძოვრებზე რომ მიჰყვება საქონელს.

უცებ კრუხმა განგაში ატეხა, დაფაფხურდა, გაიფოფრა, წიწილებს მოუხმო. მიხვდნენ წიწილებიც, რომ დედა ტყუილუბრალოდ ასე არ გაწიწმატდებოდა, დაფრთხნენ, ბუჩქებში და მაღალ ბალახებში მიიმალნენ. ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, ადგილზევე გაეკრო მიწას, გაისუსა. ბიჭებმა თვალები დააცეცეს, მაგრამ საშიში და საგანგაშო ვერაფერი შენიშნეს. ამ დროს წიწილას სასოწარკვეთილი, განწირული წივილი გაიგონეს, მაშინვე გამოცვივდნენ საფარიდან და თვალი მოჰკრეს ვეება შავ კატას, რომელსაც პირში წიწილა ეჭირა და გრძელი ნახტომებით ხევისკენ გარბოდა. ბიძინამ ქვას დასტაცა ხელი და მტაცებელს გაეკთო, მაგრამ კატა ისევე თვალისდახამხამებაში გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა.

— ასეც ვიცოდი, — თქვა კიკამ, — კატა ყოფილა.

— როგორ, — ბიძინა ქშინავდა, ფერი წასვლოდა. ხელში კარგა დიდი ქვა ჩაებღუჯა, — კატებიც ნადირობენ წიწილებზე?

— ყველა არა. ეს გაწუწკებული და გაველურებული იყოს. პატრონმა მოიძულა, გადააგდო, მოიცილა... რა ქნას კატამ, ნადირობით ირჩენს თავს. თაგვი და ჩიტი უფრო ძნელი დასაჭერია, ვიდრე წიწილა.

— უნდა მოვკლათ, — თქვა ბიძინამ, — თუ არ მოვკალით, სულ გაგვცლის.

მოვკლათო, დაეთანხმა კიკა.

— რით?

კიკა ჩაფიქრდა.

— ხელში რა გიჭირავს? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ქვა, — მიუგო ბიძინამ.

— მერე? რიდაა ცუდი იარაღი? — უთხრა კიკამ. — იყო დრო, ქვებით მამონტებსაც კი ხოცავდნენ. მთავარია, იცოდე მისი გა-

მოყენება, პირველ რიგში კი ზუსტი სროლა. უნდა ეივარ-ჯიშოთ.

დაძებნეს უვარგისი ბოთლები, მინის ქილები და კონსერვის კოლოფები, ხევში ჩაზიდეს, იქ სამიზნეები მოაწყვეს და ვარჯიშს შეუდგნენ. გაველურებულ კატას, ალბათ, ხუთმეტ ნაბიჯზე ახლოს ვერ მოიტყუებდნენ. ძნელი ამოცანა ჰქონდათ — ამ მანძილზე პირველივე ტყორცნით უნდა დაეზიანებინათ სამიზნე. დააწყდათ მკლავები ქვების სროლით. შედეგი თითქმის უნუგეშო აღმოჩნდა, მიზანს მხოლოდ მეათე ქვა ხვდებოდა.

— ჩვენს შორეულ წინაპრებს, — თქვა კიკამ, — რაკი სხვა. იარაღი არ გააჩნდათ, ალბათ. დაბადებიდანვე ავარჯიშებდნენ ქვების სროლაში... — ბიჭოს! — შესძახა უცებ, — წეღან როგორ არ გამახსენდა, მოდი, მშვილდ-ისარი გავაკეთოთ... მშვილდ-ისრით იქნება მაჩვებიც კი დავხოცოთ.

მთელი დღე იწვალეს, მშვილდებიც გააკეთეს, ისრებიც დაამზადეს. არც ამ საქმიდან გამოვიდა რამე.

— თოფი გვინდა, — თქვა ბიძინამ.

— მომყევი, — უთხრა კიკამ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ.

ხევში ჩავიდნენ. ერთ ხანს ხევ-ხევ იარეს, მერე ძეძვის ღობეზე გადახტნენ და ბამბუკის ტანაყრილ რაყას შეერივნენ. ძლივს მიიკვლევდნენ გზას. ერთმანეთში გადახლართულიყო ეკალ-ბარდი, ხვიარები და ბამბუკები. კიკა კვლავ წინ მიძვრებოდა. ეტყობა, იქაურობა მისთვის კარგად იყო ნაცნობი. როგორც იქნა გაალწიეს და ვილაცის ეზოში ამოყვეს თავი.

ეზო სავსე. იყო ფორთოხლის, მანდარინის, ვაშლისა და მსხლის ხეებით. აქა-იქ ქლიავიცა და ატამიც დაინახეს. ეზო კარგად იყო მოვლილი. დაგვილი, გაწკრიალებული და გალამაზებული იყო ყველაფერი, მაგრამ ეზოში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მხოლოდ ფუტკრები ზუზუნებდნენ გაუთავებლად. ორსართულიანი ხის კოხტა სახლის გვერდით ხუთიოდე ბუკი იდგა. ბუკების ირგვლივ უთვალავი ფუტკარი ირეოდა, ისე ბევრი იყვნენ, მზეც კი დაეჩრდილათ. ბიძინა შეკრთა, ნაბიჯი შეანელა. მოეჩვენა, რომ დაუპატიჟებელი სტუმრების დანახვაზე, ფუტკრები გაჯავრებითა და მუქარით აზუზუნდნენ, თითქოს კიდევ უფრო მომრავლდნენ ერთბაშად.

— ეს ვისი სახლია? — იკითხა ბიძინამ.

— აქ მამაჩემის ბიძაშვილი ცხოვრობს. მთელი ოჯახი კურორტზეა წასული. მოდი, მოდი, ნუ გეშინია.

ბუკებს ფრთხილად შემოუარეს და ძველებურ ფიცრულ ჭოხს მიადგნენ. კარზე ვეება ბოქლომი ეკიდა. ლაფარაში, თაროზე და-

წყობილ ქვაბებს შორის კიკამ გასაღები იპოვა და ბოქლომი გაიღო. ქოხში შევიდნენ. ეტყობოდა, ამ ქოხს ძველმანებისა და ყოველგვარი ხარა-ხურის შესანახად იყენებდნენ. კიკა კედელზე მიყუდებულ პატარა კიბეს ასწვა და სხვენში გაუჩინარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოჩნდა აბლაბუდაში გახვეული, გამტვერიანებული. გრძელსა და მძიმე ნივთს მოათრევდა. გამომართვეო, დაუძახა ბიძინას და რაღაც რკინის მილის მსგავსი ჩამოაწოდა. ბიძინა მილს წაეტანა, მოსწია, და ხელში უზარმაზარი თოფი შერჩა. ამსიგრძე თოფი ერთხელ მუზეუმში ჰქონდა ნანახი ბიძინას. ლულა ქანგით იყო დაფარული, კონდახი ჭიებს დაეხრა და დაეფუტრა. თოფი გარეთ, სინათლეზე გაიტანეს. კედელზე მიაყუდეს და გულდასმით დაათვალიერეს.

— ქანგიანი რომაა, — თქვა კიკამ, — ეგ არაფერი. ნავთით გავწმენდთ და გავაკრიალებთ.

მთელი ამ საომარი მზადების შტაბი ბიძინას მოწყობილი ჰქონდა სამხარეულოს გვერდით მიშენებულ პატარა ფარდულში. აქ ზამთრობით შეშას აწყობდნენ, ახლა კი ცარიელი იყო და ბიძინას ძალიან მოსწონდა, რადგან იშვიათად თუ შემოიხედავდა ვინმე. ყველაფერი, რაც ბიძინას თავის შეუვალ საკუთრებად მიაჩნდა, აქ შემოჰქონდა და კედელზე მიჭედებულ თაროებზე ალაგებდა. კიკას მამის ბიძაშვილის სახლში ნაპოვნმა ცეცხლმსროლელმა იარაღმაც მაშინვე ამ ფარდულში დაიდო ბინა. მას ყველაზე საპატიო ადგილი მიუჩინეს. შეძლებისდაგვარად გაწმინდეს, გახეხეს, გააკრიალეს. ლულა და კონდახი თოფს თავის ადგილას ჰქონდა, მაგრამ ვერასგზით ვერ მიაგნეს ვაზნის ჩასადებ ადგილსა და ჩახმახს. მერე ორთავეს გაახსენდათ კინოში ნანახი, პირდაპირ ლულიდან რომ ტენიან ძველი დროის მეომრები თოფებს. ამასაც ასე გაეტენითო, გადაწყვიტეს. ეს უკეთესიაიაო, თქვა კიკამ, ვაზნები საძებარი არა გვაქვს, თანაც, ვაზნები ხომ სხვადასხვა ყალიბისაა, ამ თოფის ყალიბს კი ეშმაკიც ვერ გამოიცნობსო.

რაც შეეხება ჩახმახს, ამაზე შემდეგ იფიქრებენ, ტყვია-წამალს რომ იშოვნიან...

იქნება სულაც არ სჭირდება ჩახმახი?

სასარგებლო ზრომა

ქალაქიდან ჩამოსახლებულებს საკარმიდამოზე ჩაის პატარა ნაკვეთიც დახვდათ. რაც ამ ნაკვეთზე მოსავალს აიღებთ, სულ თქვენს ჯაუაზე მოიხმარეთო, დაუბარა ბებამ შვილიშვილებს, ოღონდ

ოქვენვე უნდა მოუაროთ, დაამუშაოთ, მოკრიფოთო. ამ პირობაზე დედაც მაშინვე სიხარულით დათანხმდათ, მაგ ნაკვეთისთვის მე არც კი მეცლებაო. ბიძინამ ნაკვეთი მოათვალიერა, ეცოტავა კიდეც. ნეტა მეტი ყოფილიყოო. დედას ხელწერილიც კი დააწერინა, რომ პირობას არ შეცვლიდა. მაგრამ, დაიწყეს თუ არა კრეფა, პირველმა ბიძინამ ჩამოყარა ყურები, არც კრეფა მინდა, არც ფულიო. აბა პაატა რისი მომკრეფი იყო, ისევ ცირას შეაჩეჩეს ხელში მთელი ნაკვეთი. რაღას იზამდა, უელიდა, კრეფდა ძალაუნებურად. ჯერ ერთი გოგო იყო, თანაც ყველაზე უფროსი...

დილა იყო. ცირა აივანზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. ბიძინა საანკესოდ აპირებდა წასვლას, ბოსლის გვერდზე ნაკელს ჩხრეკდა, ჭიაყელებს აგროვებდა. წარბშეკრული და ცხვირჩამოშვებული პაატა ეზოში დააბიჯებდა, გაჯავრებული რაღაცას თავისთვის ბუზღუნებდა. უცებ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, კიბეს შემოუდგა, ცირასთან მივიდა და შორიახლოს გაჩერდა.

— იცი, ბიძინამ რა ქნა? — ჰკითხა ცირას.

— არ ვიცი, — მიუგო ცირამ.

— ბურთი მოიპარა.

ცირამ წიგნი დახურა.

— მოიპარა? სად? როდის?

— კლუბში...

— და მეტი არაფერი? შერჩა?

— შერჩა... არავის გაუგია.

— აჰა, ახლა ეგაც დაიწყო? უყურე ერთი მაგ ჯიბგირს და ბაცაცას. შენ ვინ გითხრა? იქ ხომ არ ყოფილხარ?

— იქ ვიყავი.

— რაო, რა გითხრა, არსად თქვაო?

— ჰო, არსად თქვაო... არც ვიტყოდი, მაგრამ სათევზაოდ მიდის და მე არ მივყავარ. ცუდი ადგილებიაო... წყალში ჩავარდები და დაიხრჩობიო.

— სწორი უთქვამს. შენ პატარა ხარ, მართლა გადავარდები სადმე.

— არ გადავვარდები.

— იცი, რას გეტყვი? შინ იჯექი. ყველაფერს ის აჯობებს, ჩაის კრეფაზე თუ მომეხმარები. ერთი კილო რომ მომიკრიფო, ისიც საქმეა.

— როდის?

— ახლა... ცვარი გაშრება და დავიწყებთ. სხვა ვინ იყო იქ, თქვენთან?

— საად?

— კლუბში. ბურთს რომ იპარავდით.

— კიკა იყო.

— როგორ შეხვედით?

— ფანჯრიდან.

— ვინ გადაძვრა? ბიძინა? კიკა?

— მე...

— მაშინ შენ მოგიპარავს და არა იმათ.

— იმათ დამავალეს. ფანჯარაში გადამსვეს, თვითონ გარეთ მელოდებოდნენ.

— ბურთი სადაა?

— ბიძინამ თავის ფარდულში ჩაკეტა.

ბიძინამ მთელი ქილა აავსო ჭიაყელებით. ამასობაში კიკაც გამოჩნდა. ხელში ბამბუკის ჯოხი ეჭირა, მხარზე ჩანთა ეკიდა. ბიძინა სამზარეულოში შევიდა, რაღაც გამოიტანა გაზეთში გახვეული, მეგობარს ჩანთაში ჩაუდო. „საგზალი მიაქვს, — უთხრა პაატამ ცირას, — საღამომდე იქ აპირებენ დარჩენას". ცირა ძირს ჩამოვიდა, ყველაზე დიდი კალათა მოძებნა, აბა, ერთი აქ მობრძანდითო, დაუძახა ბიძინასა და მის მეგობარს.

— არ მცალია, — მიუგო ბიძინამ.

— უნდა მოიცალოთ როგორმე, ასე აჯობებს თქვენთვის.

— რა გინდა? — ბიძინა ახლოს მოვიდა.

— საით აპირებ?

— საქმეზე.

— ძალიან საჭირო საქმეა?

— ეგ მე ვიცი, საჭიროა თუ არა...

— რაკი ძალიან საჭიროა, დიდხანს არ შეგაფერხებ, მაგრამ სანამ ამ კალათას არ გაავსებ, ფეხსაც ვერ მოიცვლი.

— ახალი ამბავი, — გაეცინა ბიძინას, — ამ კალათას მე საღამომდეც ვერ გავავსებ.

— თუ მოინდომებ, მალე გაავსებ. შენი ძმაკაციც მოგეხმარება. აი, პაატაც წამოგიკრავთ ხელს, თქვენი ამქრის წევრია.

— ჩემი იმედი ნუ გექნებათ, — თქვა კიკამ, — ჩაის კრეფამ შინ მომაბეზრა თავი.

— მაშ, უსაქმურად ყოფნა გინდათ, არა? ის მაინც მითხარით, ბურთი სად დამალეთ?

— რომელი ბურთი? — რაც კი შეეძლო, მშვიდად იკითხა ბიძინამ.

— ნაქურდალი...

ბიჭები ერთმანეთს მიაჩერდნენ.

— ვინ გითხრა, პაატამ? — ჰკითხა ბიძინამ.

— ჩიტმა მომიტანა ამბავი.

— ვიცნობთ ჩვენ მაგ ჩიტს.

პაატა ცირასკენ მიჩოჩდა.

— დამაცადე, დაემუქრა ბიძინა, — მე შენ გიჩვენებ...

— პაატას ვინმემ ხელი არ დააკაროს, თორემ ჩემთან ექნება საქმე, — გააფრთხილა ცირამ ბიჭები, მერე დაუმატა, — იმ ფარდულში, ბოქლომით რომ დაკიკეტავთ, სხვა რამეებსაც მალავთ თქვენ, უმაწვილებო.

— არაფერსაც არ ვმალავთ, — ხმას დაუწია ბიძინამ, კალათას გადახედა ცერად, მიხვდა, ჩაჩრეულას ჩაყოლა სჯობდა.

— თოფი სად იშოვეთ?

— თოფი არა, ზარბაბანი. — ნაძალადევად გაიცინა კიკამ, — ის თუ თოფია. ლულა და კონდახია მარტო, ჩახმახი არა აქვს და ორიფერი... ჯართადაც არ ვარგა.

— მაგ თოფი და ბურთი საკმარისზე მეტია საიმისოდ, რომ ორივე დაგიჭირონ და ციხეში ჩაგსვან.

— ბურთი პაატამ მოიპარა, — უთხრა კიკამ, — შენმა პატარა ძამიკომ. ჩვენ კლუბში არ შეესულვართ.

— პაატას არაფერს ეტყვიან, ჯერ პატარაა... თქვენ, დაგიჭერენ. თავისით ხომ არ შესულა? თქვენ დაავალეთ, შეგზავნეთ — შეაცდინეთ ბავშვი, მძიმე დანაშაული ჩააღენინეთ.

— დაგვიჭერენ კი არა, — ბიძინა კალათას მიუახლოვდა, ახლა იგი მზად იყო თუნდაც ცეცხლში გადავარდნილიყო, თუ ცირა მოასურვებდა.

— საღამოს დედას ვეტყვი ყველაფერს. დედა ისეთ ღღეში გაგატარებს, მერე ციხე ედემის ბაღად მოგეჩვენება.

ბიძინა კალათას წაეტანა.

— ვაი, რამოდენაა, ეს ოხერი... შუაზე მოვაყენებთ რა, ცირა, გეხვეწები.

— აავსებთ. თანაც კარგად უნდა ჩატენოთ.

— წამო, კიკა, — უთხრა ბიძინამ მეგობარს, კალათა ზურგზე მოიგდო და ჩაის ნაკვეთისკენ აიღო გეზი. ცირა თავის წიგნს მიუბრუნდა. პაატაც მის გვერდით გაჩნდა მაშინვე.

— ჩვენ მერე ჩავიდეთ, — უთხრა ცირამ, — ცვარი რომ გაშრება.

— მეც?

— შენ რა ყოფილხარ? ფანჯარაში ვინ გადაძვრა?

პაატამ ღრმად ამოიხვნეშა.

დედამ ჩაიდანი აიღო და ცირას გაუახედა.
— რაა, გოგო, ეს?
— რა იყო?
— წყალი დაგენანა? ერთი ჭიქაც არ გამოვა.
— ჩამშრალა, სავსე იყო.
— როდის ჩაშრა? — ეს-ესაა აღფრთოვანდა.
— რახანია დუღს...
— როგორ მელაპარაკები?
— აბა, როგორ გელაპარაკო?
— ვეღარ არჩევ უფროსს და უმცროსს?
„ახლაც შარზეა, — ფიქრობს ცირა, — ძიზეზს ეძებს, რომ მეჩხუბოს".
— შენ პატარა ხომ არ გგონია შენი თავი?
„ასეთ საშინელ გუნებაზეა ყოველ საღამოს. რა მეშველება?"
— ვიცი, რომ პატარა არა ვარ...
— როგორ მელაპარაკები! — ხმას უფრო აუწია დედამ.
„უნდა გავჩუმდე. გავჩუმდები და ხმასაც არ ამოვიღებ, რაც არ უნდა მითხრას".
— მოდით, ივახშმეთ! — გასძახის დედა ბიძინასა და პაატას.
ბიძინა მოვიდა, სუფრას მიუჯდა, პაატა ტახტზე წევს, არ დგება.
— პაატა! — ეძახის დედა, — გესმის თუ არა? ყველა ცალ-ცალკე უნდა მოგიწვიოთ?
— არ მინდა ვახშამი, — პასუხობს პაატა.
— რატომ?
— არ ვიცი... არ მინდა.
— რა სჭირს ამ ბავშვს? — ეკითხება დედა ცირას.
— ინფაქტი. რა უნდა სჭირდეს?
— ცუდად ხომ არა ხარ? — დედა პაატასთან მივიდა.
— არა.
დედამ პაატას შუბლზე დაადო ხელი.
— სიცხე აქვს...
— სიცხე? — გაუკვირდა ცირას, ბიძინას გადახედა კითხვის თვალით.
— სიცხე აქვს, — გაიმეორა დედამ, — სად გაცივდა?
ცირამ ისევ გადახედა ბიძინას. ამ კითხვაზე მას უნდა გაეცა პასუხი. დილიდან საღამომდე წყალსა და მდინარეს არ სცილდებიან, გაცივდებიან, აბა რა მოუვათ.

— შენ გეკითხები, ცირა!

„ისევ მე. ბიძინამ ქვეყანა რომ დააქციოს. მაინც თავზე გადა-უსვამს ხელს“.

— რა ვიცი, — მიუგო ცირამ, — ხომ გეუბნები, არ ვიცი-მეთქი...

— ამის მეტად ბავშვებს ყურადღება არ უნდა მიაქციო? შინ რომ ზიხარ მთელი დღე, რას მიკეთებ?

— რამეს დაგიჯერებენ? მთელი დღე დაეხეტებიან, ხან ტყეში, ხან მდინარეზე. მე მაგათ ვერაფერი ვერ შევასმინე.

— სად იყავით, ბიჭო? — ახლა ბიძინას მიუბრუნდა დედა.

— სად ვიქნებოდით?

— ჰო, თქვი, სად იყავით? ბავშვი სად გაცივდა? — ბიძინას არაფერი უთქვამს. დედაც დუმდა ცოტა ხანს. მერე კვლავ ცი-რას მიუბრუნდა, — ჩაი თუ მოკრიფე?

— ჰო...

— რამდენი?

— ოცი კილო...

— ბოსტანი გათოხნე?

ჰო...

— კარგად იქნება გათოხნილი, რალა გვიჭირს.

— მიდი და ნახე.

— რა ნახვა უნდა, არ გიცნობთ, თუ რა?

ცირას არაფერი უთქვამს.

დედამ განაგრძო:

— ამოდენა გოგო ხარ და არ მახსოვს ჯერ, საქმე ისე გაგე-კეთებინოს ადამიანს მოეწონოს. ყველაფერს ისე უხალისოდ და უგემურად აკეთებ, თითქოს თვითონ თქვენ არ გჭირდებო-დეთ, თითქოს ჩემთვის გამუშავებდეთ. ბიძათქვენი რომ ჩამოვა და ეზოს დახედავს, რა ეუთხრათ? ისე მოვლილი იყო ყველაფე-რი... ბოსტანში წელამდეა ბალახი. ოცი დღეა თოხნი ხელის-გულისოდენა მიწას და ჯერ ვერაფერი დაატყვე. ეზო გვიმრით და ანწლითაა დაფარული... მე დილიდან საღამომდე პლანტაციაში ვარ, შენ კი მთელი დღე ზიხარ. როგორ არ მოგბეზრდა ამდენი უსაქმურობა?

ვახშამი დამთავრდა. დედამ სუფრა აალაგა.

— ხვალ შენ წადი პლანტაციაში, — უთხრა დედამ ცირას, — ავტობუსს გაჰყევი დილით.

ცირას არაფერი უთქვამს. იქნება სჯობდა კიდეც პლანტაცია-ში წასვლა შინ დარჩენას. იქ მარტო ერთ საქმეს აკეთებ — ჩაის

კრეფ და ასაწონად მიგაქვს, მორჩა და გათავდა. შინ კი ათასი რამაა გასაკეთებელი და საღამოს მაინც საყვედურებს უნდა უსმინო.

— მე პაატას მივხედავ, თუ მომჯობინდა, ქალაქში წავალ, თქვენს სკოლაში შევივლი.

— სკოლაში? იქ რა გინდა?

— საბუთებს გამოვიტან. მალე სწავლაც დაიწყება. ხომ არ დაგავიწყდათ, სკოლაში რომ ხართ წასასვლელი?

დაგავიწყდაო? რა დაავიწყებს. ერთი სული აქვს, როდის დაიწყება სწავლა. მობეზრდა შინ ჯდომა და ეს დაუძთავრებელი წვრილმანი საქმეები: ქათამი, წიწილები, ღორი, ძროხა, ხბო, ჩაის კრეფა, ბოსტანი...

სკოლაში

პაატა პირველი კლასის ოთახში შეიყვანა და წინა მერხზე დასვა. კლასი ცარიელი იყო სხვა პირველკლასელები დერეფანში იდგნენ, დედებს შეშინებული ჩაფრენოდნენ და გაოცებული ათვალიერებდნენ ყველას, ვინც კი შორიახლოს ჩაუვლიდათ.

— მოგწონს ეს ადგილი? — ჰკითხა ცირამ.

პაატამ მიიხედ-მოიხედა, ხმა არ ამოუღია.

— ხომ არ გეშინია?

არაო, პაატამ თავი გააქნია.

— აბა, წუნარად იჯექი, არაფერი დააშავო. მასწავლებელი რომ შემოვა, ფეხზე ადექი.

— შენ?

— ჩემი კლასი მეორე სართულზე უნდა იყოს, წავალ, მოეძებნი. მერე ჩამოვალ და გნახავ. არ მოიწყინო.

— ნუ წახვალ ჯერ, — შეეხვეწა ბიჭი.

— არ მცალია. დროზე უნდა მოვძებნო ჩემი კლასი, ხარი რომ დაირეკება, იქნება მაშინვე ვეღარ ვიპოვო, მასწავლებელი შემასწრებს, სირცხვილია.

— ბიძინა?

ბიძინა ეზოში იდგა, მას უკვე ბლომად ჰყავდა ამხანაგები და ნაცნობები, მშვენივრად გრძნობდა მათთან თავს.

— ბიძინაც თავის კლასში შევა.

— ყველას აქვს თავისი კლასი?

იცოდა პაატამ, ყველას რომ თავისი საკლასო ოთახი ჰქონდა, გზაზე უთხრა ცირამ, მაგრამ ახლა დის შეყოვნება უნდოდა და

იმიტომ ეკითხებოდა. ჰო, აქვსო. ჩემ გითხარიო. — მიუგო ციირამ, ჭკუით იყავიო, ღაუბარა და მეორე სართულის კიბეს ჰიაშურა.

მალე იპოვა, რასაც ეძებდა. „მეცხრე კლასი“ — ეწერა კარზე.

შეჩერდა, ახლაღა იგრძნო, რომ გვარიანად ღელავდა, გული აჩქარებით უცემდა. ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი ისმოდა.

შეაღო და შეავიდა. ოთახში მყოფებმა რატომღაც მაშინვე შეწყვიტეს ლაპარაკი და სიცილი. ციირა ხმადაბლა მიესალმა უცნობ თანაკლასელებს, ჩანთა ერთ-ერთ მერხზე დადო და იკითხა:

— აქ ხომ არ ზის ვინმე?

ოთახში რვანი იყვნენ, ორი გოგო და ექვსი ბიჭი. ახალშემოსულს უსიტყვო ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ...

— ყველა ადგილი დაკავებულია, სამწუხაროდ, — თქვა ბოლოს მაღალმა, ქერა ბიჭმა, — თუმცა არა... ერთი ადგილი დარჩა... ჯერ-ჯერობით ერთადერთი. აი, იქ, მარჯვნივ. მეორე ფანჯარასთან.

გოგოებმა ჩაიფრუტუნეს, ბიჭებსაც კაეცინათ. ქერამ თავშეკავებულად გაიღიმა, მერე ერთ-ერთ ბიჭს თვალი ჩაუკრა, თან მუშტიც მოუღერა.

ციირა ნელა წავიდა მითითებული ადგილისკენ, მერხის სახურავი ასწია. ორივე უჯრაში ჩანთა იდო. უსიტყვოდ გამობრუნდა.

— ესეც დაკავებული ყოფილა, — ჩაილაპარაკა, რაც კი შეეძლო, გულგრილად.

— არა! — იყვირა ქერამ, — მანდ დაბრძანდით... თავისუფალია!

მიირბინა, სწრაფად გამოიღო ჩანთა და იმ ბიჭს ესროლა, წელან მუშტს რომ უღერებდა.

ციირა არ შეჩერებულა, გამოვიდა, დერეფანში კარებთან აიტუზა.

ახლა უარესად დაბნეული და აღელვებული იყო. საკუთარ თავზე ბრაზობდა, რა სულელი ვარ, ნამდვილი პირველკლასელივით ვიქცევიო, ფიქრობდა, ეს რა საძაგელი თანაკლასელები მყოლია, ამათთან რა გამაძლებინებსო. იამზე მაინც გამოჩენილიყო. რატომ არ დაუცადა, რა მოარბენინებდა. ესეც მისი ნაქები მეცხრე კლასი — ჩემპიონები, პოეტები, მხატვრები...

ეჩვენებოდა, რომ ყველა მას უმზერდა — ღიღი. პატარა, გამვლელი თუ გამომვლელი. რა უნდათ, რას მომჩერებიან? მართლა სოფლელები! ნეტა უცხო არავის უნახავთ? რა უტიფრად

იკრიჭებოდნენ და ხითხითებდნენ. ასე უნდა შეხვდე ახალ ამხანაგს?

ქერა ბიჭი ფეხლაფეხ გამოჰყვა, პირისპირ დაუდგა, თვალებში უმზერდა, ილიმებოდა.

— ბოდიში, — უთხრა მან, — თუ გაწყენინე... უნებურად მოხდა.

ცირა გვერდზე შებრუნდა. მზერა მოარიდა.

კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი? რა მოარპენინებდა, რატომ იყო გაჯავრებული? იცინოდნენ? მერე რა? უხარიათ და იცინიან, სკოლის პირველი დღეა, რატომ უნდა იყვნენ მოწყენილნი?

— ვიცნობდეთ ერთმანეთს, — უთხრა ბიჭმა, — მე შაქრო მქვია. შენ?

ეს რომ თქვა, უხერხულობა იგრძნო, უკვალოდ გაქრა მისი თავდაჯერება, რაც ცირას აღიზიანებდა, თანაკლასელებზე გულს უცრუებდა. ბიჭი გაწითლდა კიდეც. ამას ცირა არ ელოდა. მაშინვე გაუარა წყენამ.

— ცირა, — მიუგო მან.

— ეიგ შემოდი, — შაქრომ ფართოდ გამოაღო ორივე კარი, — დაიღლები აქ ფეხზე დგომით.

— რა დამღლის, გმადლობ.

— შემოდი, შემოდი, მომეცი ჩანთა, მე შეგინახავ.

— არ მინდა, — უთხრა ცირამ, მაგრამ ჩანთა მაინც დაუჭიმო და კლასში შეპყვა. ბიჭმა ისევ იმ მერხთან მიიერბინა, წელან რომ მიასწავლა, თავისუფალიაო, ცირას ჩანთა შეინახა და ხმამაღლა დაიძახა:

— იცნობდეთ, ჩვენი ახალი თანაკლასელია, ცირა!

ᲛᲔᲠᲮᲘ

ციცინომ ოდნავ გამოაღო ფანჯარა. ფარდა გადასწია და ამხანაგებს ანიშნა, აქ მოდით, რა გაჩვენოთო. იამზემ და გიგამ მაშინვე მასთან მიირბინეს. ნუგზარს ის იყო გაახსენდა, რომ მათემატიკაში დავალება არ ჰქონდა შესრულებული, სასწრაფოდ წერდა, ცდილობდა, რომ ზარის დარეკვამდე მოესწრო.

იამზემ და გიგამ დერეფანში მაინცდამაინც საგულისხმო ვერაფერი დაინახეს.

— რა იყო, ციცო, რას მიჩერებიხარ? — ჰკითხა გიგამ. — რამ აგაწრიალა ასე?

— შეხედეთ ერთი, რა დღეშია ჩვენი ენამზე პოეტი.

გიგა და იამზე ფანჯარას მოსცილდნენ.

— მოდი, ნუგზარ, შენც მოდი, — დაუძახა ციცინომ.

— მაცალე, ცოტაღა დამრჩა.

იამზე მორიგე იყო. ჩვარი აიღო და დაფის გასუფთავებას შეუდგა.

— ნუგზარ! — კვლავ დაუძახა ციცინომ.

— მიდი, ბიჭო, — უთხრა იამზემ, — ხომ ხედავ, ერთ წუთსაც ვერ ძლებს უშენოდ.

— ახლავე, — თქვა ნუგზარმა, — აი, მოვრჩი კიდეც.

რვეული დახურა, მერხში შეინახა და ფანჯარასთან მივიდა.

— რა მოხდა, რას უთვალთვალებ მანდ, ასეთი რა სანახაობა იპოვე?

— გახედე.

დერეფნის ბოლოს, განიერი კიბის თავში შაქრო და ცირა იდგნენ. შაქრო გაცხარებით ყვებოდა რაღაცას, სახეზე ალმური მოდებოდა, თვალები უბრწყინავდა. ცირა ყურადღებით უსმენდა.

— ხედავ, რა დაქოქილი ყმაწვილია? ალბათ სულ ვარდისფერებად უქარგავს ყველაფერს, ტყუილად კი არაა პოეტი... ისიც რა მოჯადოებული უსმენს, ასე ერთ დანახვაზე მაინც როგორ მოხიბლეს ერთმანეთი?

—ნახა ამანაც საქორაო, — ათბრიზა ნუგზარი.

— ო, რა შესანიშნავი წყვილია! — თავისას არ იშლიდა ციცინო. — მხატვარი არა ხარ? ფანქარს და ქაღალდს მე მოგცემ, უკეთესს რას დახატავ?

— რა სულელი ხარ, ციცო, — უთხრა ნუგზარმა.

— დახატე რა, გეხვეწები.

— მეტი საქმე არა მაქვს.

— მაშ, მე სულელი ვარ?

— რას გადაეკიდე. გოგო, — უთხრა გიგამ ციცინოს, — შარზე ხომ არა ხარ დღეს?

— მე სულელი ვარ, ის თქვენი პრანჭია ცირა კი ჭკუის კოლოფია. არა? თხებივით პირდაღებული რომ მისჩერებიხართ ყველანი, თითქოს მსგავსი არაფერი გენახოთ თქვენს სიცოცხლეში. ისიც, ქალაქელი ვარო. ცხვირაბზეკილი დადის.

— რატომაა ვითომ ქალაქელი? — უთხრა გიგამ. — ისიც ჩვენსავით სოფლელია... ანდა, ეს ქალაქელობა რალაა, ვითომ?

— არაფერიც არაა! მეც მაგას არ ვამბობ?!

ნუგზარი ოთახიდან გავიდა.

ციცინომ დაფასთან მიირბინა, ცარცი აიღო:

— იცოდეთ, არავინ წაშალოს!

„რა ბუზი შეუჯდა?“ იამზე გაკვირვებული უმზერდა ამხანაგს.

ციცინო ყოველთვის და ყველაფერში პირველი იყო — სწავლაში, ქართობაში, საბჭოიმო შეხვედრებზე ყველასთან კეთილი, გულისხმიერი. ახლა ვეღარ სცნობდნენ ამხანაგები, წამდაუწუმ ისუსხებოდა. იკბინებოდა, საჩხუბრად იყო შემართული. რაღაც მეტისმეტი უცნაურობა სჭირდა.

ზარი დაირეკა, ნუგზარი შემოვიდა. მაშინვე ციცინოს მზერას შეეფეთა, რაღაც გაუგებარი ნიშნისმოგებით რომ უთვალთვალებდა. ამხანაგებს თვალი მოავლო, ყველა შეთქმულივით დუმდა. შაქრო და ცირა ისევ დერეფანში დასეირნობდნენ, არ ეჩქარებოდათ კლასში შემოსვლა.

— მორიგე ვინაა? — იკითხა ვიღაცამ, — დაფა გაასუფთავოს!

დაფაზე დიდი ასოებით ეწერა: „ცირა — შაქრო — ?“

ნუგზარი დაფასთან მივიდა, ჩვარი აიღო, გადაუსვა. კლასს იმავე წამს ტალღასავით გადაურბინა გნიასმა, ყივილ-ხივილმა, ნუგზარი გაოცებული შემობრუნდა. სიცილ-ხარხარში, მერხების სახურავებისა და ფეხების ბრახუნში ციცინოს ხმაც გაარჩია:

— ხომ გითხარით?! ვთქვი თუ არა?!

— აუ, ნუგზარ, — უთხრა გიგამ, — ეს რა ქენი, ბიჭო?

— რა მოხდა? რა გაღრიალებთ?

— რატომ წაშალე? — ჰკითხა გიგამ.

— მერე რა მოხდა?

— რა მოხდა და ნიძლავი წამაგებინე... ციცინომ დაიჟინა, აი, ნახავთო, მაინცდამაინც ნუგზარი წაშლისო. ვინც გინდა დამენიძლავოსო...

ნუგზარმა გაიცინა.

— თუ ასეა, დავწერ... ზუსტად ისე, როგორც ეწერა. კარგად არც კია წაშლილი.

— აბა, დაწერე, თუ ბიჭი ხარ! — დაუძახა ციცინომ.

— რა ძნელი საქმე ეგ არის!..

დაწერა ძლივს მოასწრო და შაქრო და ცირაც შემოვიდნენ საკლასო ოთახში. ცირამ უსიტყვოდ ჩაიარა და თავის მერხზე დაჯდა. შაქრო დაფასთან იდგა, ნაწერს კითხულობდა და ვერაფრით ვერ დაეფარა ნუგზარის შეცბუნებით გამოწვეული სიხარული.

ნუგზარმა ცარცი იატაკს დაახეთქა. ცარცის ნაფშვენები ირგვლივ მიმოიფანტა.

— უიმე, ეს რა ამბავია! — იამზე ადგილიდან წამოვარდა, — მიშველეთ, ბოშახვეტინეთ ეს ნამტვრევები...

მასწავლებელი დაფასთან იდგა. გადაიწერეთო, უბრძანა კლასს და წერას შეუდგა. კლასში რვეულების შრიალი და მერხების სახურავების რახუნი გაისმა. ზოგი უკვე წერდა, ზოგი ჩანთაში იქექებოდა, ავტოკალამსა და რვეულს ეძებდა. ცირამაც გახსნა ჩანთა. ამ დროს უკანიდან თმაზე მოქაჩეს. მიიხედა, უკან ნუგზარი და გიგა ისხდნენ. ბიჭები დაფას მისჩერებოდნენ. გიგას გაეღიმა.

— რა იყო? — ჰკითხა ცირამ.

— არაფერი, — მიუგო გიგამ.

ცირა შებრუნდა, რვეული გადაშალა, წერას შეუდგა. ისევ მოქაჩეს თმაზე.

გიგა კვლავ იღიმებოდა.

— ხელი გააჩერე, — უთხრა ცირამ.

— რას ერჩი ჩემს ხელს? — მშვიდად მიუგო გიგამ, — წერს... არაფერს აშავებს.

„გაუთლელი, ტეტია ბიჭები, გაიფიქრა ცირამ, უკეთესს რას მოიფიქრებენ?"

განაგრძო წერა და კვლავ სწედა ვიდაც თმაში.

ცირა ადგა.

— მასწავლებელო...

მასწავლებელი წერდა, ან არ გაუგონია ცირას ხმა, ან არ ეცალა მისთვის.

— ხეპრე, — უკანმოუხედავად, ზიზღით ჩაილაპარაკა ცირამ და დაჯდა.

ახლა უფრო მაგრად, გაჯავრებით მოქაჩეს.

ცირამ წიგნი აიღო, უკან მიბრუნდა და გიგას თავში ჩაარტყა.

— ასე მოგიხდება!

გიგა გაფითრდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მასწავლებელმა მოიხედა. ყველა წარბშეკრული შეჰყურებდა ცირას. გიგა იჯდა, დაფას უმზერდა და თვალსაც არ ახამხამებდა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.

ზარი დაირეკა. მასწავლებელი გასულიც არ იყო, ნუგზარი წამოდგა, ცირას უხეშად ჩაავლო მხარში ხელი.

— რა გინდა? — შეუბღვირა გოგომ.

— დიდი ვინმე გგონია შენი თავი...

ცირა გაკვირვებული უმზერდა. ერთხანს ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა.

— მე? — იკითხა მერე.

— დიახ, შენ.

— რატომ?

— ძალიან მოგაქვს თავი. რით ხარ ვითომ სხვაზე უკეთესი?

ცირამ ახლა სხვებს გადახედა, იქნება მიმახვედროთ, ამ ბიჭს რა სჭირს. რა ბუზი შეუჯდაო, მაგრამ ამხანაგები ამრეზილად უმზერდნენ მას, ეტყობა, სულაც არ უკვირდათ ნუგზარის უცნაურობა.

— გიგას არაფერი დაუშავებია, — უთხრა ნუგზარმა, — ის... სხვა იყო.

— ვინ სხვა? შენ ხომ არა?

— ,თუნდაც მე.

— რატომ? რა გინდა ჩემგან. რას გადამეკიდე?

— არაფერი... რა უნდა მინდოდეს? უბრალოდ, გამოგცადე. თმაზე ხელი შეეახეს. მეტი რა მოხდა?

— დიდებული გამოცდაა, — გაიცინა შაქრომ. — გამომცდელს დამიხვდეთ!

შაქრო იქვე იდგა. ჩანთა იღლიაში ჰქონდა გაჩრილი, ნუგზარს უმზერდა, გამომწვევად იცინოდა.

— გამოცდა თუა, გამოცდა იყოს, — განაგრძო მან, — წადი, ბარემ კეტი მოიტანე, გოგოებს თავში ჩასცხე, ვნახოთ, რომელი გაუძლებს. მე კარებში ჩავდგები, არავის გავუშვებ გარეთ.

— შენ უარესი ხარ, — უთხრა ნუგზარმა შაქროს, — რაღაც სისულელეებს ჯღაბნი და იფხორები, ვითომ დიდ რამეს აკეთებდე...

შაქრო გაფითრდა.

— მე ვიფხორები? აბა, ერთი კიდევ გაიმეორე, რა თქვი?

— ბაქია ხარ, — უთხრა ნუგზარმა, — ყველას მოგვაბეზრე თავი.

— ძირს ჩამოდი, იქ ვილაპარაკოთ.

— როგორც გინდა.

— გეყოფათ, დაწყნარდით, — თქვა გიგამ, — რას ეჩრებით ჩვენს საქმეში? მე და ცირა როგორმე უთქვენოდაც მოვრიგდებით. ნეტა ერთს კიდევ ჩამარტყამდეს, სულაც არ მტკენია.

გიგას უკვე არავინ უსმენდა. ცირა ტყვიასავით გავარდა კარებში. შაქრო მკლავზე ჩაფრენოდა ნუგზარს, თითქოს ეშინოდა. არ გამექცესო. და გარეთ მიათრევდა: — წამოდი, წამოდი, გიჩვენებ, ვინაა ბაქია, ვინ იფხორება...

გზის გადაღმა, სკოლის პირდაპირ ქვის ორსართულიანი შენობა დგას. ამ შენობაში სოფლის პირობაზე კარგა მოზრდილი და მდიდარი მაღაზია დაბინავებულა. რა არ იყიდება აქ — წიგნები, რვეულები, ჩანთები, ავტოკალმები, ფოტოაპარატები, ველოსიპედები, ჩოგბურთის მაგიდები და ბურთები... დიდ დასვენებაზე ხშირად გამორბიან აქეთკენ მოსწავლეები, რვეულებს, წიგნებს, ავტოკალმებს ყიდულობენ და კვლავ სკოლისკენ გარბიან კისრისტეხით. თანაკლასელებს ბიძინაც აედევნება ხოლმე, თუმცა, ჯიბე მუდამ ცარიელი აქვს. თაროებს ჩამოუვლის, ათვალიერებს. ნეტა თუ ექნება როდისმე იმდენი ფული, რომ, რაც აქ მოსწონს, ყველაფერი შეიძინოს? ძალიან ნანობს, უფროსების რჩევას რომ არ დაუჯერა და ზაფხულში იზარმაცა. — სამ-ოთხს დღეს რომ ემუშავა, ერთ რამეს მაინც იყიდდა — რადიომიმღებს, ფოტოაპარატს, ან ველოსიპედს. თვითონაც ქესატად დარჩა და დედასაც პირი გაუტეხა.

დაღონებული გამოვიდა ბიძინა მაღაზიიდან. ის იყო, გზაზე უნდა გადაერბინა, ცხვირწინ ცისფერმა „ვოლგამ" ჩამოუქროლა. მანქანამ სვლა შეანელა, გზიდან გადაუხვია და გაჩერდა. ბიძინამ მძღოლს თვალი გააყოლა, დააკვირდა და სიხარულისაგან გული კინაღამ ამოუხტა ბუდიდან — უშანგი იცნო!

მაშინვე მანქანასთან მივარდა.

— ბიჭოს! — გაოცდა უშანგიც. — ამას ვის ვხედავ! სად არ შეხვდება კაცი კაცს...

უშანგმა მანქანის კარი გააღო, გადმოვიდა, ბიძინა კისერზე ჩამოეკიდა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა უშანგმა.

— აქ ვსწავლობ, ამ სკოლაში.

— ამ სკოლაში? შენ რა, აქაური ხომ არა ხარ?

— ახლა აქაური ვარ. რამდენიმე თვეა, გადმოვსახლდით.

— არ მიკვირდა, რატომ ვერ ვხედავ-მეთქი?

— მართლა გიკვირდა? მაინც რა იფიქრე?

— რა არ ვიფიქრე... ნუღარ მკითხავ...

— შორს მიდიხარ? ძალიან გეჩქარება?

— არც ისე.

— ერთ წუთს მომიცადე. ახლავე აქ გავჩნდები.

ბიჭი ადგილს მოსწყდა. გზა გადაირბინა. სკოლის ეზოში შურდულივით შეეარდა, წუთიც არ გასულა, გამოჩნდა, გიჟივით გა-

მორბოდა. ჩანთას მოაფრიალებდა. აქოშინებულმა მოირბინა, მანქანის უკანა კარი გამოაღო, ჩანთა სავარძელზე დააგდო, თვითონაც ჩაჯდა.

— აბა, წავედით!

— საით? — ჰკითხა გაოცებულმა უშანგმა.

— საით რას ჰქვია! ჩვენთან!

— თქვენთან რა მესაქმება?

— წავიდეთ რა, ძალიან გეხვეწები.

უშანგი მარტო არ იყო, გვერდით შავულვაშიანი, გამხდარი ბიჭი ეჯდა. ხელში სანთებელა და სიგარეტების ლამაზი კოლოფი ეჭირა, გულგრილი, მოწყენილი სახე ჰქონდა.

— სტუმრად რომ მეპატიჟები, — უთხრა უშანგმა, — მაგისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ გაკვეთილების მიტოვების უფლება ვინ მოგცა? აბა, სკოლისაკენ ახლავე!

უშანგს ხმა გაუმკაცრდა, არ იღიმებოდა.

გაკვირვებულმა ბიძინამ თვალებში შეხედა თავის „ძმაკაცს". ნუთუ ეს უშანგია? რამდენი ხანია არ უნახავს და ასე ცივად, უგულოდ იცილებს თავიდან. თვალებზე ცრემლი მოადგა, მანქანის კარი გააღო.

უშანგს შეეცოდა, გაუღიმა.

— ჩვენი გულისთვის შარში რატომ უნდა ჩავარდე? გაკვეთილებიდან გაიპარაო, ატყდება ერთი ამბავი. რა საჭიროა? მე მაინც არ მცალია ახლა სტუმრობისათვის. ხომ ხედავ, კაცი მახლავს.

ბიძინამ უშანგის თანამგზავრს გადახედა. იგი წყნარად იჯდა, სიგარეტს აბოლებდა.

— მერე, რა მოხდა? შენი ამხანაგიც წამოიყვანე. არ გინდა გაიგო, სად ვცხოვრობ?

— როგორ არ მინდა, — უშანგს გაეცინა, — მაგრამ ასე ადრიანად შინ რომ გამოჩნდები, დედაშენი არაფერს გეტყვის?

— დედა სამუშაოზეა, საღამომდე შინ ვერ მოვა...

უშანგის ამხანაგი ბიძინასკენ შემობრუნდა.

— ბიჭი, იცი შენ, აქ რა საქმეზე ვართ მოსული? ამ ჩვენს საერთო მეგობარს, უშანგს, ნათესავი ჰყავს ავად... ექიმმა მას ლიმონი გამოუწერა. ძალიან ბევრი ლიმონი უნდა ჭამოს, თორემ არ მორჩება. ჩვენ ლიმონს ვეძებთ.

— მით უმეტეს! — შეჰყვირა ბიძინამ. — ლიმონსაც მოგიკრეფთ და ისეთ ატმებსა და მსხლებსაც გაჭმევთ, ჯერ თვალით რომ არ გინახავთ.

— ჰოო? — შავულვაშიანი შემობრუნდა, ბიძინას ყურადღებით ახედ-დახედა, — არ გვატყუებ?

— ტყუილი რა საკადრისია, — თქვა ბიძინამ.

— ბიძინა ტყუილს არ იტყვის, — უშანგმა ამხანაგს გადახედა ღიმილით, — ბიჭია, კარგად ვიცნობ.

— ეს უკვე სულ სხვა საქმეა, — თქვა უშანგის თანამგზავრმა და სიგარეტის ნამწვი სარკმელში გადააგდო, — წავუყვეთ, — უთხრა უშანგს. — ვნახოთ, რა მასპინძლობა შეუძლია.

ბიძინამ მთელი ეზო შემოატარა ძვირფას სტუმრებს, ატმებიც გაასინჯინა, მსხლებიც, ციტრუსების ბაღიც დაათვალიერებინა. სტუმრები აღტაცებას ვერ მალავდნენ, რა მდიდარი ყოფილხარო, გაიძახოდნენ, ეს რა ღვთისნიერი ბებია და ბიძა გყოლიათ, ასეთ ედემში რომ დაგასახლათო. ბიძინამ კარგა მოზრდილი პარკი მოარბენინა, სასწრაფოდ აავსო დიდრონი, ყვითელი ლიმონებით. პარკი უშანგის მანქანაში ჩაუდო, როცა გაგითავდეს. კვლავ მოდი, არ დაგეხათროსო, უთხრა.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ბიძინას გულუხვობისათვის, მერე გზის გადაღმა ფერდობზე შემოფენილ ბაღს დააკვირდნენ.

— ვისია? — იკითხა უშანგმა.

— კოლმეურნეობის...

სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს. დუმდნენ, რაღაცას ფიქრობდნენ. — მერე უსიტყვოდ ჩასხდნენ მანქანაში. ბიძინასაც გაუღეს უკანა კარი.

— ცოტაზე არ გაგვაცილებ?

— მაგას კითხვა უნდა? — ეწყინა ბიჭს, მანქანაში შეხტა.

გზატკეცილზე რომ გავიდნენ, მანქანა გაჩერდა, სტუმრებმა მასპინძელს ხელი ჩამოართვეს. დაემშვიდობნენ. ბიძინამ გადმოსვლა დააპირა.

— იცი რა? — შეაჩერა უშანგმა, — მოიცა ცოტა ხანს, მოსალაპარაკებელი გვაქვს.

ბიძინა სმენად იქცა.

— ეს ამოდენა ბაღი ხედ ეზოსთან გქონია. როცა გინდა გადახვალ, გადმოხვალ... დღისით, ღამით... სიბნელის ხომ არ გეშინია?

— რა შემაშინებს, — ბიძინას გაეცინა.

— ძალიან კარგი, თუ არ გეშინია. მაშინ სიბნელეში გადახვალ, არავინ რომ არ დაგინახოს. თორემ დაიწყებენ მითქმა-მოთქმას, გამოჩნდებიან მეტიჩრები.

— ვითომ დღისით რომ გადავიდეს, — ჩაურთო ულვაშიანმა, — რა უშავს? იმ ბაღში ეს პატარა ბიჭი კი არა, კამეჩი დაიკარგება.

— რას იზამ? — ჰკითხა უშანგმა. — გადახვალ?

— რატომაც არა? რა დიდი საქმეა.

— ჩვენ ლიმონი გვინდა... ძალიან ბევრი. რამდენის დაკრეფასაც შეძლებ. ყველას წავიღებთ... მუქთად კი არა, ფულს მოგცემთ. ან რამე ნივთს მოგიტანთ, რასაც ისურვებ. ფოტოაპარატი ხომ არ გინდა? ისეთი კი არა, ოც მანეთად რომ იყიდება ბაღაზიაში... საუკეთესო, ნამდვილ ფოტოგრაფს რომ თვალი დარჩება ზედ.

— ფოტოაპარატი კი მირჩევნია, — გამოტყდა ბიძინა. — მაგრამ...

— მაგრამ რა?

— გადაღება არ ვიცი.

— მაგაზე ადვილი არაფერია. ხუთ წუთში გასწავლი... მარტო აპარატს კი არა, სხვა რამეებსაც ჩამოგიტანთ — ელექტროფანარს, ბურთს, ჭოგრიტს, გემის კაპიტნებს რომ აქვთ, აი, ისეთს. აქედან იმ მთას გახედავ და სად როგორი კენწი აგდია, ვამოარჩევ. შენ ოღონდ ლიმონები ბლომად დაგვიკრიფე... თანახმა ხარ?

თანახმა ვარო, უთხრა ბიჭმა.

— კიდევ ხომ არ გინდა რამე? თქვი, არ დაგეხათროს.

— თოფი მინდა.

— რაო, რა მინდაო? — გაუკვირდა უშანგს.

— თოფი...

— თოფი რაში დაგჭირდა?

— მაჩვი უნდა მოვკლა.

უშანგისა და ულვაშიანს გაეცინათ. ზრდილობის გულისთვის მათ სიცილს ბიძინაც აპყვა, თუმცა მაინცდამაინც არ მოსწონებია, მისმა სურვილმა სტუმრები ასე რომ ვაამხიარულა.

— ჯერ შენი შეიარაღება ადრეა, — უთხრა უშანგმა სიცილით, — მაჩვიო, იძახი და ვინ იცის, რას იზამ ცხელ გულზე, იქნება მეზობლებს დაუშინო. მერე ჩვენ გავეხვევით შარში. ერთი ორი წლის შემდეგ კი. ვნახოთ, იქნება მაგ სურვილიც შეგასრულოთ. უკვე დიდი იქნები, ჭკუასაკითხავი.

— ერთი წლის შემდეგ...

— კარგი, კარგი, ვიფიქრებთ მაგაზე... აბა, ნახვამდის. ერთ კვირაში მოვალთ. არ დაგვაღალატო.

სიტყვა სიტყვაა, — თქვა ბიძინამ, კარი გააღო, მანქანიდან გადმოვიდა.

— ვინმესთან არაფერი წამოგცდეს. მოკრეფილი ლიმონი საიმედოდ გადამალე, ისე, რომ შინაურებმაც არ გინახონ. დაგიწყებენ გამოკითხვას, თვალთვალს...

— მაგაზე ნუ ნაღვლობთ, სამალავები ისეთი მაქვს, ეშმაკიც ვერ იპოვის.

სტუმრები წავიდნენ.

მთავარი როლი

ცირამ ძროხა ბოსელში დაბა და ის იყო, წვეულს შეუდგა, კიკამ მოირბინა, იამზემ შემოგითვალა: ახლავე გადმოდიო, უთხრა.

— არ სცალია-თქო, უთხარი. თვითონ გადმოვიდეს, თუ საქმე აქვს.

კიკა შეწუხდა.

— აუცილებლადო... ასე თქვა.

— მარტოა?

ბიჭი შეყოყმანდა.

— მარტოა, კი...

— ტყუილს ამბობ. სიმართლე თქვი, არ გაგცემ. — კიკა მაინც ყოყმანობდა. — თუ არ იტყვი, არსადაც არ წამოვალ. ხომ ხედავ, რამდენი საქმე მაქვს.

— შაქროა, თქვენი კლასელი.

— რა უნდა?

— მე რა ვიცი... იამზემ გადმოვიდესო და...

ცოტა ხანს ორივენი დუმდნენ. ისმოდა სათლში რძის ჩხრიალი. მოკლედ დაბმული ხბო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დედისკენ იქაჩებოდა, თოკი ყელში უჭერდა, თვალები გადმოკაკლოდა, ლამის გაგუდულიყო, განზრახვაზე მაინც არ იღებდა ხელს. დედა ლოკავდა, ამშვიდებდა, ძალიანაც რომ მოინდომონ, საშენო რძეს არავის მივცემო, ჰპირდებოდა.

— რას იზამ? რას დამაბარებ? — ვერ ისვენებდა კიკა.

— რა ვიცი. ხომ ხედავ, საქმეები მაქვს. აი, თუ მოვიცალე, გადმოვალ.

— კიდევ რა გაქვს გასაკეთებელი? ბიძინა სადაა?

— ეზოში იქნება სადმე.

— დავუძახებ და ჩვენც მოგეხმარებით.

— კარგი, დაუძახე... უთხარი, ღორებს სალაფავი მიუტანოს. ჭიდან სასმელი წყალი ამოიღოს.

ცირა რომ მივიდა, იამზე და შაქრო მსხლის ძირას ასხდნენ,

წინ პატარა, გასაშლელი მაგიდა ედგათ. იამზე რაღაცას წერდა, შაქრო კარნახობდა.

— სადა ხარ. — უსაყვედურა იამზემ, — მთელი საათია, გელოდებით.

— რას აკეთებთ? — ცირა მაგიდასთან მივიდა. — შაქრო ადგა, სკამი დაუთმო, ცირა არ დამჯდარა.

— პიესას ვწერთ, — მიუგო იამზემ, — საოქტომბროდ უნდა დავდგათ.

— თქვენ წერთ პიესას? — გაუკვირდა ცირას.

— ჩვენ რა ვყოფილვართ? — უთხრა შაქრომ. — აი, დავიწყეთ კიდეც.

— შაქრო წერს, ჩვენ დავდგამთ, — თქვა იამზემ, — ავტორს უნდა, მსახიობებთან ერთად იმუშაოს.

— რომელ მსახიობებთან?

— ჩვენთან, გოგო, მსახიობები ჩვენა ვართ.

— მთავარი როლი შენია, — უთხრა შაქრომ ცირას, — გიმნაზიაში სწავლობ. ერთი შენი ახლო ნათესავი. ბიძა, ან სულაც — მამა, რევოლუციის დაუძინებელი მტერია, ჟანდარმი, ან პოლიციელი. შენც ებმები რევოლუციურ ბრძოლაში და ებრძვი საკუთარ მამას, ან ბიძას...

— მამა სჯობია, — თქვა იამზემ, — უფრო ტრაგიკული იქნება.

— მთავარი როლი მაინცდამაინც მე უნდა ვითამაშო? — იკითხა ცირამ.

— უეჭველად, — თქვა შაქრომ.

— რატომ?

— რატომ და... მოქმედება ქალაქში ხდება, სოფლებში სად იყო გიმნაზიები... ქალაქური გარემო კი შენთვის უფრო ნაცნობი და ახლობელია.

— კარგი, ერთმანეთს ებრძვიან შვილი და მამა, მერე რა ხდება?

— ჟანდარმი უნდა დაილუპოს საკუთარი შვილის ხელით... ან ძმისშვილის. სწორედ მაგისთვის დაგიძახეთ, ახლავე ამოირჩიე, რომელს უფრო გაიმეტებ, მამას თუ ბიძას?

ცირას გაეცინა.

— არცერთს... მე მაგ როლში არ გამოგადგებით.

— მაშ უარზე ხარ? — ჰკითხა დალონებულმა შაქრომ.

— უარზე ვარ... სხვა ათამაშე ვინმე. თუნდაც იამზე, ან ცი ცინო.

— აჰ, მე არა! — იკივლა იამზემ.

— ციცინო თანახმაა, — თქვა შაქრომ, — მაგრამ ქალქალი გოგოს როლის შესრულება მაინც ძალიან გაუჭირდება... ხომ იცი, მიხრა-მოხრა, რამე...

იამზემ თავი ვერ შეიკავა. ფხუკუნი აეტეხა, სახეზე ხელები მიიფარა, გვერდზე შებრუნდა.

ახლა შაქროსაც შესცდა სიცილი, სული შეეხუთა, მსხლის ხეს მოეკიდა, არ წავიქცეო. იამზეც უფრო თამამად აკისკისდა.

— თქვენისთანები მოატყუეთ, — თქვა ცირამ, — გგონიათ, მაშინვე ვერ მივხვდი, რომ მასხარაობდით?.. გამომიჩნდნენ დრამატურგები, ტრაგედიის გამოცხობა მოუნდათ.

— ტრაგედიას მაინც გამოვაცხობთ, — თქვა შაქრომ, როცა სიცილს მორჩა, — ან ცოტათი მაინც მივამსგავსებთ. მაგრამ ჯერ ბევრი რამ მოსაფიქრებელია. შემოქმედებაა, ხუმრობა არ გეგონოს... მე შინდა ამ შემოქმედებით წვაში და დულილში თქვენც მიიღოთ მონაწილეობა.

— აბა თქვენ იცით, შეუდექით წვასა და დულილს. — იამზე წამოხტა, — მე ახლავე მოვალ.

იამზე წავიდა.

— მოგაცდინე, — უთხრა შაქრომ ცირას, — ვინ იცის. რამდენი საქმე გქონდა.

— არაფერია, მაინც მოვასწრებ, — უთხრა ცირამ.

— არ ნანობ, ჩვენს სოფელში რომ გადმოსახლდით?

ცირამ მხრები აიჩეჩა.

— ჯერ არა...

— ჩვენს კლასელებზე რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა? რიგიანად არც კი ვიცნობ ყველას.

— მაგაზე გული არ დაგწყდეს. ჩვენი კლასელების რიგიანად გაცნობით ბევრს ვერაფერს მოიგებ.

— რატომ? აი, იამზე ხომ კარგი გოგოა?

— ერთი იამზე კმარა?

— რატომ ერთი? ციცინო, გიგა, ნუგზარი...

— ხუმრობ? — შეაწყვეტინა გაკვირვებულმა შაქრომ.

— სულაც არა...

შაქრო ცოტა ხანს დუმდა, ცირას გამომცდელად უმზერდა თვალებში. მერე გაცხარებით განაგრძო:

— რაღაც უცნაური ხალხია... ავი, შურიანი... აი, მე ლექსებს ვწერ. დავბეჭდე კიდეც ჩვენი რაიონის გაზეთში... თბილისშიც გავგზავნე. ალბათ იქაც დამიბეჭდავენ. სხვები იამაყებდნენ, რომ მათმა კლასელმა ასე გამოიჩინა თავი, ესენი კი ამრეზილი მიყუ-

რებენ. თითქოს მათ წავართვი რამე. ღაწერონ თვითონაც. დაბეჭ-
დონ, უშლით ვინმე? რას დაწერენ, ერთ სიტყვას მეორეზე ვერ
გადააბამენ. მერე, როცა დრო გავა, ერთძანეთს რომ დავშორდე-
ბით, ალბათ, ტრაბახს დაიწყებენ, ჩვენთან სწავლობდაო...

— ახ, რა კარგია! — შესძახა ცირამ.

— რაა კარგი?

— მეც შენთან რომ ვსწავლობ...

დამცინისო, გაიფიქრა შაქრომ, აშკარად დაეტყო წყენა.

— იმ დღეს რატომ იჩხუბეთ შენ და ნუგზარმა?

— საპირო იყო... ხანდახან მეტისმეტად გათავხედდებიან ლა ჭკუა თუ არ ასწავლე, არ ივარგებს.

იამზე არ ჩანდა. „განგებ ხომ არ დაგვტოვა მარტო? — გაიფიქ-
რა ცირამ, — ალბათ წინასწარ შეთანხმდნენ ასე. ეტყობა, რაღაც
სათქმელი აქვს შაქროს... მაინც რა?"

— კარგი, ვთქვათ, მე მართლა ცუდი ვარ, — თქვა შაქრომ, —
შენთან რატომ არ ამხანაგობენ? შენ ვის რა დაუშავე?

— ჯერ ახალი ვარ, — თქვა ცირამ. — მე და იამზე კარგად ვიც-
ნობთ ერთმანეთს და მეგობრებიც ვართ.

— იამზეს თავი დაანებე, ეგ სხვანაირია, იმათ არა ჰგავს... გი-
თხრა მიზეზი? შენიც შურთ.

— ჩემი? — ცირას გაეცინა, — მე რა მაქვს შესაშურებელი?
ვერც ფრიადებზე ვსწავლობ, კერც ლექსებს ვწერ... სიტყვას სი-
ტყვაზე ვერ გადავაბამ. ხატვა რაა, ისიც არ შემიძლია.

— იცი, რა შურთ შენი?

— რა?

— რა და... მათზე უკეთესი ჩარ. ყველასგან განსხვავებული...

— მე? უკეთესი? რა სისულელეა... ვინ გითხრა, რომ უკეთესი
ვარ?

— ვის რა უნდა ეთქვა, თვითონ ვერ ვხედავ?

— ნუგზარი მართლა კარგად ხატავს?

— კარგი რა! რას დაიკინე ეს ხატვა! დიდი ამბავი, თუ ხა-
ტავს!

— რატომ ბრაზობ? საწყენად კი არ მითქვამს...

ამ დროს იამზემ მოირბინა.

— რას შერებით, ბავშვებო, მოიფიქრეთ რამე თუ არა?

— დაღამდა, — თქვა შაქრომ, — უნდა გავიქცე. აბა, ნახვამდის!

— დიდი უცნაური ვინმეა, არა? — თქვა იამზემ, როცა შაქრო
წავიდა. — სულაც არაა ცუდი ბიჭი, მაკრამ. ცოტა არ იყოს, თავს
იწონებს და ამხანაგები დასცინიან.

მარინე მასწავლებელი სიის ამოკითხვას მორჩა. ჟურნალი დახურა, წამოდგომა დააპირა, რომ მერხებს შორის ჩამოეელო და საშინაო დავალების რვეულები შეემოწმებინა. ამ დროს უჩვეულო ბიძგი და თავბრუსხვევა იგრძნო. შეშინებულმა მაგრად ჩასჭიდა ხელები მაგიდას. ერთხანს ასე იდგა გარინდებული. ალბათ წნევამ თუ ამიწიაო, გაიფიქრა. ბოლო დროს ჩანთით თან დაჰქონდა წნევისა და გულის წამლები. ხელი ჩანთისკენ წაიღო, გახსნა, წნევის წამალი ამოიღო, მაგრამ აღარ დაულევია. იქნება თავისით, უწამლოდ გაიაროს? ეს გაკვეთილი რომ გამოვა, საექიმო პუნქტში გადავა, ახლოსაა, ქუჩის გადაღმა, მაღაზიების გვერდით. იქ წნევას გაუზომავენ, რჩევას მისცემენ...

მარინე მასწავლებელი ბოტანიკას ასწავლიდა. უკვე მეათე წელი გადიოდა, რაც საპენსიო ასაკი შეუსრულდა. სკოლიდან წასვლა მაინც ვერ გაებედა. წასვლაც უჭირდა, მასწავლებლობაც ეძნელებოდა უკვე.

თავბრუმ გაუარა, წამოდგა, ფრთხილად მივიდა ფანჯარასთან. „დავალება გვქონდა, მარინე მას!“ — იყვირა ვიღაცამ. „ვიცი, ბავშვებო! წუნარად!“ — გული არათანაბრად უცემდა. ფანჯრის რაფას მიეყრდნო. ამ კლასზე მაინც უნდა მეთქვა უარიო, გაიფიქრა, თუ მომკლავს ეს კლასი მომკლავსო. „დავალება გვქონდა, მას!“ — ახლა სხვა ყვირის. „არ გვქონდა, არა!“ — აღრიალდნენ დანარჩენები.

— გადაშალეთ რვეულები! — ბრძანა მასწავლებელმა, — არც ისე გულმავიწყი გახლავართ, ზოგს რომ ჰგონია. — ნელა დაიძრა მერხებისკენ. პირველ რიგს ჩაუარა, გადაშლილ რვეულებს ზერელედ გადაავლო თვალი ბიძინასა და კიკას მერხთან წამით შეჩერდა. მერხზე არაფერი დევს, არც წიგნი, არც რვეული. ბიჭები ზანტად წამოდგნენ.

— დაგრჩათ, არა? რა თქმა უნდა... როგორც ყოველთვის. შენ მაინც რამ მოგიღო ბოლო? — საყვედურით მიმართა კიკას, — შარშან ოთხიანებს გიწერდი... წელს ორიოსანი გახდი. აჰყევი ამ უქნარას? ერთი მამაშენი ვნახო...

მარინე მასწავლებელმა ჩამოვლა და საშინაო დავალებების შემოწმება დაამთავრა. თავის მაგიდასთან დაბრუნდა. სკამზე დაეშვა, გაყუჩდა. ჩუმად გაისინჯა პულსი. მერე სკასავით აზუზუნებულ კლასს ყური მიუგდო. ხმასაც არ ამოვიღებო. გაიფიქრა წამით, იხმაურონ, იხუზუნონ, ქვეყანა ხომ არ დაიქცევა? მაინც ვერ

მოითმინა, მუშტი დასცხო მაგიდას, იცის, ამ კლასს თუ გაათამამებ, მეტისმეტად შორს წავლენ, ვეღარ მოთოკავ მერე.

— წყნარად! ნუ დაგავიწყდებათ, გაკვეთილზე რომ ხართ! ნუ ხმაურობთ, ბავშვებო!

მეექვსე კლასი თავისას განაგრძობს, თითქოს მართლა დავიწყებიათ, გაკვეთილზე რომ სხედან, თითქოს არც კი გაუგონიათ მასწავლებლის ხმა, ვერც ხედავენ მას. თავისთვის საქმიანობენ. ლაპარაკობენ ხმადაბლა, ჩურჩულით, ზოგი წიკნს ან რვეულს იფარებს სახეზე, ზოგი ამხანაგს ეფარება. ასე არ შეიძლება! ეს გაკვეთილი არაა! ვიღაც უნდა დაისაჯოს, სანიმუშოდ, სამაგალითოდ... არა და ძნელია ეინმე გამოარჩიო, არავინ ძღერის, არავინ ცეკვავს, ქვას არვინ ისვრის. ჯერჯერობით! მერე ამასაც გაბედავენ. ჰოდა, უნდა დაასწროს... თუნდაც ეს, ქალაქიდან ახალგადმოსული, რას ლაპარაკობს ამდენს? ნეტა თუ როდისმე ახსოვს, რომ მოსწავლეა?

— ნათიშვილო! — ეძახის მასწავლებელი. — მოდი, გაკვეთილი მიპასუხე. დღიურიც წამოიყოლე.

ბიძინა უხალისოდ დგება, მერხიდან ჩანთას გამოიღებს, კარგა ხანს იქექება შიგ.

— იქნებ დღიურიც დაგრჩა?

— დიახ, მას! დღიურიც დამრჩენია.

— არაფერიც! — იძახის ბიძინას უკან მჯდომი შავთვალებბრიალა, წრიპა გოგო. წამოხტება, ბიძინას ჩანთაში ხელს ჩაჰკრავს, მაშინვე იპოვის დღიურს, მასწავლებელთან მიირბენს, დღიურს მაგიდაზე დაუდებს.

მოდის ბიძინაც, დაფასთან დგას თავდახრილი.

— რა გექონდა დღეისათვის გაკვეთილად, ნათიშვილო?

ბიძინა დუმს.

— რატომ გამოხვედი დაფასთან.

— გამოდიო და... — ბიძინა მხრებს იჩეჩავს.

— გაკვეთილი თუ ისწავლე?

— არაო, — პასუხობს ბიძინა.

— აი, არცოდნის წამალი, — ეუბნება მასწავლებელი, ჯერ ჟურნალში ჩასვამს ლამაზ, სქელ ორიანს, მერე დღიურში. იქვე მიაწერს გარკვეულად, რაც კი შეიძლება, თვალსაჩინოდ: „არ ასრულებს საშინაო დავალებებს, არ სწავლობს, უდისციპლინოა!“

— რატომ, მასწავლებელო? — აღშფოთდა ბიძინა, — ასეთი რა დავაშავე?

— შენ მიგაჩნია, რომ წესიერი მოსწავლე ხარ? ასრულებ დავალებებს?

— რაც სხვაა, მეც ის ვარ, — ბიძინამ მასწავლებლის პასუხს დაუცადა, დღიურს ხელი დასტაცა და თავისი მერხისკენ გაქანდა. ადგილზე მისულმა უფრო მეტი სითამამით დაუმატა, — ჩემს გარდა ყველას აქვს დავალება? ყველამ იცის გაკვეთილი?

— არც სხვას გაღიღინებია თავზე ხელს, დაჰპირდა მარინე მასწავლებელი.

— მასწავლებელო! პატივცემულო მარინე მასწავლებელო! — ადგილზე ვერ ისვენებს შავოვალება ბოგო.

— რა გინდა, დალი?

— ბიძინამ თქვა, ამ ფურცელს მაინც ამოვხევო...

— ერთი გაბედოს!

— ამოხევს, პატივცემულო მასწავლებელო. პირველი კი არაა. ნახეთ ერთი, რამდენი ფურცელი აქვს დღიურში დარჩენილი.

კაცმა რომ თქვას, მაინცდამაინც არც დალის „აქტიურობა" მოსწონს ბოტანიკის მასწავლებელს. სულ ცმუკავს. დახტის, სულ ხელი აქვს გამოშვერილი, მუდამ რაღაც სათქმელი აწუხებს, ყველგან ცხვირს ყოფს, ყველას საქმეში ეჩრება, ეკითხებიან თუ არ ეკითხებიან, ვიღაცას დავალება გადაუწერია, ვიღაცამ ამხანაგს თავში ჩაარტყა, ან მერხზე ცუდი სიტყვა დაწერა... მერე როგორი ხმა აქვს, კი არ ლაპარაკობს, გაჰკივის. მისი „მკითხე-მკითხეს" ძახილი კლასის ფანჯრებს აზანზარებს, მაშინაც კი, როცა გაკვეთილი არც კი იცის რიგიანად. დაფასთან მოირბენს, პასუხს დაიწყებს და, თუ ღმერთი გაუწყრა და სათქმელს თავი ვერ მოაბა, აქეთ ეჩხუბება მასწავლებელს, რა აურზაურიაო, ლამის თავი გამისკდესო, ასეთ ხმაურში რა უნდა გიპასუხოთო. ამასაც არ ჯერდება, ამხანაგებს ეჩხუბება, უჯავრდება, ემუქრება.

ახლაც პირველი დალი გამოვარდა საპასუხოდ. სანამ იგი სულმოუთქმელად რაკრაკებს, მასწავლებელი მერხებს შორის დააბიჯებს, კლასს აწყნარებს. ხელი არ შეუშალოთ, ყურადღებით მოუსმინეთო. თან დალის შეცდომებს უსწორებს, თუმცა ეს სახიფათო საქმეა, — დალის თავის მართლება უყვარს, წიგნში ასე წერიაო. დაიკინებს, მიურბენინებს წიგნს, გადაუშლის, თან კითხულობს, დაიწყებულს იხსენებს, ბოლოს იტყვის, ბოდიში, შეშლიაო და მოყოლას განაგრძობს.

მასწავლებელი მერხებს შორის დადის. ნეტა რას ჩაკირკიტებს ბიძინა ნათიშვილი ასე გატაცებით? ახლოს მივიდა. მერხს უკან გასცქერდა. ბიძინა გამალებული ხატავს. სახატავი რვეულის მოზრდილი ფურცელი უკვე გაუვსია ტანკებით, ქვემეხებით, ფეხოსნებით, ცხენოსნებით. აი, თვითმფრინავებიც გამოჩნდნენ ცაზე.

ტანკებისა და ქვემეხების ლულები ცისკენ აღიმართნენ. მასწავლებელმა ჩაიარა. არა უშავს, ხატოს. ამის ატანა შეიძლება, თუ რამე უარესი ხრიკი და ოინი არ მოუვა თავში. მასწავლებელმა სკამი ფანჯარასთან მიიტანა, დაჯდა. დალი გაბაგრძობს გაკვეთილის მოყოლას, ამჯერად კარგად უსწავლია. წამითაც არ ფერხდება. მასწავლებელს ყურები უგუგუნებს, რაღაც მძიმედ აწვება კეფაზე. ყრუდ სტკივა თავი. „ბუკ-ბუკ-ბუკ... ტრახ-ტრახ-დრაახ... ყუი-ყუი-ტა-ტა-ტა...“ ღმერთო! ეს ბიძინაა. ბის სახატავ რვეულზე უკვე გაჩაღდა სისხლისმღვრელი ომი. ციდან გამაყრუებელი გრიალით ცვივა ბომბები, ისვრიან ქვემეხები, ტანკები, ტყვიამფრქვევები, ეს-ესაა, რაკეტებიც ჩაებნენ ბრძოლაში. „ღმერთო, ჩემო, რა დავაშავე ასეთი!“ მარინე მასწავლებელი ყურებზე ხელებს იფარებს. ხატოს, არ უშლის, ეს გახმოვანება რალა აუცილებელია?

— ბუკ-ბუკ-ყიუ, ყიუ-ტა-ტა-ტა...

— ბიძინა! — ყვირის მასწავლებელი. — გაჩუმდი, ბიჭო!

— მე გაჩუმებული ვარ, მასწავლებელო! - მშვიდად პასუხობს მხატვარი. რვეულს მეორე გვერდზე გადაშლის, ხატავს ავრძელებს. მალე ამ ფურცელზეც არახრახდებიან ტანკები. აკაკანდებიან ტყვიამფრქვევები, ამოვარდება ომის ვრიგალი...

— დავამთავრე, მასწავლებელო! ყვირის დალი.

— დაჯექი, — ეუბნება მასწავლებელი...

უცებ მისი მზერა იატაკს მიეჯაჭვა. თვალები გაუფართოვდა, იგრძნო, როგორ შეუჩერდა გულისცემა, გაფითრდა, გაშეშდა. ხომ არ ეჩვენება? საიდან გაჩნდნენ ეს უცნაური ფერის ვირთხები? სამი ერთად! მუცლით იატაკს ეკვრიან, ტუჩებს აცმაცუნებენ, ცოტაზე გამოცოცდებიან და მაშინვე იატაკს დაეკრობიან. არა, ეს ვირთხები არაა; ბაჭიები! სამი ნაცრისფერი ბაჭია!

— ვინ მოიყვანა? საიდან მოვიდნენ ბაჭიები?!

წამოდგა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მათკენ, მერე დაიხარა. ბაჭია შეკრთა, გვერდზე გახტა. ახლა მთელმა კლასმა დაინახა ნაცრისფერი, ყურებდაცქვეტილი, ფუმფულა ბაჭიები. მოსწავლეები მათ დასაჭერად გამოცვივდნენ, ატყდა ერთი ორომტრიალი, აურზაური. მალე აწრიპინდნენ, აკივლდნენ დაჭერილი ბაჭიები. ვიღაცამ მუყაოს კოლოფი მოარბენინა, მასწავლებელს შეაჩერა.

— მოიყვანეთ, ახლავე აქ ჩასვით სამივე, — ბრძანა მარინე მასწავლებელმა და კოლოფი მაგიდაზე დადგა.

ბაჭიები კოლოფში ჩაამწყვდიეს.

— ვისია?

მაშინვე დუმილი ჩამოვარდა.

— ვინ მოიყვანა ბაჭიები სკოლაში?

— ბიძინამ მოიყვანა, მასწავლებელო! — ეს. რა თქმა უნდა, ცალი იყო.

— ხვალ მშობელს მოიყვან, — უთხრა მასწავლებელმა ბიძინას.

სასადილოც იქვეა, სამხერხაოს გვერდით. მუშებს სადილისთვის შორს წასვლა არ სჭირდებათ. მზარეულიც „შინაური" კაცია, იცის, ვის რა კერძი მოსწონს. ამ პატარა სასადილოსა და სამხერხაოს შორის სრული ურთიერთგაგება და თანხმობაა დამკვიდრებული უკვე კარგა ხანია. კალე მაინც თავისაზე დგას, ვერ იქნა, ფეხი სასადილოში ვერ შეადგმევინეს. ძალას ტყუილად მატანთო, გაიძახის. იქაურ საკმელებს ჩემს სიცოცხლეში ვერ შევეწყობიო, თავი დამანებეთო. ამიტომაცაა, მეუღლე შინიდან უგზავნის ხოლმე სადილს ნუგზარის, ან უმცროსი ბიჭის — ზალიკოს ხელით. ზოგჯერ ხდება, ბიჭებს შეაგვიანდებათ. მაშინ კალე გამხმარ პურს გამოიტანს განჯინიდან. იქვე, ფირფიცრებით გადატიხრულ „კაბინეტში" რომ უდგას, ხმელა პურს ჭამს და ცივ წყალს აყოლებს. ბიჭები დასცინიან, სასადილოში იმიტომ არ შემოდიხარ, ხარჯს ერიდები, ძუნწი ხარო. კალე უწყინრად იღიმება, არაფერს ამბობს.

როცა ზალიკო ესტუმრება სამხერხაოს, მამა სულ ეკლებზე ზის. ეს ბიჭი მეტისმეტად ცნობისმოყვარეა, ყოველი კუთხე-კუნჭული უნდა შემოირბინოს, დაათვალიეროს, ყველაფერს ხელით შეეხოს. მამა უჯავრდება, მეტი აქ მოსული არ დაგინახოო, მირჩევნია უსადილოდ დავრჩეო.

ამიტომაც დედა უმეტესად მამასთან ნუგზარს გზავნის. ის იქ ხელს არავის უშლის, არაფერს აშავებს, პირიქით, ეხმარება მამას. თუ დრო აქვს. საღამომდე რჩება. უხარია იქ ყოფნა, მუშებთან შეთამამებულია, მამასთანაც ისე გრძნობს თავს, როგორც ტოლი ტოლთან. განსაკუთრებით ირაკლისთან ამხანაგობს.

დღეს მაინც შეეზარა წასვლა, რაღაც ვერ იყო გუნებაზე. არსაით არ მიუწევდა გული. წელან ბიჭებმა შესთავაზეს. საღამოს სტადიონზე გამოდი, ფეხბურთი ვითამაშოთო, იმათაც უარი უთხრა.

ცხელოდა. მუშები ღელის ნაპირზე თხმელის ჩრდილში ჩამომსხდარიყვნენ, ისვენებდნენ. ნუგზარმა ჩანთა მამის „კაბინეტ-

ში“ შეიტანა. მაგიდაზე დადო. მერე მუშებთან მივიდა, მიესალმა, ირაკლის მიუჯდა გვერდით.

— ბოცვრები როგორ გყავს? — ჰკითხა ირაკლიმ.

არა უშავთ რა, იზრდებიანო, მიუგო ნუგზარმა.

— რასაც ეგენი ბალახს ჭამენ, — თქვა მამამ, — ერთ ძროხას ეყოფოდა.

— მარტო უელი? ზალიკო არ გეხმარება?

— როგორ არა, ისიც უზიდავს ბალახს. მაგრამ ბაჭიებს აწვალებს. ვითომ ეფერება... ამასწინათ გალიიდან ამოესხა ბაჭიები. ვსედავ, დარბიან, მთელ ეზოს მოსდებიან. ამ დროს გამოვარდა კატა... ვირთაგვებს მიამსგავსა... სტაცა ერთს პირი, ველარ გავაგდებინეთ.

— კიკას და ბიძინას შენ აჩუქე ბაჭიები?

— მე? — გაუკვირდა ნუგზარს.

— არა? მაშ მოუპარავთ... მივიდე ერთი შინ, ყურებს ავაგლეჯ... დიდი დალაგებული არც ადრე იყო, მაგრამ ბიძინას რომ დაუამხანაგდა. სულ წავიდა ხელიდან. მაშინვე მივხვდი, მოპარული რომ ეყოლებოდათ, ისე პატარებს შენ დედას არ მოაცილებდი. არაო, ნუგზარმა გვაჩუქაო...

ნუგზარი წამით ჩაფიქრდა, ნეტა რომელი გალიიდან მომპარესო. ეტყობა სამივედან ამოიყვანეს თითო ცალი, იმიტომაც ვერ შევამჩნიეო.

— როგორ გაბედა! ქამრით უნდა ავუწვა კანჭები. თუ მოვახელე, იმ მის ძმაკაცსაც მაგრად შევჯორავ...

— დაანებე თავი, — უთხრა ნუგზარმა, — მე ვაჩუქე... ისე კი, მართლა პატარები არიან, დაიხოცებიან უდედოდ.

— ცოტა ვერ აცალე? წამოზრდილიყვნენ. არ შეგებრალა?

— ნუგზარ, — ჰკითხა მამამ, — დღეს მომეხმარები?

ნუგზარი ადგა.

— არა, მამა, დღეს არ მცალია... უნდა წავიდე.

მუშებს დაემშვიდობა. ალმართს რომ შეუდგა, ვიღაცამ დაუძახა. მოიხედა. ცირა იყო.

შეჩერდა. გოგო ახლოს მოვიდა. მკერდზე წიგნებით გატენილი ჩანთა მიეხუტებინა. აჩქარებით სუნთქავდა, მზეზე გარუჯული, აწითლებული სახე ოფლით დაცვაროდა.

— როგორ დავიღალე... თან ეს საშინელი სიცხე... სად იყავი?

ცირა იღიმებოდა, თვალებში შეჰყურებდა ნუგზარს.

— ქვევით, სამხერხაოზე.

— იქ, მგონი, მამაშენი მუშაობს, არა?

კი. მუშაობს... თან გაკვეცაა.

მაშინვე ინანა, ეს „გამვე" რამ მათქმევინა, ტრაბახად ჩაითვალისო.

არც კი მინახავს ჯერ, მორს როგორ ხერხავენ ფიცრებად. ძნელია?

ნუგზარს ვაეცინა.

— წამოდი, ახლავე გაჩვენებ... შეგიძლია თვითონ მოსინჯო.

აჰ, ახლა არა... სხვა დროს. ძალიან მაინტერესებს.

— სკოლიდან მოდიხარ? — ჰკითხა ნუგზარმა, — ასე რატომ შეგაგვიანდა?

— აი, რაღაცას ხომ ვდგამთ. ყოველდღე ვრჩებით გაკვეთილების შემდეგ.

— როგორაა საქმე?

— როგორც იქნა, მოვაბით თავი.

— ვინ იცის, რა ბედნიერია შაქრო.

— რატომ?

— მის პიესას არ დგამთ? რევოლუცია, პოლიცია, გიმნაზისტები...

ცირას გაეცინა.

— არა. შაქროს პიესა არ გამოგვადგა.

— მომეცი ჩანთა, — უთხრა ნუგზარმა, — წამოგიღებ.

ცირამ მაშინვე დაუთმო, აგაშენა ღმერთმაო, უთხრა, ხელები ჩამომწყვიტაო.

აღმართი აიარეს. ნუგზარის ეზოს ჭიშკართან წუთით შეჩერდნენ. ცირამ ჩანთა გამოართვა, მადლობა გადაუხადა.

იმ ჩხუბის შემდეგ კარკა ხანი იყო გასული, მაგრამ ასე მარტო პირისპირ პირველად აღმოჩნდნენ.

იდგნენ. წასვლას არცერთი არ ჩქარობდა. ვინ იცის, ბიჭმა დღეს უკვე მერამდენედ მისხალ-მისხალ გაიხსენა თავისი იმდღევანდელი ახირებული და უხიაკი ქცევა, თავი ისე უხერხულად იგრძნო, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო.

— მაშინდელისთვის ბოდიშს გიხდი, — უთხრა ბოლოს, — მართალი არ ვიყავი.

— არც მე, — უთხრა ცირამ.

— ერთი რაღაც უნდა გითხრა, არ ვეწყინოს.

— მითხარი, — ცირა შეკრთა, დაიძაბა.

— ისეთი კი არაფერია, — ნუგზარმა გაიცინა, — რამ შეგაშიხა... ვიფიქრე, ალბათ, თქმა სჯობია-მეთქი... რამდენჯერმე დაინახეს

ბიძინა, კოლმეურნეობის ბაღში. აი, იქ. ფერდობზე ლიმონს კრეფდა. ეტყობა, თქვენ არ იცით, თორეს არ დაანებებდით, არა და. ზოგი იმასაც ამბობს, დედამისი აკრეფინებსო... ვილაც ვოლვოანი ნათესავი დაუდით და ის ეზიდება, ბაზარში ყიდისო...

— დედამისი აკრეფინებსო? — ცირა გაფითრდა. — ეაღლობა, რომ მითხარი.

ძაშინვე შებრუნდა. ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისაკენ.

ზინ და ბარეთ

დაინახა თუ არა, ნუგზარმა მაშინვე იცნო. შანქანაც, მისი მძღოლიც, მძღოლის ულვაშიანი ამხანაგიც. ახლოს მიეყიდა. სოფლამდე წამიყვანეო, სთხოვა.

— დაჯექი, — უთხრა მძღოლმა.

ნუგზარმა კარი გაიოლო, ჩაჯდა.

— ბიძინასთან მიდიხართ? ჰკითხა მძღოლს, შანქანა რომ დაიძრა.

ორივემ ერთდროულად მოიხედეს.

— იცნობ შენ ბიძინას? ჰკითხა უშანგმა.

— როგორ არა, მეზობლები ვართ. მეც იქვე ვცხოვრობ.

— რას შვრება? — ღიმილით ჰკითხა უშანგმა. — დიდი ოინბაზი ვინმეა... მიყვარს ასეთი ბავშვები. სწავლა, მკონი, მაინცდამაინც არ უყვარს, ისე კი ძალიან მარჯვეა.

— კი, ყოჩაღი ბიჭია, — დაეთანხმა მგზავრი.

— კაი ხნის მეგობრები ვართ... ქალაქიდან... დიდებული ფოტოლაბორატორია მოვუწყეე. კინაღამ გაგიჟდა ბიჭი სიხარულით. მაგრამ მაინც პატარაა ჯერ მაგ საქმისთვის. შეიძლება ვერც დიუდოს გული.

— შენ რას იტყვი? — მოუბრუნდა ულვაშიანი ნუგზარს, — გამოვა მაგ ბიჭისგან ფოტოგრაფი? ტყუილად ხომ არ ეიწუხებთ თავს? სწავლობს რამეს თუ უკვე აიცრუა გული?

— რაღას ისწავლის, უთხრა ნუგზარმა, — არც აპარატი აქვს, არც გამადიდებელი.

— რატომ? — გაუკვირდა უშანგს.

— დამ ყველაფერი დაუმსხვრია, გადაუყარა...

— რას ამბობ, ბიჭო! — შესძახა უშანგმა, მანქანა ეზის ნაპირზე მიაყენა, გააჩერა. — რა, გაგიჟდა?

— გაგიჟებულა და ეგ არის, — დაუღასტურა ამხანაგმა.

— სულაც არა. — თქვა ნუგზარმა, — ჩემი აზრით, ჭკვიანი გოგოა. იცის, რასაც აკეთებს.

— კი. როგორ არა, ჭკუით ყოფილა სავსე... სცოდნია თურმე, რასაც აკეთებს. დაძმობაც ასეთი მითხარი. რას ერჩოდა, რა დაუშავა?

— ქურდობას უშლიდა... არ დაიშალა, შენ ვინ გკითხავსო.

— რას იპარავდა?

ნუგზარი გაყუჩდა.

— არ იტყვი, რას იპარავდა ის ბიჭი?

— რატომ შეკითხებით? თქვენც ხომ იცით?

— რაო, რაო? — მთელი ტანით შემობრუნდა მისკენ ულვაშიანი, — ვიცით, ხომ? საიდან უნდა ვიცოდეთ, ვიღაც ლაწირაკი სად რას იპარავს? შენ როგორ ლაპარაკობ, ბიჭო!

— ვიღაც ლაწირაკი არაა ბიძინა, აკი თქვით, კაი ხნის მეგობრები ვართო.

— ეგ ვერ გამოსვლია კარგად, — თქვა უშანგმა, — მაშ, იპარავდა, არა? ჩვენ კი, შინ ვკრეფო, გვატყუებდა.

— შენ საიდან იცი, რომ იპარავდა? — ჰკითხა ულვაშიანმა ნუგზარს.

— როგორ არ ვიცი. რამდენჯერმე დავინახე კიდეც. სხვებმაც დაინახეს.

წამით დუმილი ჩამოვარდა. უშანგმა მანქანა დაძრა. მალე სოფელში შევიდნენ.

— მართლა ალქაჯი არ ყოფილა ის გოგო!—გაიცინა უშანგმა,— შეხედავ და ვერაფერს შეატყობ სამაგისოს.

— თქვენ თუ გაქვთ ლიმონი? — ჰკითხა ნუგზარს რამდენიმე წუთის შემდეგ.

— გვაქვს, რატომაც არა...

— მოგვიკრიფე... ხომ მაინც ქარხანაში უნდა ჩააბაროთ? ჩვენ მეტს გადაგიხდით... თუ გინდა, შენც ფოტოაპარატს მოგიტანთ, ან სხვა რამეს, რასაც ისურვებ. ჩვენთან არაფერს წააგებ, — უშანგმა მანქანა გააჩერა.

ნუგზარმა კარი გააღო, გადმოვიდა.

— ჰა რას იტყვი?

— არა, მიუგო ბიჭმა, — გმადლობთ... კარგად ბრძანდებოდეთ...

* * *

დედა ტახტზე იყო წამოწოლილი და თვლემდა. ასე მოეჩვენა ცირას, როცა კარი შეაღო და ოთახში შევიდა. ეუცნაურა, რაღაც უკირსო, გაიფიქრა შეშინებულმა. დედას დამჯდარსაც კი იშვიათად ხედავდა, არათუ დღისით ტახტზე წამოწოლილს.

დედამ თვალები გაახილა, წამოიწია და ჰკითხა:

— ბიძინა სადაა?

მოდისო, მიუგო ცირამ და ფანჯარაში გაიხედა, ის იყო, ბიძინამაც შეაღო ჭიშკარი.

— ავად ხომ არა ხარ, დედა? — ჰკითხა ცირამ.

დედას არაფერი უთქვამს. შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა, თითქოს ეუბნებოდა, რა შენი საქმეა, კარგად ვიქნები თუ ცუდადო, ნელა წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. სახლის წინ ძაღლმა დაიწკმუტუნა, კართან იწვა და, ეტყობა, ბიჭმა ფეხი დაადგა. კარი გაიღო, ბიძინა შემოვიდა. მან უსიტყვოდ შეათვალიერა ოთახში მყოფები, წამით დედის სახეზე შეაჩერა მზერა, თითქოს რაღაც ეუცხოვაო. მერე ჩანთა ტახტზე მიაგდო და კარადისკენ გაემართა, იქ სადილი ეგულებოდა.

ცირა ისევ ფანჯარასთან იდგა, ჩანთის დადებაც დავიწყებოდა. შეშინებული უმზერდა დედას. ქალს თვალები ავადმყოფურად უელავდა, სახეზე მიწისფერი ედო. ხმას არავინ იღებდა. აივნიდან პაატას ხმა ისმოდა, გაკვეთილებს სწავლობდა.

— დაკეტე კარი, — უბრძანა დედამ ცირას. ცირამ კარი მოხურა.

დედა ბუხართან მივიდა. ცირამ დაინახა: კედელსა და ბუხარს შორის ბნელ კუთხეში კარგად მსხვილი წნელი იყო მიყუდებული. დედამ შოლტი აიღო და ბიძინას უთხრა:

— აქ მოდი...

ბიძინა უკვე მადიანად ილუკმებოდა. დედას რომ შეხედა, მიხვდა, საქმე ძალიან ცუდად იყო, პურის ნაჭერი ხელიდან გააგდო და კარისკენ გამოქანდა.

დედამ გზა გადაუღობა, მკლავში სცატა ხელი.

— გამიშვი ხელი! გამიშვი! რა გინდა ჩემგან?!

წნელმა ჰაერში გაიზუზუნა და ბიძინას ფეხებში მოხვდა. ბიჭი დედას ხელიდან გაუსხლტა და კარისკენ გაიჭრა, მაგრამ გზად სკამს წამოედო და გადაყირავდა. ისევ მოხვდა წნელი ფეხებში. სანამ წამოდგებოდა, დედამ მოასწრო და კარი ჩაკეტა. ბიძინა ყვიროდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ დედა ყველგან სწვდებოდა და გამეტებით სცემდა წნელს. ბიჭი ცდილობდა, დედას ხელებში სწვდომოდა, წნელი წაერთმია, მაგრამ ვერ მოახერხა, მერე ფანჯარას მივარდა, მაგრამ ვერც ფანჯარა გამოაღო...

— დედა! — როგორც იქნა ხმა ამოიღო ცირამ. აქამდე გაშეშებული იდგა, ასე გაშმაგებული მას დედა მეტი არ ენახა, — რას შვრები. დედა!

მივარდა ხელები დაუჭირა. დედა ამას არ ელოდა. წამით შეჩერდა მოულოდნელი წ. სააღმდეგობით გაოგნებული. წადი, თაეს უშველეო, უყვირა ცირამ ბიძინას. ბიჭმა კარი გააღო, გარეთ გავარდა.

დედა გამოერკვა წამიერი შეცბუნებისაგან. ხელები გაითავისუფლა და წნელი მთელი ძალით რამდენჯერმე გააფთრებით გადაუჭირა ცირას, ჯერ მხრებზე, მერე ზურგზე. მერე უცებ წაერთვა ღონე, მუხლები მოეკეცა, წნელი გააგდო, ხელი გულზე იტაცა და ზურგით კედელს მიეხალა, ნელ-ნელა ჩამოცურდა ძირს...

ცირა მივარდა, წამოაყენა, ძლივს მიიყვანა ტახტთან. ანჯღრევდა, სახესა და ყურისძირებს უსრესდა, ნუ გეშინიაო. ჩასძახოდა, მეტი ვერაფერი მოეფიქრებინა.

— ვაიმე, შვილებო, — ჩურჩულებდა დედა და ხელებს უმწეოდ ასავსავებდა, — ვაიმე... ვკვდები, შვილებო... მიშველეთ. დაუძახეთ ვინმეს...

უკვე ღამე იყო, ბიძინა შინ რომ დაბრუნდა. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჩუმად აძვრა აივანზე და იქ ერთ კუთხეში იატაკზე მოიბღუნძა. საწოლ ოთახში სინათლე ენთო. ბიძინა შუქის ჩაქრობას უცდიდა, რომ ოთახში შეპარულიყო და ლოგინში შემძვრალიყო. მალე ძილი მოერია, კართან მივიდა, ჭუჭრუტანაში შეიხედა. გარკვევით ვერაფერი გაარჩია. ფრთხილად შეაღო კარი. მარტო ცირას არ ეძინა. იგი დედას უჯდა სასთუმალთან. ცირამ მოიხედა და პირზე მიიდო თითი, ჩუმად იყავი, არ გააღვიძოო. რამდენიმე წუთის შემდეგ ადგა, ბიძინას მკლავზე მოკიდა ხელი და გარეთ გაიყვანა.

— ივახშმე? — ჰკითხა ბიჭს.

— არ მინდა...

— შედი და ჩუმად დაწექი... დედა ავადაა, არ გააღვიძო.

— შენ უთხარი, ხომ?

— რა ვუთხარი?

— ყველაფერი... რატომაც მცემა...

— მე არაფერი არ მითქვამს.

ბიძინა თვალებში უმზერდა ცირას. ეშვიც არ ეპარებოდა. რომ დამ გაამხილა.

— რას მომაჩერდი? მე მართლა არაფერი მითქვამს... თუ გშია, შედი სამზარეულოში.

ბიძინას არაფერი უთქვამს, ოთახში შევიდა და ჩუმად შეძვრა თავის ლოგინში. ცირამ დედას დახედა, მერე შუქი გაანათო და ისიც დაწვა.

პაატა გზის პირას იდგა. საცოდავად მობუზულიყო და ისე უმწეოდ და ბეჩავად გამოიყურებოდა, თითქოს სახლიდან გაყოუგდიათო.

— აქ რას უცდი? — ჰკითხა გაკვირვებულმა ცირამ.

— შენ...

— შინ რატომ არ მიდიხარ?

— ვიყავი. სახლში არავინაა. დედა საავადმყოფოში წაუყვანიათ...

— საავადმყოფოში? — ცირას გული შეეკუმშა, გაფითრდა. დილით დედა უკეთესად იყო, თითქმის ძალით გააგდო ცირა, სკოლაში წადი, მე უკვე არაფერი მიჭირს, კარგად ვარო. ცოტა ხნით წამოდგა კიდეც, — ნეტა რა მოუვიდა?

— რა ვიცი, კიკას დედამ მითხრა, ცუდად გახდა და სასწრაფოს გამოვუძახეთო.

— მეტი არაფერი უთქვამს?

— ნუ გეშინია, მალე დაბრუნდებაო... მერე თავის სახლში მივყავდი, ჩვენთან ისადილეო.

— მერე?

— არ წავყევი... ჯერ ცირა მოვიდეს-მეთქი...

— ბიძინა სადაა?

— ჯერ არ მოსულა.

ცირამ ჩანთა პაატას მიაჩეჩა.

— წაილე და შინ წადი. მე მალე მოვალ.

— სად მიდიხარ?

— დედასთან...

— მეც წამოვალ.

— არა... ახლავე შინ წადი.

— მეც წამოვალ, რა... გეხვეწები.

— არა-მეთქი...

პაატამ ჩანთა მიწაზე დადო და ხეს აეტუზა, ატირებას ცოტაღა უკლდა.

— მალე მოვალ, ნუ გეშინია. ბიძინაც მალე მოვა...

პაატა დუმდა. იდგა შუბლშეკრული, გვერდზე იხედებოდა.

მესამე დღეა, ცირა სკოლაში არ წასულა. დილიდან საღამომდე დედასთანაა სავადმყოფოში. ხანდახან ექიმი ცდილობს დაარწმუნოს, დედაშენს არაფერი უჭირსო, შინ წადიო, მაგრამ ცირას არ სჯერა ეს. განა ვერ ატყობს, დედა ძალიან ცუდადაა. პირაღმა წევს და აჩქარებით სუნთქავს, ხმის ამოღებაც კი უჭირს. დროდადრო ხელს მოაფათურებს საწოლზე, ცირას ხელებს ეძებს, სუსტად ჩაებღაუჭება და ტუჩებს აცმაცუნებს.

— გინდა რამე? — ეკითხება ცირა.

— არაფერი... სკოლაში იყავი?

არც კი ახსოვს, რომ დილიდან საღამომდე ცირა მის გვერდით ზის. ყველაფერი ავიწყდება.

— ვიყავი, — ატყუებს ცირა.

— ბავშვები სად არიან?

— შინ.

— სკოლაში თუ დადიან?

— ჰო...

არც კი იცის, დადიან თუ არა ბიძინა და პაატა სკოლაში. ეს სამი დღეა, ისეა დაბნეული და დარეტიანებული, ვერაფერს ხედავს, არაფერი ესმის. შინ მისული რაღაცას კი ეკითხება ბიჭებს. ისინიც პასუხობენ, მაგრამ რას, არაფერი ახსოვს. თითქოს ისიც ავადაა დედასთან ერთად, თითქოს ბურუსში დაბორიალობს ხელების ფათურით.

დედამ რაღაც კიდევ ჰკითხა და პასუხისთვის აღარ დაუცდია, ძილს მისცა თავი. ცირა ადგა, დერეფანში გამოვიდა. ფართო დერეფანში პატარა მაგიდასთან თეთრხალათიანი მაღალი, გამხდარი, კაცი იჯდა, გაზეთს კითხულობდა. კაცმა თავი ასწია, ცირას შეხედა, გაუღიმა. ექიმი იყო, სწორედ ის, ცირას რომ არწმუნებდა, დედაშენს არაფერი უჭირს, სკოლას ნუ აცდენო.

— მოდი, გოგონა, — უთხრა ექიმმა და სკამი დაუდგა, — დაჯექი.

ცირა ახლოს მივიდა, მაგრამ არ დამჯდარა. ექიმი ისე დიდხანს და ყურადღებით უმზერდა გოგოს, ცირა შიშმა აიტანა. ალბათ რაღაც ძალიან ცუდი რამ უნდა მითხრას და ვერ გაუბედავსო, გაიფიქრა წამით.

— მამა თუ გყავს? — ჰკითხა უცებ.

ცირა დაიბნა, პასუხის გაცემა ვერ მოახერხა.

— ორი ძმა გყოლია, ხომ?

— დიახ, — მიუგო ცირამ.

— დიდები არიან?

— ერთი პირველშია, მეორე — მეექვსე კლასში.

ცირას ეშვი არ ეპარებოდა, რომ ექიმმა მშვენიერად იცოდა ყველაფერი. ამან კიდევ უფრო დააფრთხო და ააფორიაქა, ალბათ რაღაც საშინელი აქვს სათქმელი და უნდა საუბარში შემიყოლიოსო.

— ჰოო, — ჩაილაპარაკა ექიმმა, — არც ისე დიდები ყოფილან... შინ ვინ გყავთ, ვინ უვლის ბავშვებს?

— არავინ, — მიუგო ცირამ.

— დედაშენს დიდხანს მოუწევს მკურნალობა, — უთხრა ექიმმა, — შეიძლება ოპერაციაც დასჭირდეს.

ცირა გაშეშებული იდგა, თვალებსაც არ ახამხამებდა. ექიმი წამოდგა, მხრებზე მოჰკიდა ხელი, ძალით დასვა სკამზე. სერიოზულადაა ავად, მაგრამ ისეთი კი არაფერია, გული წინასწარ რომ გავიხეთქოთო, უთხრა ღიმილით, მერე დაუმატა:

— მამაშენი რამდენი ხანია არ გინახავს?

კარგა ხანიაო, მიუგო ცირამ.

— არ დადიოდა თქვენთან?

— არა...

— ახლა რომ მიხვიდე და თქვენი ამბავი უთხრა, არ ჩამოვა? მამაა, ბოლოს და ბოლოს, ვალდებულია, შვილებზე იზრუნოს.

— რა ვიცი...

— სადაა? იპოვი?

— მივაგნებ, ალბათ... მისამართი ვიცი.

— ძალიან კარგი... წადი, ნახე. მამაა, შვილებს უნდა მიხედოს, — ცოტა ხანს დუმდა, მერე განაგრძო, — მანამდე მაინც, სანამ დედაშენი მომჯობინდება.

— წავალ...

— ხვალ-უკე წადი... ყველაფერი უთხარი... ცოდვა ხართ ასე უპატრონოდ.

ცირამ პალატაში შეიხედა. დედას ეძინა. გარეთ გამოვიდა, გრძელი დერეფანი გაიარა, ეზოში ჩავიდა.

ერთბაშად უცნაური, მოულოდნელი შვება და სიხარული იგრძნო. მამა! რატომ თვითონ არ გაახსენდა? ჰო, მოძებნის. უეჭველად იპოვის. ხვალვე. ყველაფერს ეტყვის მამას. იგი დაბრუნდება და მეტად არასდროს ალარ მიატოვებს მათ. მამა ნამდვილად დაბრუნდება შინ.

ამ წუთიერად ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს წყლის შავ ნი-

ალვარს მიჰქონდა ოთხივე — დედაც, ცირაც, ბიძინაცა და პაატაც. ამაოდ ეხვეოდნენ მშველელს, იშვერდნენ ხელებს, ეპიდებოდნენ ხავსს... საშველი არ იყო.

-ახლა კი...

მაღვიძარას წკრიალზე ძმებმა ერთდროულად წამოყვეს თავი საწოლიდან. პაატა ადგა, აივანზე გავიდა. ბიძინამ მაღვიძარა ჩააჩუმა, საბანი თავზე წაიხურა.

ცირა ძროხის წველას მოჰრჩა, რძიანი ქვაბი ქურაზე შედგა, ადუღებას უცდიდა. ამასობაში პაატამ ხელ-პირი დაიბანა, ჩაიცვა, საუზმის მოლოდინში მაგიდას მიუჯდა.

— მე დღეს მამასთან მივდივარ, — უთხრა ცირამ.

— საად? — პაატას თვალები გაუფართოვდა.

— მამა უნდა მოვიყვანო.

— სადაა მამა?

— ვიცი, სადაცაა... ვნახავ.

რძე ადუღდა. პაატას ტოლჩაში ჩაუსხა და დაუდგა. ცხელია, ცოტა დაუცადე. პირი არ დაიწვაო, უთხრა, პურიც დაუჭრა. მერე ვედრო აიღო და წყლის მოსატანად გავიდა. რომ დაბრუნდა, პაატა კვლავ თავის რძიან ტოლჩას მიჩერებოდა.

— რამ გამოგაშტერა, ბიჭო. პური ჩაფხვენი და გაგრილდებაო...

პაატამ პურის ნაჭერი აიღო, ხელში გაუშეშდა.

— მამა... მოვა?

— მოვა, მაშ?.. ბიძინა იყო გუშინ სკოლაში?

— არ იყო.

— არც გუშინწინ?

— არა.

— დამაცადოს, მოვიდეს მამა.

— ბიძინა ისევ დადის ბაღში... ლიმონს კრეფს. მეც მითხრა, მომეხმარე და ჭოგრიტში გაგახედებო...

— რომელ ჭოგრიტში?

— უშანგი მოუტანს.

— მიეხმარები?

— არა.

— არ მიეხმარო, თორემ მამას ყველაფერს ვეტყვი.

— არ მივეხმარები, — გაიმეორა პაატამ და რძის ხვრეპას შეუდგა.

ცირამ სპილენძის ჭოჭრილი ტოლჩა წყლით აავსო და კიბეს შეუყვა. საწოლი ოთახის კარი შეაღო. ბიძინა საბანში გახვეულიყო, ეძინა.

— ბიძინა! — ღაუძახა ცირამ.

საბანი არც კი შერხეულა.

— ბიძინა! — ხმას აუწია ცირამ.

— ჰო, — საბნის ქვემოდან გამოეხმაურა ძმა.

— ადექი, დაგაგვიანდება სკოლაში.

— თავი დამანებე.

ცირა ახლოს მიეიდა, ტოლჩა ისევ ხელში ეჭირა. საბანი გადახადა. ბიჭი საბანს ებღაუჭებოდა, არ ანებებდა.

— ადექი, თორემ გაგწუწავ.

— თავი დამანებე!

— სკოლაში არ მიდიხარ?

— რა შენი საქმეა...

ცირამ საბანი წამოუწია და წყალი სახეში შეასხა. ბიძინა შეხტა, გამწარებული წამოვარდა. ცირამ ხელი ჰკრა და წინ გაიგდო.

— რას შვრები, რას? — შემოეღრინა ბიჭმა, — გაგიჟდი? იცი შენ, რას აკეთებ?

— ვიცი, — უთხრა ცირამ მშვიდად, — ახლავე ჩაიცვი და სკოლაში წადი.

ბიძინამ ზეწარი დაითრია, სველი თმები და სახე შეიმშრალა, მერე ჩაცმას შეუდგა.

• • •

სადილობა იყო. სამხერხაოზე ისვენებდნენ. ნუგზარი პირაღმა იწვა უზარმაზარ მორზე და ლურჯი ცის ჭვრეტით ტკბებოდა, ირაკლი ახლადდახერხილი ძელების ვროვაზე ასულიყო, ფერდობზე შეფენილ ციტრუსების ბაღს ხელით შუბლმოჩრდილული ათვალიერებდა.

— ისევ გამოჩნდა! — წამოიძახა უცებ. — ვადამრევს ეს ბიჭი... ალარავის ერიდება.

— რომელი ბიჭი? — ჰკითხა ნუგზარმა. ადგა, ახლოს მოვიდა.

— ამოდი და დაინახავ, — უთხრა ირაკლიმ და ხელი შეაშველა.

ნუგზარიც აცოცდა ძელების გროვაზე. ფერდობს გახედა. სულ ზემოთ, ზედ ღობესთან ბიძინას მოჰკრა თვალი.

— დედამისი საავადმყოფოში წევს... ჰოდა, აი, დრო იშოვა, ალარაკინ ჰყავს დამშლელი, — თქვა ნუკრაძმა.

— წამო, წამო, — ირაკლი ძირს ჩამოხტა, — ჭკუა უნდა ვასწავლო.

ბოგირზე გადაირბინეს და აღმართს შეუდგნენ. შეეძლოთ, პირდაპირ ტერასებს აპყოლოდნენ, მაგრამ ზემოდან ბიძინა მათ ადვილად დაინახავდა და ხელიდან დაუსხლტებოდათ.

— დღისით, მზისით, — ამბობდა ირაკლი, — როგორ არ ეშინია, ან არ რცხვენია. გადმოტანას როგორღა ახერხებს? ამ გზაზე სულ ვიღაც მიდი-მოდის.

— რა ეჩქარება? დაღამებამდე არ გადმოიტანს. მოკრეფს და ჩამალავს სადმე.

აღმართი აიარეს. ღობესთან შეჩერდნენ და ყური მიუგდეს.

— სადღაც აქაა, — თქვა ნუგზარმა.

ირაკლი სწრაფად გადაეკვლო ღობეს და წუთიც არ გასულა, ბიძინას ბუზღუნი მოისმა:

— ხელი ვამიშვი... შენ ვინ გკითხავს...

ახლა ნუგზარიც გადახტა ღობეზე. ირაკლის მაგრად ჩაეკვლო ხელი ბიჭისთვის. ბიძინა ამაოდ ცდილობდა გასხლტომას.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— არაფერს...

ირაკლიმ მიიხედ-მოიხედა, შორიახლოს კარგა მოზრდილი, პირთამდე სავსე ჩანთა დაინახა.

— ის ჩანთა ვისია?

— არ ვიცი...

— გესმის? — მიუბრუნდა ირაკლი ნუგზარს, — არ სცოდნია, ვისი ჩანთაა.

— ხომ იცი, ქურდობისთვის სად ამწყვდევენ?..

ბიძინა გაყუჩდა.

— შენც დაგიჭერენ და იმასაც, ვისთვისაც ლიმონს კრეფდი... შენ ქურდი ხარ, ის წამქეზებელი და ნაქურდალის გამსაღებელი. დედაშინსაც საქვეყნოდ გალანძღავენ, ასეთი შვილი რომ ყავხარ... ეტყვიან, რატომ არ დაუშალეო. იქნება დააბრალონ კიდეც, რომ ის გავალებდა ამ სამარცხვინო საქმეს. არ გეცოდება ავადმყოფი ქალი?

ბიძინა დუმდა. წყნარად იჯდა ბალახებში. აღარ ცდილობდა ირაკლის ღონიერი ხელებისაგან თავის დაღწევას.

— ამ ამბავს რომ გაიგებენ, სკოლიდანაც გამოგრიცხავენ, — უთხრა ირაკლიმ.

ბიჭმა ტირილი დაიწყო.

— ბიჭოს! გაუკვირდა ირაკლის, — ნამდვილად ტირის თუ მეჩვენება?

ხელი უშვა, გვერდზე მიდგა.

ბიჭი სლუკუნებდა, თვალებს მუშტებით ისრესდა.

თვალთმაქცობს ეს მამაძაღლიო, ფიქრობდა ირაკლი, ეპვით შეჰყურებდა, თავს გვაცოდებსო.

— რას დაგპირდა, მაინც, ის შენი ძმაკაცი, ღირს კი ამდენ დავიდარაბად? — ჰკითხა ირაკლიმ.

— მე ვიცი, რასაც დაჰპირდა, — თქვა ნუგზარმა, მერე ბიჭს მიუბრუნდა, — ჭოგრიტისთვის გასწირე თავი, არ გრცხვენია? ბოლოს და ბოლოს, მეც მაქვს ერთი დურბინდი... შენი საჩუქარი იყოს, ოღონდ აქ მეტი ფეხი არ ჩამოდგა...

— ჭოგრიტისთვის კი არა, — სლუკუნით თქვა ბიძინამ, — მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი.

— ვითომ ასეთი ხათრიანი ხარ? — უთხრა ირაკლიმ, — მაშ ფოტოაპარატი რატომ გამოართვი?

— მომცა და... უარს რატომ ვეტყოდი... რომ არ მოეცა, მე მაინც მოვუკრეფდი. ხათრით...

რამდენიმე წუთის შემდეგ, სამხერხაოზე რომ ბრუნდებოდნენ, ირაკლიმ ჰკითხა ნუგზარს:

— შენ რა, მართლა აპირებ დურბინდის ჩუქებას?

— რა დიდი საქმეა?

— რაკი ცირას ძმაა, ხომ? სხვა რომ ყოფილიყო?

ნუგზარი გაწითლდა.

— გეხუმრე, არ გეწყინოს... ჩემი აზრით, ასეთი ვულუხვი საჩუქარი არ დაუმსახურებია. რისთვის აჯილდოებ, ქურდობისთვის?

ნუგზარს არაფერი უთქვამს. მართლაც სულელურად მოვიქეცი, დურბინდი რომ დავპირდიო, ფიქრობდა, მაგრამ არ ნანობდა.

— კარგი იქნებოდა, — თქვა ირაკლიმ, — ერთი ის კაცი მენახა, მაგ ბიჭი ამდენ ხათრს რომ უნახავს...

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, აღმართში ზუზუნით ამომავალ ვოლგას მოჰკრა თვალი.

— გახედე... ასე ჯერ არაფერი გამმართლებია...

ირაკლი ღობესთან მივიდა, აკაციის მოკლე მარგილი რბილად მოჰყვა ხელში.

— შენ... ჩხუბს ხომ არ აპირებ? — ჰკითხა ნუგზარმა.

ირაკლის გაეცინა.

— შეგეშინდა?

ამასობაში მანქანამ აღმართი ამოათავა. უშანგმა მაშინვე იცნო ნუგზარი, ღიმილით დაუქნია თავი.

ირაკლიმ პოთხრილი მარგილი იქვე მიაყუჯა ღობეზე, იქნება არც კი დამჭირდესო. უხერხულიც იყო ასე, სარით ხელში უცნობებთან ლაპარაკი. გზაზე გამოვიდა, მძღოლს ანიშნა, მოიცადეო

მანქანა გაჩერდა.

— თქვენ ბიძინას სტუმრები ხომ არა ხართ?

კი ვართო, მშვიდად მიუგო უშანგმა.

— ბიძინა შინ არაა. მოაბრუნეთ მანქანა, თქვენს გზას ეწრეთ.

— ბიჭოს? — გაუკვირდა მძღოლის ამხანაგს, — ეს ბრძანებაა?

— არა... რჩევა...

— მადლობლები ვართ... რჩევებს არ ვიღებთ.

— უნდა მიიღოთ. თქვენთვისაც ასე სჯობია, ბიძინასთვისაც... ის იპარავს, თქვენ ნაქურდალს ეზიდებით. გაასულელეთ ბავშვი, ქურდობა ასწავლეთ.

ულვაშიანი მანქანიდან გადმოვიდა. უშანგიმაც გააღო კარი.

— არა, ჩხუბს არ გირჩევთ, — უთხრა მათ ირაკლიმ, — დაზარალდებით...

— ვინ? — ჰკითხა უშანგმა, — ეს ჩვენ დავზარალდებით?

ამ დროს თვალი შეასწრო ნუგზარს, სარით ხელში მანქანას რომ უახლოვდებოდა.

— ეე! — უყვირა უშანგმა, — გაგიჟდი? მოსცილდი მაიდან... მანქანას არ გაეკარო, გაიგე?

გადმოვიდა, ამხანაგს ხელი მოჰკიდა, თითქმის ძალით ჩასვა მანქანაში.

— მაშ შენ ამბობ, — მიუბრუნდა ირაკლის, — რომ ჩემი ნათესავი შინ არაა?

— არაა... თუ მოკითხვას დამაბარებ, გადავცემ.

— აჰ, არა, — მიუგო უშანგმა და საკეს მიუჯდა, — ამდენს ვერ დაგავალებთ, ისედაც პატივნაცემი ვართ შენგან. ვეცდებით, ვალში არ დაგრჩეთ.

ნელა დაძრა მანქანა.

• • •

იმ საღამოს ამინდი შეიცვალა. ჯერ ქარი ამოვარდა, მერე კოკისპირული წვიმა დაუშვა, ირაკლი გვიან დაბრუნდა შინ. თავიდან ფეხებამდე ვალუმპული იყო. წინა ოთახში სინათლე აანთო და სველი ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა. სეტყვანარევი წვიმა გა-

შეტებით უშენდა თუნუქის სახურავს და ამის გამო ირკვლივ გაჟა ყრუებელი ხმაური იდგა.

სამხერხაოდან პირდაპირ კლუბში წავიდა, ორსერიიანი ფილმ ნახა. მერე კარგა ხანს წვიმის ვადაღებას ელოდებოდა.

საათზე დახედა, თორმეტი სრულდებოდა.

კარი გაიღო, წინა ოთახში დედა შემოვიდა.

— ბიძინასთან ვერ გადახვალ? — ჰკითხა ირაკლის.

— ამ შუალამეზე იქ რა მინდა?

— ბავშვები მარტო არიან შინ. არ შეეშინდეთ-მეთქი.

— რაღა დროს შიშია, — უთხრა ირაკლიმ, — ახლა დაძინებული იქნებიან.

— ჰო, მაგრამ, რა ვიცი... ასეთი საშინელი ქარ-წვიმაა. ერთი წუთით რომ გადასულიყავი, მაინც კარგი იყო.

— უფრო არ შეეშინო-მეთქი...

— თუ შეატყო, სძინავთ, მაშინვე გამობრუნდი.

— ცირა ხომ შინაა?

— მაშინ რა უკვირდათ. ცირა შინ არაა. მამა უნდა მოვიყვანოთ. ღილით წავიდა და აღარ გამოჩენილა. ალბათ დარჩა იქ, მამასთან.

ირაკლიმ ლაბადა მოძებნა, ფოიხურა და გარეთ გავიდა.

ქარიანი ღამე

— რომელი საათია? — ჰკითხა პაატამ ძმას.

— ათი, — მიუგო ბიძინამ, ისე რომ საათისთვის არც შეუხედავს. გაუწყალა გული, ყოველ წუთს დროს ეკითხება.

— წეღანაც რომ ათი იყო?

— ცოტა მეტია...

— ცირა როდის მოვა?

— მალე...

ცირა აქამდეც უნდა მოსულიყო. დაჯდან ბოლო ავტობუსი რვაზე გამოდის.

— მამას მოიყვანს?

— ჰო...

— სადაა მამა? სად იყო აქამდე?

— რა ვიცი... მოვა და გვეტყვის.

— დედა მალე გამოვა საავადმყოფოდან?

— ჰო. მალე ვამოვა...

პაატა ადგა, წიგნი ამოქუსნა, მაგიდაზე დაკრა, ვალამალა, მიუ-

და ხმამაღლა დაიწყო კითხვა, კითხულობს, მაგრამ ეტყობა სულ სხვა რამეზე ფიქრობს, ხმა უკანკალებს, ეს-ესაა ჩაუწყდება.

— იცი რა, — ეუბნება პაატა ძმას, — მოდი, ცეცხლი დავანთოთ...

— შეგცივდა?

— არა, მაგრამ...

— კარგი, დავანთოთ, — დაეთანხმა ბიძინა. ეს აზრი მაშინვე დაუჯდა ჭკუაში. შეშისთვის შორს წასვლა არ სჭირდებათ, აქვე აწყვია სახლის გვერდით, ლაფაროში. ბიძინამ ელექტროფარანი მიაჩეჩა ხელში ძმას, გამომყევი და გამომინათეო. ფრთხილად გაიღეს კარი, გარეთ გამოვიდნენ. ბიძინამ ხმელი შეშა შეიტანა, ბუხართან დაყარა, მერე იქვე ჩაიმუხლა, დანთებას შეუდგა.

ცეცხლი სწრაფად აგიზგიზდა. ძმებმა შვება იგრძეს, თითქოს ვიღაც მესამე შემოემატათ, ძლიერი. გულადი, ბიჭებსაც ამხნევებდა და თან იქაურობას სითბოთი და სინათლით ავსებდა.

უცებ გაიელვა, დაიქუხა, სინათლე ჩაქრა. პაატამ ძმას ხელი სტაცა, მაგრად ჩასჭიდა, თითქოს ეშინოდა, არსად გამექცესო.

— ნუ გეშინია, — უთხრა ბიძინამ, — რას მეგლაუჭები. ახლავე აინთება.

ბუხარში სწრაფად იფერფლება მოკლედ დაჩეხილი, ხმელი შეშა. გარედან ქარისა და წვიმის ხმაური მოისმის.

— მეშინია, — ჩურჩულით თქვა პაატამ. სადაცაა, ტირილს დაიწყებდა. ნათურაც აღარ ინთებოდა. ბიძინამ ელექტროფანარი აანთო, ლამპა მოძებნა, მაგიდაზე დადგა და მოუკიდა.

ოთახი მაშინვე უცნაური ჩრდილებით აივსო. ჩრდილები წვანან იატაკზე, კედლებზე, ჭერზეც კი და ნელა, ოდნავ შესამჩნევად ირხევიან, თითქოს სუნთქავენ. თითქოს ცოცხლდებიან, თანდათან იდგამენ სულს... პაატას ეშინია ამ ჩრდილების, თვალებს ხუჭავს, მაგრამ ე', არაფერს შველის, თვალდახუჭულს მთელი სახლი ლანდებითა და მოჩვენებებით სავსე წარმოუდგება, ბიძინას ეკვრის, კანკალებს.

— რომელი საათია? — ეკითხება.

— ათი, — პასუხობს ბიძინა.

— მოვიდეს დედა, ყველაფერს ვეტყვი, — ჰპირდება პაატა.

— წეღან ათი იყო... ახლაც ათია, იმიტომ რომ ჯერ ერთი საათი არ გასულა. ერთი საათი რომ გავა, თერთმეტი იქნება.

— მამა მოვა?

— როგორ არა, გზაშია.

— ცრუობ...

ქარ-წვიმამ იმატა. ფანჯარასთან გაშმაგებით ეხეთქება კედელს ტოტებგაბარჯღული ლეღვის ხე. ხან ფანჯარაზე მოაფათურებს ბრტელ ფოთლებს, ხან თუნუქის სახურავს მიაწვდენს გრძელ ტოტს და საზარლად ააფხაკუნებს. ზოგჯერ ისეთი გრიალ-გრიალი, სტვენა და ქშენა მოისმის სახურავიდან, იფიქრებ, რაღაც გულ-შემზარავი არსებანი — ალქაჯები და ჯოჯოები მიძვრებიან, მიფორ-თხავენ სახურავზე, იქიდან კი საკვამლე მილში ეშვებიან, რომ ბოლოს ბუხარში ამოჰყონ ბანჯგვლიანი თავები... ცეცხლის ეში-ნით ჯერ, მაგრამ ჩაქრება თუ არა...

აივნიდანაც მოისმის გრიალ-ხრიგინი, თითქოს ვიღაც დარბის გახელებული. გაირბენს, გაიხრიგინებს, შეჩერდება, გამობრუნდე-ბა, გამოიხრიგინებს... ასე დაუსრულებლად.

ნელ-ნელა იფერფლება მუგუზლები. ხომ არ დაუმატონ შეშა? აქვეა, სახლის გვერდით. ერთი წუთიც არ უნდა. დააკლებს ხელს რამდენიმე ნაპობს და ელვის სისწრაფით შემოვარდება კარებში. პაატა კარებში ჩადგება. იქიდან გამოუნათებს ელექტროფანრით. პაატა თანახმაა, გამოართვა ფანარი, აანთო. ბიძინა ფრთხილად ჰკი-დებს ხელს კარის სახელურს. ყოყმანობს. ვაითუ იქ კარს უკან ვინმე დგას და... რა სისულელეა, რატომ უნდა იდგეს? ვის რა ესაქმება? რამე იარაღი მაინც ჰქონოდა, წალდი ან ცული... მაგიდაზე პურის დასაჭრელი დანა დევს. ესეც საქმეა, აიღო, ხელში შეათამაშა.

— შეშა? — ეკითხება პაატა.

— რაღა დროს შეშაა... შუაღამეა უკვე, დავწვეთ. დავიძინოთ.

დავწვეთ, დავიძინოთო, დაეთანხმა პაატა. მაგრამ არ წვებიან. ბუხართან სხედან, ერთმანეთს ეკვრიან.

ცეცხლი ჩაქრა. პაატას დაეძინა, თავი ბიძინას კალთაში უდევს. მისთვის ახლა ყველაფერი სულ ერთია, მშვიდად სძინავს. არაფერი აწუხებს.

„სად დაიკარგა ცირა? მამასთან მივალო. საიდან მოიგონა. სად იპოვის? ჩვენ გვატყუებს ვითომ. იქ დარჩებოდა, საავადმყოფოში. დედასთან...“ ერთხელ უთხრა კიდეც ძმებს, დედას თუ დასჭირდა, ღამე უნდა გავუთიოო, არ შეგეშინდეთო.

ბიძინა ადგა, პაატა ლოგინზე დააწვინა. თვითონაც გვერდით მიუწვა. კარგა ხანს იყო ასე. თვალზე რული არ ეკარებოდა. ადგა, კარადის უჯრიდან თეთრი, გრძელი თოკი ამოიღო და საწოლზე მი-ება, მეორე ბოლო კარის სახელურში გაუყარა. საიმედოდ დაამაგრა. კარი ჩაკეტილია, მაგრამ თუ მაინც შეძლებს ვინმე კაღებას, სა-წოლიც ხომ უნდა გაათრიოს?

პურის დასაპრელი დანაც იქვე, სასთუმალთან დაიდო.

პაატას შშვიდად სძინავს.

გარედან კი განუწყვეტლივ მოისმის ქშინვა, სტვენა, ფხაპუნი, ხროგინი...

• •

ირაკლიმ ჯერ ფანჯრიდან შეიხედა ოთახში. შიგნით ლამპა ბეუ-ტაბდა. ფარდების იქით მეტი ვერაფერი გაარჩია. მერე კარებთან მი-ვიდა, დაკაკუნა. ხმა არავის გაუცია. სძინავთო, გაიფიქრა და უკან გამობრუნება დააპირა. ისევ მივიდა ფანჯარასთან. ფარდის იქით ლანდი ფათურობდა, წრიალებდა. კართან დაბრუნდა, დაკაკუნა. ოთახში ჩამბიჩუმი არ ისმოდა. გარეთ გაშმაგებით ქროდა ქარი და წვიმა ასხამდა. მაღალი ლეღვის ხე იერიხებოდა, კედელს აწყდე-ბოდა.

— გაღე, ბიჭო, კარი! მე ვარ, ირაკლი! ნუ კეშინია!

გრძნობდა, ბიჭი კარს იყო აკრული.

რამდენიმე წუთის შემდეგ საკეტის ხმა გაისმა, კარი გაიღო, ირაკლი ოთახში შევიდა. ბიძინა მის წინ იდგა. მარჯვენა ხელში პუ-რის საპრელი დანა ეჭირა. ახლა თოკიც დაინახა სტუმარმა. ერთი ბოლო საწოლზე იყო მიბმული, მეორე იატაკზე ეგდო.

ბიძინა ენაჩავარდნილი იდგა. საწყალს მაგრად შეშინებიაო, გა-იფიქრა ირაკლიმ. შეეცოდა, თვალი აარიდა.

ირაკლიმ ლაბადა გაიხადა. გამოვართმევო, გაიფიქრა ბიძინამ და მაშინვე ვაახსენდა, რომ ხელში დანა ეჭირა. შერცხვა, სწრაფად დადო მაგიდაზე. ირაკლის ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— გეძინა? — ჰკითხა ბიძინას.

— მეძინა, — იცრუა მან. — პაატას უფრო მალე დაეძინა.

— ბავშვს ხომ არ შეშინებია?

— სულაც არა..., რისი უნდა შეშინებოდა?

ირაკლიმ თოკს შეაჭერო თვალი.

— კარზე მჭონდა მიბმული, — თქვა ბიძინამ, — ქარმა არ გა-ალოს-მეთქი.

— ჰო, მაგრად უბერავს. ცირა არ მოსულა, ხომ?

— ირა, არ მოსულა.

— არა უშავს... შეაგვიანდა და ალარ გამოუშვეს... გადმოვედი, ნეტა მამა თუ ნახა-მეთქი. ახლა მეზარება შინ წასვლა. ბირეთ აქ გავათევ, კარგი?

— როგორც გინდა, — მიუგო ბიძინამ.

ცირამ ფრთხილად დააკაკუნა კარზე. შიგნიდან ხმაური ისმოდა. იქ ხმამაღლა იცინოდნენ. ერთმანეთს უყვიროდნენ, ფეხებს აბრახუნებდნენ. ცირას მამის ბინა ასეთი ხმაურიანი არ ჰქონია წარმოდგენილი. პირიქით. რატომღაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მამა დახვდებოდა ყრუ. ბნელ ოთახში, სადაც მხოლოდ ერთი სკამი, მაგიდა და საწოლი იქნებოდა. მეტი არაფერი.

ისევ დააკაკუნა. ახლა უფრო გაუბედავად. არც ახლა შეწყვეტილა სიცილი და ხმამაღალი ლაპარაკი. არა, რაღაც შეეშალა, შეუძლებელია. აქ მამა ცხოვრობდეს. ხომ არ სჯობია, დროზე გაეცალოს აქაურობას? იდგა, დაბნეული ფრჩხილებს იკვნეტდა. სად წავიდეს, ვის უნდა მიმართოს? იცოდა, წასვლა იყო საჭირო. მაგრამ ფეხები ერთბაშად დაუმძიმდა, გრძნობდა, თუ აქედან ასე უპასუხოდ წავიდოდა, მამას ვერასოდეს ვეღარ ნახავდა.

უცებ კარი გაიღო და გარეთ ტანმორჩილი ბიჭი ვამოვარდა. ცირა რომ დაინახა, გაოცებული შედგა. უსახელო მაისურა ეცვა.

— ჩვენთან ხართ? — ძლივს ამოოერღა ბიჭმა, — მობრძანდით.

ცირამ ოთახში შეიხედა. იქ სამი ბიჭი დაინახა. ოთახში ერთი მაგიდა, ორი საწოლი და რამდენიმე სკამი იდგა. მაგიდაზე წიკნები და რვეულები ეყარა.

ამხანაგებს წითური, ჭორფლიანი ბიჭი გამოეყო, კართან მოვიდა, ხელები გაშალა.

— მობრძანდით, — უთხრა ცირას, — მობრძანდით, ქალიშვილო, სტუმარი ღვთისაა, ყველანი შინ გახლავართ.

— მე?.. არა. არა, გმადლობთ, რაღაც შინდოდა მეკითხა.

— აბა, ბრძანეთ, — ჩაერია საუბარში მეორე, მაღალი. შავგვრემანი ბიჭი. იგი წელზევით შიშველი იყო, ახლა სწრაფად იცვამდა ჰერანგს და გამბედაობაც თანდათან ემატებოდა.

ცირა ყოყმანობდა.

— გვკითხე, რაც გინდა... ჩვენ ყველაფერი ვიცით.

— აცალე, ბიჭო! — წითურმა გვერდი გაჰკრა მაღალს, — მოიფიქროს.

— აქ არჩილ ნათიშვილი ხომ არ ცხოვრობს? — იკითხა ცირამ.

ბიჭები ჩაფიქრდნენ. აშკარა იყო, ეს სახელი და გვარი მათ პირველად ესმოდათ. პასუხს მაინც აგვიანებდნენ. არაო, რომ ეთქვათ, გოგო წავიდოდა. ეს არ უნდოდათ.

— არჩილი მე მქვია, — ოქვა უცებ მესამე ბიჭმა. იგი ყველაზე

პატარა ჩანდა, ტანითაც და ასაკითაც. შეიძლება იმიტომაც, რომ თავი გადახოტრილი ჰქონდა. თქვა და გაწითლდა, თვითონვე შერცხვა თავისი პასუხის. ალბათ მართლა ერქვა არჩილი.

ის ბიჭი, კარი რომ გააღო, კვლავ გარეთ, ცირას გვერდით იდგა და ხმას არ იღებდა.

— ნათიშვილი კი, ქალიშვილო, — თქვა შავგვრემანმა, — თუ არ ვცდები, ჩვენი ტექნიკუმის მეკარეა, მაგრამ სახელად არჩილი კი არა, მგონი არსენა ჰქვია...

ცირა მიბრუნდა და სწრაფად გაეცალა იქაურობას, ეზო გაირბინა და ქუჩაში გავარდა.

ოთახში დარჩენილი ბიჭები ერთმანეთს შეჰყურებდნენ. ტანმორჩილი ნაწყენი, წარბშეკრული იდგა კარებთან. მაღალი იხტიბარს არ იტეხდა და სიცილს განაგრძობდა, მაგრამ ყველა ამჩნევდა, რომ თავს ძალას ატანდა. ჰორფლიანმა დანანებით წამოიძახა:

— ბიჭოს, გაიქცა! ე, შე სულელო, — მიუბრუნდა მაღალს, — ეს არსენა მაინც საიდან მოიგონე...

— დავაფრთხე, — სინანულით თქვა შავგვრემანმა.

ტანმორჩილი კარს მოსცილდა, ოთახში შევიდა, საკიდიდან თავისი პერანგი ჩამოიღო, გადაიცვა და გარეთ გამოვიდა, გზადაგზა ღილებს იბნევდა.

— დათო — მოესმა შიგნიდან, — ჭკუით იყავი, არსად დაიკარგო!

• • •

უმწეოდ იდგა ქუჩაში, გაწბილებული, გულდაწყვეტილი დაჰყურებდა ქაღალდის ნაგლეჯს, რომელზეც მამის მისამართი ეწერა.

ქუჩის მეორე მხარეს, მაღაზიის წინ ტანმორჩილი ბიჭი იდგა და მისკენ იხედებოდა. ცირამ რამდენჯერმე დაიჭირა მისი მზერა.

ქაღალდი დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. ქუჩას აჰყვა. ოცდოდე ნაბიჯი რომ გაიარა, შეჩერდა და მოიხედა. ბიჭი ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა.

ცირა შეჩერდა. საით წავიდეს? ეტყობა მამას ბინა გამოუცვლია. როგორ უნდა გაიგოს, სად ცხოვრობს? იქნება ქარხანაში მივიდეს? მაგრამ ქარხანა დიდია. იქნება მაინც იქ მიხვლა სჯობდეს? უნდა ჰკითხოს ვინმეს, როგორ მიაგნებს ქარხანას. ამ ბიჭს უეჭველად ეცოდინება. ახლოს მაინც მოვიდეს, შორიახლოდან რომ უთვალთვალებს ჯაშუშივით.

თითქოს ნაფიქრალს მიუხვდაო, ბიჭი თამამად წამოვიდა მისკენ.

— ვერ იპოვე? — ჰკითხა, ახლოს რომ მოვიდა.

— ვერა... სად იპოვი ამოდენა ქალაქში.

— იქნება მისამართი შეგეშალა?

ცირამ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო.

— აი, ნახე...

ბიჭმა გამოართვა, დააკვირდა და გახარებულმა წამოიძახა:

— შეგშლია!.. აქ მეორე შესახვევი წერია. ჩვენ კი პირველში ვცხოვრობთ.

— მართლა?! — შესძახა ცირამ, — მაჩვენე? — თითქმის ძალით გამოგლიჯა ქაღალდი. — მართლაც...

— წამოდი, — უთხრა ბიჭმა, — მე გაჩვენებ.

ცირას დღიურიდან

„რა მომდის? გავიფიქრე შეშინებულმა. კარს ვოცილდი და სვეტს მოვეჭიდე. თავბრუ მეხვეოდა, ყურებში უცნაური გუგუნი მესმოდა, გული ბაგაბუგით მიცემდა. რა იყო ეს? რისი მეშინოდა? „რისი უნდა მეშინოდეს?“ ვეკითხებოდი ჩემს თავს. არა, ეს შიში არ იყო. ეს იყო წინათგრძნობა, რომ ახლა, ამ წუთში მამაჩემს უნდა შევხვედროდი. ეს წინათგრძნობა ისე ძლიერი იყო, რომ თითქოს დავინახე კიდეც, როგორ შეახო მან ხელი კარის სახელურს, როგორ შეყოყმანდა რაღაც გაურკვეველის, ბუნდოვანის მოლოდინში.

„რა სასულელია, ჯერ ხომ მოსული არ იქნება სამუშაოდან... შეიძლება ჯერ არც იყოს მოსული... ნეტა თუ მიცნობს? მე? მე ვიცნობ კი?“

კარი გაიღო. წამით სულთქმა შემეკრა.

— ვინ გნებავთ? — მკითხა ქალმა.

— არჩილი მინდოდა... ნათიშვილი...

— არა, შვილო, აქ ასეთი არავინ ცხოვრობს... რაა ის კაცი შენი?

— მამა...

ქალი დამაკვირდა.

— ნამდვილად იცი, რომ ამ ქალაქში ცხოვრობს?

მხრები ავიჩეჩე.

ერთბაშად მთელი სხეული მომიდუნდა, თითქოს რამდენიმე ღამის უძინარი ვყოფილიყავი. დაღლილი და გამოფიტული ღამის იქვე ჩავკეცილიყავი და მკვდარსავით ჩამძინებოდა.

— მარტო ხარ? — მკითხა.

თავი დავუქნიე.

— შორიდან მოდიხარ?

— დიახ, შორიდან.

ხელი მომკიდა.

— შემოდი. ცოტა ხანს დაისვენე.

ალბათ ცუდი ფერი მედო.

— არა. წავალ... გმადლობთ.

— თუ ნამდვილად იცი, რომ ამ ქალაქში ცხოვრობს, ცნობათა ბიუროში მიდი.

ეს კარგი რამ ბითხრა, რატომ თვითონ ვერ მოვიფიქრე? რატომ-ღაც არ გამხარებია, რომ ჯერ ადრე იყო ხელის ჩაქნევა, რომ ცნობათა ბიუროში შემეძლო მაშაჩემის მისამართის გაგება. საშინლად ნაწყენი და იმედგაცრუებული ვიყავი. იქნება იმის გამო, ჩემმა წინათგრძნობამ ასე სასტიკად და ვერაგულად რომ მომატყუა?

— დიახ. — ვუთხარი ქალს რაც კი შემეძლო გულადად, — ცნობათა ბიუროში გავიგებ.

— თუ ვერ მიაგნო, ისევ აქ მოდი, შვილო... უკვე ღამდება. ჩემთან გაათიე ღამე.

— გმადლობთ... მოვალ.

წამოვედი. ქუჩა გადავჭერი.

ცა ღრუბლებით მობურულიყო. ქარმა დაუბერა. მსუბუქად მეცვა. შემცივდა.

— ვერ იპოვე? — ეს ის ბიჭია, აქ მდგარა, მიცდიდა.

— არც აქაა.

— გადავიდა, ალბათ, არა?

— ჰო, გადასულა.

— შენ აქ დამელოდე. მე წავალ, ვავიგებ, სად ცხოვრობს.

კარგა ხანს ვიდექი. წვიმა წამოვიდა. პირველივე სახლის შესასვლელში შევედი და კიბეზე ჩამოვჯექი.

უცებ ერთი აზრი ამეკვიატა და ვერაფრით ვერ დავიხსენი მისგან თავი: მამას სულ ტყუილად ვეძებდი. იგი აღარსად იყო, არც ამ ქალაქში, არც სხვაგან სადმე. გაქრა კაცი. მორჩა და გათავდა...

უკვე შინ დაბრუნება მინდოდა, მეტი არაფერი.

ქუჩაში სინათლეები აინთო. წვიმდა, ქარი ქროდა.

* *

დათო წინ მიაბიჯებდა. დროდადრო მოიხედავდა, გამიღიმებდა და ეზას. განაგრძობდა.

ღამე იყო. შინ დაბრუნებას, ცხადია, ველარ მოვასწრებდი. თუ

მამას ვერ ვნახავდი, ისევ იმ ქალთან უნდა მივსულიყავი, ჩემთან გაათიეო, რომ მითხრა.

ნაბიჯს მოვუჩქარე და დათოს დავეწიე. მან შემომხედა და კიდევ უფრო ჩქარა წავიდა. დაღლილი ვიყავი, ფეხები მტკიოდა. ისევ ჩამოვრჩი. დათომ მოიხედა, შემატყო, სიარული რომ ძალიან მიჭირდა, შეჩერდა.

ახლა ვვერდით მომყვებოდა. ჩემზე დაბალი იყო. ამიტომ უხერხულად გრძნობდა თავს, ლაპარაკის დროს თვალს ვერ მისწორებდა, განზე იხედებოდა.

— ვის ეძებ? ის კაცი რაა შენი?

— მამა...

შეჩერდა, კარგად დამაკვირდა.

— აა, ჰო... გასაგებია.

ნელი ნაბიჯით მივდიოდით. ქარი მოძლიერდა, წვიმამ იმატა. ფართო, განათებული ქუჩა გათავდა და გადახვევა დავაპირეთ. დათომ გამვლელს დაუწყო ძებნა. უნდა ვკითხო, სწორად მივდივართ თუ არაო. მერე ვიწრო, ბნელ ქუჩაზე გავედით.

— შენ ის ბიჭები ცუდი ხალხი ხომ არ გეგონა?

— რომელი?

— ჩემი ამხანაგები.

— არა, რატომ... სულაც არა... არაფერი დაუშავებიათ. ხუმრობდნენ. ხუმრობას ვერავის ვერ აუკრძალავ.

— შენ ხუმრობის თავი სად გქონდა, მაგრამ იმათ რა იცოდნენ.

საკმაოდ განიერ ეზოში შევედით. ეზო სამი მხრიდან ორსართულიანი შენობებით იყო შემოსაზღვრული. ერთ-ერთი შენობის წინ შევჩერდით. ამ დროს მოხუცმა ქალმა ჩამოგვიარა, დაგვაკვირდა.

— ვინ გინდათ? — გვკითხა.

ვუთხარი, ვისაც ვეძებდი.

— არჩილი? — გაიმეორა მან, — როგორ არა, აქ ცხოვრობს. მეორე სართულზე.

მეორე სართულის პაწია აივნისკენ გაიშვირა ხელი. იქ ვიღაც ქალი დაინახა და დაუძახა:

— მედეა. მედეა!

— დიახ...

— თქვენთან სტუმრებია!

მოხუცი მაშინვე წავიდა. დათოც. მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად შეტრიალდა და გაქრა.

— მობრძანდით! — დამიძახა მედეამ, — მაგ კიბეს ამოჰყევით.

კიბეს შევუდექი, მედეა შეშმეგება.

— ძოდი, მოდი, გოგონა...

ქარმა ძლავრად დაუბერა და კოკისპირულად დაუშვა. ირკვლივ ქარისა და წვიმის ხმაურის გარდა არაფერი ისმოდა.

მედეას ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა, ქარი გამიღო და გზა მომცა. ოთახში შევედი. იატაკზე გაშლილ ჭილობზე პატარა ბიჭი იჯდა და თავის სათამაშოებს ჩაჰკირკიტებდა მან თავი ასწია და დიდრონი, მშვიდი თვალები შემომანათა.

„ვინაა ეს ქალი?" ვფიქრობდი მე. ბიჭი თვალს არ მაცილებდა.

„აქ რატომ ცხოვრობს მამაჩემი?" ვეკითხებოდი ჩემს თავს და შევყურებდი ქალს, ბავშვებს. ქალიც მიმზერდა და არაფერს ამბობდა. შევატყვე, მასაც გადაედო ჩემი დაბნეულობა.

ნამდვილად ისევ შემეშალა მისამართი, აქ ალბათ ვილაც სულ სხვა არჩილ ნათიშვილი ცხოვრობს-მეთქი, დავასკვენი.

ძილში ხმაური ჩამესმა და გამომეღვიძა. მეზობელი ოთახიდან ქალისა და კაცის საუბარი მესმოდა. ქალი ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქმის ჩურჩულებდა, კაცი კი — ხმამაღლა. იგი ბოლთას სცემდა ოთახში, მძიმედ, ხმაურით ადგამდა ნაბიჯებს, ეტყობა, მისთვის ახლა სულერთი იყო, შეაწუხებდა თუ არა ვინმეს მისი ფეხის ხმა.

— სამი ბავშვი, — ნამტირალევი ხმით ამბობდა ქალი და ოხრავდა, — სამი ბავშვი... რა ნამუსი უნდა ჰქონდეს კაცს...

— ადრეც ხომ იცოდი, — კაცს ხრინწიანი, დაღლილი ხმა ჰქონდა.

— არც მაშინ იყო ადრე.

კაცმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში. ქალი ოხრავდა და ბუზღუნებდა, ისე ხმადაბლა, მე ვერაფერი გავარჩიე. მერე კაცი შეჩერდა და იკითხა:

— რაო, რა თქვა? რა მინდაო?

— რა უნდა? არაფერიც არ უნდა. მამის სანახავად მოვიდა, ალენატრე.

— მეგონა, თუ მამაჩემის ხმას მაშინვე ვერ ვიცნობდი. თითქოს ალბა სხვა კაცი იყო, სხვა არჩილ ნათიშვილი. იმ წუთს ჩემთვის ულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა ის კაცი, კედელს იქით რომ ლაპარაობდა, მამაჩემი თუ სრულებით უცხო ვინმე.

კაცი დუმდა. ახლა მხოლოდ მისი ფეხის ხმა მესმოდა

— მოვენატრე? — იკითხა უცებ. — მოვენატრე ვითომ?

ეტყობა, მან ვერ გაიგო ქალის დაცინვა. ან არ სურდა გაეგო. ალბათ საკუთარ თავს არწმუნებდა: ჩემი შვილი მართლა ჩემს სანახავად მოვიდა და არა იმისათვის, რომ მამის მოვალეობის შესრულება მაიძულოსო.

— გიკვირს? — ჰკითხა ქალმა.

— ჰო... რატომ აქამდე არ მომძებნა?

ქალმა გესლიანად გაიცინა.

— აქამდე? აქამდე როდის? პატარა იყო სამაგისოდ. გინდოდა კი, რომ მოეძებნე და ეპოვნე?

— იქნება ფული სჭირდება? — იკითხა კაცმა.

— შეიძლება, — მიუგო ქალმა, — მამა ხარ, მოგაკითხა. ამოდენა ვოგოებს ბევრი რამ სჭირდებათ. ქალიშვილია უკვე, ლამაზი, კოხტა ვოგო. ახლა უხარია ჩაცმა-დახურვა.

— ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, — თქვა კაცმა.

— სხვებიც დაზრდილან უკვე, — განაგრძო ქალმა, — ახლა ისინიც გიპოვნიან. თავისი ფეხით მოგაკითხავს სამივე. ახლა ველარ დაემალები ისე ადვილად.

— გაჩუმდი! — დაუყვირა კაცმა, — გეყოფა...

— არ შეხვალ? არ ნახავ შენს ქალიშვილს? რამდენ ხანს გიცდიდა. ძალად დავაწვინე.

კაცი დუმდა.

უცებ ქალის ტირილი შემოესმა.

— ეს კი, ფული ხომ არ სჭირდებაო, კითხულობს... მეტი უნდათ... მამა, მამა უნდათ. მარტო ფული რომ უნდოდეთ, როგორმე დაიხსნიდი თავს... მამა სჭირდებათ! ის ქალი ავად ყოფილა. ძალიან ავად. რა გეშველება, იმას რომ რამე დაემართოს? ეს სამი ბავშვი შენი სარჩენი და საპატრონო არ დარჩება? ჰყავთ ვინმე შენ მეტი? კიდეც რომ ჰყავდეთ, შენ მამა ხარ. სამივე კისერზე ჩამოგეკიდება...

აი, თურმე რის ეშინოდა მედეას, რატომ ჰქონდა ნამტირალევი ხმა, რატომ ტირიოდა ახლა. მე აღარ მებრალებოდა ეს ქალი. პირიქით, მძულდა, მეზიზღებოდა.

უკვე აღარ ვუსმენდი მათ. მე დედაჩემზე, ბიძინასა და პაატაზე ვფიქრობდი. როგორ მოვტყუვდი, რომ ექიმს დავუჯერე და მამაჩემის სანახავად წამოვედი. არა, დედაჩემს არაფერიც არ „დაემართება, დედა უეჭველად მორჩება, ბიძინაც დიდია უკვე, არც პაატას გაუჭირდება რაში ჩვენ კისერზე არავის არ ჩამოვეკიდებით...

მამაჩემის მზერა ძილში ვიგრძენი. გამოვეღვიძე. მამა სასთუმალთან მეჯდა. გამიღიმა და მითხრა:

— შეცვლილხარ... მე სხვანაირი მახსოვდი.

— მეც...

მეზობელი ოთახიდან ბავშვების ტიტინი და ფეხსაცმელების ბაკუნი ისმოდა. „მე მიკვდივარ, არჩილ, მოისმა მედეას ხმა, ბავშვებიც მომყავს... შენც ხომ მიდიხარ ქარხანაში?“

— ჰო, წავალ, — მიუგო მამაჩემმა, შემომხედა, სახე შეეჭმუხნა, ღამნაშავესავით გაიღიმა.

ბიძინა და პაატა გამახსენდა. ნეტა როგორ გაათენეს წუხელ? პაატას ძალიან შეეშინდებოდა. მშიშარაა. ღამით ყველაფერი აშინებს. ბიძინა ალბათ სკოლაში არ წავა. მაშინაც ძალით არ გაეგდე?

„მამაა, ბოლოს და ბოლოს, შვილებს უნდა მისედოს, ვალდებულია“, გამახსენდა ექიმის სიტყვები. „დედა... დავიწყე, მაგრამ სიტყვა ყელში გამეჩხირა. მაშინვე წუხანდელი საუბარი მომაგონდა. მამა არ დაიჯერებს-მეთქი დედაჩემის ავადმყოფობას, გავიფიქრე მე, არაფერს არ დაიჯერებს, ეგონება, რომ თავს ვაბრალებ, ვთვალთმაქცობ, რომ საჩუქრები დავტყუო.

მედეამაც ხომ არ დაიჯერა. პირველად არ დაიჯერა, ისე მიმზერდა, თითქოს ამბობდა, ჩემი მოტყუება არც ისე აღვილიაო... მერე კი დარწმუნდა და სახეზე ისეთი მწუხარება და სასოწარკვეთა გამოეხატა, მე უნებურად გული მისი პატივისცემით ამევსო. ახლა კი ვიცი, რისთვისაც წუხდა — თავისი თავი ეცოდებოდა და ბრა ჩვენ.

— შინ უნდა წავიდე, — ვუთხარი მამას და წამოვიწიე.

— რა გეჩქარება?

— უნდა წავიდე... დედას უნდა მივხედო, ბავშვებსაც... ოჯახშიც ათასი საქმეა.

მამა მიმზერდა, იღიმებოდა. ადგა.

— მე წავალ, ბილეთს გიყიდი. შენ მანამ ჩაიცვი, ისაუზმე. სამზარეულოში ყველაფერს იპოვი, მოიქეცი ისე, როგორც საკუთარ სახლში. მედეა საღამომდე ალარ გამოჩნდება, — დაუმატა ღიმილით, — საამსახურო აქვს ისეთი...

მე, რა თქმა უნდა, მივხვდი, რომ მამა მარტო ბილეთის საყიდლად არ აპირებდა გასელას.

წავიდა.

კარგა ხანს ვიჯექი ფანჯარასთან. ეზოს გავყურებდი. ახლა სულ სხვანაირი იყო იქაურობა. მზე ამოვიდა და მისი სხივები აქა-იქ წვიმისაგან დარჩენილ კუბეებში აბრეშუმივალდა. დროდადრო ეზოში ჩანთიანი ბიჭი ან გოგო გაირბენდა და მაშინვე მიეფარებოდა ჭიშკარს. ბოლოს, იქვე, ფანჯარასთან ჩაირბინა მრგვალმა, ლოყაწითელმა ბიჭმა. ხელში პური ეჭირა, ილუკმებოდა და კიბეზე ბრახაბრუხით ჩარბოდა. იღლიაში ჩანთა ჰქონდა გაჩრილი, რომელიც ყოველ წამს გამოვარდახას ლაჟობდა, ბიჭიც ჩერდებოდა, პურს კბილებით იჭერდა, ჩანთას ისწორებდა და გზას განაგრძობდა.

გამახსენდა დათო, მერე ის მოხუცი ქალი, მე და დათოს ყურადღებით რომ დაგვაკვირდა და ვინ ვინდათო, რომ გვკითხა, მერე ბავშვიანი ქალი აივანზე... ყველაფერი ეს წუხელ მოხდა, მაგრამ მე ისეთი ვრძნობა მქონდა, თითქოს შორეულ წარსულს ვიხსენებდი. ამ ერთ ღამეში თითქოს ხუთი წლით გავიზარდე და ტანში ჟრუანტელი მივლიდა უხერხულობისა და სირცხვილისაგან იმის გახსენებაზე, თუ რა უმწეო, რა საცოდავი და სულელი ვიყავი გუშინ...

კიდევ კარგა ხანს ვიჯექი ფანჯარასთან. მერე ეზოში შემოსული მამა დავინახე. გამოვერკვიე. გამახსენდა, რომ თვალები ცრემლიანი მქონდა, სწრაფად მოვიწმინდე და ფანჯარას მოვცილდი, დივანზე დავჯექი. მამაჩემი ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობი ღიმილით შემოვიდა ოთახში. ხელში ფუთა და რაღაც კოლოფი ეჭირა. ორივე მაგიდაზე დააწყო. მერე გულისჯიბიდან ბილეთი ამოიღო და მომაწოდა. მე თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს გამოწვდილი ბილეთი არ დამინახავს. ვვერდზე ვიცქირებოდი. მამამ ბილეთი კოლოფზე დადო და მითხრა:

— მატარებელი ორი საათის შემდეგ გავა. მე ქარხანაში შევივლი და მაშინვე გამოვბრუნდები. თუ საათზე მეტი დამაგვიანდეს, უჩემოდ წადი სადგურში. იქ მაინც მოვახერხებ მოსვლას, მატარებლის გასვლამდე. სადგური აქვეა, ამ ქუჩის ბოლოში, ათიოდე წუთში მიხვალ... ეს, — ფუთასა და კოლოფზე მიმითითა, — ბავშვებს წაუღე. შენ კი... — ისევ ჩაიყო გულის ჯიბეში ხელი, რამდენიმე ათმანეთიანი ამოიღო და მაგიდაზე დადო ბილეთთან ერთად, — ამით რამე იყიდე, რაც შენ მოგეწონება.

შემეშინდა, ახლა დედასაც ახსენებს-მეთქი. არ უხსენებია და ამისთვის მისი მადლობელი დავრჩი. წასვლის წინ თავზე ხელი გადამისვა, თავი ამიწია, თვალებში ჩამხედა. სახეზე შევატყვე, ჩემს თვალებში რაღაც ისეთი ამოიკითხა, რომ არ ელოდა. თითქოს შეცბა კიდეც. არაფერი უთქვამს. კარებთან მივიდა, მოიხედა, გამიღი-

მა და გავიდა. ფანჯრიდან თვალი გავაყოლე ეზო სწრაფად გაიარა, თითქოს ვილაცას გაურბისო. თვალს მიეფარა.

დივანზე ვიჯექი. არც კი მახსოვს, რაზე ვფიქრობდი მთელი საათი უძრავად მჯდარი, მგონი, ჩემს შორეულ ბავშვობაზე, უკანმოუხედავად რომ გარბოდა, თვალსაწიერს იქით უჩინარდებოდა. თითქოს აღარც მოჩანდა უკვე, თუმცა მისგან მხოლოდ ერთი ღამე მაშორებდა, დედაჩემზეც, საავადმყოფოში რომ იწვა სანახევროდ გონდაკარგული, იწვა და საწოლზე თითებს აცეცებდა, ჩემს ხელებს ეძებდა...

მაგიდასთან მივედი, ფული და ბილეთი ავიღე, ჯიბეში ჩავიდეფუთასა და კოლოფს რომ შევხედე, ვიგრძენი, ეს ქურდობა იყო. იქვე დავყარე ორივე — ფულიცა და ბილეთიც და სწრაფად გამოვედი გარეთ, კიბეზე ჩავირბინე და ქუჩაში გავეარდი, თითქოს მართლა ქურდი ვყოფილიყავი და ვცდილობდი, რაც შეიძლება მალე გავცლოდი იქაურობას, რომ არავინ წამომფეთებოდა ჩემი სამარცხვინო საქციელის მოწმედ.

მეკარემ მიცნო. „ცირა ხარ? მოდი, მოდი". კიბეზე რომ ავრბოდი, ზევიდან მომავალ ექიმს შევეჩეხე. „მოხვედი, ვოგონა?" გამიღიმა, მხარზე ხელი გადამხვია. მეჩქარებოდა, ვცდილობდი გავსხლტომოდი. ის არ მიშვებდა. მე ვერაფერი ვკითხე შიშისაგან. არც ის ამბობდა რამეს.

რატომღაც შეცვალა გეზი. შემობრუნდა და ზევით ამომყვა. მამაჩემზე მკითხავდა, მეგონა, რამეს. თავს იკავებდა. იქნებ დაავიწყდა ჩვენი გუშინწინდელი საუბარი. მამაჩემის მოძებნა რომ მირჩია? სახეზე ხომ არ შემატყო, რომ ამაზე ლაპარაკი აღარ ღირდა?

მეორე სართულზე რომ ავედით, შეჩერდა, მეც შემაჩერა, მაჯაზე მაგრად მომიჭირა ხელი, ისე მაგრად, რომ მეტკინა კიდეც. გაკვირვებულმა თვალებში შევხედე და, თუმცა ისევ იღიმებოდა, მე შიშმა ამიტანა.

ხელი გამიშვა და მითხრა:

— დაწყნარდი, ვოგონა... ნუ ვეშინია.

— როგორ არის დედაჩემი?! — შევკივლე მე.

— ნუ ვეშინია, — გაიმეორა ექიმმა, — ყოჩაღი ვოგო ხარ, ეარ უნდა შეგეშინდეს.

— რა მოხდა? — მე ავცახცახდი და ექიმის სახე უცნაურ ბინდში გაეხვია, მიქრა, დაპატარავდა...

— ოპერაცია აუცილებელია... აქამდე იმიტომ ყოყმანობდნენ, სუსტი გული აქვსო. ჯერ მოღონიერდესო... მაგრამ უკვე აღარ შეიძლება მოცდა.

გაქცევა დავაპირე. ვიცოდი, სადაც იყო საოპერაციო. ექიმმა მკლავზე მომკიდა ხელი.

— არ შეგიშვებენ, — ამბობდა ამშვიდებდ, ხმადაბლა, მერე დაუმატა, — იქ შენი ბიძაა, ნიკო. მოდი აქ, ფანჯარასთან დადექი. რატომ კანკალებ, ხომ არ შეგცივდა?

ფანჯარაში გადავიხედე. ქვემოთ, ეზოში ავადმყოფები დასეირნობდნენ. ზოგიც ძელსკამზე იჯდა მნახველებით გარშემორტყმული. უცებ ბიძინას მოვკარი თვალი. ეზოში ჩქარი ნაბიჯით დადიოდა, დროდადრო შეჩერდებოდა, გამველელ-გამომველელს აკვირდებოდა. ცოტა ხნით გაუჩინარდა, გამოჩნდა. თეთხრალათიანი ქალი გააჩერა, დაელაპარაკა. ქალმა მხრები აიჩეჩა და თავის საქმეზე გასწია. ფანჯარაში გადავიხარე. „ცირა!“ მომესმა პაატას ხმა. ქვემოთ იდგა, კედელთან. იქვე იამზე და ირაკლიც დავინახე.

— ჩამოდი ხელი დამიქნია იამზემ, — სადა ხარ, გოგო, როგორ შეგვაშინე!

— ჩადი, — მირჩია ექიმმა, — იქ სჯობია შენთვის.

მე ვყოყმანობდი.

— დედა გადარჩება? — ჩურჩულით ვკითხე.

— აბა როგორ... უნდა გადარჩეს, — მიპასუხა მან, უნდა იცოცხლოს დედამ...

ეზოში ვწრიალებდით. „ნახე მამა?“ რამდენჯერმე მკითხა პაატამ, — „რატომ არ მოდის?“ მე ვდუმდი, მის დაძაბულ, მომლოდინე მზერას თვალს ვარიდებდი. მერე ბიძა ჩამოვიდა ეზოში. მივცვივდით. ნუ გეშინიათო, დაგვაიმედა; ყველაფერი კარგად იქნება, შინ წადით, ოჯახს მიხედეთ, მე არ მოვცილდები, ღამესაც ვავუთევო. წავედით.

დაძინებას რომ ვაპირებდით, კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ირაკლი იქნებაო, თქვა პაატამ. ადგა. კარის გასაღებად წავიდა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა, შეჩერდა. კითხვის თვალით შემოგვხედა. ჩვენმა დუმილმა შეაშინა. კაკუნი განმეორდა. პაატამ უკან დაიხია, ბიძინას ამოეფარა. მივხვდი, ვინც იდგა კარს უკან. მგონი ბიძინაც მიხვდა. კარგად დამაკვირდა. რომ არაფერი ვთქვი, კართან მივიდა, იდგა, ყოყმანობდა.

— ირაკლი ხარ? — შიშნარევი ხმით დაუძახა პაატამ.

— არა... მამა ვარ, — იყო პასუხი.

ბიძინამ კარი გაიღო. ძაძაქ ფეხი შემოდგა და ზღურბლზე გაჩერდა.

ბიძინამ უსიტყვოდ დაუდგა სკამი.

მაჭამ კარი მოხურა, სკამს ადგილი მოუნაცვლა, მძიმედ დაეშვა ზედ.

— რატომ არ დამელოდე? — მკითხა.

— მადლობა... მამა, — ვუთხარი მე.

ვაოცებულმა შემომხედა.

— რისთვის?

— რომ მოხვედი...

თავი ჩაქინდრა. მერე ადგა, ფანჯარასთან მივიდა, სიბნელეს დააკვირდა.

ასე სჯობდა.

არც მე მინდოდა, ბიძინასა და პაატას მამის თვალებში ცრემლები დაენახათ.

დილით გათენებისთანავე ადგა, ერთხანს ეზოში დადიოდა, გულდასმით ათვალიერებდა ყოველ კუთხე-კუნჭულს. ბოსელშიც შემოიხედა, უსიტყვოდ მიმზერდა, როგორ ვწველიდი ძროხას. თოხი სადა გაქვთო, მკითხა. პასუხის გაცემა ვერ მოვასწარი, აქ ყოფილაო, ჩაილაპარაკა. თოხი ბოსლის წინა კედელზე იყო მიყუდებული, იქვე ეკიდა ცელი, ბრტყელ თაროზე კი სხვა სამუშაო იარაღები ეწყო — წალდი, ცული, ნამგლები.

მამამ თოხი აიღო და ეზოში გაუჩინარდა. ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა სველი, ტალახიანი. თოხი შეინახა და წალდი აიღო. შევხედე, გულზე შემომეყარა.

ცოტა ხანს მომიცადე-მეთქი, ვუთხარი, ბიძაჩემის ძველი, სამუშაო ტანსაცმელი მოვძებნე, გამოვუტანე. არ ჩაიცვა. ახლა სულ-ერთიაო.

— აი, ფეხსაცმელებს რომ მომიძებნიდე, კარგი იქნება...

რეზინის ჩექმები მოვურბენინე.

მადლობა გადამიხადა, ტალახში დამბალი ფეხსაცმელები იქვე დაყარა, ჩექმები ჩაიცვა. ამ დროს ჭიშკარმა გაიჭრიალა, ეზოში ბიძაჩემი შემოვიდა.

შესახვედრად გავეშურე.

— დედა როგორაა? — ვკითხე

— უკეთესად, — ხელი მოძხვია, — გადარჩება, ნე გეშინია.

სამზარეულოში დავბრუნდი, ღაწვებული საქმე გავაკეთეთ. მამა და ბიძა ვარეთ, კარებთან დასხდნენ.

ერთხანს უბრად ისხდნენ.

სუნთქვაშეკრული, ღაძაბული ვიდექი მაგიდასთან, თეფშებს ვრეცხავდი, ვამშრალებდი, იქვე ფრთხილად ვაწყობდი ჰთელი ეულისყური გარეთ მქონდა.

— რას აპირებ? — ჰკითხა ბიძამ.

მამა ჩაფიქრდა. ის რამდენიმე წამი საუკუნედ მეჩვენა.

— ხომ... არაფერი მოუვა?.. — შეუბრუნა კითხვა.

ბიძამ ხმას დაუწია. მაინც გარკვევით გავიგონე.

— ჯერ ძნელია თქმა... ყოველშემთხვევაში, მკურნალობა დიდხანს მოუხდება.

— რა უნდა ვქნა?.. მე იქ ოჯახი მაქვს, ნიკო.

— ეს ბავშვები ვისია?

— ღღესვე წავალ, — სწრაფად თქვა მამამ, — შვებულებას ავიღებ. სანამ არ მომჯობინდება, აქედან ფეხს არ მოვიცვლი.

მწარედ ჩაიცინა და დაუმატა:

— მერე ისიც თუ არ გაკერპდა და კარი არ მომიხურა...

— სწორადაც მოიქცევა, — უთხრა ბიძამ.

— ძალიან მკაცრად სჯით შენცა და შენი დაც.

— სამართლიანად, — შეუსწორა ბიძამ.

უნდა გამოვიძინოო, — დაუმატა, — წუხელ თვალი წამითაც არ მომიხუჭავსო. ადგა, კიბეს შეუყვა.

მამა სამზარეულოში შემოვიდა.

— გვისმენდი? — მკითხა.

თავი დავუქნიე.

— შენც ასე სჯი?

— როგორ? — ვკითხე.

— მკაცრად... სამართლიანად.

არ ვიცი-მეთქი, მხრები ავიჩეჩე.

— კი, მართალი იყო დედაშენი... წესიერი, ერთგული ქალია, არც სიკეთე აკლია და მაინც, აი, რა გამოვიდა... არაფერი არ მაპატია, არაფერი... უპირთ პატიება... კარგებსაც კი... ძალიან უპირთ.



ლურჯი ზღვის პირას

გზა ზღვის ნაპირს მისდევს. ზღვა ლურჯია, ისე ლურჯი, რომ უეცრად სამივეს სიმღერა მოგვინდა. სწრაფად ჩამოვუშვი მინა, თავი გარეთ გავყავი. შუბლი ნიავს მივუშვირე და სიმღერა დავიწყე. გაუგებარ სიტყვებსა და სიტყვის ნაგლეჯებს ქარს ვატანდი და თან მანქანის კარს გარედან ვუტყაპუნებდი ხელებს. სახეგაბადრული უშანგი საჭეს დარდიმანდულად მისჯდომოდა. მარცხენა მკლავი გარეთ ჰქონდა გადაკიდებული, მკერდი წინ წამოეწია და ბოხი ხმით ღიღინებდა. რაღაც ბგერებს ლილიც გამოსცემდა, ცდილობდა უშანგისთვის შეეწყო ხმა. რამდენჯერმე თავდავიწყებით რომ შევხტი და შეეკუნტრუშდი მანქანაში, უშანგმა წარბი შეიკრა, მოიხედა და მითხრა:

— რას აკეთებ, ზურაბ, ცეკვავ ხომ? იცეკვე, არ გიშლი, ოღონდ მანქანიდან არ გადავარდე, შარი არ ამკიდო...

ნუ გეშინია, არ გადავვარდები-მეთქი, დავამშვიდე, ცოტა შევისვენე და შეწყვეტილი კონცერტი გავაგრძელე.

ზღვა ისევ ისე ლურჯად ლივლივებდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ლილიმ აღტაცებით შესძახა:

— რა ლურჯი და კამკამაა! შეხედეთ ერთი, ცაზე უფრო ლურჯია!

— შავ ზღვას კი ეძახიან, — ვთქვი მე, — ნეტა საიდან მოიგონეს... მე უეჭველად ლურჯს დავარქმევდი.

— ჩემი აზრით, — თქვა უშანგმა, — კარგ ამინდში ყველა ზღვ ლურჯი უნდა იყოს. შიგ ცა ირეკლება და იმიტომ.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ისმოდა მხოლოდ მოტორის რიტმული ღუღუნი და ბორბლების შრიალი.

— ვინ რას ინატრებთ, ხალხნო? — იკითხა ლილიმ. — საოცარია, ასე მგონია, ახლა, ამ წუთას რამეს თუ ვინატრებ, აუცილებლად შემისრულდება-მეთქი.

— მე კი, — თქვა უშანგმა, — ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, თითქოს ყველაფერი შემსრულებოდეს, რაც კი მინატრია.

— და სანატრელი აღარაფერი დაგრჩა? — ჰკითხა ლილიმ

— თითქმის არაფერი.

— შენ? — მომიბრუნდა ლილი.

— ახლა? თუ მერე, დიდი რომ ვიქნები?

— რაო, ახლა პატარა გგონია შენი თავი?

— არც ისე... მაგრამ კიდევ ხომ ვიზრდები.

— თქვი, შე კაცო, — მომიბრუნდა უშანგი, — გეკადრება, გადეძხილე შენი სანუკვარი ოცნება.

— მე, აი, ასეთი მანქანა მინდა... უშანგ, რა ლირს ეს „ვოლგა?"

— ძვირია, — მიპასუხა და აღიღინდა, სიჩქარეს უმატა.

— მაინც? შენ როგორ იყიდე?

— მე? მე არ მიყიდია, მოვიგე... ლატარიის ბილეთით.

— ტყუილია, — უთხრა ლილიმ, — დავიჯერო, ასეთი იღბლიანი ხარ?

— რატომ გიკვირს? — მოიხედა უშანგმა, — ხომ იგებს ხალხი. ეე რა ვყოფილვარ?

— მეც უნდა მოვიგო, — ვთქვი დაბეჯითებით, — ზუსტად ასეთი... ან უკეთესი. მერე ყოველდღე ვისეირნებ ზღვის ნაპირას.

— ჩემი აზრით, — შემედავა ლილი, — ზღვის ნაპირას სეირნობა მაინც ფეხით სჯობია.

— ფეხით სეირნობა მეც მიყვარს, სად გავჩერდეთ? — იკითხა უშანგმა.

— არსად, დღეს გვეყოფა, — უთხრა ლილიმ, — დრო. მოვბრუნდეთ.

უშანგმა მანქანა მოაბრუნა. ახლა ზღვა მეორე მხარეს მოექცა. მაშინვე მოპირდაპირე სარკმელს მივვარდი. ზღვას ვუმზერდი და მხიარულად ვუსტვენდი.

უშანგმა შემომხედა და შეთქმულივით ჩამიკრა თვალი

ვერაფერს მივხვდი.

— მაშ, შენ ამბობ, მანქანას მოვიგებო. ჩემო ზურაბ?

კი ვამბობ-მეთქი, ფრთხილად დავუდასტურე. არ მოვეწონა მისი კითხვის კილო.

— იქნება ნავის მოგება სჯობდა?

რა თქმა უნდა, ისევ ის ნავი! შარშან, გაზაფხულზე მე და ჩემმა თანაკლასელებმა გოჩამ და რეზომ ქალაქის განაპირას, სადაც ადრე მეთევზეების პატარა სახლები იდგა, ძველი ნავი ვიპოვეთ. მაშინვე ზღვაზე გასეირნება მოგვინდა და, ბევრი არ გვიფიქრია, ნავი წყალში შევათრიეთ. სეირნობა ხანმოკლე აღმოჩნდა. ნავს ძირი გასვრეტილი ჰქონოდა, წყლით გაივსო და ჩაიძირა. როგორღაც წამომცდა ეს ამბავი უშანგთან. მაშინვე ენაზე დაიკერა, დღეში რამდენჯერმე შემახსენებს, ჩემთან მეტი აღარაფერი აქვს სალაპარაკო. ხან კოლუმბს მეძახის, ხან ადმირალ ნელსონს, ზღვის გაღმა გასვლას ხომ არ აპირებდითო, ავარიის შემდეგ ნაპირზე გამოცურვა ხომ არ გაგძნელებიათ, ან იმ ცივ წყალში სურდო ხომ არ შეგეყარათო. დაიწყებს ნავზე ლაპარაკს და აღარ დაამთავრებს. მით უმეტეს მაშინ, ჩემი გაჯავრება თუ უნდა.

ვატყობდი, ნაწყენი იყო ჩემზე, ძალად რომ ჩავეკვეტე მანქანაში. მას ხომ ლილისთან მარტო სეირნობა ერჩია.

„— ტურფავ, ტურფავ, ნუ ხარ მწყრალად", — დაიწყო უშანგმა.

მე ვდუმდი.

„— მოაცურე ჩემკენ ნავი..."

ზღვა, ცხადია, ისევ ისე ლურჯი იყო, ოღონდ მე აღარ ვიყავი სიმღერის გუნებაზე. არც ლილი მღეროდა. მარტო უშანგი ღიღინებდა კმაყოფილი, მკერდიდან დაძრულ მოზეიმე ბგერებს ამაყად ფანტავდა ირგვლივ.

— უშანგ, სკოლა როდის დაამთავრე? — ჰკითხა ლილიმ.

— ოო, კარგა ხანია... აღარც კი მახსოვს.

— მერე? არ მოგწყინდა ასე ყრფნა? სწავლაზე სულ არ ფიქრობ?

— არა, — მიუგო უშანგმა, — რა ყრია სწავლაში? თანაც... მომბეზრდა.

— მოგბეზრდა? როგორ? — გაუკვირდა ლილის. — რა ისწავლე ამდენი?

უშანგი ერთხანს დუმდა, მერე თქვა:

— როცა თავისუფლება მომბეზრდება, გავყიდი ამ მანქანას და... გაყუჩდა. მერე აღიღინდა.

— და? — შეახსენა ლილიმ.

— და ინსტიტუტში შევალ.

— რომელში?

— პედაგოგიურ ინსტიტუტში. რა, ცუდი მასწავლებელი დავდგები?

— ფხ... — ვეღარ შეიკავე სიცილი.

ქალაქს ვუყურებდებოდით.

— რა ცუდია, უიღბლო რომ გამოვა კაცი... ალბერ უშველის ამას არაფერი, — უშანგმა წამით ჩემკენ მოიხედა. — ვატყობ, შენი საქმეც ასეა, ჩემო ზურიკო, არ გწყალობს ღმერთი, არა და არა... რა უნდა მოიგო შენ ლატარიის ბილეთით? ჩემი ასრით, ვერაფერსაც ვერ მოიგებ... ერთი ნავი ჩაგივარდა ხელში და ისიც...

ჩვენ წინ გზის კიდეზე ველოსიპედიანი კაცი დავინახე. ლეო იყო. მხარზე თავისი განუყრელი ფოტოაპარატი ეკიდა. რომ წამოვეწიეთ, მოიხედა, რაღაც უცნაურად, დამნაშავესავით გაბიღიჟა, თითქოს საჩოთირო საქციელზე წაასწრესო. მეც დავუქნიე თავი და გავუღიმე. მალე ჩამოგვრჩა.

— არდადეგები დაგეწყო? — მკითხა უშანგმა.

— კი.

— ეჰ, ცუდია, ცუდი?

— რაა ცუდი? — შევყვირე მე.

— აი, ნავი რომ ძირკახვრეტილი შეგხვდა...

— გააჩერე! ახლავე გააჩერე!

უშანგმა შემომხედა, ტკბილად. ალერსიანად გამიღიმა და მანქანა გააჩერა. მე კარი გავაღე, ჩავხტი და მთელი ძალით მივაჯახუნე. გულზე სკდებოდა ბრაზით, როცა მისი ახალთახალი მანქანის კარს ასე მთელი ძალით მიახეთქებდნენ.

— ვაა, გაგიჟდა, მგონია, ჩვენი კოლუმბი...

— წადი, — ვუთხარი მე.

უშანგი ღიმილად დადნა.

— ჩაო, ზურაბ...

მანქანა დაიძრა.

მაჯობა! არაფრით არ უნდა ჩამოვსულიყავი. იქ უნდა ვმჯდარიყავი დალამებამდე. ჯიბრზე.

ლეო წამომეწია, ველოსიპედი გააჩერა, ძირს ჩამოვიდა.

— გინდა ისეირნო? — მკითხა.

ველოსიპედი გამოვართვი.

— გადამღებ?

— რატომაც არა, — ლეომ აპარატი მოიმარჯვა.

— ესეც ასე, — გაიჩხაკუნა, — ახლა შეჯექი, ნელა იარე... ასე... კარგია! — ზედიზედ გაიჩხაკუნა აპარატმა.

— შორს ნუ წახვალ... ახლა ქვევით ავუყვეთ. ზღვის ფონზე გადაგიღებ. ხომ ვიყვარს ზღვა?

ზღვა მიყვარდა.

ლილი და ლეო თანაკურსელები არიან, პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობენ. ლეო შარშან, ჩემი დის დღეობაზე გავიცანი. დიდი უცნაური ვინმეა. სხვები მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ათას ოინებს იგონებდნენ, რომ თავი გამოეჩინათ, ამხანაგები გაეცინებინათ, ის კი წყნარად იჯდა კუთხეში, არაფერს ამბობდა, არ მღეროდა, არ ცეკვავდა. მეტისმეტად მოსაწყენი ვინმე ჩანდა. მივედი და ეკითხე, რატომ არ მხიარულობ-მეთქი. რას ამბობ, როგორ არ ვმხიარულობო, გაიკვირვა. აშკარა იყო, რაღაც აწუხებდა. იმ თავის წუხილში ისე ღრმად იყო ჩაძირული, სხვა აღარაფერი ახსოვდა. ასე მეც დამემართა ერთხელ სკოლაში. ზეიმი გვქონდა, ყველანი მხიარულობდნენ, ერთობოდნენ, დროს ატარებდნენ, მე კი კბილი მტკიოდა. არ იქნა და არ მომეშვა, არ მომასვენა კბილის ტკივილმა. ცხადია, არც სიმღერის თავი მქონდა, არც ცეკვა-თამაშის. „აჰა, მიგიხვდი, — ვუთხარი ლეოს, — კბილი გტკივა, ხომ?“ „აარა... რის კბილი...“ „მაშ, თავი?“ „არც თავი.“ მერე შევთავაზე, აქ ხომ მაინც ზედმეტი ხარ, მოდი, ქუჩაში გავიაროთ-მეთქი. დამთანხმდა, თუმცა ისიც შევატყვე, ეს ჩემი ხათრით გააკეთა. მაინც აქ ერჩია, თავის მხიარულ ამხანაგებთან.

მეც ზედმეტი აღმოვჩნდი იმ საღამოს ჩემი დის დღეობაზე. კარგა ხანს ვიხეტიალეთ გარეთ. ათას რამეზე ვისაუბრეთ და გამოვარკვიე, რომ ლეო სულაც არ ყოფილა მოსაწყენი და მოსაბეზრებელი კაცი. არც თავის ტკივილი აწუხებდა, არც კბილის. რატომ გრძნობდა თავს მარტოსულად და გარიყულად? ეს ამბავი მეორე დღეს ნატოს ვუამბე, ჩემს თანაკლასელს, ჩემ გვერდით რომ იჯდა მერხზე... ნატო ბევრს კითხულობდა, კარგადაც სწავლობდა და იქნება მიხვდეს-მეთქი, რაში იყო საქმე. ნატომ ბევრი იცინა, რა სულელი ყოფილხარო, მითხრა, ამდენი როგორ არ იცი. „მაგ ბიჭს შენი და მოსწონს, ან უყვარს...“ — „სისულელეა... შენც გცოდნია, რაღა...“ — „მაგას რა ცოდნა უნდა... შენს დას კი, ეტყობა, სხვა მოსწონს... ეს არის სულ“.

რას გამოაპარებ გოგოებს!

უშანგიც იმ საღამოს გავიცანი, ლილის ერთ-ერთ თანაკურსელს წამოეყვანა ჩვენთან. კაცმა რომ თქვას, ნამდვილად უცხო ჩვენს ოჯახში მხოლოდ ის იყო და მარტოსულად სწორედ მას უნდა

ეგრძნო თავი. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. იგი ისე ლაღად გრძნობდა თავს, თითქოს საკუთარ სახლშიაო. ყველაზე მეტს ლაპარაკობდა, მღეროდა, ცეკვავდა. განსაკუთრებით გოგოებს მოაწონა თავი. ბოლოს ისე გათამამდა, თამადასაც კი შეეცილა. წამდაუწუმ ხელი ჰქონდა აწეული. მასწავლებლის ლმობიერებით გათამამებულ ფრიადოსანივით, თუ ჩვენი ენამჭევრი თამადა ნებას მომცემს და ღრმად პატივცემული საზოგადოება ყურადღების ღირსად მცნობს, რაღაც სულ სხვანაირი სადღეგრძელო უნდა ვთქვა, ისეთი, ჯერ რომ არ მოგისმენიათო. მოვუსმინოთ, მოვუსმინოთო, დაიგრიალებდა სუფრა და რაღას იზამდა თამადა, ითმენდა, უძლებდა. ასრულებდა უშანგიც დანაპირებს, სულ რაღაც უცნაურს განსხვავებულს ამბობდა. ისე კოხტად ააწყობდა, გინდა, არ გინდა, მაინც მოუსმენდი, ეს იყო მხოლოდ, შიგადაშიგ კარგა დიდი დოზით შეურევდა ტრაბახს და ამით აფუჭებდა. რა კარგად ხუმრობს, რა ენამოსწრებულიაო ტკარცალებდნენ გოგოები, კვდებოდნენ სიცილით. ერთ-ერთ სადღეგრძელოში დაიჩემა, ქუდბედიანი ხალხი უნდა დაელოცოო, არ გეწყინოთ, მაგრამ ამით ერთგვარად, ჩემი თავიც უნდა ვადღეგრძელოო, მე მაგალითად, ბედის ნებიერი კაცი ვარო. აბა, სხვას რას უნდა მივაწერო ის ამბავი, რომ ამ სალამოს აქ, ამ დიდებულ სუფრას ვუზივარო, თქვენი საყვარელი ამხანაგისა და მეგობრის, დღეიდან კი ასევე ჩემი ძვირფასი მეგობრის დაბადების დღეს ვზეიმობო. „იცით წუხელ რა მესიზმრა? თითქოს ახალთახალი „ვოლგა მოვიგე“. ვინ არ იცის, რომ სიზმარს დიდი ჭკუა არ ეკითხება. რამდენი რამ დაგვსიზმრია, მაგრამ განა ყველა ასრულებულაო. ყველა კი არა, ნეტა მესამედი სრულდებოდესო. ჩემი სასწაულებრივი ოლბლიანობა სწორედ ის გახლავთ, რომ უახლოეს დროში „ვოლგას“ უეჭველად მოვიგებო. მიჰყვა, მიჰყვა და მთელი საათი იმ თავის ახალთახალ ვოლგაზე ყბედობდა. რომელიც უნდა მოეგო თავისი სიზმრისა და უჩვეულო ქუდბედიანობის თანახმად. რამდენჯერმე გადავწყვიტე, ვკითხავ-მეთქი ნატოს, ჩემს თანაკლასელს, ბევრს რომ კითხულობს და კარგად სწავლობს, რატომ ხდება, რომ გოგოებს მატყუარა და ტრაბახა ბიჭები უფრო მოსწონთ, ვიდრე ლეოსთანები, ტყუილი მის დღეში რომ არ დასცდებათ? რა შუაშია აქ ტყუილი და ტრაბახი. უშანგი ხომ ხუმრობდა, იონბაზობდა, სუფრას ამხიარულებდაო, მეტყვით თქვენ. ბატონი ბრძანდებით, ხუმრობდა, მასხარაობდა, როგორ არა. მაგრამ ლეოც ხუმრობს ზოგჯერ, ტყუილს კი არც ხუმრობაში ვაურევს. რატომ მოეწონა ლილის უშანგი და არ მოეწონა ლეო?

საღამომდე მე, ვოჩა და რეზო მაგიდის ჩოგბურთს ვთამაშობდით. მაგიდა გოჩას უდგას ეზოში. ძალიან უყვარს ჩოგბურთის თამაში. კარგადაც თამაშობს მე და რეზო თითქმის ვერასდროს ვუჭრით ხელს. მაინც არ ბეზრდება. ხუთ-ხუთ ქულას ფორას გვაძლევს ხოლმე. რეზო ფრიადოსანია. განსაკუთრებით მათემატიკა უყვარს. გოჩას კი სწორედ მათემატიკაში გამოაყოლა ანიკო მასწავლებელმა — ჩვენი კლასის ხელმძღვანელმა, — ორიანი. რეზო დიდის ამბით დაპირდა ანიკო მასწავლებელს, მთელი ზაფხული მე და გოჩა ერთად ვიქნებით და მათემატიკაში უეჭველად მოვამზადებო. დადის ახლა ყოველდღე გოჩასთან და ვამალებული „ამზადებს" — საღამომდე ჩოგბურთს ეთამაშება... დაპირებაზე როგორ ხარ-მეთქი, რომ შევახსენე, მასწავლებელთან ხომ არ შერცხვებიმეთქი, შენ ნუ ღელავო, მითხრა, დამშვიდდიო, მთელი ზაფხული წინა გვაქვსო. მეც აღარ ვღელავ, დავმშვიდდი. ჩემი სადარდებელიც ეგ არის — როგორმე რეზომ თავისი დაპირება გაამართლოს!

უკვე მზე ჩადიოდა, შინ რომ დავბრუნდი. ჭიშკართან ვოლგა იდგა. ძალიან კი მოუხშირა ამ ბოლო დროს უშანგმა ჩვენთან სტუმრობას. ჭიშკარი შევაღე და შევედი. დედა სამზარეულოში ტრიალებდა, ვასშამს ამზადებდა. ლილი შენზე ნაწყენიაო, მითხრა დედამ. „რატომ? რა დავუშავე?" — „ჩემს ნაცნობ-მეგობრებთან მეტი თავაზიანობა მართებსო". — „მის ნაცნობ მეგობრებს არ მართებთ ჩემთან თავაზიანობა?" — „ზურიკო! — ხმას აუწია დედამ, — დროა, უმცროს-უფროსის გარჩევა ისწავლო". დედა მთავარი ექიმია ბავშვთა სანატორიუმში. ძალიან გადატვირთულია ხოლმე, განსაკუთრებით ზაფხულობით. დღედაღამ იქ ტრიალებს, თავის სამსახურში. მთელი დღის მანძილზე ორიოდე საათით თუ დაიძვრენს თავს და მაშინვე ეს სამზარეულო!.. აღარ შეუძლია, მოკვდა ქალი. შვილებიც რომ ასეთი სულელები გამოუვედით — ერთი უფროსს და უმცროსს ვერ არჩევს, მეორე — კარგსა და ცუდს...

— ჰო, კარგი დედა, ვისწავლი, ვისწავლი...

მეორე სართულის კიბეს შევუდექი. ლილი და უშანგი აივანზე ისხდნენ. ლილი წიგნს ფურცლავდა, უშანგი სიგარეტს აბოლებდა. ხმადაბლა საუბრობდნენ, უფრო სწორად, უშანგი საუბრობდა, ლილი კი წიგნს ფურცლავდა და წარბშეკრული უსმენდა. ხომ არ იჩხუბეს? ისეც უქნიათ, ერთმანეთი დაუჭამიათ. უშანგმა დამინახა, ლაპარაკი შეწყვიტა და მომიბრუნდა:

— ჰელო, ზურაბ, ხომ კარგად გაატარე დრო?

გმადლობთ, კარგად...

არა, სულაც არ ჰკადრებენ ნაჩხუბრებს. ეს იყო მხოლოდ, რაღაც უჩვეულოდ სერიოზული მომეჩვენა ჩვენი სტუმარი. იქნება სიყვარულს ეფიცებოდა? თუ ასეა, მე ხელს არ შევუშლი. ხომ უნდა ვისწავლო ბოლოს და ბოლოს უფროსების პატივისცემა?

მეზობელ ოთახში გავედი და ლოგინზე წამოეწექი. ეს ჩემი სამეცადინო კაბინეტია. ფანჯარასთან პატარა მაგიდა დგას, რომელზეც მუდამ უწესრიგოდაა მიყრილ-მოყრილი ჩემი წიგნები, რვეულები, სპიდოლა, ჯიბის ელექტროფანარი, ფოტოაპარატი.

ვულაღმა გავიშოტე და ჭერს მივაშტერდი.

წამით ძმეჩვენა. რომ ჭერი ადგილიდან დაიძრა, ამაღლდა, გაფართოვდა. მერე თვალნათლივ დავინახე ანიკო მასწავლებელი, ჩვენი კლასის ხელმძღვანელი, გოჩას, ჩვენს ჩოგბურთელს ორიანი რომ გაშოაყოლა მათემატიკაში. მომესმა მისი ხმაც:

„როგორ შეშარცხვინე, როგორ გამიცრუე იმედი, ზურიკო. შარშან.რა კარგი მოსწავლე იყავი, ბეჯითი, წესიერი, დამჯერე, გაკვეთილებს არ აცდენდი, არ აგვიანებდი. წელს რამ შეგცვალა ასე? მაინცდამაინც გოჩას, მაგ უქნარას უნდა აპყოლოდი? რეზოც შენი მეგობარი არაა? რეზოსთვის მიგებაძა...“

სწორედ ასე მითხრა, თანაც მარტოს კი არა, მამაჩემთან ერთად.

მამაჩემი ახლაც მიბღვერს. ვერ უპატიებია ჩემთვის, „ასე რომ შეეიცვალე“. გოჩასაც ავი თვალით უმზერს, არა და სულაც არაა რეზოზე ნაკლები ბიჭი. დიდი ამბავი, ერთი ორიანი თუ გამოყვა. გამოასწორებს როგორმე.

გულაღმა ვიწექი ჩემს პატარა ოთახში. ფიქრში წასული ჭერს მივშტერებოდი და ამასობაში ძილიც მომერია...

ჩვენი კლასის ხელმძღვანელი მოედანთან ცხოვრობს, ოთხსართულიან სახლში. მისი პინა შეორე სართულზეა, მარჯვენა მხარეს.....

რამ მიმიყვანა იქ? რატომ შევეუურებდი თვალმოუშორებლად ანიკო მასწავლებლის ბინის ფანჯარას? ვიცოდი, იქ არავინ იყო. მასწავლებელი ახლა გაკვეთილზეა, ჩვენს კლასში. მეც იქ უნდა ვყოფილიყავი, რა თქმა უნდა, მაგრამ გავაჯავრე, არ მოვასვენე და გარეთ გამომაგდო. და აი, ფანჯარასთან რალაკამ გაიელვა. თვალმა ხომ არ მომატყუა? კვლავ დავაკვირდი ფანჯარას. ახლა უფრო ვარ-

კვევით დავინახე ცეცხლი, ფარდებს რომ მოსდებოდა. „ხანძარი! ხანძარი!“ ვყვირი და გავრბივარ. ქუჩა ელვის სისწრაფით გადავჭერი და ოთხსართულიანი სახლისაკენ გავვარდი. სულმოუთქმელად ავირბინე კიბეები. აი, მეორე სართულიც. მარჯვნივ პოლო კარები ანიკო მასწავლებლისაა. ჩაკეტილია... უნდა გავტეხო... დროზე! უნდა შევამტვრიო! რატომ არავინ მეხმარება? ნუთუ არავის დაუნახავს ცეცხლი? ან ჩემი ყვირილი არავის გაუგონია?

აბა სხვა რა გზა მქონდა? მარტომ შევამტვრიე კარები, მარტომ ჩავაქრე ხანძარი.

„ყოჩაღ, ზურიკო, ყოჩაღ, რას ვიფიქრებდი... როგორ მოვტყუვდი... შენ თურმე ნამდვილი გმირი ყოფილხარ!“

არის ხალხი, სიზმრის რომ არაფერი სჯერა. ვაღიარებ — არც მე. მიუხედავად ამისა, მაინც ამიხდა რამდენჯერმე. განსაკუთრებით ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა. პატარაობისას ბიძაჩემმა ლამაზი ჯაყვა მაჩუქა. სულ ჯიბეში მედო, წუთითაც არ ვიცილებდი. მეშინოდა, არ დამეკარგოს-მეთქი, მაინც დამეკარგა. ყველაფერი გადავჩხრიკე, მაგრამ ვეღარსად ვიპოვე. ერთ მშვენიერ ღამეს კი დამესიზმრა, რომ ჩემი პატარა დანა კარადის ქვეშ ეგდო მამაჩემის ოთახში. დილით, გამომეღვიძა თუ არა, ზემოხსენებულ კარადასთან გავჩნდი. ჯაყვა მართლაც იქ აღმოჩნდა.

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა. რეზოსა და გოჩას რომ მოვუყევი ეს ამბავი, მითხრეს, შეიძლება ბიძაშენმა ჯაყვა სულაც სიზმარში გაჩუქა და, საერთოდ, ყველაფერი სიზმარში მოხდაო, შენ კი ზოგი რამ ცხადსავით დაგამახსოვრდაო. ასეთი რამ ჩვენაც გვემარებაო. მოდი, ჰკითხე ბიძაშენს, მართლა გაჩუქა თუ არა ჯაყვა, როცა შენ პატარა ბიჭი იყავიო.

ასეთი უცნაური აზრები მოსდით ჩემს მეგობრებს ხანდახან თავში. გაკვეთილების შემდეგ მაინც ვუამბე მათ ჩემი ახალი სიზმარი. ამჯერად რეზომ სწორი რჩევა მომცა:

— თუ მართლა გაგაგდოს დღეს გაკვეთილიდან, მაშინვე მოედნისკენ მოკურცხლე...

— ბარემ ახლავე წადი, — მითხრა გოჩამ, — რომ არ გაგაგდოს, რას შვრები მაშინ? ხომ დაიწვა იმოდენა სახლი? მეც წამოვიდოდი, მაგრამ სიზმარში შენ მარტო იყავი... რამე იარაღიც წაიღე კარის შესამტვრევად, რომ ტყუილუბრალოდ არ იწვალო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოედანზე ვიყავი ღა გაფაციცებით ვუთვალთვალებდი ნაცნობ ფანჯარას. იქ ხანძრის ნიშან-ყვალიც არ ჩანდა.

ბოლოს ხელი ჩავიქნიე. სანამდე უნდა მეცადა? იმედგაცრუებუ-

ლი ნელა დავუყეი ქუჩას. კარგა ხანს მივდიოდი ასე. ფეხები უკან მრჩებოდა. ვიცოდი, მაგრად მოვხვდებოდა გაკვეთილების გაცდენისათვის ანიკო მასწავლებლისგან.

დროდადრო შევჩერდებოდი, შენობებს ვაკვირდებოდი.

უცებ გული გადამიქანდა — ერთ-ერთ ფანჯარაში რაღაცამ იელვა. მთელი ხმით ღავიყვირე:

— ხანძარი! ხანძარი!

გამვლელნი შეჩერდნენ, გარს შემომეხვივნენ, შეშფოთებით ათვალიერებდნენ ახლომახლო შენობებს.

მალე მივხვდი, რომ მოვტყუვდი — მზე ირეკლებოდა ფანჯრის მინაზე.

ერთმა კაცმა მკლავზე მტაცა ხელი:

— სადაა, ბიჭო, ხანძარი?

— მომეჩვენა, — ჩავიბუზღუნე მე.

— უნდა გააბილო, ყმაწვილო, თვალი...

ზღვის ნაპირი სავსეა ხალხით. მე, გოჩა და რეზო სილაში ვწევართ. რეზო კაფანდარაა, გაკნაჭული, როგორც ფრიადოსანს შეეფერება, გოჩა კი მაღალი, ჩაფსკვნილი, ღონიერი. ჩვენს კლასში ვერავინ უბედავს ხელის დაკარებას. უფროსკლასელებსაც კი ეშინიათ მისი. ზანგი გეგონება, ისეა გარუჯული. გულაღმა წევს და დაკუნთულ გულმკერდზე ამაყად იბაგუნებს მუშტებს.

— რა ცხელი ზზეა, — ჩაილაპარაკა რეზომ და პერანგს წასწვდა, — წვავს ყველაფერს...

— ჩაიცვი, ჩაიცვი, — ურჩია გოჩამ, — მთლად არ გახმე და გამოშრე ტარანასავით...

— რაც ვარ, მთლად კაჟი ვარ, — უთხრა რეზომ და წამოხტა, — დამეჭიდე და გაჩვენებ.

— გოჩა ჩაბეჭირდა სიცილისაგან.

— უყურეთ ერთი, ამ ბლახას, უყურეთ!

რეზომ მკერდზე დაადგა ფეხი.

— ადექი, ადექი, რაო, ფერი ხომ არ გაცვლევინე?

— ზურიკო, მოიხედე ერთი, ეს რა კოღო დამასკუპდა, რას დამბზუის და დაშწრიპინებს, თან რომ მილიტინებს კიდეც? ოჰ-ოჰ, მოვკვდი სიცილით.

— მოსცილდი, ვურჩიე რეზოს, — უცებ არ დააცხიკვოს...

აქვე, ჩვენ პირდაპირ კატარღების მოსადგომი ხიდია. მას ახლახან გასცდა დამსვენებლებით დატვირთული პატარა, ლამაზი ვემი. ხიდზე დარჩენილი ბიჭები ყიჟინით ჩაცვივდნენ ზღვაში.

— წავალ, მეც გადავხტები, თქვა გოჩამ და წამოიწია.

— აბა, ჰე, გეჩვენე შენი ოსტატობა, — შეაგულიანა რეზომ.

— მეზარება, — თქვა გოჩამ.

— ჰო და იწექი მანდ, თუ გეზარება, — ვუთხარი მე, — რას ბაქიბუქობ!

— ბიჭოს! — შესძახა გოჩამ, — ახლა ესეც არ აწრიპინდა?

რეზო აღარ გვისმენდა, ზევითკენ იცქირებოდა. ცხვირზე თავისი შავი სათვალე დაეკოსებინა და გაზეთის კიოსკსა და წყლის გამყიდველის ფარდულს მიშტერებოდა.

— შეხედე, შეხედე, — მკრა ხელი, — შენი ძმაკაცი...

ვავიხედე და ლეო დავინახე. მან ველოსიპედი ფარდულთან მიაყენა, რაღაც უთხრა წყლის გამყიდველს, ალბათ, ველოსიპედი თუ მიაბარა და ზღვისკენ დაეშვა.

— კარგი ფოტოაპარატი აქვს, — ვთქვი მე, — „ზენიტი“.

— ფოტოაპარატი ვამოდგომაზეა, — თქვა რეზომ, — ზოგჯერ „ზორკი“ სჯობია „ზენიტს“.

გოჩას გაეცინა.

— ვითომ რაო, შენი „ზორკია“ ასეთი გამომდგარი, ხომ?

— რატომაც არა? ცუდ სურათებს ვაკეთებ?

— რას აკეთებ... ქალალდებს აფუქებ ტყუილუბრალოდ.

— კიდევ მთხოვ, სურათი გადამიღეო და მაშინ გაგახსენებ...

ლეომ მოშორებით გაიხადა ტანზე, ტანსაცმელი კენჭებზე დაყარა და წყალში გადაეშვა. კარგა მანძილით მოსცილდა ნაპირს, შემდეგ გვერდზე შებრუნდა და ზეით აპყვა ნაპირის გასწვრივ. მშვენივრად ცურავდა.

— გინდათ ახლა ვინმე წყალში იხრჩობოდეს? — ვიკითხე მე.

გოჩამ და რეზომ გაკვირვებით შემათვალიერეს.

— გაგიჟდი?!

— რატომ უნდა იხრჩობოდეს?!.

— გადავარჩენდით.

— ჰოო, — ჩაფიქრდა გოჩა, — ეგ შეიძლება.

— ან ერთი ჯაშუში რომ დაგვეჭირა. ხომ კარგი იქნებოდა?

— ეე, სად ნახავ ჯაშუშს. ასე კი არ ყრია ყოველ ნაბიჯზე...

— სადმე ხომ იქნება მაინც? აკი იჭერენ ხანდახან.

—ჩვენ რას დავიჭერთ, — ნაღვლიანად თქვა რეზომ, — სადაა ჩვენი დასაჭერი ჯაშუში?

— რა დიდი ამბავი უნდა, — ვუთხარი მე, — სულაც არ უნდა იყოს ძნელი საქმე. ოღონდ წინასწარ ვინმეზე უნდა დაეკვდე, მერე კი გულდაგულ უთვალთვალო. არ შეიძლება, რომ ჯაშუშმა რაღაც სხვანაირად არ გააკეთოს... აბა, რის ჯაშუშია?

— მაინც, ვისზე უნდა დაეკვდე? — იკითხა რეზომ.

— აი, თუნდაც იმ კაცზე... შეხედეთ, ცალკე წევს... სქელი... აბა, დააკვირდით, გაზეთს კითხულობს და თან დროდადრო გვერდზე იხედება. რატომ იხედება გვერდზე? ვის უთვალთვალებს სახეზე გაზეთს რატომ იფარებს?

რამდენიმე წუთს სამივენი დაძაბული ვაკვირდებოდით სქელ კაცს.

— არა, — ყველაზე ადრე რეზოს გაუცრუვდა იმედი, — ეგ. არ გამოგვადგება. ჩვეულებრივი ლამსვეხებელია. მაგისთანა ათასს ნახავ ამ ნაპირზე წამოწოლილს.

— ის უფრო საეჭვოც კია, ასე მეტისმეტად ჩვეულებრივი რომ მოგეჩვენება.

— შეხედე! შეხედე! — იყვირა უცებ ვოჩამ,—ხედავთ იმ კაცს, როგორ ნერვიულად დადის? თითქოს ვილაცას ეძებსო... ღააკვირდით... ეტყობა, აქ სადღაც თავის აგენტს უნდა შეხვდეს.

— მივუახლოვდეთ, — ვთქვი და წამოვხტი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ახალმა „ჯაშუშმა" გაზეთი იყიდა და ტაქსის გაჩერებასთან დადგა.

— აბა, ფრთხილად, არ გაგვექცეს, — გავაფრთხილე ამხანაგები და ფარდულთან მივირბინე.

წამით ვოჩა შეჩერდა, შეყოყმანდა.

— ტანსაცმელი ქვევით რომ დაგვრჩა? ასე შიშვლებმა სანამდე უნდა ვდიოთ?

მალე ტაქსიც მოვიდა. კაცი შიგ ჩაჯდა. მანქანა დაიძრა.

— დავკარგეთ, — დაღონდა რეზო.

თითო ჭიქა ცივი წყალი დავლიეთ ნერვების დასაწყნარებლად. ის იყო, უნდა გამოებრუნებულიყავით, ვოჩამ ხელი მოგვხვია და საიდუმლო ხმით გვითხრა:

—ახლა მე მიყურეთ!.. ახლა ვეღარსად გაგვექცევა...

მე და რეზომ ყურადღებით მოვათვალიერეთ იქაურობა. საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინეთ.

— ხედავთ მანქანას მარცხნივ, პალმებს შორის? — გვკითხა ვოჩამ.

— ვხედავ, — მიუგო რეზომ. — მერე?

— კარგად მომისმინეთ... ახლახან პლაჟიდან კაცი რომ ამოვი-

და და პალმის ჩრდილში ჩამოჯდა, დაინახეთ? არ დაგინახავთ. შემდეგ გზაზე, აი, ის მანქანა გამოჩნდა. კაცმა ხელები ასწია და გადაჯვარედინა. მძღოლმა სარკმლიდან თავი გამოჰყო და ანიშნა, ყველაფერი გავიგეო, დავალების შესრულებისათვის მადლობას გიცხადებო. ბოლოს მანქანა გაჩერდა და კაცი შიგ ჩაჯდა...

— ახლოს მივიდეთ. — თქვა რეზომ.

— ფრთხილად, — თქვა გოჩამ, — არ შეგვატყონ, რომ ვუთვალთვალებთ, თორემ ესენიც აითესებიან და უყარე მერე კაკალი...

ქუჩაში გავედით და ახლა უფრო გარკვევით დავინახეთ ცისფერი ვოლგა.

— ვაი, შენს პატრონს! — ვუთხარი გოჩას, — ეს ხომ უშანგია!

მანქანა დაიძრა და სწრაფად გაუჩინარდა.

გოჩას სახე ჩამოუგრძელდა.

— იცნობ? — მკითხა, — შენ კარგად იცნობ?

— ვიცნობ რომელია... ყოველდღე ჩვენთან არ დადის? ვითომ არ იცი...

რეზოს გაეცინა.

გოჩამ სერიოზულად თქვა:

— თვალყური ადევნე. ვინ იცის, იქნებ მართლა ჯაშუშია... ეშმაკს არ სძინავს.

— აგრე იყოს, თვალს არ მოვაცილებ!

* *

ლეო საჩქაროდ იბნევდა პერანგის ღილებს და დაბნეული, გულდაწყვეტილი ლუღლუღებდა:

— არა უშავს... რა მოხდა მერე... ჩემი ბრალი იყო...

ღილები ხელიდან უსხლტებოდა. ერთ ორჯერ არასწორად შეიბნია. გაიხსნა და კვლავ შეუდგა შებნევას. ირგვლივ მყოფნი თანაგრძნობით შეჰყურებდნენ და დანანებით აქნევდნენ თავს.

— ახალი ფოტოაპარატი იყო? — იკითხა ვილაცამ.

— ახალი იყო, — მიუგო ლეომ.

— რომელი?

— „ზენიტი".

— ჰოო?... კაცმა რომ თქვას, „ზენიტიც" ბევრგვარია.

—ნეტა ვინ გაბედა? — იკითხა შუახნის ქალმა, — თქვენ არავინ შეგინიშნავთ, ბავშვებო?

ათიოდე წლის ბიჭი, ლეოს ტანსაცმლის გვერდით რომ იდგა, მხრებს იჩეჩავდა.

— აქ ერთი კაცი იჯდა, — თქვა მან, — ფოტოაპარატს ხელში აწვალებდა, რამდენჯერმე გადაიღო კიდეც. ბოლოს ადგა, წაკიდა და თან წაიღო.

— რა ეცვა, არ გახსოვს?

— მგონი... ჭრელი პერანგი ეცვა.

— მაღალი იყო? დაბალი? როგორი თმა ჰქონდა?

ბიჭმა მხრები აიჩეჩა.

— ამასწინათ მეც მომპარეს ფოტოაპარატი, — თქვა ერთმა ახალგაზრდამ, — მაგრამ ძველი იყო, გაფუჭებული... მაწვალებდა ხოლმე და არ დამნანებია. ახლა ის გააწვალოს, ახია მასზე-მეთქი, ვიფიქრე... ეს კი სულ სხვაა...

— ეს ერთი ხანია აქ ხშირად იპარავენ რაღაც-რაღაცებს, — თქვა შუახნის ქალმა, — მიკვირს, რატომ ვერ დაიჭირეს ჯამდე...

ლეო დამნაშავესავით იდგა, არაფერს ამბობდა. იფიქრებდით, ეს-ესაა ამდენი ხალხის შეწუხებისათვის ბოდიშს მოიხდისო. ბოლოს, როგორც იქნა, მორჩა ჩაცმას, ხალხის წრე გაარღვია და ფარდულისაკენ გაემართა, სადაც ველოსიპედი ჰქონდა დატოვებული.

— საწყალი, — თქვა შუახნის ქალმა, — ნეტა მართლა ძვირფასი აპარატი იყო?.. თუმცა დაკარგვა მაინც საწყენია.

— ძვირფასი იყო, — ვუთხარი მე, — ფოტოკონკურსში გამარჯვებისათვის აჩუქეს.

— ფოტოგრაფია?

— არა, სტუდენტია. კარგად ვიცნობ. ჩემს დასთან სწავლობს.

მეორე დღეს. სადილის შემდეგ, კვლავ გამოგვიარა უშანგმა თავისი მანქანით და მე და ლილი სასეირნოდ წაგვიყვანა. შინ საღამოს დავრუნდით. ჩინებულად გავატარეთ დრო, სამივენი მეტად კმაყოფილები ვიყავით. მანქანითაც ვისეირნეთ და ქალაქგარეთ ერთ პატარა მთაზე ფეხით ასვლაც მოვასწარით. იმ მთის კორტოხზე ერთი ძველისძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები მეგულებოდა და, რაც თავი მახსოვდა, მის ნახვაზე ოცნებობდი.

უშანგი მადლობით გავისტუმრეთ და სწორედ იმ დროს, კიბეზე რომ ავდიოდით, კარებში მამა გამოჩნდა. მან ოთახში შეგვიშვა, თვითონაც შემოგვყვა, მკაცრად შეგვათვალიერა და გვკითხა:

— კიდევ იმ ყმაწვილის მანქანით სეირნობდით?

— ჰო, უშანგი იყო, — მიუგო ლილიმ. — გამოგვიარა და უარი ვერ ვუთხარით. საქმე მაინც არაფერი ვქონდა.

— საქმე არაფერი ჰქონდათ!.. როგორ ხდება, რომ მე და დედათქვენს საქმეები თავზე საყრელად გვაქვს, თქვენ კი არც იცით, დრო როგორ მოკლათ?

არ ვიცი, მხრები აიჩეჩა ლილიმ.

— ის მაინც თუ იცით, მაგ თქვენი უშანგი ვინ ბრძანდება?

მე ყურები ვცქვიტე. მაშინვე ვამახსენდა ვოჩას დავალება.

— მაგას რა დიდი ცოდნა უნდა, — წყენით თქვა ლილიმ.

— არ უნდა ხომ? არ უნდა თურმე!

ლილიმ კვლავ გულუბრყვილოდ აიჩეჩა მხრები და წყენით აიბზუა ტუჩები. არაფერი უთქვამს.

— მთელი დღე მანქანით სეირნობის მეტი არაფერი აქვს საქმე? მუშაობს სადმე, სწავლობს, თუ რას აკეთებს, არ გაინტერესებს?

— როგორ არა, — გულგრილად თქვა ლილიმ, — უეჭველად ვკითხავ.

— ჯერ არ გიკითხავს?

— რაღაც არ მქონია შემთხვევა...

— თუ ასეა, თავს ნუ შეიწუხებ, — უთხრა მამამ, — მაგას მე თვითონ გავარკვევ როგორმე...

ლილის არ ესიამოვნა მამაჩემის საუბრის კილო. იგი ფანჯარასთან მივიდა, დაჯდა და წიგნის კითხვას შეუდგა. მე მისი ჟურნალები ჩამოვიღე თაროდან და თვალიერება დავუწყე. მამა ბოლთას სცემდა და დროდადრო წარბშეკრული მრისხანედ შეგვავლებდა თვალს.

აუჩქარებლად ვფურცლავდი უცხოურ, ილუსტრირებულ ჟურნალს, რომელიც სავსე იყო ათასნაირი მანქანებისა და აპარატების, მტვერსასრუტების, უთოების, ველოსიპედებისა და მოტოციკლეტების რეკლამებით.

ერთ-ერთ ფოტოაპარატზე შევაჩერე მზერა.

მერე ასეთი სურათი წარმომიდგა თვალწინ:

ჭრელპერანგიანი ბიჭები ზღვის პირას დასეირნობენ, გაფაცებით ათვალიერებენ იქაურობას. რა ძვირფასი ნივთი გამოჰყვთ შინიდან საბანაოდ მოსულებს? ყველაზე მეტად მზერას, ცხადია, ფოტოაპარატები იზიდავს. მეთაური განმარტოებით ზის, სიგარას აბოლებს და მოჭუტული თვალებისა და თითების ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით ანაწილებს თავის გუნდს. ქურდები უსიტყვოდ, უყოყმანოდ ასრულებენ მეთაურის ყოველ მითითებასა და სურვილს, ყოველ ბრძანებას... ნიშანში ამოღებულ „მსხვერპლს“ კვალდაკვალ მისდევენ, ირგვლივ უტრიალებენ, ხელსაყრელ მომენტს ეძებენ...

წამით შეუახნის ქალის ხმაც ჩამესმა: „მიკვირს, რატომ ვერ დაიჭირეს აქამდე?“

„მართლაც! „წარმოვიყვირე და წამოვხტი. „მე დავიჭერ!“

მამამ და ლილიმ გაოცებით შემომხედეს.

კარს მივეკარი.

— ვის დაიჭერ შენ, ბიჭო? — მოესმა მამაჩემის ხმა, — ვინ უნდა დაიჭირო, არ იტყვი?

მე უკვე კისრისტეხით ჩავრბოდი კიბეზე.

რეზო მარტო ჩავიდა ზღვის ნაპირზე. იგი ნელა, არხეინად მიაბიჯებდა, თან ხელში ფოტოაპარატს ათამაშებდა, ისე რომ ყველას თვალნათლივ დაენახა, დიდსა და პატარას, ნაცნობსა და უცნობს. შემდეგ სწრაფად გაიხადა ტანზე, ტანსაცმელი მიყარ-მოყარა, აპარატიც იქვე დაუდევრად მიაგდო და წყალში გადაეშვა.

— მაგ აზრი მეც დამებადა, — მითხრა გოჩამ ჩურჩულით და თავისი ჰოვრი მოიძარჯვა, — მაგრამ შენ ღამასწარი თქმა...

— არ შეიძლება, რომ ყველაფერში არ შემეცილო.

გოჩამ ზღვის ნაპირი მოათვალიერა.

— კარგად ხედავ? — ეკითხე.

— ძალიან გამომწვევად კი აგდია, კაცმა რომ თქვას.

მეც გარკვევით ვხედავდი ყველაფერს. ვხედავდი რეზოსაც. ბამალებით რომ მიცურავდა ზღვაში. ერთხელაც არ მოუხედავს ნაპირისაკენ.

— მეტიმეტი არ მოუვიდეს, — თქვა გოჩამ, — რაღაც შორს გარეკა. გამოსვლა არ გაუჭირდეს...

— შენ რეზოს ადევნე თვალი, — ეუთხარი გოჩას, — ჰოგრით უკეთ დაინახავ. ფოტოაპარატს მეც კარგად ვხედავ.

გავიდა რამდენიმე წუთი.

— ახლა ნაპირის გასწვრივ მიცურავს, — გოჩამ შეებით ამოისუნთქა, — იქ ბლომადაა ხალხი... ვეღარც კი ვარჩევ სხვებში.

ნაპირი სწრაფად ივსებოდა. რეზოს ტანსაცმლის ირგვლივ უკვე რამდენიმე მობანავემ მოიკალათა. ძლივს ვხედავდი სატყუარას.

— რაღაც უნდა მიეფარებინა, პერანგი ან შარვალი... შეიძლება ქიგვიხვდნენ ოინს.

დრო ძალიან ნელა გადიოდა, მიზოზინებდა...

— სისულელეა. — თქვა უცებ გოჩამ და ჰოგრი ძირს დააგდო, — ნავიდეთ, ჩვენც ვიბანაოთ. სულ ტყუილად ვკარკაეთ ღროს. ამ

საქმიდან არაფერი გამოვა. ვის რად უნდა რეზოს გაქუცული ფოტოაპარატი?

— არა,—მიუგე მე, თუმცა, ჩემი მოთმინებაც ნელ-ნელა ილეოდა, — საღამომდე ასე რომ ვიჯდე, ფეხს არ მოვიცლი... შენ, თუ გინდა, ჩადი, იბანავე.

ვისხედით და ვუძლებდით. გავიდა მთელი საათი. საცოდავად ვიხრუკებოდით იმ პაპანაქებაში. მორიგეობით ვდგებოდით, ფარდულში წყალს დავლევდით და თვალთვალს ვაგრძელებდით. ზღვის ნაპირი კი ისე გაივსო ხალხით, ნემსიც არსად ჩავარდებოდა.

უცებ წამოვხტი:

— აღარ არის... ვეღარსად ვხედავ!

გოჩამ ჭოგრი მოიმარჯვა. ფოტოაპარატი ვერც მან იპოვა.

— ჩქარა, ქვევით...

რამდენიმე ნაბიჯით რომ ჩავინაცვლეთ ნაპირისკენ, გარკვევით დავინახეთ:

იმ ადგილას, სადაც რეზომ ტანსაცმელი დაყარა, უცნობი ბიჭი იჯდა, აპარატი ხელში ეჭირა, გულდასმით, ყურადღებით სინჯავდა, ბოლოს გაზეთში გახვია და, თითქოს არაფერიაო, იქვე დადო.

— გაება, მამაძაღლი, — თქვა გოჩამ.

ბიჭი წყალში ჩავიდა, რამდენიმე წუთს იქყუმპალავა, ვიღაც ბავშვს მოეფერა, გაეთამაშა, ვიღაცას ეაეხუმრა, მერე აუჩქარებლად ამოვიდა წყლიდან, მშვიდად ჩაიცვა, შეხვეული აიღო და დინჯი ნაბიჯით მოსცილდა ნაპირს. მერე აუჩქარა. სწრაფად ჩაგვიარა და ქუჩაში გავიდა.

უცებ უშანგის ვოლგას მოვკარი თვალი. მაშინვე მისკენ გავეშურე. სწორედ ახლა გვჭირდებოდა მისი დახმარება. ქურდი კი ეიპოვეთ, მაგრამ პოვნას რაღა აზრი ჰქონდა, თუ თვალსა და ხელს შუა გაგვიქრებოდა? ახლა როგორმე უნდა დაგვეჭირა ნაქურდალით ხელში. ეს კი არც ისე ადვილი საქმე ჩანდა, როგორც თავიდან წარმოგვედგინა.

ქურდმაც, შეპირებულივით, უშანგის მანქანისკენ აიღო გეზი. უშანგმა კარი გაუღო. წამით დავიბენით, შევყოყმანდით. ქურდი უკვე უშანგის გვერდით იჯდა. ყოყმანის დრო აღარ იყო, მანქანასთან მივირბინე, უკანა კარი უკითხავად გამოვაღე და სავარძელში ჩავჯექი. გოჩაც მაშინვე შემომყვა.

— გაგვასეირნე რა, — ვუთხარი გაოცებულ უშანგს, როცა ოდნავ დამიწყნარდა აჩქარებული გულისცემა, — ეს ჩემი ამხანაგია, თანაკლასელი, — გოჩაზე ვანიშნე, — ჩოგბურთს ისე კარგად თამაშობს... მაგიდის ჩოგბურთს...

შეშინოდა. ენას რომ ვავაჰერებ, ვაი თუ ყველაფერს მიკვიხვდნენ-მეთქი.

— რის ჩოგბურთი, რა ჩოგბურთი...

— ეს ისე... სხვათა შორის... ახლა კი გასეირნება გვინდა.

— გასეირნება? — უშანგმა ყურადღებით შეგვათვალიერა მე და ჩემი ჩოგბურთელი ამხანაგი. — ა, მოცლილი ხალხი... სეირნობა მოუნდათ. — მერე ქურდს მიუბრუნდა:

— იყიდე ფუნთუშა?

— ვიყიდე, — მიუგო მან და შეხვეული აჩვენა.

მე და გოჩამ ერთმანეთს შევხედეთ და გავისუსეთ.

— კარგია? ღირს კი?..

— რაც იყო, ის ვიყიდე... მგონი, არა უშავს... იქმევა.

— ქვევით იყიდეთ? — ვკითხე ქურდს.

— ჰო, — მიპასუხა მან.

— ის ფუნთუშები, — უთხრა გოჩამ, — ქვევით რომ იყიდება, არაფრად არ ვარგა. მოკბეჩ თუ არა, მაშინვე ყელზე დაგადგება.

გოჩას შევხედე და ვანიშნე. ენას კბილი დააჭირე-მეთქი.

— ვითომ? — უშანგმა გაიცინა და ქურდს თვალი ჩაუკრა, — არა მგონია... ჰო, ჩადით ახლა, ბიჭებო, არ მცალია დღეს თქვენთვის, ათასი საქმე მაქვს. ხვალ გასეირნებთ.

შევყოყმანდი. გოჩას შევხედე კითხვის თვალით. გადავიდეთო, მანიშნა მან.

მანქანა რომ დაიძრა, გოჩა ხელების სრესას მოჰყვა.

— ახლა ხომ ნამდვილად ჩაგვივარდა ხელში? ესეც შენი უშანგი... შევხედე თუ არა, ხომ მაშინვე მივხედი, რაც კაცი იყო? მივხედი თუ არა?

შინ მარტო ვიყავი. ფანჯარასთან ვიჯექი და ქუჩას გავცქეროდი. დავინახე, ჩვენს ჭიშკარს ვოლგა მოუახლოვდა. გაჩერდა. უშანგი იყო — ფუნთუშების მოყვარული. მანქანიდან გადმოვიდა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ჭიშკართან. შემდეგ ღია სარკმელში შეაყო ხელი და სამჯერ გაისმა საყვირის მოკლე, მკვეთრი ხმა. შეეატყვე, დამინახა, ფანჯარასთან რომ ვიჯექი.

ნელა დავეშვი კიბეზე, ჭიშკართან მივედი.

— გამარჯობა, ზურიკო, — მითხრა მან, — ლილი შინ არის?

— არაა, — მივუგე. ქუჩაში გავედი და მანქანის წინა ფრთაზე შევსკუპდი. ვიცოდი, გულსე სკდებოდა, მის კაკრიალებულ ვოლ-

გას ვინმე ასე რომ „ვაუშინაურდებოდა", ფრთაზე ან კაპოტზე შეასკუპდებოდა. ბიტკესაც უკრძალავდა თავისი მანქანის ახლოს ფრენას.

ცხადია, არ მოეწონა ჩემი ასეთი უბოდიშო სითამამე. მაინც დუმდა. რამდენჯერმე გახედ-გამოხედა ეზოს, თითქოს ჩემს ნათქვამს ამოწმებსო, და ყოველად უადგილოდ, ნაძალადევი მწუსარებით ჩაილაპარაკა:

— ჩვენ შორის დარჩეს და... სულ ვფიქრობ, რატომაა ჩვენი ზურიკო ასეთი უიღბლო-მეთქი... სხვას ყოველ ნაბიჯზე სწყალობს ბედი. შენ კი... შენ არ გიკვირს?

კი მიკვირს-მეთქი, ვუთხარი გულგრილად. ისიც მიკვირს, რომ შენ, ასეთ იღბლიან კაცს დღეს არ გაგიმართლა-მეთქი.

— არ გამიმართლა? — გაიკვირვა უშანგმა, — მე? რატომ?

— ლილი შინ რომ არ დაგხვდა.

— არა უშავს, დავუცდი... მოვა.

— დააგვიანდება... შეიძლება სულაც არ მოვიდეს. სტუმრადაა წასული.

— ჰოო? — უშანგმა მანქანას შემოუარა, კარგად დააკვირდა, სადმე ბუტეერი ხომ არ ადევს. ან ვაკაწრული ხომ არაა, მერე საჯეს მიუჯდა. მაგრამ სტარტერი არ ჩაურთავს. ორივენი ვდუმდით. რაღაც ყურმოკრული მელოდია სტვენით რომ ჩავათავე, ვითომ სხვათა შორის და ძალიან უდარდელად ვკითხე:

— ფუნთუშა უკვე მიირთვეთ?

ცერად გაეხედ. თვალები კინაღამ გადმოუცვივდა.

სტვენა განვაგრძე.

იჯდა, მოთმინებით მელოდა, კიდევ რას ვიტყოდი.

— ის ფოტოაპარატი რეზოსი იყო, — ვთქვი მშვიდად, წყნარად, კაცი იფიქრებდა, რაღაცას თავისთვის ღუღღუღებსო, — რეზო ჩემი ამხანაგია, თანაკლასელი... სხვათა შორის, ფრიადოსანი... შორიდან ეუთვალთვალებდი გოჩასთან ერთად... ისიც ჩემი ამხანაგია, შენ იცნობ, ჩოგბურთს თამაშობს კარგად. ვუთვალთვალებდით და დავინახეთ, როგორ მოიპარა იმ შენმა ძმაკაცმა ფოტოაპარატი.

— რომელმა ძმაკაცმა? ხომ არ გააფრინე, ზურიკო?

— ფუნთუშა ვიყიდეო, რომ მოგახარა... გაზეთში ხომ ფოტოაპარატი ჰქონდა შეხვეული.

— შეუძლებელია! — წამოიძახა უშანგმა, — სისულელეებს ლაპარაკობ!

სწრაფად გადმოვიდა მანქანიდან, წინ დამიდგა.

— მე კარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ...

უშანგი დუმდა. უცნაურად ქშინავდა, თვალებს აბრიალებდა. ეშმწარა თუ არა? ეშმწარა, ნაღდია! ზოგი ახლაც გავარკვიოთ, ვინ ბედის ნებიერია. ვინ არა.

უცებ სიცილი დაიწყო.

— უყურე ერთი, რა ხუმრობა სცოდნია...

— როგორ გეკადრება, ხუმრობისთვის მცალია?

— დავიჯერო, მართლა მოიპარა? შენი თვალით დაინახე? იქნება მოგეჩვენა რამე?

— ჩემი თვალით... არაფერი არ მომჩვენებია... მოწმეც მყავს, გოჩა. სადაც ვინდა, დავუმტკიცებ. აპარატი რეზოსია. სად გაგვექცევა...

უშანგმა რამდენჯერმე ისევ შემოუარა ირგვლივ თავის გაკრიალებულ ვოლგას. მე არხეინად ვიჯექი ფრთაზე.

— თუ ასეა, სად უნდა გაგვექცეს... მიწიდან ამოვიღებ. ნუ გეშინია, არ დაიკარგება რეზოს აპარატი. მე თვითონ გამოვართმევ და მოგიტან... შენ... ვინმესთვის ხომ არ გითქვამს ეს ამბავი?

— მაინც ვისთვის უნდა მეთქვა?

— რა ვიცი... ვთქვათ... თუნდაც ლილისთვის.

— რა, არ ვუთხრა?

— რა საჭიროა?

გვერდზე ვიხედებოდი და ჩუმ-ჩუმად ვიღიმებოდი. ხედავთ, რა მოუნდა ყმაწვილს? ვეტყვი კი არა და სულ მისხალ-მისხალ ჩავუკაკლავ. დაიცადოს, მაგის დროც მოვა. ჯერჯერობით კი სხვა ანგარიშები გვაქვს გასასწორებელი.

— წამოდი, გაგასეირნებ,—მითხრა და მანქანის კარი გამიღო,— ეტყობა, ლილის მართლა დააგვიანდება დღეს.

რამდენიმე წუთის შემედგ მანქანა ორსართულიანი სახლის წინ გაჩერდა.

— ავიდეთ... აქ ცხოვრობს ის ბოთე... შინ თუ დაგვხვდა, ვანახვებ მის სეირს... როგორ გაბედა, უყურე შენ?

მეორე სართულზე ავედით, უშანგმა ერთ-ერთი ოთახის კარზე მრისხანედ დასცხო მუშტები, გააღე, შე რეგვენო, თორემ ცემით სულს ამოგხდიო, დაუყვირა. არავინ გამოხმაურებია. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ოთახში არავინ იყო და ეს მშვენივრად იცოდა უშანგმაც. ცოტა ხანს კიდევ აბრახუნა კარზე. რას ვამტვრევ ამ კარებსო, ჩაილაპარაკა ბოლოს, ახლა გამახსენდა, მგონი, გასაღები თანა მაქვსო, ამასწინათ მათხოვა და ჯიბეში ჩამრჩენია. გასაღები ამოიღო, კარი გააღო და შევიდა. მეც შევყევი.

ოთახში მაგიდა, საწოლი და ტანსაცმლის კარადა იდგა, მაგი-

დასთან ორი სკამი. მაგიდაზე პაპიროსის კოლოფები ეყარა. ფანჯრის რაფაზე ნამწვებით სავსე საფერფლე და ცარიელი სურა დავინახე.

— მოვძებნოთ... აქ ექნება სადმე. სად წაიღებდა.

უშანგმა რამდენჯერმე გასწი-გამოსწია მაგიდაზე დაყრილი კოლოფები, თითქოს შეიძლებოდა მათ შორის ფოტოაპარატის დამალვა. სურასაც შეავლო ხელი ფანჯრის რაფაზე, მერე ლოგინქვეშ შეიხედა და ბოლოს ტანსაცმლის კარადასთან მივიდა. კარი გამოაღო, მოზრდილ ჩანთაში ხელები მოაფათურა და სამი ცალი ფოტოაპარატი მაგიდაზე დამიწყო.

— აქ უნდა იყოს... ხომ გამოიცნობ?

— ეს არის, — მივუგე და რეზოს „ზორკი“ ავიღე.

—ჰო, — მაშინვე დამეთანხმა უშანგი, — ცხადია, ეგ იქნება. მეორე მისია, საკუთარი... ნეტა რად უნდოდა, რისთვის გამოაყოლა ხელს მაგ სულელმა, აკი საკუთარი აქვს... სულმა წასძლია ალბათ... ეს კი ჩემია, შეხედე. ამასწინათ დამრჩა აქ...

ლეოს „ზენიტი“ იყო!

— რა კარგია! — წამოვიძახე გახარებულმა, — როდის შეიძინე?

— ახლახან. ჯერ არც კი გამისინჯავს.

ხელში ავიღე.

— გილოცავ. ფუნთუშაც ამას ჰქვია!..

— რაო? რა ჰქვიაო? — უშანგს პირკატა ეცა.

— არაფერი... გამახსენდა, მაშინ რომ... ის ბიჭი ფუნთუშას რომ ეძახდა.

— ჰოო, — უშანგმა ძალად გაიცინა, — არაფერი არ გავიწყდება, ხომ?

— რა დამავიწყებს, — გავიცინე მეც, — რა კარგად თქვა, ღირს, იქმევაო... გოჩამ კიდევ, ყელზე დაგადგებაო... დაადგა კიდეც...

იქნება მართლა მისია და სულ ტყუილად ვწამებ ცილს? ასეთი ფოტოაპარატი განა ერთი და ორია ქვეყანაზე? ფირის გადასახვევი სახელური დავატრიალე. აპარატში ფირი იდო. მრიცხველს დევხედე. ორი თუ სამი კადრი დარჩენილიყო გადასაღები. რატომ თქვა, არც კი გამისინჯავსო? თუმცა, ერთი ფირის გადაღება რა გასინჯვაა? აი, რომ გამოავლენს და სურათებსაც დაბეჭდავს, მაშინ მიხვდება, თუ რა აპარატი შეიძინა. ლენტი სწრაფად დავაბრუნე უკან, მერე აპარატი გავხსენი, კასეტა გამოვიღე და ჯიბეში ჩავიდე.

— რას შვრები? — გაუკვირდა უშანგს, — სად მიგაქვს კასეტა?

— არსად... გამოვამეღავნებ... მე ხომ დითქმის სპეციალისტი

ვარ ამ საქმის. სურათებს დავბეჭდავ და მოგიტან. შენ, მგონი, ჯერ გადაღებაც არ იცი რიგიანად.

— ჰო, მართლაც,— გაიცინა მან.—კარგი, დაბეჭდე, თუ ძალიან გინდა. ოღონდ არ გაფუჭო...

— საინტერესო კადრებია?

— რა ვიცი, — აიჩეჩა მხრები, — სხვას ვათხოვე... მე არ გადამიღია.

— ფეხსაც ვერ დაადგამს ჩვენს სახლში... ფეხსაც ვერ დაადგამს! ლანდი არ ვნახო მისი! ასე გადაეცი... თუ არა და, თავის თავს დააბრალოს, კინწრისკვრით რომ გავაგდებ ქუჩაში!

მამაჩემი გაჯავრებული დაბიჯებდა ოთახში. მესმოდა მისი მძიმე ნაბიჯების ხმა. კარებთან ვიყავი ატუზული და ყველაფერი მესმოდა. ლილის ჩუმი ტირილიც კი.

— დღეს დილით მის სოფლის საბჭოში დავრეკე. თავაშვებული, საეკვო ყოფაქცევის კაციაო, ვერაფერი მოვუხერხეთო, მიპასუხეს. შინ მარტო დედა და უმცროსი ძმა ჰყავს, მაგრამ მათთვის ყურსაც არ იბერტყავსო. კაცმა არ იცის, სად დაეხეტება, რას აკეთებსო. აი, ვინ ბრძანდება შენი განუყოელი მეგობარი.

— რატომაა, ვითომ, განუყოელი მეგობარი? ვინ გითხრა, რომ ჩემი მეგობარია?

— მეტი რაღა გინდა, დღე არ გავა. რომ არ შემოგვიაროს, არ მოგვინახულოს... შენ კიდევ ოღონდ მანქანით გაგასეირნოს და მეტი რაღა გინდა!

— მერე რა მოხდა? კაციჭამია ხომ არაა? თანაც მარტო ხომ არ მივყვები, ზურიკო მუდამ თან არ მახლავს?

— უყურეთ ერთი, რა მცველი ჰყოლია? ზურიკო თან ახლავს გოგოს! ახლა ბარემ ზურიკოც დაუმეგობრე და თავის ჭკუაზე გამოაზრდევინე!

— ზურიკო არც ისე პატარაა, ვინემ თავის ჭკუაზე გამოზარდოს.

— დავამთავრე მაგ თემაზე ლაპარაკი!.. რაო, რა, გული დაგწყდა? იქნება კაცის მოგზავნას მიპირებდა უკვე ქალიშვილის ხელის სათხოვნელად? ვერც ვინატრებდი უკეთეს სასიძოს! თუმცა, რის კაცი, რომელი კაცი, ეგ ხომ მოდაში აღარაა. ასეთებს უფრო თავხედობა ასდით ხელზე... ტელეფონით თუ შეგატყობინეს, გინდა, არ გინდა, შენი სიძე ვარო, მადლობა უნდა უთხრა...

ჩემი და ხმას არ იღებდა. ჩუმი ტირილიც შეწყვიტა. მამაჩემიც დუმდა ერთხანს.

მძიმე ფიქრის ხმა მიწყდა. შემდეგ კარის ჭრიალი გავიგონე. მამა კიბეზე ჩადიოდა.

კარი შეეაღო. შეეყვანა. ლილი იჯდა. ფანჯარაში იცქირებოდა. თვალები ცრემლიანი ჰქონდა. ჩემკენ ძობრუნდა. შემათვალიერა. მაგრამ არაფერი უთქვამს. მერე კედლის საათს ახედა და მითხრა, რას დამადექი თავზე. გადი გარეთ. უნდა ჩავიცვა, წასასვლელი ვარო.

ეზოში რომ ჩავიდა, მეც ჩავყევი.

ლილიმ ჭიშკარი გააღო, ქუჩაში გავიდა.

მამაჩემი ონკანთან იდგა. ზედ რეზინის მილს ამაგრებდა, ბაღის მორწყვას აპირებდა.

— სად წავიდა? — მკითხა მკაცრად. როცა ლილი ჭიშკარს გასცდა.

— არ ვიცი. — მივუგე მე.

— არ იცი? — იყვირა მამამ. — აბა, რა იცი, ერთი ისიც მითხარი, მცველო!

კიბეზე ავირბინე, პერანგი გადავიცვი და ლილის დავედევნე.

ცა მოღრუბლული იყო. ეზე დროდადრო უხალისოდ, ულიმლამოდ გამოიხედავდა. ზღვა ღელავდა, უსიამოვნოდ ხმაურობდა და იფაფრებოდა, თითქოს ვიღაცას მეტისმეტად გაუჯავრებიაო.

ლილი მერხზე იჯდა და ზღვას გაჰყურებდა. მეც მახლობლად ვიჯექი. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით. მეგონა, ვერ მხედავდა. იგი უცებ ადგა და ჩემთან მოვიდა, გვერდით. მომიჯდა, მკითხა:

— ჩემს სათვალთვალოდ გამოგგზავნეს?

— ჩემით წამოვედი...

— რისთვის?

რისთვის წამოვყევი? თვითონაც არ ვიცი. თუმცა, არა, ცხადია, ვიცი. მაგრამ ასე პირდაპირ, მოუმზადებლად ხომ არ მივალი? მით უმეტეს, ისეა გაანჩხლებული, ლამის თვალები ამომკორტნოს.

— მე ხომ... მე ხომ მცველი ვარ. — ვცადე ხუმრობა.

— ვისგან. ან რისგან აპირებ ჩემს დაცვას?

— მეე? — ჩაეფიქრდი. — ზღვისგან... ხომ შეიძლება გადახტე... მეც გადმოგყვები და ტალღებს გამოგტაცებ.

ლილის გაეცინა.

— თვითონ რომ დაიხრჩო, შე საბრალო?

— დიდი სიამოვნებით. ოღონდ კი...

— ჰო, კარგი. მცველო, გეყოფა მასხარაობა. ერთი კი იცოდე — ქაცს არასდროს არ უნდა ჰკრა ხელი... შენ არც ისე ჰატარა ხარ ახლა და ეს უნდა გესმოდეს. ადამიანს ბევრი რამ უნდა აპატიო, არავინ არაა უცოდველი. უშანგი ჩემი კარგი ნაცნობია და მეტი არაფერი. მამა კი. ვინ იცის, რას არ ფიქრობს... შეიძლება რაღაც კი ეშლება. მაგრამ ალალი, გულწრფელი ბიჭია... ხომ მართალი ვარ? შენ როგორ ფიქრობ, ვითომ უშანგი ისეთი ცუდი ბიჭია, მამას რომ ჰგონია?

— უარესია... ბევრად უარესი...

ლილი შეცბა. შემომხედა.

— შენ მაინც რა დაგიშავა ასეთი?

პერანგის ჯიბეში ფოტოსურათების დასტა მედო. ამოვიღე და ლილის კალთაში ჩავუყარე.

— ეს რა სურათებია? რაში მჭირდება?

— დაათვალიერე...

ლილიმ სწრაფად ჩაათვალიერა სურათები. მხრები აიჩეჩა.

— არაფერი მესმის.

— ლეოს, შენს თანაკურსელს ვიღაცამ ფოტოაპარატი მოჰპარა.

— მერე? ჩვენ რა გვესაქმება ლეოს ფოტოაპარატთან?

— ეს სურათები მე და ლეომ გადავიღეთ იმ დღეს.

— რომელ დღეს?

— აპარატი რომ დაიკარგა...

ლილის არაფერი უთქვამს.

— რამდენიმე დღის შემდეგ კი უშანგმა მაჩვენა თავისი ახლად შეძენილი აპარატი. შიგ გადაღებული ფირი იდო. მე ფირი, გამოვიღე და მისგან ეს სურათები გავაკეთე... როგორ მოგწონს? რას გვეკითხება ამოცანა?

ლილი აღარ მისმენდა.

ფირიც ამოვიღე ჯიბიდან. გავშალე, ცხვირწინ ავუფრიალე. კელავ ეუამბე ყველაფერი, დაწვრილებით, თავიდან ბოლომდე. ცხადია, არც სატყუარას ამბავი დამეწყნია, ბოლოს „მოწამლულ“ ფუნთუშად რომ იქცა.

ლილი მისმენდა, თვალებში მიმზერდა, დროდადრო ფითრდებოდა, წითლდებოდა, ტუჩებს იკვნეტდა.

მოყოლა რომ დავამთავრე, სურათების დასტა აიღო, წამოდგა, ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე გაიარა ბაღის ჭიშკარი, ქუჩაში გავიდა. პირდაპირ შინისაკენ გასწია.

დავედევნე.

— ხომ ხედავ, — ვუთხარი, როცა დავეწიე, — რა კაცი ყოფილა... შენ კი, ალალია, გულწრფელიაო...

ლილის ხმა არ გაუღია, არც მოუხედავს ჩემკენ, თითქოს არც არაფერი გაუგონიაო.

შევჩერდი, ბაღში დავბრუნდი.

მერხზე ვიჯექი და ზღვას გავყურებდი, ისევ ისე პირქუშად რომ ხმაურობდა და იფაფრებოდა.

ვიჯექი და ოცნების თვალით ვხედავდი:

ნელ-ნელა წყნარდებოდა ზღვა, იფანტებოდნენ ღრუბლები, წითელი მზე კეკლუცად იხედებოდა ზღვის ლურჯ, უსაზღვრო სარკეში და იცინოდა.

როდის აშენდება ქალაქი

ფინადღი

ის დღე ფათერაკიანი გამოდგა. ჯერ დედა ეჩხუბა, იმ ორიანის გამო, გეოგრაფიაში რომ გამოყვა, თითქოს ჩხუბითა და საყვედურებით ეშველებოდა ამ საქმეს. თინიკომაც მისებურად შეუნთო, გუშინ უჩას წიგნი ერთხელაც არ გადაუშლიაო. ჰოდა, მაგრად მოხვდა ბიჭს, რაც მართალია, მართალია. რაღა გზა ჰქონდა, ჩუმად იდგა, ისმენდა დედის საყვედურებს, თან ცერად გაჰყურებდა თინიკოს და თვალებით ემუქრებოდა, დამაცადე ჩამივარდები ხელშიო. შემდეგ, რაკი ბოლოს და ბოლოს დედა დაწყნარდა, უჩამ ხელი აიღო თინიკოსთვის სამაგიეროს გადახდაზე, სულ ერთია, ისე სულელია ჯერ, ჭკუას მაინც ვერ ისწავლისო. ეს იყო მხოლოდ, გაჯავრებული საუზმეს აღარ გაეკარა.

განმარტოებით იდგა ეზოში და ფიქრობდა, მართალია, ცოტათი ზარმაცი ვარ, მაგრამ დედასაც ნამეტანი მოსდის, ეს ორიანი რა ახეთი უსაშველო უბედურებაა, რომ თვითონაც დაიწყვიტა ძარღვები და მეც ლამის მთელი არდადეგები ჩამამწაროსო. საშემოდგომო გამოცდაზე, სულაც რომ არაფერი წაიკითხოს, სამიანს მაინც მიიღებს. არ დარჩება მეხუთეში, არც ისე გონებაჩლუნგია, ზოგს რომ ჰგონია, ის კი არა და, ფანტასტიკურ მოთხრობებსაც წერს კოსმოსში მოგზაურობაზე და კლასგარეშე წიგნების კითხვაც ძალიან უყვარს.

ხეტიალის გუნებაზე იყო უჩა. ასე იცოდა, როცა გააბრაზებდნენ, მაშინვე ტყეში გაიქცეოდა და საწამ სიარულით არ დაიღლებოდა, მარტოდმარტო დაეხეტებოდა. ტყე იქვე იყო, მათი სახლის წინ აზიდულ მთის ფერდობებზე. სწორედ ამ ხეტიალის დროს იგონებდა იგი ფანტასტიკურ მოთხრობებს. თუმცა, წერა დიდად არ ეხალისებოდა და მოფიქრებული ხშირად ავიწყდებოდა.

ახლაც ტყისკენ გასწია უჩამ. ნამიანმა ბალახმა ფეხსაცმელები დაუსველა. ფოთლებიდან ცვარი წვეთავდა. ბილიკს აჰყვა და თხემზე ავიდა. მერე ისევ სოფლისკენ დაეშვა. სამხერხაოზე ჩავიდა. ერთხანს იქ იდგა და მრეკალი, პრიალა ხერხის ზუზუნსა და წუოლს უსმენდა. ხედავდა, როგორ ამაგრებდნენ მუშები ურიკაზე უზარმაზარ მორს და მერე აწევლებული ხერხისკენ ნელ-ნელა მიაგორებდნენ. ნახერხი თხრილში ცვიოდა. თხრილში წყალი მიედინებოდა და ნახერხი მდინარეში ჩაჰქონდა. მერე უჩა მდინარის კლდოვან ნაპირს ამოჰყვა და წისქვილთან ამოვიდა. ახლა უკვე მხერხავებზე ბრაზობდა, ნახერხს მდინარეში რომ ყრიდნენ და წყალს აფუჭებდნენ. ამიტომაა, კალმახმა რომ იკლო, ფიქრობდა გუნებაში. ეს მარტო უჩას აზრი არ იყო. ამასწინათ სამხერხაოს გამგე დააჯარიმეს. მაგრამ, ეტყობოდა, მაინც თავისას არ იშლიდნენ. წისქვილთან, ბექობზე რომ შედგა, უჩამ ხიდგაღმა ყავრით დახურული დიდი ფარდულის წინ საბარგო მანქანა დაინახა. მძღოლი — ძია ოტია იქვე იდგა და ნაღვლიანად დასცქეროდა მოტორს. მერე დაგლეჯილი, მაზუთიანი ტომარა დააფინა მიწაზე და მანქანის ქვეშ შეძვრა.

უჩა ახლოს მივიდა.

— გამარჯობა! — თქვა ხმამაღლა.

— გაგიმარჯოს, — ჩაილაპარაკა ძია ოტიამ.

— გიშველო? — ჰკითხა უჩამ.

— რაღა მიჭირს, — ჩაიბუზღუნა ოტიამ, — ძალიან მშველით ყველა.

მანქანის ქვემოდან გამოძვრა. ტომარა აიღო, ზედ ხელი შეიწმინდა.

— რას დახეტიალობ ამ დილაადრიან? — ჰკითხა უჩას. — სახლიდან ხომ არ გამოგაგდეს?

უჩას არაფერი უთქვამს. თითქოს არც გაუგონია კითხვა, მოტორს ცნობისმოყვარეობით ჩაჰყურებდა.

— სწორედ ასე იქნება, გეტყობა, მაგრად მოგხვდა, არა?

უჩამ თავი დაუქნია, გვარიანად მომხვდაო.

— და შენც გამოვარდი გარეთ? ძალიან ფხუკიანები ხართ მამა-შვილი. ჯერ არაფერი ისმის მამაშენისაგან?

— არა.

ოცეოდე ღლის წინ ამ მანქანას უჩას მამა მართავდა. ისიც შუ-დამ რაღაცას უჩხიკინებდა. ხან სად გაუფუჭდებოდა მანქანა და ხან სად. ამიტომაც იყო, ბოლო დროს ერთთავად ძარღვები ქქონდა ამლილი და საღამოს, შინ რომ დაბრუნდებოდა, უჩა და თინიკო ხმამაღლა დალაპარაკებასაც ვერ უბედავდნენ.

მერე, სრულიად მოულოდნელად, მამამ მანქანა ძია ოტიას და-უტოვა და ბარში წავიდა. სადაც დიდი მშენებლობა იწყებოდა, — იქ-თკენ გასწია.

ძია ოტია კაბინაში შევიდა. სტარტერი ჩართო. მანქანა მაინც არ ამუშავდა. ბუზღუნ-ბუზღუნით გადმოვიდა მანქანიდან და კვლავ ქვეშ შეძვრა.

— მანქანა კი არა, ნამღვილი ჯაროია.

—თავმჯდომარე ხომ დაგპირდა, მალე ახალ მანქანას მივიღებ-თო? — ჰკითხა უჩამ.

ბიჭმა იცოდა, თუმცა ძია ოტიას ახალი მანქანის მიღების იმე-დი თითქმის გადაწურული ჰქონდა, მაინც ბავშვივით უხაროდა, ამ დაპირებას რომ გაუხსენებდნენ.

— სადაა მერე, თუ დამპირდა?

ვულალმა იწვა მანქანის ქვეშ. ხვნეშოდა. ბუზღუნებდა, ხელში ქანჩსაღებებს ატრიალებდა. რაღაცას აძრობდა და ვერ მოეძრო.

— დიმპალია ყველაფერი... მიჟანგულია ერთმანეთზე და, თუ ბიჭი ხარ, მოაძრე...

კარგა ხანს იწვალა. რომ გამოძვრა, სახე და ხელები ერთიანად მოთხვრილი ჰქონდა.

— არ ისწავლი, ხომ? — უთხრა უჩას. — იქნები ჩემსავით.

— ჰოდა, ვიყო, — მხნედ მიუგო უჩამ.

— ასე მოთხუპნული?

— რატომაც არა.

— სულელი ხარ, უჩა-უჩა. ახლა გინდა შენ პატრონი. ახლა უნდა იჯდეს მამაშენი შინ.

უჩა-უჩა ძია ოტიამ პატარაობისას შეარქვა: უთხრა, შენ ისეთი მოუსვენარი ხარ, ერთი კი არა, ორი უჩა უნდა ვერქვასო. მას მერე, როცა ხუმრობის გუნებაზე იყო, უჩა-უჩას ეძახდა ხოლმე. მამაც ხშირად ეძახდა ამ სახელს, თინიკოც. მაგრამ თინიკო ზოგჯერ შეაბ-რუნებდა და აჩუ-აჩუო, აბრაზებდა.

ძია ოტიამ ბენზინიან ვედროში მანქანის ნაწილები გარეცხა. მე-რე ისევ მიამაგრა თავის ადგილას ქანჩები ღა ჭანჭიკები, კაბინაში შევიდა და მოტორი ჩართო. მანქანა ათუხთუხდა, ამაგმაგდა.

— შეხედე, შეხედე. როგორ ციებიანივით ძაგძაგებს, — ზიზღით თქვა ძია ოტიამ, თითქოს მანქანა ყოფილიყოს დამნაშავე.

— მიიღებ ახალ მანქანას და აღარ იძაგძაგებს, — ანუგეშა უჩამ.

— ათიოდე დღეში ისიც ასეთი ჯაბახანა გახდება, — თქვა ოტიამ, — ამ გზებზე რა მანქანა გაძლებს.

— გზაც გააკეთეთ.

— ადვილი სათქმელია: გზა გააკეთეთ. ორმოცი კილომეტრის მანძილზე ამ მთაში წესიერი გზის ამოყვანას ეხუმრები? ისიც თხუთმეტიოდე მოსახლის გულისთვის.

უჩას სოფელი მდინარის ვიწრო ხეობაშია მომწყვდეული. ანდა რა სოფელია: თხუთმეტიოდე მოსახლე თუ იქნება. სახლები მდინარის პირას გამწკრივებულან. ზაფხულობით არც კი მოჩანან კაკლისა და წაბლის ხეების გაბარჯღულ ტოტებს შორის. მაშინ თუ გაჩოჩნდებიან, შემოდგომაზე ხეებს ფოთლები რომ დასცვივა ხოლმე.

ხეობა ისეა ჩაკარკული მაღალ მთებსა და ქედებს შორის, მზე მხოლოდ შუადღისას ეფინება მის მიდამოებს. ამიტომაც, როცა ბარში სიცხის ბუღი დგას და ხალხს სული ეხუთება, აქ შეგცივდება კიდეც. ზაფხულობით ბევრი ამოდის ხოლმე ბარიდან საგარაკოდ.

— ჭკვიანი კაცია დემნა, — თქვა ძია ოტიამ, — ადგა და წავიდა. იქ წესიერ მანქანაზე მაინც იმუშავებს.

— შენც წასულიყავი, ადრე შენ არ გგზავნიდნენ იქ?

ასეც იყო. ამას წინათ თავმჯდომარემ უთხრა ოტიას, საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე შოფრები სჭირდებათ და ერთიორი კაცი ჩვენი სოფლიდანაც უნდა წავიდესო. ოტიამ უარი თქვა წასვლაზე. ბოლოს ისევ უჩას მამა დაეთანხმა. წასვლის წინ ოტიას უთხრა, თუ როდისმე დაპირებას შეგვისრულებენ და ახალ მანქანებს მოგვცემენ, იმ დღესვე სოფელში გავჩნდებიო...

— ჰო, მეც წავალ, — თქვა ოტიამ.

— მამაჩემის წერილს რომ მივიღებთ და მისამართს გავიგებთ, ერთად წავიდეთ, — უთხრა უჩამ.

— წავიდეთ. აგდგეთ და ყველანი გადავსახლდეთ.

— დედაც წავიყვანოთ. თინიკოც.

— აგრე იყოს. ავიბარგოთ და წავიდეთ. აქ ცხოვრებას ქალაქში ცხოვრება არ სჯობია?

ბოლოს სიტყვები ძია ოტიამ ისე თქვა, რომ უჩა მიხვდა. სერიოზულად არ ამბობდა. ეწყინა, რატომ დამცინისო.

ოტიამ შეატყო წყენა და ღიმილით უთხრა:

— აქაურობას რა სჯობია, შე კაცო, — და თითქოს თავის ნათქვამში რწმუნდებაო, მიდამო მოათვალიერა, — აბა, შეხედე!

უჩამაც უნებურად მოავლო თვალი იქაურობას.

ირგვლივ მთათა კალთები ამწვანებულ ტყეებს დაეფარა. აქა-იქ. სადაც შედარებით მეჩხერი იყო, თხები და ღორები ბალახობდნენ ქვემოთ, უზარმაზარ ქვებსა და ლოდებზე, გრიალ-გრიალით მორბოდ. ქაფიანი. ამღვრეული მდინარე. გამეტებით ეხეთქებოდა ნაპირებს. „რა ბრაზიანი მდინარეა, — გაიფიქრა უჩამ, — ალბათ ის უნდა, სულ სწორი და ფართო გზა ჰქონდეს, არც ქვები, არც ვიწროები და მისახვევ-მოსახვევები. ამიტომაც ბრაზობს და გულზე სკდება".

თითქმის ყოველ სახლსა და სახლს შორის და ზოგან უზოებშიც კი მოწანწკარებენ ანკარა ნაკადულები, პატარ-პატარა ღელეები.

ხელმარცხნივ, ხიდიდან ოციოდე ნაბიჯზე, მდინარის ტოტი ვანზე გაუყვანიათ და წისქვილზე მიუგდიათ. წისქვილი დღედაღამ რახრახებს. განუწყვეტლივ ბუყბუყებს წყალი კოდებში, შხუის სტვირებში, ფართქუნ-ფართქუნით ტრიალებენ ბორბლები. წისქვილის გვერდით ყვითლად შეღებილი ძველი ტრაქტორი დგას ეგი კვირაში ერთხელ აგუგუნდება, ხეობაში ზანტად გაღოღდება, მსხვილი მავთულებით შეკრულ უზარმაზარ წაბლის მორებს ჩაათრევს სამხერხაოზე, ან სამანქანო გზაზე გაიტანს... თუმცა, რაღა სამანქანო გზაა, ქვა-ღორღითაა სავსე.

ხიდი მორებით და სქელი ძელებით გაუმაგრებიათ...

კარგია იქაურობა... მაინც ძალიან კარგია, რაც მართალია, მართალია. ეს მდინარეც, თავგამეტებით რომ ებრძვის ლოდებს, ეს ტყეებიც, ეს გზაც: ირგვლივ დაყუდებული მთებიცა და ტყიანი კალთებიც, ბილიკები, ფერდობები და აღმართ-დაღმართები.

უჩას მაინც ძალიან უნდა მამასთან წასვლა. წავა კიდეც, როგორც კი წერილს მიიღებს. თუნდაც ძია ოტია არ წამოვიდეს. ძია ოტიას ისე უყვარს აქაურობა, ამკარაა, არ წამოვა. დაელოდება ახალ მანქანას, ჩაჯდება და ივლის აღმა-დაღმა. მერე ალბათ გზასაც გააკეთებენ. უჩა კი აუცილებლად წავა. გაიგებს თუ არა მამის მისამართს, ადგება და გასწევს. იქ თურმე ახალ, დიდ ქალაქსა და საავტომობილო ქარხანას აშენებენ. უჩას ძალიან აინტერესებს, როგორ ააშენებენ ახალ დიდ ქალაქსა და ახალ ქარხანას...

ჯერ დიდ ქალაქში არაა ნამყოფი. არც დიდი ქარხანა უნახავს...

— უჩა-უჩა, მაშ ძალიან გინდა მშენებლობაზე წასვლა? — ფიქრებიდან გამოიყვანა ოტიამ.

— ძალიან მინდა, ძია ოტია, წავიდეთ, რა? — შეეხვეწა უჩა. — იქ ახალ მანქანას მოგცემენ.

— მომცემენ, არ უნდა ლაპარაკი.

— ბევრია იქ მანქანა?

— რამდენიც გინდა. იმდენია. მალე იქ ქარხანასაც ააშენებენ და იმდენ მანქანას გამოუშვებენ, ყველას შეხვდება თითო-თითო.

— მეც?

— შენც. შენ რითი ხარ სხვაზე ნაკლები. პირიქით, ისწავლე და სხვაზე უკეთესიც იქნები.

•

ძია ოტიამ, როგორც იქნა, ააწყო მანქანა, უჩა გვერდით მოისვა და კოლმეურნეობის კანტორისაკენ გასწია. იქიდან ფერმაზე გაგზავნეს. მერე სამხერხაოზე ჩავიდნენ და მშენებლებს ფერმაზე ახალი ფიცრები აუზიდეს. ბოლოს ძია ოტია მეზობელ სოფელში წავიდა, სადაც თემსაბჭო იყო. გზაზე მანქანა გაუფუჭდათ და კარგა ხანი დააგვიანდათ. შინ რომ დაბრუნდნენ, უკვე საღამო იყო.

უჩა მანქანიდან ჩამოხტა და შინისაკენ მოკურცხლა.

დედას თხები მოედენა და წველიდა.

— დამაცადე, შე სამგლე! — უყვირდებოდა თხას.

ისმოდა რძის ჩხრიალი. ხეზე მიბმული თიკანი განზე იქაჩებოდა და განწირულივით პეტელობდა. იქვე ფეხშიშველი დახტოდა თინიკო.

— შედი, გოგო, შინ. ფეხზე მაინც ჩაიცვი, გაცივდები! — უყვიროდა დედა.

უჩა მალულად ჩავიდა ეზოში. ეშინოდა, დედა გამიყვრდება, დილას აქეთ რომ არ გამოვჩენილვარო. შორიდან მოუარა და კიბეზე აირბინა.

თინიკომ მაინც დაინახა.

— უჩა, მამას წერილი მოვიდა!

ბიჭს გამალებით აუძგერდა გული. კიბის თავზე შეჩერდა და თინიკოს თვალი თვალში გაუყარა, ხომ არ მატყუებსო. არა, არ ტყუოდა. თინიკოს ყოველთვის ეტყობა, როცა ცუღლუტობს და ტყუილს ამბობს. მაშინ დიდი, ცისფერი თვალები ცბიერად უციმციმებს. ახლა რაღაც ნაღვლიანიც კი ჩანდა თინიკო.

— სად არის?

— შედი, მაგიდაზე დევს.

— რას იწერება?

პასუხისთვის აღარ დაუცდია, ოთახში შევარდა.

„მუშაობა უკვე დავიწყე, — წერდა მამა, — ახალი თვითმცლე-

ლი მომცეს. ბეტონს ვზიდავ. კარგი ხელფასი მაქვს. ამ დღეებშ-
უფრო დიდ მანქანაზე გადამიყვანენ და ხელფასიც მეტი მექნება.
ჯერჯერობით ძალიან მოუცლელი ვარ. ამ ერთი თვ ს შემდეგ კი
ყოველ კვირაში მექნება თავისუფალი ორი-სამი დღე. მაშინ ხში-
რად გინახულებთ. ახლახან დაგვაბინავეს. შვიდი კაცი ვცხოვრობთ
ოროთახიან ბინაში. აქ ბიჭების ხაკლებობაა. თუმცა, მალე ბევრი
ახალი საცხოვრებელი სახლიც აშენდება. მთელი ქალაქი უნდა აეა-
შენოთ".

უჩამ წერილი ჯიბეში ჩაიდო და ძია ოტიასთან გაიქცა.

ოტიას მანქანა კელავ ფარდულთან დაეყენებინა და ახლა შინ
წასვლას აპირებდა.

— უყურე შენ, — მოწონებით ჩაილაპარაკა მან, როცა წერი-
ლი წაკითხა, — მეც ხომ არ წავიდე, ა?

მაგრამ ეტყობოდა, არსად წამსვლელი არ იყო.

ბიჭი აენთო.

— წეღან ხომ თქვი, ავდგეთ და წავიღეთო, — შეახსენა უჩამ.

— არც აგრეა, ჩემო უჩა. ამ საქმეს კარგად მოფიქრება უნდა.

ძია ოტიამ თავი ასწია და აქეთ-იქით დაიწყო ყურება, თითქოს
უნდოდა ერთხელ კიდევ შეემოწმებინა, შეეძლო თუ არა აქაურო-
ბის დატოვება.

— მე რომ წავიდე კიდეც, შენოვის ჯერ ადრეა. უჩა-უჩა, —
ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უთხრა ძია ოტიამ.

— რატომაა ადრე?

— ხომ ხედავ, რას წერს: ერთ ბინაში შვიდი კაცი ვცხოვრობ-
თო. ჯერ შენ აქ უნდა მოიცადო.

— სანამ უნდა ვიცადო? — ხმა აუთრთოლდა უჩას.

ძია ოტიამ მხრები აიჩეჩა. მიხვდა, რომ ბიჭი ძალიან აეფორია-
ქებინა მამის წერილს.

დედა, უჩა და თინიკო სუფრას შემოსხდომოდნენ. ვახშამს შე-
ექცეოდნენ.

თინიკომ ვახშამი დაამთავრა და ახლა წყნარად იჯდა. ხან დე-
დას შეხედავდა, ხან უჩას, თვალები ებლიტებოდა.

— წადი, დაიძინე, — უთხრა დედამ.

— თქვენ? — იკითხა თინიკომ. გაჭირვეულება დააპირა, მაგრამ
არც ჭირვეულობის თავი ჰქონდა, ისე ეძინებოდა. ადგა და დასა-
ძინებლად წავიდა.

— შენც დაწექ, — უთხრა დედამ უჩას, — რალას უცდი?

— ჯერ არ მეძინება, — მიუგო უჩამ, — ვიმეცადინებ ცოტას.

დედას გაუკვირდა, ამ ხარმაცს დაწოლის წინ რა მეცადინეობა მოუნდაო, მაგრამ არაფერი უთქვამს.

უჩამ წიგნი მოიტანა, ტახტზე ჩამოჯდა, წიგნი მუხლებზე გადაიშალა და თავი შიგ ჩარგო.

დედამ სუფრა აალაგა და ჯამ-ჭურჭელს რეცხვა დაუწყო.

— ვინ იცის, მამას როგორ ვენატრებით, — თქვა უცებ უჩამ.

დედამ შვილს გაოცებით შეხედა და მერე ისევ თავისი საქმე განაგრძო. მიხვდა, რომ ბიჭს რაღაც აწუხებდა.

— ალბათ, ძალიან უჭირს უჩვენოდ, — განაგრძო უჩამ.

— არა მგონია, — თქვა დედამ, — ახლახან არ წავიდა? ცოტა ხნის შემდეგ კი ყოველ კვირაში განახავთო... ასე არ მოგვწერა?

უჩა გაჩუმდა. მიხვდა, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი უკვე აღარ ღირდა. პირდაპირ შეუტია:

— დედა, მე წავალ მამასთან.

— შენ? მარტო?

— ჰო, მარტო მე.

— მარტო როგორ წახვალ?

— რა მიჭირს. მისამართი სომ ვიცი.

— ახალი ამბავი, — თქვა დედამ მშვიდად. იგი თეფშებსა და ჭიქებს კარადაში აწყობდა.

უჩამ იგრძნო, წასვლაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, მაგრამ ფარხმალს მაინც არ ყრიდა.

— მე მაინც წავალ.

— მაგ სისულელეზე ფიქრს ის გირჩევნია, შენს ორიანს მიხედო, თორემ მალე სწავლა დაიწყება და მეხუთეში დარჩები, — წყნარად უთხრა დედამ.

კარგ დროს კი გაახსენეს თავისი ორიანი, მაგრამ ახლა ეს ვერაფერს შეცვლიდა.

— აუცილებლად წავალ, — თქვა უჩამ, — სადაც მამა ცხოვრობს, მეც იქ ვიცხოვრებ. ერთი საწოლი ხომ აქვს, მეც იმაზე დავწვები.

დედა ხმას აღარ იღებდა და უჩამ შეატყო, რომ იგი უკვე აღარ უსმენდა, საკუთარ ფიქრში წასულიყო.

უჩამ წიგნი დახურა და თავის ადგილას შეინახა. თქმით კი აღარაფერი უთქვამს. რა საჭირო იყო მეტი ლაპარაკი. რაც თქვა შეასრულებს კიდეც. მორჩა და გათავდა. სულ რომ არაფერი ეთქვა, არც ეს ივარგებდა. მამას ხომ უნდა უთხრას, იმიტომ გამოეიპარე,

რომ დედამ ნებით არ გამომიშვაო. ისიც იცოდა, ეს მიზეზი ჭოლად საპატიო არ იქნებოდა. მაგრამ მიზეზებისა და შედეგების ეფრო ღრმად განსასჯელად ამჯერად უჩას აღარ ეცალა.

მეორე დღეს დილითვე ოტიასთან გაჩნდა და მაშინვე ეს ჰკითხა:

— ძია ოტია, აღარ მიდიხარ ბარში?

— მიედევარ, როგორ არა, — მიუგო ოტიამ.

— მართლა? — უჩა შეხტა სიხარულ-საგან.

თუ ძია ოტია არ ტყუის და ნამდვილად გადაწყვიტა ბარში წასვლა, შეიძლება უჩამ დედაც დაიყოლიოს როგორმე და გაპარვა აღარ მოუხდეს.

ოტიამ ბიჭს შეხედა, ასე რა უხარიაო.

— რაო, შენც მოდიხარ?

— რატომაც არ უნდა წამოვ დე. სადაც შენ და მამაჩემი იცხოვრებთ, მეც იქ ვიქნები.

— მამაშენთან კი არა. რაიონში მივდივარ.

— აკი მამასთან უნდა წავიდეო? — შეშფოთებით შეეკითხა ბიჭი, თან გუნებაში გაიფიქრა: „ამ ძია ოტიამაც გააჭირა საქმე: ხან მოდის, ხან არ მოდის".

— ვინ გამიშვებს მერე. თავმჯდომარე უარზეა: ყველანი თუ გაიქეცით, მძღოლები სადღა ვეძებოო. იმ ქალაქს იმიტომ კი არ აშენებენ, ჩვენი სოფელი დაინგრესო. ასეა, საქმე, უჩა-უჩა. საჭირო ხალხი ვართ.

უჩა ძალიან კარგად ხვდებოდა, რომ ამ საქმის თაობაზე ძია ოტიას თავმჯდომარესთან არავითარი საუბარი არა ჰქონია. არც არავინ ეწეოდა კალთაზე, გინდა თუ არა, დარჩიო. არ უნდოდა წასვლა, ეს იყო და ეს!

— არც მე მიშვებენ, მაგრამ მივდივარ.

— თუ არ გიშვებენ, ჩემო უჩა, ვერსადაც ვერ წახვალ.

— წავალ...

— ტყუილია, არაფერი გამოგივა.

უჩამ შეატყო, რომ ძია ოტია შესაიდუმლედ არ გამოადგებოდა და გაჩუმდა.

— რაიონში როდის მიდიხარ? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— ნახევარ საათში.

— მეც ხომ წამიყვან?

— მაგაზე როგორ გაწყენინებ, თუკი აუცილებელი საქმე გაქვს.

— ველოსიპედი უნდა ვიყიდო.

მამამ წასვლის წინ უჩას ფული დაუტოვა. ველოსიპედი იყიდეო.

— ხომ გითხარი, მე გიყიდი და ამოგიტან-მეთქი. არ შენდობი?

— მე თვითონ უნდა ავარჩიო.

— როგორც გინდა. შაგრამ იქნება თავმჯდომარე წამომყვეს რაიონში. შაშინ სად დაჯდები? კაბინაში ადგილი არ გვექნება. იმ კაცს ძარაზე ხომ ვერ აკვეზავნით.

— მე ავალ ზევით.

— დაიბეგვები ამ გზაზე.

— დარდი ნუ გაქვს, გავუძლებ როგორმე.

ბ ა ჭ ი ვ ა

გზა მდინარის ნაპირს მიჰყვებოდა. მანქანა ისე ჯაყჯაყებდა, იფიქრებდით, ეს-ესაა დაიშლებაო. დაშლით არ დაშლილა, შაგრამ ერთ-ორჯერ მოტორი ჩაუქრა და სახელდახელოდ შეაკეთა ძია ოტიამ. მძღოლი შაინც კარგ გუნებაზე იყო, განუწყვეტლივ ხმაურობდა, ლიღინებდა და იღიმებოდა. იმ დილით გაეგო, ორიოდე კვირაში ახალი მანქანა ჩამოვაო.

უჩა კაბინაში იჯდა. თავმჯდომარეს გადაეფიქრებინა რაიონში წასვლა.

— რად გინდა მერე, — გულგრილად უთხრა უჩამ, როცა ოტიამ ვერ მოითმინა და ახალი მანქანის ამბავი ახარა, — ათიოდე დღეში დაიმსხვრევა ამ გზებზე.

მძღოლმა ცერად გადახედა ბიჭს.

— არც ასეა საქმე, — უთხრა წყენით, — ახალი მანქანა მაინც ახალი მანქანაა.

ცოტა ხნის მერე დაუმატა:

— შენ არ იცი, რა არის ახალი მანქანა. ჰოდა, რომ არ იცი, უნდა გაჩუმდე.

ძლივს ჩააღწიეს რაიონში. ასე ეჩვენებოდა უჩას, თორემ ძია ოტიას, ეტყობა, სულაც არ უგრძვნია არც გზის სიშორე, არც ნჯღრევა და მანქანის ჯაყჯაყი.

ძია ოტიამ მანქანა ერთი მაღალი შენობის წინ გააჩერა და უჩას უთხრა:

— შევალ და თხუთმეტ წუთში გამრვალ.

გასაღები ჯიბეში ჩაიდო. მაინცდამაინც არ ენდობოდა უჩას, რადგან იცოდა, როგორც კი გასაღებს ხელში მოიგდებდა, ბიჭი შეეცდებოდა მანქანის ამუშავებას და შეიძლება დაეძრა კიდეც. მძღოლი შენობის შესასვლელში. რომ გაუჩინარდა, უჩამ სწრაფად ამოიღო სავარძლის ქვეშ ჩაკეცილი თავისი ზურგჩანთა, უპის წიგ-

ნაკიდან ერთი ფურცელი ამოხია. მერე საკარძლის შალითის ჯიბეში ხელი მოიფათურა. პატარა ფანქარი ამოაძვრინა და სწრაფად დაწერა:

„დედას უთხარი, მამასთან წავიდა-თქო“.

წერილი მანქანის საკარძელზე დადო და ძირს გაიმოხტა.

რაღა თქმა უნდა, ძია ოტია დაედევნებოდა და ძებნას დაუწყებდა. აბა, ისე რა პირით უნდა დაბრუნებულიყო სოფელში. უჩა გზებსა და ქუჩებს ერიდებოდა, სახლებსა და კვარტალებს შორის მიძვრებოდა, ეზოებზე გადაიოდა. ქუჩას ისე არ გადაკვეთდა, სანამ წინასწარ არ დაზვერავდა.

ასე მიაღწია რკინიგზის სადგურს. სალაროსთან მივიდა და ჯიბე მოისინჯა. ველოსიპედის ფული უკლებლივ ჰქონდა. კიდევ კარგი, რომ არ იყიდა, თორემ გზის ფულს სადღა იშოვიდა. ყოყმანობდა, არ იცოდა, რომელი ველოსიპედი აერჩია. ასე გადაურჩა ფული.

სანამ ბილეთს აიღებდა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ელდა ეცა. მაშინვე დაინახა საბარგო მანქანა და ძია ოტიასაც მოკკრა თვალი. იგი ჩქარი ნაბიჯით ამოდიოდა კიბეზე. უჩა ელვის სისწრაფით გავარდა მოპირდაპირე კარებში და გვერდით შეხობის შესასვლელში დაიმალა.

ვაითუ ძია ოტიამ დამინახა და აქაც მომაკითხოსო, ფიქრობდა შეშინებული.

კარგა ხანს იცადა. მდევარი არ ჩანდა. სადგურში შესვლას ვერ ბედავდა. გული უგრძნობდა, რომ იქ აუცილებლად დაიჭერდნენ; ან ძია ოტიას ჩაუვარდებოდა ხელში ან სხვა ვინმეს. მატარებლის გასვლამდე ჯერ აღრე იყო. მაგრამ ბილეთი ხომ უნდა აეღო.

იქნება უბილეთოდ გაჰყვეს მატარებელს?

კარგად დაფიქრდა და მიხვდა, რომ რახან გამოპარული იყო, უბილეთოდ მგზავრობა არ ივარგებდა, მაშინ შეიძლება უფრო ადვილად ჩავარდნილიყო. ბოლოს ერთი რამ მოიფიქრა: შემდეგ სადგურამდე ავტობუსს გავყვები, მერე კი მატარებელზე გადავჯდებიო.

გულისკანკალით შეიპარა ავტობუსების სადგურში. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ბიძაჩემს არსად შევეფეთოო. ბედზე ავტობუსი მალე მოვიდა. რამდენიმე წამში უჩა უკვე შიგ იჯდა და გზას ადგა.

* * *

ჩამოვიდა თუ არა მატარებლიდან, უჩამ მაშინვე ფოსტა იკითხა.

იქვე ყოფილიყო, მოპირდაპირე შენობაში.

სარკმელთან ახალგაზრდა კაცი იჯდა. უჩას გაუღიმა. ეტყობოდა, კარგ გუნებაზე იყო.

— რა გინდა, ბიჭიკო?

— დეპეშა უნდა გავგზავნო.

— სად?

უჩამ უთხრა მისამართი.

— კი, ბატონო, — ქაღალდი ძიაწოდა, — აი, აქ დაწერე...

უჩამ გამოართვა და ქაღალდზე დიდრონი ასოებით გარკვევით დაწერა:

„არ შეგეშინდეთ. უჩა ჩემთანაა. დემნა".

— უჩა ვინაა? — ჰკითხა კაცმა, როცა დეპეშა წაიკითხა და სიტყვების თვლა დაამთავრა.

— მე ვარ.

— დემნა?

— მამაჩემი.

— გასაგებია, — თქვა კაცმა და უჩას გამომცდელად ახედ-დახედა, — სახლიდან გამოიპარე, არა?

— რატომ უნდა გამოვპარულიყავი? — გაიკვირვა უჩამ და გაწითლდა. უნებურად თვალები კარისაკენ გაექცა. ნეტავი შუბლზე ხომ არაფერი მაწერიაო, გაივლო გულში.

ახალგაზრდა კაცის გვერდით ჭაღარათმიანი შუახნის ქალი იჯდა. მან თავი ასწია და უჩას დააკვირდა.

უჩას ამ ქალის კიდევ უფრო შეეშინდა.

ათშაურიანი თაროზე შემოდო. კაცმა ქვითარი გამოუწერა და ძიაწოდა, მერე ფული აიღო. უჩამ ნელ-ნელა კარისაკენ დაიხია.

— გამოპარულხარ და ეგ არის!

უჩა უკვე კარებთან იყო.

— მოდი, სად გარბიხარ, ხურდა აიღე.

ბიჭი ისევ სარკმელთან მივიდა, ფრთხილად აიღო ხურდა, თითქოს ეშინოდა, ხელი არ მტაცონო. ისე კი, რა ჰქონდა საშიში, ვის რა ესაქმებოდა მასთან. მაგრამ გული მაინც გამალებით უცემდა.

— რატომ გამოიპარე? — ჰკითხა ახალგაზრდა კაცმა.

უჩა დაიბნა და სანამ რამეს ძოიფიქრებდა, კაცმა მეორე შეკითხვაც მიაყოლა:

— მამაშენთან უკვე იყავი?

— ვიყავი, — იცრუა უჩამ.

— როდის მოასწარი, მატარებელი ხომ ახლახან ჩამოვიდა. აი, ჩანთაც ხელში გიჭირავს.

— ასეა თუ ისე, დეპეშის გაგზავნა კარგად მოუფიქრებია, — თქვა ჭაღარა ქალმა.

დედაშენმა იცის, მამასთან რომ წამოხვედი? — ჰკითხა კაცმა.

— კი, იცის. მიუგო უჩამ. წერილი დავუტოვე.

კიდევ კარგი. — უთხრა ქალმა. — მამაშენი სად ცხოვრობს, იცი?

ვიცი.

რატომ ჩამოხვედი. რაო, ქარხანა გინდა ააშენო?

უჩამ შორცხვად გაიღიმა, ჰო. მინდაო

— უშენოდ ვერც ავაშენებდით, — გაიცინა კაცმა. რაო, მოგწონს აქაურობა? — ჰკითხა მერე.

— მომწონს, — მიუგო უჩამ.

— კარგი ბიჭი კი ჩანხარ. — უთხრა კაცმა. — მაგრამ გამოპარვა ვერაა კარგი საქმე. წადი, დროზე მოიტანე მამაშენი. მისგან რაც მოგხვდება, ისიც გეყოფა. თუ ვერ იპოვი, ისევ აქ მოდი.

უჩა გარეთ გამოვიდა და მაშინღა დაფიქრდა იმაზე, რომ გამოპარვისათვის მამას შეეძლება მართლაც შავი დღე დაეყენებინა. მაგრამ რაღა გზა ჰქონდა, უნდა გაეძლო. ამას ველარ გაექცეოდა.

სტუმარი

ეტყობოდა, სულ ახლახან დაეწყოთ ქალაქის მშენებლობა, თუმცა, სადგურის ახლომახლო უბნებზე შენობები უკვე დამთავრებული იყო. ცოტათი რომ გასცდა სადგურის მიდამოებს, დაიწყო გადათხრილ-გადაფუძნული ქუჩები. ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა თხრილები, ორმოები, გამონათხარი მიწის ბორცვები, გროვა-გროვად ეყარა აგურები, ბრიკეტები, კირი, სილა, ხრეში. სახლებს გარს ერტყა ხარაჩოები. დაუქროლებდა თუ არა ქარი, ისეთი მტვრის ბუღი დატრიალდებოდა, სული შეგეხუთებოდა.

დროდადრო მანქანები ჩაიქროლებდნენ და მტვრის კორიანტელს აყენებდნენ. უჩა გაფაციცებით აკვირდებოდა შოფრებს, იქნება მამაჩემი ვიცნოო. ერთ-ერთი სახლის წინ ტრაქტორი გუგუნებდა. იგი უშველებელი, მიწისაგან გაპრიალებული რკინის ნიჩბით შესასვლელთან დაგროვილ ბრიკეტების ნამსხვრევებს, ქვებს, ნაგავსა და ხარახურას აწვებოდა და გვერდზე გამოჰქონდა. თან მიწასაც თხრიდა და ასწორებდა. უჩამ ტრაქტორისტი მამას მიამსგავსა და გული აუძგერდა, მაგრამ მერე გაახსენდა, რომ მამა ტრაქტორზე არ მუშაობდა. გზა განაგრძო.

როგორც ჰქნა, კითხვა-კითხვით მამის ბინასაც მიაგნო. „მეორე

საადარბაზო, მესამე სართული..." — გუნებაში იმეორებდა გაზეპირებულ მისამართს.

ხელმარცხნივ კარზე დააკაკუნა. ხმა არავინ გასცა.

ამ დროს მოპირდაპირე კარი გაიღო და ვიღაც კაცი გამოვიდა. ბიჭს შეხედა. მერე კიბეზე დაეშვა. მაზუთიანი კომბინეზონი და მაზუთშივე ამოსვრილი ჩექმები ეცვა. უჩამ თვალი გააყოლა კაცს. მერე მუშტი დაკრა კარს. კარი ადვილად ვაიღო. უჩა წამით შედგა და მერე გაუბედავად შევიდა შიგნით.

დერეფანში ორიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, სააბაზანოდან წყლის ხმაური და ფრუტუნი შემოესმა. ვიღაც პირს იბანდა. კარი მიხურული ჰქონდა. უჩა ახლა სამზარეულოს მიადგა და შიგ შეიხედა. მაგიდაზე პურის ნატეხები. ხახვის ნაფცქვენები და პაპიროსის ნამწვები ეყარა. იქვე ეწყო გაურეცხავი თეფშები და ჭიქები.

მარცხნივ კარი ნახევრად ღია იყო. უჩამ ჯერ დააკაკუნა. ცოტა ხანს პასუხს დაელოდა და შევიდა. იქ არავინ იყო. ოთახში რამდენიმე საწოლი, კომოდი, მაგიდა და სკამები იდგა.

ოთახს ფართო ფანჯარა ჰქონდა, რომელზეც საკმაოდ გახუნებული ფარდა იყო ჩამოფარებული. უჩა ფანჯარასთან მივიდა და რომ შემობრუნდა. კიდევ დაინახა ერთი კარი. ის კარი, ალბათ, გვერდით ოთახში ვადიოდა. უჩა ახლოს მივიდა. მიაწვა. მაგრამ ვერ ვააღო. შიგნიდან იყო ჩაკეტილი. დააკაკუნა. ეტყობა, ოთახში ეძინათ.

უჩა სკამზე ჩამოჯდა. ჩანთა იატაკზე დადო, ახლადა იგრძნო, რომ ძალიან შიოდა. ადგა, სამზარეულოში შევიდა, გამხმარი პურის ნატეხი აიღო, სხვა ვერაფერი ნახა. ონკანი მოუშვა, ჭიქა აიღო, გარეცხა და წყლით ააკსო. ხმელა პურს ცივ წყალს აყოლებდა.

სააბაზანოში წყლის ხმაური შეწყდა. უჩამ სამზარეულოს ღია კარიდან დაინახა: ოთახში ტანმორჩილი, შავგვრემანი ბიჭი შევიდა. ბიჭმა ერთ-ერთი საწოლის თავზე გადაკიდებული პირსახოცი აიღო და პირი შეიმშრალა. ახლა იმანაც დაინახა უჩა. გაოცებული უყურებდა სტუმარს. ეს ბიჭი ვინ არის, ან საიდან გაჩნდაო, უკვირდა.

უჩას შერცხვა და პური და წყლიანი ჭიქა მაგიდაზე დააწყო.

— ჰამე, ჰამე, — უთხრა მასპინძელმა და ახლოს მივიდა, — ნუ გრცხვენია.

— აღარ მინდა მეტი, — მიუგო უჩამ.

— აქ საიდან გაჩნდი? — ჰკითხა მასპინძელმა.

— დემნა საქაა? — კითხვა შეუბრუნა უჩამ.

— რომელი დემნა?

მოფერი. აქ რომ ცხოვრობს.

— აა, დემნა? — გააგრძელა მასპინძელმა. იგი ახლა პატარა საეარცხლით თმას იეარცხნიდა.

უჩა მოთმინებით ელოდა პასუხს.

— დემნა სამუშაოზეა. შენ მისი ბიჭი ხომ არა ხარ?

კი, უჩა ვარ. — გაეცინა სტუმარი.

— ვაუკაცი ყოფილხარ, — უთხრა მასპინძელმა და მხარზე დაჰკრა ხელი.

— როდის მოვა მამაჩემი?

— როდის? — მასპინძელი ჩაფიქრდა. — სამ დღეში.

— სამ დღეში? — უჩას მუხლები კინაღამ მოეკვეთა.

— კი, სამ დღეში. ასეთი სამუშაო აქვს. წავა და მესამე დღეს ჩამოდის ხოლმე. რაღაცას ზიდავს. ახლახან წავიდა. ერთი ფეხით გაგასწრო. გეჩქარება შინ დაბრუნება? ვერ მოუცდი?

— მოვუცდი... მე სულ ჩამოვედი.

— სულ?

— კი სულ.

— რას ამბობ! მერე აქ რა უნდა გააკეთო?

— რა ვიცი, — უჩამ მხრები აიჩეჩა. არ ესიამოვნა მასპინძლის ვაოცება.

— აქ შვიდნი ვცხოვრობთ, სულ ქარხნის მუშები. ზოგი მძღოლია, ზოგი — ავტოზეინკალი. მე ამწეზე ვმუშაობ.

— მეც გავაკეთებ რამეს, — თქვა უჩამ.

— შენ რა უნდა გააკეთო?

— რა ვიცი... აი, მოვა მამაჩემი და რამეს გამომინახავს.

— შენ რა შეგიძლია. რამდენი წლისა ხარ?

— თორმეტის, — ყოყმანით მაუგო უჩამ. უნდოდა მეტი ეთქვა, მაგრამ იფიქრა, არ დამიჯერებსო.

— ჯერ პატარა ხარ... შენ, ალბათ, ვეშიება. ახლავე წავალ და მაწონს ამოვიტან. ხომ გიყვარს მაწონი?

უჩას უარი არ უთქვამს.

— მოდი, შენ ფეთონ ჩაირბინე, — უთხრა მასპინძელმა. — ორი მაწონი წამოიღე. ძესვი და ახალი პურიც მოაყოლე. მე ამასობაში ჩაის ავადუღებ და აქაურობას შივალაგებ. ასე აოხრებული რომ დავახვედროთ, დამლაგებელი ტყავს გაგვაძრობს. ისეთი ქაპასი ქალია, მტერს!

— წავალ. — უთხრა უჩამ სიხარულით, — მაღაზია შორსაა?

— არა, აქვეა, ამ შენობაში. პირველ სართულზე. აბა ფული, გამომართვი.

— მეც მაქვს ფული.

— შენი ფული შეინახე. გამომართვი, რომ გეუბნები.

უჩამ გამოართვა. შეატყო, რომ მასპინძელი ამჯერად ფულის დახარჯვას სტუმარს არ დაანებებდა. არა უშავს, მერე მე დავპატიჟებო, გაივლო გულში უჩამ და გარეთ გავარდა.

მაღაზიიდან რომ დაბრუნდა, გაზეთურაზე უკვე შიშინებდა ჩაიდანი.

— მე მოსე მქვია, — უთხრა მასპინძელმა.

— ცოცხი თუ გაქვთ, იატაკს დავგვი, — უთხრა უჩამ.

— არა, აბა, რას ამბობ! ბოლოს და ბოლოს, სტუმარი ხარ. ტაკის დაგვას როგორ დაგანებებ

საუზმეს რომ მორჩნენ, უჩამ მაინც მოძებნა ცოცხი.

იატაკზე ბლომად ეყარა პაპიროსის ნამწვები, ფერფლი, პურის ნაცეცები, ასანთის ღერები, გამხმარი ტალახის კოშტები.

— შენ მაგ ცოცხს თავი დაანებე, — უთხრა მოსემ და ცოცხი წაართვა, — უძინარი იქნები. აი, ის საწოლი მაქაშენისაა. დაწექი და კარგად გამოიძინე.

მიხა

უჩა ხმამაღალმა ლაპარაკმა გამოაღვიძა. თვალი გაახილა და დაბნეულმა მიმოიხედა. პირველად ვერც კი მიხვდა, სად იყო. ოთახში მაღალი, სქელი ქალი დააბიჯებდა. გახელებული უხახუნებდა იატაკს გრძელტარიან ჯოხზე შემოხვეულ სველ ჩვარს და თან ჩხუბობდა:

ბოლს და ბოლოს ბინაა თუ საღორე... რასა ჰგავს აქაურობა. ამდენი ტალახი მაინც საიდან მოზიდეს... ეს ლოთი ისევ ლოგინში აგდია. გამოთვრებოდა წუხელ!..

ნეტა ლოთად მე ხომ არ მნათლავსო, გაიფიქრა უჩამ და თავი წამოსწია.

— დეიდა ნატო, რატომ გელანძღავ, ძვირფასო, — მოისმა მეორე ოთახიდან ხრინწიანი, ჩახლეჩილი ხმა, — ვაი დედა, როგორ მტკივა ეს ოხერი თავი... ოჰ!..

— ვინაა შენი დეიდა! — გაჯავრდა დამლაგებელი.

ქალი ისე მძიმედ დააბიჯებდა ოთახში, რომ ყველაფერი ზანზარებდა. გაგულისებული ურახუნებდა და უგლასუნებდა იატაკს ჯოხს.

— ხვალიდან ფეხს აღარ შემოვდგამ, — ბუზღუნებდა იგი.

— შენ გინდა, დეიდა ნატო, რომ ოთახები გაწმენდილ-მოკრიალებული დაგხვდეს. მოსვიდე, გაისედ-გამოიხედო, თვალს წყალი

დაალევინო და წახვიდე. ასე ვერ მოგართვეს. დამლაგებელი იმიტომ ხარ, უნდა დაწმინდო და დაალაგო... აბა, რა გგონია?

— შენ რას გდიხარ აქ? ხომ ხედავ, ყველანი საძუშაოზე ვართ! — იფეთქა დამლაგებელმა.

— მე ღამის ცვლაში ვმუშაობდი.

— ვიცი, რა ღამის ცვლაც გექნებოდა. ალბათ ლოთობდი ბოელი ღამე. ზოგ-ზოგმა გაიგონა კიდეც თქვენი ღრიალი შუალამეზე. ნუ გეშინია, მალე მოგთხოვენ მაგისთვის პასუხს.

— სამუშაოდან რომ დავბრუნდი, ცოტა დავლიე, ვიფიქრე, გავთბები-მეთქი. — მშვიდად მიუგო მეორე ოთახში მყოფმა.

— რა გათბობა გჭირდება, შე უბედურო, ამ გაგანია სიცხეში.

— სული გამეყინა, დეიდა ნატო. სული მეყინება ხანდახან.

— არა, ნეტა რატომ არ მუშაობ, ვიცოდე მაინც.

ხრინწიანი ხმა ცოტა ხანს დუმდა. მერე ისევ გაისმა:

— ვაი დედა, როგორ მტკივა თავი!..

— ჰო, თქვი, თქვი, თუ კარგი კაცი ხარ, — დამლაგებელმა წამით ჯოხის ბრახუნიც კი შეწყვიტა.

— თქვენ რას გაგაგებინებთ კაცი. ხომ გითხარი გუშინ, მანქანა მომპარეს და დამიმტვრიეს-მეთქი. ხუთი წუთით შემოვიარე შესვენებაზე. ვიღაც ოხერი შეძვრა კაბინაში, წაიყვანა და გადააბრუნა. რა ჩემი ბრალი იყო. უფროსმა გამთათხა, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოსო, მითხრა. ასე მომიძულეთ ყველამ.

— ალბათ მთვრალი იყავი. ეს ოხერიც გამომტყვრალი იქნებოდა, თორემ რა ჯანდაბა უნდოდა სხვის მანქანაში...

— ასე დამღუპა ვიღაცამ. ახლა, ვინ იცის, როდის გაარემონტებენ იმ მანქანას. შეიძლება სულაც გამომაგდონ.

— რატომ ლოთობ?

— დარდისგან. მაგრამ თქვენ რას გაგაგებინებთ ჩემს ჭირ-ვარამს.

— ო-ჰო-ჰო-ჰო, რასა ჰგავს აქაურობა!.. საღორეა თუ რა ოხრობაა! ამაზე გეტყობათ კაი კაცობა!

— მე ჩემი დარდი მეყოფა, შენ კი მომდექი და მთათხავ... ოჰ, თავი, თავი...

ქალმა ახლოლა დაინახა უჩა.

— ეს ვიღაა?

უჩამ უთხრა, ვინც იყო.

— დედა არა გყავს? პატრონი არა გყავს?

პატრონი როგორ არა მყავსო, უთხრა გაოცებულმა უჩამ ქალს.

— ვის ელაპარაკები? — მოისმა მეორე ოთახიდან.

— ბავშვია ერთი.

— ბავშვს მანდ რა უნდა?..

— რა შენი საქმეა. იწექი მანდ და ღვინო გამოინელე.

— ღვინო კი არა, არაყი ვსვით, დეიდა ნატო. არაყს ვაკვლევინებთ თავს. ეჰ, შენ რა იცი, როგორ ვიტანჯებით, ამ არაყს რომ ვსვამთ.

— რამდენჯერ გითხარი, შე დაწყეველილო, დეიდას ნუ მეძახიმეთქი! — ერთხელ კიდევ დაუცაცხანა ქალმა და მერე ისევ უჩას მიუბრუნდა:

— მაინც რატომ ჩამოხვედი?

უჩამ უთხრა:

— მამაჩემთან ჩამოვედი. მინდა ვნახო, როგორ ააშენებენ ქარხანასა და დიდ ქალაქს.

— კარგ რამეს კი ნახავ ამ ბინაში, — მწარედ ჩაიცინა ქალმა და რიხინ-რიხინი აუტეხა სკამებს, — ამათთან ცხოვრება შეიძლება? რას ისწავლი აქ სასიკეთოს. ლოთობენ, იგინებიან, ღრიალებენ... ისევ დედაშენთან გერჩია.

უჩას არაფერი უთქვამს.

— დედაშენმა მაინც როგორ გამოგიშვა?

ეჩა კედლისკენ გადაბრუნდა.

— ალბათ გამოიპარებოდი. დედა რას გამოგიშვებდა. ასეთი თავნება და ჯიუტები ხართ ახლანდელი ბავშვები. არაფერი გეყუჩებათ. იცხოვრე ახლა ამ ლოთებთან.

ქალს ამის მეტი არაფერი უთქვამს. ბოლოს, როგორც იქნა, მოორჩა საქმეს და წავიდა.

მეორე ოთახიდან დაბალი, სახედაფიქვინებული, თმააჩეჩილი კაცი გამოვიდა. უჩას საწოლზე ჩამოუჯდა.

— დემნას ბიჭი ხარ?

უჩამ თავი დაუქნია.

კაცი ადგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. თან ხვნეშოდა და ოხრავდა.

— ოჰ, ვკვდები კაცი! თავი მისკდება! სიგარეტი მაინც მქონდეს ერთი ცალი. ნამწვიც არსადაა, სულ მოუხვეტია იმ აშარ ტედაკაცს.

სამზარეულოში გავიდა, კუნჭულებში ნამწვებს ეძებდა. მერე ბოთლებს დაუწყო თვალიერება. სათითაოდ იღებდა ხელში, ასწევდა და სინათლეზე გახედავდა.

— ერთი წვეთი მაინც იყოს, ერთი წვეთი არაყი მომარჩენდა ახლა.

ისევ ვაკიდა თავის ოთახში. ეტყობა, დაწვა. ვერ ისვენებდა, ლოგინში წრიალებდა. კვნესოდა. მერე ადგა და კელავ დაიწყო ოთახებში სიარული, თან ჯიბეებს იჩხრეკდა.

— კაპიკიც არ დამრჩენია. რა უნდა ვქნა, ს.ლ ჯანღაბაში წავიღე.

უჩას შეეცოდა. ფული მე მაქვს, თუ გინდა. მოვცემო, უთხრა.

— შენ როგორ გამოგარომევ ფულს, მთლად კი არ დამიკარგავს სინდისი.

წავიდა. ისევ წამოწვა. ვერც ახლა მოისვენა, ადგა და უჩასთან მივიდა.

— დაგეძინა?

— არა, — უთხრა უჩამ და გვერდი იცვალა. — ვფიქრობ.

— რა გაქვს შენ ამდენი საფიქრალი?

— მამაჩემზე ვფიქრობ, — უთხრა უჩამ.

— მალე ჩამოვა, ნუ გეშინია, რა გქვია?

— უჩა.

— მე მიხა მქვია. ვიცხობდეთ ერთმანეთს... იცი რა, ჩემო უჩა, მართლა თუ გაქვს ფული, მასესხე საღამომდე.

უჩამ თვალით სკამი მოძებნა. დამლაგებელს ფანჯარასთან დაედგა. ზედ შარვალი ჰქონდა გადაკიდებული. ფული შარვლის ჯიბეში ედო.

— შარვლის ჯიბეშია, — უთხრა მიხას, — ამოიღე, რამდენიც გინდა.

— გმადლობ...

უჩა კედლისკენ გადაბრუნდა და მალე ისევ ჩაეძინა.

შუადღეზე გამოეღვიძა. ადგა, ტანთ ჩაიცვა. ოთახში არავინ იყო. სამზარეულოში, მაგიდაზე, ცარიელი ღვინის ბოთლები ეწყო. ოქვე პურის ნატეხები, თევზისა და ძეხვის ნარჩენები ეყარა. მეორე ოთახიდან ხვრინვა ისმოდა. მიხა იყო. საბანი თავზე წაეხურა და ეძინა. მის საწოლთან, ახლად დაგვილ და მოწმენდილ იატაკზე, პაპიროსის ნამწვები და ფერფლი ეყარა.

— ჩემი მანქანა, — დუდღუნებდა ძილში მიხა, — ჩემი მანქანა... მომპარეს. დაამსხვრიეს... რა ჩემი ბრალია...

ძილში გინებას მოჰყვა.

უჩამ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავის ესმისო.

მიხამ ისევ ამოუშვა ხვრინვა. ისე საშინლად ხვრინავდა, უჩას შეეშინდა, არ დაიხრჩოსო, და დაუძახა:

— ძია მიხა, ძია მიხა!..

მიხამ თავზე საბანი გადაიძრო და თვალები დაჭყიტა — უაჩ-

რო, ღია ცისფერი, ამღვრეული თვალები ჰქონდა. ქერა. მეჩხერი გრძელი თმა ოფლიან შუბლზე ჩამოსწეწოდა და მისწებებოდა. ერთი კვირის გაუპარსავი მაინც იქნებოდა.

— ჰა, რა იყო?..

— ხვრინავდით და იმიტომ გაგაღვიძეთ.

მიხა გაჯავრდა, ბრაზიანად აბუზღუნდა და ისევ შეიგინა.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ძილ-ღვიძილისაგან გამოერკვა, უჩა იცნო, გაუღიმა და უთხრა:

— აჰ, უჩა ხარ შენ?..

შეატყო, ბიჭი ნაწყენი იყო.

— ვერ გიცანი უცებ... არ გეწყინოს...

უჩა უხმოდ გამოვიდა ოთახიდან.

დამლაგებლის სიტყვები გაახსენდა. ამათთან მართლა რა გამაძლებინებსო, ნაღვლიანად გაიფიქრა ბიჭმა.

ქარხანაში

კიბე ჩაირბინა.

გარეთ ცხელოდა. ქარი ქროდა და მტვრის ბუღი იდგა. ცხვირპირი და თვალები ქარმა ქვიშით ამოუვსო.

უჩა შესასვლელთან იდგა და ფიქრობდა, ნეტავი ქარხანას სად აშენებენო. ქარხნის მილები არსად ჩანდა. უცებ დამლაგებელი ქალი დაინახა. ქალმა ეზო გადმოჭრა და პირდაპირ მათი კორპუსისაკენ გამოსწია. მერე გვერდზე გაუხვია და სახლის გასწვრივ წავიდა.

უჩა დაედევნა.

— დეიდა ნატო! — დაუძახა ქალს.

ქალმა მოიხედა.

— შენა ხარ?.. გამოიძინე? — ახლა ისე უკმეხად აღარ ელაპარაკებოდა.

— ქარხანას სად აშენებენ, ვერ მეტყვით?

ქარხანამდე აქედან თხუთმეტიოდე კილომეტრი იქნებაო, უთხრა დეიდა ნატომ. ავტობუსი დადისო. ასწავლა, სადაც ჩერდებოდნენ ქარხნისაკენ მიმავალი ავტობუსები:

— ამ ქუჩას ბოლომდე გაპყევი და მარჯვნივ გაუხვიე. იქვე პატარა ბაღიცაა. ხალხი უცდის ხოლმე. ადვილად მიაგნებ.

უჩამ ათიოდე წუთში მიაკვლია იმ ადგილს. დამლაგებელმა რომ მიასწავლა. ბაღის წინ სამსართულიანი შენობა იდგა. შესასვლელში კარებზე ცალ მხარეს ეწერა: „კომკავშირის კომიტეტი“, მეორე მხა-

რეს: „კადრების განყოფილება“. კარებში წამდაუწუმ შედიოდნენ და გამოდიოდნენ ახალგაზრდები. ხელში ჩანთები ან ჩემოდნები ეჭირათ. ეტყობოდათ, ეს-ესაა ჩამოსულიყვნენ. პატარა ბაღიც ახალგაზრდებით იყო სავსე. ზოგნი სკამებზე ისხდნენ, ზოგიც მიწაზე მოკალათებულიყო. ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ. უჩაც მათთან მივიდა და შორიახლოს დაჯდა მიწაზე. გამოირკვა, რომ ყველანი კომკავშირელები იყვნენ. საგზურებით ჩამოსულიყვნენ მშენებლობაზე სამუშაოდ.

უჩას ერთი მაღალი, ჭორფლიანი გოგო მიუჯდა გვერდით, ღიმილით შეაცქერდა. თვალებს უცნაურად ჭუტავდა. ბიჭს ჰგავდა.

— შენც სამუშაოდ ჩამოხვედი? — ჰკითხა უჩას და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— კი, სამუშაოდ ჩამოვედი. — მიუგო უჩამ სერიოზულად, ვითომ ვერ მიხვდა, გოგო დაცინვით რომ ეკითხებოდა.

— მთავარ ინჟინრად ნიშნავენ ალბათ, — თქვა ვიღაცამ, როცა უჩას სიტყვები გაიგონა.

— კარგი, ნუ იკრიჭებით, — უთხრა ამხანაგებს ჭორფლიანმა გოგომ, — ხომ ხედავთ, ეწყინა.

— სულაც არ მწყენია, — თქვა უჩამ.

— მართლა გეწყინა? — ჰკითხა ერთმა ბიჭმა, თუმცა უჩას ნათქვამი კარგად გაიგონა.

ლაზღანდარობისა და მასხრობის გუნებაზე იყვნენ. უჩასაც სიამოვნებდა, რომ ასე ერთბაშად ამდენი ხალხის ყურადღება მიიქცია.

ამ დროს კარებთან ვიღაც კაცი გამოჩნდა. ახალგაზრდებს დაუძახა, მოდითო, და ჭორფლიანი გოგო და მისი ამხანაგები შესასვლელში შეცვივდნენ. უჩა მარტო დარჩა. აღარ და ბაღში სეირნობა დაიწყო. არ ეჩქარებოდა ქარხანაში წასვლა. ჯერჯერობით აქაც კარგად გრძნობდა თავს. ერთ-ერთ გრძელ საკმზე სამი გოგო დაინახა. მათთან მივიდა და სკამის კიდეზე ჩამოჯდა. სხვაგან ვერსად ნახა დასაჯდომი ადგილი. გოგოებმა ბიჭს არც კი შეხედეს, საუბარს განაგრძობდნენ.

ისინი არ ჰგავდნენ ახლად ჩამოსულებს. ეტყობა, სადღაც აქვე მუშაობდნენ და შესვენებაზე გარეთ გამოსულიყვნენ.

ერთი გოგო ყურადღებით ათვალიერებდა ბაღს. ვიღაცას ეძებდა. მერე თავის ამხანაგს, ცხვირაპრეხილ, ლამაზ გოგოს მიუბრუნდა და უთხრა:

— დღეს აღარ ჩანს... ეტყობა, გული აუცრუვდა.

არა, — თქვა ცხვირაპრეხილმა სიცილით, — ასე ადვილად გული არ აუცრუვდება. დღეს, ალბათ, მუშაობს.

საწყალი. იშოვის თუ არა თავისუფალ დროს, მაშინვე აქეთ გამორბის. რა იცის, როგორ დავცინით.

— მომაბეზრა თავი, — თქვა ცხვირაპეუამ.

— ნულარ ხვდები.

— მაინც მოდის. საათობით დგას.

— სულელი ყოფილა.

უჩას არ მოეწონა მათი საუბარი, ადგა და ბალიდან გავიდა. გაჩერებაზე ავტობუსი დაინახა, ავიდა და უკანა სავარძელზე დაჯდა. აქაც ბევრი ხალხი იყო. აქაც იცინოდნენ და ხმაურობდნენ. უჩასთვის არც მიუქცევიათ ყურადღება.

— დღესვე დაგვაბინავებენ? — იკითხა ერთმა გოგომ.

— ჰო, რა თქმა უნდა, — მიუგო ხანშიშესულმა ქალმა, სულ წინ რომ იჯდა. ის ქალი ჩამოსულს არ ჰგავდა.

— იცი, რა კარგ ბინებს მოგვცემენ? — აღტაცებით თქვა მეორე გოგომ. — აბაზანაც აქვს, სამხარეულოც, ცენტრალური გათბობაც. ავეჯითაც მოწყობილია: კარადები გინდა, სკამები, კომოდები, საწოლები და სუფთა ქვეშაგები...

— ეს რა მშენებლობაა, — იმადგაცრუებით ამბობდა ერთი ბიჭი, — აი, ბარაკებში რომ ჩაგვასახლებდნენ, მაშინ იქნებოდა კარგი. ადრე რომ იყო, ისე...

— ეე, ის დრო წავიდა, — გამოეპასუხა ვიღაც.

— ბარაკებში და ვაგონებში უნდა იცხოვრო და ისე აშენო, — არ ცხრებოდა ბიჭი, — ასე კარგ, თბილ ბინებში ცხოვრება სულ არაა საინტერესო.

— ზოგან აქაც ცხოვრობს ხალხი ბარაკებში და ვაგონებში, — თქვა შუახნის ქალმა, — მაგრამ დაზამთრებამდე ყველა მიიღებს ბინას.

— ქალბატონო, თუ საღმე ბარაკები მოგეძევებათ, ეს რომანტიკოსი მაინც ჩაასახლეთ, — თქვა ვიღაცამ იმ ბიჭზე, თბილი ბინები რომ არ მოსწონდა.

— ეს რომ მცოდნოდა, არც წამოვიდოდი, — განაგრძობდა „რომანტიკოსი", — მინდორში, ტყეში უნდა ცხოვრობდე, სუფთა ჰაერზე და ისე მუშაობდე. ესაა ვაჟკაცობა...

— სიძნელეს და სავაჟკაცო საქმეს თუ ეძებ, არ მოგაკლდება, ნუ გეშინია, — უთხრა ქალმა.

— აქ რა სიძნელე უნდა იყოს, ყველაფერი მზამზარეულია.

— ნახავ, თუ ყველაფერი მზამზარეულია, — დაემუქრა ვიღაცა.

ავტობუსი დაიძრა. მალე დაიწყო ლარივით სწორი, ფართო გზა. უწყვეტ ნაკადად მიედინებოდნენ მანქანები, — უმეტესად — თვითმცლელები და საბარგოები.

გზადაგზა მუშები ხვდებოდათ. ისინი კბილს აკეთებდნენ, აფართოებდნენ, ბეტონს აგებდნენ, ნაპირებზე ორმოებს თხრიდნენ და შიგ ელექტროგაყვანილობისათვის მაღალ ბოძებს დგამდნენ.

— მგონი, მივედით, — თქვა ვილაცამ.

უჩამ გაიხედა. აქა-იქ კოშკებივით აწოწილი შენობები დაინახა. ახლა უფრო მეტი მუშები ხვდებოდათ გზაზე. მანქანებიც უფრო გახშირდა. რამდენიმე წუთში ავტობუსი ქარხნის ტერიტორიაზე შეგრიალდა. აქ არც კბილი იყო, არც ქუჩები. მანქანები ჭიანჭველებივით ირეოდნენ ერთმანეთში. უჩას უკვირდა, ერთმანეთს როგორ არ ეჯახებიანო. არც შუქნიშანი იყო სადმე, არც — მილიციელი, არც არავინ აწესრიგებდა მოძრაობას. ყველგან რაღაცას აშენებდნენ, ყველგან სარაჩოები და კომბინეზონიანი მუშები მოჩანდნენ. დროდაღრო ავტობუსი ფიცრით შემოღობილ ფართო ეზოებს ჩაუვლიდა. ეზოებში ტრაქტორები, მანქანები და სხვა ათასგვარი ტრანსპორტი იდგა. ბოლოს ავტობუსი ერთ ასეთ ეზოსთან გაჩერდა. ყველანი ძირს ჩამოვიდნენ. ჭიშკარში შევიდნენ. უჩაც ჩამოვიდა. მიიხედ-მოიხედა. ეზოში, ფიცრული ღობის გასწვრივ, წითლად შეღებილი ვაგონები იდგა. უჩამ ვაგონებს რომ ჩაუარა, კარებზე წარწერები შეამჩნია. აქ, ეტყობოდა, სულ კაბინეტები იყო. ერთვან ეწერა: „დირექტორი“, მეორე კარზე: „ბუღალტერია“, მესამეზე: „კაღრების განყოფილება“ და ასე შემდეგ. უჩას მოსწყინდა აბრების კითხვა და ეზოდან გარეთ გამოვიდა. აქ ისევ ირეოდნენ უამრავი მანქანები. უჩა ღობის გასწვრივ მიდიოდა, გზაზე არ გამოდიოდა, ეშინოდა, მანქანა არ დამეჯახოსო. უჩამ კარგა ხანს იარა და, უცებ, სასადილოს წინ აღმოჩნდა. სადილობის დროც იყო ღა უჩასაც გვარიანად მოშივნოდა. სასადილო ხალხით იყო სავსე. უჩა შევიდა და ისადილა. მერე ერთ კოშკისებურ შენობას მიადგა. აქედან თვითმცლელები განუწყვეტლივ ეზიდებოდნენ ბეტონის ხსნარს. მანქანები რიგში იდგნენ და დატვირთვას ელოდნენ. უჩა მძღოლებს ათვალიერებდა, იქნება მოსეს შეეხვედეო. მერე გაბედა და ერთ მძღოლთან მივიდა. მოსეს თუ იცნობო, ჰკითხა:

გვარიო, შეეკითხა მძღოლი. გვარი არ მახსოვსო, უთხრა უჩამ. რომელ ავტოსამმართველოში და რომელ კოლონაშია, არც ეს იცით? რა თქმა უნდა, უჩამ არც ეს იცოდა. მაშინ მძღოლმა ღიმილით უთხრა, ამ მშენებლობაზე ოთხი ავტოსამმართველო და სამი სამშენებლო სამმართველო მუშაობს ღა თითო სამმართველოში სა-

მასი-ოთხასი მანქანაა. ასე რომ, გაიგე, სად მუშაობს ის შენი მოსე, და მერე მოდიო. კარგიო, უთხრა უჩამ, დიდი მადლობა გადაუხადა და წამოვიდა.

ცოტა ხანს კიდევ იხეტიალა უმიზნოდ. ხან სად შეჰყოფდა ცხვირს და ხან სად. ბოლოს ისევ იმ ავტობუსს დაუწყო ძებნა, რომელსაც ჩამოჰყვა, მაგრამ ვერ მიაგნო. ვერ გაეგო, ავტობუსი წასულიყო, თუ თვითონ აებნა გზა... მგონი, ერთიც და მეორეც. უკვე საღამოვდებოდა. უჩა ქალაქის გზაზე გავიდა: თუ ავტობუსს ჰრა, გამვლელ მანქანას მაინც გავყვებიო. დიდი ლოდინი არ დასჭირვებია: ახლა უკვე სამუშაო საათების დამთავრების დროც იყო და ქალაქისკენ ბლომად მიდიოდნენ ავტობუსები.

შინ

ავტობუსი სავსე იყო ხალხით. უჩას აზრით, მგზავრები ტრაქტორისტები, ავტოზეინკლები ან შოფრები უნდა ყოფილიყვნენ: მთლად ზეთის, მაზუთისა და ბენზინის სუნით გაჟღენთილები. ეტყობოდა, ერთმანეთს იცნობდნენ და ავტობუსში ერთი ყაყანი და ხმაური იყო. უჩა ძალიან უცხოდ გრძნობდა მათ შორის თავს.

ნუთუ ამ ქალაქში ბავშვები არ ცხოვრობენ?

რა უნდა გააკეთოს აქ ასე მარტომ?

ხომ არ გაბრუნდეს უკან, სოფელში?

ასეთი უსიამოვნო ფიქრებით ჩამოვიდა უჩა ავტობუსიდან. დანაღვლიანებული და გულდამძიმებული მიაბიჯებდა შინისაკენ.

დაღლილი იყო. ბევრი იხეტიალა. სიცხემაც მოთენთა. მთელი დღე მზე აჭერდა. თან ქარიც ქროდა და ზედ მტვერს აყრიდა.

ნეტა მდინარე ხომ არ არის სადმე ახლოს? იბანავებს. ნაპირზე წამოწვება და გაშავდება. მდინარეზე იქნებ თავის ტოლებსაც შეხვდეს.

კიბეები აიარა და კარს მიაწვა. კარი ღია დახვდა. ოთახიდან ხმაური გამოდიოდა. უჩამ ყური მიუგდო. კაცები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, თითქმის ყვიროდნენ. ალბათ ჩხუბობენო. გაიფიქრა უჩამ და წამით შეკრთა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ არავინ ჩხუბობდა. კარი შეაღო. ოთახში რვა-ათი კაცი დაინახა. „ნეტავი ყველა ამ ბინაში ცხოვრობს?“ გაივლო გულში და ახლოდ მიხვდა, რატომ გაუკვირდა მოსეს, სულ ჩამოვედიო. რომ უთხრა. პაპიროსის სქელი კვამლი ნისლივით იდგა ოთახში. უჩას ყელში და ცხვირში შეუღიტინა კვამლმა. თვალები აეწვა. ბოლოს, როგორც იქნა, გაიკვლია გზა თავისი საწოლისაკენ. ლოგინზე ჩამოჯდა.

— შენა ხარ, უჩა? მოხვედი?

ეს მოსე იყო. იგი ფანჯარასთან იჯდა სკამზე. ხელში რაღაც ჟურნალი ეჭირა და ფურცლავდა.

კაცებმა ახლოლა დაინახეს ბიჭი.

— გაიცანით, დემნას ბიჭია. დღეს ჩამოვიდა. დღეიდან ჩვენთან იცხოვრებს, — გააცნო მოსემ.

— მართლა? — უკვირე. რამოდენა ბიჭი ყოლია დემნას! — თქვა ერთმა მუშამ.

— სამუშაოდ ჩამოხვედი? — ჰკითხა მეორემ.

— ახლა კი ერთ თვეში ავაშენებთ ქარხანას, — იხუმრა მესამემ.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა მეოთხემ, — ჩვენთან არ მოგწყინდება, მხიარული ხალხი ვართ.

— თუ გაგვიძლო, ჩვენთან რა მოაწყენს.

— გაგვიძლებს, ვაჟკაცი არაა!

ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ მუშები.

— მარტო ეს კვამლი დაახრჩობს. რა ამბავია, რამდენს ეწევით. ყველა ერთად მაინც ნუ აბოლებთ, — ეჩხუბებოდა ამხანაგებს ერთი ხნიერი, ჭაღარა კაცი.

კაცები რიგრიგობით ართმევდნენ უჩას ხელს, ეცნობოდნენ.

— ნიკო.

— დემიან.

— თომა.

— შალვა.

— მიხა, მოდი, კაცო, სტუმარი გაგაცნო. დემნას ბიჭი კვესტუმრა! — გასძახა თომამ მიხას, რომელიც სამზარეულოში იჯდა და იქიდან არ ჩანდა.

— მე რა ხანია ვიცნობ...

ეს იყო და ეს. უჩა მაშინვე დაივიწყეს. ბიჭმა მალე შეაჩვია ყური მათ ხმამაღალ ლაპარაკს, ცოტათი პაპიროსის კვამლსაც შეეჩვია. ისე ბევრნიც აღარ ჩანდნენ. აქ ცხოვრება შეიძლებაო. გაიარ-გულში ბოლოს. უჩა დერეფანში გავიდა, საბაზანოს კარი შეაღო, ონკანები მოსინჯა და რაკი წყალი მოდიოდა, გადაწყვიტა ებანავა. გამოვიდა, ჩანთიდან სუფთა პერანგი ამოიღო და ისევ საბაზანოში შევიდა.

იბანავა. ტანსაცმელი გამოიცვალა. მამის ლოგინზე წამოწვა. ერთხანს კაცების ხორხოცს უსმენდა. მერე კი ფიქრებმა გაიტაცა.

მეტად უცნაური იყო ეს ახალი ცხოვრება, მერედა, რა მო-

ულოდნელად დაიწყო. ახალი ქალაქი... ახალი ადამიანები... ნეტავი რას იტყვის მამა, რომ დაინახავს უჩას?

ამ ფიქრებში ჩაეძინა.

•

უჩამ იმ ღამეს არაჩვეულებრივი, საოცარი სიზმარი ნახა.

რას იფიქრებდა უჩა, რომ ასეთი სიზმარი დაესიზმრებოდა.

ვითომ გაიგეს მისი ჩამოსვლა. მოაკითხეს და უთხრეს:

„პატივცემულო უჩა. რამდენი ხანია. გელოდებით. მადლობა ღმერთს, გამოჩნდით. გთხოვთ. წამობრძანდით, წამობრძანდით!“

წაიყვანეს უჩა და პირდაპირ დირექტორად დასვეს.

უჩა გაოგნებულია. ვერაფერს ვერ მიმხვდარა.

სად გაგონილა თორმეტი წლის დირექტორი. მერე ამოდენა საქმეს ცოდნა არ უნდა? უჩას კი რა ცოდნა აქვს. ეს-ესაა მეექვსე კლასში გადაეიდა. და სიმართლე რომ ვთქვათ, არც არის ჯერ მეექვსეში გადასული. ორიანი გამოჰყვა გეოგრაფიაში. თუ ვამოცდას არ ჩაბარებს სასწავლო წლის დაწყებამდე, არავინ დასვამს მეექვსე კლასში.

აქ კი დირექტორად დანიშნეს.

აი, ზის თავის კაბინეტში. შემოდის ათასი ჯურის ხალხი: ეს ინჟინრებიო, ეს მუშებიო, ეს ოსტატებიო, ზეინკლებიო... ათასნაირი ქალალდები მოაქვთ უჩასთან. უჩა მაგიდას უზის, ქალალდებს ათვალიერებს და ხელს აწერს. სირცხვილის ოფლი ჩამოსდის სახეზე. არ იცის უჩამ. რა ქალალდები მოაქვს ამ ხალხს და რაზე აწერს ხელს. ჩაჰკირკიტებს. მაგრამ ვერაფერს მიმხვდარა. არადა, ხომ ვერ იტყვის. არაფერი მესმისო. თანამდებობა ასე ადვილად არ ეთმობა. მით უმეტეს. ახლახან იყო, უსაქმოდ დახეტიალობდა ქალაქში და რამდენჯერმე ისიც კი გაიფიქრა, სოფელში ხომ არ დავბრუნდეო.

მამა მაინც მოვიდოდეს. ასწავლიდეს რამეს.

ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და შემოვიდა ძია მიხა.

„სალამი პატივცემულო უჩა“, — ეუბნება ძია მიხა.

„გამარჯობა. ძია მიხა“.

„როგორ გეკადრებათ, პატივცემულო უჩა! თქვენ დირექტორი ბრძანდებით. მე სადაური თქვენი ძია ვარ. მე იმიტომ შეგაწუხეთ, რომ... რომ მანქანა დამიმსხვრიეს. ჰოდა. რა შუაში ვარ, არ ვიცი. ლოთობო, შარი მომდეს. სამუშაოდან გაგდებას მიპირებენ“.

უჩა ღრმად ჩაფიქრდა.

„უდანაშაულო ვარ. პატივცემულო უჩა. აი, დემიანი დამიდასტურებს. ჩემთან ცხოვრობს ოთახში და ამან მაინც იცის, ელოთობ თუ არა“.

ახლა დემიანიც დაინახა უჩამ. კედელთან დგას. შეახსნის კაცია, ჭ ლარა. დუმს. უჩას თვალს აარიდებს.

„ხომ მართალი ვარ, დემიან?“

დემიანი დუმს.

„აგერ თომას ვკითხოთ, ან ნიკოს. პატივცემულო უჩა“.

იქვე დგანან თომაც, ნიკოც. ყველანი იქ არიან. როდის შეინოვიდნენ. უჩას არც კი გაუგია.

„მიხა მართალია, — ამბობს თომა, — მანქანა სხვამ დაამსხვრია. მიხა არაფერ შუაშია“.

„მივცეთ ახალი მანქანა?“ — ეკითხება უჩა თომასა და ნიკოს.

„მივცეთ. პატივცემულო, ცოდვაა. ძალიან დარდობს. გალოთდება, აბა, რა მოუვა კაცს ამდენი დარდით“.

„კარგი, აგრე იყოს“.

„შენ გენაცვალე, ბიჭო!“ — ყვირის გახარებული მიხა. უჩას ეხვევა და კოცნის. მიხა მთვრალია, ძლივს დგას ფეხზე.

„შენ კიდევ მთვრალი ხარ?“ — აღშფოთდა უჩა. ფეხზე წამოდგა, მაგიდას მუშტი დაჰკრა.

„დამშვიდდით, — უთხრა მიხამ, — არ გამამხილოთ და არც მე ვიტყვი, რომ გეოგრაფიაში ორიანი გაქვთ“.

„თქვი, თუ იტყვი, — ამბობს უჩა, — სულაც არ მინდა დირექტორობა“.

„რაო, არ მინდაო?“

„არ მინდა!“

უჩას გამოელვიძა, თვალები დაუყიტა. ოთახი მოათვალიერა. სინათლე მხოლოდ სამზარეულოში ენთო. სამზარეულოს კარი ღია იყო. უჩამ საწოლიდან წამოიწია და შეიხედა. მაგიდას თომა, ნიკო და მიხა უსხდნენ.

მიხა მთვრალი იყო. არც სხვები ჩანდნენ ფხიზლები. წინ ღვინის ბოთლები ეწყოთ. მიხა მღეროდა. ხან თომას წასწვდებოდა და გადახვევდა ხელს, ხან — ნიკოს.

მერე უცებ წამოხტა და დაიძახა:

— აბა, ტაში, ბიჭებო, უნდა ვიცეკვო! — ხელები გაშალა და ერთხანს სამზარეულოში იხტუნავა, მერე ოთახში შევიდა, სინათლე აანთო და იქ ვანაგრძო „ცეკვა“. წამდაუწუმ აწყდებოდა სკამებს, საწოლებს.

ძია დემიანს გამოელვიძა და მიხას ეუბნა:

— დაწექი! გეყოფა! დაწექი ახლავე! — იკი უჩას საწოლის პირდაპირ იწვა. არა გრცხვენია, ამ შუალამეზე რომ დახტიხარ და ღრიალებ? აქ ხალხს სძინავს.

მიხა დემიანის საწოლთან მივიდა.

— დარდისგან მომდის, დემიან.

— მარტო შენ ხომ არ ცხოვრობ ამ ბინაში. წადი, დაიძინე. ბავშვს სძინავს. ამისი მაინც შეგეხათროს.

— შენ მართალი ხარ, — უთხრა მიხამ და ოთახიდან გავიდა.

— დამისხით, ბიჭებო, ერთი დამისხით და დავწვები. ბავშვი უნდა ვადღეგრძელო. საუკეთესო ბავშვი. მერე კი დავწვები... ჯანდაბას ჩემი თავი...

კარგა ხანს ესმოდა უჩას მოქეიფეების ხმამაღალი ლაპარაკი და სიმღერა.

გვიან დაეძინა.

მოსი

უჩას ძალიან გაუტკბა დილის ძილი და მაშინღა გამოეღვიძა, როცა დამლაგებელი მოვიდა და მიხასა და მისი ამხანაგების თათხვას მოჰყვა.

მიხა ამჯერად ხმას არ სცემდა. მხოლოდ ეს იყო, ხანდახან ამოიკვნესებდა, ამოოხრებდა და იტყოდა: — ვაი, თავი მტკივა, უდროოდ ვკვდები და მიშველეთო.

— გაგისკდეს იგ თავი ბარემ! — „ლოცავდა“ დამლაგებელი.

დღეს უკვე, ვინ იცის, მერამდენედ დაიფიცა. ხვალიდან ამ ოთახში ფეხს არ შემოვდგამო.

— ოჰ, — კვნესოდა მიხა, — ოჰ, თავი!..

უჩა ადგა, ხელ-პირი დაიბანა და სასაუზმოდ წავიდა. სასადილო იქვე. მეზობელ ქუჩაზე იყო. რიგში რომ ჩადგა და ბუფეტამდე მიაღწია, ჯიბეში ხელი ჩაიყო, უნდოდა ფული მოემზადებინა, მაგრამ კაპიკიც არ აღმოაჩნდა.

კარგა ხანს აფათურა ხელები ჯიბებში. მებუფეტე მოთმინებით ელოდა. უჩა გვერდზე გადგა, რომ სხვებისთვის ხელი არ შეეშალა და ძებნას განაგრძობდა. თუმცა, უკვე ეშვი აღარ ეპარებოდა, რომ ფული დაკარგული იყო და ვერც ვერსად იპოვიდა. ანდა სად უნდა ეპოვა. სულ ორი ჯიბე ჰქონდა და ერთიც და მეორეც ხუთჯერ მაინც გადმოაბრუნა. მერე სასადილოდან გამოვიდა და დალონებული ძელსკამზე დაჯდა.

ცუდად ჰქონდა საქმე. მამა ხვალ საოამომდე არ ჩამოვიდოდა.

კიდევ რამდენჯერმე მოიჩხრიკა ჯიბეები.

ხუთი კაპიკიც არ დარჩენოდა. რომ ერთი ნაჭერი პური ეყიდა და ზედ ჩაი დაეყოლებინა.

ნეტა სად დავკარგეო. ფიქრობდა სასოწარკვეთილი უჩა.

გუშინ. ქარხნის სასადილოში რომ ისადილა, ჯიბეში ოც მანეთზე მეტი ჰქონდა.

ავტობუსში თუ ამოუვარდა.

მართალია ცოტა ფული მიხას ასესხა იმ დღეს, მაგრამ ახლა როგორ მოსთხოვდა. მით უმეტეს, იცოდა, რომ მიხა უფულოდ იყო.

ადგა და შინისკენ გასწია.

დამლაგებელი წასულიყო. მიხა ოთახიდან ოთახში დადიოდა და, ვაი, თავიო, გაიძახოდა. თან სიგარეტის ნამწვს ეძებდა. ეტყობოდა, ახალამდგარი იყო.

ნამწვი ვერსად ნახა და ახლა თავისივე ჯიბეების ჩხრეკას მოჰყვა, იქნება რამე ვიპოვოო.

— ბიკოს! — წამოიძახა უცებ. — ფული? საიდან გაჩნდა?

ხელში ხუთმანეთიანი ეჭირა.

უჩამ შეხედა, ყველაფერს მიხვდა. მაგრამ არაფერი უთქვამს.

მიხა ჩაფიქრდა, მერე შუბლში იტკიცა ხელი.

— ახლა აქვე რომ გამისკდეს მიწა, ღირსი არა ვარ?

უჩამ კომოდიდან ძია დემიანის მოტანილი ჟურნალი აიღო, საწოლზე ჩამოჯდა და ჟურნალს თვალიერება დაუწყო.

— აქვე არ უნდა გაექცევდე ახლა? — განაგრძობდა მიხა.

ჟურნალში ბევრი მანქანები ეხატა: პატარები, დიდები, საბარგოები, თვითმცლელები, ეტლიანი და უეტლო მოტოციკლები.

— უჩა, ბიკო, მოდი, რამე ჩამარტყი თავში და სული გამაფრთხობინე.

უჩა დუმდა. მან იცოდა, რაც აწუხებდა ძია მიხას. მაშინვე მიხვდა, ის ხუთმანეთიანი რომ დაინახა.

მიხა მივიდა, უჩას თვალებში შეხედა, მერე გვერდით დაუჯდა.

— მთვრალი ვიყავი... შენ გეძინა და ალარ გაგაღვიძე. ესლა დამრჩენია...

ფული ჟურნალზე დაუდო.

უჩას არაფერი უთქვამს.

— მაპატიე, უჩა, შენი ჭირიმე. ამ ორ დღეში გადავიხდი შენს ვალს. თუნდაც დღესვე გამაგდონ სამუშაოდან, შენს კაპიკს როგორ შევირჩენ.

— არაფერია, — თქვა უჩამ. არც ახლა შეუხედავს ძია მიხასთვის თვალებში. ეცოდებოდა ეს კაცი.

— ამათ რომ გამიგონ, შენ გგონია, მაპატიებენ? არ იცნობ, რა

ხალხია. ფანჯრიდან გადამაგდებენ ძირს. შენი ფულის დახარჯვას როგორ პაპატიებენ.

უჩამ უნებურად ფანჯარას შეხედა.

— არა, შეიძლება არ გადამაგდონ, მაგრამ რად გინდა მერე, ცოცხლად შემჭამენ.

უჩამ უნებურად შეხედა. თავიდან ფესებამდე შეათვალიერა. ცარიელი ძვალ-ტყავი იყო, მეტი არაფერი.

— მე არ გაგამხელ, — უთხრა უჩამ.

— შენი ჭირიმე, ბიჭო! — წამოიძახა მიხამ და უჩას თავისი სიზმარი გაახსენდა, გაეღიმა. — ოღონდ ნუ დაიღუპავ და შენი ყურმოჭრილი მონა ვიქნები. ფულს კი ორ დღეში ჩაგაბარებ უსიკვდილოდ. მოვკვდები და შენს ვალს არ შეეირჩენ.

— არა უშავს, ძია მიხა. რა მოხდა მერე. რად მინდა ფული.

— ძია მიხას მაინც ნუ მეძახი, ბიჭო. სახა ამანაც ძია. ერთი უსინდისო კაცი ვარ... და მერე, არც ისე ბებერი ვარ, შე კაი კაცო.

ამ დროს მოსე შემოვიდა.

— ეს ჩემზე სამი წლითაა უმცროსი, მეტით კი არა...

თან თვალით ანიშნა უჩას, აბა, შენ იცი, სიტყვა არ წამოგცდესო, და წავიდა, ლოგინში ჩაეძხო.

— ისაუზმე? — ჰკითხა მოსემ უჩას.

— ჯერ არა.

— რალას უცდი? წამოდი, ერთად ვისაუზმოთ.

— დღეს რატომ არა ხარ სამუშაოზე?

— ეისვენებ, შემცვლელი მყავს.

— ძნელია ამწეზე მუშაობა?

— არც ისე. ოღონდ ძალიან ფრთხილად და ყურადღებით უნდა იყო.

გარეთ ცხელოდა.

— უკვე შუადღეა, — თქვა მოსემ. — მალე სადილობის დრო იქნება. მომკვდარხარ შიმშილით. შენ ასე აპირებ ქარხნის აშენებას?

— დილით გვიან გამომეღვიძა.

— აბა, რა იქნებოდა, არ დაგაძინეს. მთელი ღამე ღრიალ, ბღნენ.

— სულ ასე არიან?

— რა ვიცი. მე სამი დღეა, რაც აქ ვცხოვრობ. ახალგადმოსული ვარ. ადრე ტყისპირას ვცხოვრობდი, წითელ ვაგონში.

— იქ კარგი იყო?

— კარგი იყო? ერთ პატარა კუპეში ოთხი კაცი ვიძინებდით.

რიგრიგობით ვდგებოდით და ვიცვამდით. ორი კაცი ერთდროულად ვერც კი გაისძრაოდა.

მეორე ქუჩაზე გავიდნენ. სასადილოში ცოტა ხალხი იყო. დიდხანს არ მოუხდათ რიგში დგომა.,.

— სად წავიდეთ ახლა? — იკითხა უჩამ. სასადილოდან რომ გამოვიდნენ.

ქოსემ მხრები აიჩეჩა.

— მდინარე არსადაა ახლოს?

— მდინარეც არის და ტბაც.

— მართლა? — აღტაცებით წამოიძახა უჩამ.

— აქ ყველაფერია, ჩემო უჩა.

— მაშინ მდინარეზე წავიდეთ. ძალიან ცხელა, ცოტათი მაინც გავგრილდებით.

— კარგი, როგორც ვინდა...

ავტობუსში მოსეს რაღაც ვაახსენდა. ადგა და გასასვლელისკენ წავიდა.

ჩავდივართ? — ჰკითხა უჩამ და მოსეს მიჰყვა.

— კი, ცოტა ხნით. აქ ვიღაც უნდა ვნახო. მერე წავიდეთ მდინარეზე. დრო მაინც ბევრი გვაქვს.

ავტობუსი გაჩერდა. მოსე და უჩა ჩავიდნენ. მთავარი ქუჩიდან გადაუხვიეს და იმ შენობის წინ აღმოჩნდნენ. საიდანაც უჩა ვუშინ ქარხნისაკენ მიმავალ ავტობუსს გაჰყვა. უჩამ ბალიც იცნო. აქ ისევ ირეოდნენ ახალგაზრდები. მიწაზე და სკამებზე ჩანთები და ჩემოდნები ეწყო.

—სულ მოდიან და მოდიან, — თქვა მოსემ, — ყოველდღე ასეა.

ერთი თავისუფალი სკამი იპოვეს.

— აქ დავსხდეთ, — თქვა მოსემ.

— ამ მზეში?

— ჰო, ცოტა ხანს...

— ის, ვისი ნახვაც გინდა, აქ მოვა?

მოსემ საათზე დაიხედა.

— კი, აქ უნდა გამოიაროს.

კარგა ხანს ელოდნენ. ისხდნენ და იხრუკებოდნენ.

— ძალიან ცხელა, ხომ? — თქვა მოსემ.

უჩამ თავი დაუქნია. ცხელაო. ლაპარაკის თავიც არ ქონდა. ტანჯვას ის უორკლეებდა, რომ სადღაც ახლოს მდინარე და ტბა იყო.

— დიდხანს დააგვიანდება კიდევ? — იკითხა უჩამ.

— ახლა მალე ამოივლის.

— ვინაა?

მოსემ პასუხი დააგვიანა. ყოყმანობდა, თითქოს გამხელა არ უნდოდა. შერე თქვა:

— არის ერთი... აი, გამოიცლის და ნახავ.

— უცებ წამოდვა.

— მოდის!..

ბაღში გოგომ შემოუხვია. პირდაპირ შენობის შესასვლელისაკენ მიდიოდა. მოსე მის შესახვედრად გაექანა. გოგოს წინ გადაუდგა.

უჩა არ ამდგარა. მიხვდა, მოსეს მაინცდამაინც არ ესიამოვნებოდა, უჩა რომ მათი საუბრის მოწმე ყოფილიყო.

ის ლამაზი, ცხვირაპრეხილი გოგო იყო. იცინოდა და კოხტად ჩაწყობილ კბილებს აჩენდა. უჩამ მაშინვე იცნო. ისიც გაახსენდა, რას ეუბნებოდა გოგო გუშინ თავის ამხანაგებს. სწორედ ამ სკამზე ისხდნენ. უჩამ მოსეს შეხედა. ის არ იცინოდა. რაღაცნაირი ტაჯული სახე ჰქონდა. გაუკვირდა, მოსე ასე რამ დაამწუხრაო. იმ გოგოს სიცილი კი ყალბი და ნაძალადევი ეჩვენა.

მოსემ რაღაც უთხრა გოგოს. იმან კი ხმამაღლა გაიცინა.

— რა ხუმრობა გცოდნია, — გაიგონა უჩამ გოგოს სიტყვები.

— სულაც არ ვხუმრობ, — უთხრა მოსემ.

კიდევ რაღაც თქვეს, მაგრამ უჩას არ გაუგონია.

ბოლოს გოგომ თავი გააქნია და თქვა:

— არ მცალია, იმდენი საქმეები მაქვს.

— ალბათ, რამე გაწყენინე, არა?

— სულაც არა... რატომ. არაფერი მწყენია, — კიკლუცად უთხრა გოგომ და უნებლიეთ უჩასკენ გამოიხედა.

ნეტა ხომ არ მიცნოო, გაიფიქრა უჩამ და მზერა აარიდა.

— გთხოვ, — რაღაცას ემუდარებოდა მოსე.

— ვნახოთ... ახლა მეჩქარება, — უთხრა გოგომ, სწრაფი ნაბიჯით მოშორდა და შესასვლელში გაუჩინარდა.

მოსე უჩასთან მივიდა და სკამზე დაჯდა. შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— რაღა დროს დაჯდომაა, — უთხრა უჩამ და ადგა. — მდინარეზე არ წავიდეთ? კიდევ ხომ არ ელოდები ვინმეს?

— კიდევ?.. არა. ჰო. წავიდეთ...

* *

მდინარის ნაპირი სავსე იყო უჩას ტოლი გოგო-ბიჭებით. ერთი ქვივილ-ხივილი გაჰქონდათ. აი, თურმე სად გამოკრეფილანო, გაიფიქრა უჩამ. მაგრამ ახლა მას თანატოლებთან თამაშს მოსესთან საუბარი ერჩივნა.

უჩას ძალიან მოსწონს მოსე. მოსეს ყველაზე დიდი ღირსება, უჩას აზრით, ისაა, რომ მასთან თვითონაც ოცი-ოცდახუთი წლის ჭაბუკად გრძნობდა თავს; როცა ის ესაუბრება, ძალიან ჭკვიანური აზრები ებადება და ლაპარაკითაც ბევრად უფრო ჭკვიანურად ლაპარაკობს, ვიდრე თანატოლებთან. რატომ ხდება ასე, უჩას ვერაფრით ვერ აუხსნია. მოსეს ძალიან აინტერესებს ყველაფერი, რასაც უჩა უამბობს. დიდი ყურადღებით უსმენს, ერთხელაც არ შეაწყვეტინებს. უჩას ტოლებს კი ლაპარაკი უფრო ეხალისებათ, ვიდრე მოსმენა. როცა ამხანაგი ლაპარაკობს, ყველა იმაზე ფიქრობს, მე რა დავიტრაბახოო. არის ერთი ყაყანი, ბაქიბუქი და გამოდის, რომ ერთმანეთს არასდროს არ უსმენენ. უჩამ უკვე გადაწყვიტა, რომ მოსეს სამუშაოზე გაყვეს. მას რამდენჯერმე დაუნახავს მშენებლობაზე ამწეები, კოშკებივით რომ დაყუდებულან და ცაში პატარა ბუდესავით გამოკიდებული კაბინა აქვთ. მარტო მიდამოს დათვალიერება რად ღირს იმ კაბინიდან, და ისიც მშენებლობაზე...

სთხოვა კიდეც, წამიყვანე შენთან, მინდა ვნახო, ამწე როგორ მუშაობსო.

ვნახოთო, მიუგო მოსემ და უჩა მიხვდა, ეს თანხმობა უფრო იყო, ვიდრე უარი ან ყოყმანი.

მზე მწვავედ აჭერდა. მოსე პირალმა იწვა ცხელ სილაზე და ისედაც გარუჯული სახე მზისთვის მიეშვირა. ტანზე ძალიან იყო გაშავებული.

ცოტა ზემოთ ბიჭები ბურთს თამაშობდნენ წყალში.

ქვემოთ კი გოგოები ბანაობდნენ, სწორედ იმ ადგილას, სადაც მდინარე ერთბაშად ფართოვდებოდა და საოცრად მრგვალ და ლამაზნაპირებიან ტბას ერთვოდა.

გოგოები წყალში ღრმად შესვლას ვერ ბედავდნენ, ნაპირთან თამაშობდნენ, ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ, ფართხალებდნენ, კისკისებდნენ, წივილ-კივილით იკლებდნენ იქაურობას. აქეთა მხარეს ტბას მინდორი ეკვროდა. აქა-იქ თუ შენიშნავდით რამდენიმე ნაძვს, გალმა კი ხშირი ტყე ნახევარ რკალად შემორტყმოდა ტბას. ტბის ნაპირი ხალხით იყო დაფარული. ერთ ადგილას ნაპირი ოდნავ ბორცვიანი იყო და იქ მოანკესეები წამოსკუპებულიყვნენ.

— მოგწონს? — ჰკითხა მოსემ უჩას, როცა ბიჭი ძალიან გაერთო იქაურობის თვალიერებით.

— მომწონს, მიუგო უჩამ. თვალებზე ეტყობოდა, რომ მოაჯადოვა ტბისა და მისი მიდამოების სილამაზემ.

— აქ ისეთ რამეებს ავაშენებთ, ისეთი ქალაქი დადგება, უკეთესს ვერაფერს ნახავს კაცის თვალი, — თავი მოიწონა მოსემ.

უჩას ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

— ეს ჩვენი ქალაქი იქნება, — ამაყად თქვა მოსემ...

მერე ბიუს ჰკითხა: — წიგნები გიყვარს?

— მიყვარს, — მიუგო უჩამ, — მაგრამ ცოტაა.

— წიგნები ცოტაა? — გაუკვირდა მოსეს.

— მე რომ მომწონს, ისეთი წიგნები ცოტაა.

— შენ როგორი მოგწონს?

— ფანტასტიკური. კოსმოსში რომ მოგზაურობენ სკაფანდრებით.

— ასეთიც ბევრია, ნუ გეშინია.

— მე ვერ ვშოულობ. მიშოვი?

— ვეცდები, — დაპპირდა მოსე.

— მე თვითონ მოვიფიქრე ერთი ამბავი კოსმოსში მოგზაურობაზე. იცი, რა საინტერესოა?

— მართლა? არ მიამბობ?

— როგორ არა. შენც მოიფიქრე რამე და ერთმანეთს შევეჯიბროთ. ვნახოთ, ვისი უკეთესი გამოვა. ჩვენ სკოლა-ინტერნატში ვიგონებდით ხოლმე ასეთ ამბებს და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. მე ყველას ვჯობნიდი.

— არასდროს არ მიცდია ასეთი რამ, შენ მაჯობებ, — თქვა მოსემ.

— შეიძლება გაჯობო, — უთხრა უჩამ, — მაგრამ შენ მაინც სცადე. იცი, რა ადვილია. მთავარია, „სამოგზაუროდ“ წახვიდე, მერე თავისით მოდის და მოდის უცნაური ამბები და ფანტაზიები...

თომა

ავტობუსის გაჩერებასთან უამრავი ხალხი იდგა. ისინი მდინარისა და ტბის ნაპირებიდან ამოსულიყვნენ. ქალაქში მიდიოდნენ დიდებიც ბევრნი იყვნენ, პატარებიც, უჩას ტოლებიც. ქუჩის მეორე მხარეზე ლუდი და გაზიანი წყლები იყიდებოდა და დასცხული ხალხი რიგში ჩამდგარიყო.

უჩას ზურგი და ვხრები ეწვოდა. მეტისმეტი მოუვიდა მზეზე ჯდომა. მაგრამ ჯერ მაინც არ უნდოდა წამოსვლა, მოსეს რომ არ დაეცინა, წავიდეთო, ალბათ, საღამომდე არ მოსწყინდებოდა იქ ყოფნა.

მოსემ უთხრა:

— ახლა მე რაღაც საქმეზე უნდა წავიდე. შენ ავტობუსს დაელოდე და შინ წადი.

უჩამ თავი დაუქნია, წავალო.

მოსე წავიდა, მაგრამ მალე ისევ შემობრუნდა, ეტყობა, მაინცდამაინც სანდოდ არ ეჩვენა უჩას დაპირება.

— მდინარეზე აღარ ჩახვიდე. ისედაც ზედმეტი მოგვიდა. ნახავ, რა დღეში ჩავარდები ღამით.

უჩას არ ესიამოვნა მეგობრის ასეთი უნდობლობა, მართლა პატარა ხომ არ ვგონივარო, წყენით გაიელო გულში.

— არა, მდინარეზე რა მინდა. შინ წავალ.

— მე ერთ საათში ამოვალ, ჯოდა, მომიყევი შენი ფანტასტიკური მოთხრობები.

უჩა კარგა ხანს ელოდა ავტობუსს.

როგორც იყო გამოჩნდა, მაგრამ, გაჩერდა თუ არა, იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ უჩამ ასვლა ვეღარ მოასწრო.

ახლა უფრო აეწვა ზურგი და მხრები. მოთენთილი და დაღლილი იყო. შინ რომ მივა, წამოწვება და კარგად დაისვენებს. დაიძინებს კიდეც. მეტი რა საქმე აქვს.

— უჩა! — მოესმა უცებ.

მიიხედა. ვერავინ დაინახა. იფიქრა, ალბათ ამ ქალაქში უჩა სხვასაც ჰქვიაო.

— უჩა! — მოესმა ისევ. ნაცნობ ხმას ჰგავდა.

გზისპირას თვითმცლელი იდგა. უჩამ კაბინაში თომა დაინახა. მანქანასთან მიირბინა.

— აქ რას აკეთებთ? — ჰკითხა თომამ.

— ავტობუსს ველოდები.

— სად იყავი? ალბათ, ტბაზე, არა?.. გეტყობა, სახე წითლად გიდვივის.

— კი, ვიბანავეთ მე და მოსემ. მოსე რაღაც საქმეზე წავიდა.

— გასაგებია... მოდი, დაჯექი. წაგიყვან.

უჩა საფეხურზე შეხტა, კაბინის კარი გამოაღო. სავარძელზე დაჯდა და ერთბაშად გადაავიწყდა დაღლილობაც და მხრებისა და ზურგის ტკივილიც.

— შენ სად იყავი? — ჰკითხა უჩამ.

— სად ვიქნებოდი? სამუშაოზე.

ქუჩა ხალხით იყო სავსე. თომას ნელა მიჰყავდა მანქანა. წამდაუწუმ ამუხრუჭებდა. თომა ხალხს ლანძღავდა, არხეინად რომ მიაბიჯებდნენ შუა ქუჩაში და მანქანებს არაფრად აგდებდნენ.

— მამაჩემიც ასეთ მანქანაზე მუშაობს? — ჰკითხა უჩამ.

— არა. მამაშენი დიდ მანქანაზეა... ვაგონს რომ ჰგავს. არ დაჰკვირვებიხარ?

— კი, როგორ არა. დამინახავს.

რამდენიმე ქუჩა გადაკვრეს. თომამ მანქანა ეროსართულიანი. დიდფანჯრებიანი შენობის ახლოს გააჩერა.

— აქ ჩავიდეთ, — უთხრა უჩას, — არა გშია? ვისადილოთ.

ჩავიდნენ. სასადილოში გრძელი რიგი იდგა.

— ამდენი სად მცალია, — თქვა თომამ, თხუთმეტ წუთში ქარხანაში უნდა ვიყო. როგორმე ურიგოდ უნდა გავძვრეთ.

ბუფეტთან მივიდნენ.

— მიდი, გაძვერი, უთხრა თომამ ბიჭს ხმადაბლა, პატარა ხარ, არაფერს გეტყვიან.

უჩამ თავი გააქნია:

— ვერა... სირცხვილია.

თომას გაეცინა.

— ვერ ყოფილხარ მარჯვე ბიჭი...

სამი წუთიც არ გასულა, რომ სანოვაგით დატვირთულმა თომამ ხალხის რიგი გამოარღვია და ერთ-ერთი მაგიდისაკენ წავიდა. რიგში მყოფებმა წყრომით გამოაყოლეს თვალი. უჩას შერცხვა, იდგა და თომასკენ ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ახერხებდა.

— მოდი, რას უყურებ! — დაუძახა თომამ.

უჩა უხალისოდ მივიდა. სუფრას მიუჯდა.

— — აბა, დაიწყე.

— ხედავ, როგორ გვიყურებენ? — უჩამ ხალხისკენ გააპარა მზერა.

— გვიყურონ, რამდენიც უნდათ.

თომა მადიანად ილუკმებოდა.

— ჭამე, ჭამე, ნუ მოიკლავ თავს შიმშილით...

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ კაბინაში ისხდნენ.

მალე მივიდნენ შინ.

თომამ მანქანა გააჩერა.

— აბა, ჩახვალ?..

უჩა ზლაზვნით წამოდგა, ყოყმანი დაეტყო.

— ხომ არ გეზარება? — ჰკითხა თომამ. — თუ გინდა, ჩემთან წამოდი, გამოისეირნე.

— შენ სად მიდიხარ?

— მე უნდა ვიმუშაო.

— დიღხანს დარჩები სამუშაოზე?

— საღამომდე.

— კარგი, მაშინ წამოვალ.

— არ მოგწყინდება?

— რა მომაწყენს.

თოძამ კარი ვოაჯახუნა და სიჩქარის პერკეტს მიანწკლა. მანქანა დაიძრა.

თომა თავისი თვითმცლელით ხრეშს ზიდავდა ეშესებლობაზე. კარიერი მდინარის ამაღლებულ ნაპირას იყო, ქარხნიდან ოცდაექვსი კილომეტრზე. იქ რამდენიმე ექსკავატორი იდგა, რომლებიც სწრაფად ტვირთავდნენ მანქანებს.

გზა კარგი იყო და თომას დიდი სიჩქარით მიჰყავდა მანქანა. უჩას ძალიან მოსწონდა მანქანის ეს გახელებული ქროლა.

თომა ხშირად ეკითხებოდა, ხომ არ მოიწყინეო. ათას რაღაცას უამბობდა და ბიჭიც დიდი გულისყურით უსმენდა. ერთხელ თურმე თომას მანქანა გადაბრუნდა. თვითმცლელს სამი ყირა გაუკეთებია, ისევ ბორბლებზე დამდგარა, დამდგარა და მაშინვე გზა გაუგრძელებია. სხვაც ბევრი რამ უამბო საინტერესო და სასაცილო. ერთხელ თომა დამთვრალა და ლიანდაგზე გაუყვანია მანქანა, მატარებელი მეგონაო. ბეწვზე გადარჩენილა.

საღამოს თომამ მანქანა გარაჟში დააყენა. მერე ორივენი ავტობუსში ჩასხდნენ და თავიანთ ბინაში დაბრუნდნენ. მოსე შინ არ დახვდათ. კინოში წავიდოდაო, თქვა თომამ. ივახშმეს და თვითონაც კინოში წავიდნენ.

ორსერიიანი ფილმი იყო.

კინო რომ დამთავრდა და გარეთ გამოვიდნენ, თომამ თქვა, ასლა ქარხანაში უნდა შეეიაროო. ქარხნისაკენ მიმავალი უზარმაზარი მანქანა გაჩერა და ორივენი კაბინაში ჩასხდნენ.

— ხომ არ გეძინება? — ჰკითხა თომამ უჩას, მანქანიდან რომ ჩამოვიდნენ. — რაღაც პატარა საქმე მაქვს, მალე დავბრუნდებით.

— არა, — მიუგო უჩამ. — არ მეძინება.

ცოტათი კი ეძინებოდა, მაგრამ ამას როგორ გაამხელდა.

გარაჟს რომ მიუახლოვდნენ, თომამ უთხრა, აქ მომიცადე. ახლავე მოვალო, და სიბნელეში გაუჩინარდა.

— ხუთი წუთიც არ გასულა. უჩას მანქანამ ჩაუქროლა გვერდით, ცოტა მოშორებით გაჩერდა და ბიჭს თომას ხმა მოესმა:

— მოდი, ჩქარა!

უჩა გაიქცა. კაბინაში შეძვრა.

— კიდევ უნდა იმუშაო?

— ჰო, ცოტა ხანს. აგური უნდა წავიღო ერთ ადგილას. მალე მოვრჩებით, ნუ გეშინია.

ერთხანს გზაზე იარეს. მერე მანქანამ ერთ განაპირა უბნისაკენ გაუხვია, სადაც ეს-ესაა დაეწყოთ ხუთსართულიანი კორპუსების მშენებლობა.

— ეს მანქანა შენი რომ არაა? — ჰკითხა უჩამ.

თომამ გაკვირვებით მოხედა.

— ვინ გითხრა, რომ ჩემი არაა? ჩემია.

უჩა უკვე კარგად იცნობდა თომას მანქანას. სულ ზეპირად იცოდა, სად იყო გაფხაჭნილი, გაბზარული თუ გაღუნული. თუმცა სიბნელე იყო, მაინც მიხვდა, რომ თომას სხვისი მანქანა წამოეყვანა.

— შენი არაა, — არ ეშვებოდა უჩა, — შენს მანქანას ვიცნობ...

თომამ გაიცინა.

— ჩემი ამხანაგისაა. იმან ჩემი წაიყვანა. გავცვალეთ.

— მერე მანქანების ასე გაცვლა შეიძლება?

— შეიძლება, რატომაც არა. ჩვენი ნება არაა?

თომამ მანქანა ერთ-ერთი ახლადდაწყებული შენობის გვერდით გააჩერა, ძირს ჩავიდა და ბნელში კარგა ხანს ეძებდა რაღაცას. მერე მანქანასთან დაბრუნდა და უჩას უთხრა:

— სიბნელეში ხომ არ გეშინია?

— არა. რისი უნდა მეშინოდეს? ჩემთვის სულ ერთია სიბნელე და სინათლე, — თავი გამოიდო უჩამ.

— ჰოდა, თუ სულ ერთია, მაშინ, ჩამოდი და იმ მოსახვევთან გაჩერდი. თუ ვინმემ აქეთ გამოუხვიოს, დამისტვინე.

— ვინ უნდა გამოუხვიოს?

— იქნება ვინმე... — თომა წამით შეყოყმანდა, — ან მილიციელი, ან მისი მსგავსი ვინმე... ერთი სიტყვით, ვინც უნდა იყოს...

მეტი არაფერი უთქვამს. მანქანა აამუშავა და იქვე აგურის გროვას მიაყენა. უჩა ქუჩის კუთხეში გაჩერდა.

„რატომ უნდა ეშინოდეს მილიციელის? — უკვირდა ბიჭს, — ხომ არ იპარავს რამეს... ან ის აგური სად უნდა წაიღოს ამ შუაღამეზე?"

უჩამ დაუსტვინა. მაშინვე შეწყდა მანქანის ძარაზე აგურის ბრახუნი.

თომამ, რაკი დარწმუნდა, საფრთხე არ იყო, ისევ განაგრძო მანქანის დატვირთვა. ლონინ ამჯერად ისე აღარ ჩქარობდა. ღროდადრო შეჩერდებოდა და მიაყურადებდა.

უჩა ერთხანს კიდევ იდგა ქუჩის კუთხეში. მერე თომასთან მივიდა.

— მოგწყინდა? — ჰკითხა თომამ, ბიჭი რომ დაინახა. — მიდი, ცოტა ხანს კიდევ გაჩერდი აქ. ახლავე ძოვრჩები.

— არ წავალ, — უთხრა უჩამ.

თომა გაკვირვებ ბიჭის სიჯიუტემ და მისმა გამომწვევმა ხმამ წელში გასწორება მიაჩერდა.

— არ წახვალ?

— მე შინ მივდივარ, — თქვა უჩამ და ზურგი შეაქცია თომას.

— გაგიქდი? — უთხრა თომამ. — შენ გგონია, ამ სიბინძურეში გსას გაიგნებ?

— გავიგნებ, ნუ გეშინია.

ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა. თომა არაფერს ამბობდა, ბიჭს უმზერდა. არც უჩა მიდიოდა ადგილიდან.

— ჩვენი ბინა ქალაქის მეორე ბოლოშია, — უთხრა თომამ, — დაიბნევი.

— ვიკითხავ... ქუჩა ხომ ვიცი.

— ვის ჰკითხავ, ახლა ქუჩაში ვის შეხვდები.

უჩა დუმდა.

— კარგი, თუ არ გინდა ყარაულობა, მიდი, კაბინაში დაჯექი.

— მე შინ მივდივარ, — უთხრა უჩამ და წავიდა.

თომა დაეწია.

— რა მოხდა, რა გაწყენინე?

— შენ ქურდობ და მე გიყარაულო?

— ვინ გითხრა, რომ ქურდობ?

— აბა, რას იმალები. არც ეს მანქანაა შენი. მანქანაც მოიპარე. თუ ვინმე გამოიცნო, ვაიქცევი, მანქანას მიატოვებ. ვერავინ მიხვდება, რომ შენ მართავდი...

თომა დუმდა და ბიჭს სახეში მისჩერებოდა.

— უყურე შენ! — თქვა ბოლოს გაოცებულმა.

უჩა დუმდა.

— შენ ძალიან უცნაური ვინმე ყოფილხარ, — უთხრა თომამ.

ამ დროს მოტოციკლეტის გუგუნი გაისმა. თომამ უჩას მკლავში სტაცა ხელი. ქუჩა გადაირბინა და ბიჭი მოპირდაპირე კორპუსის შესასვლელში შეათრია.

— გამიშვი ხელი, საღ მიმათრევ!

— ჩუმად, — თომამ უფრო მაგრად მოუპირა ხელი, — ხმა არ გაიღო.

უჩა გაჩუმდა. თომა მაინც მაგრად უჭერდა ხელს.

მოტოციკლეტმა ქუჩაზე ჩაიარა. ზედ მილიციელები ისხდნენ. მოტოციკლეტის ფარის შუქზე აგურის გროვასთან მიყენებული თვითმცლელი გამოჩნდა. მოტოციკლეტი გაჩერდა. ერთი მილიციელი გადმოვიდა და მანქანის ძარახე შეიხედა. მერე კაბინაში შევიდა.

— უნდა ავითესოთ, — უთხრა თომამ უჩას.

გარეთ გამოვარდნენ და სიბნელეში გაიქცნენ.

სახლებს შორის მიძვრებოდნენ, რამდენჯერმე წაიბორძიკეს და წაიქცნენ კიდეც. ქოშინ-ქოშინით გარბოდნენ. მთავარ ქუჩაზე რომ გავიდნენ, ტანსაცმელი კარგად გაიბერტყეს, თავი უშიშრად დაიგულეს და ხალხს შეუერთდნენ.

თომა არაფერს ამბობდა. დროდადრო ბიჭს შეხედავდა, რაღაცის თქმას დააპირებდა, მაგრამ მაშინვე გაჩუმდებოდა.

ბოლოს ისევ უჩამ ჰკითხა:

— მიხას მანქანაც შენ წაიყვანე?

გაკვირვებული თომა შეჩერდა. ბიჭს თვალი თვალში გაუყარა.

— მიხას მანქანას რატომ წავიყვანდი?

— დღეს რომ წამოიყვანე სხვისი მანქანა და მიატოვე.

თომამ გაიცინა.

— რა სისულელეა, ჩემი ძმაკაცის მანქანას ხელს როგორ ვახლებდი.

— ეს მანქანა ვისი იყო?

— რა ვიცი... იდგა, ავამუშავე და წამოვიყვანე.

— ახლა იმ შოფერს რას ეტყვიან?

— არაფერს. მანქანა გარაჟში დატოვა... რა მისი ბრალია, თუ ვიღაცამ წაიყვანა.

— არავის არაფერს არ ეტყვიან?

— დარაჯს მოსცხებენ ცოტას.

კარგა ხანს ჩუმად მიდიოდნენ.

საერთო საცხოვრებელს რომ მიუახლოვდნენ, თომამ უთხრა:

— არ გამცე ბიჭებთან.

უჩას არაფერი უთქვამს.

— არ გამცე, უჩა... წყალში გადავვარდები შენთვის, ოღონდ ბიჭებთან არაფერი წამოგცდეს. თუ რამე გკითხეს, კინოში ვიყავით-თქო, უთხარი. მერე პარკში გავიარეთ-თქო.

უჩა დუმდა.

— ბიძაჩემი შემეხვეწა. ცოტა აგური მომიტანეო. მეც გავსულელდი. ეს იყო სულ... სამაგიეროდ რამე დამავალე და შენი ხმალი და ჩემი კისერი.

მეორე დღეს, დილით, როცა ყველანი შინ იყვნენ, ძია დემიანმა თქვა:

— გუშინ კომენდანტმა მითხრა, თქვენს ბინაში უწესრიგობაა, სულ ხმაური და აურზაურია, დამლაგებელიც მუდამ ვიჩივითო. და მართალიცაა... აი, ნახეთ, როგორი უსუფთაობაა. ყველგან პაპიროსის ნამწვები ყრია. ლოგინებიც უწესრიგოდაა მიყრილ-მოყრილი. ღამღამობით კი მეზობლებს არ ვაძინებთ. ხედავთ, სადამდე მიეედით? ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

— ამ საქმეს უნდა მოვუაროთ, — დაუდასტურა მოსემ.

— ავირჩიოთ მამასახლისი და მორიგეობა დავაწესოთ, — თქვა შალვამ.

— აკი გვყავს მამასახლისი. — თქვა მიხამ. იგი სკოლაზე იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. წინა ღამეს არ უქეიფია და თავი აღარ სტკიოდა. გვერდით საწოლზე ნიკო იწვა. იგი რამდენჯერმე შეანჯღრიეს, გაიღვიძე, კრება გვაქვს და შენ და შენ ძმაკაცებს უნდა მოგცხოთო. ეს რომ გაიგო, ნიკო კედლისკენ გადაბრუნდა და თავზე საბანი წაიხურა.

— მართლაც, ჩვენ გვყავს მამასახლისი, პატიოსანი და დარბაისელი კაცი, — თქვა მან ისე, რომ საბანი თავზე არ გადაუძვრია. — სხვა არავინ გვინდა.

თურმე უჩას მამა ყოფილიყო ეს „პატიოსანი“ და „დარბაისელი“ კაცი.

— დემნა კვირაში ორ დღეს თუ იქნება ჩვენთან, სხვა უნდა ავირჩიოთ. — თქვა მოსემ.

— თომა! — დაუძახეს თომას.

იგი საბაჩანოში შესულიყო და გამოსვლას არ ჩქარობდა. ეტყობოდა. არც მას ეხალისებოდა ეს არჩევნები.

— მოვალ! — მოისმა თომას ხმა. — კრებას პირდაუბანელი როგორ დავესწრები!

თომა მალე შემოუერთდათ. პირი დაებანა. თმა დაევარცხნა.

— ახლა კი შეგიძლიათ მთელი სიმკაცრით გამასამართლოთ. — თქვა მან და უჩას გადახედა, ვაითუ ჩემი საიდუმლო გაამხილაო. ამ დილით. დემიანმა კარები რომ ჩაკეტა, არავინ წავიდეს. კრება გვაქვსო. თომას ტანში გასცრა. ეტყობა. არც მიხას ჰქონდა გული საგულეს.

— ახალი მამასახლისი უნდა ავირჩიოთ და მორიგეობა დავაწესოთ. — თქვა დემიანმა — ვინც არ დაგვემორჩილება, ბინიდან გავასახლებთ.

პროტესტს ვაცხადებ! — დაიძახა ნიკომ. მისი ხმა ყრუდ ისმოდა საბნიდან. ეველი მაძახალისის მოხსნის ვერ დაგახებებთ, თუ მაინცდამაინც, ის კაციც ამოვწვიოთ.

დემიანი მივიდა ნიკოს საწოლთან, საბანი ძალით გადააძრო. ნიკო საბანს წაეტანა, მაგრამ ვერ წაართვა. რაღა ეშა ჰქოხდა, ადგა და ჩაცმა დაიწყო.

— ეს ნამდვილი ძალადობაა. - უთხრა დემიანს, -- ტყუილადა გაქვს იმედი. შენ ხმას არ მოგცემთ.

— აბა, მიხა. — უთხრა დემიანმა, — დაასახელე ახალი მამასახლისი.

— თომას ვასახელებ, -- თქვა მიხამ.

— ვუყაროთ კენჭი, — თქვა ნიკომ.

მხარი ნიკომ და მიხამ დაუჭირეს. წინააღმდეგნი იყვნენ ოთხნი: დემიანი, მოსე, შალვა და უჩა.

უჩას წინააღმდეგობა თომას ცუდად ენიშნა.

— თომას კანდიდატურა მოხსნილია, — თქვა დემიანმა, — სხვა დაასახელეთ.

— დემიანი, — თქვა მოსემ.

ვერც დემიანი გავიდა. წინააღმდეგნი იყვნენ ნიკო, მიხა და თომა. ხმაც სამმა მისცა.

— ვეღარ აგვირჩევია მამასახლისი და ეგ არის, — თქვა შალვამ.

— უჩა ავირჩიოთ! — წამოიძახა უცებ ნიკომ. — შვილის ვალია, მამის საქმე განაგრძოს.

— მართალია, — თქვა მიხამ, — მე მხოლოდ უჩას დავუჭერ მხარს.

— არის ვინმე წინააღმდეგი? — იკითხა თომამ.

წინააღმდეგი არავინ იყო.

— რა დროს ხუმრობაა, — [illegible] დემიანი, — ხუმრობისთვის შევიკრიბეთ?

— ხუმრობა რა შუაშია, — თქვა მიხამ, — უჩა იყოს ჩვენი მამასახლისი. მერე რა მოხდა, ჩვენზე პატარა რომაა. მე პირადად უჩას ყველაფერს დავუჯერებ.

— იყოს უჩა, — თქვა ახლა მოსემაც.

— ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნება მამასახლისი. მთავარია, წესრიგი დაამყაროს, — განაცხადა დემიანმა ბოლოს.

შალვამ საათზე დაიხედა.

— ახლა სამუშაოზე წასვლის დროა. დანარჩენი საქმეები საღამოზე მოვაგვაროთ.

ძია დემიანი უჩას მამაზე ცოტათი უფროსი თუ იქნება. ცსოქანი. ჭაღაოა კაცია. თმა საგრძნობლად შესთხელებია. წვერი მოშვებული აქვს. ხშირად არ იპარსავს. იგი ავტოსტრადაზე მუშაობს. ბეტონის ხსნარს უხიდავს მუშებს. გზაზე ბეტონის სქელ ფენას ასხამენ. გზის ორივე მხარეზე რკინის ძალალ ბოძებს აყენებენ, ბოძებზე კი მავთულებს აბამენ.

— ქალაქიდან ქარხანაში ტროლეიბუსი ივლის. უხსნის ძია დემიანი და მანქანას მიაქროლებს.

— რატომაა ქარხანა ასე შორს ქალაქიდან?

— შორს არ იქნება. ქალაქი სწრაფად იზრდება. ეს ქარხანა მალე, შეიძლება, ქალაქს შუაში მოექცეს.

ძია დემიანი გზაზე ცლის მანქანას. მერე მუშები ბეტონის ხსნარს ასწორებენ.

— .აი, გზა ეს იქნება! — მოწონებით ამბობს ძია დემიანი.

— მამა დღეს ჩამოვა? — ეკითხება უჩა.

— ჰო, ამაღამ ან ხვალ დილით.

— მერე ისევ ასე დიდი ხნით უნდა წავიდეს?

— კი, ალბათ ისევ წავა.

— მე მართლა მამასახლისი ვარ?

— მაშ... აბა, რა გეგონა. რახან აგირჩიეს, მამასახლისი ხარ.

— მერე, რა უნდა გავაკეთო?

— საღამოს გასწავლი ყველაფერს. შენ იმიტომ აგირჩიეს, ჰგონიათ, ისევ ჩვენს ნებაზე ვიქნებითო. რაკი პატარაა. არაფერს დავუჯერებთო.

— მიხა და თომა ყველაფერს დამიჯერებენ, — თქვა უჩამ, — სხვები არ ვიცი.

დემიანმა უჩას გაკვირვებით შეხედა.

— დაგიჯერებენ? რატომ გგონია, რომ დაგიჯერებენ?

— ვიცი, დამიჯერებენ.

შუადღემ რომ მოაწია, ძია დემიანმა უთხრა უჩას:

— გეყოფა ამდენი ჯაყჯაყი. ახლა შინ წაგიყვან და დაგტოვებ.

უჩას უკვე მობეზრდა ეს სულისშემხუთავი სიცხე და მტვერი. მოითენთა და დაიღალა. კაბინაში მაინც განსაკუთრებით ცხელოდა. მტვრის კორიანტელმა ხომ შეაწუხა და შეაწუხა.

მანქანა ავტოსტრადაზე მიქროდა. უჩამ სპიდომეტრს შეხედა. ასს ოჩვენებდა.

გზა ლარიკეთ სწორი იყო.

სწრაფად უახლოვდებოდნენ ქალაქს.

ყველგან ასეთი გზა რომ იყოს, რა დაგვღლის...

დემიანს ხმა რაღაცნაირად შეეცვალა. უეცრად ფერი დაკარგა. გაფითრდა. ჩურჩულით ჩაილაპარაკა, მიშველეო, და სავარძელს მიესვენა. ცალი ხელი უღონოდ ჩამოუვარდა ძირს, მეორე კი ისევ საჭეზე ედო. მანქანა მთელი სისწრაფით მიქროდა. შეშინებულმა უჩამ მძღოლს შეხედა. ძია დემიანს გაფითრებულ სახეზე წყალივით ჩამოსდიოდა ოფლი.

— ძია დემიან! — დაუყვირა უჩამ, ნჯღრევა დაუწყო.

— ნუ მანჯღრევ, — ჩურჩულით უთხრა მძღოლმა, — გული...

უკვე ცნობას კარგავდა.

უჩა შიშმა აიტანა.

— საჭეს მოჰკიდე ხელი. — ძლივს ამოთქვა ეს სიტყვები ძია დემიანმა და გულიც შეუღონდა. უჩა საჭეს წაეტანა. როგორც იქნა მუხრუჭის პედალსაც მიაწვდინა ფეხი. მანქანამ სვლას უკლო და გაჩერდა. უჩამ კაბინის კარი გააღო და ძირს გადმოხტა. დემიანი სავარძელზე გადაწვა. მკვდრისფერი ედო.

„რა ვქნა, — ფიქრობდა თავზარდაცემული ბიჭი, — როგორ ვუშველო?“

გზაზე გავიდა. გამვლელ მანქანებს ხელს უქნევდა. არავინ გაუჩერა. სვლასაც არ ანელებდნენ.

უჩა ისევ მივარდა მანქანასთან. ახლა მარცხენა მხრიდან ავიდა კაბინაში, საჭეს მიუჯდა.

„საავადმყოფომდე რომ მივიყვანდე, მერე არაფერი უჭირს...“

გუშინ, თომასთან რომ დასეირნობდა, რამდენჯერმე გასინჯა სიჩქარეები. დასძრა კიდეც მანქანა. მერე უკუსვლით თავის ადგილას დააყენა. ეს მანქანაც ზუსტად ისეთი იყო. საჭის გასწორება მამამ ადრევე ასწავლა...

ნელა დასძრა მანქანა.

მერე თანდათან უმატა სიჩქარეს. თანდათან გათამამდა. რამდენიმე წუთში ქალაქს მიაღწია. მანქანა ერთ-ერთი მაღაზის წინ გაჩერა და საავადმყოფო იკითხა. უჩას გაჭირვება რომ გაიგეს, იქვე გაჩერებულ სატვირთო მანქანიდან მძღოლი ჩამოსვეს. ახლა ის მიუჯდა საჭეს.

მალე საავადმყოფოსაც მიაგნეს.

უჩამ კისრისტეხით აირბინა კიბე. ექიმის კაბინეტში შევარდა.

— უშველეთ, გული შეუღონდა!.. უშველეთ...

ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიძახოდა უჩა ამ სიტყვებს.

მალე ძია დემიანი კაბინიდან გამოიყვანეს. ჯალამბარზე დააწვინეს და ფრთხილად წაიღეს საავადმყოფოსაკენ.

საერთო საცხოვრებელში შუქი უკვე ჩაექროთ. აღარც ჩამიჩუმი ისმოდა.

დემნამ კარი შეაღო, ფეხაკრეფით შეავიდა სამზარეულოში, სინათლე ჩართო და დაჯდა. დაღლილობას გრძნობდა.

ოთახიდან მძინარეთა ფშვინვა და ხვრინვა ისმოდა.

მიიხედ-მოიხედა. ადგა. ეძინებოდა, მაგრამ, სანამ დაიძინებდა, უნდა ებანავნა. ძალიან გამტვერიანებული და ჭუჭყიანი იყო. ფეხაკრეფით გავიდა დერეფანში. საბანაოს კარი გამოაღო და უცებ შედგა. იქვე, კარის მარჯვენა მხარეზე, ქაღალდის დიდი ფურცელი იყო გაკრული.

ფურცელზე მოზრდილი ასოებით ეწერა:

„დღეიდან, ოთველ სამ დღეში, გამოვა ჩვენი გაზეთი. გაზეთის სახელწოდებაზე გამოცხადებულია კონკურსი კონკურსში გამარჯვებულს ვნიშნავთ რედაქტორის მოადგილედ“.

მერე ჩამოწერილი იყო მორიგეობის სია.

„რაღაც მეცნობა ეს ნაწერი“, — გაიფიქრა დემნამ.

მერე მოწოდება იყო:

ჩვენს ბინაში უნდა დამყარდეს სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე. იკრძალება:

მაგარი სასმელების შემოტანა და ხმარება;

ფეხსაცმლის გაუწმენდავად და ტანსაცმლის დაუბერტყავად ოთახში შემოსელა;

შინ ყოფნა ჭუჭყიანი კომბინეზონით;

ხმაური;

პაპიროსის მოწევა (ის, ვისაც არ შეუძლია თავი შეიკავოს, ან დერეფანში გავიდეს, ან აივანზე. მაგრამ ჩვენ მაინც ყველას ვურჩევთ, თავი დანებონ ამ მავნე ჩვეულებას. უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობას);

თუ ვინმე თერთმეტი საათის შემდეგ შემოვა, იაროს ფეხაკრეფით (ანდა მაშინვე დაწვეს და დაიძინოს).

ამ წესების დამრღვევნი სასტიკად დაისჯებიან და შეიძლება გასახლებულ იქნან.

ცნობა: დღეს ავად გახდა მძღოლი დემიანი. მანქანაში ყოფნის დროს (ნამუშაოზე) მოუვიდა გულის შეტევა. ახლა უკეთაა.

მხატვრული განყოფილება
ფანტასტიკური მოთხრობა

აქ მოთხრობილი იყო, თუ როგორ გაემგზავრა ორი მეექვსეკლასელი ბიჭი კოსმოსში. ისინი მოხვდნენ ერთ მეტად უცნაურ, პატარა პლანეტაზე, სადაც ხეები ქვევიდან ზევით კი არ იზრდე-

ბიან, როგორც დედამიწაზე, არამედ პირიქით: ზევიდან ქვევით. ფესვები ჰაერში გაუქსოვიათ, კენწეროები კი თითქმის მიწამდე სწვდებათ. ხეები გემრიელი ნაყოფითაა დახუნძლული.

„ეს ამბავიც რაღაც მეცნობა", — გაიფიქრა დემნამ და კითხვა განაგრძო:

— „ბიჭო, კე. შეხედ, რამდენი ბურთია!" — წამოიძახა ჩემ და ფართო ფოედხისაკენ გაიშვირა ხელი.

„ძართლა რა უცნაური ბურთებია", — ამბობს კე.

მინდორი სავსეა ბურთებით. ზოგი პატარაა, ზოგი — დიდი, ზოგი — წითელი, ზოგი თეთრი. წითლები ერთ მხარეზე არიან, თეთრები — მეორე მხარეზე. უცებ ბურთები საოცარი სისწრაფით ამოძრავდნენ და ერთმანეთისაკენ ვაქანდნენ.

წამიც და ატყდა ეულშემსარავი ჯახაჯუხი და ლაწა-ლუწი. ბურთები ერთმანეთს უმოწყალოდ ეჯახებოდნენ და იმსხვრეოდნენ.

ისმოდა თავზარდამცემი გოდება და კვნესა-ვაება.

მინდორი წითელი და თეთრი სისხლით შეიღება, გაივსო დამსხვრეული ბურთებით.

„ბიჭო, ჩე. ეს ბურთები, ალბათ, აქაური მცხოვრებლები არიან".

„ჰოდა, ერთმანეთს ეომებიან".

„ასე ვიდგეთ და ვუყურეთ. სანამ ერთმანეთს არ გაეუქაენ?"

„აბა, როგორ მოვიქცეთ?"

„იქნება მოვახერხოთ ზავის ჩამოგდება".

„ჩავიდეთ მინდორზე".

კე შეყოყმანდა.

„ვაითუ ერთმანეთს თავი ანებონ და ჩვენ დაგვერიონ. ამდენი ბურთი მტერს დაეჯახა. დაგვლეწავენ. ჰაერით გაბერილები არ უნდა იყვნენ... ვერა ხედავ, რა ხმაურით ეჯახებიან ერთმანეთს და როგორ იმსხვრევიან".

მოთხრობა აქ წყდება. ქვეშ აწერია:

„გაგრძელება იქნება".

„ბინის მამასახლისი და გაზეთის მთავარი რედაქტორი უჩა-უჩა".

„რაო? — გაოცდა დემნა. — უჩა-უჩა?"

აკი ხელიც მისია. როგორ ვერ მიხვდა აქამდე.

დემნა ოთახში შევიდა. სინათლე აანთო.

მის საწოლზე ბალიშში თავჩარგული ბიჭი იწვა.

ლჩა-უჩა!

სინათლემ მძინარეები შეაწუხა აწრიალდნენ მარტო უჩა არ განძრეულა.

მოსემ თავი წამოჰყო ლოგინდან დემნას შეხედა.

— ამას აქ რა უნდა? — ჰკითხა დემნამ ბიჭს.

საბი ღელა, ჩვენი სტუმარია. თუ ეკა რომ სტუმარი, აქ უნდა დავრჩეო. მამასახლისადაც კი ავირჩიეთ.

დემნა საწოლთან მივიდა, ოდნავ შეანჯღრია ბიჭი. ვერ გააღვიძა. შეეცოდა და თავი დაანება.

— დემიანს რა მოუვიდა, მართლა ავადაა?

— კი. საავადმყოფოში წევს. უჩას გადაარჩინა. დემიანს გული რომ შეეღონდა, საქეს თვითონ ძიუჯდა და საავადმყოფოში ძიიყვანა.

დემნამ თავი გააქნია. მერე ოთახიდან გამოვიდა და საბაზანოში შევიდა.

უჩა კი მთელი ღამე მოგზაურობდა.

ბთელი სამყარო შემოიარა თავისი განუყრელი სკაფანდრით. ისე გადადიოდა პლანეტიდან პლანეტაზე, თითქოს მეზობლის ღობეზე ხტებაო. ერთგან ცოცხალი არსებანი ლოდებივთ იყვნენ მიწაში ჩაფლულნი... მაგრამ დროდადრო ელვის სისწრაფით კამოისროდნენ ხოლმე სადღაც მიმალულ უზარმაზარ ქვის ხელებს და მსხვერპლს მარწუხებივით მოუჭერდნენ. უჩაც აღმოჩნდა ერთ-ერთი ასეთი ლოდის ტყვეობაში და დიდი ვაივაგლახით დაიხსნა თავი...

დილით, თვალი რომ გაახილა და წამოიწია, დაინახა: მის გვერდით, ლოგინში მამა იწვა.

უჩამ გვერდზე მიიწია, არ გაეღვიძოო.

მაგრამ მამას უკვე ეღვიძა.

— გამარჯობა, უჩა-უჩა, — უთხრა მამამ.

— გავიმარჯოს, — მიუგო უჩამ.

მამა-შვილი ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ. მამა ღიმებოდა. უჩასაც გაეღიმა.

— როგორ ხარ? — ჰკითხა ბოლოს უჩამ.

— კარგად. შენ?

— მეც კარგად.

— შინ როგორ არიან?

— კარგად.

— ვერ მოიწერე, თუ მოდიოდი?

უჩა გაჩუმდა. მერე ძლივს ამოღერღა:

— გამოვიპარე.

იცოდა, რომ ადრე თუ გვიან, მაინც უნდა ეთქვა.

— რაო?

უჩა ცოტა ხანს ხმას არ იღებდა. მერე თქვა:

— დედა არ მიშვებდა. ავდექი და გამოვიპარე.

მამამ შუბლი შეიკრა, უნდოდა, გაჯავრებულიყო, მაგრამ ლოგინში ჩხუბი, ასე ეოთმახეთის გვერდით ოაღაც მოუხერხებელი იყო. ამიტომაც ადგა და ჩაცმა დაიწყო. უჩაც ადგა.

— ესე იგი გაძოიპარე?

უჩამ გვერდ'ხე გაიხედა.

— ვაქაციც ასეთი უნდა. შინ დავტოვე, ქალებს მიხედავსმეთქი. ეს კი ადგა, ოჯახი მიატოვა და გაძოიპარა.

უჩას შერცხვა. სახე აეწვა.

— თქვი რამე, რას გაჩუმებულხარ.

უჩა ხმას არ იღებდა. რა ჰქონდა სათქმელი.

— ჰო, გისმენ.

— რა უნდა ვთქვა. დამნაშავე ვარ.

მამას მოეწონა, უჩამ მაშინვე გაბედულად რომ აღიარა დანაშაული, და მოლბა.

— ჰოდა, რახან დამნაშავე ხარ და ხვდები, უნდა გამოასწორო კიდეც შენი დანაშაული.

უჩას თავზარი დაეცა. მიხვდა, რასაც ნიშნავდა დანაშაულის გამოსწორება.

— ეგ არ მოხერხდება, — უთხრა უჩამ, — ვერ გამოვასწორებ.

— რატომ?

— შინ ვერ დავბრუნდები.

მამამ თვალებში შეხედა ბიჭს და შეეცოდა...

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— აქ, შენთან ვიქნები.

— ეგ შეუძლებელია. ხომ ხედავ, როგორ ვიწროდ ვცხოვრობთ... დედაშენმა თუ იცის, აქ რომ ხარ?

— როგორ არა. შინ წერილი დავტოვე, მერე დეპეშაც გავუგზავნე აქედან.

— კიდევ კარგი...

— შინ ვერ წავალ, იცოდე.

— აქ როგორ იცხოვრებ. შეხდე, რამდენნი ვარ ამ პატარა ბინაში.

— შენ ნუ გეშინია. ოღონდ უკანვე ნუ გამგზავნი და თუ გინდა, იატაკზე დავწვები.

მამას გაეღიმა.

— კარგი ეშმაკი ხარ, გინდა გული ამიჩუყო.. დედაშენი მარტო უნდა იყოს შინ?

— რატომ? თინიკო ხომ იქ არის?

— ოჯახს კაცი სჭირდება.

უჩა წამით დაფიქრდა. მერე უცებ შუბლი გაეხსნა.

— რაღა დარჩა სწავლის დაწყებამდე. სწავლა რომ დაიწყება, მაინც ხომ რაიონში უნდა გადავსახლდე სასწავლებლად, სკოლა-ინტერნატში. სულ ერთი არაა? ბარემ აქ, შენთან ვიქნები.

— აქ ვინ მოგივლის? ხომ ხედავ, მე არ მცალია.

— რა მოვლა მჭირდება. პატარა ხომ არა ვარ. მე თვითონ მოვუვლი ჩემს თავს.

დემნამ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა ბიჭი და გაიფიქრა: „მართლა აღარ არის პატარა... თანაც მამასახლისად რომ აურჩევიათ".

— სწავლაზედაც გული აგიცრუვდება.

— არა, — უთხრა უჩამ, — აქ უკეთესად ვისწავლი. ნახე თუ არა...

— სიტყვას მაძლევ? — ჰკითხა მამამ.

— აბა როგორ?

მამა დუმდა.

— შევთანხმდით, მამა? — უკვე გათამამდა უჩა.

დემნას გაეღიმა, ოთახში გაიარ-გამოიარა და თქვა:

— ჯერ ვნახოთ.

ნაღვლიანი დღე

ცხელოდა. ბაზარი ხალხით იყო სავსე. ზოგს კალათები ეჭირა ხელში, ზოგს — ჩანთები ან ქაღალდის პარკები. იყო ერთი ყაყანი და აურზაური.

— რა ვიყიდოთ? — იკითხა უჩამ.

— ხილი. ხილი ყველაფერს სჯობია, — უთხრა მოსემ.

ჯერ ქაღალდის პარკი იყიდეს და მერე ხილით სავსე დახლებს ჩამოუარეს.

ერთგან ვაშლი აარჩიეს და პარკში ჩაყარეს. მერე ატამი და ქლიავი იყიდეს. ბოლოს რამდენიმე მტევანი ყურძენიც ჩაამატეს. ჰიშკართან რომ მივიდნენ, მოსემ თქვა, მოღი, ყურძენი გავსინჯოთო. გასინჯეს. ისეთი გემრიელი იყო, იქვე შემოეკამათ. შებრუნდნენ და ხელმეორედ იყიდეს.

მერე საავადმყოფოში წავიდნენ.

— თუ შეგვიშვეს... რომ არ შეგვიშვან მაშინდელივით? — თქვა მოსემ.

— დღეს ნახვის დღეა. ვერ გვეტყვიან უარს...

დემიანი გულალმა იწვა ლოგინზე. უჩასა და მოსეს თეთრი ხალათები ეცვათ და ექიმებივით შემოსხდომოდნენ აქეთ-იქიდან.

— როგორა ხარ? — უკვე მეათედ ეკითხებოდნენ.

— არა მიშავს, — უპასუხებდა დემიანი და უმწეოდ იღიმებოდა.

— გაწუხებს გული?

— ცოტ-ცოტა.

— თუ იცი, მალე გამოგიშვებენ?

— რა ვიცი.–

— მალე გამოდი, — უთხრა მოსემ.

— მიხას მუშაობა არ დაუწყია?

— არა. შალვამ ამბავი მოიტანა, სამუშაოდან გაგდებას უბირებენო. ძალიან გაბრაზებული ყოფილა უფროსი, რატომ არ გამოჩნდა და თავის დამსხვრეულ მანქანას არ არემონტებსო. გაუგია, რომ ლოთობს. აუცილებლად გააგდებს.

— გააგდებს და გააგდოს. მაშინ ხომ ისწავლის ჭკუას!

• •

— ჯერ ერთ ადგილას უნდა გავიარო, — უთხრა მოსემ უჩას, როცა საავადმყოფოდან გამოვიდნენ.

— ისევ ის უნდა ნახო? — ჰკითხა უჩამ.

მოსემ დამნაშავესავით გაიღიმა.

ბაღში შევიდნენ და იმ პაპანაქება სიცხეში სკამზე დასხდნენ.

კარგა ხანს იცადეს.

უჩამ შეატყო მოსეს, როგორ ღელავდა და იტანჯებოდა.

— ავალ და ჩამოვიყვან, — უთხრა ბოლოს უჩამ.

— მართლა? — მოსეს თვალები გაუბრწყინდა.

— აბა, მთელ დღეს აქ ხომ არ უნდა ვისხდეთ ამ თაკარაში?

— არა... მე ამას ვფიქრობ, ჯერ იქნებ არაა მოსული-მეთქი. ამ დროს შესვენება აქვთ.

— რალა დროს შესვენებაა.

მოსემ საათზე დაიხედა, თითქოს არა სჯეროდა, რომ შესვენება კარგა ხნის დამთავრებული იყო.

— დამთავრებულა... მაშ, გამეგზავნები, უჩა?

უჩამ თავი დაუქნია.

— მე თვითონ ავიდოდი, მაგრამ მეუხერხულება. აქ სხვებიც არიან.

— მე ავალ.

— მოიცა, ბარათს გიგატან.

— როგორც გინდა.

მოსემ ჯიბიდან ფანქარი და უბის წიგნაკი ამოიღო. სასწრაფოდ დაწერა რაღაც. ნერილი დაკეცა და უჩას მისცა.

— მეორე სართულზე ავიდა. სულ ბოლო ოთახშია. მარჯვენა მხარეს, საბეჭდ მანქანაზე მუშაობს, სხვებში არ აგერიოს. ხომ იცნობ?

— ეიცნობ, როგორ არა.

უჩა მეორე სართულზე ავიდა. სულ ბოლო ოთახის კარი შეაღო. ფანჯარასთან სამი გოგო იჯდა. ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ. უჩამ მაშინვე იცნო ის ცხვირაპრეხილი ქალიშვილი.

— თქვენთან წერილი მაქვს, — შესვლისთანავე უთხრა უჩამ და წერილი მაგიდაზე დაუდო.

გოგომ წერილი აიღო და წაიკითხა.

— მერე თავი გააქნია და უჩას ხმადაბლა უთხრა:

— არა-თქო, ასე გადაეცი.

— ვისგანაა? — ჰკითხეს ამხანაგებმა.

— ვისგან იქნება, — გადაულაპარაკა ცხვირაპრეხილმა ქალიშვილმა.

გოგოებმა ფხუკუნი ასტეხეს, აშკარა იყო, მოსეს დასცინოდნენ.

უჩა იდგა და ბრაზისაგან გულზე სკდებოდა.

მერე გარეთ გამოვარდა და კარი მიაჯახუნა.

მოსე შესასვლელთან ელოდა.

— არაო, — უთხრა უჩამ, — წამოდი. ტბაზე წავიდეთ.

— მიტი არაფერი უთქვამს? — ჰკითხა გაფითრებულმა მოსემ.

— არაფერი.

* * *

ტბის პირას, მათკენ ცოტა მოშორებით, ერთი გოგო იჯდა მუხლებზე წიგნი ედო, მაგრამ არ კითხულობდა. ტბას ნაღვლიანად გასცქეროდა. ძალიან დამწუხრებული ჩანდა. მოსე მალულად გაეხედავდა ხოლმე. ეცოდებოდა. ალბათ ესეც ჩემს დღეშიაო, ფიქრობდა მოსე.

უცებ მოსე ადგა, გოგოსთან მივიდა და ჰკითხა:

— რატომ ხართ ასე მოწყენილი?

გოგომ ერთი შეხედა, მერე კი ტუჩები აიბზუა და განზე გაიხედა.

— მე ვიფიქრე... — დაიბნა მოსე, — იქნება ცოტათი გავართობეთქი. ძალიან ნაღვლიანი სახე გაქვთ.

— რა შენი საქმეა, მე როგორი სახე მაქვს! — შეუბღვირა გოგომ.

მოსეს სახეზე შეეყინა ღიმილი. არ იცოდა, რა ექნა. მერე უსი-

ტყვიდ გამობრუნდა. ისევ უჩას გვერდით წამოწვა. არ უბანავია, არც ტანზე გაუხდია. თავის თავზე ჯავრი მოსდიოდა: მართლაც, რა ჩემი საქმეა, ვის ნაღვლიანი სახე აქვს და ვის მხიარულიო.

მგონი, უზრდელად გამომივიდა, — უთხრა უჩას, როცა ცოტათი დამშვიდდა.

დუმდნენ.

უჩამ ჰკითხა:

— რატომ არ მოსწონხარ გოგოებს?

— არ მოვწონვარ? — თითქოს გაუკვირდა მოსეს, — ეჰ, მართლა არ მოვწონვარ... რა ვიცი, რატომ. მგონი, ჩემი ცხვირი არ მოსწონთ. — ჩაიცინა მან.

უჩამ შეხედა.

— მე კი მომწონს, — უთხრა გულწრფელად.

— რაღა მიჭირს, — გაეცინა მოსეს.

— არც მე ვარ მაინცდამაინც ლამაზი, — თქვა უჩამ, — ცხვირი კი შენზე უარესი მაქვს.

— ჯერ სადა ხარ. ჯერ უნდა გაიზარდო და დავაჟკაცდე... იქნება ისეთი ბიჭი დადგე, ყველას შენზე რჩებოდეს თვალი.

უჩას არაფერი უთქვამს. მისთვის ამგვარ რამეებს დიდი მნიშვნელობა არასდროს ჰქონია. ალბათ არც ექნება. ასე ფიქრობს უჩა. მისი აზრით, მოსე ძალიან კარგი ბიჭია და იმ სულელმა გოგოებმა ეს არ იციან. ვერც ვერასოდეს გაიგებენ. უჩამ კი იცის. მას უყვარს მოსე.

— მეტი აღარ მიხვიდე იქ, — უთხრა უჩამ, — ხმაც არ გასცე.

მოსე დუმდა.

— ვნახოთ, — ჩაილაპარაკა ბოლოს.

— ნულარ მიხვალ... თუ ჩემი ხათრი გაქვს.

— შენი აზრით, ასე სჯობია?

— ასე სჯობია.

— კარგი, — უთხრა მოსემ, — აგრე იყოს.

— იცოდე, სიტყვა სიტყვაა.

კითილი დღე

უჩა იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და ჭერს მისჩერებოდა. უკვე მეორე საათი იყო, დაძაბული ფიქრობდა თავის ფანტასტიკურ მოთხრობაზე. მალე ახალი გაზეთი უნდა გამოუშვან, ჰოდა დაწყებული მოთხრობაც უნდა გააგრძელოს. მკითხველები მოუთმენლად მოელიან გაზეთს.

ოთახში არავინაა. მიხა დილით ადრე ადგა და ავტოსამმართველოში წავიდა.

მაშ ასე:

ჩე და კე გაფაციცებულები ადევნებდნენ თვალს წითელი და თეთრი ბურთების სისხლისმღვრელ ბრძოლას. მერე, ომი რომ დამთავრდა, მოგზაურები ერთ თეთრ ბურთთან მივიდნენ. ეს ბურთი დამსხვრეული არ იყო, მაგრამ ადგილიდან მაინც არ იძროდა. დაჭრილი აღმოჩნდა. მოასულიერეს. ბურთი თურმე იქვე მახლობლად ცხოვრობდა. მოგზაურები თავის სახლში მიიპატიჟა. ჩე და კე სიხარულით გაჰყვნენ. მალე მიადგნენ პატარა გამოქვაბულს, სადაც ბურთი თავისუფლად შეგორდა, სტუმრები კი გარეთ დარჩნენ, იმიტომ, რომ შესასვლელი პატარა იყო და ვერასგზით ვერ შეეტეოდნენ. მაშინ მასპინძელმა ცოლ-შვილი გარეთ გამოიყვანა და სტუმრებს გააცნო. ბავშები ერთი ციცქნა თეთრი ბურთები იყვნენ. ისინი მორცხვად ეკვროდნენ გამოქვაბულის კარს.

ეს იყო და ეს. ამით დამთავრდა მათი სტუმარ-მასპინძლობა. საჭმელი არაფერი გამოუტანიათ სტუმრებისათვის. იმიტომ რომ თურმე ბურთები საერთოდ არაფერს ჭამდნენ, ისე ცოცხლობდნენ. მათ არც პირი ჰქონდათ და ხმას რეპროდუქტორივით სადღაც შიგნიდან გამოსცემდნენ...“

ამ დროს ოთახში მიხა შემოვიდა. ეტყობოდა, ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. ქუდი საწოლზე დაახეთქა და თვითონაც ზედ დაეგდო.

უჩა ლოგინზე წამოჯდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა მიხას.

— სამუშაოდან გამომაგდეს. მანქანა თვითონ დაამსხვრიე და სხვებს ტყუილად აბრალებო. ხელფასიც დამიკავეს, მანქანის რემონტს სჭირდებაო.

ცუდი ამბავი იყო.

უჩას ძალიან შეეცოდა მიხა.

— კომენდანტს დაუმოწმებია თურმე. ლოთობს, ხულიგნობს და მთელი უბედურებაო... ახლა აქედანაც გამასახლებენ, — ამ სიტყვებზე მიხამ საცოდავად ამოიოხრა.

— სად იქნება ახლა კომენდანტი? — ჰკითხა უჩამ. მან მტკიცედ გადაწყვიტა ჩარეულიყო საქმეში და რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მიხასთვის ეშველა. ბოლოს და ბოლოს იგი მამასახლისი იყო და გაზეთის წერისა და კოსმოსში მოგზაურობის გარდა სხვა საქმეებიც ევალებოდა.

— თავის კაბინეტში იქნება.

კომენდანტის კაბინეტი პირველ სართულზე იყო. უჩამ ხალათი ჩაიცვა, თმა დაივარცხნა და კომენდანტთან წავიდა.

— მიხა არ არის დამნაშავე, — უთხრა უჩამ შესვლისთანავე კომენდანტს, — ტყუილად გამოაგდეს სამუშაოდან. ახლა კი გასახლებასაც უპირებთ.

კომენდანტი შუახნის ქალი იყო. მან კუშტად შეათვალიერა ბიჭი და ქაღალდების ფურცვლა განაგრძო. მაგიდის კუთხეში ტელეფონი იდგა. უჩამ ყურმილი აიღო და ავტოსამმართველოს ნომერი აკრიფა.

ავტოსამმართველოს უფროსი მინდაო, მოითხოვა მან რაც კი შეეძლო დაბოხებული ხმით.

მე ვარო, მიუგო ვიღაცამ.

უჩამ კიდევ უფრო დაიბოხა ხმა.

— მიხა არაა დამნაშავე, — მიაყარა უჩამ სხაპასხუპით, უშინოდა, ვაითუ შემაწყვეტინოს და ყველაფრის თქმა ვერ მოვასწროო, — ტყუილად გააგდეთ სამუშაოდან. ბინიდანაც ტყუილად უპირებთ გასახლებას. არც ლოთობს, არც ხულიგნობს. მოუგონეს ყველაფერი. ცოტას კი ლოთობდა ადრე, მაგრამ ახლა სულ წყნარად და წესიერედაა. წვეოს არ სვამს და არც მიეცემთ ნებას, რომ ილოთოს. ეს ერთი აპატიეთ... ჩვენ ვიქნებით თავდები... ჩვენ...

მაინც შეაწყვეტინეს, მაგრამ მთავარი სათქმელი უჩამ მოასწრო.

— რომელი მიხა? ვინ თქვენ?.. — ისმოდა ტელეფონში.

— მიხა. შოფერი. ახლახან თქვენთან რომ იყო. ჩვენ მისი ოთახელები ვართ. მიხა არაა დამნაშავე, მანქანა მას არ დაუმსხვრევია...

— შენ ვინა ხარ?

— მე ბინის მამასახლისი ვარ!..

უჩამ დაინახა, კომენდანტს კუშტ სახეზე ღიმილმა რომ გადაურბინა, და ამან უფრო გაათამამა.

— ეს ერთი აპატიეთ და, თუ კიდევ დააშავოს რამე. მაშინ გადაგდეთ, ბინიდანაც გაასახლეთ. თქვენ ხელთ არაა?!.— ჩასძახოდა უჩა ყურმილში.

— შენ მამასახლისი ხარ?

— დიახ...

— ახლავე გამოცხადდი ჩვენთან. სამმართველოში!

უჩას ოფლმა დაასხა. ვაითუ იქ სასაცილოდ აიგდონ მისი მამასახლისობა.

— რაო? — ჰკითხა კომენდანტმა.

— გამოცხადდი.

— წადი, — უთხრა ქალმა, — ყველაფერი აუხსენი იქნება მართლა ალბათ.

— წავალ, — თქვა უჩამ მტკიცედ, — წავალ და ყველაფერს ავუხსნი.

შაბათ საღამოს ავტოსამმართველოდან სტუმრები მოვიდნენ: უფროსი, პროფკომის თავმჯდომარე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი და კიდევ ვილაც-ვილაცები.

მასპინძლებიც ადგილზე იყვნენ.

სტუმრები მიხას საქმის გასარკვევად მოვიდნენ.

მიხა სამუშაოდან გაგდებას და ბინიდან გასახლებას გადარჩა, მაგრამ სასტიკად გააფთხილეს, მეორედ არაფერს გაპატიებთო.

უფროსები რომ წავიდნენ, დემნამ მოულოდნელად წამოიწყო:

— ბარემ ყველანი აქა ვართ და ჩვენი მამასახლისიც გავასამართლოთ.

— მამასახლისი? — გაუკვირდა თომას. — უჩას გასასამართლებელი რა სჭირს. თორმეტი წლისაა და ასეთ საქმეებს ჩარხავს. რომ გაიზრდება, ალბათ, მთელ ქარხანას ჩაბარებენ.

— არა, ძმაო, — თქვა დემნამ, — უსწავლელ და გაუნათლებელ კაცს ქარხანას კი არა, ბრიგადასაც ვერ ანდობენ.

— რატომ უსწავლელს? — გაუკვირდა მოსეს.

— უჩას ორიანი აქვს და მეხუთე კლასში დარჩება. თუ, რა თქმა უნდა, საზაფხულო დავალება არ შეასრულა. დავალებაზე კი, როგორც ვატყობ, მაინცდამაინც არ ფიქრობს ძალიან გაიტაცა უფროსობამ.

— ჰოო, — თქვა ვილაცამ და ოთახში დუმილი ჩამოვარდა.

უჩამ არ იცოდა, თვალები სად წაეღო.

— ხომ არ გავათავისუფლოთ? — იკითხა მამამ.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა.

— ამის გარდა, დანაშაულიც აქვს ჩადენილი, რისთვისაც მკაცრად უნდა დაისჯოს. იცით თუ არა თქვენ, რომ ჩვენი მამასახლისი სახლიდან ვამოიპარა, ესე იგი უნებართვოდ წამოვიდა?

ახლა ყველანი უჩას მიაჩერდნენ. ეს, მართლაც, მძიმე დანაშაული იყო.

— გამოგვადგება ვითომ ასეთი მამასახლისი? — იკითხა დემნამ.

— მოდი, მაინც დარჩეს მამასახლისად, — თქვა მიხამ, — პირობით. მეც ხომ მაპატიეს პირობით. უჩა ჩემთან შედარებით ანგელოზია. თუმცა სახლიდან გამოპარვა მართლა მძიმე დანაშაულია...

— თქვენ რას იტყვით? შეეკითხა სხვებს დემნა.

უჩამ გულისკანკალით მოათვალიერა თავისი მრეველი.

— დარჩეს, — თქვეს სხვებმაც.

უჩამ შვებით ამოისუნთქა.

საზაფხულო დავალებას კი როგორ ვერ შეასრულებს. უჩამ რამე გულით მოინდომოს და გაუკეთებელი დარჩება? რა თქმა უნდა, არა.

რამდენიმე დღის მერე თინიკოს წერილი მოვიდა. მამას სახელზე გამოეგზავნა, მაგრამ მამა სამუშაოზე ახალი წასული იყო, სამი დღე დაგვიანდებოდა და უჩას სამ დღეს რა გააძლებინებდა. ადგა და გახსნა დის წერილი.

თინიკო იწერებოდა:

„მამა, გავიგეთ, რომ უჩა შენთანაა. დედა ძალიან გაჯავრებულია უჩაზე და მეც გაჯავრებული ვარ. ჩვენთვის არაფერი უთქვამს, ისე გამოიპარა.

მე და დედასაც ძალიან გვინდა შენთან ყოფნა. როდის აშენდება ქალაქი? როდის დაბრუნდებით შინ?

ახლა ხომ უჩაც შენთანაა. იცოდეთ, მალე ააშენეთ.

მამიკო, თუ გინდა, მეც ჩამოვალ და მოგეხმარები? აი, მაშინ კი მართლა მალე ავაშენებთ ქალაქს მე, შენ და უჩა!“



ციხეშერყდიანი რვეული

ყველას ეგონა, რომ მე და სიკო განუყრელი მეგობრები ვიყავით. უკვირდათ და, კაცმა რომ თქვას, მართლაც საოცარი იყო. მას ხომ ერთი კარგი მეგობარიც არ ჰყავდა; დიდი ხნით ვერავის ეგუებოდა და ხან ერთს ეჩხუბებოდა, ხან მეორეს...

უწინ მე დიდ პატივად მიმაჩნდა სიკოსთან ახლო ყოფნა. ალბათ იმიტომ, რომ ტანად ჩემზე გაცილებით დიდი იყო და ლონიერი, თანაც ისე დაუზარებლად მიყვებოდა ხოლმე თავის ხიფათიან თავგადასავალს, ისე გულწრფელად ცდილობდა ჩემს დარწმუნებას, რომ მე აღტაცებული ვიყავი მისი თავმდაბლობით, თუ შემატყობდა, რომ რამეში დავეჭვდებოდი, ძალიან ეწყინებოდა, არ გჯერა, მაშ, ამასა და ამას ჰკითხეო, მეტყოდა. ხან გარდაცვლილ დედასაც დაიფიცებდა. ვიცოდი, თავს მხოლოდ იმიტომ მიყადრებდა, ყოველთვის დიდი უურადღებით რომ ვუსმენდი და მისი „ვაჟკაცობის“ დამფასებელი ვიყავი. მე სრულიადაც არ მწყინდა ეს. პირიქით, ძალიან მიხაროდა და, თუმცა მისი ნაამბობიდან ნახევარზე მეტი აშკარა ტყუილი იყო, ჩემს დაეჭვებას არასდროს არ ვაგრძნობინებდი. მე მომწონდა მისი ბოხი ხმა, ჩაქულეტილი, ჭორფლიანი ცხვირი და გამომწვევი, თითქმის თავხედური ქცევა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ძალიან მამაცი და კარგი მოკრივე იყო.

დიდი მეგობრობა მაინც არასდროს არ გვქონია. მე მისი კარგი მსმენელი ვიყავი მხოლოდ და მის უპირატესობას ვაღიარებდი. რასაც სიკო განსაკუთრებით აფასებდა. ვგრძნობდი, რომ ჩვენ

ბევრი რამ არ გვქონდა საერთო, რომ ჩვენი სიახლოვე სულაც არ იყო შეგიბრუნა. მაგრამ ეს მაინცდამაინც არ მაწუხებდა მაშინ, რაც მთავარია, მას არ ეთაკილებოდა ჩემთან ყოფნა და ჩემთვის ესეც საკმარისი იყო.

შარშანწინ, მე რომ მეექვსეში გადავედი და ის კი მეშვიდეში დარჩა, პიონერხელმძღვანელმა სიკოს კარიკატურა დამახატვინა და კედლის ვაზეთში მოათავსა. მე მეცოდებოდა სიკო და ვცდილობდი, რაც შეიძლება ნაკლებსასაცილო გამოსულიყო მისი სურათი. ის კი იმ საღამოსვე, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიიდან რომ ვბრუნდებოდი (იქ მამაჩემი მუშაობდა), ჩვენი ქუჩის ბოლოში დამხვდა. სილა გამაწნა, შემდეგ წამაქცია და „მოწყალედ“ მითხრა, შენ იმის ღირსიც არა ხარ, კაცურად გცემო. ახლავე წიწილასავით დაგახრჩობო. დახრჩობით ვერ დამახრჩო, მე კი იმ დღიდან სამუდამოდ ავიყარე მასზე გული... მართალია, მალე შევრიგდით. მაგრამ უკვე აღარ მომწონდა არც მისი ბოხი ხმა და არც მოკრივის ჩაგულეტილი ცხვირი. უკვე აღარ მეჩვენებოდა ისე დიდი და ღონიერი და ისიც ვიცოდი, რომ ნამდვილი კრივის არაფერი გაეგებოდა.

წელს სიკო მერვე კლასში დარჩა, მაგრამ მე აღარ შემცოდებია და, თუმცა პიონერხელმძღვანელს ამჯერად არ დაუვალებია ჩემთვის, ისევ დავხატე მისი კარიკატურა, ქვეშ კი ჩვენი კლასის პოეტის გია კევლიშვილის ლექსი მივაწერინე.

ალბათ იგრძნო, რომ ახლა ისე ადვილად ვეღარ გამისწორებდა ანგარიშს, ამიტომ ჩხუბის ატეხა ვერ გამიბედა. თავი ისე მომაჩვენა, ვითომ იოტის ოდენადაც არ მწყინს ეს ამბავიო. ბოლოს კი დაუნდობლად გააკრიტიკა ნახატიცა და ლექსიც, თქვა, ასეთ სისულელეებს პირველკასელიც დაჯლაბნისო.

ღღეს მე თვითონ მოვდე შარი სიკოს და ჩხუბი ავუტეხე. სადგურიდან მოვდიოდით მე და გოგი: ბადრი და ლოლა გავაცილეთ; ისინი საზაფხულო არდადაგების გასატარებლად მამის სოფელში მიჰყავდა, ბებიასთან.

ბალის წინ, შადრევანთან, სიკო. რეზო და გივი დავინახეთ. გივიმ ხელი დაგვიქნია და ჩვენც მათკენ გავემართეთ. შემდეგ ყველანი ბაღში შევედით და მერხზე დავსხედით.

ახლა არც მახსოვს, რა მითხრა მაშინ სიკომ ისეთი, რაღაც უშნოდ კი იხუმრა. ბევრი არ დამიყოვნებია, ისედაც აღრენილი ვიყა-

ვი მასზე, მივედი და ვუთხარი, თუ ეული გერჩის, ადექი, ბალის ბოლოში ჩავიდეთ-ძეთქი. ბიჭებმა შერიგება დაგვიწყეს, მაგრამ ვგრძნობდი, უსაროდათ სეირის ნახვა. გოგი ზევით დავაყენეთ მეთვალყურედ, მოულოდნელად რომ ვინმე თავს არ წამოგვდგომოდა, და ჩხუბი დავიწყეთ. თავის იმედი მაინცდამაინც არ მქონდა, ძაგრამ არც იმის მეშინოდა, რომ სიკო გამლახავდა. უკვე ბევრჯერ მქონდა ნახული, რომ სიკო არც ისე კარგი მოჩხუბარი იყო, როგორც სხვებს ეგონა და როგორადაც თავს გვაჩვენებდა. თან ვერაფრით ვერ მომეგებინა ის ამბავი, მაშინ ბეკერში რომ მაკორავა...

...ვინ იცის, ალბათ, რამდენიმეჯერ სიკომაც მომახვედრა მუშტი, მე არაფერი მახსოვდა და არც არაფერს ვგრძნობდი. გარდა იმისა, რომ აუჩქარებლად და ჯიუტად ვცემდი სახეში. ის კი უკნუკან იხევდა და ალალბედზე იქნევდა ხელებს. ბოლოს, მაგრად მოქნეული მუშტი ნიკაპზე რომ მოვახვედრე და დაბარბაცდა, ეულში დაგუბებული ბრაზი და შეურაცხყოფის გრძნობა უეცრად სიბრალულმა შეცვალა. მე ხომ ვიცოდი, რომ ერთადერთი, რაც სიკოს გააჩნდა, იყო მისი სახელი, კარგი მოჩხუბრის სახელი: მხოლოდ ამის გამო თუ აფასებდნენ მას ბიჭები და ამასაც სამუდამოდ კარგავდა ახლა. იმ წუთში მართლა შემებრალა სიკო; ასე მგონია, ვილაცას ეძარცვავდი, ვილაცას ძალიან ლარიბსა და უმწეოს.

ჩხუბი დამთავრებულად ჩავთალე და შევდექი. სიკოც შეჩერდა და როგორც შევატყვე, მასაც უაზროდ მიაჩნდა ბრძოლის გაგრძელება. მაგრამ ამ დროს რეზო და გიგი მომვარდნენ და ხელებში მეცნენ. არ ვიცი, რატომ მოიქცნენ ასე, ჩვენი გაშველება უნდოდათ, თუ სიკოსთვის დახმარების გაწევა. მგონი, ისინიც კარგად ხედავდნენ, რომ რახან შევდექი, ცხადი იყო, ჩხუბის გაგრძელებას აღარ ვაპირებდი. ყოველ შემთხვევაში, სიკომ კარგად გამოიყენა ეს: მან დრო იხელთა, მომვარდა და სამჯერ ზედიზედ გამარტყა მუშტი სახეში. პირველი მარცხენა თვალზე მომხვდა, მეორე — პირზე და მაშინვე გამისკდა ქვედა ტუჩი; მესამე არ მახსოვს, სად მოვხვდა, ისევ თვალზე თუ პირზე. ტუჩებზე ენა მოვისვი და, სისხლის გემო რომ ვიგრძენი, კვლავ ამიტანა სიძულვილმა და ბრაზმა; უკან დავიწიე და გვერდით მდგარ რეზოს, მაგრად რომ მიჭერდა მარჯვენა ხელს, თავი სახეში მივარტყი. რეზომ ხელი მიშვა, გივიმაც გვერდზე გაიწია და ხელები გაასავსავა, თითქოს ამბობდა, რაც გინდათ. ისა ჰქენით, თუგინდ სულ დაგიხოცავთ ერთმანეთი. მე სიკოსკენ გავექანე. ის კი ბიჭებისაკენ იყურებოდა შემკრთალი და დასახვედრად ემზადებოდა. ამ დროს გოგიმ ხელების ქნევა ატეხა

თავის სათვალთვალოდან, გვანიშნებდა, მილიციელი მოღისო; თვითონ ბუჩქებში ჩახტა და გაუჩინარდა. ჩვენ ღობეს ვეცით, ქუჩაში გადავცვივდით და გავიფანტეთ...

წინა ოთახში ზარმა დაიწკრიალა. სარკე მაგიდაზე დავდე და უნებურად ერთხელ კიდევ მოვისვი ნატკენ თვალზე ხელი. კართან მივედი და გავაღე. აივანზე ოცი-ოცდაორი წლის ბიჭი იდგა, სამხედრო ფორმა ეცვა, მაგრამ ხალათზე სამხრეები აღარ ეკერა. ეს დათო იყო, ჩვენი ახალი მდგმური.

— თქვენა ხართ? — ვუთხარი მე. — მობრძანდით.

— ქვევით ბარგი მაქვს, — თქვა მან, — ახლავე ამოვიტან ოთახი თავისუფალია, არა? — თვალი აივნის ბოლოში პაწია სარკმლიან ვიწრო კარზე შეაჩერა.

— თავისუფალია, — მივუგე მე, — დაიცადეთ, მეც მოგეხმარებით. — კიბეზე ჩავედით. ძირს, ჭიშკართან, მაგრად შეკრული ქვეშაგები და ორი ჩემოდანი იყო. დათომ ჩემოდნებს მოჰკიდა ხელი, მე ქვეშაგები მოვიკიდე. კარგა მძიმე იყო, მაგრამ კვლავ ძირს დადება აღარ ვიკადრე.

— იყოს, — მითხრა დათომ, — ახლავე ავიტან და დავბრუნდები.

არაფერი მიპასუხია. ნელა, ბარბაცით ავყევი კიბეს.

— დედაჩემი სამსახურშია, — ვუთხარი, როცა აივანზე ავედი და ქვეშაგები დავდე, — ამ დილით ოთახი გამოასუფთავა, დაალაგა და დამიბარა, როცა უნდა, მაშინ დაბინავდესო.

შუადღე მოახლოებული იყო და ცხელოდა. ნელა, თავდახრილი მივყვებოდი ქუჩას. პურის მაღაზიას რომ ჩავუარე, ვიღაც მკლავში მწვდა. შევხედე. ჩემს წინ გოგი და გივი იდგნენ. ერთ ხანს სამივენი ვდუმდით და უსიტყვოდ შევყურებდით ერთმანეთს. ბოლოს გოგიმ დაარღვია სიჩუმე:

— ის ბიჭი ვინ არის?

— რომელი ბიჭი?

— შენთან ვიყავით, — თქვა გივიმ, — თქვენი სახლიდან ვიღაც ბიჭი გამოვიდა და გვითხრა, ზაზა შინ არააო.

— მდგმურია, სხვა ვინ იქნებოდა.

გივი მომიახლოვდა და ჩალურჯებულ თვალზე დამაკვირდა.

— უპ, შენც მაგრად მოგხვედრია...

— შენ სიკო ნახე, — თქვა გოგიმ. — სულ დასიებული აქვს ცხვირ-პირი. ვერ იცნობ.

— რეზო ძალან გაბრაზებულია შენზე, — მითხრა გივიმ, არ გაპატიებს იცოდე.

— შენც გეკუთვნოდა ერთი ისეთი... რას შემიკარით ხელები?

ერთბაშად მომეშვა გულზე. ისე უცებ გამიარა ბრაზმა, თვითონვე მიკვირდა. ალბათ იმის გამო, სიკო გალახულიაო, გოგიმ რომ თქვა. „რეზო თუ ასეა გაბრაზებული, ეტყობა, იმასაც მაგრად მოხვედრია“, — გავიფიქრე და დაეშვიდდი.

უხმოდ გავუყევით ქუჩას. ნავთის ფარდულთან ჩავუხვიეთ და მეორე ქუჩაზე გავედით. აქ რეზო ცხოვრობდა. რეზოსთან შერიგება არ მინდოდა, დარწმუნებული ვიყავი, გუშინ განგებ დამიჭირა ხელები. რატომღაც მაინც მივყვებოდი გივის და გოგის.

ქუჩის კუთხეში ხილ-ბოსტნეულის მაღაზია იყო. იქ ადრე მამაჩემი მუშაობდა, მაგრამ საქონელი დააკლდა და ახლა ციხეში იჯდა. მაღაზიას რომ ჩავუარეთ, ფარდულის სიღრმიდან დაბალი, მელოტი კაცი გამოვიდა და დამიძახა. მივიხედე. კაცმა ხელი დამიქნია, მოდიო: როცა მივუახლოვდი, მკითხა:

— მამაშენის საქმე როგორ არის?

— საში წელი აქვს მისჯილი, — მივუგე მე.

— ალალ-მართალი კაცი იყო, — ჩაილაპარაკა მან. — ტყუილად ჩავარდა.

თვალი მოვავლე გრძელ თაროებზე ჩამწკრივებულ ღია ყუთებს. ყუთებში კარტოფილი, პამიდორი, ვაშლი და კომბოსტოს მსხვილი თავები ეყარა. მარჯვენა მხარეს დახლზე საზამთროები ეწყო. ერთი საზამთრო შუაზე იყო გაჭრილი და მწიფე, წყლიან გულს ბუზები ეხვეოდა. ზედა თაროებზე კონსერვები და მწნილიანი ქილები ელაგა, ღვინით, ლიქიორითა და არყით სავსე ბოთლები იყო გამწკრივებული. მაღაზიის სიღრმეში გაუხსნელი ყუთები ეწყო, იქვე იდო ღვინის დიდი კასრი, ზედ რეზინის მსხვილი მილი იყო გადადებული. ამ მილით ღვინოს ასხამდნენ ხოლმე კასრიდან. იქვე რამდენიმე პატარა სკამი და დაბალი, გრძელი ტაბლა მოჩანდა. როცა მამაჩემი აქ მუშაობდა, ხშირად დავდიოდი მაღაზიაში ვიცოდი, რატომაც იდგა ის დაბალი, გრძელი ტაბლა. ხშირად, ნაშუადღევიდან დაწყებული გვიან ღამემდე გრძელდებოდა ამ სუფრაზე ქეიფი. მამაჩემიც უერთდებოდა ხოლმე მოქეიფეებს, მე კი დახლთან ვიდექი და მყიდველებს ვისტუმრებდი.

— ალალ-მართალი კაცი იყო, — გაიმეორა მელოტმა კაცმა და შუახნის ქალს მიუბრუნდა, რომელიც ის-ის იყო მოადგა დახლს:— რა გნებავთ?

— პამიდორი მომეცით, — მიუგო ქალმა. შემდეგ ჩემკენ მოიხედა და ხმაბალდა დაუმატა: — კარგი ამირჩიეთ, თქვენ რომ იცით ხოლმე, ისეთი.

— რამდენი გნებავთ?

— სამი კილო, — მიუგო ქალმა.

ვიცოდი, მამა მართალი არ იყო, და მიკვირდა. ყველა იმას რომ იძახდა, ალალ-მართალიაო. თანაც ვგრძნობდი, ვინც ამას ამბობდა, კარგად იცოდა, დამნაშავე იყო თუ არა მამაჩემი. არ ვიცი, ვის ეპირფერებოდნენ ამით, მე, დედაჩემსა თუ მამაჩემს, ან საერთოდ, რად სჭირდებოდათ ეს.

მელოტმა კაცმა ქალალდის პარკი გამოართვა ქალს. მაღაზიის სიღრმეში დაწყობილ ყუთებთან მივიდა. ერთთან ჩაცუცქდა და პამიდორის ამორჩევას შეუდგა.

— წამოდი, რაღას უცდი, — მითხრა გივიმ და ხელი მომკიდა.

— არ მოვდივარ, თქვენ წადით, — მივუგე მე.

— წამოდი, იქნებ შეგარიგოთ რეზოსთან, თორემ ხომ იცი მისი ამბავი. არ გაპატიებს.

— მომშორდი ახლა, — გულმოსულმა ვუთხარი და გვერდზე გავდექი.

გივი და გოგი ერთ ხანს უსიტყვოდ იდგნენ. შემდეგ ერთმანეთს შეხედეს. რაღაც ჩაილაპარაკეს და წავიდნენ; ამასობაში მელოტი კაციც დაბრუნდა და პამიდორით სავსე პარკი სასწორზე დადო.

— ეს ბიჭი იმ კაცისაა, აქ რომ მუშაობდა. სამი წელი მიუცია!

— საწყალი. — თქვა ქალმა და დაკვირვებით შემომხედა, — უყურე, რამხელა გაზრდილა შარშანს აქეთ, მაშინ ხშირად ვხედავდი ხოლმე. ზოგჯერ მამამისის მაგივრად მუშაობდა.

სწრაფად მოვცილდი იქაურობას, ქუჩაზე გამოვედი და შინისაკენ გამოვწიე. სანამ ქუჩას გადავჭრიდი, მელოტი კაცის ხმა მომესმა: „ჭკვიანი ბიჭია. ჭკვიანი...“ რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ამ სიტყვებს განვებ, ჩემს გასაგონად ამბობდა ასე ხმამაღლა.

* * *

რამოენიმე თვის წინ მე და დედაჩემი საპატიმროში ვიყავით. ორივენი მოსაცდელში ვიჯექით გრძელ მერხზე და მამაჩემის გამოჩენას ველოდით. მალე დავინახეთ კიდეც. აუჩქარებლად შემო-

ვიდა კარებში და მერხზე დაჯდა დედაჩემის გვერდით. ცივი. უძრავი თვალები ჰქონდა და ოდნავ გაცრეცილი. მკაცრი სახე. დუმდა და პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა. მე ყოველთვის შეშინოდა მამაჩემის. მეშინოდა მისი ცივი თვალების. მისი დაბალი, ყრუ ხმის... წამოსვლის წინ ერთხელ კიდევ მივეცი თავს პირობა, არ შემშინებოდა მისი. მე ხომ დიდი ვიყავი უკვე და ვიცოდი. რასაც ვაკეთებდი, უფლება მქონდა მეკეთებინა ის, რისი გაკეთებაც მინდოდა. მე ხომ ყოველთვის მართალი ვიყავი მის წინაშე, ყოველთვის... მაგრამ დავინახე თუ არა მამაჩემის მკაცრი სახე, კვლავ ამიტანა იმ უცნაურმა, მძიმე შიშმა, ჯერ კიდევ სრულიად პატარამ რომ ვიგრძენი, როცა პირველად დავიწყე სკოლაში სიარული... მამაჩემმა სწავლის პირველ დღესვე მითხრა: „გარდა ხუთიანისა ნიშანი არ უნდა მიიღო. თუ ისწავლი, უნდა ისწავლო, — ან სულ ღაანებე თავი... ტყუილად დრო რატომ უნდა დაკარგო?“

მე კვლავ ამიტანა ამ გაურკვეველმა, მტანჯველმა შიშმა, საცოდავად მოვიბუზე და ოთახს დავუწყე თვალიერება. მამაჩემს თვალს ვარიდებდი, ვგრძნობდი, როგორ მიმზერდა იგი. მივხვდი, ახლა აუცილებლად მკითხავდა რამეს.

— მერვეში გადახვედი? — მომესმა უცებ.

— კი, — მივუგე მე, — გადავედი.

— ფრიადებით.

შევყოყმანდი. ფრიადებით კი არა, ერთი სამიანიც მერია. დაბნეულად შევხედე მამაჩემს მკაცრ, უძრავ თვალებში და ენის ბორძიკით ვთქვი:

— ფრიადებით არა... ოთხიანები მაქვს... — კვლავ შევყოყმანდი და დავუმატე: — ერთი სამიანიც...

„ახლა ვაჯავრდება, — გავიფიქრე მე, — აუცილებლად გაჯავრდება“.

მამაჩემს არაფერი უთქვამს. თავი მიაბრუნა და მორიგეს შეავლო თვალი, რომელიღაც ფანჯარასთან იჯდა და მოწყენით იცქირებოდა საპატიმროს ეზოში. წამით ქურდულად შევხედე მამას და მივხვდი, რასაც ფიქრობდა ახლა. „მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ სწორ გზაზე დამეყენებინე. შენ მაინც შენი გაიტანე ხომ, აბა, რაღა უნდა გითხრა. — როგორც გინდა, ისე მოიქეცი...“

ყოველთვის ვცდილობდი ფრიადოსანი ეყოფილიყავი, თუნდაც მხოლოდ მამაჩემის გულისთვის. მაგრამ მეოთხედის ბოლოს აუცილებლად წავიფორხილებდი ხოლმე რომელიმე საგანში. არ ვიცი, რატომ მემართებოდა ეს; ყოველ შემთხვევაში, მამაჩემი მართალი არ იყო, როცა ჩემს წარუმატებლობას „სხვა წიგნებსა“ და ხატვას

აბრალებდა. ვიცოდი, მამაჩემი ცდებოდა, მაგრამ როგორ დამერწმუნებინა, უკვე კარგა ხანია არაფერი სჯეროდა ჩემი, მისი აზრით, წიგნს, რომელსაც, საერთოდ, შეუძლია ადამიანს რამე მისცეს, ყდაზე აუცილებლად „სახელმძღვანელო“ უნდა ეწეროს, ასე სწამდა მამაჩემს. სხვა წიგნები კი ისეთივეა, როგორც, ვთქვათ კარტის ან ნარდის თამაში, ისინი დროს კლავენ, სარგებლობა კი არაფერი მოაქვთ, პირიქით, დროსაც ართმევენ კაცს და ჭკუასაც, აჩერჩეტებენ, ტვინს ულაყებენ... დიახ, ასე სწამდა მამაჩემს და შეურყეველი იყო მისი რწმენა.

ბევრჯერ ვცადე, დამემტკიცებინა მისთვის, რომ ცდებოდა, რომ სიცრუეს კი იყო ის, რასაც ფიქრობდა. მამაჩემი კი უფრო ბრაზობდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ნასვამი იყო: ნასვამი კი ძალიან ხშირად იყო, ძალიან ხშირად. ძალით მომისვამდა გვერდით, შუბლზე თითს დამადებდა და მეტყოდა: „კაცს ერთი ციცქნა ტვინი აქვს... აა, ამოდენა... შენ კი, შენ სულ არა გაქვს ტვინი... შენ გაკვეთილების სწავლაც გეყოფა...“

ზოგჯერ ისე აენთებოდა, რომ წამოვარდებოდა და მთელ ჩემს ბიბლიოთეკას გადაჩხრეკდა, „აკრძალულ ლიტერატურას“ გადაარჩევდა და კარადაში ჩაკეტავდა.

მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის იყო ჩემთვის, მამაჩემი ხატვას რომ მიშლიდა. იმის გარდა, რომ ამაზე უსარგებლო საქმე ქვეყანაზე არ ეგულებოდა, ხატვა მისთვის მეტად საშიში და სახიფათო ხელობა იყო. მამაჩემმა გაიგო, სიკომ კარიკატურის გულისთვის რომ მცემა, და მითხრა: ახია შენზე, უარესიც გეკუთვნოდაო. მე ერთხელ მამაჩემის კარიკატურაც დავხატე. გაბრაზებული ვიყავი და ვერ მოვითმინე. ისე კარგი გამომივიდა, დასახევად ვერ გავიმეტე და წიგნებში შევდე. ერთ-ერთი „ჩხრეკის“ დროს ნახა თავისი სურათი, გაცეცხლებულმა იქვე ნაკუწებად აქცია, სახლიდან გამაგდო, საღამოს კი დედაჩემმა ჩუმად გამიღო კარი და სამზარეულოში გამიშალა ლოგინი.

მეცოდებოდა მამაჩემი, რადგან იმედი გავუცრუე. დარწმუნებული იყო. რომ ჩემგან „კაცი არ გამოვიდოდა“, ჭკვიანი, მოხერხებული, ენერგიული, კაცური კაცი. მე ხომ ყველაფერს უხეიროდ და უშნოდ ვაკეთებდი. მეცოდებოდა მამაჩემი და ჩემი თავიც. ვცდილობდი. ისე გამეკეთებინა საქმე. როგორც მას უნდოდა, მაგრამ უარესი მემართებოდა. ბაზარში წავიდოდი და აუცილებლად ფუყი კაკალს ვიყიდდი; კიტრს მოვიტანდი და მაინცდამაინც ყველა მწარე გამოდგებოდა. გაცოფებული მამაჩემი ისევ პარკში ჩამიყრიდა ნავაჭრს და უკან გამაბრუნებდა: „წადი და დაუბრუნე მას,

ვინც მოგატყუა. თუ გინდა, ცხვირ-პირში მიაყარე. ისე არ მოხვიდე სახლში". წავიდოდი და ბაღში დავჯდებოდი. ბაბარში ხელმეორედ მისვლასა და ნავაჭრის ღაბრუნებას სიკვდილი მერჩია. კიდეც რომ მოვეკალი მამაჩემს, ამას ვერ გავაკეთებდი.

ზოგჯერ მეტყოდა: „თუ ამდენი ჯღაბნის დრო გაქვს, არაფერი გიჭირს, სკოლის შემდეგ ჩემთან ჩამოხვიდე და ერთი ნახევარი საათი მომეხმარო. საქმეს მაინც შეისწავლი, იქნებ როდისმე გამოგადგეს".

ჩავიდოდი თუ არა, ცოხცს მომცემდა, მაღაზიას დამაგვეევინებდა, შემდეგ ცარიელ ყუთებსა და ბოთლებს დამალაგებინებდა, ბოლოს პამიდორით სავსე ყუთათნ დამსვამდა და მეტყოდა: „კარგი აარჩიე და სახლში წაიღე". ზოგჯერ დახლს მომანდობდა, ქუჩაში ვინმე ნაცნობს დაინახავდა, გავარდებოდა, დაუძახებდა. ღვინო გავსინჯოთო, ეტყოდა, მაღაზიაში შემოიყვანდა: ღვინიანი კასრის გვერდით სუფრაზე მწვანილს, რამდენიმე ცალ ვაშლს, მწნილსა და პურს დააწყობდა, შემდეგ რეზინის მილით სურაში ღვინოს გადმოასხამდა და ნელ საუბარში დაცლიდა სტუმართან ერთად. მალე კიდევ შეემატებოდა ვინმე სუფრას და კვლავ აიესებოდა სურა. ცხრა საათზე სახლში გამიშვებდა. თვითონ კი, ღვინის „სინჯვით" გატაცებული, გვიანლა დაბრუნდებოდა შინ, ბარბაცით ამოვიდოდა კიბეზე, ხმაამოუღებლივ შემოვიდოდა ოთახში; თუ ფეხზე დაეხვდებოდა, გვერდით მომიჯდებოდა, ერთ ხანს უხმოდ მათვალიერებდა, მერე შუბლზე ხელს მიიდებდა და იტყოდა:

— საქმის გაკეთებას ჭკუა უნდა, გასაგებია? ჭკუა და არა ეს, — ზიზღით გაიხედავდა წიგნებისაკენ და განაგრძობდა საუბარს. ლაპარაკობდა დიდხანს, ძალიან დიდხანს და მაგონდებოდა სიკო. რომელიც მხოლოდ იმიტომ მიყადრებდა თავს, რომ კარგი მსმენელი ვიყავი. არ ვიცი, რატომ იყო მამაჩემი ასე გულახდილი ჩემთან, თავს იწონებდა იმით, რომ კარგად „აკეთებდა საქმეებს". თუ მაგალითი უნდოდა ეჩვენებინა; ალბათ, ერთიც და მეორეც. ყოველ შემთხვევაში, მე სამუდამოდ შემზიზღდა მისი „საქმეები". შემზიზღდა ყველაფერი ის, რასაც მამაჩემი ამბობდა და აკეთებდა. ამას გრძნობდა კიდეც, გრძნობდა მაშინ, როცა ფხიზელი იყო, და დარდობდა, ვატყობდი, ძალიან დარდობდა.

შემზიზღდა მამაჩემის მაღაზიაც და ის ხალხიც, იქ „ღვინის გასასინჯად" რომ შემოდიოდა ხოლმე, მაგრამ განსაკუთრებით შემძულდა იქაურობა ერთი შემთხვევის შემდეგ. ეს იყო წელს, ზამთარში, ცოტა ხნით ადრე, სანამ მამაჩემს დაიჭერდნენ.

ამ სტუმარს მეც ვიცნობდი. მისი შვილი, ალიკო აბულაძე, ჩემ სკოლაში სწავლობდა, მეათე კლასში.

ეს უხარმახარი, სქელი კაცი ძლივს დაეტია პატარა სკამზე. მამამ ელვის სისწრაფით გააწყო სუფრა და სურაში ღვინო ჩაასხა. ათიოდე წუთის შემდეგ ცალფეხა ხარახი აჩიკო გამოძვრა თავისი ფარდულიდან და მაღაზიის წინ ზმორება დაიწყო მოწყენილობით გაბეზრებულმა. დახლთან რომ დამინახა, „ზაზას გაუმარჯოსო", ბიჭოლანვე დამიძახა და ჩემკენ გამოემართა. მაღაზიაში შემოიხედა, გაწყობილი სუფრა და ღვინო რომ დაინახა, სწრაფად გაბრუნდა, თავისი ფარდული დაკეტა, მაღაზიას შემოუარა და უკანა კარებიდან შემოვიდა.

ძე დასლზე ვიყავი დაყრდნობილი, ქუჩაში ვიცქირებოდი და მათ საუბარსა და სიცილს ვესმენდი. რამდენიმე ჭიქა რომ დაცალეს, ალიკოს მამამ წყითი ჩემკენ გამოიხედა, სიცილი შეწყვიტა და ამოოხვრით თქვა:

— ეჰ, ჩემო სანდრო, ჭკვიანი ბიჭი ყოლია.

ალიკოს მამა ინჟინერი იყო. რაიონში მუშაობდა და ხშირად ვერ ჩამოდიოდა. მისი ცოლი, პატარა, გაძხდარი და კეთილი დეიდა ნინო, ყოველგვარ სურვილს უსრულებდა ხოლმე თავის ერთადერთ შვილს. ალიკო თავნება, ჯიუტი ბიჭი იყო და მშობლების არაფერი ესმოდა.

— შარშან ველოსიპედი ვუყიდე, ორ თვეში ისე მოაქცია, ჯართადაც არ გამოდგება. ახლა შემიჩნდა, მოტოციკლეტი მიყიდეო, დედამისს, იმ საწყალს, სული ამოხადა, უთხარი მამას, მიყიდოს თორემ სწავლას თავს დავანებებო.

— ერთი მე მომცა ხელში, ისე გავხედნიდი, — ჩაილაპარაკა მამაჩემმა.

— რომ ვუყიდო, ნამდვილად კისერს მოიტეხს სადმე. თუ გინდა, მოტორიანი ველოსიპედი იყოს, ის ხომ არ დამამტვრევსო. ვერაფერს გააგონებ.

— დიდი ამბავი, უყიდე მერე, — მიუბრუნდა აჩიკო, — მოტოციკლეტისაგან დამტვრეული კაცი ჯერ არ მინახავს. ნუ გეშინია, ფული კი გაქვს.

— შენ ადგილზე რომ ვიყო, ვუყიდი კი არა, ცხვირ-პირს ამოვუნაყავ, — ბრაზით თქვა მამაჩემმა და ჩემკენ გამოიხედა, — ესღა მაკლია ჩემმა ბალღმა თავის ნებაზე ირბინოს.

ალიკოს მამამ ღვინით სავსე ჭიქა აიღო, გამოსცალა და თქვა:

— დავუტოვე დედამისს ას ორმოცდაათი მანეთი, მეტი მოტორიანი ველოსიპედი არც ღირს... როგორც უნდათ, ისე მოიხმაროონ...

— ვაქკაცურად მოქცეულხარ, — თქვა აჩიკომ და ცალი ფეხი გაჭიმა, შემდეგ მოხრილნდა და კელულხე უფრო მოხერხებულად მოაყუდა შავი ყავარჯები, რომელიც ის იყო, ჩამოცურებას აპირებდა.

— ძალიან თავგასული კი ყოფილა, — თქვა მამაჩემმა.

ალიკოს მამამ კვლავ ამოიოხრა:

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ, ასე დამჯერე ბიჭი რომ გყავს...

— ზაზა ნამდვილი ქკეის კოლოფია, — ჩაიცინა აჩიკომ, ჩემკენ გამოიხედა და თვალი ჩამიკრა, — შენ რას იტყვი, ზაზა, მართალი ვარ?

აჩიკოს შევხედე და გამეცინა, შემდეგ მამაჩემის მკაცრ თვალებს შევეჩეხე და ღიმილი სახეზე შემეყინა. შეკეტილვე, მამაჩემი უკვე მთვრალი იყო, სიმთვრალის დროს კი ვერ იტანდა ხოლმე ჩემს ქებას. „ახლა აუცილებლად ჩემი „სულელური" წიგნების ამბავს მოკყვება". შიშით გავიფიქრე და ძალიან მომინდა, პირდაპირ დახლიდან გადავმხტარიყავი ქუჩაში და შინისაკენ მომეკურცხლა.

— დამჯერე კი არა... — ყრუდ ჩაილაპარაკა მამაჩემმა და ღვინო დაისხა. — ესეც ღიდი ბედოვლათი ვინმეა.

— რატომ, რა დაგიშავა, შე კაცო, — იწყინა აჩიკომ.

— მე რას დამიშავებს. გადაყვა უაზრო წიგნების კითხვასა და სულელური ნახატების ჯღაბნას... ყველაფერს რომ თავი დავანებო, სულ გამოჩერჩეტდა ამ ბოლო ხანს.

ალიკოს მამა გაოცებით უსმენდა, დროდადრო კი ჩემკენ გამოიხედავდა. საშინლად ავილეწე. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა; ვცდილობდი, არ შემემჩნია, რომ ყველაფერი მესმოდა; მოქეიფეებს ზურგი შევაქციე და ქუჩას დავუწყე თვალიერება. ისეთი სახე მივიღე, თითქოს სულ სხვა რაღაცაზე ვფიქრობდი და სულ ერთი იყო, რას იტყოდა ახლა მამა ჩემზე.

— დადის სულ გამოშტერებული და არაფერი ეყურება. ჩუთჯერ რომ ჩასძახო ყურში, მეექვსეჯერ შეიძლება შემოგსვლოს. თანაც ისეთი არეული თვალებით, ელდა გეცემა კაცს, ეს ბიჭი ხელიდან წასულაო. ეშმაკმა იცის. რაზე ფიქრობს, ან რა უტრიალებს თავში. ამ დილას საფეხელ დამავიწყდა და ღაეუძახე. გამომიტანე-მეთქი. მთელი საათი ეძება. მთელი საათი, მე კი ვუცდი და გულზე ვსკდები. ბოლოს ოთახში შევედი და ვხედავ, ეს ვაებატონი დადის ერთი კუთხიდან მეორეში. ხელში სახატავი რვეული და ფანქარი უჭირავს, დროდადრო შეჩერდება, გაუსვამს ფანქარს და სიარულს განაგრძობს. მე რომ დამინახა, დაიბნა, წაავლო ხელი ჯაგრისს, რომელიც იქვე ღუმელთან იყო და ვამომიწოდა... ეგაა,

ბიჭო, საფულე-მეთქი?.. „საფულე? საფულე?.. — ლუღლუღებს, — ამ წუთში მოგიტანთ...“

მათკენ გავიხედე, აჩიკო თვალებგაფართოებული შეჰყურებდა მამაჩემს. შემდეგ ხარხარი აუტყდა. ალიკოს მამასაც გაეცინა.

მეორე დღეს, აჩიკოს ფარდულთან რომ ჩავიარე, ძახილი მომესმა: „ზაზა ჯაგრისი, ჯაგრისი!“ ცოტა ხნის შემდეგ კი რამდენიმე კაცის ხმამაღალი სიცილი გავიგონე. ჩანდა, აჩიკო მის ფარდულში თავშეყრილ უსაქმურებს ამ ახალ ანეგდოტს უყვებოდა...

* * *

დილით ადრე გამომეღვიძა, ფანჯარა ღია იყო და ოთახი გრილ, სუფთა ჰაერს აევსო. კედლის საათს შევხედე. შვიდი სრულდებოდა. რომ აღარ დამეძინა, ავდექი და ტრუსის ამარა აივანზე გამოვედი.

ძირს, ონკანთან, დათო იდგა და ვარჯიშობდა; ხან ერთ ფეხს მოკეცავდა და ჩაჯდებოდა, ხან — მეორეს. შემდეგ ხელების ქნევასა და ხტუნვას მოჰყვა. უცებ აივნისაკენ გამოიხედა, ვარჯიში შეწყვიტა და გაიღიმა.

— ჩამოდი, — მითხრა მან, — ჩამოდი, რაღას უყურებ, — ონკანი მოუშვა და პეშვი შეუშვირა. უნდოდა ჩემთვის შემოეშხეფებინა, მაგრამ ვეღარ მომაწვდინა და ახლა თვალით წყლის ჭურჭელს დაუწყო ძებნა.

— კარგი, ჩამოვალ, — ვუთხარი მე და ზანტად, ზმორებით ჩავედი კიბეზე.

დათომ კვლავ გაავსო პეშვი და ცივი წყალი შიგ სახეში შემომასხა. დავიღრიჯე და უკან გადავხტი.

— ერთი, ორი, სამი... ერთი, ორი, სამი... — ითვლიდა დათო და ხან ჩაჯდებოდა, ხან ადგებოდა.

— წუხელ არაფრით არ დამეძინა, — ვუთხარი მე, — შემდეგ ავდექი და რაღაც დავხატე... გინდა განახო?

დათომ პერანგი გაიხადა და ტანი ონკანს შეუშვირა. წყალი მძლავრად მოსჩქეფდა და ძირს დაგებული ცემენტიდან შორს იფანტებოდა შხეფები. სულ დაუსველდა შარვლის ტოტები.

დათო ქშინავდა და ფრუტუნებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაამთავრა, ონკანი ღაკეტა, იქვე თოკზე გადაკიდებულ პერანგს ხელი დააცლო და კიბეზე აირბინა.

უხალისოდ შეეუდექი პირის ბანას. მერე მეც კიბეზე ავედი, აივანი გავიარე და დათოს ოთახში შევიხედე. დათო მაგიდასთან იდგას, ტანსა და სახეს ფართო პირსახოცით იმშრალებდა და თან იქვე კედელზე მიკრულ ქაღალდს შეჰყურებდა, რომელიც საოცრად გრძელი, ჩემთვის სავსებით გაუგებარი ფორმულებით იყო სავსე. ხმამაღლა კითხულობდა ფორმულებს და მერე რამდენიმეჯერ იმეორებდა:

— ტანგეს.. .კოტანგეს... სინუს... კოსინუს...

დაბინავდა თუ არა, დათომ სულ თხუთმეტიოდე წუთში ის კედელი, რომელზეც მისი პატარა მაგიდა იყო მიდგმული, რვეულიდან ამოჭრილი უჯრედებიანი ფურცლებით გაავსო. ქაღალდები ფიზიკასა და მათემატიკის სახელმძღვანელოებიდან ამოწერილი ფორმულებით, გერმანული სიტყვებითა და გრამატიკული წესების სქემებით იყო აჭრელებული.

დათომ პირსახოცი ლურსმანზე ჩამოკიდა და ჰერანგი ჩაიცვა. შემდეგ ასანთი აიღო, თან მექანიკურად იმეორებდა: „სინუს ალფა უდრის.. კოსინუს ბეტას...“

— ჰო, მართლა, — თქვა უცებ, — შენი ნახატი არ მოიტანე?

— ახლავე მოვიტან, — ვუთხარი მე და გამოვბრუნდი.

— ოღონდ, თუ ძმა ხარ, კიდევ იმ უბედური აჩიკოს კარიკატურა არ იყოს...

— გამოიცანი, —ვუთხარი სიცილით. რაკი იმედი გამიცრუვდა, რომ გავაოცებდი, — სწორედ მისია...

აჩიკოს მხარზე გრძელი შამფური ჰქონდა გადებული, რომელზედაც შემწვარი ვარიებივით იყო აცმული უამრავი ძველისძველი დახეულ-დაგლეჯილი ფეხსაცმელი. ცალ ხელში ცარიელი არყის ბოთლი ეჭირა. აჩიკო ფეხების წრეში იდგა. ფეხები ხტუნვით უვლიდნენ გარს და არ უშვებდნენ ცალფეხა ხარაზს მაგრად შეკრული წრიდან. ქვეშ მსხვილი ასოებით მქონდა მიწერილი: „აჩიკოს სიზმარი ნაბახუსევზე“.

— სისულელეა, — გაეცინა დათოს, — მოეშვი იმ კაცს, ეწყინება.

— უბედურებაც იასაა, რომ არაფერი არ სწყინს, — ვუთხარი მე.

— აბა, წადი ახლა, — მითხრა დათომ ნახატის დათვალიერებას რომ მორჩა, — შენი ხმა არ გამაგონო ამ სამი საათის განმავლობაში. თუ გინდა, დრო დაინიშნე. მერე კი ჭადრაკს გეთამაშები.

რვეული ავიღე და აივანზე გამოვედი.

ბალში ვიჯექი და შორიდანვე ვხედავიდი, როგორ მოაგორებდა ალიკო ხელით თავის ველოსიპედს. შადრევანთან რომ მოვიდა, ველოსიპედი იქვე, რკინის ღობეზე მიაყუდა და წყალი დალია. შემდეგ ბაღში შემოიხედა. მე რომ დამინახა, შევატყვე ეწყინა, მოიღუშა და გაფუჭებული ველოსიპედისკენ გააპარა თვალი. მერე გამარჯობა მითხრა და, რაკი დარწმუნდა, რომ მშვენივრად ვხედავდი, როგორ მოათრევდა ველოსიპედს, თითქოს თავს იმართლებსო, ჩაილაპარაკა:

— გასაწმენდია... ბენზინს კარგად არ აწოდებს...

და ველოსიპედს კირკიტი დაუწყო. რამდენიმე წუთში მოტორი ამუშავდა. ალიკომ თავისუფლად ამოისუნთქა და ამაყად შემომხედა. შემდეგ შეჯდა და ალმართს შეუდგა. მაგრამ ოციოდე მეტრიც არ ექნებოდა გავლილი, კვლავ ჩაქრა მოტორი. ძირს ჩამოვიდა და კვლავ ხელით წაიყვანა, თან ჩემკენ დაიწყო ყურება. ბოლოს შეჩერდა და დამიძახა:

— მოდი რა, მომეხმარე.

ნაბიჯს ავუჩქარე და მალე დავეწიე. ორივემ მოვკიდეთ ხელი ველოსიპედს. ალიკო საშინლად გულმოსული და დაღლილი იყო. უხმოდ მიედიოდით.

უცებ ზემოდან მომავალი სიკო დავინახე, მან შეგვნიშნა თუ არა, ქუჩა გადმოკრა და ჩვენკენ წამოვიდა.

— გაფუჭდა? — ჰკითხა ალიკოს, როცა მოახლოვდა.

— არა, — მიუგო ალიკომ, რაკი შეატყო, რომ სიკოს მაინცდამაინც არ სწყენია მისი ველოსიპედის გაფუჭება. — რაღაც გაეჩხირა, — ბენზინს არ აწოდებს.

— სად იყავი? — იკითხა შემდეგ სიკომ.

— ვსეირნობდი. მაგრამ...

— შენც? — ახლა მე მომიბრუნდა.

— მე? არა, მე ბაღთან შევხვდი.

მთელი კვირა გავიდა მას მერე, რაც სიკოს ვეჩხუბე. ვერიდებოდი მასთან შეხვედრას და მეგონა, არც თვითონ მოიწადინებდა შერიგებას. გამიკვირდა, ისე მშვიდად რომ დამიწყო ლაპარაკი, თითქოს ჩვენს შორის არაფერიც არ მომხდარიყო. გადაწყვეტილი მქონდა, აღარ შევრიგებოდი. მაგრამ ახლა, ასე უყოყმანოდ რომ გამცა ხმა, წამით სულ გადამავიწყდა, რაც წყენა მოეყენებინა ჩემთვის.

სიკომ ხელი მოკიდა ველოსიპედს. საკე მიატრიალ-მოატრიალა.

შემდეგ უკანა ბორბლის საბერავს რამდენჯერმე მსუბუქად მიარტყა ფეხი და თქვა:

— არ ღირდა ამის ყიდვა, ტყუილად გადაიხარჯა ფული.

— ო, ცოტაც რომ დაემატებინა, მოტოციკლეტს იყიდდა, — დაეუმატე მე. ამ სიტყვებით მინდოდა სიკოსთვის მეგრძნობინებინა, რომ მეც სიამოვნებით დაკიდებდი ყველაფერს ცეცხლს, რაც ჩვენ შორის მოხდა.

ალიკომ ხელი გაიშვერინა სიკოს საკეთებლად და ფულმოსულმა თქვა:

— თქვენც გიოლნიათ... ეს ზოგჯერ მოტოციკლეტს სჯობია კიდეც. ხელავ? პედალებიც აქვს და თან რა მსუბუქია. მოტოციკლეტი თუ გაგიფუჭდა, თავისუფალი ხარ, ალაბალიდან ვერ დასძრავ. ველოსიპედს კი, თუ კარგად მოუვლი, შეუძლია მოსკოვშიც ჩაგიყვანოს.

— ოჰო, მოსკოვში, — ჩაიცინა სიკომ, — შენ ხომ ერთი ხუთჯერ მაინც ჩაისეირნე იქ შენი ველოსიპედით.

— რას იცინი, — უფრო კაბრაზდა ალიკო, — იმ სიშორეზე, რა თქმა უნდა, მარტო არც წავალ, მაკრამ უფრო ახლოს — კი. გუშინ გორში ჩავედი და თითქოს არაფერი, ერთელაც არ ჩამქრობია მოტორი!

სიკო ერთ ხანს ღუმდა და უფრო ყურადღებით ათვალიერებდა ველოსიპედს, ეტყობოდა, ალიკოს ნათქვამი დაიჯერა.

— არა, თუ მოუვლი, არა უშავს, — დინჯად თქვა ბოლოს, — ოღონდ, შენ ძალიან მალე დაამტვრევ.

— არაფერიც არ დამიმტვრევია. — გაცხარდა ალიკო, — იმ დღეს ფრთა გაელუნა მხოლოდ. შეხედე. არც ეტყობა... გავასწორე და მორჩა.

— ძალიან კი დაეცი მაშინ, — ვუთხარი მე, — ახლაც გეტყობა ნიკაპზე.

ამაზე ალიკოს არაფერი უთქვამს. მარცხენა ხელი საჰეს შეუშვა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

— წამომყევით, — შემოგვთავაზა ბოლოს, — მოტორი უნდა მოვხსნა და გავწმინდო... შემდეგ გასეირნებთ, არ გინდათ?

შევყოყმანდი. უკვე რამდენჯერ მომატყუა ასე ალიკომ. დამპირდებოდა, გასეირნებო, შემდეგ რაღაცას მოიგონებდა და თავიდან მომიშორებდა. კაცმა რომ თქვას, ველოსიპედზე ჯდომა არც კი ვიცოდი. როგორ ვეხვეწებოდი, ალიკოს, რა არ გავუკეთე იმისათვის, რომ ველოსიპედის მართვა მაინც ესწავლებინა. დავიწყებდით, რამდენიმე წუთს ვიწვალებდით და წამექცეოდა თუ არა ველოსიპედი, მაშინვე წუწუნს ატეხდა, ეს გაუტყდა და ის კაეფეკეფდა, სხვა

დროს განვაგრძოთო, და ასე დამთავრდებოდა ჩვენი გაკვეთილი. მეც, რაკი შევატყობდი, რომ საშინლად ეზარებოდა, აღარ ვაწუხებდი ხოლმე.

სიკო მაშინვე დასთანხმდა და ველოსიპედს მარცხნიდან მოუარა. ბოლოს მეც გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ მესინჯა ბედი, და გავყევი.

— სკოლას რომ დავამთავრებ, — ტრაბახობდა გზადაგზა ალიკო, — მამაჩემი მოტოციკლეტს მიყიდის, „იეს". იცით, რომელია „იეი"?

— როგორ არ ვიცი, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა სიკომ და წამით მომაგონდა, რომ სიკოს მოტოციკლეტის ყიდვა კი არა, ველოსიპედის ყიდვაც კი განუხორციელებელ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, ისე ღარიბად ცხოვრობდა. მას მერე, რაც დედა მოუკვდა, მამამისი სოფელში წავიდა სამუშაოდ. ორი წელი რომ გავიდა, ცოლი შეირთო და იქ დასახლდა. ამის შემდეგ იშვიათად ჩამოდიოდა შვილთან და სიდედრთან. ხანდახან ფულს თუ გამოუგზავნიდა მათ, ეს იყო და ეს. ისინი ამ ფულითა და ბებიას პენსიით ირჩენდნენ თავს.

ეზოში ორი სკამი გამოვიტანე, ერთზე დაფა დავდე, დაფაზე კი სახატავი ქაღალდი დავამაგრე ქინძისთავებით, მეორე სკამზე მე დავჯექი და ფანქრები წინ დავილაგე. უეცრად ყველაფერი დამავიწყდა, რაც მოფიქრებული მქონდა, თუმცა... მგონი, არაფერიც არ მქონდა მოფიქრებული; რაღაც მინდოდა დამეხატა, ძალიან მინდოდა და მეგონა, ყველაფერი უკვე მოფიქრებული მქონდა; ყოველთვის ასე მემართება ხოლმე, სანამ ხატვას დავიწყებ, არასოდეს არ ვიცი წინდაწინ, რა დავხატო. ეს მერე მაგონდება, როცა ფანქარს ავიღებ და სუფთა ქაღალდს მივაშტერდები. ან არაფერიც არ მომაგონდება, მალე ხატვის სურვილიც გამივლის ხოლმე და იმედგაცრუებული. უკვე ვერაფრის გაკეთებას ვეღარ ვახერხებ. ქუჩაში უაზროდ დავეხეტები და ასე მგონია, ახლახან რაღაც ვიპოვე, რაღაც ძალიან კარგი და ისევ დავკარგე, სამუდამოდ დავკარგე...

დათომ თითქმის ყველა ნახატი დამიწუნა. ხატვა კი შეგძლებია, მაგრამ ძალიან უაზრო თემები გაქვსო. ნეტავ რა უნდა დავხატო ისეთი რომ უაზრო არ იყოს, ვფიქრობდი მე და ფანქრებს ვაწვალებდი. საინტერესო და უბრალო... რა იქნება საინტერესო და უბრალო? დათომ მითხრა, თუ რამე საინტერესოს დახატავ, შეიძლება

მცოდნე ხალხს აჩვენო, ვინ იცის. იქნებ რომელიმე ჟურნალშიც გამოგიქვეყნონო, შენი სურათები კი არც ერთი არ ეარგა; ყველა უცნაურია და რაღაც ისეთი, თითქოს საიდანღაც გადმოუხატავსო, ასე თქვა დათომ... უბრალო უნდა იყოს, ძალიან უბრალო და შინაარსიანი, მთავარია შინაარსი...

„ჩემი ქუჩა?..“ იმ მხარეზე გასტრონომი და პურის მაღაზია. მაღაზიაში თეთრხალათიანი გამყიდველი. შემდეგ — სახლების მწკრივები ორივე მხარეზე და ბოლოს — ნავთის ფარდული. იქვე რამდენიმე ქალი დგას ნავთის ჭურჭლით ხელში. ახალგაზრდა ქურთ ქალს, რომელიც ნავთს ყიდის, ხელი გაუშლია და ხურდას ითვლის... იქნება ეს უბრალო და საინტერესოა?

ვერაფერი მოვიფიქრე. ბოლოს გულმოსულმა ფანქარი დავდე, ავდექი და ქუჩაში გამოვედი.

პურის მაღაზიის ზევით, სვეტზე, დიდი საათი ეკიდა. საათს შევხედე და გავიფიქრე: „საათი და ოცი წუთი დარჩა“. ერთ ხანს უმიზნოდ ვიდექი და გამვლელებს შევყურებდი, მერე კვლავ შევავლე თვალი საათს და შევნიშნე — დიდი ისარი რვიანიდან ცხრიანზე გადასულიყო. „კიდევ საათი და თხუთმეტი წუთი... შემდეგ დათოს ჭადრაკს ვეთამაშები“.

ცხვირწინ ტაქსიმ ჩამიქროლა და მეზობელი სახლის წინ გაჩერდა. მანქანიდან ქალი და კაცი გადმოვიდნენ. კაცმა ქაღალდის ფული გაუწოდა შოფერს. შოფერმა მადლობა გადაუხადა და მანქანა დაძრა. მანქანამ დალმართში ჩაიქროლა და ქარისაგან მოტანილი სქელი, რუხი მტვერი გაიყოლა.

„რა კარგად თამაშობს დათო ჭადრაკს, — ვფიქრობდი მე, — უდედოფლოდაც კი მომიგო... აი, ასეთი თამაში რომ ვიცოდე, სეირს ვაჩვენებდი ჩვენს ტრაბახა ჩემპიონს“.

ყოველთვის მიკვირდა, როგორ თამაშობდა ჩვენი სკოლის ჩემპიონი, მეცხრეკლასელი სოსო აბრამიშვილი, ასე ჭადრაკს. ყველა ამბობს, ვინც ჭადრაკს კარგად თამაშობს, აუცილებლად ჭკვიანი, ბეჯითი და მშვიდი უნდა იყოსო, სოსო კი ჩხუბისთავი და ზარმაცი იყო. თითო კლასში ყოველთვის ორ-ორ წელს იჯდა ხოლმე...

საათს შევხედე. ახლა ერთიანს გასწორებოდა დიდი ისარი. მომწყინდა ქუჩაში დგომა, ჭიშკარი გავაღე და ეზოში შევედი. ეზო ზანტად გადავჭერი, დათოს ოთახს მივუახლოვდი და ყური მივუგდე. იქიდან წყნარი ბუტბუტი ისმოდა.

„რამდენს მეცადინეობს“, გავიფიქრე ჩემთვის და კიბეზე ჩამოვჯექი...

ქუჩის შუაგულში მუშებს ღრმა თხრილი ვაეყენანათ. თხრილის დასაწყისში ექსკავატორი იდგა. თავის ტვინეულებელი ბუშვით თხრილის ნაპირებზე მიწასა და ასფალტის ნამსხვრევებს სვეტავდა და თხრილში ყრიდა; შემდეგ შიგ ჩყოფდა ციცხვს და მიწით სავსეს თვითმცლელზე ამხობდა.

სიკო მეორე ნაპირზე აპირებდა გადასვლას. მე რომ დამინახა, მაშინვე ჩემკენ წამოვიდა. რატომღაც ძალიან გახარებული ჩანდა.

— რა კარგია, რომ შემხვდი, — მითხრა მოსელისთანავე.

— რატომ?

— რაღაც უნდა მოვილაპარაკოთ... ახლა გოგისთან მივდივარ. შემდეგ კი რეზოსთან ავიდეთ, გვეი ხომ არსაღ დაგინახავს?

— არა, — მივუგე მე და ვამიკვირდა. ნეტავ რა აქვს ასეთი სათქმელი, მთელი უბნის ბიჭებს რომ უყრის-მეთქი თავს.

— შენ არ დამხვდა... ახლა სწორედ იქ ვიყავი... შენ აქ დამიცადე, გოგისაც გამოვიყვან...

სიკო თხრილზე გადახტა, წამით ჩახედა შიგ გაწოლილ წყალსადენის მსხვილ მილს და ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდა. უცებ შედგა, მკვეთრად შემოტრიალდა და იქვე მდგარ ახალგაზრდა მუშასთან მივიდა.

— გოგი შინაა? — ჰკითხა მუშას.

მუშამ თავი ასწია, სიკოს ახედ-დახედა, შემდეგ მეც შემავლო თვალი და წყნარად თქვა:

— რახან თქვენთან არ არის, რა თქმა უნდა, შინ იქნება.

სიკო უსიტყვოდ მიბრუნდა და ის იყო წასვლას აპირებდა, რომ მუშამ დაუმატა:

— გოგისთან მიდიხარ?

— ჰო.

— ცოტა ჭკუით მოიქეცით, გესმის? თორემ ერთ მშვენიერ დღეს ორივეს ვაგისიებთ ცხვირს...

— რატომ? — გაიკვირვა სიკომ.

— კარგად იცით, რატომ... ახლა წადი და რაც გითხარი, არ დაგავიწყდეს.

სიკომ რაღაც ჩაილაპარაკა და ქუჩას გაუყვა. შემდეგ მარჯვნივ მოუხვია და ეზოში შევიდა.

ერთ ხანს ვუცადე, რომ არ გამოჩნდნენ, ჭიშკართან გავჩერდი. მალე სიკო და ვოვიც ვამოვიდნენ ქუჩაში.

— შენი ძმა რაზეა გაჯავრებული? — ჰკითხა მაშინვე სიკომ.

გოგამ ვამარჯობა მითხრა და სიკოს მიუბრუნდა:

სერგო?.. რაო, გითხრა რამე?

— დამემუქრა, თუ ჭკუით არ იქნებით, ორივეს გცემოთ.

— იმ დღეს ადმინისტრატორმა კინო რომ დაგვატოვებინა, გახსოვს? ვიღაცას ეუცხიეართ და სერგოსთვის უამბნია. დედასთან და მამასთან არაფერი უთქვამს, არ გამამხილა, მაგრამ თვითონ შავი დღე მაყარა, კინაღამ მცემა.

სიკო ერთ ხანს დუმდა, მერე გაჯავრებით თქვა:

— აბა, ერთი ხელი მახლოს!

— სულ შენი ბრალი კი იყო... ხომ გეუბნებოდი. გაჩუმდი-მეთქი.

— უთხარი, სიკოს ბრალი იყოო?

— არა, არ მითქვამს, მაგრამ ხომ შენი ბრალი იყო. მე რა შუაში ვიყავი.

— კარგი ახლა. გეყოფა წეწეული. — შეაწყვეტინა სიკომ. — დიდი ამბავი მომხდარა. რა მშიშარა ხარ.

მე უხმოდ მივყვებოდი მათ და კვლავ იმაზე ვფიქრობდი, რა უნდა ჰქონოდა სიკოს ჩვენთან სალაპარაკო. არაფერს ვეკითხებოდი, რადგან ვიცოდი. სიკო წინდაწინ არაფერს გაამხელდა. რეზოს სახლს რომ მივუახლოვდით, გოგი წამით შეჩერდა და სიკოს ჰკითხა:

— სულ ეგ იყო შენი სათქმელი? მაგისთვის წამომიყვანე?

— მოიცა, ჯერ რეზოს დავუძახოთ.

რეზო ეზოში იდგა. რეზინის გრძელი მილი წყლის ონკანზე მიემაგრებინა და იქვე, სახლის წინ, ბაღჩას რწყავდა. ჩვენ რომ დაგვინახა, ონკანთან მივიდა და გადაკეტა. შემდეგ რეზინის მილი დაახვია და იქვე, სარდაფში შეიტანა.

— მარტო ხარ სახლში? — ჰკითხა სიკომ.

— მარტო ვარ, — მიუგო რეზომ. — კარგია. რომ მოხვედით.

— შენი და საღლაა? — ჰკითხა კვლავ სიკომ.

— ამხანაგებმა კინოში წაიყვანეს, — მიუგო რეზომ და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, — ავიდეთ ზევით, ხომ ხედავთ, რა სიცხეა.

ოთახში გრილოდა. რეზომ სურას მოჰკიდა ხელი და ცივი წყლის მოსატანად გავიდა. შემოვიდა თუ არა, სიკომ მაშინვე ჭიქა შეაგება, დაასხმევინა და ნახევარი ჭიქა დალია. ყველანი მას შევყურებდით და ველოდით, რას ვეტყოდა.

— გინდათ, ბიჭებო, ტბაზე ავიდეთ, — თქვა ბოლოს ვოლიმ. — თან ანკესები წაიღოთ. აქ რა გაგვაძლებინებს ამ სიცხეში. ან — თბილისი ზღვაზე. რას იტყვით, ა?

— იმ აღმართში ასვლა არ გინდა? თანაც ვერც ვერაფერს დავიჭერთ. მთელი დღე რომ დააღამო, შეიძლება ათიოდე ცალი ლიფსიტა მოაგროვო. მაშინაც ასე არ მოგვივიდა? თქვა რეზომ.

— ვიბანავებთ, — თქვა გოგიმ, — და თევზაობით გავერთობით, თორემ, აბა, რა უნდა დავიჭიროთ იმდენი, ისიც ანკესით.

— მოეშვით მაგ თევზებს, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო სიკომ, — მე ერთი ახალი ამბავი ვიცი, თუ გინდათ, თქვენც გაგიმხელთ.

— აბა? — შეეკითა რეზომ.

— ალიკო ველოსიპედს ყიდის...

— ყიდის?

გაოცებული შეეყურებდით სიკოს, ყველამ ვიცოდით, როგორ იწონებდა თავს ალიკო თავისი ველოსიპედით, ვიცოდით ისიც, თუ როგორ გაუჭირდა მამის დაყოლიება, როცა ყიდვას აპირებდა.

— ახლა მოტოციკლეტზე უჭირავს თვალი, — განაგრძო სიკომ. — დედა უკვე დაიყოლია. ალბათ მამასაც დაითანხმებს...

— მერე, შენ რა გიხარია, ის თუ ყიდულობს, — თქვა გოგიმ, — ჩვენ ახლოს მაინც არ გაგვიკარებს, ხომ იცი მისი ამბავი.

— ჩვენ მის ველოსიპედს ვიყიდით, — შეაწყვეტინა სიკომ. — იაფად გამოვართმევთ. ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ დიდხანს ატარა, ალბათ სამოცი-სამოცდაათი მანეთი გვეყოფა. მოვაგროვებთ ყველანი, ისე რომ სახლში არ გავამხელთ. ველოსიპედს ჩემთან შევინახავთ ხოლმე, სარდაფში. ბებიაჩემი ვერც გაიგებს, ჩვენია თუ სხვისი, თუ გინდა გაიგოს, ყურებზე ხახვი არ დამაჭრას.

სიკომ დაამთავრა სათქმელი, ამაყად შემოგვხედა, შემდეგ წყალი დაისხა და დალია, თან ყურადღებით გვადევნებდა თვალს, ხან ერთზე შეაჩერებდა მზერას, ხან — მეორეზე. თითქოს ამბობდა: „ყველაფერი მოვიფიქრე. უნდა დამემორჩილოთ ყველანი და ველოსიპედი ჩვენს ხელში იქნება“.

ჩვენ ვდუმდით, ვფიქრობდით, როგორ უნდა გვეშოვა ხუთ კაცს ამდენი ფული. რატომღაც არც ერთს ერთი წუთითაც არ მოგვსვლია აზრად ხელი აგვეღო ისეთ „კომფორტზე“, როგორიც ველოსიპედი იყო. მე უფრო შორს წავედი, უკვე იმაზე ვოცნებობდი, თუ რა ადვილად ვისწავლიდი ველოსიპედის ტარებას, როგორ დამემორჩილებოდა ეს პატარა, ჯიუტი მანქანა, რომელიც წინათ, როგორც კი იგრძნობდა, რომ უნაგირზე მე ვიჯექი. უცნაურად გაოჩნდებოდა ხოლმე, ან მაინცდამაინც ორმოებისა და თხრილებისაკენ

გაემართებოდა და სწორედ იმ ხესა და სვიტს ეჯახებოდა. მთელი ძალ-ღონით რომ ვცდილობდი ამეცილებინა.

სიკოს გეგმა კი საკმაოდ გაბედული და პრაქტიკული იყო. მას ყველაფერი გამოანგარიშებული და აწონ-დაწონილი ჰქონდა. მისი აზრით, ყველაზე უფრო ადვილი ფეხბურთისა და კინოს ბილეთების ყიდვა-გაყიდვა იყო. ამაზე დიდხანს ვიდავეთ; ზოგი ამტკიცებდა, რომ „სირცხვილიაო", ზოგიც — „დაგვიჭერენო"; გოგიმ ეჭვი გამოთქვა, ბილეთებს ველარ გავყიდით და მოგების ნაცვლად ვიზარალებთო. ბოლოს მაინც ველოსიპედის შეძენის სურვილმა გაიმარჯვა და, როგორც იქნა, შევთანხმდით: მით უმეტეს, ბილეთების გაყიდვის საქმე სიკომ იდო თავს. ჩვენ მხოლოდ მათი შესაძენი ფული უნდა გვეშოვა და სიკო „საქონლით" მოგვემარაგებინა.

თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ყველაზე დიდი დაბრკოლება სწორედ აქ გველოდა. ბიჭებმა ერთხმად განაცხადეს. რახან ამ ამბის შინ გამხელა არ შეგვიძლია, ბილეთების შესაძენ ფულს საიდანღა ვიშოვითო, ვერც ვერავინ მოვიგონეთ ისეთი, ვისაც ჩვენთვის ფულის სესხება შეეძლო. სულ ჩამოვთვალეთ ჩვენი ნათესავები, მეზობლები და ნაცნობები. ამაოდ. ბოლოს დათო მოგვაგონდა...

— დათოს ვთხოვოთ, — თქვა გახარებულმა რეზომ, — ყველანი მივიდეთ და ვთხოვოთ... ნახავთ, თუ გაგვაწბილებს.

— რომ გვკითხოს, რისთვის გინდათო? — იკითხა უცებ სიკომ.

— ვუთხრათ სიმართლე, ბოლოს და ბოლოს, ის მაინც გაგვიგებს, — თქვა რეზომ.

— მეტი გზა არა გვაქვს.

— არ შეიძლება, — თქვა გოგიმ, — სიმართლეს ვერავის ვერ ვეტყვით. ჩვენს გარდა კაცი შვილმა არ უნდა იცოდეს ეს ამბავი. მამაჩემმა ეგ რომ გამიგოს, ოთხში ამომიღებს.

— სწორია, — თქვა სიკომ, — ვინ იცის, შეიძლება არც მოგვცეს, ან ზაზა დედამისთანაც დააბეზღოს... მე ვიცნობ ასეთ ტიპებს, ვითომ შენთვის კარგი მინდაო, და ძირს კი გამოგითხრის.

• •

ნაშუადღევს ერთბაშად წამოუბერა ქარმა, ცა ღრუბლებით დაიფარა და მალე კოკისპირული წვიმა წამოვიდა. დროდადრო კი სეტყვასაც გამოურევდა ხოლმე. ქუჩაში მშვიდად მიმავალმა ხალხმა უცებ აუჩქარა ნაბიჯს. შემდეგ კი სირბილით გაეშურა თავის შესაფარებლად. რამდენიმე წუთის წინ პურის მაღაზიაში და გასტრონომში თითო-ოროლა კაცს თუ მოჰკრავდით თვალს, ახლა კი ერთ-

ბაშად გაივსო იქაურობა ხალხით. მე ფანჯარასთან ვიდექი და ქუჩაში ვიცქირებოდი. ასეთი უეცარი გაავდრება უწინ ყოველთვის უცნაურ სიამოვნებას მგვრიდა, სეტყვანარევი წვიმა კოკისპირულად რომ წამოუშენდა. გული ისე ამიჩქროლდებოდა, თითქოს დიდხანს. ძალიან დიდხანს ველოდი რაღაცას და ახლა ერთბაშად ამიხდა მოლოდინი. ვერ ვისვენებდი, მინდოდა გამეკეთებინა რაღაც ძალიან უცხო და არაჩვეულებრივი. ხელი ამქავდებოდა და ფანქარსა და რვეულს წაეტანებოდი. მინდოდა აუცილებლად დამეხატა რამე. თუნდაც ეს წვიმა. ეს დაფეთებული ხალხი. მაღაზიების წინ მიყუჟული გაწუწული ადამიანები. ზოგჯერ ლექსის დაწერაც კი მომეპრიანებოდა და უცნაურად ამეკვიატებოდა მოულოდნელად გაჩენილი რითმები. ახლა კი ისე ვიყავი ფიქრით გართული, მაშინლა გამოვერკვიე, როცა წვიმას უკვე გადაეღო და ხალხი ნელ-ნელა გამოდიოდა ქუჩაში.

ფანჯარას მოვცილდი. თვალი ოთახს მოვავლე და წამით მზერა კედელზე ჩამოკიდებულ დედაჩემისა და მამაჩემის სურათზე შეყოვანერე. დედა ამ სურათში ძალიან ახალგაზრდა. ნაზი და ლამაზი ჩანდა. მამა კი — ხნიერი, მკაცრი და ცივი. ყოველთვის მიკვირდა ხოლმე ეს. მამაჩემი რაღაც სამი თუ ოთხი წლით იყო უფროსი დედაზე.

იქვე, სკამზე, გაშლილი ჭადრაკი იდო. დაფაზე სულ ხუთი თუ ექვსი ფიგურა ეწყო. დანარჩენი ლოგინზე ეყარა. ეს ორსულიანი ამოცანა იყო. დათომ დამიწყო წელან და მითხრა, თუ ნახევარ საათში ამოხსნი, სამ პარტიას გეთამაშებიო. და წავიდა. მე ჯერ ერთი წუთიც არ მეფიქრა ამოცანის ამოხსნაზე: ახლა სულ სხვა რაღაც მაწუხებდა და არც მაინტერესებდა, მეთამაშებოდა დათო ჭადრაკს თუ არა.

„არა, ვერაფერს ვერ ვეტყვი. — დავასკვენი ბოლოს. — როგორ უნდა ვთხოვო. ფული მასესხე-მეთქი. ხომ მეტყვის რად გინდაო. მაშინ? რაღა ვუპასუხო?"

მაინც რა გაქნილი ბიჭია ეს სიკო. საიდან მოიგონა: თუმცა რა მედარდება. თუ მოახერხებს. მოახერხოს, მე არაფერს ვკარგავ. ისე კარგი საქმე კია. ხუთნი ვიქნებით, ყოველ მეხუთე დღეს ველოსიპედი ჩემს განკარგულებაში იქნება. სად არ წახვალ! საათში ოცი-ოცდაათი კილომეტრის ვავლა შეიძლება. ათ საათში კი — სამასამდე... შავ ზღვამდე ჩასვალ კაცი ათი საათის განმავლობაში.

ვიგრძენი, როგორ ამითრთოლდა გული. წამით გზაზე წარმოვიდგინე თავი. ცხელი, ლარივით სწორ გზაზე მოვქრიკავარ, გზის ნა-

პირს ზღვის ტალღები სცემს. სასიამოვნოდ მელამუნიბა ქარი ღი ხელებზე, ფეხებზე, სახეში. ყველგან ვგრძნობ ზღვის ვრილ. ბარილიან შხეფებს.

ყოველ მეხუთე დღეს... თვეში კი რამდენი დღეა. ოცდათი... ექვსი უბედნიერესი დღე... მოდი, ვეტყვი. რაც მოხდება. მოხდეს. მოდი, ჯერ ამოცანას ამოვხსნი. თუ თხუთმეტ წუთში ამოვხსენი, შევალ და ვთხოვ ფულს.

პირველი სვლა ეტლით უნდა ვავაკეთო. ეს აუცილებელია, მაგრამ სად. სად უნდა დავსვა ეტლი?..

რომ მკითხოს. რად გინდაო? რამე ხომ უნდა ვუპასუხო. ეტლი შეფის ჰორიზონტალიდან რომ წავიყვანო, ორაფერი გამოვა. უბრალოდ პაიკს წინ წამოწევს და მორჩა... შემდეგ ყველაფერს. რომ თავი დავანებოთ, თეთრები ვერც იგებენ.

— აჰა. მივხვდი!.. — სიხარულისაგან ჩამაღლა წამოვიძახე და ეტლი მაშინვე შავი პაიკის წინ დავსვი. სწორედ ეს სვლა იგებს. თუ აიღებს. პაიკი აშამათებს. თუ არა და კუ უნდა ითამაშოს. და მაშინ ეტლით ექნება შამათი.

ამ დროს დათო შემოვიდა. დაფასთან მოვიდა და დახედა.

— ამოგიხსნია, — ღიმილით თქვა მან. — მაგრამ დრო გადაკარგილე. თუმცა, რახან ამოხსნი, ერთ პარტიას მაინც გეთამაშები.

„როგორ ვუთხრა, რა ვუთხრა", ვფიქრობდი და, თითქოს ტვინი გამეყინაო, ვერაფერი მოვიფიქრე. ვერაფერი მოვიგონე.

ანგარიშმიუცემლად დავაწყვე ფიგურები. რამდენიმე სვლის გაკეთება ძლივს მოვასწარი და შამათი!

— ეს ყველაზე მარტივი შამათია, — გაეცინა დათოს, — ძალიან უაზრო სვლებს აკეთებ.

„სიმართლე რომ ვუთხრა, არ მომცემს, — ვფიქრობდი მე. — ორაფრით არ მომცემს ფულს. შეიძლება მისაყვედურო კიდეც. ვინ იცის, შეიძლება დედაჩემსაც უთხრას და მაშინ ყველაფერი გათავდება".

ხუთივემ სიკოს ბინაზე მოვიყარეთ თავი. საგონებელში ჩაცარცვნილი სიკო ვერ ისვენებდა. ოთახში ბოლთას სცემდა და მრისხანედ გვიყურებდა. ხვალ სტადიონის ბილეთების გაყიდვა იწყება. ფულის საქმე კი ცუდად იყო.

— გეთქვა მაინც. — მომიბრუნდა ბოლოს. — ქვეყანა ხომ არ დაიქცეოდა. ვინ იცის, იქნებ არ ეთქვა უარი, მართლა დაკითხვას

ხომ არ დაგიწყებდა, „რად გინდა, რისთვის გინდა...“ ან რაიმე ისეთი მოგეფიქრებინა, რომ ეჭვი არ აეღო.

— ვერაფერი მოვიფიქრე, — მივუგე მე და ბიჭებს გადაეხედე.

— მოდი, ჩვენ ვთხოვოთ, — თქვა რეზომ, — ყველანი წავიდეთ და ვთხოვოთ. თუ ფულს ვინმე მოგვცემს, ისევ ის, სხვას ვერც ვერავის ვეტყვით.

— არაფერი გამოვა, — ვთქვი მე, — თქვენ, მით უმეტეს, არაფერი გამოგივათ.

სიკო კვლავ ჩაფიქრდა და ოთახში სიარული განაგრძო. უცებ შედგა და მომიბრუნდა:

— იქნებ ის მაინც იცი, ფულს სად ინახავს?

— მერე? — ვკითხე მე. — ფულს ხომ ვერ მოვპარავ.

— მოპარვა არც გვინდა, — თქვა სიკომ. დროებით აიღებ და შემდეგ ისევ თავის ადგილას დადებ.

— შეუძლებელია, — ვთქვი მე. — ფეხბურთამდე სამი დღეა, ამ სამ დღეში აუცილებლად ნახავს. საღამომდე რომ ვიშოვოთ, მაშინ სხვა საქმეა.

— ვიშოვით! — თქვა სიკომ, — საღამომდე როგორ ვერ ვიშოვით კინოს ბილეთებით. ათი მანეთი რომ აიღო, ხუთს კინოსთვის გადავდებთ და საღამომდე არც გვჭირდება მოცდა. შუადღეზე ფული გვექნება. ისევ ისე შეუმჩნევლად ჩადებ თავის ადგილას, როგორც აიღე, ფეხბურთის ბილეთები კი დაგვრჩება.

ჩავფიქრდი.

— საქმე მშვენივრად აეწყო, — თქვა რეზომ. — ვერაფერს გაიგებს. — გოგისა და გივისაც გაუნათდათ სახე, ყველანი მე მომაჩრდნენ.

— რომ ნახოს? — ვკითხე ბოლოს.

— ნახოს თუ გინდა, — თქვა სიკომ, — შუადღეზე ფულს მიუტან და ეტყვი, რომ ძირს ეგდო და მიცემა დაგავიწყდა. ან რამე ამის მსგავსს მოიგონებ. მთავარი ის არის, რომ ფულს მისცემ.

— ბილეთები რომ ვერ გავყიდოთ? — კვლავ შევყოყმანდი მე. — შეიძლება ვერც ვიყიდოთ, კინოში ისეთი ამბავია.

— შენც ერთი, — თქვა გოგიმ, — როგორ ვერ ვიშოვით.

— სულ სახლში ზის, — ვთქვი მე, — უკვე საღამოა, ოთახიდან აღარც გამოვა.

— გამოვიყვანთ როგორმე, — თქვა სიკომ, — შენ თუკი ზუსტად იცის, სად ინახავს ფულს, ძებნა არ უნდა დაგჭირდეს.

კარგად გათენებული არც იყო, საბნიდან რომ გამოკძვერი და საჩქაროდ დავიწყე ჩაცმა. დედას ჯერ კიდევ ეძინა. ოთახში ფეხის წვერებზე გავიარე, ძირს ჩავედი და ხელ-პირი დაკიბანე. შემდეგ კიბე ამოვირბინე და პირსახოცს მივეარდი. ამ დროს დედასაც გაეღვიძა. მან თავი წამოსწია და ხმადაბლა მკითხა:

— ზაზა, შენ ხარ?.. რატომ ადექი?

— სტადიონზე მივდივარ.

— სტადიონზე? იქ რა გინდა?

— ბილეთი უნდა ავიღო, კვირას ფეხბურთია.

— მერე ფული? ფული გაქვს?

— ფული... — შევყოყმანდი მე. — ფული საიდან მექნება... შენ არ გაქვს?

— რამდენი გეყოფა?

— ათი შაური, შეიძლება მანეთიც დამჭირდეს.

— უწინ რომ არ იკლავდი თავს ფეხბურთისთვის?

—ახლა... ახლა საინტერესო თამაშია...

დედა ერთ ხანს დუმდა. მერე ფარდა გასწია და ოთახში სინათლე შემოვიდა.

— მოდი, მარცხენა უჯრა გამოაღე, — მითხრა ბოლოს, — ნახე რამდენია ფული.

კარადასთან მივედი და უჯრა გამოვწიე. იქ ორი მანეთიანი და რამდენიმე ათკაპიკიანი ეყარა.

— ორი მანეთი და რაღაც კაპიკებია.

დედა კვლავ დუმდა.

— რა მოგცე ახლა, ჩვენი ფული სულ ეგ არის. ხელფასამდე კიდევ სამი დღეა. პურის ფულიც აღარ დაგვრჩება.

— იყოს მაშინ, — ვთქვი მე, — აღარ მინდა...

— იცი რა, კვირამდე ჯერ დიდი დროა, ვინ იცის, ზეგ ხელფასი მოგვცენ.

— მერე ბილეთები არ იქნება. — ვთქვი ყოყმანით, — არა უშავს... რეზოც მოდის, მან თქვა, თუ ადრე ჩახვალ და რიგს დაიკავებ, ბილეთებს მე აგიღებო.

— დათოსთვის გეთქვა. უკვე ერთი თვე სრულდება, რაც აქ ცხოვრობს. იქნებ მოეცა ბინის ქირა.

გულში შიშმა გამკრა.

— ჯერ გაღვიძებული არ იქნება, სხვა დროს ვუთხრათ.

— კარგი, მე ვეტყვი.

ერთ ხანს კედომდი და ვფიქრობდი: ვგრძნობდი, თუ ამ წუთში არ მოვიქცეოდი საბრიანად და ბოხერხებულად, შემდეგ უკვე ბევრან იქნებოდა.

— არა. დედა, არ უთხრა, — წამოვიძახე უცებ, — გეხვეწები, არ უთხრა...

— რატომ? — გაუკვირდა დედას.

წამით შეეყოყმანდი, შემდეგ ამოვღერღე:

— არა აქვს. ვიცი. ამ დღეებში ელის სახლიდან. მითხრა, ბინის ქირასაც მაშინ გადავიხდიო. არ უთხრა, ხომ იცი, რა ხათრიანია. შეწუხდება და შეიძლება სასესხებლად სირბილი დაიწყოს. დრო კი ძალიან ცოტა აქვს, შაბათს გამოცდები ეწყება, ნუ ეტყვი. ეს ფული გვეყოფა ხელფასამდე. მე არაფერი არ მინდა.

დედას გაეღიმა.

კარგი, რასაც ასე გინდა.

„ვაითუ მაინც უთხრას. ვფიქრობდი, დალმართზე რომ ჩავრბოდი. — ვაითუ მაინც უთხრას...“

ავტობუსის გაჩერებასთან ვიდექი, გული აჩქარებით მიცემდა, შეჩერები მიკანკალებდა.

„მაშინ დედასაც ეტყვის, ფული მაკლიაო, და ისიც მიხვდება, რომ ძე ავიღე...“

ამ დროს ავტობუსიც გაჩერდა. ავედი და ფანჯარასთან დავჯექი.

„არ უნდა ამეღო ფული. რა სისულელე ჩავიდინე. არ უნდა ამეღო. ჯანდაბას ველოსიპედი“.

— ბილეთი შეიძინეთ, ყმაწვილო, — მომესმა უცებ, მივიხედე, ჩემს წინ კონდუქტორი იდგა. ცალი ხელი ჩანთაში ჩაეყო. მეორეში ბილეთების გორგალი ეჭირა. ქერა, სქელი ქალი იყო, შუახნის.

„ბილეთი?“ გავიმეორე მე და ჯიბეში ჩავიყავი ხელი. ხუთმანეთიანი ამოვიღე...

—ხურდა არ მაქვს, — თქვა ქალმა და ისეთი თვალებით შემხედა, თითქოს უკვე იცოდა, რომ ეს ხუთმანეთიანი მოპარული იყო.

შეეკითხი.

— ჩავალ, — ვთქვი და წამოვდექი.

ქალმა გაიღიმა, ხელი მომკიდა და დამსვა.

— იჯექი, არა უშავს.

„არ უნდა ამეღო. არ უნდა ამეღო, — ვფიქრობდი მე. — მოდი ჩავალ“.

მაგრამ არ ჩავსულვარ. ავტობუსი სტუდენტებს გასცდა და გაჩერდა. კვლავ დაიძრა. „არა. არ ეტყვის. ხომ თქვა, არ ვეტყვიო“. დავასკვენი პოლოს და კონდუქტორს შევხედე. ქალი მოწყენით

ბყურებოდა ფანჯარაში. შემდეგ წინ გავიხედე. იქ ორად ორი კაცი იჯდა. ისინი რაღაცაზე გაცხარებით კამათობდნენ და ხელებს იქნევდნენ.

ხალხი არც ისე ბევრი იყო, როგორც გვეგონა. ბილეთების გაყიდვა ცხრა საათზე დაიწყო, თერთმეტის ნახევარზე კი უკვე თავისუფალნი ვიყავით. ოცი ბილეთი ავიღეთ, ათ-ათშაურიანები. ექვსი მანეთი დაგვრჩა. ამით კინოში უნდა გვეცადა ბედი.

— ახლა საით? — იკითხა გოგიმ, როცა ყველანი მოვგროვდით.

— „რუსთაველში“ რა გადის? — იკითხა სიკომ.

— მგონი, „პარიზის გარეუბანში“, — თქვა რეზომ. — ჩემმა დამ ნახა ვუშინ. ძალიან მოსწონებია.

— ბილეთები როგორ აიღეს, არ ჰკითხე?

— მთელი სამი საათი იდგნენ თურმე რიგში, — მიუგო რეზომ.

— მაშ „რუსთაველისკენ“, — გასცა ბრძანება სიკომ.

ტროლეიბუსში ავედით. ყველას გავუსწორეთ და წინ ფანჯრასთან დავჯექი. სხვები იქვე გვერდზე მოთავსდნენ საკარძლებზე, ერთმანეთის პირისპირ.

კონდუქტორი რუსი ქალი იყო. ის ბიჭებს მიუბრუნდა და რუსულად უთხრა:

— აიღეთ ბილეთი, რაღას უცდით.

— ჩვენ მუდმივი ბილეთები გვაქვს, — მშვიდად მიუგო სიკომ და ჯიბეში მოისვა ხელი.

— აბა, მაჩვენე. — წამოიწია კონდუქტორი.

— ვა, მაჩვენეო, — თქვა სიკომ და რეზოს შეხედა, შემდეგ სხვებსაც მოავლო გაკვირვებით თვალი. ბოლოს რუსულად დაუმატა: — ამის მეტი არ უნდა გვენდოს? ვაგონილა?

— ბილეთები აიღეთ ახლავე, ან ჩადით. — გაბრაზდა ქალი.

— ვა, ჩადითო, — წამოიძახა გოგიმ და მუხლზე დაირტყა ხელი, — გესმის, რას კადრულობს?

— აგვიწონე ნახევარი კილო ბილეთი, — მიუბრუნდა გივი და გაიღრიჭა.

— არა, მეტრნახევარი, — ჩაურთო რეზომ.

— მე საწოლიც მინდა, — თქვა გოგიმ.

კონდუქტორი ადგა, გოგის მკლავში მოჰკიდა ხელი და დაუყვირა:

— აიღე ახლავე, თორემ გავაჩერებინებ და ძალით ჩაგსვამთ.

— ბიჭებო, ხედავთ, რას ბედავს? ხელსაც გვკიდებს.

— აბა, აბა, — წამოიწია სიკო, ხელი უშვი, თორემ...

სიკომ ფეხი დააბაკუნა, თან რეზოსკენ მიაბრუნა თავი და ყბა მოუქცია.

— კარგი ახლა. არ გინდა. — ყასიდად სტაცა ხელი რეზომ, — ნუ გაისვრი ხელს.

— გამიშვით!.. — გაიჭიმა სიკო.

— არაფრით არ გაგიშვებთ, — დაიჭყანა გივი. — დეიდა, — მიმართა ქალს, — ნერვიულია, ნუ აგვიღელვებთ.

ხულიგნებო, ჩადით ახლავე, — დაუყვირა ქალმა და ბრაზისაგან ერთიანად წამოჭარხლდა სახეზე.

— რაო? ვინ არის ხულიგანი!.. მე შენ გიჩვენებ ხულიგანს! — ახლა რეზო წამოდგა. სიკომ ხელი მოჰკიდა.

— გავგიჟდები კაცი. არ დამაკაო, — დაიძახა რეზომ და გულზე დაირტყა ხელი. — უყურე შენ, ხულიგანიო.

— კარგი ახლა, რა მოგივიდათ, — მივუბრუნდი ბიჭებს. — აიღეთ ბილეთები და გაათავეთ.

— შენ აიღე. ძალიან თუ შეწუხდი. — მითხრა სიკომ.

— მე არაფერი მაქვს ჯიბეში. სულ შენ არ მოგეცი!

— აბა, ენა გააჩერე, შენი საქმე არაა.

კონდუქტორს მობეზრდა მათთან ჩხუბი და შუბლშეკრული თავის ადგილას დაჯდა. ბიჭებიც დასხდნენ და ამაყად გადახედეს ერთმანეთს.

ძალიან მეზარებოდა სიკოსთან მგზავრობა. სულ ასეთ აყალმაყალს ატეხდა ხოლმე. შემდეგ კი თავს იწონებდა თავისი უტიფრობითა და თავხედობით. უწინ მომწონდა კიდეც ეს და, მართალია, მის გვერდით. ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობდი თავს, მაინც გაბედულებად ვუთვლიდი ასეთ საქციელს.

მახსოვს, ერთხელ მეც ამიყოლია და მაგრადაც მომხვდა მაშინ. ახლა, გოგიასა და გივის რომ ვუყურებდი, გუნებაში მეცინებოდა. მათ ვერავინ დაასწრებს ხოლმე ტრამვაიში ან ავტობუსში ბილეთის აღებას. ამჯერად კი არ სურდათ სიკოს თვალში ლაჩრები გამოჩენილყვნენ.

კინოთეატრთან რომ მივედით, იქ უკვე უამრავი ხალხი ირეოდა. სალაროდან შორს გაჭიმულიყო რიგი.

— უჰ, რამდენი ხალხია! — წამოიძახა გოგიმ. — აქედან ბილეთის გამოტანა არ გინდა?

სიკო ერთ ახალგაზრდასთან მივიდა და ჰკითხა:

— თქვენ რომელი სეანსისათვის დგახართ?

— თორმეტი საათის, — მიუგო მან.

— მერე, შეგხვდებათ?

— რა ვიცი. — თქვა მან და გვერდზე გაიხედა, ეტყობა, არ სიამოვნებდა სიკოსთან საუბარი.

— მოდი, ჩავდგეთ, — თქვა რეზომ, — შემდეგი სეანსისათვის მაინც ავიღებთ.

ფული დავინაწილეთ და ხუთივენი ჩავდექით. რიგი სწრაფად იზრდებოდა. ბილეთების გაყიდვა კარგა ხანია დაეწყოთ. სალაროსთან მილიციელები იდგნენ და წესრიგს იცავდნენ.

ძალიან ნელა მივიწევდით წინ. თავში სიკო იდგა, მერე რეზო, გივი, გოგი და სულ ბოლოს — მე.

უცებ შეწყდა წინსელა. სალაროსთან ხალხი აირია.

— თორმეტისთვის ბილეთები უკვე გათავდა, — თქვა ჩემ უკან მდგარმა ქალიშვილმა, იმედგაცრუებულმა იქვე გვერდით მდგარ ამხანაგს გადახედა და რიგიდან გამოვიდა. შემდეგ ისევ თავის ადგილას დადგა.

„მაინც რა ფილმია ასეთი, ამდენი ხალხი რომ აწყდება, — ვფიქროდი მე, — ალბათ იმიტომ, რომ მალე მთავრდება კინოფესტივალი. ყველას უნდა მოასწროს ნახვა“.

— თორმეტი საათისათვის ბილეთებს ვეღარ ავიღებთ. - თქვა სიკომ, — შემდეგ სეანსს უნდა დავუცადოთ.

უკვე პირველი საათი იყო. ბილეთები ჯიბეში გვედო. ახლა გაყიდვაზე უნდა გვეზრუნა. თითო ბილეთი ოცდაათი კაპიკი დაგვიჯდა.

— დანარჩენი ჩემზე იყოს, — ამბობდა სიკო, — ბიჭი არ ვიყო, თითო მანეთზე ნაკლებ თუ გავყიდო.

— ყველას ერთად ნუ ჩაიდებ ჯიბეში, — უთხრა რეზომ, — არ გაება...

— ყველას ერთად რატომ, — გაუკვირდა სიკოს, — თქვენ რა, მართლა უქმად დგომას ხომ არ აპირებთ. თქვენც ყურადღებით იყავით და ბილეთები ძზად გქონდეთ. თუ ვინმე გკითხავთ, ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვთო, ერთ ცალს აჩვენებთ და ფასსაც ეტყვით. მორჩა და გათავდა, ეს რა ძნელი საქმეა. მე ამ ოთხ ბილეთს რომ გავყიდი, თქვენც მოგეხმარებით.

— ჰო, რა თქმა უნდა, — დაუდასტურა გოგიმ ყოყმანით, შეავატყვე, ჩემი არ იყოს, არც მას ესიამოვნა სიკოს სიტყვები. საშინ-

ლად მეუხერხულებოდა ბილეთების გაყიდვა, ისიც ზედმეტ ფასში. „არა უშავს, — გავიფიქრე გუნებაში. — სიკო ისეთი უტიფარია, მალე მოუვლის თავის ბილეთებს და მაშინვე ჩემსას ჩავაბარებ“.

— შორიშორს დადექით, ერთმანეთს ვითომ არც იცნობთ, იცოდეთ, უჩემოდ ფასს არ დაუკლოთ, — გაგვაფრთხილა სიკომ.

— აბა, რას ამბობ, — მიუგო გოგომ. — რის დაკლება, შეიძლება მოვუმატოთ კიდეც.

სიკომ გვერდზე გაგვიყვანა. „ცოტა ხანს აქ დავიცადოთ...“ გვითხრა მან. „ოცი, ოცდახუთი წუთი რომ გავა, საქმეს შევუდგეთ“. შემდეგ მუპაპიროსესთან მივიდა და ერთი კოლოფი ბულგარული სიგარეტი გამოართვა. ერთი ცალი ამოიღო, პირში ჩაიდო და მოუკიდა.

— იცით, რა კარგია? — თქვა როცა მოგვიახლოვდა. — რბილია და არც ისეთი ცუდი სუნი აქვს. როგორც „პრიმას“.

— გაიწი, გვერდზე მოსწიე,— თქვა ზიზღით გოგომ,— ვერ ვიტან მაგის სუნს.

— რა ქალივით გულაზიზი ხარ, — თქვა სიკომ და გვერდზე გადააფურთხა. — შენც ვაკაცი ხარ. აი...

თხუთმეტიოდე წუთს კიდევ დავიცადეთ, შემდეგ ხალხს შევერიეთ. სიკომ ერთხელ კიდევ დაგვარიგა:

— ხნიერ ხალხს მოერიდეთ. უფრო ქალიშვილებია სანდო. ბიჭებიც საშიშია. თუ გოგოები ახლავთ, მაშინ შეიძლება მათაც ენდოს კაცი...

მე მარტო გავედი. ჯიბეში ჩავიწყე ხელები და ირგვლივ მიმოვიხედე თვალი. სიკო იქვე ახლოს დადიოდა და გამვლელ-გამომვლელს თვალით სინჯავდა, ცოტა მოშორებით კი გოგი იდგა.

ვხედავდი, როგორ მივიდა ორი გოგო სიკოსთან. მან მაშინვე ორი ბილეთი ამოიღო და აჩვენა. ქალიშვილები წამით რაღაცაზე შედავნენ, შემდეგ კი ყოყმანით ამოიღეს ჩანთიდან ორი მანეთიანი და მისცეს. თვალი ავარიდე სიკოს კმაყოფილ სახეს.

ახლა გოგის შევავლე თვალი.

დავინახე, როგორ ჩაუარა გოგომ ჭადართან მდგარ ორ ბიჭსა და ორ გოგოს. ერთმა ბიჭმა რატომღაც ყურადღება მიაქცია მას, მაშინვე მივიდა და ჰკითხა. გოგომ ჯერ მის ამხანაგებს შეხედა, მერე შეშინებულმა ირგვლივ მიმოიხედა და ჯიბიდან ბილეთები ამოიღო.

ბიჭმა მანეთიანი გაუწოდა. გოგომ უარის ნიშნად თავი გაიქნია და კვლავ თვალი მოაელო იქაურობას. ახლა ბიჭმა დაიწყო ხელების ქნევა და ფული ხალათის ჯიბეში ჩაუტენა გოგის. შემდეგ ჯიბე მოინხრიკა და ხურდა ფული დაუმატა. თვითონ კი ლიმილით მივიდა თავის ამხანაგებთან და ხელი კინოთეატრის შესასვლელისაკენ გა-

იშვირა, შევიღეთო. გაცბუნებული გოგი იქვე დარჩა. ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, წამიც და ტირილს დაიწყებსო.

მაშინვე გოკისთან მივედი.

— რა იყო, რაზე ეჩხუბებოლა? — ვკითხე.

— მომატყუა, — ძლივს გამოცრა კბილებში გოგიმ. — ზუსტად თავისი ფასი მომცა, მანეთი და ერთი აბაზი, თეთრი, მგონი, დამაკლო კიდეც. — ჯიბეში სწრაფად ჩაიყო ხელი და ფული ამოიღო. მანეთიანი, ათიანებიანი და ხუთიანებიანი იყო. — ხომ ხედავ, დაუკლია...

არაფერი მითქვამს. იქაურობა მოვათვალიერე, მაგრამ სიკო, ვანი და რეზო ვეღარსად დავინახე.

ამ დროს ჩვენს გვერდით ქალიშვილები შედგნენ. შეწუხებული სახეები ჰქონდათ.

— ისევ დავრჩით, — თქვა ერთმა დაღონებით, — როგორ მინდოდა მენახა, მერე დრო აღარ მექნება...

გოგი მე მოშიბრუნდა.

— შენ ხომ არ გაგიყიდია ჯერ ბილეთები?

— არა, — მივუგე მე.

გოგი ქალიშვილებთან მივიდა და ხმადაბლა ჰკითხა მათ:

— თუ გინდათ, ჩვენ გვაქვს ოთხი ბილეთი.

— მართლა? — გაუხარდა ქალიშვილებს. — აბა გვაჩვენეთ.

მეც მათთან მივედი; ბილეთები ამოვიღე და ერთ-ერთ ქალიშვილს გავუწოდე.

— თითო მანეთად, — ხმადაბლა თქვა გოგიმ.

— იყოს, ჯანდაბას, — ჩაილაპარაკეს მათ და ჩანთების ჩხრეკა დაიწყეს, ძლივს შეაგროვეს ოთხი მანეთი.

— მოითმინეთ, — მოისმა ამ დროს და თავზე უცხო კაცი წამოგვადგა. მაღალი იყო, შლაპა ეხურა. მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები და მკაცრი თვალები ჰქონდა. — თქვენ გაქვთ ზედმეტი ბილეთები! — გვკითხა ციოად.

— დიახ, — მიუგო გოგიმ, — გვქონდა, ამათ აიღეს უკვე.

— აბა მაჩვენეთ, — მიუბრუნდა კაცი ქალიშვილებს და ბილეთები გამოართვა.

— რამდენს გახდევინებთ? — იკითხა შემდეგ და მკაცრად გადმოხედა.

ქალიშვილები წამით შეყოყმანდნენ, ჩვენს შეშინებულ სახეებს მოავლეს თვალი და ბორძიკით უპასუხეს:

— თავის ფასს... რა თქმა უნდა...

გულზე მოგვეშვა. მადლობით შეეხედეთ ქალიშვილებს და გავიღიმეთ.

— ჰო, თავის ფასს, — გაიმეორა გოგიმ.

— აბა, მომეცით ეგ ფული, — თქვა კაცმა, ქალიშვილებს ფული გამოართვა, იქვე გადათვალა მანეთი და ერთი აბაზი და მომცა.

— თავისუფალი ხართ, — უთხრა შემდეგ ქალიშვილებს.

— თქვენ კი ფრთხილად, მეორედ არ ჩამივარდეთ ხელში, — დაგვემუქრა იგი, ქალიშვილები რომ წავიდნენ.

დამდუღრულივით ვიდექი, გოგი გახევებული იყო და ხმის ამოღება ვერ მოეხერხებინა.

ამასობაში სიკოც გამოჩნდა. რეზო და გივიც მას მოსდევდნენ. გახარებულნი და ქმაყოფილნი იყვნენ. ხმამაღლა, თამამად მოლაპარაკობდნენ.

— სად ხართ. თქვენ გეძებთ, — თქვა სიკომ. — მშვენივრად ვივაჭრეთ. უფრო ძვირადაც შეგვეძლო გაგვეყიდა, კინაღამ ხელები ჩამოგვაგლიჯეს.

გოგი და მე უხერხულად ვიდექით და ვდუმდით.

— თქვენ რა სახე ჩამოგტირით, — გვითხრა რეზომ, — გაყიდეთ ბილეთები?

— გავყიდეთ კი არა... — ხელი ჩაიქნია გოგიმ და გაბრაზებულმა კბილები გააკრაჭუნა.

— აბა რას შვრებით ამდენ ხანს, — ჩაერია სიკო, — მოიტა აქ, სანამ გვიან არაა.

მე მოკლედ ვუამბე, რაც შეგვემთხვა.

სიკომ ბრაზით გადააფურთხა და წამოიძახა:

— ფუ, რა უშნოები ხართ. არ ვყიდიო, გეთქვა და მორჩა... რაღას იზამდა ის კაცი.

— უკვე გვიან იყო, — თქვა გოგიმ, — უარესი იქნებოდა.

— უარესი... ამდენი ხანი რიგში იდექით და ბოლოს ტყუილად გადაყარეთ, ამაზე უარესი იქნებოდა?

— მადლობა მაინც თუ გითხრათ? — გაიცინა გივიმ.

სიკომ ჯიბიდან ფული ამოიღო, იქვე გადათვალა შვიდი მანეთი და სამოცი კაპიკი და ხალათის ჯიბეში ჩამიტენა.

— წაიღე და მოგვშორდი: თუ მოვახერხებთ, ისედაც მოვახერხებთ. შენი არაფერი გვინდა. შენც მიჰყევი. — მიუბრუნდა გოგის. — თქვენ ხელს თუ შეგვიშლით, თორემ ვერაფერს დაგვეხმარებით.

გოგის ხმა არ ამოუღია. მეც უსიტყვოდ გადავთვალე ფული. ვიცოდი, სიკო თავიდან გვიშორებდა, გამოგვიყენა, ფული იშოვა და ახლა ზედმეტად ჩაგვთვალა, ვიცოდი, მაგრამ რატომღაც სულ არ მწყენია. ისედაც გადაწყვეტილი მქონდა, თვითონ დამენებებია მათ-

თვის თავი. ალბათ ეს მაშინ გადავწყვიტე, იმ კაცმა რომ დაგვიჭირა, ან შეიძლება უფრო ადრე. უკვე აღარ მახსოვდა, როდის გადავწყვიტე ეს. „ჯანდაბას ველოსიპედი", ვფიქრობდი და თან ფულს ვითვლიდი. დროდადრო დაძმარებულ გოგის შევავლებდი თვალს. მეცინებოდა. მეგონა, ეს-ესაა სიკოს ფეხებთან დაეცემოდა და შეევედრებოდა, რომ ეს ერთი ეპატიებინა, ოღონდ ეს ერთი ეპატიებინა და...

ფული გადავთვალე, ხუთი კაპიკი აკლდა ათ მანეთს, სწორედ ის, იმ ბიჭმა რომ დაგვაკლო. გოგიმ ჯიბეები მოიჩხრიკა და ხუთკაპიკიანი მომაწოდა. მე გამოვართვი და იქვე მაღაზიაში შევედი. მინდოდა, ეს ხურდა ფული ორ ხუთმანეთიანში გადამეცვალა.

მაღაზიიდან რომ გამოვედი, დავინახე, გივი, რეზო და სიკო უკვე კარგა შორს იყვნენ. გოგი იქვე მიცდიდა, შორიახლო.

წინ მიმავალნი წამით შეჩერდნენ და ჩვენკენ დაიწყეს მხერა. სიკო გაცხარებით იქნევდა ხელებს და ჯიუტად განაგრძობდა გზას. რეზო და გივი არ მიჰყვებოდნენ. შემდეგ ისიც შეჩერდა და მათთან ერთად ცდა დაგვიწყო. თან განაგრძობდა ხელების ქნევას. რაღაცაზე ვერ შეთანხმებულიყვნენ. ვიფიქრე. ალბათ. გივის და რეზოს არ მოსწონთ, სიკო ასე ერთბაშად რომ გვიშორებს თავიდან-მეთქი.

გოგიმ ნაღელიანად თქვა:

— სიკო მალე იმათაც ჩამოიშორებს და თვითონ დარჩება ველოსიპედი. — შემომხედა და, რომ შემატყო ვიღიმებოდი. გაცხარდა: — აი, ნახავ თუ არა, აი, ნახავ...

— ნუ გეშინია, — ვუთხარი მე, — ხომ ხედავ, გვიცდიან. მივალთ და შევრიგდებით... რეზო და გივი შეგვარიგებენ სიკოსთან...

არც შევმცდარვარ, შევრიგდით და ცოტა ხნის შემდეგ რახან ძალიან ცხელოდა, გადავწყვიტეთ, თბილისის ზღვაზე წავსულიყავით. სიკომ, რა თქმა უნდა. რეზოსა და გივის თავდებობით „შეგვიწყალა" და ისევ მიგვიღო თავის „რაზმში". მე ყასიდად დავთანხმდი. მინდოდა მისთვის სამაგიერო იმით გადამეხადა, რომ შემდეგ, როცა რამეს დამავალებდა, თვითონ მეთქვა უარი და უბოდიშოდ მიმეტოვებინა. როგორ გაოცდებოდა ბატონი სიკო... მაშინ ხომ მიხვდებოდა, რომ არც ისე ვგიჟდებოდი იმ დამტვრეული ველოსიპედისათვის, როგორც მას ეგონა.

* * *

მზე ჩასული იყო, შინ რომ დავბრუნდი. წყალში ყოფნა გაგვიტკბა და დრო შეუმჩნევლად გაგვეპარა. ეზოში რომ შევედი, მაშინვე დათოს ოთახს ავხედე. დათო კართან იჯდა და ჩემკენ იყურებოდა,

შემდეგ გაიცინა და ხელით ჩემზე ანიშნა ვილაცას, რომელიც გარეგან არ ჩანდა. დათო კვლავ ჩემკენ მობრუნდა და დამიძახა:

— სწორედ შენ გახსენებდით ახლა... ამოდი ერთი.

წამით შევკრთი და უკან დავიხიე. მერე მომაგონდა, რომ ფული ჯიბეში მედო, და დავმშვიდდი. ნელა ავყევი კიბეს. ახლა დათოს სტუმარიც დავინახე. მან, ადგილიდან ნახევრად წამომდგარმა, გარეთ გამოჰყო თავი და ყურადღებით შემათვალიერა. მე ვიცნობდი მას. დათოს თანასოფლელი იყო, გურამი ერქვა. ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე სწავლობდა. დათოსთან ხშირად დადიოდა ხოლმე...

— მიდი. ჯერ დედაშენს დაენახვე. — მითხრა დათომ, — შემდეგ შენი თავგადასავალი გვიამბე.

დათო რაღაც უცნაურად იღიმებოდა და გურამს შეჰყურებდა. ხელი უნებურად ჯიბისაკენ წავიღე, მაგრამ ამ დროს დედაჩემი გამოვიდა აივანზე. მკლავზე ხელი მომკიდა და მაგრად შემანჯღრია:

— სად ბრძანდებოდი ამდენ ხანს?!

— არაფერი მითქვამს. წინა ოთახში შევიხედე, და ტანსაცმლის კარადის გრძელ სარკეში ჩემი თავი დავინახე. სახე და მკლავები მოხარშულ კიბოსავით მქონდა გაწითლებული. ახლაღა ვიგრძენი, რომ სახე მეწვოდა და მკლავიც მტკიოდა იქ, სადაც დედაჩემმა ხელი მომკიდა.

— ზღვაზე ვიყავი, — ვთქვი დაგუდული ხმით.

— დილიდან საღამომდე? არ მოგშივდა მაინც?!

— იქ ვჭამეთ, — ნაძალადევი სიმშვიდით ვუთხარი მე. — ბიჭებმა ფუნთუშები იყიდეს და ვჭამეთ.

— სიკვდილი ჭამეთ თქვენ, — დაიწყევლა დედაჩემი. — რაც მამაშენი დაიჭირეს, მთლად წახვედი ხელიდან. აჰყვა ვილაც ხულიგნებს, და შინ მოსვლაც აღარ აგონდებოდა.

ჩმას არ ვიღებდი. დედაჩემი მართალი იყო. მამაჩემის შინ ყოფნისას ვერსად ვბედავდი უნებართვოდ წასვლას. მაშინ რომ ასე დამელამებინა, ალბათ, სახლში აღარ გამათევინებდა. ამხანაგებთანაც იშვიათად მივდიოდი. „შენი ხნის რომ ვიყავი, თავს ვირჩენდიო“, ამბობდა ხოლმე მამაჩემი და „იმ უსაქმურებს“ ახლოსაც არ მაკარებდა...

— აკი ფეხბურთის ბილეთზე მივდივარო. ამისათვის მართმევდი ფულს? — თქვა ბოლოს დედამ.

მე ვდუმდი. არც დედაჩემი ამბობდა რამეს. თვალებში შემომყურებდა და პასუხს ელოდა.

— ჰო, მართლა, — თქვა უცებ დათომ, — ბინის ქირა...

ციცი ოფლი დამასხა. ყველაფერი ეს რაღაც საზიზღარ შეიქმნელებას ჰგავდა. ვიფიქრე. უკვე იციან, დიახ, ყველაფერი იციან და ახლა რიგრიგობით ჭესხმიან თავს, გზას მიჭრიან-მეთქი.

დათოს შევხედე. ისეთი არაფერი ეტყობოდა, არც იღიმებოდა. მხოლოდ გურამის სახეზე შეკნიშნე ბოროტი და დამცინავი ღიმილი.

დედაჩემის ხმამ გამომარკვია, ივი მშვიდად. თითქოს ალერსით ეუბნებოდა დათოს:

—არა უშავს, შვილო, როცა იშოვი, მაშინ მომეცი. არ მეწყარება.

გაკვირვებულმა ახლა დედაჩემს შევხედე. უცებ მან ღია კარებიდან შენიშნა, რომ სამზარეულოში ნაეთქურა ბოლავდა. და მაშინვე იქითკენ გაექანა. მე დათოსთან შევედი. მინდოდა, ახლავე ჩამებარებინა ფული. ახლავე, სანამ მაიძულებდნენ ამის გაკეთებას.

—ვერ გყოლია კარგი მეგობრები, — მითხრა გურამმა, — რა ამბავში იყავით დღეს. ძაან ვაფაცობა კი გამოიჩინეთ...

ელდა მეცა. ნუთუ დაგვინახა, ბილეთებს რომ ვყიდიდით-მეთქი.

შეშინებულმა თვალებში შევხედე. ვინ იცის, დაგვინახა და დედაჩემს ყველაფერი უამბო უკვე...

— სად?.. — ვთქვი გულის კანკალით.

— აი, იქ, კონდუქტორს რომ ელაზღანდარაეებოდით.

თავისუფლად ამოვისუნთქე. „ცხადია, კინოთეატრთან არ „დაეუნახივარ“, ვიფიქრე და ხელისგულით შუბლზე ოფლი მოეწმინდე...

—ისინი არც არიან ჩემი მეგობრები, — ვთქვი ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — დღეს ისე რაღაც შემთხვევით მოვხვედი მათთან.

— მე ხომ გითხარი, — გაიცინა დათომ, — ზაზა სულ სხვა ბიჭია.

„ახლა მივცემ ფულს, — ვავიფიქრე მე, — ახლა თუ არა. შემდეგ გვიანი იქნება... გვიანი იქნება...“ ჯიბეში ჩავიყავი ხელი. შემდგე მეორე ჯიბეც მოესინჯე. ბოლოს ხალათის ჯიბესე მივიდე ხელ.

მესმოდა, დათო და გურამი რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. გურამი იცინოდა და თეთრ, ბრტყელ კბილებს აჩენდა. მე შევყურებდი მათ და ვერაფერს მივმხვდარიყავი, რაზე იცინოდნენ. ან რაზე საუბრობდნენ. მეჩვენებოდა, რომ კედელი ჩემ წინ რამდენჯერმე სწრაფად დატრიალდა და გვერდულად გაჩერდა. თითქოს იქცევაო. შემდეგ ისევ დატრიალდა და გაჩერდა. თვალწინ კი პაწია, ყვითელი ნაპერწკლები დახტოდნენ.

ფული აღარ იყო. დიახ, აღარ მქონდა. გაშმაგებით კიდევ ერთხელ მოვიჩხრიკე ჯიბეები. დათომ გაოცებით შემომხედა და მკითხა:

— ზაზა, რას იჩხრიკები მაგ ჯიბეებში... რამე ხომ არ დაგეკარგა?

არაფერი მიპასუხია. გარეთ გავვარდი და კისრისტეხით დავეშვი კიბეზე. „მოვკლავ. ნამდვილად იმათ მომპარეს. მოვკლავ...“ ალბათ, სმამაღლა წამოვიძახე ეს სიტყვები, რადგან სწორედ იმ დროს, ქუჩაში რომ გავრბოდი, დათოს ხმა მომესმა:

— მოიცა, სად გარბიხარ, რა მოგივიდა?..

„ჯერ რეზოსთან მივალ, — ვფიქრობდი მე, — ვინ იცის, იქნებ უბრალოდ იხუმრეს. თუ არაფერს გაამხელს, მერე მე ვიცი...“

თვითონაც არ ვიცოდი, რას ვგულისხმობდი ამ „მე ვიცი“, რას ვიზამდი „მერე“. სადღაც გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ ყველა გზა გადაკვრილი მქონდა, „მერე“ ვერაფერსაც ვერ ვიზამდი და ერთადერთ იმედად ისღა დამრჩენოდა, იქნებ იხუმრეს-მეთქი, ან დროებით... ვინ იცის...

ჭიშკარში შევიხედე და რეზო პირსაბანთან დავინახე. გაცხარებით დავუქნიე ხელი. არ მინდოდა, რეზოს მშობლებსა და დას დავენახე, რომლებიც ამ საღამო ხანს აუცილებლად შინ იქნებოდნენ. მან მაშინვე მიატოვა პირის ბანა და გაოცებული, ჩქარი ნაბიჯით გამოეშურა ჩემკენ. ალბათ მეტისმეტად სასოწარკვეთილი სახე მქონდა.

— რა იყო, რა ფერი წაგსვლია? — მკითხა რეზომ.

—გამოდი, — ვუთხარი და ქუჩაში გამოვიყვანე. შემდეგ ჭიშკარი მივხურე და პირდაპირ მივახალე:

— ფული ვინ აიღო, მართალი თქვი!

— ფული?.. — გაიოცა რეზომ, — რა ფული, შენ ხომ არ გაგიჟდი?

ვიგრძენი, როგორ ჩამწყდა რაღაც გულში, მუხლები კინაღამ მომეკეცა.

— ის ფული. ჯიბიდან რომ ამომართვით!

რეზო ერთ ხანს გაოცებული მომჩერებოდა, ბოლოს მიხვდა, რომ ფული დაკარგე და მშვიდად მითხრა:

— ჩვენ არაფერი არ ამოგვიღია. ნამდვილად გზაში დაკარგავდი. — შემდეგ მკითხა: — ათიე დაკარგე? სულ არ დაგრჩა?

სხვა დროს არაფრით არ დავიჯერებდი, რომ რეზომ არაფერი ცოდა. მაგრამ ახლა რატომღაც დავიჯერე მისი გულწრფელობა. მაინც დავუწყე ხვეწნა:

— თუ ძმა ხარ, მითხარი, ან იმათ მაინც მოჰკრავდი თვალს.

ფული ნამდვილად ამოიღო ვიღაცამ, მაშინ. იქ, წყალზე რომ ვიყავით. ტანსაცმელი ხომ ერთად გვეყარა იმ ხის ძირში. აუცილებლად დაინახავდი; მე ვიცი, სიკო იზამდა.

რეზო დუმდა. თითქოს რაღაცას იხსენებსო.

— მე არაფერი შემომჩნეულა, — თქვა ბოლოს, — ისე კი, ვინ იცის, იზამდა თუ არა სიკო მაგას.

— დავიღუპები, ის ფული თუ ვერ ვნახე.

— თუ სიკომ იხუმრა. ეგ ვერაფერი ხუმრობაა, — თქვა რეზომ. — მაგრამ არა მგონია, სიკოს ამოეღო. ნამდვილად ავტობუსში დაკარგავდი.

მე ბაგე მოვიკვნიტე და ჩავფიქრდი.

— თუ გინდა, წავიდეთ სიკოსთან. შეიძლება მართლა იხუმრა.

სულ სამიოდე წუთში სიკოს ბინის კარებთან ვიდექით. ზარი დავრეკე. კარი ჩია, წელში მოხრილმა მოხუცმა ქალმა გაგვიღო.

— ბებია, სიკო სახლშია? — ჰკითხა რეზომ.

— სახლშია ის სასიკვდილე, — თქვა მოხუცმა. — ახლახან მობრძანდა. მთელი დღე სად ჯანდაბაში ეგდო, ეშმაკმა იცის...

შევედით. სიკო სამზარეულოში იჯდა, წინ სუპით სავსე თეფში ედგა. მშვიდად ხვრეპდა დიდი კოვზით.

— საშინლად მომშივებია, — თქვა მან. — უკვე მეორე თეფშს ვაცარიელებ... რაო, რას ჩამოგიშვიათ ცხვირი?

რეზომ თვალით ბებიაზე ანიშნა. იქვე რომ ფუსფუსებდა. სიკომ ჭამა განაგრძო, არ აჩქარებულა. მე ბრაზი მომერია. ისე ძლიერ მომინდა, სახეში შემესხა მისთვის ის სუპი, რომ ძლივს შევიკავე თავი. გაშმაგებული დავყურებდი და ერთი სული მქონდა, ყელში ვწვდომოდი, სკამიდან გადმომეთრია და იატაკზე მომეგუდა. თითქოს ჩემი მზერა იგრძნო, ამომხედა და უსიტყვოდ, უფრო ნელა განაგრძო ჭამა.

„ცხადია, ფული ამის აღებულია, — ვფიქრობდი მე, — არც ჩქარობს, დროს აპიანურებს, რომ რამე მოიფიქროს და თავი გაიმართლოს“. რამდენიმე წუთის შემდეგ ეზოში ვიდექით სამივენი. სიკო უკვე მეათედ იფიცებოდა ყველაფერს:

—რას ამბობ, მაგას როგორ ვიკადრებდი. ცხადია, გზაში დაგეკარგებოდა. თუმცა, შეიძლება, გივიმ ან გოგიმ გააკეთა. ვინ იცის, თუ მაგათ აიღეს, ფული არ დაგეკარგება, ტყავს გავაძრობ ორივეს და მაინც გამოვართმევ. ნუ გეშინია.

ორივეს ჩამოვუარეთ. ისინიც იფიცებოდნენ. არაფერი ვიცითო.

„სიკოს აღებულია, — გადავწყვიტე მე. — მათ მართლა არაფერი იცან...“

მაკრამ როგორ დამეტკიცებინა, ამას ხომ საბუთი სჭირდებოდა. სიკო კი ისეთი უტიფარია, რას გატეხ! ბიჭები კი არ მომიდგებოდნენ. არც ერთი არ მომიდგებოდა. ცხადია, არც ერთი. რამე საბუთი რომ მქონოდა, სხვა საქმე იყო.

---არაფერია, — მამშვიდებდა სიკო, ბოლოს და ბოლოს. რა იცის დათომ, შენ აიღე ფული თუ სხვა ვინმემ, ხელს ვერ დაგადებს. ის მისი ამხანაგიც ხომ დადის ხოლმე მასთან. შენ რომ თქვი, ვურამია თუ ვილაცა. მერე ოთახის კარები სულ ღია ჰქონდა. ჩვენც რამდენჯერ ვყოფილვართ შენს ეზოში; ვერაფრით ვერ დაგიმტკიცებს... თუ რამე გითხრას, ჩვენთან მოდი, ცხვირ-პირს ამოვუნაყავთ.

-- ხმასაც ვერ ამოიღებს, --- დაუდასტურა რეზომ,—ბოლოს და ბოლოს, მეც ხომ შემეძლო ამეღო...

ძლივს მიელასლასებდი შინისაკენ. საფეთქლები მიხურდა და ყურებში ყრუ გუგუნი მესმოდა. მზისაგან დამწვარი სახე მეწვოდა. ვაბრუებული და დარეტიანებული ვიყავი.

მთელი ღამე ლოგინში ვბორგავდი. სახეზე, მხრებზე, ზურგზე და ფეხებზე თითქოს ცეცხლი მეკიდა. წურწურით ჩამომდიოდა ოფლი. ხელსაც ვერ ვიკარებდი ტანზე. ძვირად დამიჯდა მთელი დღის მზეზე ყოფნა.

„თუ ჯერ არ უნახავს, - ვფიქრობდი მე, — დღეს ან ხვალ ხომ ნახავს და მორჩა.... ვუთხრა? როგორ? ანდა, სად ეიშოვო ამდენი ფული. ვინ მომცემს. დედაჩემს ვთხოვო? ხომ მომკლავს. ყველაფერს რომ თავი დავანებო. მამაჩემს ეტყვის. მამა კი თავის სიცოცხლეში არ დაივიწყებს ამ ამბავს. მამამ რომ შეიტყოს, მორჩა, მაშინ უნდა გავიქცე სახლიდან ან სადმე გადავიკარგო“.

გვიან დამეძინა. მესიზმრა, თითქოს სიკო მოვიდა და მაპატიეო, მეხვეწებოდა. ბოლოს კი ორი ხუთმანეთიანი ჩამიდო ხალათის ჯიბეში და უხმოდ, უკანმოუხედავად წავიდა. მაშინვე ჯიბისაკენ გავაქანე ხელი. ფული დაჭმუჭნული იყო და სველი. მე ყველაფერი ვაპატიე სიკოს. ყველაფერი. ბოლოს ვამომეღვიძა და დავრწმუნდი, რომ ეს სიზმარი იყო.

* * *

დილას ადრე ავდექი. წინა ოთახში დავჯექი ფანჯარასთან. ოდნავ გაწეული ფარდის უკან და ჩუმად დავუწყე დათოს თვალთვალი. დავინახე, როგორ ჩავიდა ეზოში, ონკანთან ივარჯიშა. შემდეგ ხელსირი დაიბახა და ყიბეზე ამოირბინა. „ახლა ჩაიდანს დადგამს ნავთქურაზე და ჰურის მოსატანად წავა“, ვფიქრობდი მე. ასე აკეთებ-

ცა ყოველთვის. არც ახლა შევმცდარვარ. დავინახე, როგორ აანთო ნავთქურა, როგორ ჩასხა ჩაიდანში წყალი. შემდეგ ოთახში შებრუნდა და კარგა ხანს არ გამოსულა გარეთ. გულმა მიგრძნო, რომ დათო სწორედ ახლა ნახავდა ფულს. სწორედ ახლა ნახა და იმიტომ აგვიანებდა პურის მაღაზიაში წასვლას. დიახ, ასეც იყო, ნამდვილად ასე იყო. დათო რამდენიმე წუთის შემდეგ აივანზე გამოვიდა და გაჩერდა. მე კარგად ვხედავდი მას ჩემი სათვალთვალოდან. დაბნეული და ძალიან ნაწყენი სახე ჰქონდა. შემდეგ ისეთი თვალებით მოიხედა ჩვენი კარებისკენ, თითქოს ვიღაცამ საშინლად მოატყუაო. მე არასდროს მინახავს ასეთი დათო... ცხადია. ნახა, ნახა. რომ ფული აკლია და იმასაც მიხვდა, თუ ვის შეეძლო მისი აღება.

დათომ ჩაიდანი ჩამოდგა ნავთქურიდან და პურის მოსატანად აღარ წასულა. აივანზე დადიოდა ერთ ხანს. შემდეგ ძირს ჩავიდა. კარგად ვხედავდი, ეზოში იდგა. ჭიშკრისკენ შებრუნებული, და თვალგაშტერებული სადღაც შორს. რომელიღაც უხილავ წერტილს შეჰყურებდა.

ხელში წიგნი მეჭირა, თუმცა არ ვკითხულობდი და არც ვაპირებდი წაკითხვას. არ მინდოდა დედაჩემს ეფიქრა, რომ ვიღაცას ვუთვალთვალებდი. დედამ ჩამიარა. რაღაც მითხრა, რისთვისაც მე ყურადღება არ მიმიქცევია. შემდეგ კარი გააღო და აივანზე გავიდა. დავინახე, როგორ ამოიხედა დათომ. თავი დაუკრა და კვლავ ჭიშკრისაკენ დაიწყო მზერა, თითქოს ვიღაცის გამოჩენას ელისო. დედა ჩქარი ნაბიჯებით ჩავიდა კიბეზე. სამსახურში მიდიოდა.

წამით ერთი აჩრი დამებადა. გაბედულად, თამამად გავსულიყავი გარეთ და გამეკეთებინა ის, რასაც ჩვეულებრივად ვაკეთებდი ხოლმე. გამარჯობა მეთქვა და მეკითხა, რატომ ხარ ასე დაღონებული-მეთქი. ვიცოდი, უარესი იყო, ასე რომ ვემალებოდი. მან ხომ ნამდვილად არ იცის. მართლა მე ავიღე თუ სხვა ვინმემ. იქნებ ეჭვი მაშინვე გაეფანტოს. ასეთი კუკუმალულობანას შემდეგ კი, რა თქმა უნდა, საბოლოოდ დაამტკიცებს, რომ ჩემი აღებულია. გავიფიქრე ეს თუ არა, წიგნი იქვე დავდე, წელში გავიმართე და კარს ხელი ვკარი. დათომ ამოიხედა და მე ერთი ნაბიჯიც ვერ წავედგი წინ. რაღაცამ შემბოჭა და შემაჩერა. რაღაცამ მაიძულა თვალი ამერიდებინა მისთვის, გამარჯობაც არ მითქვამს. თითქოს ვერც შევნიშნე, ეზოში რომ იდგა. კარი სწრაფად მოვკეტე და სკამზე დავეშვი.

ახლაღა ვიგრძენი, თუ რა გაშმაგებით მიცემდა გული. საშინელმა ბრაზმა ამიტანა. ჩემს თავზე ვბრაზობდი, ჩემს უსუსურობასა და სილაჩრეზე. ახლა ხომ დავუმტკიცე. თვითონვე დავუმტკიცე, რომ დამნაშავე მე ვარ, მე მოვიპარე ფული.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ დათო ნელი, მოშვებული ნაბიჯებით ამოვიდა კიბეზე, ოთახში შევიდა და კარი ჩაიკეტა. ისე გავიდა ერთი საათი. გარეთ არც გამოუხედავს.

აივანზე გავედი. კიბეზე ჩავირბინე და პირდაპირ ჭიშკრისაკენ გავემართე. გავაღე და ქუჩაში გავედი. წამით უკან მოვიხედე. მომეჩვენა, პატარა სარკმელთან, დათოს ოთახის კარში რომ იყო დატანებული, დათო იდგა და ყურადღებით მადევნებდა თვალს. მაშინვე ავარიდე მზერა.

საღამო ხანი იყო. დედაჩემი სამსარეულოში ვახშამს ამზადებდა. მე ფანჯარასთან ვიჯექი და წიგნს ვკითხულობდი. ამ დროს ზარი დაირეკა და ოთახში დათომ შემოჰყო თავი. მაშინვე ფეხზე წამოვვარდი. დათო ისე უცნაურად მიყურებდა, შიშმა ამიტანა. ვიფიქრე, ალბათ ვადაწყვიტა, დედაჩემს უამბოს ყველაფერი აქვე, ჩემი თანდასწრებით და ამგვარად გამომტეხოს-მეთქი. ხუმრობა ხომ არაა ათი მანეთი. დათო არც ისე მდიდარი იყო და ეს ფული მისთვის ერთი კვირის სარჩოს წარმოადგენდა. მე კარგად ვიცოდი ეს. სოფლიდან ძალიან ცოტას უგზავნიდნენ ფულს და ხშირად საღილზე ხახვისა და პურის გარდა არაფერი ჰქონდა. აგერ კიდევ თხუთმეტი მანეთი ბინის ქირა უნდა გადაეხადა. მივხვდი, რომ თავის მართლებას ვერ შევძლებდი. გამცემდა ჩემივე სახე. შემხედავდა თუ არა დედაჩემი, ყველაფერს მიხვდებოდა, ცხადია, ყველაფერს მიხვდებოდა. ერთადერთი გამოსავალი ისღა მქონდა, ახლავე გავქცეულიყავი, სადმე მიემალულიყავი. სანამ დათო გარეთ არ გამოვიდოდა. ერთადერთი გამოსავალი ეს იყო.

— გამარჯობა, — მითხრა დათომ, — ჭიშკართან შენი ძმაკაცი დგას. მაღალი ბიჭი რომაა, ველოსიპედიანი. ზაზა გამოვიდესო.

— ალიკო? — წამოვიყვირე გახარებულმა.

რა თქმა უნდა, ალიკოს მოსვლა კი არ მიხაროდა, არამედ ის, რომ დათო, როგორც ჩანდა, ჩემს გამოსატეხად არ შემოსულიყო. წამოვხტი და კარებს ვეცი. ჭიშკართან ალიკო იდგა.

— შემოდი ეზოში, — ვუთხარი მე, — შემოდი, რას უცდი მანდ.

ალიკო წამით შეყოყმანდა. შემდეგ ველოსიპედი შემოაგორა და თვითონაც შემოჰყვა.

— დედაშენი შინაა? — ხმადაბლა მკითხა, როცა ახლოს მივედი.

— შინაა, რა იყო?

შევატყვე, არ გახარებია ეს ამბავი. მისი ხმაც მეუცნაურა. უფრო

ახლოდან რომ შევხედე, მარჯვენა თვალზე სილურჯე აჩნდა. მარცხენა წარბი კი ოდნავ გასისვებოდა. აშკარა იყო, ვიღაცას გაელახა.

— ვინ გცემა? — ვკითხე მე თანაგრძნობით.

— დედაშენს ნუ ეტყვი, რომ აქა ვარ, — მითხრა მან. — წამო, იქ დავსხდეთ, სარდაფში, იქ გეტყვი.

სარდაფში შევედით. ალიკომ ველოსიპედი კედელზე მიაყუდა, შემდეგ ფრთხილად ძოისვა ხელი მარცხენა თვალზე, ახლა უფრო გასივებული მეჩვენა მისი წარბი, ვიდრე წეღან.

— ვინ გცემა? — ვკითხე ხელმეორედ.

ალიკო იდგა და ხმას არ იღებდა. თვალებში ჩავხედე: შევატყვე, ნამტირალევი იყო.

— გოდერძიმ გამარტყა, მერე — მამაჩემმა. ორივემ მცემეს... — ბრაზით ამოღერღა ალიკომ. — მაგრამ არა უშავს, ვაჩვენებ მაგათ სეირს. მაინც არ შევარჩენ, მიწაში რომ ჩაძვრეს.

— გოდერძიმ? — გაოცებით წამოვიძახე. — თქვენმა მდგმურმა?!

ალიკო გაჩუმდა, შუბლშეკრული იატაკს დააშტერდა. შემდეგ იქვე ყუთზე ჩამოჯდა და ორივე ხელი მიიფარა სახეზე. ალიკო დიდი ბიჭი იყო, მაგრამ როცა ძალიან გააბრაზებდნენ, თუ გულს ვერაფრით მოიფხანდა, ბავშვივით აღრიალდებოდა ხოლმე. ბევრჯერ მინახავს, სკოლაში როგორ ატირებულა, როცა ჩხუბი მოსვლია და მეტი მოხვედრია. ახლაც მეგონა, ტიროდა, და შემეცოდა, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდი, შევატყვე, ამჯერად სულაც არ აპირებდა ტირილს.

გოდერძი სადღაც ფაბრიკაში მუშაობდა, მისი ცოლი კი სტუდენტი იყო. წლინახევრის გოგონაც ჰყავდათ. ძალიან პატარა ოთახში ცხოვრობდნენ, მეტისმეტად ვიწროდ გრძნობდნენ თავს და დღე-დღეზე ახალი ბინის მიღებას ელოდნენ. ალიკოს ჭირვით ეჯავრებოდა თავისი მდგმურები, განსაკუთრებით გოდერძი სძულდა, რადგან ერთხელ წაესწრო, როგორ ეუბნებოდა იგი მამამისს, მაგ ბიჭს ნუ ათამამებ და ყველა სურვილს ნუ უსრულებ. თორემ ბოლოს ინანებო. „ვინ ჰკითხავს მაგას, — ამბობდა ხოლმე ალიკო, — ნეტა ვიცოდე, ვინ ჰკითხავს, სხვის საქმეში რომ ეჩრებაო". ერთი სული ჰქონდა, როდის გადავიდოდნენ „აბეზარი მდგმურები" სხვა ბინაში. რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ ისინი განგებ აჭიანურებდნენ გადასვლას.

მახსოვს, ერთხელ, ალიკოს ველოსიპედის გაწმენდაში რომ ეხმარებოდი, გოდერძის ცოლმა სარეცხი გამოიტანა და ეზოში გაფინა ჯვარედინად გაბმულ თოკზე. ალიკომ ეს რომ დაინახა, ბოროტად

ჩაიცინა და მითხრა. ახლა მაგის სეირს გიჩვენებო. ველოსიპედი მაშინვე შეინახა, ბურთი გამოიტანა და ეითამაშოთო, შემომთავაზა. მე ვუთხარი, უხერხულია, თოკზე გაფენილ თეთრეულს მოხვდებიმეთქი. სწორედ ეგ მინდაო. თქვა ალიკომ ხმადაბლა და ცერად გაიხედა თავის მდგმურისაკენ. ბოლოს მარტო დაიწყო თამაში. არც ქალის მუდარასა და ჩხუბს არ აქცევდა ყურადღებას, არც დედის წყევლას. ბოლოს როგორღაც თოკს დაეჯახა არ ვიცი, თოკი გაწყდა თუ შემოიხსნა, მაშინვე მიწაზე დაეფინა იმდენი თეთრეული. ქალი ტირილით შეუდგა ტალახში ამოსვრილი საბნისა და ბალიშისპირების, ბავშვის პატარა ჭრელი პერანგებისა და ზეწრების აკრეფას. კარგად მახსოვს გოდერძის გაფითრებული სახე, რომელიც სწორედ ამ დროს შემოვიდა ეზოში. მან უსიტყვოდ გამოგლიჯა ალიკოს ბურთი, სწრაფად ამოიღო ჯაყვა, გახსნა და ბურთს ჩაარტყა. ბურთი მაშინვე მომჩვარულ ტყავად იქცა. ალიკო აენთო, უნდოდა რაღაც მწარე ეთქვა, მაგრამ გოდერძის განრისხებული სახეს რომ შეხედა, თავი შეიკავა, ნაძალადევად ჩაიცინა, ზურგი შეაქცია და ნელი ნაბიჯით გამოვიდა ქუჩაში. „შემეცოდა,—თქვა შემდეგ ალიკომ,—კაცის ფერი არ ედო უბედურს, თორემ იმ ბურთის გაკრისათვის ერთს გემოზე მოვნათლავდი“.

ალიკომ სახეზე ხელები მოიშორა და შემომხედა. მერე ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— გახსოვს, მაშინ ბურთი რომ გამიკრა?.. ვაპატიე და ახლა მთლად დამაჯდა თავზე. ისეთი მოვდე, კინალამ ყირაზე გადატრიალდა. მერე თვითონაც გამარტყა სილა. მისი ცოლი და დედაჩემი გვეცნენ ხელებში. თორემ სილის ჭმეეა როგორ უნდა, ვასწავლიდი. საღამოს კი მამაჩემთან დამასმინა და იმას გაალახვინა ჩემი თავი... მამაჩემმა არც კი მკითხა, რისთვის ვიჩხუბეთ, ახლა ადგეს და მეძებოს. სანამ ბოდიშს არ მოიხდიან, იქამდე შინ ფეხსაც არ დავადგამ.

— სად უნდა წახვიდე? — ვკითხე მე.

— ამაღამვე სოფელში წავალ, ჩემს ბიძაშვილებთან. შენთან ამიტომ მოვედი, ველოსიპედი უნდა შეგანახვინო. ათი-თხუთმეტი დღე მაინც დამაგვიანდება. რეზოს დავუტოვებდი, ან გივის, მაგრამ, ხომ იცი, როგორები არიან, არ მოეშვებიან, სანამ არ დაამტვრევენ. შენ ყველაზე სანდო ხარ.

მივხვდი, რატომ ვიყავი სანდო. მე ხომ არ ვიცოდი ველოსიპედზე ჯდომა.

— შინ დატოვე. — ვუთხარი მე.

—არა, შინ ვერ დავტოვებ. მამაჩემი ისეა გაბრაზებული, ან

გადააგდებს, ან ვიღაცას ტყუილუბრალოდ გაატანს. კარგად ვიცი მისი ამბავი.

— ბიჭები ფულს აგროვებენ შენი ველოსიპედის საყიდლად, — შეეახსენე მე, — ბარემ დაუტოვე მათ, რომ დაბრუნდები, ფულს მაშინ მოგცემენ.

— აა, სიკო? — თქვა ალიკომ, — სიკომ მითხრა, მე ვიყიდი, მაგრამ ეშმაკმა იცის, იშოვის თუ არა ფულს. არა, სიკოს ვერ ჩავუგდებ ხელში ველოსიპედს.

მე კარებთან ვიდექი და იქვე მიყუდებულ ველოსიპედს შევყურებდი. ალიკო უსიტყვოდ, ღიმილით მომჩერებოდა, ვატყობდი, ეგონა, რომ განგებ ვაჭიანურებდი თანხმობას, გულში კი მიხაროდა, ველოსიპედის შენახვას რომ მაალებდა. ღიიჰ, ალიკოს ეპვიც არ ეპარებოდა, რომ ასეთ სიკეთეზე უარს არ ვიტყოდი.

— არა, — ვუთხარი მე, — ვისაც გინდა დაუტოვე... მე არ შეგინახავ.

გაოცებით შემომხედა. ერთ ხანს ხმა არ ამოუღია. მე გარეთ გამოვედი, კიბესთან მივიდი და ქვედა საფეხურზე ჩამოვჯექი.

ალიკო მოვიდა და ხმადაბლა ჰითხრა, თან შიშით იხედებოდა აივნისაკენ.

— რა მოგივიდა, დიდი ამბავია? დავდოთ სარდაფში და მორჩა. რა დიდ ადგილს ეგ დაიკავებს.

— არა, — ვაკიმეორე მე. — ვისაც გინდა, იმას დაუტოვე. ხომ გითხარი, არ შეგინახავ-მეთქი.

მე მეტი არაფერი მითქვამს, არც ალიკოს. უსიტყვოდ გააგორა ველოსიპედი. ჭიშკართან რომ მივიდა, წამით ბრაზიანად გამოიხედა ჩემკენ და გაუჩინარდა. ერთ ხანს მესმოდა მოტორის ხმირი ტაკაცუნი, შემდეგ ისიც შეწყდა.

იმ დღეს დათოს პირველი გამოცდა ჰქონდა. ვიცოდი, ძალიან ეშინოდა გამოცდების. ერთხელ გურამს ეუბნებოდა: „სულ გადაღეჭილი მაქვს ყველაფერი, ძილშიაც სულ ნიუტონს და არქიმედეს ვხედავ. მაინც რატომღაც მგონია, რომ გამოცდაზე ვერაფერს ვუპასუხებ, რომ მაინცდამაინც ისეთს შემეკითხებიან, რაც არ ვიცი და რაც. საერთოდ, ამ წიგნში არც წერია“.

შუადღე ახლოვდებოდა და დათო, სადაცაა, უნდა დაბრუნებულიყო. არ მინდოდა პირისპირ შეეხვედროლი. მაგრამ მაინც აივანზე კიდევ ერთ ხანს ვიდექი და ოთახში შესვლა ვერ მომესაზრებინა. ჭიშკრის

ჭრიალი რომ გავიგონე, მივხვდი, დათო იქნებოდა. დავიბენი, წამით დამალვა დავაპირე, მაგრამ უკვე გვიან იყო. ვერც ჭიშკრისაკენ გახედვა ვაბედე. კიბეს რომ შემოუდგა, მაშინღა მივბრუნდი დათოსკენ და კარგად არც კი შემიხედავს მისთვის, სწრაფად ეკითხე:

— რა მიილე?

დათოს ბედნიერი სახე ჰქონდა, თვალები უბრწყინავდა, ჩქარი ნაბიჯით ამოვიდა აივანზე. მკლავზე ხელი მომკიდა და ღიმილით მითხრა:

— აბა, თუ გამოიცნობ.

— ცხადია, ხუთიანი. კავიღიმე მეც, — მართალია, არა?

— მართალია, — თქვა დათომ, — ხუთიანი მივიღე. ხუთიანი, ხუთიანი...

შემდეგ ღაიხარა. წელში მტაცა ხელი, ღონივრად ამიტაცა და ჰაერში დამატრიალა, ბოლოს ხმამაღლა გაიცინა და ფრთხილაღ დამსვა ძირს. მივხვდი, ისე ბედნიერი იყო ახლა, თავის შეკავება არ შეეძლო. ამ წუთს აღარაფერი ახსოვდა დათოს, გარდა იმ ხუთიანისა. მეც გულზე მომეშვა. მისი სიხარული გადამედო და ხმამაღლა სიცილი დავიწყე.

— წადი, ჭადრაკი მოიტანე, — თქვა დათომ, როცა სიცილით გული იჯერა: — თუ გინდა, საღამომდე გეთამაშები, სანამ არ მოგბეზრდება. ღღეს შენს განკარგულებაში ვარ.

აივანზე ჭადრაკი და სკამები გამოვიტანე. ერთ სკამზე დაფა გავშალეთ და ფიგურები დავაწყვეთ. თამაშს შევუდექით, მაგრამ მე უკვე აღარ ვფიქრობდი ჭადრაკზე. შევატყვე, დათოსაც თანდათან გაუნელდა გამოცდიდან გამოყოლილი სიხარული. დუმდა და წარბშეკრული შემომყურებდა. მე კი თვალის გასწორებასაც ვერ ვბედავდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ახლა დათო იმ დაკარგულ ფულზე ფიქრობდა.

„მოდი, ვეტყვი, — გამიელვა წამით, — ნუთუ არ მაპატიებს. ყველაფერს მაპატიებს; ვეტყვი, ოდესმე გადაგიხდი-მეთქი, მაპატიებს. ალბათ აღარ გამამხელს დედაჩემთან“.

— ასე თამაში არ ვარგა, — ხმადაბლა ლაპარაკობდა დათო და თვალებში შემომყურებდა, — პირველად მსუბუქი ფიგურები უნდა განავითარო. მსუბუქ ფიგურებს კუსა და მხედარს ეძახიან. შენ კი მეორე სვლაზე დედოფალი გამოგყავს. ხომ ხედავ, ცხენით მაშინვე შენს დედოფალს ვემუქრები, მე ტემპს ვიგებ. შენ კი კარგავ...

„ვინ იცის, შეიძლება არც დაეჭვებულა ჩემზე, — ვფიქრობდი მე და დათოს სიტყვები ბუნდოვნად მესმოდა. — სხვებიც ხომ დადიან ამ ეზოში. ოთახის კარი კი სულ ღია აქვს...“.

მზე გვერდიდან დაჰყურებდა ტბას. სხივები ირეკლებოდა და წყალი ვერცხლისფრად ლიელვებდა. ტბის გაღმა ვიწრო ბილიკი ჯლაკვნით მიემართებოდა მთისაკენ. ბილიკს იქით კი კლდეების გრძელი კედელი იდგა.

ახლადტანაყრილი ფიქვის ჩრდილში ვიჯექი, მუხლებზე რვეული მედო და ტბას ვხატავდი. ჩრდილი თანდათან მოკლდებოდა და მე სულ უფრო და უფრო მივიწევდი ფიქვის ძირისაკენ. ბოლოს, აქაც რომ შემაწუხა მზემ, ავდექი და მეორე მხარეს გადავედი. სადაც ფიქვები უფრო მაღალი და ხშირი იყო.

ხატვა მომბეზრდა. რვეული იქვე დავდე, ბალახზე წამოვწექი და ტბას დავუწყე ყურება. ქვევით, ნაპირაზე, რამდენიმე ბიჭი ჩაცუცქულიყო. გრძელი ჯოხზე მიბმული ანკესები წყალში ჩაეშვათ და ყურადღებით მისჩერებოდნენ წყლის ზედაპირზე დარჩენილ ტივტივას. ერთი ბიჭი, სწორედ ჩემს პირდაპირ რომ იჯდა და ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა, დროს არ კარგავდა. სანამ ანკესი მშვიდად უდარაჯებდა მსხვერპლს, გატაცებით კითხულობდა რომელიღაც სქელ წიგნს, დროდადრო თავს ასწევდა და ტივტივას გადახედავდა. უცებ ბიჭმა წიგნი ხელიდან გააგდო და ერთბაშად აიქნია ჯოხი. ანკესი წყლიდან ამოვარდა და ჰაერში თეთრად გაიელვა პატარა თევზმა. ბიჭმა დაინახა თუ არა ლიფსიტა, რომელიც თითის სიგრძეც არ იქნებოდა, მის სახეზე აღელვებისა და მოლოდინის გამომეტყველება მყისვე იმედგაცრუებამ შეცვალა. მან ზანტად მოაშორა კაუჭს თევზი და ანკესი კვლავ წყალში ჩაუშვა. შემდეგ წიგნი აიღო და გულგრილად განაგრძო კითხვა.

მე გამეცინა და უნებურად ჩემს რვეულს გადავხედე. იქვე, გვერდით რომ მედო. „ნეტავი შეიძლებოდეს ყოველივე ამის ერთ ნახატზე გამოსახვა, — ვფიქრობდი და რვეულს ვფურცლავდი. — უეცრად ჩნდება სიხარული და მოლოდინი, რომელსაც წამსვე იმედგაცრუება და გულგრილობა მოსდევს... სწორედ ასეთი ნახატები მოსწონს დათოს, გარეგნულად უბრალო, მაგრამ შინაარსიანი, ასეთი სურათების დახატვა მართლა ძნელია...“

კვლავ იმ ბიჭს შევყურებდი და ვცდილობდი, აღმედგინა მის მშვიდ და გულგრილ სახეზე ის წამიერი განცდები, წეღან რომ გაიელვა და მაშინვე ჩაქრა, მაგრამ ამაოდ. „კიდევ რომ წამოეგებოდეს ერთი ლიფსიტა, მაშინ აუცილებლად დავიხსომებ“, ვფიქრობდი და ვცდილობდი. ბიჭის არც ერთი მოძრაობა არ გამომპარვოდა. მაგრამ თითქოს ჩემს ჯიბრზე, ანკესს, ეტყობოდა, ახლოსაც არ

ეკარებოდა თევზი. ბოლოს თვალები დავხუჭე, რაოა გონებით წარმოვიდგინა ის სურათი. ერთ ხანს ასე ვიყავი. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ფრთხილად, აუჩქარებლად მოვიმარჯვე ფანქარი და ხატვა დავიწყე. ბიჭისკენ არც გამიხედავს. მე ახლა ვერიდებოდი იქითკენ გახედვას.

მას კი კარგა ხანია გამოეცალა ადგილი, სადღაც მეორე ნაპირზე გადასულიყო და სხვა ბიჭებს შერეოდა. საათზე მეტ ხანს მარტო სახის დახატვაზე ვწვალობდი. სხვა დეტალების აღდგენა შედარებით ადვილად მოვახერხე.

იმ კვირას თითქმის ყოველდღე დავდიოდი ტბაზე. დილიდან საღამომდე ვიჯექი ხოლმე ფიქვების ჩრდილში და ვხატავდი ხან მთებს. ხან ტბას, ხან კიდევ ახლადტასაყრილ ფიქვებს... რამდენიმე დღეში სულ გავავსე ახალთახალი, სქელი რვეული, ხატვის დაწყება ყოველთვის მიჭირდა. შემდეგ კი ისე გამიტაცებდა, ყველაფერი მავიწყდებოდა და საღამოს დადგომასაც ვვიან ვამჩნევდი. ახლაც ასე მომივიდა. მზე უკვე გადახრილი იყო, როცა მომაგონდა, რომ შინ დაბრუნების დრო იყო, და თანაც საშინლად მომშივდა. ხატვა უკვე დამთავრებული მქონდა. რვეული დავხურე, მრგვალად დავახვიე, ფანქრები ხალათის ჯიბეში ჩავიწყე და ტყიდან გამოვედი; ერთხელ კიდევ მივიხედე ტბისაკენ და ქვიან ბილიკზე დავეშვი.

ის ბიჭებიც ბრუნდებოდნენ შინ. ხელში გრძელი ჯოხები და კავზე აცმული თევზები ეჭირათ. ბილიკი ციცაბოდ მიჰყვებოდა მთის ფერდებს. სირბილი სახიფათო იყო, მაგრამ მე მაინც მივრბოდი. ძალიან მსიამოვნებდა სირბილი. შინ მისვლაც მეჩქარებოდა. გაურკვეველი სიხარულით ვუპერდი ხელს მრგვალად დახვეულ რვეულს. დარწმუნებული ვიყავი, ეს უკანასკნელი ნახატი ძალიან მოეწონებოდა დათოს. თვალწინ მედგა იმ ბიჭის სურათი, გულმოდგინედ რომ ხსნიდა ანკესზე წამოგებულ თევზს. მიკვირდა, მაშინ იქ, ტბის ნაპირზე, პირველად ისე რომ გამიჭირდა მისი წარმოდგენა.

ის იყო ჭიშკრის გაღება დავაპირე, ვიღაცის ძახილი მომესმა. მოვიხედე, რეზო ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ჩემკენ.

—გამარჯობა, — მითხრა რეზომ, როცა მომიახლოვდა. — სად დაიკარგე ეს ერთი ხანია, არსად ჩანხარ.

— შინა ვარ, — მივუგე მე, — სად უნდა დავკარგულიყავი... როგორაა თქვენი ელისაპედის საქმე?

რეზომ გულგრილად ჩაიქნია ხელი და გვერდზე გადგა, თითქოს ვიღაცას გზას უთმობსო.

— ცუდად — თქვა მან, — ალიკო მთელი კვირაა არ ჩანს. ძაძა-

მისს უთქვამს, სახლიდან გავაგდეო. ფულის მოგროვებაც არ მოხერხდა. შენ არ იცი, რა მოგვივიდა? — მითხრა უცებ რეზომ.

— რა? — ვკითხე მე, ოვეული ილლიაში ამოიღე და ხელები ჯიბეებში ჩავიწყე, თან ოღსაც მოვშორდი ჩემს ჭიშკარს.

— ფეხბურთის ბილეთების გაყიდვაზე დაკავშირებულ... ეჰ, სიკოს და გიგის ბრალი კი იყო. სიკო გოგის არ ენდო და ბილეთები თვითონ ჰქონდა ჯიბეში. მეც გამომართვა. კიდევ კარგი, ცოტა მოშორებით ვიდექი. მილიციელმა დაიჭირა და ჯიბეში იმდენი ბილეთები რომ უპოვა, ალარ გაუშვა. სიკოს ოთხი ბილეთი უკვე გაყიდული ჰქონდა, ორ-ორ მანეთად.

— ახლა სად არიან? — ვკითხე მე და გულის სიღრმეში სიხარული ვიგრძენი, აქაკე დროს რაღაც მეწყინა. მაგრამ რა, ვერ მივმხვდარიყავი.

გოგის მთელი სასამართლო მოუწყვეს სახლში ძმამ და მამამ. ამდენი ხანია, ქუჩაში გასული აღარ დამინახავს. გიგისაც მაგრად მოსცხეს. სიკო, არ ვიცი, სადაა. მგონი, ბებიამისმა სოფელში ღვეზეშა გაგზავნა სიძესთან. ჩამოდი და როგორც გინდა, ისე მოუარეო. კარგად არ ვიცი. ჰო, შენ რა ჰქენი. მიხვდა რამეს? ხომ არ გაბრალებს ფულის მოპარვას? — მკითხა ბოლოს რეზომ.

— ხმაც არ ამოუღია ფულის თაობაზე, მაგრამ ვგრძნობ, ჩემზე აქვს ეჭვი. ისევაც ადვილად შემატყობდა, ძალიან ვერიდებოდი იმ დღეებში.

— რა სულელი ხარ. ისე უნდა მოქცეულიყავი, ვითომ არაფერი, ვითომ წარმოდგენაც არა გაქვს. თუ რამე მოხდა. ისე კი, რახან აქამდე არაფერი უთქვამს, გადარჩენილი ხარ.

მე არაფერი მითქვამს. რეზომ კიდევ რაღაც-რაღაცები ილაპარაკა და, რომ შემატყო, საუბრის გუნებაზე არ ვიყავი, დამეშვიდობა და წავიდა.

— აბა, მაჩვენე შენი შედეგრი, — მითხრა დათომ და ოვეული გამომართვა. — ის ნახატები, ჩემთან რომ იყო, გურამს ვანახე. ორი ძალიან მოეწონა. ერთი ის, რა ჰქვია, მგონი „გამოცდის შემდეგ“, თუ „გამოცდაზე“, მეორე — ჯიხზე შემდგარი პატარა ბიჭი ამაყად რომ. დაპყურებს თანატოლებს, ვითომდა. შემომბედეთ, რა მაღალი ვარო.

— სიმაღლე? — წამოვიძახე გახარებულმა. — ის ნახატი მეც ძალიან მომწონს.

— „სიმაღლე“ ჰქვია?.. ხოლო „დაგვიანება“ მე მომწონს, გურამს კი არ მოეწონა. მეტისმეტად შეშინებული სახეები აქვთო.

ეს სურათი ახლახან დავხატე. სურათზე ჩემი თანაკლასელები მანანა და კობა ჩხეიძეები მყავდა გამოსახული. მანანა და კობა ბიძაშვილები იყვნენ და ერთ სახლში ცხოვრობდნენ. მუდამ ერთად დადიოდნენ და დილას თითქმის სულ აგვიანებდნენ სკოლაში. ისე შეშინებული შემოაღებდნენ ხოლმე კლასის კარებს, რომ მასწავლებლები ძლიეს იკავებდნენ ღიმილს და არც უჯავრდებოდნენ. გაკვეთილებსაც ისე შემკრთალი და აკანკალებულები ჰყვებოდნენ იფიქრებდით, ეს-ეს არის ტირილს დაიწყებენო. თუმცა, ყოველთვის კარგად სწავლობდნენ და ყველა საგანში ფრიადები ჰქონდათ.

— ეს სურათი ნამდვილია, — ვუთხარი მე, — ბიძაშვილები არიან, ჩემთან სწავლობენ.

— ვიცი, მაშინაც მითხარი. ოჰო, ეს მართლა კარგი გამოგსვლია! — წამოიძახა დათომ, როცა რვეული ჩაათვალიერა და ბოლო ნახატზე მივიდა. — რაო, რა ჰქვია? — „იმედგაცრუება?“

— დღეს გამოცდა გქონდა? — ვკითხე მე, როცა დათომ რვეულის გადაფურცვლა დაამთავრა.

— დღეს? კი. კიდევ მივიღე ხუთიანი. ასე რომ, უკვე, მგონი, აღარ დავრჩები გარეთ. ერთი საგანი დამრჩა. თექვსმეტში იმასაც ჩავაბარებ, სამიანიც რომ მივიღო, მეყოფა.

— მერე ალბათ გურამს წაჰყვები, არა? — ვკითხე მე.

გურამს რამდენიმე კაცი შეეკრიბა და აგვისტოს ბოლოს სადღაც სამოგზაუროდ აპირებდა წასვლას. ამას წინათ დათოც დაიყოლია. თუ ჩავირიცხე, აუცილებლად წამოვალო. დაჰპირდა დათო.

— მეტი გზა არაა, — ღიმილით თქვა დათომ, — თუმცა, მართალი გითხრა, მეზარება კი.

—რატომ? — გამიკვირდა მე.

— სოფელში მინდოდა წასვლა. ერთი დღე ძლივს მოვასწარი შინ ყოფნა. ჯარიდან ჩამოვედი თუ არა, მაშინვე გამოვეშურე. ფულიც ხომ მჭირდება ამხელა გზაზე.

ვიგრძენი, რომ ვწითლდებოდი. „რამ გამახსენა ეს მოგზაურობა“, გავიფიქრე წამით და დათოს რომ არ შეემჩნია, ფანჯრისაკენ მივბრუნდი და ეზოში გადავიხედე. წყლის ონკანს ნელა სწყდებოდა მსხვილი წვეთები და ძირს დაგებულ ცემენტზე შხეფებად იმსხვრეოდა. რომ შევატყვე, სიწითლემ გაძიარა, კვლავ დათოსაკენ მივბრუნდი.

—გურამმა მითხრა, ფულს მე ვიშოვიო, — განაგრძობდა დათო, — მაგრამ მეხათრება მისი, ბოლოს და ბოლოს თან ხომ არ გადამყვება.

კარებთან რომ მივედით, შევჩერდი და ბადრის შევხედე. პიანინოს ხმა გამოდიოდა. ვიღაც აუჩქარებლად უკრავდა უცნობ მელოდიას. ეტყობოდა, ახლახან შეესწავლა, რადგან ერთსადაიმავე მუხლს რამდენიმეჯერ იმეორებდა.

— ვინმე უცხო ხომ არ არის? — ვკითხე ბადრის.

— არა, ჩემი დაა. მთელი დღე სულ ასე იტანჯება, ყურები წაიღო, — თქვა ბადრიმ და კარი შეაღო, მეც მივყევი, პიანინოსთან ლოლა იჯდა. იგი მაშინვე ჩვენკენ შემობრუნდა და წამოიძახა:

— ზაზა?.. რამდენი ხანია არ გამოჩენილხარ. მოდი, აქ დაჯექი.

ხელი ჩამომართვა და შემდეგ პირისპირ დავსხედით მაგიდასთან. ბადრი სამზარეულოში შევიდა და რამდენიმე წუთის მერე ლანგარით მსხალი და ატამი შემომიტანა.

— იმდენი ხილი გამოგვატანეს, ორი დღეა ვჭამთ და მაინც თითქოს ხელი არ გვიხლია. — თქვა ლოლამ და მსხალს წაეტანა. — აიღე, აიღე...

— გუშინ ჩამოხვედით? — ვკითხე ლოლას და ყურადღებით შევხედე. გასუქებულიყო და გარუჯულიყო. მკლავები თითქმის გაშაევებული ჰქონდა მზისგან. ორივე ხელის საჩვენებელ თითზე შავი ლაქები აჩნდა. წამით ბადრის შევხედე. ისინი ტყუპები იყვნენ და შუაზე გაპრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ბადრისაც აჩნდა საჩვენებელ თითზე შავი ლაქები. მან ხელზე დაიხედა და თქვა:

— ეს ჩაის კრეფისაგან გვაქვს. ასეთ ლაქებს ტოვებს ნედლი ჩაის წვენი.

— დღეში თხუთმეტ-ოც კილო ჩაის ვკრეფდი, — შეაწყვეტინა უცებ ლოლამ და თვალები გაუბრწყინდა, — მთელს სოფელში ჩემს ტოლთაგან ვერავინ მჯობნიდა...

— აღარ დაამთავრებს ახლა ტრაბახს, — თქვა ბადრიმ. — მთელი თვის განმავლობაში, მგონი, სამჯერ თუ ოთხჯერ მოკრიფა ოცი კილო.

— არაფერიც, — შეედავა ლოლა. — თუ გინდა, გაჩვენებ. — მომიბრუნდა მე, — სულაც ჩამოწერილი მაქვს.

— არა, არ მინდა. — ვუთხარი ღიმილით, — როგორ არ მოკრეფდი.

— შენ გიკრეფია ჩაი? — მკითხა ლოლამ.

— მე? არა. კინოში მინახავს, როგორ კრეფენ.

და-ძმა ჩემს მომდევნო კლასში სწავლობდა, ახლო მეზობლები ვიყავით და ხშირად ვერთობოდით ხოლმე ერთად. მათს სახლში კი რატომღაც მუდამ უხერხულად ვგრძნობდი თავს.

— იცი, რა ლამაზია ჩვენი სოფელი? — აღტაცებით დაიწყო უცებ ლოლამ. ბორაკზეა გაშენებული, იქვე კი ზღვაა, ნახევარი კილომეტრითაც არაა დაშორებული.

— გეტყობათ. — ეუთხარი მე და ორივეს შევავლე თვალი, — ძალიან გარუჯულხართ.

ყოველ საღამოს ზღვაზე ვიყავით. საღამოობით მთელი სოფელი ზღვის ნაპირზე იყრიდა თავს.

ცურავდით?

— ცოტა-ცოტას, — თქვა ბადრიმ, — შორს შესვლას ვერ ვბედავდით.

ისე რა გითხრა, — შეაწყვეტინა ლოლამ. — არ დაუჯერო, ზაზა, ცურავდა კი არა და, ნაპირს ვერ შორდებოდა!

ბადრიმ ბრაზით გადახედა დას.

პირველად მართლა ვერ ვცურავდი, მაგრამ ბოლოს ვისწავლე, ბიძამ მასწავლა.

— ბოლოს კი... კამერა გიშოვა კაკო ბიძიამ და სულ შიგ იყავი გარჭობილი, თუმცა ნაპირს იმითაც ვერ სცილდებოდი. დაგავიწყდა?

— ამის ტარტალს უყურებ? — ჩიზღით თქვა ბადრიმ. — თვითონ სულ ნაპირზე ფართხალებდა და ჩემი შურდა.

— ოჰო, ვესმის? შურდაო! — გადაიკისკისა ლოლამ.

— რაღაცის თქმა მინდოდა, — უთხრა ბადრიმ წყენით, — ახლა კი, ასეთი ენაგრძელი რომ ხარ, სიტყვასაც არ გეტყვი.

თქმა კი არა... — განაგრძობდა სიცილს ლოლა. თან მე შემომხედავდა, თითქოს მეკითხებოდა. მართლა აქვს რამე სათქმელი თუ არაო.

— რას იცინი, — თქვა ბადრიმ, — რეზომ მიამბო დღეს დილით.

— ძალიან კარგადაც იტყვი, — ეშმაკურად უთხრა ლოლამ, — შენ ისე გაძლებ?

— მშვენივრად გავძლებ. მაკრამ ზაზას ხათრით ვიტყვი, შენ არ გეტყოდი...

გაკვირვებულმა შევხედე, ნეტავ ისეთა რა უნდა ეთქვა-მეთქი რეზოს, გავიფიქრე და ახლა ლოლასთვის მინდოდა მენიშნებინა, რომ ბადრი ტყუოდა.

—ერთ ჩვენს მხატვარს, — დაიწყო ბადრიმ და ცერად გამომხედა. — ნახატების უბეჭდავენ „პიონერში". ახლა, სექტემბრის ნომერში...

მე გავწითლდი. რეზოს მართლაც მეეძლო ამის თქმა. ორიოდე დღის წინ თვითონ ვუამბე მას. სწორედ რედაქციიდან ვბრუნდებოდი მაშინ და ისე ვიყავი გახარებული, ვერაფრით ვერ მოვითმინე,

რომ ვინმესთვის სიხარული არ გამეზიარებინა. შემეძლო კი ვინანე, ვაითუ არ დაბეჭდონ და ტყუილი გამოდგეს-მეთქი.

— მართლა? — გაოცებით წამოიძახა ლოლამ და ძმას გამომცდელად შეხედა: — ტყუილია.

— რეზომ ასე...

მართლა დამპირდნენ, — ვთქვი მე, — სწორედ კარგ დროზე მოიტანე. ამ ნომერში ნორჩი მხატვრებისათვის ორიოდე გვერდი გვაქვს გამოყოფილი, შენს ნახატებსაც აუცილებლად ეამოვიყენებთო...

— რა კარგია! — ტაში შემოკრა ლოლამ. — ნეტავ მალე იქნებოდეს.

ის იყო წამოვდექი და წამოსვლას ვაპირებდი, რომ დეიდა ნატო შემოვიდა. ბაღრისა და ლოლას დედა. ეტყობოდა, ბაზრიდან დაბრუნდა, ხელებში ხორაგით სავსე ჩანთა და ბადურა ეჭირა; ღიმილით მომესალმა, სამზარეულოში შევიდა და მაშინვე ოთახში გამობრუნდა.

— რახან მოგისწარი, ცოტა ხანს კიდევ მოიცადე, — მითხრა და ქოჩორზე ხელი გადამისვა. — რა იშვიათად მოდიხარ ხოლმე. აბა, დაჯექი.

ერთ ხანს ფეხზე ვიდექი და ვყოყმანობდი. მერე სკამი ოდნავ გვერდზე მივწიე და ჩამოვჯექი. ბაღრის დედა ჩასუქებული საშუალო ტანის ქალი იყო. ლოლა ძალიან ჰგავდა მას თვალებითა და პაჭუა ცხვირით.

— დედაშენი შინაა? კიდევ ჩემ არ ავადმყოფობს?

— შინ არაა, — მივუგე მე, — ათიოდე დღით წყალტუბოში წავიდა.

— ისევ ისე აწუხებს რევმატიზმი? მგონი, შარშანაც ამ დროს იყო წყალტუბოში, არა?

— დიახ, ამ დროს.

— შენ? შენ მარტო ხარ? — მკითხა და თვალებში შემომხედა.

— მარტო ვარ. — მივუგე მე. — გუშინწინ წავიდა. თვის ბოლოს კი დაბრუნდება.

— მერე სადილს ვინ გიმზადებს?

— მე თვითონ, ან კაფეში ჩავდივარ ხოლმე. ფული დამიტოვა...

— საწყალი ბიჭი, — თავი გააქნია დეიდა ნატომ. — შენ რა უნდა გააკეთო, ან კაფეში რა იქნება ისეთი. ჩვენთან მაინც გამოიარე ხოლმე...

წამოვდექი, ბოდიში მოვიხადე და კარისკენ ვაპირებ წასასვლელად. დეიდა ნატომ მკლავში ხელი მომკიდა და ძალით დამსვა სკამზე.

— ნურას უკაცრავად. სადილამდე ვეღარსად გამექცევი. სადილის შემდეგ კი სადაც გინდა, იქ წადი. მაინც რა უნდა გააკეთო ახლა მარტომ შინ, იყავი ამათთან, ილაპარაკეთ რამე. რამდენი ხანია ერთმანეთი არ გინახავთ.

საღამოს, სწორედ ვახშმის წინ, მომაგონდა, რომ შაქარი და კარაქი აღარ მქონდა. უჯრიდან ფული ამოვიღე და მაღაზიისკენ გავეშურე. როცა მოვბრუნდი და დარჩენილ ხურდას ისევ უჯრაში ვყრიდი, თავში ერთი ასრი მომივიდა და სიხარულისაგან გულმა აჩქარებით დამიწყო ცემა. მე დავინახე ფულის შოვნის ერთადერთი გზა; დიახ, მე შემეძლო მეშოვა ის ათი მანეთი და ამით საბოლოოდ დამეხსნა თავი სინდისის ქენჯნისაგან.

დედამ თხუთმეტი მანეთი დამიტოვა. უჯრაში ცამეტი მანეთი და ათი კაპიკი იდო. იმ რვა დღის განმავლობაში, დედაჩემის ჩამოსვლამდე რომ იყო დარჩენილი, მე შემეძლო ათი მანეთი დამეზოგა. მთელი სამი მანეთი მრჩებოდა. რვა დღე მშიერი გაძლებს კაცი, მე კი მთელი სამი მანეთი მქონდა.

ათი მანეთი მაშინვე ამოვიღე და ცალკე შევინახე.

ის ფული უკვე არ არსებობდა ჩემთვის. მას ვერავინ შეეხებოდა დათოს ჩამოსვლამდე. დანარჩენი ერთხელ კიდევ გადავითვალე და თან ვგეგმავდი, რომ დღეში ერთი კილო პური თავისუფლად მეყოფოდა, დილითა და საღამოთი ჩაით იოლად გავიდოდი, სადილისათვის კარტოფილს ვიყიდდი ან სალათას. შაქარი მეტი აღარ დამჭირდებოდა, კარაქში კი ფულს, რა თქმა უნდა, მეტს აღარ დავხარჯავდი. ის კი არა და, ვნანობდი, რატომ დროზე არ მომაგონდა, ახლახან კარაქში მთელი ოთხმოცი კაპიკი როგორ გადავყარე-მეთქი.

ისე ვიყავი გახარებული, ვახშამიც არ მიჭამია. დავწექი და დათოზე დავიწყე ფიქრი. ძილში დათო მესიზმრებოდა. ფული რომ მივეცი და ჩემი დანაშაული ვაღიარე, მას ძალიან გაუკვირდა და მითხრა, მართალია, თავის ადგილას არ დაშხედა ათი მანეთი, მაგრამ კარგად რომ მოვძებნე, ვნახე, ლოგინქვეშ ეყარა. ხუთი კაპიკი აკლდა, მაგრამ, აბა, რა ანგარიშში ჩასაგდები იყოო. მე მოვუყევი დათოს, როგორ გამოვართვი გივის ხუთი კაპიკი და როგორ გადავცვალე ის ხურდა ფული ხუთმანეთიანებში. შემდეგ მესიზმრა, რომ ისევ დავკარგე ფული. ვეძებდი და ვერსად ვპოულობდი. შიშისაგან

გამომეღვიძა და მაშინვე კარადას მივვარდი. ჩემი ათი მანეთი თავის ადგილას იდო.

იმ დღეს დილიდან საღამომდე საშინელი სიცხე იყო. ნაშუადღევს ანკესი წავიღე და ტბაზე წავედი. ანკესობა მაინცდამაინც არ მიყვარდა არც მიანკესია: ტბის ნაპირას ტანზე გავიხადე და წყალში ჩავედი. საღამომდე ტბაზე ვიყავი. წყალში რომ მომწყინდებოდა, ამოვდიოდი და ცხელ სილაზე ვწვებოდი. შინ გვიან დავბრუნდი. ისე ვიყავი დაღლილი და მოთენთილი, რომ ჩაის ადუღება დამეხარა, გაუხდელად მივწექი ლოგინზე და მაშინვე ჩამეძინა. შუადამისას გამომეღვიძა, ავდექი და სიბნელეში ხელის ფათურით წყლიანი სურის ძებნა დავიწყე. ყელი გამშრობოდა. თავი მტკიოდა და ოფლში გავწურულიყავი. ვატყობდი, სიცხე მქონდა. ალბათ იქ, ტბის ნაპირზე, გაცივდი-მეთქი, გავიფიქრე და სწორედ იმ დროს წინ გაშვერილი მარჯვენა ხელი სურას შეეხო. ჭიქა ვერ ვნახე და ჭურჭელი პირდაპირ მივიყუდე პირსე. ხარბად ვსვამდი წყალს; ვიცოდი, არ უნდა დამელია ამდენი, მაგრამ სურის ფართო ყელი ტუჩებზე მედო, საიდანაც ბარაქიანად იღვრებოდა წყალი, და თავს ვერ ვიკავებდი. ბოლოს, როგორც იქნა, სურა მოვიშორე, მავიდაზე დავდგი და ბარბაცით წავედი საწოლისაკენ. გავიხადე, ჩავწექი და თავზე საბანი წავიხურე. დარეტიანებული ვიყავი და მთელი სხეული უცნაურად მტეხდა. უცებ ხველება დამაწყებინა და მივხვდი. იმიტომ მახველებდა, რომ იმდენი ცივი წყალი დავლიე.

დილას ლოგინიდან ადგომა ვერ შევძელი. სიცხე მქონდა, თავი ყრუდ მტკიოდა და მახველებდა. მალე კვლავ ჩამეძინა და ორიოდე საათის შემდეგ გამომეღვიძა. ერთ ხანს გაუნძრევლად ვიწექი; ველოდი, როდის შემაშრებოდა ტანზე ოფლი. „თუ რამე არ ვჭამე, უფრო ცუდად გავხდები, — ვფიქრობდი და ჭერს შევყურებდი. — მგონი, პურის ერთი ნატეხიც არა მაქვს კარადაში. არც კარქი. ნეტა ვინმე შემოვიდოდეს, რომ ჩაიდანი მაინც დავადგმევინო."

საათნახევარი ისე გავიდა, კაციშვილი არ გამოჩენილა. ბოლოს ავდექი. ბარბაცით მოვძებნე ტანსაცმელი. ჩავიცვი და ეზოში ჩავედი; წყალი ამოვიტანე, ჩაიდანში ჩავასხი და ნავთქურაზე დაედგი. შემდეგ პურის მოსატანად წავედი.

საღამომდე კაცი არ გამოჩენილა. ხველებას ვუმატე და ვგრძნობდი, სიცხემაც ამიწია. დილას აქეთ პირში ლუკმა არ ჩამედო, ვერც ვერაფერს მივეკარე.

ძილღვიძლში ფეხის ხმა ჩამესმა. ვიღაცა კიბეზე ამოდიოდა. კაცის ნაბიჯს დანატრებული ვიყავი და მაშინვე ყურები ვცქვიტე. აი, აივანზე გაისმა ფეხის ხმა და შემდეგ ზარიც დაირეკა.

— მობრძანდით... — დავიძახე და ლოგინიდან წამოვიწიე. მალე იმ ოთახის კარმაც გაიჭრიალა, სადაც მე ვიწექი. კარებში ლოლა დავინახე, კარგად გავარჩიე მისი პაწია, წინ გამოშვერილი ნაწნავები და შეშინებული თვალები.

ოთახში სიბნელე იყო და ლოლას კარგა ხანი მოუნდა სანამ შემამჩნევდა.

— გამარჯობა, ზაზა, — თქვა გაკვირვებულმა. ლოგინში რომ დამინახა. — რა დროს ძილია. როგორ ჩაგიბნელებია აქაურობა... — თვალი მოაყოლო ოთახს. ჩამრთველს ეძებდა. — დედამ გამომგზავნა, რატომ არ გამოჩნდა ამდენი სანიო. სახლში თუ დაგხვდეს, აუცილებლად წამოიყვანეო.

ამ დროს ჩამრთველიც დაინახა. კართან იყო, მარცხნივ, სადაც თეთრად შეღებილი პატარა კარადა იდგა. ლოლა ფეხის წვერებზე ძლივს მისწვდა ჩამრთველს და გადაატრიალა.

— დედა, რას ჰგავხარ? — წამოიძახა ლოლამ, მე რომ შემხედა. — რანაირად გავწითლებია სახე. ავად ხომ არ ხარ?.. უიმე, რა ამღერეული თვალები გაქვს... — ამ სიტყვებით საწოლთან მოვიდა და შუბლზე დამადო ხელი. ცრილი ხელი ჰქონდა და ისე მესიამოვნა, მაშინვე გავიტრუნე და ხმა არ ამომიღია.

— შუბლი ცხელი გაქვს, — თქვა ლოლამ და ხელი აიღო, — სიცხე გაიზომე? თერმომეტრიც აქ ყოფილა. — მან სიცხის საზომს დახედა. იქვე სკამზე რომ მედო — ოცდაცხრამეტი და ნახევარი... მართლა ამდენი გაქვს?

— ჰო, — წყნარად ვთქვი მე და გავიღიმე, რატომღაც მესიამოვნა, რომ დიდი სიცხე მქონდა და არა რაღაც ოცდაჩვიდმეტი და სამი ხაზი.

ლოლამ თერმომეტრი დადო და კარებთან მივიდა.

— ახლავე დედას მოვიყვან, ამ წუთში, არ შეგეშინდეს, იცოდე.

კარი გაიღო და ისევ ჩაიკეტა. შემდეგ აივანზე გაისმა ფეხის ბაკუნი. ბოლოს — კიბეზე და ჩემს სმენას ოდნავ მოსწვდა ჭიშკრის დაკეტვის ხმა. უკვე ჩამიჩუმი არ ისმოდა. საშინლად დავნაღვლიანდი. მეგონა, ლოლა სამუდამოდ წავიდა და არასოდეს აღარ გამოჩნდებოდა, არც ლოლა, არც დედამისი, არც არავინ. მეგონა, სიზმარში ვიყავი ლოლა სიზმარში ენახე და ქვეყანაზე არავინ იცოდა ჩემი ავადმყოფობის ამბავი, არავინ იწუხებდა თავს. საბანი წავიხურე და გავყუჩდი.

შემდეგ შორიდან, ძალიან შორიდან ჩამესმა რაღაც ხმაური. ეს ხმა თანდათან ახლოვდებოდა და იზრდებოდა. მეგონა, ეხრჩობოდი... თან ვხედავდი, როგორ გადმოეშვნენ მოცურავეები წყალში ჩემს გადასარჩენად, როგორ მოაპობდნენ ღონიერ მკლავებით ტალღებს...

ვილაცამ საბანი გადამხადა, შუბლზე ხელი დამადო, მერე ყელთან ჩამიკეცა საბანი და სასთუმალი ამიწია. ვგრძნობდი ქალის გრილ ხელებს და სადღაც შორს მკრთალად ვხედავდი ბადრისა და ლოლას სახეებს. ცოტა ხნის შემდეგ შუბლზე ცივი ტილო ვიგრძენი და ნელნელა გამოვერკვიე. სათლად გავარჩიე ჩემ წინ მდგარი სამი ადამიანის სახე — დეიდა ნატოსი, ბადრისა და ლოლასი.

— ზაზა, შვილო, გტკივა რამე? — მკითხა დეიდა ნატომ.

—თავი მტკივა. — მივუგე. — ცოტა თავი მტკივა და ყელი...

— როდის გაცივდი?

— მგონი, გუშინ... ტბაზე...

—მთელი დღე ასე იყავი. სიცხიანი და მშიერი?

არაფერი მიპასუხია. მავიდისკენ გავიხედე. ახლაც იქ იდო ჰურრი, დილას რომ მოვიტანე. ქალმა თვალი გააყოლა ჩემს მზერას და თავი გააქნია. შემდეგ კარადასთან მივიდა, გამოაღო.

— აქ შაქარია მარტო, მეტი არაფერი. ჩემთვის მაინც გეთქვა, ფული თუ გაგითავდა...

—არა, ფული მაქვს, იმ უჯრაშია.

დეიდა ნატომ უჯრა გამოსწია. იქ მანეთიანი და სამი აბაზიანი იყო.

— მანეთი და სამოცი კაპიკი. ეს ფული რამდენ ხანს უნდა გეყოს.

— არა, კიდევ მაქვს. იქ, ზემოთ, წიგნში, ათმანეთიანი დევს.

დეიდა ნატომ ფული ბადრის მისცა და რაღაც დაბარა. შემდეგ ლოლა გაგზავნა სადღაც. მე უკვე აღარ ვუსმენდი მათ.

უცებ დეიდა ნატომ მკითხა:

— ფული რამდენი დაგიტოვა დედაშენმა?

— თხუთმეტი მანეთი — მივუგე მე და მივხვდი, რისთვისაც მეკითხებოდა ამას.

— მთელი კვირის განმავლობაში სამი მანეთი და ორმოცი კაპიკ დაგიხარჯავს. არაფერს ჭამდი? რისთვის დაგიტოვა დედაშენმა ეგ ფული, ნეტა ვიცოდე. ან რისთვის იზოგავდი.

მე ხმას არ ვიღებდი. ვდუმდი. მაგრამ არაფერს ვფიქრობდი. ჩემთვის ახლა ყველაფერი სულ ერთი იყო.

მთელი ღამე ოფლში ვცურავდი, სიცხე მაწუხებდა და ლოგინში ვწრიალებდი. დროდადრო ადგებოდა დეიდა ნატო, რომელიც დედა-ჩემის საწოლზე იწვა ლოლასთან ერთად. და საბანს გამისწორებდა, თან შუბლზე დამადებდა გრილ ხელს. მე ძილშიც კარგად ვგრძნობ-დი ამას: ნელა გაიკრაჭუნებდა ლოგინი. შემდეგ ფეხაკრეფით მი-ვიდოდა მაგიდაზე მბჟუტავ ნათურასთან, ჩემი საწოლისაკენ მო-აბრუნებდა და ასევე ჩუმი ნაბიჯებით გამოემართებოდა ჩემკენ.

დილას სიცხე აღარ მქონდა, არც თავი მტკიოდა, ვახველებდი მხოლოდ. ეს იყო და ეს.

შუადღე მოახლოებული იყო, ოთახში რეზო, ბადრი, გივი და გოგი რომ შემომწკრივედნენ. რეზოს ხელში ქაღალდის პარკი ეჭირა.

— ახლა რომ მობრძანდით, გუშინ სად იყავით მთელი დღე? — საყვედურით ჰკითხა მათ დეიდა ნატომ, — არც ერთს აზრად არ მოგსვლიათ, რომ შემოგვევლოთ.

ბიჭები ერთ ხანს ჩემს საწოლთან იდგნენ და ღიმილით დამ-ყურებდნენ თავზე. შემდეგ რეზომ ქაღალდის პარკი გახსნა და სკამ-ზე ვაშლები დამილაგა. შემდეგ ატმები ამოაწყო.

— ჭამე ვაშლი. — მითხრა დეიდა ნატომ. — უკეთეს გუნებაზე დაგაყენებს.

ვაშლი ავიღე და მოვკბიჩე. ბიჭები საწოლს მოსცილდნენ და ფანჯარასთან სკამებზე დასხდნენ. ძალიან მინდოდა, დავლაპარაკე-ბოდი მათ. მაგრამ სათქმელი ვერაფერი მოვიგონე, ისინიც არა-ფერს მეუბნებოდნენ, არც მეკითხებოდნენ რამეს.

— სიკო შემხვდა წეღან, — დაიწყო ბოლოს რეზომ, — რომ გაიგო შენთან მოვდიოდით, მეც გამოვივლიო, თქვა.

უცნაური იყო, მაგრამ მე არც წყენა მიგრძვნია ამჯერად სიკო-სადმი, არც სიძულვილი. გამიხარდა კიდეც, მოსვლას რომ აპირებ-და.

— სიკო შინაა? — ვიკითხე მე.

— კი, დღეს ხომ კვირაა.

— მამამისს სამუშაოზე მოუწყვია, — თქვა გოგიმ, — შეგირ-დად სადურგლო სახელოსნოში. ჯერჯერობით მარტო სკამების გა-კეთება ვისწავლეო, თქვა. — სწავლა რომ დაიწყება. საღამოს სკო-ლაში შევალო. მამამისი დაპირებია, თუ ჭკუით იქნები, მე თვითონ გიყიდი მოტოციკლეტსო.

— იცით ახალი ამბავი? — თქვა უცებ გივიმ. — გუშინ ალიკო ჩამოსულა სახლში.

— მართლა? სად იყო ნეტავ ამდენ ხანს?

— სოფელში ყოფილა გაპარული.

— აღარ ყიდის თავის ველოსიპედს? — იკითხა გივიმ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ეტყობოდა. არავის არ ესიამოვნა ველოსიპედის ხსენება. უსიამოვნოდ შეიშმუშნენ და კითხვა უპასუხოდ დატოვეს.

— მამა რომ არ უშვებდა შინ? — ვიკითხე მე.

— როგორც ჩანს, შეუშვია, — თქვა გივიმ, — გუშინ შემხვდა და მშვენიერ გუნებაზე იყო.

— აბა, სულ ხომ არ გააგდებდა სახლიდან, — თქვა ბადრიმ.

ამ დროს კიბეზე ფეხის ხმა გაისმა. მაშინვე მივხვდი, სიკო იქნებოდა. მართლაც, სიკო გამოჩნდა კარებში. ოთახში მყოფთ მიესალმა, ჩემთან მოვიდა და ხელი ჩამომართვა.

— გრიპი გაქვს? — მკითხრა მან.

— ჰო, მგონი, — მივუგე ღიმილით.

— ნუ გეშინია, მალე მორჩები, — მითხრა სიკომ, — აი, ესეც ჩემი მოსაკითხი. — დაუმატა მან, ჯიბიდან შოკოლადები ამოიღო და იქვე, ხილის გვერდით დაყარა.

— გმადლობ, — ღიმილით ვუთხარი მე, — რას წუხდებოდი...

სიკო ფანჯრასთან მივიდა და ბიჭებს შეუერთდა.

ერთი საათის შემდეგ დამემშვიდობნენ და ხმაურით ჩაიარეს კიბე.

ნელა, ძალიან ნელა გადიოდა დღეები. აგვისტოს ბოლოს დედა ჩამოვიდა, შემდეგ — დათო. როგორც იქნა, სასწავლო წელიც დაიწყო და უკვე აღარ ვგრძნობდი დროის ზოზინს. ცხრის ნახევარზე მეწყებოდა სწავლა, დათოს — ცხრაზე. დედაჩემი დილაადრიანად მიეშურებოდა სამსახურში. ნაშუადღევს პირველად მე მოვდიოდი შინ, შემდეგ — დათო, ბოლოს კი — დედა.

ჩემი ნახატები დაიბეჭდა. თვალებს არ ვუჯერებდი. პირველად რომ ვნახე. ყველა მიქებდა და შილოცავდა. სკოლაში მთელი აურზაური ატეხეს ჩემმა თანაკლასელებმა. ფიზიკის გაკვეთილზე ჩვენმა პოეტმა გია კეველიშვილმა საიდანღაც ჟურნალი ამოაძვრინა და ამხანაგებს აჩვენა, კლასში ხმაური ატყდა. ჟურნალი ხელიდან ხელში გადადიოდა და მასწავლებელს არავინ უსმენდა. მან ითმინა, ითმინა ეს აურზაური, ბოლოს კი განრისხდა. გიას კლასიდან გაგდება დაუპირა. ამ დროს ვიღაცამ მასწავლებელს გადაშლილი ჟურნალი

მიუტანა და გია გარეთ გაგდებას გადარჩა; მასწავლებელმა აპატია დახარიული, ადგილზე დასვა და როცა კლასი დამშვიდდა, ხუთიოდე წუთი იმასე ილაპარაკა, რომ მასაც ჰყავდა სკოლაში ერთი ამხანაგი, ის მშვენივრად ხატავდა. მაგრამ რატომღაც იურიდიულზე განაგრძო სწავლა და მისგან არც იურისტი გამოსულა, არც მხატვარი.

ერთხელ სკოლიდან რომ დავბრუნდი, დათოს ოთახის კარი ღია დამხვდა და შიგ შევიხედე. დათო მაგიდასთან იჯდა და წიგნს დაჰყურებდა. სხვა დროს ყოველთვის მე ვასწრებდი ხოლმე შინ მისვლას. უცებ მოძაგონდა, რომ დღეს შაბათი იყო და მივსვდი, ოატომ მოსულიყო ასე ადრე დათო.

— ახლაც გამოგიშვა? — ვკითხე მე და ჩანთა სკამზე დავდე.

დათომ წიგნი დახურა და შემომხედა. შემდეგ წყნარად თქვა:

— სად ვიშოვო ახლა ამდენი ფული... თოთხმეტი მანეთი მჭირდება...

ფიზკულტურის მასწავლებელი ვარჯიშზე არ უშვებდა დათოს, სპორტული ფორმა არა გაქვსო. ეს უკვე მესამედ გამოაბრუნა. სექციაში ხომ სულ არ დადიოდა. მასწავლებელი ეუბნებოდა, თუ დროზე არ შეიძენ ფორმას, მერე გვიან იქნება, გაცდენილს ვერ აანაზღაურებ და ჩათვლას ვერ მიიღებო. ფორმის შეძენა კი არც ისე იოლი აღმოჩნდა. ერთ ხანს წაუყრია, მაღაზიებში სარბენად დროს ვერ იმეტებდა, შემდეგ კი ფული შემოელია, დღეები კი სწრაფად გადიოდა და გაცდენას გაცდენა ეპატებოდა. ახლაც ძალიან ცოტა ფული ჰქონდა, მთლად რომ ამოეფხიკა ჯიბე, მარტო კედებსაც ვერ იყიდდა. გურამი იყო ხოლმე გაჭირვების ტალკვესი, მაგრამ გურამს სადღა მისწვდებოდა: თურმე ერთი კვირა უელია ლექციებზე, შემდეგ რაღაც მოპრიანებია, ერთი წლით შვებულება აუღია და ყაზახეთში წასულა სამუშაოდ.

— კედები უკვე აღარ იშოვება, — ვუთხარი მე, — გუშინ მაღაზიებში დაუდიოდი და კედებსაც ვათვალიერებდი... შენი ფეხის ნომერი ხომ, რა ხანია, არ არის... შენ ორმოცი გიჭდა, ხარა?..

— ოღონდ ფული მქონდეს და... მასწავლებელმა გვითხრა, ავჭალაში და რუსთავში, რამდენიც გიჭდა, იმდენიაო, შინიდანაც არ ველი ჯერ ფულს. ახლახან გავგზავნე წერილი.

ჩანთა ავიღე და ის იყო გასვლას ვაპირებდი, რომ დათომ შემაჩერა და მითხრა:

— მოიცა, წეღან წერილი ღატოვა ფოსტალიონმა. მამაშენისა. — ამ სიტყვებით მაგიდას მოავლო თვალი, წერილი აიღო და მომაწოდა.

კონვერტი გავხიე და წერილი ამოვიღე. მამა პირადად მე მწერდა. საოცარი იყო. მამაჩემი იშვიათად გზავნიდა წერილს, ჩემს სახელზე კი — არასოდეს.

წერილი პატარა იყო, სულ ორიოდე წინადადება. სწრაფად ჩავიკითხე და გაოცებულმა ღათოს მივაწოდე. ამ ღლეებში აუცილებლად ჩამოდიო, მწერდა მე. ეს იყო და ეს.

— წადი ხვალ, — მითხრა ღათომ. — ხვალ ხომ კვირაა.

უკანასკნელად ოციოდე ღლის წინ ვიყავი მამასთან. ღედას ვახლდი. მამამ ჩვეულებისამებრ ორიოდე სიტყვა კვითხრა, მერე პაპიროსს მოუკიდა და ცოვად მიაჩერდა ფანჯარას, რომელიც ქუჩაში გადიოდა. მეორე ღღეს ახალი სასწავლო წელი იწყებოდა, მამაჩემს კი ალბათ არც ახსოვდა ეს. ყოველ შემთხვევაში, სწავლაზე სიტყვაც არ დაუძრავს.

მე არასოდეს არ მეხალისებოდა მამაჩემის სახახავად წასვლა, რადგან ყოველთვის მეტისმეტად ცუდ გუნებაზე ვბრუნდებოდი იქიდან. ლაპატარავებული და ღაეჭვებული, შეშინებული ღა შეურაცხყოფილი, სწორედ ისე, როგორც მაშინ, ს

ახლა... ვფიქრობდი, რომ მამაჩემი ჩაიცინებდა და იტყოდა: „აა, სულელი, დიდი რამე ჰგონია. გამომიგზავნა კიდეც...“ მინდოდა მას ეფიქრა, რომ მართალია, ეს „დიდი რამეა“, მაგრამ არც ისე „დიდ რამედ“ მიმაჩნია, მე გაცილებით მეტის გაკეთება შემიძლია. ამიტომ არ გავუგზავნე არც წერილი, არც ჟურნალი. არ გავუგზავნე, თუმცა სამჯერ დავწერე წერილი. სამჯერ დავწერე და სამჯერვე ხაკუწებად ვაქციე...

...მორიგემ, მაღალმა, გამხდარმა სერჟანტმა, მაშინვე მიცნო. ღიმილით მიპასუხა სალამზე და ფანჯრიდან ვიღაცას გასძახა:

— იოსელიანს დაუძახეთ, მისი ბიჭი მოვიდა!

შემდეგ წამოდგა, მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და ღიმილით მითხრა:

— ყოჩაღ. მშვენიერი ხატვა გცოდნია. მამაშენს არავინ არ დაუტოვებია მთელ კოლონიაში, რომ შენი ნახატები არ ეჩვენებინა. ეს ორი დღეა იმ ჟურნალს სულ ხელით დაატარებს. კინაღამ გაგიჟდა კაცი.

• •

უკვე საღამოვდებოდა, შინ რომ მივედი, კიბეზე ჩქარი ნაბიჯით ავედი და დაუკაკუნებლად შევაღე დათოს ოთახის კარი. შიგ არავინ იყო. ერთ ხანს იქ ვიდექი. ბოლოს დედასთან შევედი და ვკითხე, დათო სად არის-მეთქი.

— ახლახან გავიდა, — მითხრა დედამ და მამაჩემის ამბავი გამოიკითხა.

მე ნაჩქარევად ვუპასუხე, კიბეზე დავეშვი და ქუჩაში გამოვედი. თვალი ქუჩის საათს შევაელე. ექვსის ნახევარი იყო.

„სად წავიდა ახლა“, — ვფიქრობდი და გამქელელებს ვათვალიერებდი. სახლში გაჩერება არ შემეძლო. წამით ბადრისთან და ლოლასთან წასვლა დავაპირე. მერე გადავიფიქრე და უმიზნოდ დავუყვავ ქუჩას. ბაღთან რომ მივედი, შევჩერდი და შევიხედე. ნაცნობი ვერავინ დავინახე: ბოლოს ბაღის სიღრმეში თავისუფალი მერხი შევნიშნე და იქითკენ გავემართე.

მარჯვნივ, გრძელ მერხზე, რამდენიმე მოხუცი იჯდა. ისინი დინჯად დაჰყურებდნენ იქვე გაშლილ ჭადრაკის დაფას. მერხის ორგვლივ ახალგაზრდებს მოეყარათ თავი და ცნობისმოყვარეობით დასცქეროდნენ ძველ, საღებავგაცლილ ფიგურებს. მე არც მიმიხედავს იქით, ისე განვაგრძე გზა. უწინ ყოველთვის სიამოვნებით ვუყურებდი ხოლმე ამ მოხუცების დაუღალავ თამაშს და ბავშვურ დაფას.

არა, შენ ფიქრობ უფრო მეტ ხანს და არა მეო, მაგრამ ახლა მარტო ყოფნა მერჩიენა.

— ზაზა! — მომესმა უცებ და მოვბრუნდი. ეს დათო იყო. იგი მერხთან მდგომ ახალგაზრდებს გამოეყო და ჩემკენ წამოვიდა.

— იყავი მამაშენთან? — მკითხა დათომ, როცა მომიახლოვდა.

— ვიყავი, — მივუგე მე, — ახლახან დავბრუნდი. ჟურნალი თვითონ უნახავს. ერთ პატიმართან დარჩენია ვილაც ბიჭს. სრულიად შემთხვევით წასწყდომია მამაჩემი. იცი, როგორ მოსწონებია ნახატები? ძალიან მოსწონებია! წამო, იმ მერხზე დავსხდეთ, — ვუთხარი ბოლოს და ხელი მოვკიდე.

გადაწყვეტილი მქონდა, ახლა მაინც ყველაფერი მეთქვა დათოსთვის, მეთქვა, როგორ ავიღე ფული და დავკარგე. ვიცოდი, დათო ყველაფერს მაპატიებდა და მეც თავისუფლად ამოვისუნთქავდი. მაგრამ სათქმელი ყელიდან არ ამომდიოდა. დავიწყებდი თუ არა, ენა მებმოდა და ხმა მიწყდებოდა.

• • •

ერთ ხანს ფეხით ვიარეთ ქუჩებში, მერე კინოში შევედით და გვიან დავბრუნდით შინ.

დათომ კარი შეაღო და ოთახში შევიდა. მეც მივყევი. ფანჯარა ღია იყო და მეზობელი სახლებიდან სინათლე შემოდიოდა. დათო ჩამრთველთან მივიდა და გადაატრიალა.

მაგიდაზე ყავისფერი პატარა სპორტული ჩემოდანი დაინახა, მივიდა, მსუბუქად ასწია და ჩაილაპარაკა:

— ნეტავ ვის დარჩა... ვინმე ამზანაგმა თუ გამოიარა ჩემს არყოფნაში...

მე უსიტყვოდ გამოვართვი ჩემოდანი და გავხსენი. აუჩქარებლად ამოვალაგე კედები, სპორტული შარვალი და გრძელი სახელოებიანი ლურჯი მაისური.

— ჩემი ნავაპრია, — ვთქვი მე და გავიღიმე, — შენ მოგიტანე.

— მე?.. — წამოიძახა დათომ და შემომხედა, შემდეგ მაგიდაზე დაწყობილ კედებსა და სპორტულ ტანსაცმელს მოავლო თვალი.

— ფული იქ მომცეს, იმ ნახატებისათვის. ახლა არ მომიპარავს... — ვთქვი მე ენის ბორძიკით.

დათოს არაფერი უთქვამს, შუბლშეკრული შემომყურებდა და ეატყობდი, უნდოდა გაჯავრებულიყო და ვერ მოეხერხებინა. ბოლოს გაიცინა, ქოჩორში მწვდა და მაგრად მომქაჩა მე შეეხედე და გამეცინა. შემდეგ უსიტყვოდ გამოვბრუნდი, გარეთ გავედი და ნელა მივხურე კარი.

ლოგინზე წამოვწექი და თაროდან წიგნი გადმოვიღე. არ მახსოვს, რა წიგნი იყო, არც გადამიშლია, ყდაზედაც არ დამიხედავს. ვგრძნობდი, რომ არაფრის წაკითხვა არ შემეძლო, მხოლოდ ფიქრი შემეძლო და ვფიქრობდი, წიგნი ხელში მეჭირა და ვფიქრობდი, მერე წიგნი ისევ თაროზე შემოვდე, შუქი ჩავაქრე, თავზე საბანი წავიხურე და მთელი ღამე ვფიქრობდი. არ ვიცი, მეძინა თუ არა იმ ღამეს საერთოდ; ვიცი მხოლოდ, რომ მეჩვენებოდა, თითქოს ერთი დიდი, ძალიან დიდი და კარგი დღე გრძელდებოდა, ეს დღე მაშინ დაიწყო, როცა ზარის წკრიალი გავიგონე, სარკე მაგიდაზე დავდე და კარებთან დათო დავინახე.

იმ ღამეს გვიან დამეძინა, ძალიან გვიან, ალბათ გათენებისას, და მაინც სწორედ იმ ღამეს ვნახე ყველაზე კარგი სიზმარი:

კიბეზე ხმაურით ამოდიოდა მამაჩემი, მე ვიცანი მისი ნაბიჯების ხმა, ვიცანი მისი სუნთქვა, როცა ოთახში შემოვიდა და თავზე დამადგა, და მაინც ვეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს სულ სხვა კაცი იყო. კაცი, რომელიც დღეს ვნახე პირველად.

— გამარჯობა, ზაზა! — მითხრა იმ კაცმა.

— გამარჯობა, მამა! — მივუგე მე ხმადაბლა და თვალები გავახილე.

მამაჩემი ჩემს ლოგინთან დაჯდა, იღლიიდან სქელი, ცისფერ-ყდიანი რვეული გამოიღო და გადაშალა. რვეული ჩემი ნახატებით იყო სავსე, იმ სურათებით, რომლებიც ჯერ არ დამეხატა, სურათებით, რომლებზეც დღედაღამ ვოცნებობდი და რომელთა დახატვაც დღემდე ვერაფრით ვერ მომეხერხებინა.

ჯიხვი

— სარკმელთან ვიჯექი. სიცხისაგან ისე ვიყავით გათანგულები, ლაპარაკის თავიც არ გვქონდა. ვისხედით. ვდუმდით იქ, ზევით, მთაში, სიცხეც უზომო სცოდნია და სიცივეც. ღამით კინაღამ გავიყინეთ, ერთმანეთს ვეხუტებოდით, თხელ საბნებს მჭიდროდ ვიხვევდით ტანზე, დღისით კი, აჰა, ინებე... დილიდან შუადღემდე, სანამ ჩვენ აღმართ-აღმართ დავეხეტებოდით, კოშკებზე დავძერებოდით, მარქანა მზის გულზე ირუკეებოდა და ახლა აღარ გაიძლებოდა შიგ— ღუღდა და ეარეარებდა ყველაფერი. მოთენთილი ქუჩას გავყურებდი და ნელ-ნელა თელემა მერეოდა, თვალები მებლიტებოდა. გვერდით ჩემი თანაკლასელი ბესო სულაძე მეჯდა, პოეტი. ჩვენი მოგზაურობის დღიურებს ბესო ლექსად წერდა, კარგად იმუშავა, წეთითაც არ დაუსვენია, დაწკრილებით ვალექსა, თუ რომელ მოსწავლეს რა დამსახურებისათვის ერგო მასწავლებელთა მოზრდილ ჯგუფთან ერთად მთაში ექსკურსიაზე წამოყვანა. როგორ ვიმგზავრეთ, როგორ დავბინავდით, დილაუთენია რძეს როგორ დავეძებდით დაბასა და მის მიდამოებში რათა მუსიკის მასწავლებლის აჩხაველებული პირმშო დაგვეწყნარებინა, როგორ დავათვალიერეთ კოშკები, მუზეუმები, რა აღტაცებული და აღფრთოვანებული დავრჩით ყოველივე ნახულითა და ვანცდილით... ბესო ახლაც ღრმად იყო ჩაძირული თავის პოეტურ ფიქრებში. ვაფითრებული ღრღნიდა ფანჭარს და იმ საკმაოდ არაპოეტურ ეპიზოდს ჩაჰკირკიტებდა, დირექტორმა ადგილობრივ უნივერმაღში ოთხი ცალი ფინური თუ უნ-

გრული ყელსახვევი რომ იყიდა, ხოლო მისმა მეუღლემ თამარმა და სასწავლო ნაწილის გამგემ, მერი მასწავლებელმა თითო წყვილი ქვაბი შეიძინეს. ბესო ცდილობდა, არც მწვადი დაეწვა, არც შამფური, არც სიმართლისათვის ეღალატა, არც მისთვის ჩვეული იუმორისათვის, ავტობუსი ნელი, მშვიდი ზუზუნით მიდიოდა. დაბაში ხვატი იდგა, ასფალტი დამდნარიყო. ქვის კედლებს შორის ჩაკედილ ქუჩას სული ეხუთებოდა. ე, ბიჭო, მოუმატე ცოტა, ვიხრჩობიო, შეევედრა მძღოლს რევაზი, ბიოლოგიის მასწავლებელი; კი ბატონოო, უთხრა თავაზიანმა, მხიარულმა მძღოლმა, მაშინვე მოუმატა სიჩქარეს, და ამ დროს ჯიხვსაც მოვკარი თვალი. ჯერ მოჩვენება მეგონა, თვალები მოვისრისე. ნუთუ მართლა ჯიხვია? საიდან? როგორ? დღისით, მზისით, შუა დაბაში, მოდი და დაიჯერე! მართალია მძღოლი გვპირდებოდა, ჯიხვი უნდა გაჩვენოთო, თან ხუმრობდა, ათას სასაცილო ამბავს გვიყვებოდა. ამიტომ ეს დაპირებაც ხუმრობად მივიღეთ. საკუთარ თვალებს რომ არ დავუჯერე, ბესოს ვტაცე ხელი, მაგრად შევანჯღრიე. ბესო გაშტერებული მომაჩერდა, ისევ იმ ქვაბებსა და ყელსახვევებს უტრიალებდა მისი დაძაბული ტვინი.

— შეხედეთ! შეხედეთ! ჯიხვი! — შევკივლე ყველას გასაგონად. მაშინვე გაჩერდა ავტობუსი. ძირს გადმოვცვივდით. ჯიხვი შედგა, შემოგვხედა და რაკი მიხვდა, ეს ამდენი ხალხი მისკენ მიეშურებოდა, რატომღაც დაწვა. სადაც იდგა იქვე ჩაიმუხლა და მოხდენილად, ლამაზად წამოწვა. წამით გამიელვა, ავადაა, სიარული აღარ შეუძლია, ალბათ სწორედ უმწეობამ, უღონობამ, ტკივილებმა გააბედვინა დაბაში ჩამოსვლა, ადამიანებთან შველას ეძებს-მეთქი. სადღაც წამიკითხავს, რომ მძიმე განსაცდელის ჟამს გარეული ცხოველები ივიწყებენ იმ შიშსა და სიფრთხილეს, ძვალსა და რბილში რომ აქვთ გამჯდარი. ახლოს რომ მივედი და დავაკვირდი. ვერაფერი შევატყვე ავადობისა და უძლურების. იწვა ღირსეულად, შნოიანად, თავდაჯერებული, ჯანსაღი, ამაყი და უშიშარი. ბეწვი უბზინავდა, თვალებს ნაბავდა...

მამას ხმამაღლა გაეცინა. თეონა შეცბა. თხრობა შეწყვიტა, წარბი შეიკრა. წამით დუმილი ჩამოვარდა. არ გჯერა? სულაც არაფერს გიამბობ და ის იქნებაო, უთხრა მამას.

— იქ, ღმერთო... ხომ კარგად გეძინათ?

— ცუდად გვეძინა... რა მოხდა მერე. ეგ რა შუაშია?

— რატომ გეძინათ ცუდად? — თეონამ შეატყო, მამა უკვე ნანობდა, თავისი უნდობლობით ქალიშვილს რომ აწყენინა, ცდილობდა, საუბარი კვლავ გულითადობის კვალში ჩაეყენებინა.

— რატომ და... მთელი ღამე ჩხაოდა ის ბავშვი... მუსიკის მასწავლებლის... ექიმის ცოლის, წელს რომ გადმოვიდა ჩვენთან. ჩვილი ბავშვი ჰყავდა წამოყვანილი. შვიდი თუ რვა თვის. ვერავის დაუტოვა თურმე... ადგა და წამოიყვანა. მართალი გითხრათო, გამოგვიტყდა გზაში ის ქალი. მარინა ქქვია, ქმარს არ უნდოდა, რომ წამოვსულიყავი; მერე ერთად წავიდეთო. ბავშვი რომ წამოიზრდებაო, ვიფიქრე, მერე როდის მომეცემა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა-მეთქი. წამოვედი. არ დავიშალეო. ეგ არაფერიაო, დაამშვიდა ვასომ, ქიმიის მასწავლებელმა, აკრძალული ხილი მუდამ ტკბილი იყოო. ასე თუ ისე, ამ გულაბდილი აღიარების მიუხედავად, ექიმის მეუღლე, ჩემი ეზრით, სულაც არ გრცხობდა თავს უხერხულად. ქმარს რომ ეურჩა და დაგვემგზავრა. პირიქით, კმაყოფილი და გამარჯვებული ჩანდა. ჩვილიც ჭკვიანად იყო, არ ტიროდა, არ გვაწუხებდა, მთელი გზა ეძინა. დროდადრო გაიღვიძებდა, მოგვათვალიერებდა ცნობისმოყვარეობით, მერე ბოთლზე წამოგებულ საწოვარს დაეწაფებოდა და კვლავ ძილს მისცემდა თავს. რა ვიცოდით, მთელ თავის ძალას და ღონეს, თავის სიფხიზლეს ღამისათვის თუ ინახავდა... სასტუმროში სამი პატარა ოთახი ძლივს გამოგვინახეს. აღარც კი ვიცი, იატაკზე ვიწექი თუ საწოლზე, ზედახორა იყო ოთახში. ნაშუალამეს ბავშვმა კივილი ატეხა და უბოდიშოდ ზეზე წამოგვყარა. ტუუილია, ველარ დავაწყნარებ, თუ რამე არ ვაჭამეო, თქვა მარინამ, გვთხოვა, სინათლე ამინთეთო. ბოთლი იპოვა დიდი ვაივაგლახით, მაგრამ შიგ წვეთი რძეც არ აღმოაჩნდა. ახლა რაღა მეშველებაო, შემოიკრა თავში ხელი, მთელ დაბას ფეხზე დაიყენებსო. ისეთი ხმა ჰქონდა იმ თითისტოლა ბავშვს, მეგონა, ჭერს ჩამოანგრევდა. ატყდა მეზობელი ოთახებიდან და დერეფნიდან ძახილი, რა ამბავია, ბავშვს რას უშვრებითო. ავდექით, ჩავიცვით, დაბაში გავიფანტეთ. რადაც უნდა დაგვჯდომოდა, რძე უნდა გვეშოვა. ბნელოდა, ალალბედზე მივდიოდით. ვის უნდა მივდგომოდით რძისათვის ასე უთენია? შეუძლებელია, სადმე საქონლის ფერმა არ იყოსო, გაიძახოდა ვასო, დროდადრო შეჩერდებოდა, ღრმად შეისუნთქავდა ნამით გაჯერებულ ჰაერს, იქნებ სუნი ავიღოო.

წინ მზევინარი გარბოდა. ჩვენი ბიბლიოთეკარი, ვასო უკან მისდევდა, მე ბოლოში მივჩანჩალებდი. ამასობაში სიბნელე ცოტათი გამკრთალდა. „მივადგეთ ახლა ნებისმიერ სახლს, გავაღვიძოთ, აეუხსნათ ჩვენი გაჭირვება, ბოლოსდაბოლოს რაღა დარჩა გათენებამდე, გათენდა და ეგ არის“,—თქვა მზევინარმა. „მართალი ხარ,—

უთხრა ვასომ იმედიანად. „ეს ყველა ეზოში უნდა ჰყავდეთ ძროხა. ეახლიდე, რა საძოვრებია ირგვლივ". გავხედე, მაგრამ ირგვლივ ჯერჯერობით არაფერი ჩანდა. უცებ ფეხქვეშ ქვა გადამიბრუნდა, კოჭმა გაიტკაცუნა და ისეთი საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მუხლები მომეჭრა. „რა მოგივიდა, გოგო?" — მომიბრუნდა ვასო მასწავლებელი. „მგონი, ფეხი ვიღრძე". შეწუხებულმა მზევინარმაც მოირბინა. ფეხი გულდასმით გამისინჯეს. არაფერიაო, დამამშვიდეს. იჯექი აქ. დაისვენე ცოტა ხანს. სანამ რძეს ვიშოვით და გამოვბრუნდებით, ვაგივლისო. მოზრდილ ლოდთან მიმიყვანეს, ზედ შემსვეს. გავიდა ნახევარი საათი, მომწყინდა იმ ლოდზე მარტო ჯდომა, ჩამოვცურდი და კოჭლობით გავწიე სასტუმროსაკენ. გზადაგზა თითქმის გამიარა ტკივილმა.

გრილი, ნისლიანი დილა იყო. მალე მზეც ამოიწვერა და ნელ-ნელა გაიცრიცა, გაიფანტა მდინარის ხეობაში ჩამოწოლილი ნისლი. მთელი სასტუმრო გარეთ გამოფენილიყო. მალხაზს, ჩემს ამხანაგს თავისი ფოტოაპარატი გამოეტანა, ხან ეზოში მიმოფანტულ ექსკურსანტებს უმიზნებდა, ხან გაღმა-გამოღმა სერებზე ასვეტილ კოშკებს. მეც გადამიღო ერთხელ, ბესოსაც, თავისი განუყრელი რვეულითა და ფანქრით აღჭურვილი დაძაბული რომ სცემდა ბოთას ცვრიან მინდორზე. „მიუმატე რამე?" თანაგრძნობით ვკითხე (პოეტს ტანჯულის სახე ჰქონდა). „ცუდადაა საქმე. — შემომჩივლა მან. — მაწონზე გავიჭედე... ვერ გავურითმე ვერაფერს". „აბა წამიკითხე!" ბესომ რვეული გადაშალა: „გათენებისას აკივლდა, მოგვთხოვა რძე და მაწონი... კეფირი რომ ჩავწერო? რა უქირს კეფირს?.. მარცვალი ზუსტად ოგივეა. მერე როგორმე ჯებირს მივუსადაგებ."

კეფირს ვინ რას დაუწუნებს-მეთქი ვუთხარი ბესოს და გავეცალე, არ მინდოდა, ხელი შემეშალა მისთვის. სასტუმრო კარვა მაღალი გორაკის თხემზე იდგა. ვდგავარ და დაბას გადავყურებ. ხალხი უკვე მოძრაობდა, მიდი-მოდიოდა ქუჩებში, ბილიკებზე. მზევინარსაც მოვკარი თვალი, ჩქარი ნაბიჯით სასტუმროსაკენ მოეშურებოდა, ვასოც დავინახე, რძით სავსე ბოთლი, სახეგაბრწყინებულს, ბაირაღივით გამოეშვირა წინ, ალმართში მოქშინავდა.

თეონა გაჩუმდა.

— მერე? — ჰკითხა მამამ.

— მერე კოშკები და მუზეუმები დავათვალიერეთ.

— ჯიხვი?

თეონამ გვერდზე გაიხედა, ხმა არ ამოუღია.

ავტობუსში მარტო მძღოლი დარჩა. ჯიხვის დანახვა მას არ გაკვირვებია. ამ ჰაპანაქებაში კაბინაში ჯდომა და ლოდინი ძალიან უჭირდა, მაგრამ არ ბრაზობდა ექსკურსანტებზე. ზოგიერთი მძღოლივით, პირიქით, კმაყოფილი იყო, რომ დანაპირები შეუსრულდა. სიტყვა არ გაუტყდა. ჩემი სიტყვა და საქმე ერთიაო, ტრაბახობდა, ესეც საბუთი — ჯიხვი გაჩვენეთო. თქვენ კი არა და არ გჯეროდათო. კაცმა რომ თქვას, არც თვითონ იყო დარწმუნებული, რომ ნათქვამი გაუმართლდებოდა. მშვენივრად იცოდა, ჯიხვი ყოველდღე რომ არ დასეირნობდა ქუჩებში, ყოველდღე რომ არ გამოდიოდა ასე საგანგებოდ, დაბარებულივით. ზოგჯერ ორი-სამი თვეც გასულა ისე, რომ მისთვის ძეხორციელს თვალი არ დაუკრავს...

მერე, გზაში, ხანგრძლივი კამათისა და ყაყანის შემდეგ, სიტყვა რევაზმა, ბიოლოგიის მასწავლებელმა ითხოვა:

— მეგობრებო, გთხოვთ მომისმინოთ... ჯიხვი ე. წ. ენდემური ცხოველია. ჩვენია. ჩვენი მთების მშვენება. კავკასიის გარდა მას მთელ ქვეყანაზე ვერსად იხილავთ. კაცმა რომ თქვას, ხილვით ჩვენთვისაც იშვიათი სახილველია, იმიტომ, რომ მიუვალ, კაცთაგან მიუდგომელ ადგილებს ეტანება. ჭკვიანია, მეტისმეტად ფრთხილია. გვემალება, გაგვირბის. რა გასაკვირია, რა ახსოვს მაგათ მოდგმას ჩვენგან მტრობის, ვერაგობის, მუხთლობის გარდა? განა ადამიანს სისასტიკეში, მსუნაგობაში, სიხარბეში ბადალი მოეპოვება სულდგმულთა შორის? ჯიხვს როგორ დაინდობდა იგი, ასეთი ლამაზი რქების, გემრიელი ხორცისა და ძვირფასი ტყავის პატრონს? რამდენი ნატრობს დღესაც თავისი სახლის კედელი ჯიხვის ყანწებით დაამშვენოს. ღვინო შესვას ჯიხვის ყანწით და მტერ-მოყვარესთან თავი მოიწონოს ამით... ჯიხვს მარტოობა არ უყვარს. მხოლოდ შუნები გამოეყოფიან არვეს მაკეობის დროს, მყუდრო, უხიფათო ადგილებს მოძებნიან. თიკანი ორი-სამი დღის რომ გახდება, დედა წაიყვანს მას და ჯოგს შეუერთდება. მტერს რომ დროულად დაალწიოს თავი, უსულგულო, ბოროტი ბრაკონიერი სათოფეზე რომ არ მოუშვას, ჯიხვი მთის ინდაურთან, შურთხთან მეგობრობს. დიდად შველის მას ეს გონიერი, მშვენიერი ფრინველი, არვეს მუდამ თან რომ დასდევს. დროდადრო ცაში აფრინდება. მიდამოს დაზვერავს. თუ რაიმე საფრთხე შენიშნა, სტეენით გააგებინებს მეგობრებს. არც ჯიხვები რჩებიან ვალში, თვითონაც ეხმარებიან. როგორც შეუძლიათ. განსაკუთრებით ზამთრობით, როცა ფრინველებს საკვების პოვნა უძნელდებათ. ჯიხვები თავიანთი ძლიერი ჩლიქებით ყინულს

ამსხვრევენ. თოვლს ჩიჩქნიან, ძიწას აშიშვლებენ, იქ ხომ ბალახი, ხავსი ეგულებათ. შურთხებიც იქ პოულობენ საზრდოს. როგორც ვითხარით. ჯიხვის ყველაზე საშიში მტერი ადამიანია. სამწუხაროდ, დღესაც... მაშ, ამ ჯიხვს რა მოუვიდა? რატომ დაკარგა სიფრთხილის გრძნობა? რამ ჩამოიყვანა დაბაში, რა ნახა აქ, ამ პაპანაქებაში, ამ მტვერსა და ბუღში? ამ კითხვებზე ვერ გიპასუხებთ. იქნებ ადამიანებმა გამოხარდეს? იქნებ სულ პატარა ჩაუვარდათ ხელში, უმწეო, უსუსური, დაკრილი ან დაავადებული? იქნება მოუარეს, უპატრონეს, გადაარჩინეს და შეეჩვია, შეუყვარდა ადამიანები...

თეონას განმარტოება უყვარდა. ჩაიკეტებოდა თავის პატარა ოთახში, იჯდა, და ფიქრობდა, ოცნებობდა. ზოგჯერ იწერდა კიდეც თაკის ნაფიქრალსა და ნაოცნებარს, მერე კითხულობდა, და ეღიმებოდა რა სულელი ვყოფილვარო, დედ-მამასაც უკითხავდა. არაო, სულაც არ ყოფილხარ სულელიო. ამხნევებდნენ მშობლები, წერე, თავი არ დაანებოო. წერდა ბავშვი, რას აშავებდა? სხვა თუ არაფერი, წერას ხომ ისწავლიდა რიგიანად? ამიტომ უწონებდნენ. ხანდახან, როცა თეონა შინ არ იყო, მამა შეიპარებოდა მის ოთახში და გულმოდგინედ კითხულობდა გოგონას ჩანაწერებს. ნუ იზამო, უშლიდა. ცოლი, ბავშვს არ ეწყინოსო. რატომ უნდა ეწყინოსო? უკვირდა მამას. აკი თვითონ გვიკითხავს ხოლმე? თვითონ რომ გვიკითხავს, ის სულ სხვააო, ამბობდა დედა, თუმცა, არცთუ იშვიათად, მასაც წასძლევდა სული...

„ხარჯიხვა ფეხს ითრევდა, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად რჩებოდა უკან. არვე კლდეს მიეფარა. პირველად შუნმა მოისაკლისა ჯიხვის ჩამორჩენა, თიკანს უხმო და უკან გამობრუნდა. ხარჯიხვი კლდის ძირას მიწოლილიყო. ავად ხომ არ ხარო, ჰკითხა შუნმა. ხარჯიხვს ხმა არ ამოუღია.

— კვლავ იმათთან დაბრუნებას ხომ არ აპირებ?

— კი. უნდა წავიდე. არ შემიძლია სხვანაირად. წავალ... და მალე დავბრუნდები.

— გული მითქვამს, თუ წახვალ ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს.

სისულელეა, ისინი მე არაფერს მერჩიან. მე მათ ვუყვარვარ.

— უყვარხარ! როგორ არა!.. იმათ ხორცი უყვართ ჩვენი... ხორცი და რქები.

— ნუ ამბობ მაგას... ხომ იცი, არ მიყვარს ასეთი ლაპარაკი.

— დედ-მამა ხომ იმათ დაგიხოცეს? მეტი რაღა გინდა?

— მეც იმიტომ დავდივარ ადამიანებთან, რომ ამგვარი რამ აღარ განმეორდეს. ადამიანები არაფერს უშავებენ იმას, ვინც მათ ენდობა და შეიყვარებს, ვინც არ გაურბის, არ ემალება.

— ეჰ, წადი, წადი, ვიცი, შენსას მაინც არ დაიშლი. ოღონდ გეხვეწები, ფრთხილად იყავი.

— ნუ გეშინია, ფრთხილად ვიქნები. მე ხომ მათი გულისთქმის ამოკითხვა ვისწავლე. მათი ენაც ვიცი.

— თუ შეატყო, რომ გულში ბოროტება უდევთ, გაერიდე, მალე დაბრუნდი, გელოდები.

— დავბრუნდები."

რა კარგია, უხარია მამას, რა კარგია, რომ ასეთი ჭკვიანი და კეთილი გოგონა მყავსო. შემოდის დედა, მომისმინეო, ეუბნება კაცი და კითხვას განაგრძობს:

„მონადირეები ლოდებს შორის ჩაწოლილიყვნენ — თოფები მოემარჯვებინათ, თვალს არ აცილებდნენ მთის კლდოვან თხემს. იქ ესესაა ჯიხვების არვე დალანდეს. შორს იყო არვე აქედან, ტყვია ვერ მისწვდებოდა. მივეპაროთო, თქვა ერთმა, შუახნის მონადირემ, უშნო, ვიწროშუბლიანმა, გაუპარსავმა კაცმა. თქვა და მაშინვე ამოცოცდა ნაპრალიდან, გველივით ამოცურდა და წინ გახოხდა. მისი ამხანაგი, გამხდარი, უწვერულვაშო ბიჭი უსიტყვოდ მიჰყვა. ამასობაში არვე გაუჩინარდა. უშნო კაცმა ბრაზიანად დააკვესა წვრილი, სისხლიანი თვალები. ის იყო წამოდგომა დააპირა, რომ კლდის ძირას მიწოლილი ხარჯიხვი დაინახა და მაშინვე კლდეს მიეკრა, თოფი მოიმარჯვა. ამ დროს შუნიც დაინახეს თიკნითურთ. კაცმა დაუმიზნა თოფი, მაგრამ არ უსვრია, ვერც აქედან მივუწვდენო, თქვა დანანებით და კვლავ წინ გაცოცდა ქვა-ღორღიან ფერდობზე. თავის აწევაც კი აუკრძალა ამხანაგს, რომელიც კვალდაკვალ მოსდევდა, ჯიხვს მახვილი თვალი აქვს, დაგინახავს და თავს უშველისო.

რამდენიმე წუთის შემდეგ წინა კაცი შეჩერდა, მოხერხებული ადგილის შერჩევას შეუდგა. ახლა მარტო ხარჯიხვი იდგა კლდის ქიმზე.

— ეს ხომ ჩვენია! — შესძახა ბიჭმა. ვიცანი, ეს ჩვენი ხარ-ჯიხვია! არ ესროლო!

— გაჩუმდი! რა გაყვირებს, — გაუპარსავმა პირზე ააფარა ხელი, — ჩვენი მაშინ იქნება, ტყვიას რომ მოვარტყამ გულში.

— არ ესროლო!

ახალგაზრდამ ჰაერში გაისროლა, რომ ჯიხვი დამფრთხალიყო, გაქცეულიყო, გაცლოდა ხიფათს.

არ დამფრთხალა. ადგილიდანაც არ განძრეულა.

ხომ არ დაყრუვდა? ნუთუ თოფის ხმა არ გაუგონია?

— ხედავ? არ გარბის, ჩვენია! გვიცნო მანაც. ეჭვიც არ ეპარება, რომ მოსაკლავად გავიმეტებთ.

— მით. უკეთესი, — ამბობს უშნო კაცი და თოფს უმიზნებს. ბიჭმა ხელი აუკრა თოფზე.

— არ მოგაკვლევინებ!

— ჰო, კარგი, აღარ ვესვრი, — თქვა ბანჯგვლიანმა, ბოროტმა კაცმა, — სისულელე ჩავიდინე, — დაუმატა მერე, — შენ რომ წამოგიყვანე. შენგან მონადირე არ დადგება.

ჯიხვი ისევ იმ ქიმზე იდგა. მონადირეებს მშვიდად გადმოჰყურებდა. ნეტა რატომ არ ეშინოდა? იგი ხომ მშვენივრად კითხულობდა კაცთა გულისთქმას. აკი იცოდა, რომ უშნო, ახმახი კაცი მას არ დაინდობდა.

იქნებ ისიც იცოდა, რომ მეორე, ის ლამაზი, გამხდარი ბიჭი არ დაანებებდა ჯიხვის მოკვლას?"

მამამ რვეული დახურა:

— ახლა აღარაფერი ახსოვს იმ ჯიხვის გარდა...

* * *

ერთი წლის შემდეგ მამა გაემგზავრა მთიან დაბაში და ცუდი ამბავი ჩამოუტანა თეონას: ხარჯიხვი დაკარგულიყო. ალბათ, ადამიანებზე გული აიყარა, საბოლოოდ დაუბრუნდა თავისიანებსო, — თქვა თეონამ. ნეტა ასე იყოსო, — ნაღვლიანად თქვა კაცმა, — დაბაში სხვანაირად ფიქრობენ. ერთ კაცზე აქვთ ეჭვი, ცუდად უთვალთვალებდაო, ალბათ, შეურჩია დრო და მოკლაო. მეზობლებს თურმე ჯიხვის ხორცი უნახავთ მის სახლში, რქებისთვისაც მოუკრავთ თვალი. პირში მაინც არავინ წაუდგა თურმე. ეტყობა, არ გასწირეს მეზობლებმა. ვეღარ დაუმტკიცეს იმ კაცს ეს სიავე...

— რას ერჩოდა? რა დაუშავა? — თეონას ცრემლები წასკდა.

— რას დაუშავებდა... ბოროტი რომ იქნება კაცი...

მამამ თავზე გადაუსვა ხელი ატირებულ ქალიშვილს.

— იქნებ გადარჩა? მიხვდა. ხიფათი რომ ელოდა და დროზე გაეცალა იქაურობას?

— ეჰ, როგორ მიხვდებოდა? საიდან? ასე ადვილი გამოსაცნობია, ვის რა ბოროტება უდევს გულში? ცხოველს ვინ მისცა ასეთი გულთმისნობა?

— როგორია ის კაცი?

— რომელი?

— აი, ის, მკვლელი... ახმახი? უშნო? ბანჯგვლიანი?

— რა ვიცი... მე ხომ არ მინახავს... რაში მჭირდებოდა მისი ნახვა.

* * *

„ჯიხვი ქუჩის ნაპირზე მიდიოდა. ისმოდა მდინარის ხმაური, აღმართში ამომავალი ავტომანქანების დაღლილი, შეწუხებული ზუზუნი. ჯიხვს თავი ჩაექინდრა და ზანტად მოაბიჯებდა. გამვლელები ჩერდებოდნენ, აკვირდებოდნენ, უკანიდან მზერას აყოლებდნენ. ნეტა რა უკვირდათ? რატომ ვერ შეეჩვევნენ მის დანახვას, მასთან შეხვედრას? აკი აქ გაიზარდა, ამ ხალხის თვალწინ, ბევრი სითბო და ალერსი ახსოვს მათგან, ამ ბოლო დროს კი ისე უმზერენ, თითქოს უცხო გახდა, თითქოს ეს-ესაა მოვიდა საიდანღაც უცნობ დაბაში. რა მოხდა, რა შეიცვალა? ნელ-ნელა შემოეპარა მარტოობის გრძნობა, მყარად დაეუფლა მთელ მის არსებას. მიაბიჯებს, თავის საფიქრალს ფიქრობს თავდახრილი, აღარავის აქცევს ყურადღებას. როდის იგრძნო პირველად მარტოობა ასე მწარედ, ასე ხელშესახებად, როდის ჩაუსახლდა სულსა და გულში? მას შემდეგ ხომ არა, თვისტომნი რომ იხილა? რა უცნაურია ყველაფერი, რა უსაშველო — აქაც მარტოა, იქაც — მთის კლდოვან ფერდობებზე, თვისტომთ შორის. რატომ არ დაუდგა გული იქ, თავის არვეში, თავის შუნთან და თიკანთან? თავის ნათესავებთან. იმათაც გაენაპირა, ამათაც გაუუცხოვდა. რა იყო მისი საფიქრალი და სადარდებელი? ის მტრობა, შიში და უნდობლობა, მის თანამოძმეთა და ადამიანთა შორის რომ ჩამდგარიყო? თუმცა, ჯიხვი ვის რას უმტრობდა? ჯიხვი დევნილი იყო, ადამიანი — მდევარი, ჯიხვი — ნადირი, კაცი — მონადირე. სანამ უნდა გაგრძელდეს ასე? ქუჩაში ჟრიამულით ჩამოირბინეს ბავშვებმა, შეჩერდნენ, ჯიხვს შემოეხვივნენ. რქებზე ეპოტინებიან, პატარა ხელებს უთათუნებენ ზურგზე. ერთი ბიჭუნა მეტისმეტად გაუთამამდა, ლამის ქედზე შეაცოცდა. ჯიხვი შედგა, თვინიერად ელოდება, კიდევ რას ჩაიდენენ ბავშვები. არ სწყინს, არ აღიზიანებს მათი სითამამე. თავისი ლამაზი თიკანი აგონდება, არვეში რომ დატოვა. „ჩამოეცალეთ!“ გაისმა ხრინწიანი, უამური, ბოროტი ხმა. „ახლავე მოუსვით აქედან!“ ქედზე შეცოცებულ ბიჭს ხელი სტაცა, ყური აუწია, — „როგორ უბედავ! გაგთელავს, გაგსრესს!“ დამფრთხალი ბავშვები მაშინვე გაიფანტნენ.

რა ვერაგობაა! რა საშინელი გულისწამება! ჯიხვი შეიმართა, დაიძაბა, თითქოს საბრძოლველად ემზადებაო. ბინძური, მახინჯი ახმახის მყრალმა სუნმა წამით სუნთქვაც კი შეუგუბა. დგას ზამბარასავით შეკრული, ეს სუნი ნესტოებში უღიტინებს, საბრძოლველად, სამტროდ იწვევს. ამ ბოლო დროს ეს ავბედითი სუნი ხშირად შემოფეთებია, თითქოს უდარაჯებს კიდეც, კვალდაკვალ დაჰყვება,

კაცს ვერ ხედავს, მის სუნს კი გრძნობს. იმალება, უთვალთვალებს. რატომ? რა უნდა? რას აეკვიატა?

ბავშვები აღარსად ჩანან, კაცი ქვის კედელს მიკვრია. მზის მცხუნვარებას არიდებს თავს, თუ ჯიხვის ეშინია? კაცს წვრილი, ბოროტი, სისხლიანი თვალები აქვს. ჯიხვი მზერას უსწორებს. არა, მარტო მზეს არ ემალება ეს ავი, კედელს მიკრული კაცი, ჯიხვმა კაცის გულში გამკრთალი შიშის სუნიც იყნოსა და მაშინვე გაუარა ბრაზმა, ჩაუქრა ბრძოლის ჟინი. რისი შეეშინდა ამ კაცს, თუ გულში სიავე არ შესახლებია? „რა გინდა, რატომ დამდევ კვალდაკვალ?“ „წუხელ სად იყავი?“ შეუბრუნა სიტყვა კაცმა. „ხომ არ მელოდი? მისაფრდები კიდეც?“ კაცი ავად იკრიჭება, მოკლე, წვეტიან, შავ კბილებს აჩენს. „მომენატრე...“ „ვიცი, ვიცი, რა გიდევს გულში... სულ ტყუილად იწუხებ თავს“. კაცი კვლავ ხითხითებს: „ჩამივარდები ერთ დღეს ხელში. მაინც ხომ კაცის ხელით გიწერია სიკვდილი. სხვას რატომ უნდა დარჩე? სხვამ რატომ უნდა იგემოს შენი ხორცის მწვადი, დალიოს შენი რქებით ღვინო? სხვამ რატომ უნდა დამასწროს, როცა ჯერ ჩემთვის არავის არაფერი დაუსწრია?“

ნუთუ მართლა ადამიანის ხელით უნდა მოკვდეს? ამისთვის გადაარჩინეს უფსკრულში ჩაჩეხილი, ობლად დარჩენილი უმწეო თიკანი? ამისთვის უვლიდნენ, აშმევდნენ, ასმევდნენ, ზრდიდნენ, ამისთვის ეფერებოდნენ, ამისთვის გაიშინაურეს და გაათამამეს?

გაეცალა უშნო, დაკრეჭილ, მყრალ კაცს. გაეცალა და დამწუხრებული იქვე, კედლის ძირში მიწვა, თვალები დახუჭა, მძიმე ფიქრებს მიეცა. ისე უღიტინებს ნესტოებს ის ბოროტი სუნი, სადღაც ახლოს ტრიალებს მახინჯი ახმახი, მაგრამ დღისით, მზისით ვერაფერს გაუბედავს, ღამით კი გაერიდება, ღამით თავის გზას ეწევა...

...ზამთარი მოახლოებული იყო, ხარჯიხვი თავის არეში რომ დაბრუნდა. თიკანი გაზრდილიყო, აღარც კი ახსოვდა მამა, ვერც კი სცნობდა მას. ლოდინი შუნსაც მობეზრებოდა, გადაწურული ჰქონდა უკვე მეუღლის დაბრუნების იმედი, მთაში ნაადრევად დაედო თოვლი. ჯიხვები ჩლიქებით თხრიდნენ თოვლს, წიწკნიდნენ, გლეჯდნენ გამხმარ ბალახს და ხავსს. იქვე შურთხები ფაცურობდნენ, მიწას ქექავდნენ, საკვებს ეძებდნენ. დროდადრო ჰაერში აიჭრებოდნენ, ხევხუვებში, კლდეებსა და ნაპრალებს დაზვერავდნენ. ერთმა მოდარაჯე შურთხმა შორიდან შენიშნა მომავალი ხარჯიხვი, იცნო, გაუხარდა, ხალისიანი სტვენა ატეხა. მოსულმა თავისი შუნი მოძებნა, აი, დავბრუნდიო, უთხრა.

— საბოლოოდ?

— ჰო, მე იქ მტერი მყავს.

— ხომ გეუბნებოდი? ასე იყო და ეს ასე იქნება მუდამ. ჩვენ შორს უნდა ვიყოთ მათგან.

ხარჯიხვს არაფერი უთქვამს. კლდეს მიადგა და სევდიანი თვალებით გადახედა — შორს, ღრუბლებს ქვემოთ მთის კალთაზე მიყუჟულ დაბას. მასზე უკეთ ვის უნდა სცოდნოდა, რომ კაცთა შორის სიკეთე მეტი იყო, ვიდრე ბოროტება, მაგრამ მაინც რომ ვერ ამოეძირკვათ, საბოლოოდ რომ ვერ დაეძლიათ იგი?"

ასე ამჯობინა თეონამ ამ ამბის დასრულება.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჯრემიერა გადარჩა 3
ჩემი შორეული გავშვოგა 48
ლურჯი ზღვის პირას 124
როდის აშენდება ქალაქი 149
ციისფერყდიანი რვეული 205
უ ს ი ხ ვ ი 267

ს. ბ. № 2128

რედაქტორი მ. ზუბადალაშვილი
მხატვარი ნ. ჯიშკარიანი
მხატვრული რედაქტორი ჯ. ყავლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე
კონტრ.-კორექტორი მ. ლაღაძე
კორექტორი ნ. ნატროშვილი
გამომშვები მ. ლებანიძე

გადაეცა ასაწყობად 29.09.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.01.89. ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ნაბეჭდი თაბახი 17,5. საღებაეგატარება 18. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,31. ტირაჟი 20.000. შეკვეთა № 799.
ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მშვიდობის პრ. № 28.
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира, № 28

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5